მისიონერთა სამსახურის სახელმძღვანელო

# იქადაგე ჩემი სახარება

(იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 50:14)



„მოინანიეთ, დედამიწის ყველა კუთხისანო, მოდით ჩემთან და მოინათლეთ

ჩემი სახელით, რათა განიწმინდოთ სული წმინდის მიღებით" (3 ნეფი 27:20).

სახელი:

მისია და სამსახურის თარიღები:

სამსახურის რაიონების სია:

მმადნაფიცი მისიონერები:

იმ პირთა სახელები და მისამართები, ვინც მოინათლნენ და წევრად დამტკიცდნენ:

# იქადაგე ჩემი სახარება

(იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 50:14)

გამოცემულია უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის მიერ,
სოლთ ლეიქ სიტი, იუტა

ყდა:*იოანე ნათლისმცემელი ნათლავს იესოს* © 1988 მხატვარი გრეგ კ. ოლსენ
მილლ პონდის სტამბისა და დოქტორი ჯერი ჰუპერის შემწეობით.
ასლის გადაღება არ შეიძლება.

© 2010 Intellectual Reserve, Inc.–ს მიერ
ყველა უფლებები დაცულია

დაბეჭდილია გერმანიაში.
ინგლისურ ენაზე დამტკიცებულია: 1/05
თარგმანი დამტკიცებულია: 2/09.
თარგმანი *Preach My Gospel*
Georgian
36617 131

# იქადაგე ჩემი სახარება

(იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 50:14)

პირველ პრეზიდენტთა მოწოდება . . . v

შესავალი: როგორ შემიძლია *იქადაგე ჩემი სახარების* საუკეთესოდ გამოყენება? . . . vii

1 რა არის ჩემი, როგორც მისიონერის დანიშნულება? . . . 1

2 როგორ შემიძლია ნაყოფიერად შევისწავლო და მოვემზადო სხვათა სასწავლებლად? . . . 19

3 რა უნდა შევისწავლო და ვასწავლო? . . . 33

თ გაკვეთილი 1: მოწოდება იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ . . . 35

თ გაკვეთილი 2: ხსნის გეგმა . . . 52

თ გაკვეთილი 3: იესო ქრისტეს სახარება . . . 67

თ გაკვეთილი 4: მცნებები . . . 80

თ გაკვეთილი 5: კანონები და საეკლესიო წეს–ჩვეულებები . . . 92

4 როგორ უნდა შევიცნო და ჩავწვდე სულს? . . . 101

5 რა არის მორმონის წიგნის როლი? . . . 119

6 როგორ უნდა განვავითარო ქრისტესნაირი თვისებები? . . . 133

7 როგორ შევისწავლო უკეთესად მისიის ენა? . . . 147

8 როგორ გამოვიყენო დრო უფრო გონიერად? . . . 157

9 როგორ მოვძებნო ადამიანები, რომ ვასწავლო? . . . 179

10 როგორ განვავითარო ჩემში მასწავლებლის უნარი? . . . 201

11 როგორ დავეხმარო ადამიანებს, რომ აიღონ და შეასრულონ ვალდებულებები? . . . 223

12 როგორ მოვამზადო ადამიანები ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის? . . . 233

13 როგორ უნდა ვიმუშაო პალოსა და მეურვეობის ხელმძღვანელებთან? . . . 245

საძიებელი . . . 259

# პირველ პრეზიდენტთა მოწოდება

*ძვირფასო თანამომძე მისიონერო*

*ჩვენ გილოცავთ ამ შესანიშნავ შესაძლებლობას, რომ გახდით მისიონერი. არ არსებობს ამაზე უფრო საპასუხისმგებლო სამსახური, რომელსაც მოაქვს ასეთი დიდი კმაყოფილება.*

*იქადაგე ჩემი სახარება განკუთვნილია, რომ დაგეხმაროთ უკეთესად მომზადებისათვის, რათა იყოთ უფრო სულიერად მომწიფებული მისიონერი და უფრო დამაჯერებელი მასწავლებელი. ჩვენ დაჟინებით გთხოვთ, რომ ის გამოიყენოთ ყოველდღიურად თქვენს დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მომზადებისას, თქვენი საოლქო შეკრებების და სამხარეო კონფერენციების დროს. შეისწავლეთ აქ მითითებული წმინდა წერილები, ასევე ისწავლეთ მომღვრებები და საფუძვლები.*

*ჩვენ მოგიწოდებთ, რომ მიიღოთ ეს საპასუხისმგებლო ვალდებულება უფრო ამაღლებულად, რათა დაეხმაროთ ჩვენს მამაზეციერს მის დიდებულ საქმეში. ყოველ მისიონერს აქვს მნიშვნელოვანი როლი, რათა დაეხმაროს ადამიანის უკვდავების და მარადიული სიცოცხლის განხორციელებაში (იხილეთ მოსე 1:39).*

*ღმერთი დაგაჯილდოებთ და უხვად დაგლოცავთ, როდესაც მას მორჩილად, ლოცვით ემსახურებით. მისი შვილებისათვის შრომით, ამიტომ, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე დიდი ბედნიერება გელით.*

*პირველი პრეზიდენტობა*

შენიშვნები

# შესავალი: როგორ შემიძლია *იქადაგე ჩემი სახარების* საუკეთესოდ გამოყენება?

## *იქადაგე ჩემი სახარება*




გამოიყენეთ *იქადაგე ჩემი სახარება* იმისათვის რომ დაიკმაყოფილოთ თქვენი, როგორც მისიონერის, მოთხოვნილებები. მეცადინეობისას შეგიძლიათ მიუძღვნათ მთელი დრო მხოლოდ რამოდენიმე პარაგრაფს ან მთელ თავს. შეგიძლიათ შეისწავლოთ სახელმძღვანელოს თავები ერთმანეთის მიყოლებით ან მეცადინეობა დაგეგმოთ თავების განსხვავებული თანმიმდევრობით, ისე როგორც უფრო უკეთესი იქნება თქვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი მოქნილობა საშუალებას მოგცემთ, რომ ისწავლოთ თქვენი მოთხოვნილებების შესაბამისად, როდესაც საჭიროა ან როგორც თქვენი მისიის პრეზიდენტი მიგითითებთ.

*იქადაგე ჩემი სახარებას* ყველა თავი დაგეხმარებათ თქვენი, როგორც მისიონერის დანიშნულების შესრულებისთვის მომზადებაში. როდესაც დაიწყებთ მე-3 თავის შესწავლას, შეიმლება შეამჩნიოთ განსხვავება, რომ თავების უმეტესი ნაწილი არის თქვენთვის განკუთვნილი, ხოლო მე-3 თავი, ემღვნება უფრო ფართე აუდიტორიას. მე-3 თავში თქვენ სწავლობთ მომღვრებას იმისათვის რომ: (ა) განიმტკიცოთ სახარების ცოდნა და დამოწმება და (ბ) სხვებს ასწავლოთ, მოამზადოთ, რომ აიღონ და შეასრულონ ვალდებულებები და აღთქმები.

მომღვრების ზოგიერთ სხვა თავში მოცემული მასალა დაგეხმარებათ, მოწაფეთა და ახალი წევრების სასწავლებლად, მაგალითად მე-4 თავი, „როგორ უნდა შევიცნო და ჩავწვდე სულს?“ დაგეხმარებათ თქვენ მოწაფეების სწავლებაში, თუ როგორ შეიმლება მიიღონ სულიწმინდის მალით დამოწმება. თავი 5, „რა არის მორმონის წიგნის როლი?“ ასევე დაგეხმარებათ, რომ გადაწყვიტოთ მოწაფეების ყოყმანი მორმონის წიგნის წაკითხვის შესახებ. იდეები მე-2 თავიდან, „როგორ შემიძლია ნაყოფიერად შევისწავლო და მოვემზადო სხვათა სასწავლებლად?“ შეიმლება დაეხმაროს ახლადმოქცეულებს, რომ უფრო მეტი გაიგონ მორმონის წიგნის კითხვიდან.

*იქადაგე ჩემი სახარება* ამახვილებს ყურადღებას მისიონერული სამსახურის საფუძვლებზე. ის არ იძლევა პასუხს ყველა შეკითხვებზე ან სიტუაციებზე, რომლებიც მომავალში თქვენ შეგხვდებათ. ყველაზე მეტად ქმედითუნარიანი იქნებით, როდესაც მიჰყვებით სულს, შეისწავლით წმინდა წერილებს, დაიცავთ მცნებებს და გამოიყენებთ მიღებულ ცოდნას.

შეისწავლეთ წიგნის თავები მთელი მისიის განმავლობაში, გამოიყენეთ ნასწავლი ცოდნა, შეაფასეთ თქვენი მუშაობა. მისიონერები, რომლებიც ცდილობენ, რომ იყვნენ ყოველდღიურად მომზადებულნი და ეცდებიან გახდნენ უკეთესნი, ყოველდღიურად მიიღებენ რჩევებს სულიწმინდისაგან და დაილოცებიან თავიანთ ცხოვრებაში.

## მისიონერთა გაკვეთილები

თქვენ თავისუფლები ხართ გაკვეთილების თემის შერჩევასა და სწავლებაში, იმისათვის თუ რომელი თემა უკეთესად დაეხმარება ხალხს, რომ სრულად მოემზადონ ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის. თქვენი მიზანია არა მარტო თემის ახსნა,

შენიშვნები

არამედ, მთავარი არის დაეხმაროთ სხვებს, რათა მოვიდნენ ისინი ქრისტესთან, იესო ქრისტეში რწმენით, მონანიებით, ნათლობით, სულიწმინდის მღვენის მიღებით და ბოლომდე გამლებით. გაკვეთილების ხანგრძლივობა იშვიათად უნდა იყოს 45 წუთზე მეტი. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ უპრიანი იყოს უფრო მოკლე გაკვეთილების ჩატარება და ასეთნაირ შემთხვევაში შეიძლება უფრო ხშირი და მოკლე შეხვედრების ჩატარება, რომლებშიც ასწავლით თემას პატარ-პატარა ნაწილებად.

თქვენ შეგიძლიათ ასწავლოთ გაკვეთილები მრავალნაირად. რომელ თემას ასწავლით გაკვეთილის დროს, როდის და რამდენ დროს მიუძღვნით, ამის გადასაწყვეტად საუკეთესო იქნება, თუ გაითვალისწინებთ მოწაფის მოთხოვნილებებს და სულის კარნახს. ნუ დაიზეპირებთ მთელ გაკვეთილს.

## დამოუკიდებელი მეცადინეობა, ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა, საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

მისიის დროს ნაყოფიერი მეცადინეობა, დაგეხმარებათ, როგორც მისიონერს, შეასრულოთ თქვენი დანიშნულება და განამტკიცოთ იესო ქრისტეს სახარებაში თქვენი პირადი დამოწმება. სწავლისათვის ოთხი ყველაზე კარგი შესაძლებლობა არის, დამოუკიდებელი მეცადინეობა, მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა, საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები. თქვენ ყოველდღიურ განრიგში მოცემულია, თქვენი დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობის დრო.

მისიონერის ყოველდღიური განრიგი*

| | |
|---|---|
| დილის 6:30 | ადექით, ილოცეთ, შეასრულეთ ფიზიკური ვარჯიშები (30 წუთი) და მოემზადეთ სამუშაო დღისთვის. |
| დილის 7:30 | საუზმე. |
| დილის 8:00 | დამოუკიდებელი მეცადინეობა: მორმონის წიგნი, სხვა წმინდა წერილები, მისიონერთა გაკვეთილების მომღვრებები, სხვა თავები *იქადაგე ჩემი სახარებიდან, მისიონერთა სახელმძღვანელო* და *მისიონერთა ჯანმრთელობის სახელმძღვანელო*. |
| დილის 9:00 | მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა: გაუზიარეთ თუ რა შეისწავლეთ დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს, მოემზადეთ სასწავლებლად, ივარჯიშეთ გაკვეთილების სწავლებაში, იმეცადინეთ *იქადაგე ჩემი სახარების* თავებიდან, გადაამოწმეთ დღის გეგმები. |
| დილის10:00 | დაიწყეთ მისიონერული სამსახური და ქადაგება. უცხო ენის მოსწავლე მისიონერები დამატებითად, 30 დან 60 წუთამდე მეცადინეობენ იმ ენას, დღის განმავლობაში ენის შესასწავლი ღონისმიებების დაგეგმვის ჩათვლით.<br><br>მისიონერებს შეუძლიათ ერთი საათი აიღონ მეორე საუზმისთვის და დამატებითი მეცადინეობისათვის და კიდევ ერთი საათი სადილისთვის დღის იმ მონაკვეთში, როდესაც მათთვის ყველაზე მოსახერხებელი იქნება ქადაგების საქმიანობისათვის. ჩვეულებრივ, სადილი უნდა დასრულდეს არაუგვიანეს საღამოს 6:00. |
| საღამოს 9:00 | დაბრუნდით საცხოვრებელ სახლში (თუ გაკვეთილს ასწავლით, მაშინ 9:30), დაგეგმეთ მომავალი დღის საქმიანობა (30 წუთი). შეავსეთ დღიური, მოემზადეთ დასამინებლად, ილოცეთ. |
| საღამოს 10:30 | დაწექით დასამინებლად. |

** მისიის პრეზიდენტს შეუძლია შეცვალოს დღის განრიგი, სამოცდაათიანელთა პრეზიდენტობასთან ან ზონალურ პრეზიდენტობასთან კონსულტაციის თანახმად, რათა უკეთესად მოერგოს ის ადგილობრივ პირობებს.*

შენიშვნები




ის, რასაც ისწავლით დამოუკიდებელი მეცადინეობისას, დაგეხმარებათ მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობაში, ოლქის შეკრებაზე და სამხარეო კონფერენციაზე, სადაც თქვენ შესმლებთ ასწავლოთ ერთმანეთს სასუფეველის მომღვრება (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 88:77). რასაც მიიღებთ სამეცადინო სესიებზე და საოლქო შეკრებებზე, დაგეხმარებათ სულიერი მალით სწავლებაში.

**დამოუკიდებელი მეცადინეობა**

დამოუკიდებელი მეცადინეობის მიზანია განამტკიცოს თქვენი ცოდნა და დამოწმება აღდგენილი სახარებისა და დაგეხმაროთ მოემზადოთ მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ვისაც თქვენ ასწავლით. დამოუკიდებელი მეცადიეობისას, ყურადღება გაამახვილეთ კანონიკურ ნაშრომებზე და დამტკიცებულ ლიტერატურაზე მისიონერთა ბიბლიოთეკიდან:

- *Jesus the Christ [იესო ქრისტე]*
- *Our Heritage [ჩვენი მემკვიდრეობა]*
- *Our Search for Happiness [ბედნიერების ჩვენი მიება]*
- *True to the Faith [რწმენის ერთგული]*

თქვენ შეგიმლიათ უფრო ქმედითი გახადოთ დამოუკიდებელი მეცადინეობა, როდესაც:

- მეცადინეობისას წაიკითხავთ მორმონის წიგნიდან და სხვა წმინდა წერილებიდან.
- შეისწავლით მისიონერთა გაკვეთილების მომღვრებებს.
- შეისწავლით სხვა თავებს, *იქადაგე ჩემი სახარებიდან.*

**მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადიეობის მიზანია (1), რომ ჩამოაყალიბოთ მმადნაფიც მისიონერთან ერთობა, იმისათვის რომ ასწავლოთ სულით და (2) ყურადღება გაამახვილოთ იმათ განვითარებაზე, ვისაც ასწავლით. თქვენ შეგიმლიათ, მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა უფრო ქმედითი გახადოთ როდესაც:

- გაუზიარებთ ერთმანეთს დამოუკიდებელი მეცადინეობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს.
- მოემზადებით სასწავლებლად სპეციფიკური შეხვედრებისათვის, ასევე წევრებთან სტუმრობისათვის, მოწაფეების მოსამიებლად შესამლებლობებისათვის და დამატებითი ღონისმიებების ჩასატარებლად. შეისწავლეთ მასალა, რომელიც დაგეხმარებათ სასწავლებლად, მოწაფეების მოსამიებლად და სამუშაოდ უფრო ეფექტურად. ისაუბრეთ იმ ადამიანებზე, ვისაც ასწავლით. დაგეგმეთ იმის გამოყენება, რასაც სწავლობთ.
- დღის განმავლობაში, გააგრმელეთ მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობის ნასწავლი პრინციპების, მიზნების, უნარების და დაგეგმილის განხილვა.

**საოლქო შეკრებები**

ოლქის შეკრების მიზანი არის ასწავლოთ ერთმანეთს სასუფეველის მომღვრება (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 88:77).

- ოლქის შეკრება ტარდება ყოველი კვირა, 60 დან 90 წუთის ხანგრმლივობით.
- ოლქის ხელმმღვანელი გეგმავს და უმღვება ოლქის შეკრებას და ასევე შეუმლია სთხოვოს სხვა მისიონერებს, რომ დაეხმარონ სწავლებაში.

შენიშვნები

- ოლქის შეკრებაზე ასევე შეიმლება მოხდეს:
  - დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობებიდან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება.
  - სხვადასხვა მდგომარეობებში გაკვეთილების გამოყენება.
  - *იქადაგე ჩემს სახარებაში* აღწერილი პრინციპების და უნარების ახსნა-განმარტება, თვალსაჩინოდ დემონსტრირება და გამოყენება.
  - მოწაფეთა განვითარების და მათი საჭიროებების განხილვა.
  - ოლქში არსებული დაბრკოლებების განხილვა და გამოკვლევა.
  - მისიონერული სამსახურის გამოცდილებების და დამოწმებების გაზიარება.
- საოლქო ხელმმღვანელებს შეუმლიათ გამოიყენონ ოლქის შეკრება იმისთვის, რათა მოისმინონ ანგარიში-მოხსენება, ოლქში მყოფი მისიონერებისგან, მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ. მათ არ უნდა დაუსახონ მიზნები ან კვოტები სხვა მისიონერებს.

**სამხარეო კონფერენციები**

სამხარეო კონფერენციები ტარდება მისიის პრეზიდენტის ხელმმღვანელობით.

## *იქადაგე ჩემი სახარების თავისებურებანი*

*იქადაგე ჩემი სახარების* ყოველ თავს აქვს რამოდენიმე თავისებურება, რომელიც დაგეხმარებათ, რომ უფრო ნაყოფიერი გახდეს თქვენი მეცადინეობა, ის კი არ გაიმულებთ იმეცადინოთ რაიმე წესით. გამოიყენეთ ეს თავისებურებები ისე, როგორც უფრო მოსახერხებელი იქნება თქვენთვის, თქვენი საჭიროებების შესაბამისად.

**სამეცადინო რვეული**

*იქადაგე ჩემი სახარება* ხშირად გთხოვთ, თქვენი სამეცადინო რვეულის გამოყენებას, იმისათვის რომ დაგეხმაროთ უკეთ გაიგოთ, გაიაზროთ და დაიმახსოვროთ ის, რასაც სწავლობთ. უხუცესი რიჩარდ ჯ. სკოტი გვასწავლიდა: „ცოდნა, რომელიც გულმოდგინედ ჩაწერილია, არის ის ცოდნა, რომელიც საჭირო დროს არის ხელმისაწვდომი. სულიერად მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა შეინახოთ სათუთად, რაც აჩვენებს უფალს, თუ როგორი განმია ის თქვენთვის. ეს ჩვევა ზრდის მეტი სინათლის მიღების შესამლებლობას" („Acquiring Spiritual Knowledge", *Ensign,* ნოემბერი 1993, 86). მიმოიხილეთ თქვენი სამეცადინო რვეული, რომ გაიხსენოთ სულიერი განცდები, მომებნოთ ახალი შთაბეჭდილებები და შეამჩნიოთ საკუთარი ზრდა.

თქვენი სამეცადინო რვეული შეიმლება იყოს რვეული, ჩანაწერების წიგნი ან პირადი დღიური. ჩაიწერეთ და დაალაგეთ თქვენი აზრები და შთაბეჭდილებები ისეთნაირად, როგორც თქვენ სწავლობთ. განავითარეთ ჩანაწერების მიების თქვენი საკუთარი მეთოდი, რათა მომავალში ადვილად მოიმიოთ აუცილებელი ინფორმაცია. ხშირად იხმარეთ ის, რათა განიხილოთ, მომებნოთ და გამოიყენოთ ის, რაც ისწავლეთ. თქვენ სამეცადინო რვეულში გააკეთეთ ჩანაწერები, ასევე ჩაინიშნეთ მიღებული შთაბეჭდილებები თქვენი დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობების, საოლქო შეკრებების, სამხარეო კონფერენციების და მისიის პრეზიდენტთან გასაუბრებების დროს.

**საინფორმაციო ჩარჩოები**

*იქადაგე ჩემი სახარების* საინფორმაციო ჩარჩოები დაგეხმარებათ სწავლაში. ზოგიერთ მათგანში კეთდება მოცემული თემის დედააზრის წინასწარ განხილვა ან შეჯამება. სხვები კი დაგეხმარებათ მეცადინეობისას რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება, რომელ წმინდა წერილებზე, დაგეხმარებათ გამოიყენოთ ის, რასაც შეისწავლით ასევე განავითაროთ თქვენი უნარები და დააკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები, ვისაც ასწავლით. უმთავრესად, საინფორმაციო ჩარჩოები არიან უბრალო საწყისი წერტილები. ლოცვით, მეცადინეობის

შენიშვნები

ახალი მეთოდებით და დამატებითი წმინდა წერილების შესწავლით, შეასრულეთ ჩარჩოში ჩასმული ამოცანები.



„განიხილეთ შემდეგი.“ თავების უმეტესობა იწყება „განიხილეთ შემდეგი“ ჩარჩოში ჩასმული კითხვებით. ეს შეკითხვები ყურადღებას ამახვილებენ მოცემული თავის დედააზრზე და იძლევიან საფუძვლებს მეცადინეობისათვის. გამოიყენეთ ეს კითხვები, რათა ჩამოაყალიბოთ, გაიაზროთ, მოიფიქროთ და აითვისოთ ის, რასაც სწავლობთ.



„გახსოვდეთ შემდეგი.“ თავების უმეტესობა მთავრდება „გახსოვდეთ შემდეგი“ ჩარჩოთი, სადაც შეჯამებულია აღნიშნულ თავში მოცემული საკითხის დედააზრი. როდესაც დაასრულებთ თავის მეცადინეობას, განიხილეთ ეს საკითხები, რათა ბოლომდე გაიაზროთ აღნიშნული თავის მთავარი საფუძვლები. შეაფასეთ თუ როგორ იყენებთ ამ საკითხებს, ასევე დაგეგმეთ ნასწავლის პრაქტიკული გამოყენება.



„წმინდა წერილების შესწავლა.“ აქ თქვენ მიიღებთ მითითებებს წმინდა წერილების ნაწყვეტებზე, რომლებიც დაგეხმარებათ თემის უკეთესად გააზრებაში და დამოწმების განმტკიცებაში. ამ ნაწყვეტებზე დაყრდნობით, მოძებნეთ წმინდა წერილების დამატებითი მუხლები. დაუსვით თქვენ თავს მოცემულ თემაზე დამატებითი შეკითხვები, რომელიც დაგეხმარებათ შთაბეჭდილებების მიღებაში და ნასწავლის გამოყენებაში.



„ღონისძიება.“ თავების უმეტესობაში მოცემულია მოღვაწეობის ღონისძიებები, რათა გააუმჯობესოთ თქვენი დამოუკიდებელი და მძადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობის პროცესი და ნასწავლის პრაქტიკულად გამოყენება. გაიმეორეთ ეს ღონისმიებები თქვენი მისიის განმავლობაში, ამით თქვენ მიიღებთ ყოველთვის ახალ შთაბეჭდილებებს, იმიტომ, რომ ვისაც ასწავლით მათი მოთხოვნები შეიცვლება და ასევე თქვენიც.



წითელი ჩარჩოები. აქ მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია და რჩევები, რომლებიც გამოგადგებათ ქადაგების და სწავლების დროს სხვადასხვა სიტუაციებში.

**მოთხრობები**

ყველა მოთხრობა, რომელიც მოყვანილია *იქადაგე ჩემს სახარებაში*, არის ნამდვილი, თუმცა ადამიანების სახელები არის ხშირად შეცვლილი. ყოველი ისტორია გამოხატავს მისიონერული სამსახურის რამოდენიმე პრინციპს. ამ მოთხრობების წაკითხვისას ყურადღება მიაქციეთ იმ პრინციპებს, რომლებსაც ისინი გამოხატავენ.

შენიშვნები

**მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები**



**მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდ**

დამოუკიდებელი მეცადინეობა

- წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი ერთ-ერთი მისიონერი ქალის წერილი მშობლებს: „მ
ვასწავლიდი ერთ მშვენიერ ქალს ავტობუსში. ჩვენ ვბრუნდებოდით ოლქის კრებიდა
დავჯექი ერთადერთ თავისუფალ ადგილზე და ვათვალიერებდი ჩემ ფოსტას. რათქმ
პირველ რიგში გავხსენი თქვენი წერილი პატარა ევანის სურათებით. შევამჩნიე, რო
გვერდით მჯდომი ქალიც ათვალიერებს ჩემთან ერთად ჩემს სურათებს. როდესაც ავ
თავი, ჩვენ ერთმანეთს თვალებში შევხედეთ, მოხუცმა ქალმა ოდნავ გამიღიმა და
მიტრიალდა ფანჯრისაკენ. მერე მან დახუჭა თვალები თითქოს დასაძინებლად ემზად
მე დავიწყე ლოცვა: „მამა ზეციერო, მე მინდა მას დაველაპარაკო. გთხოვ დამეხმარე.
წუთის მერე ქალმა გაახილა თვალები და წელში გასწორდა. მე ჩქარა ვუთხარი: „რა
სიმპათიურია, არა?“ ვაჩვენე პატარა ევანის სურათები და დავიწყვე ოჯახზე საუბარ
ვკითხე მას ბავშვებზე და მან ცრემლიანი თვალებით მიპასუხა, რომ მისი გოგო მას
იტანს და არ სურს მასთან ურთიერთობა. იგი ტიროდა და მეც ავტირდი მასთან ერთ
მოვუყევი მას ხსნის გეგმაზე და ვუთხარი, რომ მამა ზეციერი იცნობს მას პირადად.
იცის მის გაჭირვებების შესახებ. ცრემლიანი თვალებით მე ვუთხარი მას, რომ მის
ქალიშვილს უყვარს იგი, რადგან მე თვითონ ვარ მოსიყვარულე დედის შვილი, რომ

ყოველი თავის ბოლოში მოყვანილია დასკვნა, სადაც არის მოცემული დამატებითი იდეები დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობისათვის, საოლქო შეკრებებისათვის და სამხარეო კონფერენციებისათვის. ეს არის უხვი წყარო სასწავლო ღონისმიებებით, რომელიც იძლევა მასალის შესწავლისათვის ეფექტურ მეთოდებს. იყავით შემოქმედებითი და ემიეთ შთაგონება, დამატებითი ღონისმიებების მოსაფიქრებლად, ყოველთვის, როდესაც ამ ნაწყვეტებიდან სწავლობთ ან ასწავლით. მისიის განმავლობაში რამოდენიმეჯერ შეასრულეთ ეს ღონისმიებები.

## მრევლსა და ოლქში მომსახურე მისიონერები

ბევრი მისიონერი მსახურობს სხვადასხვა მრევლში და ოლქში, თუმცა ამ სახელმძღვანელოში მოიხსენიება *მეურვეობები* და *პალოები*, იგივე პრინციპები და მიდგომები უნდა გამოიყენოთ *მრევლების* და *ოლქების* მიმართ. მისიის პრეზიდენტი მოგცემთ საჭირო მითითებებს საჭირო ცვლილებების შესახებ, მრევლის ან ოლქის ხელმძღვანელებთან მუშაობასთან დაკავშირებით.

## მეურვეობის მისიონერების და ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

*იქადაგე ჩემი სახარება* არის განკუთვნილი ეკლესიის სრული განაკვეთის მყოფი მისიონერთათვის. პრინციპები და მომღვრება, რომლებიც ამ წიგნში არის მოცემული, შეიძლება ასევე გამოიყენონ მეურვეობის მისიონერებმა და ხელმძღვანელებმა, თავიანთი მალისხმევისას უფალის სასუფეველის აღშენებისათვის. ამ სახელმძღვანელოთი ხშირი მეცადინეობა, მათ მისცემს საშუალებას შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობები, მსახურობისას, როგორც წევრი მისიონერები და ეს გაამყარებს სრული განაკვეთის მყოფ მისიონერებთან მათ ერთობას.



დენ ჯონსი, ამჟამინდელი წყობის ერთერთი უდიდესი მისიონერი, ქადაგებს სახარებას უელსში.

# რა არის ჩემი, როგორც მისიონერის დანიშნულება?

შენიშვნები

## ღ ქვენი დანიშნულება

მოიწვიეთ სხვები, რათა ისინი მოვიდნენ ქრისტესთან, რომ თქვენი დახმარებით მიიღონ აღდგენილი სახარება, იესო ქრისტესი და მის მიერ ჩვენს გამოსყიდვაში რწმენით, მონანიებით, ნათლობით, სულიწმინდის ძღვენის მიღებითა და ბოლომდე გაძლებით.

## განიხილეღ შემდეგი

- რა არის ჩემი, როგორც მისიონერის დანიშნულება?
- რა არის სახარება?
- რატომ ვქადაგებთ სახარებას?
- რატომ ვარ ვალდებული ვასწავლო ძალით და უფლებამოსილებით?
- რა არის აღდგენის მოწოდება? რატომ არის ეს ასეთი მნიშვნელოვანი?
- რა არის ჩემი პასუხისმგებლობა, სხვათა დასახმარებლად, რომ მოიქცნენ?
- როგორ უნდა გავიგო ვარ თუ არა წარმატებული მისიონერი?

## თქვენი ვალდებულება, რომ ასწავლოთ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარება

თქვენ ხართ გარშემორტყმული ადამიანებით, რომლებსაც ქუჩაში გვერდს უვლით, მათთან სახლში სტუმრად მიდიხართ და ერთად მოგზაურობთ. ყველანი არიან ღმერთის შვილები, თქვენი ძმები და დები. ღმერთს ისინი უყვარს ისევე, როგორც უყვარხართ თქვენ. ამ ადამიანებიდან ბევრი ეძებს ცხოვრების მიზანს. ისინი შეწუხებულები არიან თავიანთ ოჯახებზე. მათ სჭირდებათ ერთობის შეგრძნება, რომელიც მოდის იმის გააზრებით, რომ ისინი არიან ღმერთის შვილები, მისი მარადიული ოჯახის წევრები. მათ უნდათ იგრძნონ თავი დაცულად იმ მსოფლიოში, სადაც მუდმივად იცვლება ფასეულობები. მათ უნდათ მშვიდობა ამ მსოფლიოში ხოლო მარადიული სიცოცხლე მომავალ მსოფლიოში (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 59:23), მაგრამ ისინი არიან დატყვევებულნი სიმართლისგან შორს, რადგან არ იციან სად ეძიონ ის (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 123:12).

© 1993 ქლარკ კელი პრაისი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

შენიშვნები

იესო ქრისტეს სახარება, რომელიც აღდგენილია იოსებ სმითის მიერ, დალოცავს მათ ოჯახებს, დააკმაყოფილებს მათ სულიერ მოთხოვნებს და დაეხმარებათ სანუკვარი ოცნებების ასრულებაში. შეიმლება მათ არ იცოდნენ რატომ, მაგრამ მაინც სჭირდებათ შვება იმ დანაშაულის გრძნობისაგან, რომელიც მოდის ჩადენილი შეცდომებისა და ცოდვებისგან. მათ სჭირდებათ გამოსყიდვის სასიხარულო შეგრძნება, რომელიც მოდის მათი ცოდვების პატიებით და სული წმინდის მღვენის ნეტარებით.



როგორც იესო ქრისტეს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, თქვენ შეგიმლიათ სხვებს ასწავლოთ მალით და უფლებამოსილებით, რომ „მხოლოდ წმინდა მესიაში და მის მეშვეობით მიიღება გამოსყიდვა“ და არავის „მალუმს ღმერთის წინ ყოფნა, თუ არ არის წმინდა მესიის ამაგით, გულმოწყალებითა და მადლით“ (2 ნეფი 2:6, 8). როდესაც ადამიანები იღებენ იესო ქრისტეს აღდგენილ სახარებას და მღვდლობის უფლებამოსილებით მონათვლისა და წევრად დამტკიცების წეს–ჩვეულებებს, მათ შეუმლიათ დარწმუნებულები იყვნენ, რომ ისინი „არ არიან სამუდამოდ განდევნილნი“ (მორმონის წიგნი, თავფურცელი).

როდესაც ღრმავდება თქვენს მიერ იესო ქრისტეს გამოსყიდვის გააზრება, შესაბამისად გაიზრდება თქვენი სურვილი სახარების გაზიარებისა. თქვენ იგრმნობთ ისე, როგორც ლეჰიმ, რომ „ამიტომ ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე მცხოვრებელთათვის ამის შეტყობინებას“ (2 ნეფი 2:8).

პრეზიდენტი ეზრა ტაფტ ბენსონი გვასწავლიდა: „ჩვენ გვაქვს ღმერთისგან ნაბრმანები, რომ მივუტანოთ ეს სახარება მთელ მსოფლიოს. ეს არის ის მიზეზი, რამაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენ დღეს. მხოლოდ სახარება იხსნის მსოფლიოს თვით-განადგურების უბედურებისგან. მხოლოდ სახარება გააერთიანებს მშვიდობით ყველა ეროვნების და რასის ადამიანს. მხოლოდ სახარება მოუტანს კაცობრიობას სიხარულს, ბედნიერებას და ხსნას“ (*Teachings of Ezra Taft Benson* [1988], 167).

თქვენ ხართ მოწოდებულნი, რომ წარმოადგინოთ იესო ქრისტე ადამიანების დასახმარებლად, რათა განიწმინდონ თავიანთი ცოდვებისაგან. თქვენ ამას აკეთებთ მათი მოწვევით, რომ მოვიდნენ ისინი იესო ქრისტესთან და მოიქცნენ მის აღდგენილ სახარებაში. მხსნელთან, რომ მივიდნენ, მათ უნდა ჰქონდეთ მისი მონანიების რწმენა, რომ შეიტანონ საჭირო ცვლილებები თავიანთ ცხოვრებაში, რათა ის შეესაბამებოდეს მხსნელის სწავლებებს. თქვენ შეგიმლიათ დაეხმაროთ ადამიანებს განავითარონ ასეთი რწმენა, სულის მალით აღდგენილი სახარების სწავლებით და იმის თხოვნით, რომ მათ აიღონ ვალდებულება იმისა, რომ იცხოვრებენ ამ სწავლებების მიხედვით. ამ ვალდებულების შესრულება მათ ამზადებთ, ნათლობის და წევრად დამტკიცების აღთქმის და სულიწმინდის მვირფასი მღვენის მისაღებად. მათ უნდა დათმონ „ბუნებრივი ადამიანი“ და გახდნენ წმინდანი „ქრისტე უფალის გამოსყიდვით“ (მოსია 3:19).

შენიშვნები

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

დაათვალიერეთ სიცოცხლის ხის სურათი ამ გვერდზე, როდესაც იმეცადინებთ ხილვაზე, რომელიც მოგვითხრობს სიცოცხლის ხეზე და აღწერილია 1 ნეფი 8 და 11. ამ ხილვაში სიცოცხლის ხე გამოხატავს ღმერთის სიყვარულის სიმბოლოს (იხილეთ 1 ნეფი 11:21–22).

- რა სურვილი დაებადა ლეჰის, როდესაც მიირთვა ნაყოფი? (იხილეთ 1 ნეფი 8:10–18.)
- ზემოთ მოთხრობილ ხილვაში, რა უნდა გაეკეთებინათ ადამიანებს იმისათვის რომ შესძლებოდათ მიეღოთ ეს ნაყოფი? რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, რომ მივიღოთ გამოსყიდვის ყველა დალოცვები? როგორ გვეხმარებიან ჩვენი ვალდებულებები და აღთქმები ამ დალოცვების მიღებაში ?
- როგორც მისიონერი რა არის თქვენი მოვალეობა სხვათა დასახმარებლად, რომ იპოვონ და იგემონ სახარების ნაყოფები?

## სახარება ლოცავს ოჯახებს

იესო ქრისტეს სახარების აღდგენის მოწოდება ლოცავს ოჯახებს. აღდგენის შედეგად, ჩვენ უკეთ გვესმის უფალის მიზანი ოჯახებისთვის: „ბედნიერების ღვთიური გეგმა საშუალებას ამლევს ოჯახურ ურთიერთობებს იმისათვის რომ ისინი გაგრძელდნენ სიკვდილის შემდეგ. ტამრებში შესამლებელია წმინდა წესჩვეულებების და აღთქმების მიღება, რომლებიც პიროვნებას ამლევს უფლის სასუფეველში დაბრუნების საშუალებას და მარადიულად აერთიანებს ოჯახებს“ („ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს“).

> „თქვენი საკუთარი სახლის კედლებში კეთდება უფლის ყველაზე მთავარი საქმე, რომელსაც ოდესმე გააკეთებთ.“
>
> – პრეზიდენტი ჰაროლდ ბ. ლი
> *THE TEACHINGS OF HAROLD B. LEE*, CLYDE J. WILLIAMS–*ის ნაკრებიდან (1996), 280*

დედამიწაზე, ჩვენთვის ოჯახური ურთიერთობები შეიმლება იყოს ერთერთი უდიდესი სიხარულის წყარო. სატანა უტევს ოჯახს მრავალი მხრივ და მისი მალისხმევების შედეგად მალიან ბევრი ოჯახი არის დანგრეული. იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების მოწოდება ოჯახებს ამლევს საშუალებას, რომ იყვნენ ერთიანი დღეს და მარადიულად. სახარების საფუმვლების დაცვით ცხოვრებისას, ოჯახებს შეუმლიათ განიცადონ ამ ცხოვრებაში მშვიდობა, სიხარული, ერთიანობისა და ინდივიდუალურობის შეგრმნება. სახარების სინათლის დახმარებით ოჯახებს შეუმლიათ გადაწყვიტონ უთანხმოებები, განხეთქილებები და წინააღმდეგობები. ოჯახები, რომლებიც არიან დამსხვრეული უთანხმოებების გამო, შეიმლება განიკურნონ მონანიებისა და პატიების გზით, ასევე იესო ქრისტეს გამოსყიდვის მალის რწმენით. „ოჯახში ბედნიერება შეიმლება მიღწეული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ოჯახური ცხოვრება დაფუმვნებულია უფლის, იესო ქრისტეს სწავლებებზე. წარმატებული ქორწინებები და ოჯახები ყალიბდება და ეფუმვნება რწმენის, ლოცვის, მონანიების, შენდობის, პატივისცემის, სიყვარულის და ჯანმრთელი ცხოვრების კანონებზე“ („ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს“).

ეცადეთ ოჯახების მომიება და მათი სწავლება, ოჯახის მამა, დედა და ბავშვები, რომლებსაც შეუმლიათ ერთმანეთს მხარი დაუჭირონ, სახარებით ცხოვრებაში და აღდგენილი მღვდლობის უფლებამოსილებით ტამარში ერთად ჩაბეჭდვაში.

შენიშვნები

## სულით სწავლება

ვინაიდან იესო ქრისტეს სახარება არის „ღვთის ძალა ყოველი მორწმუნის სახსნელად“ (რომაელთა 1:16), სახარების აღდგენის მოწოდება უნდა ასწავლოთ ღვთიური ძალით—სულიწმინდის ძალით, რომელიც ღვთიური სამების მესამე პიროვნებაა. ხშირად მას მოიხსენიებენ, როგორც სული და მისი ერთერთი დანიშნულება არის ასწავლოს და დაამოწმოს სიმართლე. როდესაც ასწავლით ამ ძალით, სულიწმინდა დაგეხმარებათ შემდეგნაირად:

- გასწავლით ახალ ჭეშმარიტებებს და გაგახსენებთ მომღვრებებს, რომლებიც მანამდე გქონდათ ნასწავლი (იხილეთ იოანე 14:26).
- საჭირო დროს გიკარნახებთ იმ სიტყვებს, რომლებიც თქვენ გჭირდებათ, რომ სთქვათ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 84:85).
- თქვენი ნათქვამი მიაღწევს იმ ადამიანების გულამდე, ვისაც ასწავლით (იხილეთ 2 ნეფი 33:1).
- დაამოწმებს თქვენს მიერ ნათქვამ მოწოდების ჭეშმარიტებას და დაადასტურებს თქვენს სიტყვებს (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 100:5–8).
- დაგეხმარებათ იმ ადამიანების საჭიროებების გარკვევაში, ვისაც ასწავლით (იხილეთ ალმა 12:7).

სახარების ჭეშმარიტების ასეთი სწავლებისათვის აუცილებელია სული, რომლითაც ყალიბდება რწმენა ადამიანში. როდესაც თქვენ ცდილობთ, რომ განავითაროთ რწმენა სულზე დაყრდნობით, თქვენ უნდა გააკეთოთ შემდეგი:

- ილოცოთ სულისათვის (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 42:14).
- განწმინდოთ საკუთარი გული (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 112:28).
- დაიცვათ მცნებანი (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 20:77, 79).
- ბეჯითად დაათვალოთ ღვთის სიტყვა განმად (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 11:21; 84:85).
- ასწავლოთ ადამიანებს ისეთნაირად, რომ მათ გაიგონ თქვენი ნათქვამის მოწოდება და განათლდნენ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 50:13–22).
- გამოავლინოთ რწმენა (იხილეთ მორონი 10:7).

თქვენ ხართ ხელდასხმული წმინდა მოწოდებისათვის, იმ დაპირებით, რომ სული იქნება თქვენი თანამგზავრი, თუ იქნებით უფალის მოთხოვნების სათანადო. თქვენი გულის საწადელი უნდა იყოს სულის ნიჭების მიღება.

## თქვენი მოწოდების ძალა და უფლებამოსილება

მისიონერებმა უნდა იქადაგონ იმ ძალის კურთხევით, რომლითაც ისინი არიან ხელდასხმულნი, აუწყონ კეთილი ამბავი, მარადიულ სახარებაზე (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 79:1). თქვენ გაქვთ უფლებამოსილება იქადაგოთ სახარება. თუ ხართ მღვდლობის მატარებელი, ამით თქვენ გაქვთ უფლებამოსილება ჩაატაროთ საეკლესიო წეს–ჩვეულებები. როდესაც ლოცვით და ღირსეულად გამოიყენებთ ამ უფლებამოსილებას, თქვენ მიიღებთ სულიერ მალას, რომელიც დაადასტურებს თქვენი მოწოდების ჭეშმარიტებას. ნუ გეშინიათ ან გრცხვენიათ ამ მოწოდების აღსრულების. ისე, როგორც მოსიას შვილები, ასევე თქვენ, უნდა ასწავლოთ ღმერთის მალით და უფლებამოსილებით (იხილეთ ალმა 17:2–3).

როდესაც თქვენ მოწოდებისათვის ხელდასხმულ იქენით მღვდლობის უფლებამოსილებით, თქვენ მოგეცათ უფლება და პრივილეგია წარმოადგინოთ უფალი. თქვენ მიიღეთ მომღვარის სერთიფიკატი, რომელიც არის ამ უფლებამოსილების მოწმობა მსოფლიოსათვის. პრეზიდენტმა სპენსერ ვ. ქიმბალმა სთქვა: „მოწოდებისათვის ხელდასხმით

შენიშვნები

გამოყოფილი სიტყვა შეგვიძლია გავიგოთ სიტყვა-სიტყვით, ეს არის, როგორც ცალკე გამოეყოთ ცოდვას, ხორციელს, ყველაფერს, რაც უხეშია, მდაბიო, ბიწიერი, იაფი და უხამსი; ცალკე გამოყოფა მსოფლიოსაგან უფრო მაღალი დონის საფიქრალით და საქმიანობით. მიღებული დალოცვა დამოკიდებულია ერთგულად შესრულებული საქმეების ხარისხზე“ (*The Teachings of Spencer W. Kimball*, რედაქტირება Edward L. Kimball [1982], 478).

ამ უფლებამოსილებასთან ერთად იღებთ ასევე პასუხისმგებლობასაც, რომ იცხოვროთ ღირსეულად, ისე როგორც თქვენს მოწოდებას შეეფერება. როგორც უფალის წარმომადგენელი, თქვენ უნდა იყოთ „მორწმუნეთათვის მაგალითი“ (1 ტიმოთე 4:12). ეცადეთ იცხოვროთ ღმერთის მცნებებით და დაიცვათ ის აღთქმები, რომლებიც დადეთ ტამარში; გაითავისეთ წმინდა წერილებით, იყავით თავაზიანი, პუნქტუალური და საიმედო; იყავით მისიონერის სტანდარტების მიხედვით მოვლილი, ჩაცმული, დავარცხნილი; გიყვარდეთ ხალხი, რომლებთანაც ერთად მსახურობთ და მუშაობთ. პატივი ეცით ქრისტეს სახელს თქვენი ქცევით.

უფლებამოსილებასთან ერთად, მუშაობის დროს, ასევე უნდა იმოქმედოთ სულიერი ძალით. თქვენთვის ნაბოძებ უფლებამოსილებას შეუძლია გაგიმღვეთ ძალისაკენ. ნამდვილად, სულიერი ძალა არის იმის საბხილი, რომ თქვენი უფლებამოსილება ჭეშმარიტია. სულიერი ძალა არის მღვენი, რომელიც თქვენ გამლევთ საშუალებას უფრო ნაყოფიერად შეასრულოთ თქვენი სამუშაო.

თქვენი ძალა და უფლებამოსილება უნდა იყოს აშკარა, მუშაობის და სწავლების დროს. ეს ძალა შეიძლება გამოიხატებოდეს ბევრ რამეში, მაგალითად:

- სულის კარნახით, რომ საჭირო დროს სთქვათ ის, რაც უფალს სწადია, რომ სთქვათ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 84:85).
- რჩევის მიღებით თუ საით უნდა წახვიდეთ და რა გააკეთოთ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 28:15; 31:11; 75:26–27).
- სულის მიერ თქვენი დამოწმების დადასტურებით (იხილეთ 2 ნეფი 33:1; მომღვრება და აღთქმები 100:5–8).
- მონაწილეობის მიღებით ხსნის საეკლესიო წეს–ჩვეულებებში (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 84:19–20).
- თუ ხართ უხუცესი, ადამიანების კურთხევით მღვდლობით (იხილეთ იაკობი 5:14–15).
- ლოცვით იმ ადამიანებთან ერთად და იმ ადამიანებისთვის, ვისთანაც ან ვისზეც მუშაობთ (იხილეთ ალმა 6:6; 8:18–22; 10:7–11; 31:26–35; მომღვრება და აღთქმები 75:19).
- სიყვარულის გამოხატვით, უფალის, თქვენი ოჯახის, ამხანაგი მისიონერების და იმ ხალხის მიმართ, ვისაც ემსახურებით.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

**როგორ მიიღებღ ძალას?**

ალმა 17:2–3 | მოძღვრება და აღთქმები 53:3 | 1 კორინთელთა 2:4

## ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერულ ან ერღ ად მეცადინეობა

შეხედეთ სურათს, სადაც გამოსახულია თუ როგორ აკურთხებს, ხელდასხმით, ქრისტე თავის მოციქულებს, შემდეგ წაიკითხეთ იოანე 15:1–16.

რას ვგულისხმობთ, როდესაც მოვიხსენიებთ ქრისტეს, როგორც ვაზს? როგორ ხედავთ თქვენ თავს ამ ვაზის ლერწში? როგორ ეხება თქვენი მოწოდებისთვის ხელდასხმა ამ ურთიერთობას?

შენიშვნები

გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ თქვენი მოძღვრული სერთიფიკატი. ჩაიწერეთ თქვენი გრძნობები და ფიქრები იმაზე, რაც წაიკითხეთ. გაიმეორეთ ეს პროცესი ყოველთვის, როდესაც წაიკითხავთ ამ თავს. აღნიშნეთ, თუ როგორ შეიცვლება დროთა განმავლობაში თქვენი გრძნობები.

შეისწავლეთ მოძღვრება და აღთქმებიდან 109:13–15, 21–30, 38–39, 55–57, რომლებიც არის ამოკრეფილი წინასწარმეტყველი იოსებ სმითის, კირთლანდის ტაძრის გახსნის მიძღვნის შთაგონებული ლოცვიდან. რომელი დალოცვები შესთხოვა მან ლოცვისას ერთგული მორწმუნეთათვის?



## იესო ქრისტეს სახარება

იესო ქრისტეს სახარება განსაზღვრავს თქვენს მოწოდებასა და დანიშნულებას. ამგვარად ის გვამლევს პასუხს მისიონერული სამსახურის ორივე შეკითხვაზე „რა“ და „რატომ.“ მხსნელმა განსაზღვრა თავისი სახარება ისეთნაირად, რომ ის მოიცავს უაღრესად მნიშვნელოვან და მირითად მომღვრებებს. ის ამქვეყნად მოვიდა იმისათვის რომ აღესრულებინა თავისი მამის ნება და მამამისმა ის მოავლინა ამქვეყნად, ჯვარზე საცმელად. მისი გამოსყიდვით და აღდგომით, ყველა ადამიანი წარსდგება ქრისტეს წინ, რათა განიკითხონ თავიანთი გაკეთებული საქმეების მიხედვით, იყვნენ ისინი კეთილნი თუ ბოროტნი. ისინი, ვინც ქრისტეში რწმენას გამოავლენენ, მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს და მოინათლებიან ქრისტეს სახელით, იქნებიან განწმენდილნი სულიწმინდის მიერ. თუ ბოლომდე გამლებენ, ისინი უმწიკვლონი წარსდგებიან ქრისტეს წინაშე უკანასკნელ დღეს და შევლენ უფლის სასუფეველში. მათ ქრისტე წარადგენს მამის წინ უდანაშაულოდ. ის იქნება მათი შუამავალი და ქომაგი. ისინი, ვინც არ გაუმლებენ ერთგულად ბოლომდე, იქნებიან „ცეცხლში გადაყრილნი . . . რადგან ასეთია სამართალი მამისა.“ (იხილეთ 3 ნეფი 27:13–22; შეადარეთ 2 ნეფი 31:10–21; 3 ნეფი 11:31–41; მომღვრება და აღთქმები 76:40–42, 50–53.)

შენიშვნები

საზარების მიზანია ხალხის განწმენდა თავიანთი ცოდვებისაგან, რათა განკითხვის დღეს მათ შესძლონ მხსნელის მოწყალების მიღება. ამიტომ ამ წიგნის მიზანი და უფრო მნიშვნელოვანი, თქვენი ყოველდღიურად გაკეთებული საქმის მიზანი არის სხვათა მოწვევა, რათა ისინი მოვიდნენ ქრისტესთან, რომ თქვენი დახმარებით მიიღონ აღდგენილი სახარება, იესო ქრისტესი და მის მიერ ჩვენს გამოსყიდვაში რწმენით, მონანიებით, ნათლობით, სულიწმინდის მიღებით და ბოლომდე გამლებით.

> „იქადგეთ სახარების მთავარი საფუძვლები—იქადაგეთ ისინი კვლავ და კვლავ და თქვენ აღმოაჩენთ, რომ თქვენ გამოგეცხადებათ დღითი დღე, სულ უფრო   ახალი იდეები და დამატებითი სინათლე. თქვენ შესძლებთ უფრო   ღრმ ად ჩასწვდეთ მათ აზრს, უფრო ნათლად გაიგოთ სახარების მთავარ საფუძვლები და მაშინ მათ უფრო უკეთესად გაიგებენ ისინი, ვისაც თქვენ ასწავლით.“
>
> — ჰ•ის •მ ძითი
> *HISTORY OF THE CHURCH*, 6:323

პიროვნებები და ოჯახები დგებიან ქრისტეს კვალზე, როდესაც ავითარებენ თავიანთ რწმენას მასში და ინანიებენ ცოდვებს. ნათლობით და სულიწმინდის მღვენის მიღებით მისგან, ვისაც მიღებული აქვს ღმერთისაგან ამ წეს–ჩვეულებების ჩატარების უფლებამოსილება, იღებენ ცოდვების მიტევებას. შემდეგ, ისინი ბოლომდე გამლებენ, ან სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მთელი ცხოვრების მანძილზე გააგრძელებენ რწმენის განვითარებას იესო ქრისტეში, მონანიებას და დადებული აღთქმების განახლებას. ეს არ არის მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯი, რომლებიც მათ უნდა გაიარონ ერთხელ მთელი ცხოვრების მანძილზე; პირიქით, ამ წესებით ცხოვრება და მათი ხელახლა გამეორება მთელი სიცოცხლის მანძილზე, სულ უფრო მეტად ანაყოფიერებს და აკეთილშობილებს ცხოვრებას. სინამდვილეში, ეს არის ერთადერთი ცხოვრების გზა, რომელიც მამაზეციერის შვილებს დაუმშვიდებს სინდისს და საშუალებას მისცემს, რომ დაუბრუნდნენ მამაზეციერს საცხოვრებლად.

იესო ქრისტესადმი მორჩილება სამუდამო ვალდებულებაა. რწმენის გამოვლენით, მონანიებით, მონათვლით, ქრისტესათვის მსახურობის ვალდებულების აღებით და შემდეგ სულიწმინდის მიღებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ განკურნება, ცოდვების შენდობა და ქრისტეთი, მისი სახარებით სრული გარდაქმნა.

დაეხმარეთ ადამიანებს, რომ მიაღწიონ საკმარის რწმენას იესო ქრისტეში, რათა მოინანიონ, თქვენი სწავლებით და დამოწმებით, რომ იესო ქრისტეს სახარების სისრულე და მღვდლობის უფლებამოსილება აღდგენილია და მოუწოდეთ მათ, რომ იცხოვრონ მისი სწავლებებით.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

**რა არის ქრისტეს სახარება ან მოძღვრება?**

2 ნეფი 31:10–21 3 ნეფი 11:31–41 3 ნეფი 27:13–22

## აღდგენის მოწოდება: რწმენის საფუძველი

მიუხედავად იმისა თუ სად მსახურობთ ან ვის ასწავლით, სწავლების დროს გაამახვილეთ ყურადღება იესო ქრისტეს სახარების აღდგენაზე. „უფალი დაგლოცავთ თქვენ, როდესაც თქვენ მიუტანთ აღდგენის მოწოდებას მსოფლიოს, რომელსაც ასე სასოწარკვეთი-

შენიშვნები

ლად სჭირდება იესო ქრისტეს სახარება“ („Statement on Missionary Work,“ პირველ პრეზიდენტთა წერილი, 11 დეკემბერი 2002). მისიონერთა გაკვეთილების მომღვრებების შესწავლის დროს, თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი მოწოდება არის ერთი: თანამედროვე წინასწარმეტყველის მეშვეობით, ღმერთმა აღადგინა ცოდნა ხსნის გეგმის შესახებ, რომელიც ეფუძვნება ქრისტეს გამოსყიდვას და რომელიც განხორციელდება ცხოვრებაში სახარების პირველი საფუძვლების და წეს–ჩვეულებების დაცვით.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ყველამ, ვისაც თქვენ ასწავლით, ნათლად გაიგოს შემდეგი:

- ღმერთი არის სიტყვა-სიტყვით ჩვენი ზეციერი მამა. მას ჩვენ ვუყვარვართ. ყოველი პიროვნება დედამიწაზე არის ღმერთის შვილი და ღმერთის ოჯახის წევრი. იესო ქრისტე, ღმერთის ძე, არის ჩვენი მხსნელი და გამომსყიდველი.
- ჩვენი მოყვარული ზეციერი მამა მიმართავდა თავის შვილებს ბიბლიური ისტორიის მთელ მანძილზე, წინასწარმეტყველებისათვის თავისი სახარების გამოცხადებით. სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა უარყო სახარება, ზოგიერთმა კი, რომლებმაც მიიღეს ის, შეცვალეს სახარების მომღვრებები და წეს–ჩვეულებები, შემდგომ გადავარდნენ ურწმუნოებაში და განდგომაში.
- ჩვენმა ზეციერმა მამამ გამოაგზავნა დედამიწაზე თავისი საყვარელი ძე, იესო ქრისტე. მან მოახდინა სასწაულები და ასწავლიდა თავის სახარებას. მან გამოისყიდა ადამიანთა ცოდვები და აღსდგა.
- თავიდან პირველი ხილვისას, ღმერთმა სიყვარულით კვლავ მიმართა თავის შვილებს. მან აღადგინა იესო ქრისტეს სახარება და მისი მღვდლობის უფლებამოსილება და დააარსა თავისი ეკლესია დედამიწაზე წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით. მორმონის წიგნი არის ამ აღდგენის დამარწმუნებელი მტკიცება.



როდესაც თქვენ დაეხმარებით მოწაფეებს განდგომის და აღდგენის აზრის გაგებაში, ისინი მზად იქნებიან, რომ გაიაზრონ დიდი აუცილებლობა უკანასკნელი დღეების აღდგენისა. ისინი მიხვდებიან აღდგენილი სახარების მიღების, აღდგენილი მღვდლობის უფლებამოსილებით ხსნის წეს–ჩვეულებების მიღების და მარადიული სიცოცხლის გზის გაყოლის მნიშვნელობას. დაეხმარეთ ადამიანებს იმის გააზრებაში, რომ ეკლესია ეს არ არის კიდევ ერთი რელიგია და არა ამერიკული ეკლესია, არამედ, ის არის სახარების სისრულის აღდგენა (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 1:23), იგივე, როგორიც თავიდან იყო გამოცხადებული და ნასწავლი.

მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ, არის დამარწმუნებელი მტკიცება იმისა, რომ იოსებ სმითი ნამდვილად იყო წინასწარმეტყველი, რომ იესო ქრისტეს სახარება აღდგენილია. ეს არის ჩვენი რელიგიის სომის ქვა, ამ მოწოდების სწავლების ყველაზე მლიერი წყარო. იოსებ სმითის მიერ ზოგიერთი აღდგენილი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები მოიცავენ ცოდნას იმაზე, რომ ღმერთი არის ჩვენი მამა და ჩვენ ვართ მისი სულიერი შვილები, რომ დაბადებამდე ვცხოვრობდით მასთან და ოჯახებს შეუძლიათ მარადიულად იცხოვრონ ერთად ღმერთის თანდასწრებით, ქრისტეს გამოსყიდვით და სახარების კანონების და წეს–ჩვეულებების მორჩილებით .

შენიშვნები

მორმონის წიგნი – ეს არის ღმერთის სიყვარულის მტკიცებულება, მისი შვილების მიმართ. ის გვაჩვენებს, რომ ღმერთი ესაუბრება თავის შვილებს. სწავლების და დამოწმების დროს შესთავაზეთ ადამიანებს, რომ წაიკითხონ მორმონის წიგნი და ილოცონ მის მოწოდებაზე. თითოეულმა ადამიანმა, რომელსაც თქვენ ასწავლით, თვითონ უნდა გადაწყვიტოს მორმონის წიგნის, როგორც უფალის გამოცხადებად მიღება.

მიენდეთ შესანიშნავ დაპირებას, რომელიც აღწერილია მორონი 10:3–5. გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ, რათა დაარწმუნოთ ადამიანები წაიკითხონ ეს წიგნი, გაიაზრონ და გულწრფელად შეეკითხონ ღმერთს ჭეშმარიტია თუ არა ის. სულიწმინდის დასტური იქნება მათი რწმენის ქვაკუთხედი, რომ ქრისტემ აღადგინა თავისი ეკლესია. დაეხმარეთ იმათ, ვისაც ასწავლით, რომ მიიღონ ეს სულიერი დადასტურება.

**წმინდა წერილების შესწავლა**

**როგორ უნდა გამოიყენოღ მორმონის წიგნი ღ ქვენი მისიონერული სამსახურის დროს?**

| | | |
|---|---|---|
| 1 ნეფი 13:39 | მორონი 10:3–5 | მოძღვრება და აღთქმები 42:12–14 |
| 2 ნეფი 29:8–10 | მოძღვრება და აღთქმები 20:5–16 | |

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უნდა დაწეროთ სტატია ადგილობრივ გაზეთში აღდგენის მოწოდებაზე. თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაწერეთ სტატიის სათაური, რითაც აღწერილი იქნება მოწოდების დედააზრი. შემდეგ ჩაიწერეთ თქვენი აზრები და გრძნობები ამ მოწოდებაზე, ასევე, თუ როგორ შეცვალა მისმა გააზრებამ თქვენი ცხოვრების წესი და გარშემო მსოფლიოს აღქმა.

## სხვებისათვის დახმარება, რომ აიღონ ვალდებულება – არის კარი, რწმენისაკენ და მონანიებისაკენ

დაეხმარეთ ადამიანებს მოემზადონ ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის, ჭეშმარიტი მომღვრების სწავლებით და მოპატიჟებით, რომ მოინანიონ და შეცვალონ თავიანთი ცხოვრება ვალდებულებების აღებით და მათი შესრულებით, რომლებიც ჩამოაყალიბებს მათ რწმენას იესო ქრისტეში. ეს ვალდებულებები ამზადებენ ადამიანებს წმინდა აღთქმების მისაღებად და მათ დასაცავად.

უხუცესი ჯეფრი რ. ჰოლანდი გვასწავლიდა: „პირველი, რაც უნდა მოხდეს, როდესაც მოწაფე გეტყვით, რომ მას არ წაუკითხავს მორმონის წიგნი და მის შესახებ არ ულოცავს, უნდა განაწყენდეთ! . . . უმეტესწილად ჩვენ მეტისმეტად გულგრილნი ვართ ამაზე. სინამდვილეში, საუბარია მარადიულ სიცოცხლეზე. ეს არის ღმერთის შვილების ხსნა. სასწორზეა მარადიულობის ბედი. . . . ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ეს მოწაფე ოდესმე მიიღებს. მაგრამ, მან ეს თუ არ იცის, ყოველ შემთხვევაში თქვენ ხომ იცით! . . . ასე რომ აიღეთ ეს სიტუაცია თქვენი კონტროლის ქვეშ. ასწავლეთ მალით და უფლებამოსილებით და თუ პირველი ნაბიჯები მცნებების და აღთქმების დაცვისაკენ არ იქნებიან წარმატებული, უნდა განაწყენდეთ." („Making and Keeping Covenants," მისიონერების სატელევიზიო სატელიტური გადაცემა, აპრილი 1997).

მაშინ, როდესაც ადამიანებს ასწავლით სახარების სისრულის აღდგენას, თქვენ აუწყებთ მონანიებას (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 15:6). მონანიება მოიცავს შინაგან გარდაქმნას, ცოდვის მიტოვების და ღმერთისათვის მსახურობის სურვილს. ის მოიცავს თავმდაბლურად სულისათვის დათმობას და ღმერთის ნებისადმი მორჩილებას. ის მოითხოვს, რომ ადამიანებმა განამტკიცონ თავიანთი გადაწყვეტილება, რომ იცხოვრონ ღმერთის ნების შესაბამისად. მონანიება მოითხოვს ფიქრების, სურვილების, ჩვევებისა და ქმედებების გულწრფელ და მტკიცე ცვლილებას. ეს არის დადებითი გამოცდილება,

შენიშვნები

რომელსაც მოაქვს სიხარული და მშვიდობა. იყავით გაბედული და გამოიჩინეთ სიყვარული ადამიანების დახმარებისას, რათა უკეთესად გაიგონ, თუ რა უნდა გააკეთონ, რომ მოინანიონ. ადამიანებისთვის შეთავაზებით, რომ აიღონ თავის თავზე ვალდებულებები, თქვენ შესძლებთ აიმაღლოთ ხმა გასაფრთხილებლად და იმედის მისაცემად.

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რას გვასწავლიან ეს წმინდა წერილები მონანიების შესახებ უძღებაზე?**

ალმა 29:1–4
ალმა 42:31
ალმა 62:45
მოძღვრება და აღთქმები 14:8
მოძღვრება და აღთქმები 15:6; 16:6

## მონათვლა და წევრად დამტკიცება

იმ ადამიანების მონათვლას და წევრად დამტკიცებას, რომლებსაც თქვენ ასწავლით, უკავია ცენტრალური ადგილი თქვენს დანიშნულებაში. ნათლობა არის ცოდვების მიტევებისათვის და სულიწმინდის მღვენს მოაქვს მრავალი დალოცვები მათთვის, ვინც იცხოვრებენ ამ მღვენის შესაფერისად. ამ საეკლესიო წეს–ჩვეულებებით ადამიანები შეაღებენ ჭიშკარს და გააგრძელებენ გზას მარადიული სიცოცხლისაკენ. უხუცესი დალინ ჰ. ოუკსმა თქვა: „ჩვენ ვქადაგებთ და ვასწავლით არა იმიტომ, რომ მოვიყვანოთ ხალხი ეკლესიაში ან გავზარდოთ ეკლესიის წევრების რაოდენობა. ჩვენ ვქადაგებთ და ვასწავლით არა იმიტომ, რომ დავარწმუნოთ ხალხი, რათა უკეთესად იცხოვრონ. . . . ჩვენ ვეპატიჟებით ყველას ქრისტესთან მოსასვლელად, მონანიებით, ნათლობით და წევრად დამტკიცებით იმისათვის რომ ღმერთის შვილებს და ქალიშვილებს გაეხსნას ცელესტიალური სასუფევლის ჭიშკარი. ამის გაკეთება სხვას არავის არ შეუძლია" („The Purpose of Missionary Work," მისიონერების სატელევიზიო სატელიტური გადაცემა, აპრილი 1995).

როდესაც ასწავლით აღდგენილ სახარებას, დაეხმარეთ ადამიანებს ნათლობის და დამტკიცების წმინდა ბუნების აზრის გაგებაში. დაეხმარეთ იმის გააზრებაში, რომ სულიწმინდის მღვენის მიღება არის უდიდესი დალოცვა ამ ცხოვრებაში და მათი ხსნის გასაღები. სულიწმინდა „ყველაფერს ასწავლით [მათ]" (იოანე 14:26). პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერი გვასწავლიდა: „როდესაც მოწაფეებს ასწავლით და ამზადებთ წყლით ნათლობისათვის, თქვენ ასევე უნდა გახსოვდეთ სულიწმინდის მღვენი-ნათლობა ცეცხლით. იფიქრეთ ამათზე, როგორც ერთ ქმედებაზე. ჯერ ხდება ნათლობა წყლით და შემდეგ კი, ნათლობა ცეცხლით" („The Gift of the Holy Ghost: რაც უნდა იცოდეს ყოველმა მისიონერმა და ასევე ყოველმა წევრმა," სემინარი ახალი მისიის პრეზიდენტთათვის, ივნისი 2003). წინასწარმეტყველი იოსებ სმითი გვასწავლიდა, „წყლით ნათლობა არის ნათლობის ნახევარი და არაფერია მეორე ნახევრის გარეშე, რომელიც არის ნათლობა სულიწმინდით" (*History of the Church,* 5:499).

დაეხმარეთ იმათ, ვისაც ასწავლით, რომ გაიგონ შემდეგი: იმისათვის რომ იყვნენ მზად ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის, მათ უნდა დააკმაყოფილონ პირობები, რომლებიც მოცემულია მომღვრება და აღთქმები 20:37.

შენიშვნები

## მოძღვრება და აღთქმები 20:37 პირობები ნათლობისათვის

- ღმერთის წინაშე თავმდაბლობა.
- მონათვლის სურვილი.
- დამწუხრებული გულით და მონანიე სულით მოსვლა.
- ყველა ჩადენილი ცოდვის მონანიება.
- იესო ქრისტეს სახელის თავზე ასაღებად მზადყოფნა.
- ქრისტესათვის ბოლომდე მსახურობის მტკიცე გადაწყვეტილება.
- საქმით ჩვენება იმისა, რომ მათ მიიღეს ქრისტეს სული ჩადენილი ცოდვების მისატევებლად.

იმის მერე, როდესაც ღირსეული მოქცეულები მოინათლებიან, მათ დაამტკიცებენ ეკლესიის წევრებად და მიიღებენ სულიწმინდის მღვენს. წევრად დამტკიცება ხდება ეპისკოპოსის ან მრევლის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, მალე ნათლობის შემდეგ, ზიარების შეკრებისას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი საეკლესიო წეს–ჩვეულება დროის მცირე მონაკვეთით გაყოფილია, წევრად დამტკიცება ავსებს და ასრულებს ნათლობას.

## წმინდა წერილების შესწავლა

**რატომ არის სულიწმინდის ძღვენი ერთ ერთი ყველაზე უდიდესი ძღვენი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ?**

| | | |
|---|---|---|
| 3 ნეფი 19:1–13 | იოანე 3:5 | გალატელთა 5:22–25 |
| მოძღვრება და აღთქმები 45:56–57 | იოანე 14:26 | Guide to the Scriptures, „Holy Ghost“ |

**რატომ უნდა ჰქონდეთ მოქცეულებს სულიწმინდის ძღვენის სურვილი?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 31:12–17 | საქმეები 8:14–17 | საქმეები 19:1–6 |
| 2 ნეფი 32:1–5 | | |

## ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

გადაიკითხეთ შემდეგი წმინდა წერილები და ჩამოწერეთ ნათლობისათვის აღთქმების და აუცილებელი პირობების სია. განიხილეთ ძმადნაფიც მისიონერთან ერთად თუ როგორ უნდა ასწავლოთ ეს პირობები ადამიანებს.

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 31:13 | ალმა 7:14–16 | მორონი 6:1–4 |
| მოსია 18:8–10 | 3 ნეფი 11:21–41 | მოძღვრება და აღთქმები 20:37 |

## ეკლესიის განმტკიცება

როდესაც ადამიანები მოინათლებიან და დამტკიცდებიან ეკლესიის წევრებად, გააგრძელეთ მუშაობა მეურვეობის ხელმძღვანელებთან და წევრებთან, რათა დაეხმაროთ ახლადმოქცეულებს ახალი ცხოვრების დაწყებაში და სულიერი ზრდის გაგრძელებაში. ეკლესია მტკიცდება, როდესაც ადამიანები, რომლებსაც აქვთ დამოწმებები, ინათლებიან და მტკიცდებიან წევრებად, იცავენ თავიანთ აღთქმებს, ემზადებიან ტამარში წასასვლელად და ეხმარებიან მეურვეობის ან მრევლის განმტკიცებაში.

მოქცეულები, რომლებსაც ჰყავთ წევრი მეგობრები, რომლებსაც ემლევათ პასუხისმგებლობები და რომლებიც ნოყიერდებიან ღმერთის სიტყვით, თავად გაიზრდებიან რწმენაში და დამოწმებით. მისიონერებმა, მეურვეობის ხელმძღვანელებმა და ეკლესიის წევრებმა არ უნდა შეაქციონ ზურგი თავიანთ პასუხისმგებლობებს, რათა გაანოყიერონ და გაამლიერონ ახალი წევრები.

შენიშვნები

## წარმატებული მისიონერი

თქვენი წარმატება, როგორც მისიონერი, იზომება პირველ რიგში თქვენი უდრეკობით, რომ იპოვოთ, ასწავლოთ, მონათლოთ და დაამტკიცოთ ადამიანები წევრებად და დაეხმაროთ მათ, რომ გახდნენ ეკლესიის ერთგული წევრები, რომლებიც შემდეგ დატკბებიან სულიწმინდის თანადგომით.

შეეცადეთ არ შეადაროთ თქვენი თავი სხვა მისიონერებს და მათი მალისხმევის თვალსაჩინო შედეგები თქვენსას. გახსოვდეთ, რომ ადამიანებს აქვთ თავისუფალი არჩევანი, მიიღებენ თუ არა თქვენს მოწოდებას. თქვენი ვალდებულებაა ასწავლოთ ნათლად და მლიერად, ისე, რომ მათ გააკეთონ სწორი არჩევანი. ზოგიერთებმა შეიმლება არ მიიღონ თქვენი მოწოდება, იმისდა მიუხდავად, რომ სული დაუმოწმებს, რომ ის არის ჭეშმარიტება. თქვენ დანაღვლიანდებით, რადგან გიყვართ ისინი და გინდათ მათი ხსნა. მიუხედავად ამისა, თქვენ არ უნდა აიცრუოთ გული; გულაცრუება ასუსტებს რწმენას. თუ თქვენ მიზნად მცირედს დაისახავთ, დაეცემა თქვენი ქმედითუნარიანობა, შესუსტდება თქვენი სურვილი და სულის გაყოლა გაგიმნელდებათ.

თქვენ შეგიმლიათ ჩათვალოთ თქვენი თავი წარმატებულ მისიონერად, როდესაც თქვენ:

- გრმნობთ, როდესაც თქვენს მეშვეობით სული უმოწმებს ადამიანებს.
- გიყვართ ადამიანები და გსურთ მათი ხსნა.
- პირნათლად იცავთ მისიის წესებს.
- ცხოვრობთ ისე, რომ მიიღოთ და გაიგოთ, თუ როგორ გაჰყვეთ სულს, რომელიც გაჩვენებთ საით უნდა წახვიდეთ, რა გააკეთოთ და რა ილაპარაკოთ.
- ავითარებთ თქვენს თავში ქრისტესნაირ თვისებებს.
- მუშაობთ ეფექტურად ყოველ დღე, აკეთებთ ყველაფერს, რისი მალაც შეგწევთ, რათა მიიყვანოთ სულები ქრისტესთან, გულახდილად ეცდებით მეტი ისწავლოთ და დახელოვნდეთ.
- ეხმარებით ეკლესიის (მეურვეობის) აღშენებაში, მიუხედავად იმისა, თუ სად დაგნიშნავენ სამუშაოდ.
- აფრთხილებთ ადამიანებს ცოდვის შედეგებზე. მოუწოდებთ, რომ მათ აიღონ და შეასრულონ ვალდებულებები.
- ასწავლით და ემსახურებით სხვა მისიონერებს.
- დადიხართ, ქველმოქმედებთ და ადამიანებს ემსახურებით, როდესაც გაქვთ ამის საშუალება, მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა ისინი თქვენს მოწოდებას.

როდესაც გააკეთებთ ყველაფერს, რისი მალაც შეგწევთ, თქვენ შეიმლება მაინც იგრმნოთ იმედგაცრუება, მაგრამ საკუთარ თავში არ იქნებით იმედგაცრუებულნი. შეგიმლიათ იყოთ დარწმუნებული, რომ უფალი არის კმაყოფილი, როდესაც გრმნობთ, თუ როგორ მუშაობს სული თქვენს მეშვეობით.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რა გრძნობები ეუფლებათ უფალის მსახურებს ამ სამსახურში? როგორი ზეგავლენა აქვთ უფალის მსახურებს მათ ზე, ვისაც ემსახურებიან ?**

მოსია 28:3
ალმა 8:14–15
ჰელამანი 10:3–5
3 ნეფი 28:4–10
ეთერი 12:13–15
მოძღვრება და აღთქმები 15:4–6; 16:4–6
მოძღვრება და აღთქმები 68:2–6

შენიშვნები

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

- წაიკითხეთ ჰელამანი 10:1–5 და 3 ნეფი 7:17–18. როგორი გრძნობები ჰქონდა უფალს ამ მისიონერების და მათი მსახურობის მიმართ?
- იფიქრეთ აბინადის და ამონის მისიონერულ შრომაზე (იხილეთ მოსია 11–18; ალმა 17–20, 23–24). რატომ იყო ორივე მისიონერი წარმატებული მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაშრომის უშუალო შედეგები იყო განსხვავებული?
- ჩაიწერეთ თქვენს სამეცადინო რვეულში, რა შეისწავლეთ.

**გახსოვდეთ შემდეგი**

- თქვენი დანიშნულებაა, რომ მოიწვიოთ სხვები, რათა ისინი მოვიდნენ ქრისტესთან, რომ თქვენი დახმარებით მიიღონ აღდგენილი სახარება, იესო ქრისტესი და მის მიერ ჩვენს გამოსყიდვაში რწმენით, მონანიებით, ნათლობით, სულიწმინდის მიღებით და ბოლომდე გაძლებით.
- იესო ქრისტეს აღდგენილი სახარება არის ერთადერთი გზა, რომლითაც შეგვიძლია მივაღწიოთ მარადიულ ბედნიერებას.
- თქვენი საეკლესიო მოწოდება გაძლევთ უფლებამოსილებას, აღთქმების დაცვა კი გაძლევთ ძალას.
- იესო ქრისტეს სახარების სისრულე აღდგენილ იქნა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით. მორმონის წიგნი არის დასტური, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი.
- თქვენ ეხმარებით ადამიანებს, რომ იცხოვრონ სახარების მიხედვით, როდესაც სთავაზობთ ვალდებულებების აღებას და მათ შესრულებას.
- უფალთან სულების მიყვანით თქვენ გამოხატავთ მის მიმართ სიყვარულს და მადლიერებას გამოსყიდვისათვის.
- თქვენ ხართ წარმატებულნი, როდესაც ხართ მორჩილნი, ცხოვრობთ სამართლიანად და ყველაფერს აკეთებთ სხვების დასახმარებლად, რათა მათ იცხოვრონ სახარებით.

## მისიონერული სამუშაო

ქვევით მოყვანილი განცხადებები გაკეთებულია ეკლესიის ამჟამინდელი წყობის პრეზიდენტების მიერ.

**პრეზიდენტი იოსებ სმითი (1830–1844)**

„იმის შემდეგ, რაც ითქვა, ყველაზე უდიდესი და უმთავრესი მოვალეობა არის სახარების ქადაგება“ (*Teachings of the Prophet Joseph Smith,* Joseph Fielding Smith–ს ნაკრებიდან [1976], 113).

„წმინდანებს უნდა ახსოვდეთ, რომ უდიდესი საქმეები დამოკიდებულია მათ პირად შრომაზე და მოწოდებულნი არიან, რომ იყვნენ ჩვენი და სულიწმინდის თანამშრომლები, უკანასკნელ დღეებში ამ დიდი საქმის გასაკეთებლად“ (*Teachings of the Prophet Joseph Smith,* 178–79).

**პრეზიდენტი ბრიგამ იანგი (1847–1877)**

„ამ ეკლესიაში არ არის კაცი ან ქალი, რომელიც არ არის მისიაში. ეს მისია გაგრძელდება მათი მთელი სიცოცხლის მანძილზე და ეს არის სიკეთის გასაკეთებლად, სამართლიანობის გასამტკიცებლად, ჭეშმარიტების საფუძვლების სასწავლებლად და თავიანთი თავებისა და გარშემომყოფების დასარწმუნებლად, რომ იცხოვრონ ამ საფუძვლების მიხედვით, რათა მათ შესძლონ მარადიული სიცოცხლის მიღება“ (*Discourses of Brigham Young,* John A. Widstoe–ს ნაკრებიდან [1954], 322).

შენიშვნები

### პრეზიდენტი ჯონ ტეილორი (1880–1887)

„ჩვენი მოვალეობა არის, რომ ვუქადაგოთ სახარება ყველა ადამიანს. . . . ეს არის ის, რასაც ღმერთი ჩვენგან მოელის" (*The Gospel Kingdom*, G. Homer Durham–ს ნაკრებიდან [1943], 234–35).

### პრეზიდენტი ვილფორდ ვუდროფი (1889–1898)

„ჩვენ დედამიწაზე მოვედით მისიით; . . . რომ შევეწევდეს წინსვლის მალა და გავაფრთხილოთ მსოფლიოს ერები. . . . როგორც ისრაელის უხუცესები, ჩვენში ცოტას თუ აქვს გააზრებული მთლიანად ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი მოწოდება, ჩვენი ღმერთთან ურთიერთობა, ჩვენი პასუხისმგებლობა ან სამუშაო, რომელსაც უფალი მოითხოვს ჩვენგან" (*The Discourses of Wilford Woodruff*, G. Homer Durham–ს ნაკრებიდან [1946], 124).

### პრეზიდენტი ლორენზო სნოუ (1898–1901)

„არ არსებობს მომაკვდავი ადამიანი, რომელიც იმაზე მეტად იყოს დაინტერესებული უხუცესის მიერ სახარების ქადაგების წარმატებით, როგორც უფალი, რომელმაც ის გამოაგზავნა სახარების საქადაგებლად ადამიანებისათვის, რომლებიც არიან უფლის შვილები" (*The Teachings of Lorenzo Snow*, Clyde J. Williams–ს ნაკრებიდან [1984], 70).

### პრეზიდენტი ჯოსეფ ფ. სმითი (1901–1918)

„ჩვენ მსოფლიოში გვაქვს მისია: ყოველი კაცი, ყოველი ქალი, ყოველი ბავშვი, რომელიც არის იმ წლოვანების, რომ ესმოდეს ან იყოს ანგარიშვალდებული, მზად უნდა იყოს სიმართლის ქადაგებისათვის, ჭეშმარიტების დამოწმებისათვის" (*Gospel Doctrine*, მე-13 გამოცემა [1968], 251–52).

### პრეზიდენტი ჰიბერ ჯ. გრანტი (1918–1945)

„ჩვენ, როგორც ხალხს, გვაქვს ერთი უმთავრესი რამ გასაკეთებელი, ეს არის მსოფლიოსათვის ცოდვების მონანიებისაკენ მოწოდება, რათა მოვიდნენ ღმერთთან. ეს არის ჩვენი ყველაზე მთავარი მოვალეობა, რომ ვიაროთ წინ და ვიქადაგოთ უფლის, იესო ქრისტეს სახარება და ხსნისა და სიცოცხლის გეგმის ხელახლა აღდგენა დედამიწაზე. . . . ჩვენ მართლა გვაქვს მვირფასი მარგალიტი. ჩვენ გვაქვს ის, რაც უფრო მვირფასია, ვიდრე მსოფლიოს ყველა სიმდიდრე და მეცნიერული ინფორმაცია. ჩვენ გვაქვს სიცოცხლის და ხსნის გეგმა. . . . მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო გზა, მოყვასისათვის სიყვარულის საჩვენებლად, არის ის, რომ მივიდეთ მასთან და ვუქადაგოთ უფალის, იესო ქრისტეს, სახარება, რომლის ღვთაებრიობაზე ჩვენ მან მოგვცა აბსოლუტური ცოდნა" (Conference Report–დან, აპრილი 1927, 175–76).

### პრეზიდენტი ჯორჯ ალბერტ სმითი (1945–1951)

„ეს არის თქვენი მისია, ჩემო სულიერო მმებო და დებო, ეს არის თქვენი პასუხისმგებლობა. თქვენ ის უსასყიდლოდ მიგიღიათ და ჩვენი მამაზეციერი თქვენგან მოელის, რომ თქვენც უსასყიდლოდ გაუზიარებთ მას, ამ ბრწყინვალე ჭეშმარიტებებს, უფალის სხვა შვილებს და ქალიშვილებს" (*Sharing the Gospel with Others*, Preston Nibley–ს ნაკრებიდან [1948], 213).

„ჩვენ მივაღწევთ ამაღლებას ცელესტიალურ სასუფეველში მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენი მამის სხვა შვილებსაც გავუზიარებთ იესო ქრისტეს სახარების დალოცვებს და დავიცავთ მცნებებს, რომლებიც გაამდიდრებენ ჩვენს ცხოვრებას აქ და შემდგომ" (*Sharing the Gospel with Others*, 190).

### პრეზიდენტი დევიდ ო. მაკკეი (1951–1970)

„ყოველი წევრი . . . მისიონერია!" (Conference Report–დან, აპრილი 1959, 122).

„ნამდვილი ქრისტიანობა არის სიყვარული საქმით. არ არსებობს ღმერთისათვის სიყვარულის გამოვლენის უკეთესი გზა, ვიდრე მოყვასისათვის უანგარო სიყვარულის გამოვლენა. ეს არის მისიონერული სამსახურის სული" (*Gospel Ideals* [1954], 129).

შენიშვნები

#### პრეზიდენტი ჯოსეფ ფილდინგ სმითი (1970–1972)

„ჩვენ გვსმენია, რომ ჩვენ ყველანი ვართ მისიონერები. ყოველი წევრი. . . არის ან უნდა იყოს მისიონერი. . . როგორც ეკლესიის წევრები, ჩვენ დავპირდით, რომ გავავრცელებთ იესო ქრისტეს სახარებას, ასე ჩვენც ვხდებით მისიონერები. ეს არის ეკლესიის ყოველი წევრის პასუხისმგებლობის ერთერთი ნაწილი“ (*Take Heed to Yourselves* [1971], 27–28).

#### პრეზიდენტი ჰაროლდ ბ. ლი (1972–1973)

„მისიონერული სამუშაო ეს არის მხოლოდ ოჯახის მასწავლებლობა მათთვის, ვინც ჯერ არ არიან ეკლესიის წევრები და ოჯახის მასწავლებლობა არის, არც მეტი არც ნაკლები, მისიონერული სამსახური ეკლესიის წევრებისათვის“ (*Improvement Era,* დეკემბერი 1964, 1078).

#### პრეზიდენტი სპენსერ ვ. ქიმბალი (1973–1985)

„ამჟამად უფალის განრიგით უნდა მივიტანოთ სახარება იმაზე შორს, ვიდრე ოდესმე. . . . ბევრნი ამ მსოფლიოში შესტირიან, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მოდით. . . და დაგვეხმარეთ. ეს შეიმლება იყოს თქვენი მეზობელი, თქვენი მეგობარი, თქვენი ნათესავი ან ვინმე, რომელიც გუშინ გაიცანით. ჩვენ გვაქვს ის, რაც მათ სჭირდებათ. მოდით მოვიკრიბოთ მალები მეცადინეობისას და ვილოცოთ, როგორც ამას ამბობდა პეტრე: ახლა კი, უფალო, მიეცი შენს მონებს მალა, მთელი გაბედულებით ილაპარაკონ შენი სიტყვა (საქმეები 4:29)“ (*Teachings of Spencer W. Kimball* [1982], 546).

#### პრეზიდენტი ეზრა ტაფტ ბენსონი (1985–1994)

„ჩვენ უნდა გავუზიაროთ სახარება სხვებსაც. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა, ყოველი წევრი მისიონერია. ეს არის ღმერთის წინასწარმეტყველების მოწოდება. . . .

წევრების მისიონერული სამსახური არის ჩვენი წევრების ინდივიდუალურად ზრდის ერთერთი მთავარი გასაღები. მე დარწმუნებული ვარ, რომ წევრების მისიონერული მალისხმევა გაზრდის სულიერებას ყოველ მეურვეობაში, სადაც ამას ადგილი ექნება“ (*Teachings of Ezra Taft Benson,* 208–9).

#### პრეზიდენტი ჰოვარდ ვ. ჰანტერი (1994–1995)

„უეჭველად სახარების მიტანა ყველა ტომის, ენისა და ხალხისათვის არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ გვაკისრია ამქვეყნიურ ცხოვრებაში. . . . ჩვენ გვაქვს პატივისცემა, რომ დავიბადეთ ამ უკანასკნელ დღეებში, განსხვავებით ზოგიერთი ადრინდელი წყობებისაგან, რათა დავეხმაროთ სახარების მთელ მსოფლიოში გავრცელებაში“ („Walls of the Mind,“ *Ensign,* სექტემბერი 1990, 10).

„როგორ ეხება გამოსყიდვა მისიონერულ სამსახურს? როდესაც ჩვენს ცხოვრებაში ვგრმნობთ გამოსყიდვის დალოცვებს, შეუმლებელია არ გვსურდეს სხვების კეთილდღეობა... ადამიანის პირადი მოქცევის უდიდესი მაჩვენებელია მისი სურვილი, რომ სხვებსაც გაუზიაროს სახარება.“ („The Atonement and Missionary Work,“ სემინარი ახალი მისიის პრეზიდენტებისათვის, ივნისი 1994).

#### პრეზიდენტი გორდონ ბ. ჰინკლი (1995–2008)

„ჩვენ აქ ვართ, რომ დავეხმაროთ ჩვენს მამას, მის საქმეს და მის დიდებაში, რათა განახორციელოს ადამიანის უკვდავება და მარადიული სიცოცხლე (მოსე 1:39). თქვენი ვალდებულება ისეთივე სერიოზულია თქვენი პასუხისმგებლობის სფეროში, როგორც ჩემი ვალდებულება ჩემს სფეროში“ (Conference Report-დან, აპრილი 1995, 94; ან *Ensign,* მაისი 1995, 71).

„დაე ეკლესიის ყოველი წევრის გულში გაიზარდოს საკუთარი შესამლებლობების შეგნება, ჭეშმარიტების ცოდნისაკენ სხვების მოსაყვანად. დაე მან ამისათვის იმუშაოს და გულწრფელად ილოცოს ამაზე“ („Find the Lambs, Feed the Sheep,“ *Ensign,* მაისი 1999, 106).

შენიშვნები

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- მოამზადეთ ორწუთიანი მოხსენება ამ თავის დასაწყისში მოცემულ ერთერთ საკითხზე. იყავით მზად ამ მოხსენების ძლადნაფიცი მისიონერისათვის გასაზიარებლად ან სხვა მისიონერებისათვის ოლქის შეკრებაზე.

- სთხოვეთ ახლადმოქცეულებს მოგითხრონ თავიანთი მოქცევის ამბავი. რა დაეხმარათ მათ, რომ მიეღწიათ „მონანიების რწმენისათვის" (Alma 34:17)? რატომ გადაწყვიტეს მათ მონათლულიყვნენ და წევრად დამტკიცებულიყვნენ? რას გრძნობდნენ, როდესაც გახდნენ ეკლესიის ახალი წევრი? როგორ შეეძლოთ მისიონერებს უფრო უკეთესად ემსახურათ მათთვის?

- განიხილეთ, რას ნიშნავს ხმის ამაღლება გასაფრთხილებლად (იხილეთ იაკობი 3:12; მოძღვრება და აღთქმები 1:4; 38:41; 63:57–58; 88:81; 112:5; ეზეკიელი 3:17–21; 33:1–12). თქვენი სიტყვებით დაწერეთ, თუ რას ნიშნავს ეს და როგორ შეგიძლიათ ამის გაკეთება.

- წაიკითხეთ მორმონი 8, ასევე მორონი 1 და 10. კითხვისას, შეეკითხეთ საკუთარ თავს: რისი იმედი ჰქონდა მორონის დღევანდელ დღეზე ფიქრებისას? რა უნდოდა მას, რომ ჩვენ გავაკეთოთ მორმონის წიგნით? რას ვეტყოდი მორონის მასთან საუბრის საშუალება რომ მქონოდა? ჩაიწერეთ თქვენი ფიქრები სამეცადინო რვეულში.

- განიხილეთ თქვენი ცხოვრებიდან მოვლენები, რომლებმაც განამტკიცა თქვენი დამოწმება იოსებ სმითზე და აღდგენაზე. შემდეგ დაწერეთ პასუხი შემდეგ კითხვაზე: რა დაგეხმარათ იმის გაგებაში, რომ მამაზეციერი და იესო ქრისტე გამოეცხადნენ იოსებ სმითს?

### ძლადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენს მიერ გაცემული პასუხები ზემოთ, თავის დასაწყისში, მოცემულ შეკითხვებზე „განიხილეთ შემდეგი".

- გაუზიარეთ ერთმანეთს რა იმედები და სურვილები გქონდათ თქვენს მისიაზე, როდესაც მიიღეთ მოწოდება მისიაში გაწვევის შესახებ. რამდენად გაამართლა აქამდე მომხდარმა თქვენი მოლოდინები? როგორ შეგიძლიათ ამ მოლოდინების უფრო სრულად განხორციელება?

- წაიკითხეთ და განიხილეთ „Minister" Guide to the Scriptures–ში.

- ამოარჩიეთ ერთერთი შემდგომი უდიდესი მისიონერი და წაიკითხეთ მითითებული ნაწყვეტები. კითხვისას, განიხილეთ ამ მისიონერს როგორ (1) ესმოდა და მიუძღვნა თავი ამ მოწოდებას, (2) იჩენდა სამსახურისადმი მიდგომას და მუშაობის სურვილს და (3) ეხმარებოდა სხვებს სახარების მიღებაში.

  ალმა (მოსია 18)
  აარონი (ალმა 22; 23:1–6)
  ნეფი და ლეჰი (ჰელამანი 5)
  პეტრე (საქმეები 2)
  პავლე (საქმეები 16)

- ამოარჩიეთ ჰიმნი აღდგენის შესახებ, როგორიც არის „ღმერთის სული," „მადლობას გიძღვნით, ო, უფალო," ან „იოსებ სმითის პირველი ლოცვა" (იხილეთ საგალობლების და საბავშვო სიმღერების წიგნი). წაიკითხეთ ან იმღერეთ ეს ჰიმნი. განიხილეთ სიტყვების მნიშვნელობა.

- წაიკითხეთ ერთად „Faith," „Repent, Repentance," „Baptism, Baptize," და „Holy Ghost" Guide to the Scriptures–ში. წაიკითხეთ და განიხილეთ ყველა სტატიებში წმინდა წერილებზე მითითებული ნაწყვეტები.

- წაიკითხეთ ერთად „Dispensation" Guide to the Scripture-ში. ასევე წაიკითხეთ და განიხილეთ მოძღვრება და აღთქმები 136:37.

### საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- მოიწვიეთ ორი ან სამი ახლადმოქცეული, რათა გაგიზიარონ თავიანთი მოქცევის გამოცდილება. რა გრძნობები ჰქონდათ მათ მისიონერებზე? რას გრძნობდნენ იმაზე, რასაც მისიონერები ასწავლიდნენ? რას გრძნობდნენ ვალდებულებების შესრულებაზე? ყველაზე მეტად რამ იმოქმედა მათზე, რომ მოქცეულიყვნენ?

შენიშვნები

- მოიწვიეთ სამღვდელოების ხელმძღვანელი მისიონერებთან სასაუბროდ, თქვენს მხარეში ეკლესიის აღშენების შესაძლებლობებისა და სირთულეების შესახებ.

- წაიკითხეთ ალმა 18 და განიხილეთ შემდეგი საკითხები: რა გრძნობები ეუფლებოდა ლამონის ამ ისტორიის დასაწყისში? როგორ შეეცვალა ისინი? რა გრძნობები უნდა ჰქონდეს პიროვნებას, რათა მიიღოს სახარების დალოცვები? იკითხეთ ალმა 34:15–16 და შეადარეთ ლამონის ისტორიას. როგორ გვაძლევს ქრისტეს გამოსყიდვა მოწყალების მიღების საშუალებას?

- განიხილეთ თუ რას ნიშნავს წარმატებული მისიონერი. სთხოვეთ მისიონერებს მოიყვანონ წარმატების კონკრეტული მაგალითები.

- გაანაწილეთ მისიონერები სამ ჯგუფად. დაავალეთ ერთ ჯგუფს წაიკითხონ საქმეები 2:36–38 (პეტრე), მეორე ჯგუფს წაიკითხონ საქმეები 16:25–33 (პავლე) და ბოლო ჯგუფს წაიკითხონ მოსია 18:8–11 (ალმა). სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს გასცეს პასუხი შემდეგ შეკითხვას: „რას აკეთებდა ეს მისიონერი სხვების დასახმარებლად, რათა განმტკიცებულიყვნენ იესო ქრისტეს რწმენაში, მოენანიათ, მიეღოთ ნათლობა და დამტკიცებულიყვნენ?“ განიხილეთ, თუ რა აითვისეს მისიონერებმა იმ ისტორიებიდან, რომლებიც დაეხმარებათ მათ რწმენის გამოვლენაში ადამიანებისათვის მონანიებისაკენ, ნათლობისაკენ და სულიწმინდის ძღვენის მისაღებად მოწოდებისას.

- შეკრებამდე რამოდენიმე დღით ადრე, დაავალეთ რამოდენიმე მისიონერს, რომ მოიფიქრონ ამორჩეულ საკითხებზე ამ თავის დასაწყისში მოცემული „განიხილეთ შემდეგი“ შეკითხვებიდან. სთხოვეთ თითოეულ მისიონერს, რომ მოამზადოს ორი ან სამ წუთიანი მოხსენება მისთვის მიცემულ თემაზე. ოლქის შეკრებისას ან სამხარეო კონფერენციაზე, ამ მისიონერებს დაუთმეთ დრო სიტყვით გამოსასვლელად. მათი გამოსვლის შემდეგ, განიხილეთ, თუ რა შეისწავლეს და როგორ შეიძლება ნასწავლის გამოყენება მისიონერული სამსახურის დროს.

- გაანაწილეთ მისიონერები ოთხ ჯგუფად. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს დაასახელონ, რამდენსაც შესძლებენ, ყველა ჭეშმარიტებები, აღთქმები და წეს–ჩვეულებები, რომლებიც აღდგენილი და გამოცხადებული იყო იოსებ სმითის მეშვეობით. სთხოვეთ, რომ თითოეულმა ჯგუფმა შეადაროს მიღებული რეზულტატები. შესთავაზეთ მისიონერებს გაუზიარონ ერთმანეთს, თუ როგორ იმოქმედა მათ ცხოვრებაზე აღდგენის რომელიმე გამოცხადებულმა ჭეშმარიტებამ.

## მისიის პრეზიდენტი

- გასაუბრების დროს, პერიოდულად სთხოვეთ მისიონერებს, რომ გაგიზიარონ:
  - მათი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ.
  - მათი დამოწმება აღდგენილი სახარების და იოსებ სმითის მისიის შესახებ.
  - მათი დამოწმება მორმონის წიგნის შესახებ.
  - ფიქრები და აზრი მათი, როგორც მისიონერის დანიშნულების შესახებ.

- შესთავაზეთ მისიონერებს ჩაიწერონ თავიანთ სამეცადინო რვეულში, თუ რას გრძნობენ თავიანთი მისიის დანიშნულების შესახებ. გასაუბრების დროს სთხოვეთ გაგიზიარონ თავიანთი ჩანაწერები.

- გაუგზავნეთ ახალ წევრებს მოსალოცი ბარათი.

შენიშვნები



# როგორ შემიძლია ნაყოფიერად შევისწავლო და მოვემზადო სხვათა სასწავლებლად?

შენიშვნები

## განიხილეთ შემდეგი

- რატომ არის სახარების შესწავლა ასეთი მნიშვნელოვანი?
- როგორი გავლენა ექნება ჩემს მეცადინეობას მათზე ვისაც ვასწავლი?
- რატომ უნდა მუდმივად დავაფასო იესო ქრისტეს სახარების მოძღვრებები განძად?
- როგორ შემიძლია უფრო ნაყოფიერად ვისწავლო იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების მოძღვრებები და მოვემზადო სხვათა სასწავლებლად?
- როგორ შემიძლია გავაუმჯობესო დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა?

უფალმა სთქვა: რომ სანამ ვისწრაფებთ მისი სიტყვის გამოცხადებას, თავიდან ვისწრაფოთ, რომ მივიღოთ მისი სიტყვა. ამის შემდეგ გაგვეხსნება ენა, მაშინ, თუ გვექნება სურვილი, მივიღებთ მის სულს და მის სიტყვას, დიახ, ღმერთის მალას ადამიანთა დასარწმუნებლად (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 11:21). ნაყოფიერად სასწავლებლად, თქვენ თვითონ გჭირდებათ სულიერი ცოდნის მიღება. იმისათვის რომ თქვენ გაიზარდოთ სახარების უფრო ღრმად გააზრებაში და გაჰყვეთ სწორ ბილიკს, რომელიც მიდის მარადიული სიცოცხლისაკენ, თქვენ უნდა განავითაროთ ჩვევები სახარების შესწავლისათვის (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 131:6). მისიონერთა სამსახურის დროს შემენილი სახარების შესწავლის ჩვევები, დაგლოცავთ პირადად და დაეხმარება მათ, ვისაც ასწავლით იესო ქრისტეში რწმენის გაღრმავებისას.

ყოველდღიური ნაყოფიერი მეცადინეობა ყოველთვის უნდა დაიწყოს ლოცვით. მეცადინეობა არის რწმენის გამოვლენა, რომელიც მოითხოვს პირადი თავისუფალი

შენიშვნები

არჩევნის გამოყენებას. ბევრ მისიონერს უჭირს იმის გაგება თუ როგორ შეიძლება სახარების უფრო ნაყოფიერად შესწავლა. ზოგიერთნი მეცადინეობისას ეყრდნობიან სხვათა რჩევებს ან სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც განმარტავენ თუ რა და როგორ შეისწავლონ. რათქმაუნდა კარგ მასწავლებელთან მეცადინეობას აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ თვითონ შესძლოთ დამოუკიდებელი მეცადინეობის გამოცდილებით ჩასწვდეთ სახარებას. მეცადინეობიდან კარგი რეზულტატების მიღება დამოკიდებულია თქვენს სურვილზე „ნამდვილი განძრახვით“ სწავლისათვის (მორონი 10:4), რომ იყოთ „სიმართლისთვის მშიერ-მწყურვალნი“ (მათე 5:6), და მოწაფეთათვის პასუხების მოძიებაზე რათა უპასუხოთ მათ კითხვებზე და გააქარწყლოთ მათი ეჭვები.

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

შეხედეთ წინა გვერდზე გამოსახულ იოსებ სმითის სურათს. წაიკითხეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:11–13. გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებზე თქვენს სამეცადინო რვეულში.

- როგორ მიიყვანა იაკობის 1:5 წაკითხვამ და მოფიქრებამ იოსებ სმითი გამოცხადებისაკენ?
- რა გავლენა იქონია მისმა წმინდა წერილებით მეცადინეობამ მომავალ თაობებზე?
- რა გავლენა იქონია თქვენს ცხოვრებაზე მისმა გადაწყვეტილებამ, რომ ესწავლა სახარება?
- როგორი გავლენა იქონია სახარების სწავლამ თქვენს ცხოვრებაზე?

## წმინდა წერილების შესწავლა

**როგორ უნდა ვიმეცადინოთ ძმინდა ძერილებით, რომ ჩვენი მეცადინეობა შეესაბამებოდეს ღმერთის სურვილს?**

2 ნეფი 4:15–16 მოძღვრება და აღთქმები 58:26–28 მოძღვრება და აღთქმები 88:118
2 ნეფი 32:3

## სულიწმინდით სწავლა



თქვენი სახარების შესწავლა ყველაზე ნაყოფიერია როდესაც სულიწმინდა გასწავლით. სახარების შესწავლა ყოველთვის დაიწყეთ ლოცვით და თხოვნით, რომ სულიწმინდა დაგეხმაროთ ცოდნის მიღებაში. ის მოგცემთ ცოდნას და რწმენას რომელიც დალოცავს თქვენს ცხოვრებას და საშუალებას მოგცემთ დალოცოთ სხვების ცხოვრება. გაიზრდება თქვენი იესო ქრისტეში რწმენა. გაიზრდება თქვენი მონანიების და უკეთესობისკენ სწრაფვის სურვილი.

ასეთი მეცადინეობა თქვენ გამზადებთ სამსახურისთვის, განუგეშებთ, გადაგალახინებთ პრობლემებს და მოგცემთ მალას ბოლომდე გასამლებად. სახარების წარმატებული სწავლა მოითხოვს სურვილს და საქმეს. „ის ვინც ბეჯითად ემებს, იპოვის და დღეს, როგორც მველად, სულიწმინდის მალით გაუმჟღავნდება მათ ღვთის საიდუმლოები“ (1 ნეფი 10:19). თუ ენოსივით გწყურიათ მარადიული სიცოცხლის სიტყვის გაგება, და თუ ამ სიტყვებს „მიიღებთ თქვენი გულის სიღრმეში“ (ენოსი 1:3), სულიწმინდა გაგიხსნით გონებას და გულს უფრო მეტი სინათლისათვის და გაგებისათვის.

სახარების შესწავლა ეს ასევე არის გამოცხადების მიღების საშუალება (იხილეთ იაკობი 4:8). ოლივერ კაუდერის უფალმა უთხრა, რომ მან ვერ გაიგო, მას ეგონა უფალი მისცემდა

შენიშვნები

იმ უნარს მაშინ, როდესაც მან მხოლოდ მისთვის თხოვნაზე იფიქრა. ოლივერს უფალმა უთხრა, რომ მას უნდა გაეაზრებინა ეს თავისი გონებით და ამის შემდეგ ეკითხა მისთვის, იყო თუ არა ის სწორი. თუკი სწორი იქნებოდა, მაშინ უფალი ოლივერის გულს გაავსებდა სითბოთი და ამგვარად ის იგრძნობდა, რომ ეს იყო სწორი. მეცადინეობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მოსულ იდეებს და გულის გრძნობებს, განსაკუთრებით, როდესაც ისინი ეხება იმ ადამიანებს. ვისაც ასწავლით.

### წმინდა წერილების შესწავლა

**როგორ გვეხმარება სულიწმინდა სახარების შესწავლაში?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 32:5 | მოძღვრება და აღთქმები 11:12–14 | იოანე 16:13 |
| ალმა 5:45–46 | მოძღვრება და აღთქმები 39:5–6 | 1 კორინთელთა 2:9–14 |
| მორონი 10:5 | იოანე 14:26 | |

## იცხოვრეთ თქვენს მიერ ნასწავლის შესაბამისად

> *„ჭეშმარიტი მოძღვრება, როდესაც სწორად გააზრებულია, ცვლის ადამიანის მიდგომას და ქცევას. სახარების მოძღვრებების შესწავლა უფრო სწრაფად გააუმჯობესებს ადამიანის ქცევას, ვიდრე ზრდილობის სწავლება მისი ქცევის გასაუმჯობესებლად.“*
>
> – პრეზიდენტი ბოიდ კ. პეკერი
> „LITTLE CHILDREN," *ENSIGN,* ნოემბერი 1986, 17

სახარების გააზრებისაგან მიღებული სიხარულის გრძნობით, თქვენ მოგინდებათ ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენება. ეცადეთ იცხოვროთ ნასწავლის და გააზრებულის შესაბამისად. ამით, უფრო განმტკიცდება თქვენი რწმენა, ცოდნა და დამოწმება. მიღებული ცოდნის შესაბამისად მოქმედებით, თქვენ მიაღწევთ სახარების უფრო ღრმად და მირთებულიანად გააზრებას (იხილეთ იოანე 7:17).

როდესაც გაითავისებთ რწმენით და სწავლით წმინდა წერილებიდან წაკითხულ და უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველების მიერ ნათქვამ სიტყვებს, სახარების გაზიარების სურვილი უფრო გაიზრდება თქვენში. თქვენ მიიღეთ დაპირება, რომ სული დაგეხმარებათ და გიკარნახებთ თუ რა უნდა სთქვათ, როდესაც სხვებს ასწავლით. უფალმა სთქვა, რომ როდესაც ჩვენს გონებაში განუწყვეტლივ და დავაფასებთ სიცოცხლის სიტყვებს განმად, მაშინ საჭირო საათს უფალი მოგვცემს თავისი სიტყვის წილს.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რა წერია წმინდა წერილებში სახარების სწავლის შესახებ?**

| | | |
|---|---|---|
| 1 ნეფი 10:17–19 | მოძღვრება და აღთქმები 50:19–22 | მოძღვრება და აღთქმები 88:118 |
| | მოძღვრება და აღთქმები 11:21–22 | |

## მეცადინეობა და მომზადება გაკვეთილების ჩასატარებლად

გაკვეთილები რომლებიც არის მოცემული (იხილეთ თავი 3) შეიცავენ შეკითხვებს ნათლობისწინა გასაუბრებისათვის, ვალდებულებები და მოძღვრება, რომელიც თქვენ უნდა ასწავლოთ ადამიანებს. ამასთან ერთად გაკვეთილებში თქვენ ასევე იპოვით სწავლებისათვის სასარგებლო იდეებს. მიუხედავად ამისა, გაკვეთილები ყველაფერს არ

შენიშვნები

გეტყვიან თუ რა და როგორ უნდა ილაპარაკოთ. თქვენ ვალდებული ხართ ნამდვილად გესმოდეთ გაკვეთილები და თქვენი საკუთარი სიტყვებით, ასწავლოთ სულით. ასწავლეთ ისე, რომ სხვებმაც განიმტკიცონ იესო ქრისტეში თავიანთი რწმენა, ისურვონ მონანიება და დადონ ღმერთისათვის აღთქმები.

ქმედითი მასწავლებლები ყოველთვის მუშაობენ, რათა გაიღრმაონ თავიანთი ცოდნა და უნარები. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყველაფერს არ ასწავლით ადამიანებს რა ცოდნაც გაქვთ ეკლესიის მოძღვრებაზე, თქვენი გაღრმავებული ცოდნა მაინც გაამტკიცებს თქვენს დამოწმებას და სულიერი მალით სწავლების უნარს. თქვენ მიხვდებით, რომ ხმარობთ გაკვეთილებს დანიშნულებისამებრ როდესაც:

- ემებთ და მისდევთ სულის დარიგებას, გაკვეთილების მომზადების და სწავლების დროს.
- ეცდებით მუდმივად ისწავლოთ, განმად დააფასოთ და თქვენს ცხოვრებაში გამოიყენოთ მოძღვრებები.
- იმუშავებთ მმადნაფიც მისიონერთან ერთად, რომ შეადგინოთ განსაკუთრებული გეგმა ყოველი პიროვნებისათვის, ვისაც ასწავლით.
- სწავლების დროს, ყურადღებას გაამახვილებთ მთავარ მოწოდებებზე და მოძღვრებებზე.
- მოაწყობთ გაკვეთილების თანმიმდევრობას, ხანგრძლივობას და სწავლების სიჩქარეს ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს ვისაც ასწავლით.
- ასწავლით წმინდა წერილებით, ნათლად და დარწმუნებით.
- ხშირად გაუზიარებთ პირად დამოწმებას.
- დაეხმარებით სხვებს აიღონ და შეასრულონ ვალდებულებები, რომლებსაც მიჰყავს ისინი ნათლობისა და წევრად დამტკიცებისაკენ.

ამ რჩევების გათვალისწინებით თქვენ დაეხმარებით ადამიანებს, პირადი დამოწმების მიღებაში, იესო ქრისტეს აღდგენილ სახარებაზე.

მისიის დასაწყისში, თქვენ უნდა ისწავლოთ მოწოდების დედააზრის ჩამოყალიბება და უნდა დაეუფლოთ სწავლებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. გამოცდილების მიღებასთან ერთად, მოგინდებათ თქვენი ცოდნის გაღრმავება და სწავლების უნარის გაუმჯობესება. იმისათვის რომ კარგად მოემზადოთ გაკვეთილის ჩასატარებლად, თქვენ უნდა მოამზადოთ გაკვეთილის გეგმა, რომელიც დაგეხმარებათ სხვებისათვის სულით სასწავლებლად და მათთვის დასახმარებლად ვალდებულებების აღებასა და შესრულებაში. ქვევით არის მოცემული მითითებები, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მთელი მისიის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, თქვენ არ ხართ ვალდებული გამოიყენოთ მოცემული ყველა მითითება ყოველთვის. გამოიყენეთ ისინი საჭიროებისამებრ, სულის კარნახის მიხედვით. თუ სწავლობთ უცხო ენას, გამოიყენეთ ეს მითითებები ჯერ მშობლიურ და შემდეგ თქვენი მისიის ენაზე.

- **ყურადღება გაამახვილეთ ვალდებულებებზე და ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებზე.** ასწავლეთ ისე, რომ ადამიანებმა აიღონ ვალდებულებები, მოემზადონ ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის. გაიაზრეთ ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები და ყოველი გაკვეთილის ვალდებულებები. ისწავლეთ თუ რა უნდა იცოდეს, იგრძნოს და გააკეთოს ადამიანმა თქვენი სწავლების შედეგად. იმუშავეთ მმადნაფიც მისიონერთან ერთად, რომ აუხსნათ ეს საფუძვლები თქვენი საკუთარი სიტყვებით მლიერად და ნათლად.
- **ისწავლეთ და გამოიყენეთ მოძღვრება ცხოვრებაში.** მოძღვრება ეს არის გაკვეთილის საფუძველი. ლოცვით შეისწავლეთ წმინდა წერილები, გაკვეთილები, ბროშურები, „იდეები სწავლებისათვის“ და მისიონერთა ბიბლიოთეკა, რომ ნათლად და მტკიცედ გაითავისოთ

შენიშვნები

მომღვრება. ემიეთ მასალა გაკვეთილების მომღვრების გასამტკიცებლად. ზეპირად ისწავლეთ მომღვრების საფუძვლების თანმიმდევრობა. ნასწავლი გამოიყენეთ ცხოვრებაში. ჩაიწერეთ თქვენს სამეცადინო რვეულში თუ რა ისწავლეთ. გაუზიარეთ ნასწავლი სხვა მისიონერებს.



- **ჩამოაყალიბეთ და შეაჯამეთ თუ რა უნდა ასწავლოთ.** იმისათვის რომ მოემზადოთ მომღვრების სასწავლებლად, ნათლად და სულიერი ძალით, ჩამოაყალიბეთ და შეაჯამეთ გაკვეთილის გეგმაში, თუ რა უნდა ასწავლოთ. ყურადღება გაამახვილეთ მომღვრებაზე, ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებზე, და გაკვეთილებში მოცემულ ვალდებულებებზე. თქვენი გაკვეთილის გეგმას, დაურთეთ ნათქვამები წმინდა წერილებიდან, კითხვები და მაგალითები. ისინი უნდა იცვლებოდნენ თქვენი მოწაფეებთან შეხვედრების ხანგრძლივობის მიხედვით. თქვენ არ უნდა შეადგინოთ ყოველი მოწაფისათვის სრულიად ახალი გეგმა, მაგრამ აუცილებელია, რომ ყოველთვის განაახლოთ გაკვეთილის გეგმა და შეიტანოთ მასში ცვლილებები, რათა ის შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს ვისაც ასწავლით. თავიდან, გაკვეთილების გეგმის პირველად შედგენისას, შეეცადეთ შეადგინოთ ისე, რომ ის იყოს უბრალო და მოკლე. გააფართოვეთ თქვენი გაკვეთილების გეგმები, დაგროვილი გამოცდილების შესაბამისად.

- **ყურადღება გაამახვილეთ ადამიანების მოთხოვნილებებზე.** საერთოდ, სახარების მომღვრებები არის ყველასათვის, მაგრამ თქვენ უნდა შეადგინოთ თქვენი გაკვეთილები ისე, რომ შეესაბამებოდეს იმ ადამიანების მოთხოვნებს, ვისაც ასწავლით. მომღვრების შესწავლისას და გაკვეთილების გეგმის შედგენის დროს, გამოყავით ის საკითხები, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ შეუსადაგოთ თქვენი მიდგომა, რათა დააკმაყოფილოთ ადამიანების შესაძლებელი ყოველდღიური საჭიროებები. გადახედეთ და შეუსადაგეთ თქვენი ცვლილებები, როდესაც მოემზადებით მოწაფეებთან დაგეგმილი შეხვედრებისათვის. იფიქრეთ თუ რა ვალდებულებები უნდა შესთავაზოთ მოწაფეებს. ყურადღება გაამახვილეთ თქვენს უმთავრეს მიზანზე: დაეხმაროთ მათ, ვისაც ასწავლით, რომ მიიღონ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარება ნათლობით და წევრად დამტკიცებით.

- **მოემზადეთ კითხვებზე პასუხის გასაცემად.** როგორც მისიონერს თქვენ ხშირად შეგეკითხებიან ბევრ შეკითხვებს. ჩაიწერეთ ეს შეკითხვები თქვენს სამეცადინო რვეულში. მოიძიეთ პასუხები წმინდა წერილებში და დამატებით ლიტერატურაში. ილოცეთ, რომ გაიგოთ შეკითხვების პასუხები. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში გაცემული პასუხები. განიხილეთ თქვენი პასუხები სხვა მისიონერებთან ერთად. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში ხშირად დასმული შეკითხვები და მათი პასუხები.

- **გაკვეთილის ჩატარება.** სწავლება ეს არის ცოდნის გაღრმავების და უნარ–ჩვევების განვითარების შესანიშნავი საშუალება. მომღვრების მეცადინეობისას და გაკვეთილების გეგმის შედგენის დროს, ასწავლეთ თქვენს მმადნაფიც მისიონერს და სხვა მისიონერებს. გამოიყენეთ ახალი განმარტებები, ახალი მიდგომები, მაგალითები და შეკითხვები, ასევე ახალი გზები თუ როგორ მოუწოდოთ მოწაფეებს, რომ მათ აიღონ ვალდებულებები. სთხოვეთ სხვებს, რომ მათ გაგიზიარონ თავიანთი იდეები და წინადადებები.

შენიშვნები

- **შეაფასეთ თუ როგორ ასწავლეთ.** ყოველი გაკვეთილის შემდეგ შეაფასეთ თქვენი წარმატებები. გაამახვილეთ თუ არა ყურადღება მომღვრებაზე? მოუწოდეთ თუ არა მოწაფეებს მონანიებისაკენ, ვალდებულებების აღებისაკენ და მათი შესრულებისაკენ? გააკეთეთ თუ არა მათი ნათლობის და დამტკიცებისათვის მოსამზადებლად ყველაფერი? დაუსვით თუ არა კარგი შეკითხვები? გაუზიარეთ თუ არა თქვენი დამოწმება? სთხოვეთ თუ არა მოწაფეებს, მათ ახლობლებთან გასაუბრება? მიღებული გამოცდილების შესაბამისად შეიტანეთ შესწორებები გაკვეთილების გეგმაში.

მისიონერთა გაკვეთილების შესწავლისას, ეცადეთ მიიღოთ მომღვრების უფრო ღრმა ცოდნა. აქტიურად იმოღვაწეთ, რომ ასწავლოთ უფრო დიდი ძალით. ლოცვით და რწმენით მეცადინეობისას, გაიზრდება თქვენი ცოდნა და დამოწმება. მიუხედავად ამისა, ნუ შეეცდებით ასწავლოთ ყველაფერი, რაც თქვენ იცით. აუხსენით მოწოდება ნათლად, უბრალოდ, და პიროვნების ინდივიდუალური მოთხოვნილებების შესაბამისად, სწავლებისას მიჰყევით სულის კარნახს, რათა ასწავლოთ „ის წილი რაც მიეცემა ყოველ ადამიანს“ (მოძღვრება და აღთქმები 84:85).

#### სიტყვების განმარტება

ჩვენ გვაქვს ბრწყინვალე გზავნილი, უნიკალური ლექსიკონით. როგორც ექიმი ესაუბრება ადამიანებს განსხვავებულად მისაღებში და საოპერაციოში, ასე რომ თქვენც უნდა ისწავლოთ ადამიანებთან ისეთნაირად საუბარი, რომ, მათთვის ვისთვისაც უცხოა ჩვენი გზავნილი უნდა გაიგონ თუ რას ასწავლით.

იმისათვის რომ ადამიანებმა გაიგონ მათთვის უცხო სიტყვები, შეისწავლეთ მნიშვნელოვანი განმარტებების და ტერმინების სია, რომელიც არის მოყვანილი, ყოველი გაკვეთილის განყოფილებაში „იდეები სწავლებისათვის“. გაეცანით მოცემულ განმარტებებს. გამოიყენეთ *True to the Faith* და Guide to the Scriptures მისთვის, რომ იპოვოთ სხვა სიტყვების განმარტებები. ჩაიწერეთ აღნიშნული სიტყვების განმარტებები თქვენს სამეცადინო რვეულში. გაუზიარეთ ეს განმარტებები თქვენს მმადნაფიც მისიონერს და სხვა მისიონერებს, იმის გასარკვევად თუ როგორ გასაგებია ისინი. თუ თქვენს მიერ წარმოდგენილი განმარტებები გაუგებარია სხვებისათვის, გადახედეთ მათ და შეუსადაგეთ ისინი თქვენს მიერ შესწავლილ ლიტერატურას.

ადამიანების სწავლებისას, ეცადეთ გაარკვიოთ, პიროვნებისათვის თქვენს მიერ ნათქვამი, რომელი სიტყვებია მისთვის გაუგებარი ან უცხო. დრო მოიტოვეთ იმისათვის რათა აუხსნათ მისთვის გაუგებარი სიტყვები ან პრინციპები. გახსოვდეთ: თქვენ უნდა ასწავლოთ იმისათვის რომ ადამიანებს თქვენი ესმოდეთ, რათა თქვენ და ასევე ისინი, ვისაც ასწავლით, განათლდეთ და იხაროთ ერთად (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 50:22).

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინოება**

დაუბრუნდით გაკვეთილს „მოწოდება იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ“ რომელიც მოცემულია მე-3 თავში. გადაიკითხეთ ძირითადი განმარტებების სია, განყოფილებაში „იდეები სწავლებისათვის“. მოძებნეთ გაკვეთილში კიდევ სამი სიტყვა, რომლებსაც სთვლით, რომ სჭირდებათ განმარტება. მიჰყევით ზემოთ მოცემულ მითითებებს იმისათვის რომ, მოუძებნოთ განმარტება ამ სიტყვებს.

## სამეცადინო იდეები და წინადადებები

ამ განყოფილებაში მოცემული იდეები და წინადადებები დაგეხმარებათ, თქვენი მეცადინეობის დროს გამოიყენოთ, რაც შეიმლება ნაყოფიერად, რათა ამაღლდეთ სულიერად. განიხილეთ ქვევით მოყვანილი წინადადებები მეცადინეობის დაგეგმვის დროს:

- ყოველთვის დაიწყეთ ლოცვით.

შენიშვნები

- დაგეგმეთ თქვენი მეცადინეობები ისეთნაირად, რომ მხსნელში თქვენი რწმენა უფრო განმტკიცდეს და ნაყოფიერად გამოიყენოთ თქვენი დრო.
- მეცადინეობის დაგეგმვისას ყურადღება გაამახვილეთ ადამიანებზე, მათ მოთხოვნებზე და რომ მოამზადოთ ისინი ნათლობისათვის, წევრად დამტკიცებისათვის და ბოლომდე გამლებისათვის. ჩაიწერეთ პირად დღიურში თქვენი სამეცადინო გეგმები.
- მეცადინეობის დაგეგმვისას შეეკითხეთ საკუთარ თავს: დღეს რა უნდა ვასწავლო? როგორ დავგეგმო მეცადინეობა ისე, რომ უკეთესად დავეხმარო, ვისაც ვასწავლი? მეცადინეობის დროს, რომელი იდეები და წინადადებები შემიძლია გამოვიყენო ამ სექციიდან?

მეცადინეობის ღონისმიებების დაგეგმვისას, შეეცადეთ გამოიყენოთ ქვევით მოყვანილი რამოდენიმე იდეა და წინადადება ან გამოიყენოთ სხვებისაგან მიღებული იდეები.

**გამოიყენეთ ცხოვრებაში ის რაც ისწავლეთ**

- შეადარეთ თქვენს მიერ ნასწავლი საკუთარ თავს (იხილეთ 1 ნეფი 19:23).
- მიზნად დაისახეთ – ცხოვრება იმის შესაბამისად, რასაც სწავლობთ.
- შეცვალეთ თქვენი სახელით სხვა სახელის მაგივრად წმინდა წერილების მუხლებში, რათა ის გახდეს თქვენთვის უფრო პირადული.
- დაუსვით თქვენ თავს კითხვა, „როგორ უნდა შევიცვალო იმის შესაბამისად, რაც ვისწავლე?" დაისახეთ სათანადო მიზნები.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

ქვევით მოყვანილი მითითებული ნაწყვეტებიდან ამოარჩიეთ რომელიმე. თქვენს მიერ შერჩეული ნაწყვეტის გააზრების და შესწავლის დროს მოიფიქრეთ ორი ან სამი სიტუაცია, როდესაც შესძლებთ მის გამოყენებას თქვენს ცხოვრებაში.

- 2 ნეფი 31
- ალმა 32:26–43
- მორონი 7:32–48

შეაფასეთ თუ რამდენად შეესაბამება თქვენი ცხოვრება იმ პრინციპებს, რომლებსაც თქვენ ასწავლით ადამიანებს. შეარჩიეთ რომელიმე სფერო, რომელშიც შეგიძლიათ უფრო გაუმჯობესდეთ და დაგეგმეთ თუ როგორ მიაღწევთ მიზანს.

**ეძიეთ, მოიფიქრეთ და დაიმახსოვრეთ**

- სანამ დაიწყებთ მეცადინეობას, გამოფხიზლდით, ივარჯიშეთ, მიიღეთ შხაპი და ილოცეთ.
- იმეცადინეთ მაგიდასთან (და არა ლოგინში წამოწოლილი ან მჯდომიარე) სადაც შესძლებთ წერას, სამეცადინო მასალების მომზადებას და ფხიზელად ყოფნას.
- ილოცეთ იმისათვის რომ მოგეცეთ ათვისების უნარი.
- იმეცადინეთ გარკვეული თემების მიხედვით.
- დაუსვით თქვენ თავს კითხვა, „რას გვეუბნება ავტორი? რა არის ნაწარმოების დედააზრი? რანაირად მეხება ის მე?"
- ვიზუალურად წარმოიდგინეთ ის, რასაც სწავლობთ. მაგალითად წარმოიდგინეთ თუ რას გრძნობდა ამონი, როდესაც იდგა ლამანიელების მეფის წინ.
- შეისწავლეთ ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვები, (დამტკიცებული ლიტერატურიდან მისიონერთა ბიბლიოთეკაში და საეკლესიო ჟურნალებში).

შენიშვნები

- ჩაიწერეთ თქვენს სამეცადინო რვეულში თქვენი შეკითხვები და გამოიყენეთ წმინდა წერილები, უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველების სიტყვები ასევე სხვა მატერიალები იმისათვის რომ იპოვოთ მათზე პასუხები.
- წმინდა წერილების ერთი მუხლი შეიძლება მოიცავდეს რამოდენიმე იდეას. ხაზი გაუსვით სიტყვებს და აღნიშნეთ ისინი ისეთნაირად, რომ გაარჩიოთ მუხლში მოცემული იდეები.
- გაუზიარეთ თქვენი ნასწავლი სხვა მისიონერებს. თქვენ შეგიძლიათ ბევრი, რამ ისწავლოთ სხვებისთვის მოძღვრების ან პრინციპების ახსნის პროცესში.
- წმინდა წერილებში მონიშნეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი აზრები და დაურთეთ შენიშვნები. წიგნის გვერდებზე გააკეთეთ სანიშნეები წმინდა წერილების სხვა მითითებულ ნაწყვეტებზე, რომლებიც განმარტავს წიგნის იმ ნაწყვეტს რომელსაც სწავლობთ.
- დაიზეპირეთ წმინდა წერილებიდან ის მონაკვეთები რომლებიც განმარტავენ და მხარს უჭერენ იმ საფუძვლებს, რომლებსაც თქვენ ასწავლით.

**გამოიყენეთ დამატებითი სასწავლო რესურსები**

- გამოიყენეთ დამატებითი სასწავლო დამხმარე მასალები უ.დ.წ.–ს მიერ გამოცემულ წმინდა წერილებში (თავების მოკლე შინაარსი, ქვემოთ ჩამოტანილი შენიშვნები, და Guide to the Scriptures, იოსებ სმითის თარგმანისა და რუკების ჩათვლით).
- გამოიყენეთ მისიონერთა გაკვეთილები, მისიონერთა ბიბლიოთეკა, საეკლესიო ჟურნალები და ეს სახელმძღვანელო.
- განიხილეთ წმინდა წერილებში თავების მოკლე შინაარსი. ეს თქვენ მოგცემთ საკვანძო მოსაზრებებს თუ რა უნდა ემიოთ მოცემულ თავში.
- სამეცადინო რვეულში გააკეთეთ ჩანაწერები და ჩამოაყალიბეთ ყველაფერი რასაც სწავლობთ. ხშირად გადაიკითხეთ თქვენი ჩაწერილი აზრები. რვეულში ჩანაწერები აწარმოეთ ისეთნაირად, რომ ადვილად შესძლოთ ნასწავლის გახსენება.
- გამოიყენეთ ეს სახელმძღვანელო, როგორც სავარჯიშოების კრებული. წიგნის თავისუფალი ადგილი გამოიყენეთ აზრების მთაბეჭდილებების და იდეების ჩასაწერად.
- შეისწავლეთ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში ან ამ სახელმძღვანელოში, თქვენს მიერ წმინდა წერილებში დამოუკიდებლად ნაპოვნი შესაფერისი ნაწყვეტები.

**შეეცადეთ დაინახოთ საერთო სურათი მთლიანად**

- წიგნის კითხვის დროს შეეცადეთ დაინახოთ მისი დედააზრის მთლიანი სურათი, წიგნის თავის ან ნაწყვეტების სწრაფად წაკითხვით ან თავების მოკლე შინაარსის გადახედვით. ეცადეთ ჩასწვდეთ წიგნის დედააზრს და კონტექსტს.
- ნაწყვეტის დედააზრი შეეცადეთ ჩაიწეროთ ერთი წინადადებით ან მოკლე აბზაცით.
- გეოგრაფიის, ადგილმდებარეობების, მანძილების და კლიმატური პირობების შესასწავლად გამოიყენეთ ბიბლიისა და საეკლესიო ისტორიის რუკები.
- განიხილეთ მოვლენების თანმიმდევრობა, ასევე იმდროინდელი გარემოცვა და ადათწესები. წაიკითხეთ ისტორიული მონაცემები Guide to the Scriptures–ში ასევე თავების და მონაკვეთების მოკლე შინაარსი.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი წიგნების თავების მოკლე შინაარსი, და შეადგინეთ წაკითხულის დედააზრის კონსპექტი, რომელშიც აღწერილი იქნება ადგილი, სადაც ვითარდებოდა მოვლენები, ასევე მთავარი მოვლენები და ყოველი წიგნის მთავარი მოძღვრებები.

1 ნეფი          მოსე          საქმეები

შენიშვნები

### შეისწავლეთ დეტალები

- ემიეთ საკვანძო სიტყვები და ყურადღება მიაქციეთ, რომ გესმით მათი აზრი და მნიშვნელობა. გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები, Guide to the Scriptures, ან სხვა განმარტებითი ლექსიკონი იმისათვის რომ გაიგოთ უცხო სიტყვების აზრი. შეამოწმეთ საკვანძო სიტყვებთან მდებარე სიტყვები იმისათვის რომ უკეთესად გაიგოთ საკვანძო სიტყვების აზრი და მნიშვნელობა.
- ყურადღება მიაქციეთ დამაკავშირებელ სიტყვებს, მაგალითად: *ამიტომ, და კვლავ, ამგვარად, რის გამო,* და სხვები. შემდეგ დააკვირდით თუ როგორ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან წინამორბედი და მომდევნო ნაწყვეტები.
- გამოიყენეთ Guide to the Scriptures, იმისათვის რომ ნახოთ თუ რამდენჯერ გამოყენებულია ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში და როგორ ხმარობენ სხვადასხვა წინასწარმეტყველები ერთი და იგივე სიტყვას.
- ემიეთ უცხო სიტყვები ან ფრაზები და ყურადღება მიაქციეთ, რომ გესმით მათი მნიშვნელობა.

### წმინდა წერილებში აღნიშვნების გაკეთება

წმინდა წერილებში მონიშვნების გაკეთება დაგეხმარებათ უფრო ღრმად იფიქროთ ნაწყვეტზე ან სახარების მოძღვრებაზე. წმინდა წერილებში თქვენ შეგიძლიათ მონიშვნები გააკეთოთ ბევრნაირად. მოძებნეთ მეთოდი, რომელიც თქვენთვის უფრო მისაღებია. ქვევით მოყვანილია მაგალითები თუ როგორ შეიძლება გააკეთოთ წმინდა წერილებში მონიშვნები.

- გამოიყენეთ ფანქრები ან ფერადი მარკერები. არ გამოიყენოთ კალმისტრები, რომლის მელანი გადის ქაღალდის მეორე მხარეს.
- გააფერადეთ, ხაზი გაუსვით, ფრჩხილებში ჩასვით ან გამოყავით მუხლის ნაწილი ან მთლიანი მუხლი ან კიდევ მუხლების ჯგუფი.
- მეტისმეტად ნუ გამოიყენებთ მონიშვნებს. ისინი დაკარგავენ თავის მნიშვნელობას, როდესაც თქვენ ვერ გაიგებთ თუ რისთვის მონიშნეთ ესა თუ ის მუხლი იმის გამო, რომ მეტისმეტად გააკეთეთ ბევრი შენიშვნები, ხაზგასმები და ფერები.
- მონიშნეთ მხოლოდ რამოდენიმე საკვანძო სიტყვა იმისათვის რომ აღნიშნოთ მუხლი, მონაკვეთი ან თავი.
- შემოხაზეთ ან ხაზი გაუსვით საკვანძო სიტყვებს, შემდეგ სწორი ხაზებით დააკავშირეთ ერთმანეთთან აზრობრივად მონათესავე სიტყვები.
- თუ მუხლში ან ნაწყვეტში გხვდებათ ერთმანეთთან მონათესავე სიტყვების და გამოთქმების მთელი ჯაჭვი, დანომრეთ ისინი წიგნის ველზე ან შიგ ტექსტში.
- გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები როგორც რესურსი წმინდა წერილებში აღნიშვნების და განმარტებების გასაკეთებლად.
- წიგნის ველზე დასვით რაიმე ნიშნები (მაგალითად აღნიშვნის ნიშანი) იმისათვის რომ დაიმახსოვროთ მუხლები, რომლების დამახსოვრება თქვენი აზრით აუცილებელია.

წმინდა წერილებში მონიშვნებით, თქვენ შესძლებთ თქვენი ყურადღების გამახვილებას იმაზე თუ როგორ გამოიყენოთ მიღებული ცოდნა თქვენს საკუთარ ცხოვრებაში, ასევე თუ როგორ უნდა ასწავლოთ სხვებს. შეეცადეთ გონებაში გამოიმუშაოთ სწავლისადმი ისეთი თანამიმდევრული მიდგომა, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი მისიონერული დანიშნულების მიღწევაში.

შენიშვნები

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

რომელი წინადადებების გამოყენება ჯერ არ გიცდიათ? ამოარჩიეთ რომელიმე წინადადება განყოფილებიდან „სამეცადინო იდეები და წინადადებები" და შეეცადეთ მისი გამოყენება შემდეგი დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობისას.

## გახსოვდეთ შემდეგი

- ბეჯითად სწავლის სურვილი მნიშვნელოვანია, თქვენი ხსნისათვის და წარმატებული მისიონერული სამსახურისათვის.
- თქვენ სწავლობთ სახარებას მეცადინეობით, რწმენით და სულიწმინდის ძალით.
- სწავლა არის სიხარული, რომელსაც მოაქვს ბევრი კურთხევები.
- ყოველდღიური დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა ამტკიცებს, თქვენს რწმენას და ავითარებს სულის ძალით ადამიანების სწავლების უნარს.
- სახარების შესწავლის დროს გამოიყენეთ მეცადინეობის სხვადასხვა მეთოდები იმისათვის რომ მეცადინეობა იყოს გააზრებული და სასიამოვნო.

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

შენიშვნები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- შეაფასეთ თქვენი თავი შემდეგნაირად (1=არასდროს, 3=ხანდახან და 5=თითქმის ყოველთვის).
  - სახარების შესწავლის დროს მე ვფიქრობ იმ ადამიანებზე, რომლებსაც ვასწავლი.
  - დღის განმავლობაში ვფიქრობ იმაზე, რასაც დილით ვსწავლობდი.
  - როდესაც ვმეცადინეობ, მებადება ისეთი აზრები, რომლებიც მანამდე არასდროს არ მომდიოდა.
  - მე ვიწერ შესაფერის ადგილზე მიღებულ სულიერ შთაბეჭდილებებს და იდეებს.
  - როდესაც ვმეცადინეობ მეძინება.
  - სულმოუთქმელად ველოდები დამოუკიდებელ მეცადინეობებს.
  - სულმოუთქმელად ველოდები ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობებს.

  გადაიკითხეთ თქვენი პასუხები. რა გამოგდით ყველაზე კარგად? გსურთ თუ არა, რომ რომელიმე თქვენი პასუხი იყოს სხვანაირი? დაისახეთ ერთი ან ორი მიზანი, რომელიც გააუმჯობესებს თქვენი მეცადინეობის ხარისხს.

- მიმოიხილეთ კითხვები განყოფილებიდან „განიხილეთ შემდეგი“ რომელიც მოცემულია თავის დასაწყისში. როგორი გავლენა აქვთ ამ კითხვებს თქვენს სწავლაზე?

- მიმოიხილეთ „სამეცადინო იდეები და წინადადებები.“ ყოველი კატეგორიიდან ამოარჩიეთ ერთი წინადადება, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებიათ, და შეეცადეთ მათი გამოყენება დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს.

- წაიკითხეთ მოძღვრება და აღთქმები 138:1–11. ამ მუხლების კითხვისას, უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:
  - რა უნდა გაეკეთებინა პრეზიდენტ სმითს იმისათვის, რომ გახელოდა გონების თვალები?
  - რას გრძნობდა, როდესაც ფიქრობდა ამ მოძღვრებაზე?

- Guide to the Scriptures-ში წაიკითხეთ განმარტება სიტყვის „ცოდნა“ და ასევე ამ მონაკვეთში მოცემული მითითებები. თქვენს სამეცადინო რვეულში, დაწერეთ პასუხი შემდეგ კითხვაზე, „რომელი ცოდნა დამეხმარება იმაში, რომ ვიყო ქმედითი მისიონერი?“

- მე-3 თავიდან ამოარჩიეთ ერთერთი მოძღვრება, რომელიც გსურთ, რომ უკეთესად გაიგოთ. თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაწერეთ ის შეკითხვები, რომლებზეც გინდათ, რომ მიიღოთ პასუხები. ყურადღებით შეისწავლეთ ეს სწავლება რამოდენიმე დღის განმავლობაში და ილოცეთ იმისთვის, რომ უფრო უკეთესად ჩასწვდეთ ამ სწავლების დედააზრს. რასაც ისწავლით ჩაიწერეთ.

- წაიკითხეთ 1 ნეფი 10:17; 11:1–6. ამ მუხლების კითხვისას, გაეცით პასუხი შემდეგ კითხვას: „როგორ შესძლო ნეფიმ შეესწავლა ის, რაც იცოდა მამამისმა?“

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- ერთად წაიკითხეთ შემდეგი ნაწყვეტები. გაეცით პასუხი შეკითხვას „რატომ უნდა ვეძიოთ ღვთიური სინათლე?“

  მოძღვრება და აღთქმები 11:11–14
  მოძღვრება და აღთქმები 84:43–47
  ფსალმუნები 118:105
  იოანე 8:12

- ერთად წაიკითხეთ ქვევით მოცემული რამოდენიმე ნაწყვეტი, შემდეგ განიხილეთ ის კურთხევები, რომლებიც მიიღება ღმერთის სიტყვის შესწავლით. რომელი ნაწყვეტები საუკეთესოდ დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც ასწავლით?

შენიშვნები

1 ნეფი 10:19
2 ნეფი 32:3
მოსია 1:6–7
ალმა 17:2–3
ალმა 32:42–43
ალმა 37:44–46
ალმა 49:30
მოძღვრება და აღთქმები 90:24
მოძღვრება და აღთქმები 130:19
Guide to the Scriptures, „Scriptures,“ ქვეთავი: „Value of the scriptures,“ 221–22

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- ამოარჩიეთ თემა მისიონერთა გაკვეთილებიდან, რომელიც თქვენ ყურადღებით გაქვთ შესწავლილი. გააკეთეთ შემდეგი:
  - გაუზიარეთ მეცადინეობიდან მთავარი ნასწავლი ორი ან სამი მომენტი, რომელიც გამოგადგათ ადამიანებისთვის ამ გაკვეთილის სწავლების დროს.
  - აღწერეთ თუ რა მეთოდი დაგეხმარათ მეცადინეობების დროს, ამ მომენტების მოძიებაში, (როგორ კითხულობდით, წყაროები, რომლებითაც სარგებლობდით, რა საკითხებს განიხილავდით და ასე შემდეგ).
  - აჩვენეთ თუ როგორ იწერდით და აწყობდით თქვენი მეცადინეობების შედეგებს.

  თუ იქნება საკმარისი დრო, კიდევ რამოდენიმე მისიონერს სთხოვეთ მოუთხრონ ერთმანეთს თავიანთ ასეთივე წარმატებებზე.

- ეს ღონისძიება შეგიძლიათ შეასრულოთ ინდივიდუალურად და პატარა ჯგუფებში. მისიონერებს სთხოვეთ, რომ ამოირჩიონ რომელიმე ქვემოთ მოყვანილი შეკითხვა (თქვენ ასევე შეგიძლიათ დასვათ რამოდენიმე თქვენს მიერ მოფიქრებული შეკითხვა). მიეცით დრო, რომ მათ ჩაიწერონ ამორჩეული შეკითხვა.
  - რატომ აქვს ოჯახებს ღმერთის გეგმაში ასეთი დიდი მნიშვნელობა?
  - რატომ აწყდებიან ადამიანები წინააღმდეგობებს და ტანჯვას?
  - როგორია სულის როლი, მოქცევის პროცესში?

  განუმარტეთ, რომ მათ ექნებათ ხუთი ან შვიდი წუთი იმისათვის რომ:
  - იპოვონ არანაკლებ ორი ციტატა წმინდა წერილებში იმისათვის რომ ამ შეკითხვას უპასუხონ.
  - დაწერონ მარტივი განმარტება იმისა, თუ როგორ პასუხობენ ამ შეკითხვას მათ მიერ წმინდა წერილებში მოძიებული ციტატები.
  - აღწერონ თუ რა უნდა გააკეთონ იმისათვის რომ დაიმახსოვრონ პასუხი.
  - აღწერონ თუ რა უნდა გააკეთონ, რომ უფრო ღრმად გამოიკვლიონ ეს შეკითხვა.

  სთხოვეთ რამოდენიმე მისიონერს (ან თითოეულ ჯგუფს) რომ გაგიზიარონ თავიანთი პასუხები. განიხილეთ მათი პასუხები.

- მისიონერებს სთხოვეთ, რომ დაწერონ ერთი ან ორი შეკითხვა სახარების საფუძვლებსა და მოძღვრებებზე ერთერთი გაკვეთილიდან, რომლებიც მოცემულია თავი 3, რომლებზეც მათ სურთ პასუხის პოვნა. სთხოვეთ მისიონერებს, რომ წაუკითხონ მათი შეკითხვები მთელ ჯგუფს. ყოველი შეკითხვისათვის განიხილეთ შემდეგი:
  - როგორ დალოცავს მისიონერის ცხოვრებას ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა?
  - როგორ დალოცავს ეს მოწაფეთა ცხოვრებას?
  - როგორ შეუძლია მისიონერს პასუხის პოვნა?

- სთხოვეთ რამოდენიმე მისიონერს, რომ გაგიზიარონ სახარების ერთერთი საფუძველი, რომელიც მათ ძმადნაფიცმა მისიონერებმა ასწავლეს. სთხოვეთ განმარტონ ეს საფუძველი და თუ როგორ ასწავლეს ის მათმა ძმადნაფიცმა მისიონერებმა.

შენიშვნები

- დაყავით მისიონერები ძმადნაფიც მისიონერებად ან პატარა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დაავალეთ წაიკითხონ ერთი თავი მორმონის წიგნიდან. ყოველმა ჯგუფმა უნდა ამოირჩიოს ერთი იდეა განყოფილებაში „სამეცადინო იდეები და წინადადებები“ ყოველი კატეგორიიდან. სთხოვეთ ჯგუფებს, რომ ერთად კითხვის დროს გამოიყენონ მოცემული ყოველი წინადადება. დაურთეთ 15 ან 20 წუთი კითხვისათვის და დისკუსიისათვის. სთხოვეთ ყოველ ჯგუფს განმარტონ ის წინადადებები, რომლებიც მათ გამოიყენეს, როგორ დაეხმარათ ეს მათ სწავლაში და რა ისწავლეს.

- სთხოვეთ ყოველ მისიონერს გაიხსენოს, რომელიმე ისტორია ან მოვლენა წმინდა წერილებიდან, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მისთვის (მაგალითად, ლეჰის სიცოცხლის ხის ხილვა, მეფე ბენიამინის ქადაგება, იესოს ქადაგება მთაზე და მისი ნეფიელებთან გამოცხადება). სთხოვეთ მისიონერებს, რომ აღწერონ თუ როგორ წარმოუდგენიათ ვიზუალურად მათ ეს მოვლენები. სთხოვეთ ორ ან სამ მისიონერს გაუზიარონ დანარჩენებს თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი ის ნაწყვეტები, რომლებიც მათ ამოირჩიეს. სთხოვეთ დანარჩენ მისიონერებს, რომ მოყვნენ მათ მიერ არჩეული ისტორიები და დაუკავშირონ ის მოძღვრებას, რომელიც მოცემულია ერთერთ გაკვეთილში. წაიკითხეთ მორონი 10:3 და გაარჩიეთ თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სულიერ ცოდნაზე ღრმად ფიქრს.

## მისიის პრეზიდენტი

- სთხოვეთ მისიონერებს, რომ თან იქონიონ თავიანთი სამეცადინო რვეულები. სთხოვეთ, წაგიკითხონ ერთერთი თავიანთი ჩანაწერი.

- გასაუბრების დროს დაუსვით ქვევით მოყვანილი რამოდენიმე შეკითხვა:
  - როგორი შთაბეჭდილებები გქონდათ ბოლო ხანებში წმინდა წერილებიდან მეცადინეობისას?
  - ბოლო ხანებში სახარების, რომელი საფუძველი გასწავლათ თქვენმა ძმადნაფიცმა მისიონერმა?
  - ამ სახელმძღვანელოდან, რომელი თავი ან განყოფილება გამოგადგათ ყველაზე ძალიან ბოლო ორი კვირის განმავლობაში?
  - თქვენი დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს რას აკეთებთ იმისათვის რაც გეხმარებათ სწავლაში ყველაზე ძალიან?

- სამხარეო კონფერენციების დროს სთხოვეთ მისიონერებს, რომ გაგიზიარონ თავიანთი ძვირფასი გამოცდილებები, რომლებიც მათ მიიღეს დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობის დროს.

- სამხარეო კონფერენციების დროს მისიონერებს ნება დართეთ, რომ მისიონერებმა გაუზიარონ ერთმანეთს დამოუკიდებელი მეცადინეობის იდეები.

- გაუზიარეთ მისიონერებს სულიერი მოსაზრებები, რომელიც გქონდათ დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს. წაუკითხეთ ამონაწერები თქვენი სამეცადინო რვეულიდან და გაუზიარეთ თქვენი დამოწმება სახარების შესწავლის მნიშვნელობაზე.

- შესაძლებისდაგვარ შეუერთდით მისიონერებს მათი ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობის დროს.

- გასაუბრებების დროს, სთხოვეთ მისიონერებს, რომ გაგიზიარონ მათ მიერ დაგეგმილი ერთერთი გაკვეთილის გეგმა. შეეკითხეთ თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ მოძღვრებებს მათთვის.

შენიშვნები



# რა უნდა შევისწავლო და ვასწავლო?

შენიშვნები

ამ თავში მოცემული გაკვეთილები შეიცავენ აუცილებელ მოძღვრებას, სახარების საფუძვლებს და მცნებებს, რომლებიც თქვენ უნდა შეისწავლოთ, გწამდეთ, გიყვარდეთ, იცხოვროთ მათ მიხედვით და ასწავლოთ სხვებს. ცოცხალმა წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა თქვენ მოგაგზავნეს, რომ იქადაგოთ ეს მოძღვრება, საფუძვლები და მცნებები. ეს სასწავლო მასალა არის ორგანიზებული ისეთნაირად, რომ თქვენ შესძლოთ დაეხმაროთ ადამიანებს ნათლად გაიგონ ქრისტეს მოძღვრება.

ამ თავში მოცემულია შემდეგი გაკვეთილები:

- მოწოდება იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ
- ხსნის გეგმა
- იესო ქრისტეს სახარება
- მცნებები
- კანონები და საეკლესიო წეს–ჩვეულებები

პირველი ოთხი გაკვეთილი უნდა ჩაატაროთ ნათლობის წინ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ის ადამიანები, ვისაც ასწავლით, ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის არიან ღირსეულნი და ასრულებენ ყველა ვალდებულებებს, რომლებიც მოცემულია ამ გაკვეთილებში.

სრული განაკვეთით მყოფი მისიონერები, მრევლის მისიონერების და სხვა წევრების დახმარებით, წინამძღვარობენ გაკვეთილების სწავლებებს ნათლობამდე. ნათლობის შემდეგ, ახალ წევრებს თავიდან ასწავლიან პირველ ოთხ გაკვეთილს, ისევე როგორც გაკვეთილს „კანონები და საეკლესიო წეს–ჩვეულებები.“ მეურვეობის ხელმძღვანელები განსაზღვრავენ მასზედ, მეურვეობის თუ სრული განაკვეთით მყოფი მისიონერები იქნებიან პასუხისმგებელნი ამ გაკვეთილების ჩატარებაზე და რამდენი ხანი მონაწილეობას მიიღებენ სრული განაკვეთით მყოფი მისიონერები. წაახალისეთ და ხელი შეუწყეთ, რომ ყოველმა ახალმა წევრმა შეასრულოს ყველა ვალდებულება, რომელიც მოცემულია ამ გაკვეთილებში.

ეს გაკვეთილები თქვენ ასევე უნდა გამოიყენოთ დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობისას, ასევე მისიონერების საოლქო შეკრებებზე და სხვადასხვა მეცადინეობების დროს. წმინდა წერილების შესწავლისას და ამ გაკვეთილებში მოცემული მოძღვრების გონიერად დამახსოვრებისას, სული გიკარნახებთ ყველაზე

ქადაგება მთაზე, კარლ ბლოკის გამოცემა. ორიგინალი ფრედერიკსბორგის სასახლეში, დანია. გამოყენება ფრედერიკსბორგ მუზეუმის ნებართვით. ასლის გადაღება არ შეიძლება.

შენიშვნები

გადამწყვეტ მომენტში იმას რაც უნდა სთქვათ და გააკეთოთ, იმისათვის რომ დაეხმაროთ სხვებს ამ სწავლების ჭეშმარიტების დამოწმების მიღებაში.

როგორც მისიონერი თქვენ გაკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა, რომ ასწავლოთ ადამიანებს გულით და სული წმინდით. პირველ პრეზიდენტთა და თორმეტ მოციქულთა ქვორუმმა დაამტკიცა: „ჩვენი მიზანია, რომ მივაწოდოთ აღდგენილი სახარების მოწოდება ისეთნაირად, რომ სულმა მართოს მისიონერები და ის ადამიანებიც, ვისაც ისინი ასწავლიან. მალიან მნიშვნელოვანია მისიონერთა გაკვეთილების მომღვრების დედააზრის სწავლა, მაგრამ მისიონერმა ეს არ უნდა ასწავლოს დაზეპირებული ტექსტის მოყოლით. მისიონერი თავისუფალია, რომ იქადაგოს თავისი სიტყვებით და სულიწმინდის კარნახის მიხედვით. მან არ წაიკითხოს დაზეპირებული გაკვეთილი, არამედ თამამად უნდა იყენებდეს საკუთარ სიტყვებს, მას შეუძლია შეცვალოს გაკვეთილების თანმიმდევრობაც, ილაპარაკოს შთაგონებით, დაინტერესებული მოწაფის საჭიროებების და ინტერესების შესაბამისად. საკუთარი რწმენით საუბრისას, მისიონერმა უნდა გაუზიაროს დამოწმება იმ სწავლების ჭეშმარიტებაზე, რომელსაც ის ასწავლის“ („Statement on Missionary Work,“ პირველ პრეზიდენტთა წერილი, 11 დეკემბერი 2002). როდესაც თქვენ და თქვენი მმადნაფიცი მისიონერი სწავლობთ ამ გაკვეთილებს და ემზადებით სხვების სასწავლებლად, მტკიცედ დაიმახსოვრეთ ეს მითითებები. ყურადღება მიაქციეთ, რომ ასწავლოთ ამ გაკვეთილებში მოცემული ყველა მომღვრება.

თუ სული არ გკარნახობთ რაიმე სხვას, თქვენ უნდა ასწავლოთ პირველი სამი გაკვეთილი სრული მოცულობით და იმ თანმიმდევრობით, როგორც არის წიგნში მოცემული. თუ იქნება შესაფერისი საშუალება შეგიმლიათ, რამოდენიმე მცნებაც ასწავლოთ ამ გაკვეთილებზე ან მათთვის შესამლებელია დამატებითი გაკვეთილების ჩატარება.

ყოველ გაკვეთილზე განიხილება ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები, ვალდებულებები და მომღვრებები, რომლებიც თქვენ ვალდებული ხართ, რომ ასწავლოთ. გულდასმით შეისწავლეთ ეს მომღვრებები. გამუდმებით გაამახვილეთ თქვენი მალისხმევა, რომ დაეხმაროთ თქვენს მოწაფეებს ვალდებულებების აღებაში და მათ შესრულებაში. გამოიყენეთ ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები, რომ მოამზადოთ ისინი, ვისაც თქვენ ასწავლით, ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის. ამ გაკვეთილებში არის ასევე მოცემული იდეები სწავლებისათვის. გამოიყენეთ ეს წინადადებები იმისათვის რომ უკეთესად მოემზადოთ და ასწავლოთ.

### დაზეპირების მნიშვნელობა

დაიზეპირეთ წმინდა წერილების ნაწყვეტები იმისათვის რომ სწავლებისას გამოიყენოთ. მისიონერთა ყოველ გაკვეთილში დაიზეპირეთ სწავლების მთავარი პუნქტების თანმიმდევრობა. მისიონერები, რომლებიც სწავლობენ უცხო ენას, ენის შესწავლისას უნდა გაამახვილონ თავიანთი ყურადღება მისიონერთა გაკვეთილების სწავლებების მომზადებაზე. მათ უნდა დაიზეპირონ სიტყვები, ფრაზები, წინადადების წყობა და გაკვეთილებში მოცემული მოძღვრების მოკლე ფრაგმენტები, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ჩასწვდებიან ამ ფრაზების და გამოთქმების აზრს. მთელ გაკვეთილს ნუ დაიზეპირებთ.

### ასწავლეთ გარკვეულად

პირველი სამი გაკვეთილის ბოლოს არის სიტყვების სია, რომლებიც შეიძლება უცხო იყოს თქვენი მოწაფეებისათვის. გაარკვიეთ თუ როგორ შეიძლება ამ სიტყვების მარტივად ახსნა. როდესაც ასწავლით, გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ იმისათვის რომ ადვილი იყოს თქვენს მიერ ნათქვამი მოწოდების გაგება.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რის სწავლება გევალებათ თქვენ?**

მოსია 18:18–20 მოძღვრება და აღთქმები 43:15–16 მოძღვრება და აღთქმები 52:9

**რატომ უნდა შეისწავლოთ გაკვეთილებში მოცემული მოძღვრებები?**

ალმა 17:2–3 მოძღვრება და აღთქმები 84:85

# მოწოდება იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ



© 1991 გრეგ კ. ოლსენი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

შენიშვნები

## ჩვენი მიზანი

სწავლების დროს მოამზადეთ მოწაფეები იმისათვის რომ დააკმაყოფილონ მოთხოვნილებები, რომლებიც მოეთხოვებათ მათ, ვინც ინათლება. ეს მოთხოვნილებები მოცემულია მოძღვრება და აღთქმები 20:37 და ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებში. ყველაზე უკეთესად ამის მიღწევა შესაძლებელია თუ მოწაფეებს შესთავაზებთ აიღონ და შეასრულონ ქვემოთ მოცემული ვალდებულებები.

### ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები

- გწამთ, რომ ღმერთი არის ჩვენი მარადიული მამა?
- გწამთ, რომ იესო ქრისტე არის ღმერთის ძე და მსოფლიოს მხსნელი და გამომსყიდველი?
- გწამთ, რომ ეკლესია და იესო ქრისტეს სახარება აღდგენილ იქნა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით?
- გწამთ თუ არა, რომ [დღევანდელი ეკლესიის პრეზიდენტი] არის ღმერთის წინასწარმეტყველი? რას ნიშნავს ეს სიტყვები თქვენთვის?

### ვალდებულებები

- წაიკითხავთ და ილოცებთ იმის გასაგებად, რომ მორმონის წიგნი არის ღმერთის სიტყვა?
- ილოცებთ იმის გასაგებად, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

## ღმერთი არის ჩვენი მოსიყვარულე მამაზეციერი

ღმერთი არის ჩვენი მამაზეციერი. ჩვენ ვართ მისი შვილები. მას აქვს სხეული ხორცით და მვლებით, რომელიც არის დიდებული და სრულყოფილი. მას ჩვენ ვუყვარვართ. ის სტირის ჩვენთან ერთად, როდესაც ჩვენ ვიტანჯებით და უხარია, როდესაც სწორად ვიქცევით. მას სურს ჩვენთან ურთიერთობა და ჩვენ, გულწრფელი ლოცვით, შეგვიძლია მასთან ურთიერთობა.

გაკვეთილი 1:
აღდგენა

შენიშვნები

მან მოგვცა დედამიწაზე ცხოვრების გამოცდილება, იმისათვის რომ ჩვენ ვისწავლოთ და გავიზარდოთ. ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული მის მიმართ სწორი არჩევანის გაკეთებით და მისი მცნებებისადმი მორჩილებით.

მამაზეციერმა ჩვენთვის, მისი შვილებისთვის მოამზადა გზა, რომელიც მიგვიყვანს წარმატებისაკენ ამ ცხოვრებაში და რომლითაც შევძლებთ დაბრუნებას მის სასუფეველში საცხოვრებლად. მაგრამ ამისათვის ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მორჩილება, ვიყოთ წმინდები და უბიწონი. დაუმორჩილებლობა ჩვენ მას გვაშორებს. მამაზეციერის გეგმაში ცენტრალური ადგილი უკავია იესო ქრისტეს გამოსყიდვას. გამოსყიდვა მოიცავს მის ტანჯვას გეთსიმანიის ბაღში ასევე, როგორც ჯვარზე მის ტანჯვას და სიკვდილს. მისი გამოსყიდვის შედეგად ჩვენ შეგვიძლია განვთავისუფლდეთ ცოდვის ტვირთისაგან და განვავითაროთ რწმენა და ძალა, რომ გავუმლოთ ჩვენს განსაცდელებს.

## ღმერღ ის არსებობის რძმენა

განსაზღვრეთ თუ რა პოზიცია უკავია თითოეულ ადამიანს, რომელსაც ასწავლით ღმერთის ქრისტიანულ რწმენაზე. ბევრ ადამიანს თანამედროვე მსოფლიოში ან არ აქვს გარკვეული წარმოდგენა ღმერთზე ან აქვთ სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ღვთაებრიობაზე.

ორი მისიონერი, რომლებიც აღწერილია მორმონის წიგნში, ამონი და აარონი, ასწავლიდნენ ადამიანებს რომლებიც მანამდე არ იცნობდნენ ქრისტიანულ სწავლებებს. ისინი ასწავლიდნენ მარტივ ჭეშმარიტებებს და მოწაფეებს მოუწოდებდნენ ელოცათ. ლამონი და მისი მამა მოიქცნენ. წაიკითხეთ ალმა 18:24–40 და 22:4–23, და უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს:

- რას ასწავლიდნენ ეს მისიონერები ღმერთის ბუნების შესახებ?
- როგორ შეგიძლიათ მიჰყვეთ მათ მაგალითს?

## ძმინდა ძერილების შესძავლა

**როგორი არის მამა ღმერღ ის და იესო ქრისტეს ბუნება?**

| | | |
|---|---|---|
| 1 ნეფი 17:36 | 3 ნეფი 27:13–22 | იოანე 3:16–17 |
| 2 ნეფი 9:6 | მოძღვრება და აღთქმები 38:1–3 | საქმეები 17:27–29 |
| მოსია 4:9 | მოძღვრება და აღთქმები 130:22 | რომაელთა 8:16 |
| 3 ნეფი 12:48 | მოსე 1:39 | ებრაელთა 12:9 |
| 3 ნეფი 14:9–11 | მათე 5:48 | 1 იოანე 4:7–9 |

## სახარება ლოცავს ოჯახებს

აღდგენილი სახარება ლოცავს ქმრებს და ცოლებს, მშობლებს და ბავშვებს, ასევე ეხმარება მათ მალისხმევას ოჯახში ურთიერთგაგების და სულიერი მალის განმტკიცებისათვის. ეს კურთხევები ხელმისაწვდომია ამ ცხოვრებაშიც და მარადისობაშიც. იესო ქრისტეს სახარება გვეხმარება დღევანდელი სირთულეების და წინააღმდეგობების გადალახვაში.

რადგან ოჯახი დაარსებულია ღმერთის მიერ, ის არის საზოგადოების ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილი ამ ცხოვრებაში და მარადისობაშიც. ღმერთმა ჩამოაყალიბა ოჯახები, მისი შვილებისათვის ბედნიერების მოსატანად, რომ მათ სიყვარულით აღსავსე გარემოში ჰქონდეთ სწორი პრინციპების შესწავლის საშუალება და მარადიული სიცოცხლისათვის მომზადება. სახლი არის საუკეთესო ადგილი იესო ქრისტეს სახარების საფუძვლების ახსნისათვის, სწავლისათვის და მათი გამოყენებისათვის. ოჯახი, რომელიც შექმნილია სახარების საფუძვლებზე, იქნება უსაფრთხო თავშესაფარის ადგილი. ეს იქნება ოჯახი უფალის სულით, რომელიც დალოცავს ოჯახის წევრებს მშვიდობით, სიხარულით და ბედნიერებით. საუკუნეების განმავლობაში და ასევე ჩვენს დროსაც, ღმერთი წინასწარმეტყველების მეშვეობით ასწავლიდა მის მიერ შექმნილ ბედნიერების გეგმას, რომელიც არის, როგორც ცალკეული ადამიანებისთვის ასევე ოჯახებისთვისაც.

შენიშვნები

## მამამეციერი ანდობს თავის სახარებას ყოველი წყობის დროს

ყველაზე მთავარი როგორაც ღმერთი გამოხატავს თავის სიყვარულს ჩვენს მიმართ არის, რომ ის მოუწოდებს წინასწარმეტყველებს, რომლებიც იღებენ მღვდლობას, ანუ მალას და უფლებამოსილებას, რომლის მეშვეობით ადამიანს შეუმლია იმოქმედოს ღმერთის სახელით, მისი შვილების ხსნისათვის. წინასწარმეტყველები შეიცნობენ იესო ქრისტეს სახარებას გამოცხადებების გზით. თავის მხრივ ისინი ქადაგებენ სახარებას სხვებისათვის და იესო ქრისტეზე უზიარებენ დამოწმებას, როგორდაც ჩვენს მხსნელზე და გამომსყიდველზე. წინასწარმეტყველების სწავლებები არის მოცემული წმინდა წიგნებში, რომელთა სახელია წმინდა წერილები.

ჩვენი მამის გეგმას, რომელიც საშუალებას გვამლევს, რომ ვიყოთ წარმატებული ამ ცხოვრებაში, შემდეგ დავბრუნდეთ მასთან საცხოვრებლად, ჰქვია იესო ქრისტეს სახარება, რომელშიც იესოს მიერ ჩვენი ცოდვების გამოსყიდვა არის მთავარი ნაწილი. იესო ქრისტეს გამოსყიდვით, ჩვენ შეგვიმლია მივიღოთ მარადიული სიცოცხლე, იმ პირობით თუ ვირწმუნებთ იესო ქრისტეს, მოვინანიებთ და მოვინათლებით წყალში ჩვენი ცოდვების მისატევებლად, მივიღებთ სულიწმინდის მღვენს და გავმლებთ ბოლომდე. ეს გზა არის ერთადერთი და ზეცის ქვეშ არ არსებობს სხვა არც გზა და არც მოცემული სახელი, რითაც ადამიანს შეუმლია მიაღწიოს ხსნას ღვთის სასუფეველში. ეს არის ქრისტეს მომღვრება (იხილეთ 2 ნეფი 31:21). ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის მღვენი, რომელიც მოიცავს სახარების მიღების ან უარყოფის არჩევანსაც, რომელსაც გვასწავლიან წინასწარმეტყველები და მოციქულები. ის ვინც ირჩევს მორჩილებას არიან დალოცვილნი, მაგრამ ისინი, ვინც სახარებას უგულვებელყოფენ, უარყოფენ ან დაამახინჯებენ, არ მიიღებენ ღმერთის დაპირებულ კურთხევებს.

ყოველთვის, როდესაც ადამიანები უგულვებელყოფენ, არ ემორჩილებიან ან ამახინჯებენ, სახარების ნებისმიერ საფუძველს ან მომღვრებას, ყოველთვის როდესაც უარყოფენ უფალის წინასწარმეტყველებს, ყოველთვის როდესაც რწმენით არ გამლებენ ბოლომდე, ისინი შორდებიან ღმერთს და იწყებენ ცხოვრებას სულიერ უკუნეთში. საბოლოო ჯამში ამას მიჰყავთ იქამდე, რასაც ჰქვია უფალისაგან განდგომა. როდესაც განდგომა ფართოდ ვრცელდება, ღმერთი უკან იბრუნებს მღვდლობის უფლებამოსილებას, რომელიც აუცილებელი არის სახარების ქადაგებისათვის და საეკლესიო წეს–ჩვეულებების ჩასატარებლად.



ბიბლიურ ისტორიაში მრავალჯერ აღწერილია შემთხვევები, როდესაც ღმერთი ელაპარაკება წინასწარმეტყველებს, ასევე განდგომის მრავალი შემთხვევები. საყოველთაო განდგომის პერიოდების შესაწყვეტად ღმერთი ყოველთვის იჩენდა მისი შვილების მიმართ სიყვარულს და ნიშნავდა ახალ წინასწარმეტყველს და ანიჭებდა მას მღვდლობის უფლებამოსილებას, იმისათვის რომ აღედგინა და თავიდან ესწავლებინა იესო ქრისტეს სახარება. სინამდვილეში, წინასწარმეტყველი მოქმედებს როგორც მეურვე, რომელიც დანიშნულია იმისათვის რომ იყოს აქ დედამიწაზე ღმერთის სასუფეველის ზედამხედველი. დროის ასეთ პერიოდებს, როდესაც მართველობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ წინასწარმეტყველებს ეწოდება წყობები.

ღმერთმა, ადამს გაანდო იესო ქრისტეს სახარება და მისცა მას მღვდლობის უფლებამოსილება. ადამი იყო პირველი წინასწარმეტყველი დედამიწაზე. გამოცხადებით ადამმა ისწავლა ადამიანის სწორი ურთიერთობა მამა-ღმერთის, მისი მის, იესო ქრისტეს და სულიწმინდის მიმართ, ასევე ჩასწვდა იესო ქრისტეს გამოსყიდვას და აღდგომას, სახარების

შენიშვნები

უპირველეს საფუძვლებსა და წეს–ჩვეულებებს. ადამი და ევა ასწავლიდნენ ამ ჭეშმარიტებებს თავიანთ ბავშვებს, აშხნევებდნენ მათ, რომ განევითარებინათ რწმენა და ცხოვრების ყველა ასპექტში ეხელმძღვანელათ სახარების წესებით. ადამის შემდეგ იყვნენ სხვა წინასწარმეტყველებიც, მაგრამ დროთა განმავლობაში ადამის შთამომავლებმა უარყვეს სახარება, განუდგნენ ღმერთს და აირჩიეს ბიწიერი ცხოვრება.

ასე დაედო დასაბამი წინასწარმეტყველთა წყობის პერიოდს, რომლებსაც მველ აღთქმაში საკმაოდ დიდი ნაწილი უკავიათ. მამაზეციერმა გაანდო თავისი სახარება პირდაპირი ურთიერთობით ისეთ წინასწარმეტყველებს როგორიც: ნოე, აბრაამი და მოსე. ყოველ წინასწარმეტყველს ღმერთი მოუწოდებდა იმისათვის რომ თავიდან ჩამოეყალიბებინა სახარების წყობა. ყოველ ამ წინასწარმეტყველს ღმერთი ამლევდა მღვდლობის უფლებამოსილებას და ანდობდა მარადიულ ჭეშმარიტებებს. სამწუხაროდ ყოველთვის წყობის დროს ადამიანები იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ თავისუფალი არჩევანის უფლებას, უარყოფდნენ სახარებას და ამიტომაც განუდგნენ უფალს.

## წინასწარმეტყველები

გაარკვიეთ თუ რას ფიქრობს ადმიანი, რომელსაც ასწავლით წინასწარმეტყველების შესახებ. არიან ადამიანები სხვადასხვა კულტურებიდან, რომლებსაც სწამთ, რომ წმინდანები ან ზეშთაგონების მქონე ადამიანები იღებენ ღვთაბრივ რჩევებს და მითითებებს. ამისდა მიუხედავად, აღდგენილი სახარების შესაბამისად ყველა ის ადამიანები, რომლებიც იღებენ ზეშთაგონებას არ არიან ღმერთის წინასწარმეტყველები. ნათლად აუხსენით, რომ ღმერთი აშენებს თავის სასუფეველს დედამიწაზე წინასწარმეტყველის დანიშვნით, რომ ახალი წყობა ჩამოაყალიბოს. ის აძლევს დანიშნულ წინასწარმეტყველს მღვდლობის უფლებამოსილებას. თავის მხრივ წინასწარმეტყველი ეხმარება ადამიანებს, რომ გაიაზრონ მათი ურთიერთობა ღვთაებასთან და როგორ შეუძლიათ, იესო ქრისტეს სახარებით მიიღონ მარადიული სიცოცხლე.

თქვენ შეიძლება დაგებადოთ კითხვა მართებულია თუ არა სახარების წყობებზე ისეთ ადამიანებთან საუბარი, რომლებმაც მათი წარმოშობის გამო ბევრი არ იციან ქრისტიანობის შესახებ. მაგრამ თქვენ თუ მათ სახარების წყობების ისტორიას მოკლედ აუხსნით, აღმოაჩენთ, რომ ადამიანებს დაეხმარებით იმის გაგებაში, რომ ღმერთს ყოველთვის უყვარს თავისი შვილები და ის არ იცვლება, ის იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდეც.

## წმინდა წერილების შესწავლა

### წინასწარმეტყველები

იაკობი 4:4, 6
მოსია 8:13–18
საქმეები 10:34–43
ამოსი 3:7

### წყობები

მოძღვრება და აღთქმები 136:36–38
მოსე 5:4–12, 55–59
მოსე 8:19–30
Guide to the Scriptures, „Dispensation"

## მხსნელის ამქვეყნიური მსახურება

ქრისტეს დაბადებამდე რამოდენიმე ასეული წლით ადრე, ადამიანები კვლავ განუდგნენ ღმერთს. მაგრამ როდესაც მხსნელმა დაიწყო ამქვეყნიური მსახურება, მან კვლავ ჩამოაყალიბა მისი ეკლესია დედამიწაზე.

მამაზეციერმა თავისი მე მოავლინა დედამიწაზე იმისათვის რომ გამოესყიდა მთელი კაცობრიობის ცოდვები და დაემარცხებინა სიკვდილი: „რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი მე . . . რათა გადარჩენილიყო სოფელი მის მიერ" (იოანე 3:16–17). ჩვენმა მამაზეციერმა მოავლინა თავისი მე, იესო ქრისტე იმისათვის რათა მას თავისი ტანჯვით აეღო თავის თავზე ყველა ადამიანის ცოდვები, რომლებიც იცხოვრებენ

შენიშვნები

ამ დედამიწაზე, ასევე რომ დაემარცხებინა ფიზიკური სიკვდილი. მხსნელმა გაიღო უსაზღვროდ გამომსყიდველი მსხვერპლშესაწირი იმისათვის რომ თუ ჩვენ მას ვიწამებთ, მოვინანიებთ, მოვინათლებით, მივიღებთ სულიწმინდას და გავძლებთ ბოლომდე, ჩვენ შევძლებთ ჩვენი ცოდვების შენდობის მიღებას და იმ გზით სიარულს, რომელიც მიგვიყვანს ღვთის სასუფეველში მარადიული სიცოცხლისაკენ (იხილეთ 2 ნეფი 31:13–21).



დედამიწაზე მოღვაწეობისას, მხსნელმა იქადაგა თავისი სახარება და მოახდინა მრავალი სასწაული. მან მოუწოდა, თორმეტ კაცს, რომ ყოფილიყვნენ მისი მოციქულები და თავზე ხელდასხმით მათ უბოძა მღვდლობის უფლებამოსილება. მან დააარსა თავისი ეკლესია, შეასრულა ნაწინასწარმეტყველები, ადამიანებმა უარყვეს იგი და ჯვარს აცვეს, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ მან შეასრულა გამოსყიდვა. ღმერთის შვილმა, უფალმა იესო ქრისტემ გააკეთა ყველაფერი, რისთვისაც მამაზეციერმა ის დედამიწაზე მოავლინა.

მხსნელი სანამ მოკვდებოდა და აღსდგებოდა, მან მისცა თავის მოციქულებს უფლებამოსილება, რომ მათ ესწავლებინათ სახარება, ჩაეტარებინათ ხსნის საეკლესიო წეს–ჩვეულებები და ჩამოეყალიბებინათ მისი ეკლესია დედამიწაზე.

### წმინდა წერილების შესწავლა

| | | |
|---|---|---|
| რწმენის სიმბოლოები 1:5 | ლუკა 6:13 | ებრაელთა 5:4 |
| მათე 10:1–10 | იოანე 15:16 | |

## დიდი განდგომა

იესო ქრისტეს სიკვდილის შემდეგ, ბოროტმა ადამიანებმა დაიწყეს მოციქულების და ეკლესიის წევრების დევნა და ბევრი მათგანი მოკლეს. მოციქულების სიკვდილის შემდეგ, მღვდლობის გასაღებები და მღვდლობის მართვის უფლებამოსილება დედამიწიდან აღებულ იქნა. მოციქულები წმინდად ინახავდნენ სახარების მოძღვრებებს და იცავდნენ ეკლესიის წესებს და წევრების ღირსების სტანდარტს. მოციქულების გარეშე, დროთა განმავლობაში, მოძღვრებებს ამახინჯებდნენ და უნებართვო ცვლილებები შეტანილ იქნა ეკლესიის ორგანიზაციაში და მღვდლობის წეს–ჩვეულებებში, მაგალითად: როგორიც ნათლობის და სულიწმინდის მღვენის მინიჭების წეს–ჩვეულებებში.

გამოცხადების და მღვდლობის უფლებამოსილების გარეშე, ხალხი ენდობოდა ადამიანის სიბრძნეს, იმისათვის რომ განემარტათ წმინდა წერილები, ასევე იესო ქრისტეს სახარების საფუძვლები და წეს–ჩვეულებები. ჭეშმარიტებად ისწავლებოდა მცდარი მოსაზრებები. დაიკარგა ცოდნის დიდი ნაწილი, რომელიც იყო მამა ღმერთის ნამდვილ პიროვნებაზე, ბუნებაზე ასევე მისი ძე იესო ქრისტეზე და სულიწმინდაზე. დავიწყებას მიეცა ან დამახინჯდა მოძღვრებები, როგორიც არის იესო ქრისტეში რწმენაზე, მონანიებაზე, ნათლობაზე და სულიწმინდის მღვენზე. მღვდლობის უფლებამოსილება, რომელიც ქრისტეს მოციქულებმა მიიღეს აღარ იყო დედამიწაზე. ამ განდგომამ საბოლოო ჯამში გამოიწვია მრავალი ეკლესიების წარმოქმნა.

საუკუნეებით მყოფი სულიერი სიბნელის შემდეგ, ჭეშმარიტების მამიებელმა ადამიანებმა უარყვეს იმ დროს მიღებული რელიგიური ჩვეულებები. მათ გააცნობიერეს, რომ სახარების მოძღვრებების და წეს–ჩვეულებების დიდი ნაწილი შეცვლილი ან დაკარგული იყო. მათ სურდათ უფრო დიდი სულიერი სინათლის პოვნა და ბევრი მათგანი ლაპარაკობდა ჭეშმარიტების

გაკვეთილი 1: აღდგენა

შენიშვნები

აღდგენის აუცილებლობაზე, თუმცა ისინი არ აცხადებდნენ, რომ იყვნენ ღმერთის მიერ მოწოდებული წინასწარმეტყველები. ამის ნაცვლად, ისინი შეეცადნენ სწავლებების და ადათწესების გარდაქმნას, რომლებიც სწამდათ, რომ იყო შეცვლილი ან დამახინჯებული. მათი მალისხმევის შედეგად შეიქმნა ბევრი პროტესტანტული ეკლესია. ამ რეფორმაციამ გამოიწვია რელიგიური თავისუფლების აუცილებლობის გააზრება, რამაც შემდგომ გზა გაუხსნა სახარების საბოლოო აღდგენას.

მხსნელის მოციქულები წინასწარმეტყველებდნენ ამ საყოველთაო განდგომას. ისინი ასევე წინასწარმეტყველებდნენ, რომ იესო ქრისტეს სახარება და მისი ეკლესია კიდევ ერთხელ აღსდგებოდა დედამიწაზე.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

1 ნეფი 13
2 ნეფი 26:20–21
2 ნეფი 28
4 ნეფი 1:27
მოძღვრება და აღთქმები 86:1–3
მათე 24:9–11
მარკოზი 12:1–9

საქმეები 3:19–21
საქმეები 20:28–30
გალატელთა 1:6–9
2 თესალონიკელთა 2:1–12 (JST მუხლები 2, 3, 7–9)
1 ტიმოთე 4:1–3
2 ტიმოთე 4:3–4
2 პეტრე 2:1–2

ამოსი 8:11–12
Guide to the Scriptures, „Apostasy“
*True to the Faith*, „Apostasy,“ გვერდები 13–14
*Our Search for Happiness*, გვერდები 23–32
*Jesus the Christ*, თავი 40, „The Long Night of Apostasy“

## დიდი განდგომა

მოწაფეს უნდა ესმოდეს, რომ საყოველთაო განდგომა, გამოიწვია იესო ქრისტეს და მის მოციქულთა სიკვდილმა. განდგომა, რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა აღდგენის საჭიროება. როგორც ალმასი უფრო მეტად ბრწყინავს შავ ხავერდზე დაბნეული, ასე კაშკაშებს აღდგენა დიდი განდგომის ბნელ ფონზე. სულიწმინდის კარნახის მიხედვით, განუმარტეთ მოწაფეებს დიდი განდგომის თემა, მათი საჭიროებების და გარემოებების შესაბამისი დეტალებით. თქვენი მიზანი არის, რომ დაეხმაროთ მათ გაიგონ, იესო ქრისტეს სახარების აღდგენის აუცილებლობა.

### მნიშვნელოვანი მომენტები

- იესო ქრისტეს ეკლესია აგებულია მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე (იხილეთ ეფესელთა 2:19–20; 4:11–14). ამ წინამძღვარებს აქვთ ღვთაებრივი მღვდლობის უფლებამოსილება. გამოცხადებებით ისინი წინამძღვარობენ და მართავენ ეკლესიას. ისინი უზრუნველყოფენ მოძღვრების სიწმინდეს, იძლევიან ნებართვას საეკლესიო წეს–ჩეულებების ჩასატარებლად, ადამიანებს მოუწოდებენ და ანიჭებენ მათ მღვდლობის უფლებამოსილებას .
- ადამიანებმა უარყვეს და მოკლეს იესო ქრისტე და მოციქულები (იხილეთ მათე 24:9; 1 ნეფი 11:32–34; 2 ნეფი 27:5). მოციქულების სიკვდილთან ერთად, ეკლესიაში აღარ იყო მღვდლობის მართვის უფლებამოსილება. ამისდა შესაბამისად არავის აღარ ჰქონდა უფლებამოსილება, იმისათვის რომ მიენიჭებინათ სულიწმინდის ძღვენი ან ჩაეტარებინათ ხსნისათვის საჭირო საეკლესიო წეს–ჩეულებები. შეწყდა გამოცხადებები და მოძღვრება წაიბილწა.
- მოციქულების სიკვდილამდეც კი, წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაციები რელიგიური მოძღვრებების განსხვავებების გამო. რომის იმპერია, რომელიც თავიდან დევნიდა ქრისტიანობას მოგვიანებით გაქრისტიანდა. მთავარი რელიგიური საკითხები განიხილებოდა საბჭოებზე. უბრალო მოძღვრებები და წეს–ჩეულებები, რომლებსაც მხსნელი ასწავლიდა, ასევე განიხილებოდა საბჭოებზე და შეჰქონდათ ცვლილებები იმისათვის რომ მიესადაგებინათ ამქვეყნიური ფილოსოფიური მოსაზრებებისთვის (იხილეთ ესაია 24:5). ისინი ცვლიდნენ წმინდა წერილებს, საიდანაც ამოღებულ იქნა უბრალო და ძვირფასი მოძღვრებები (1 ნეფი 13:26–40). მათ შექმნეს მრწამსები, ანუ სარწმუნოებრივი დებულებები, რომლებიც ეფუძვნებოდა ცრუ და დამახინჯებულ მოძღვრებას (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:19). ამპარტავნობის გამო, ზოგიერთი ცდილობდა მიეღწია საზოგადოებაში მაღალი, გავლენიანი მდგომარეობისათვის (იხილთ 3 იოანე 1:9–10). ხალხმა მიიღო ეს ცრუ იდეები და პატივს მიაგებდნენ ცრუ მასწავლებლებს, რომლებიც ღვთაებრივი ჭეშმარიტებების ნაცვლად, ქადაგებდნენ მათთვის მოსახერხებელ მოძღვრებებს (იხილეთ 2 ტიმოთე 4:3–4).

შენიშვნები

- კაცობრიობის ისტორიაში, მრავალ ადამიანებს გულწრფელად სწამდათ ცრუ მრწამსებისა და მოძღვრებებისა. ადამიანები ეთაყვანებოდნენ ღმერთს იმ სინათლის მიხედვით, რომელიც მათ გააჩნდათ და თავიანთ ლოცვებში იღებდნენ პასუხებს. ამისდა მიუხედავად ისინი არიან სიმართლისაგან დატყვევებულნი შორს, რადგან არ იციან სად ეძიონ ის (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 123:12).
- აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ჭეშმარიტების აღდგენა და არა ეკლესიის გარდაქმნა. მოციქული პეტრესაგან, მღვდლობის უფლებამოსილების გადაცემა უწყვეტ ჯაჭვად არ გაგრძელდა. გარდაქმნა – ნიშნავს, უკვე არსებულის შეცვლას, აღდგენა – ნიშნავს, პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას. ამიტომაც, ღვთიური მაცნეების მეშვეობით მღვდლობის უფლებამოსილების აღდგენა იყო ერთადერთი გზა, რითაც შეიძლებოდა დიდი განდგომის გადალახვა.

## იოსებ სმითის მეშვეობით იესო ქრისტეს სახარების აღდგენა

როდესაც პირობები იყო შესაფერისი, მამაზეციერმა გამოავლინა სიყვარული და კიდევ ერთხელ მიმართა თავის შვილებს. მან მოუწოდა ახალგაზრდა კაცს, სახელად იოსებ სმითს, რომ ყოფილიყო წინასწარმეტყველი. იოსებ სმითის მეშვეობით, დედამიწაზე აღსდგა იესო ქრისტეს სახარება მთელი სისრულით.

იოსებ სმითი ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც იმ დროს ალბათ ერთადერთი ქვეყანა იყო რელიგიური თავისუფლებით. აღმოსავლეთ შტატებში იმ დროს შეინიშნებოდა არაჩვეულებრივად მლიერი რელიგიური აქტიურობა. იოსების ოჯახის წევრები იყვნენ ღრმად რელიგიური ადამიანები და ყოველთვის ემებდნენ ჭეშმარიტებას. მაგრამ მაშინ ბევრი რელიგიური მქადაგებელი ამტკიცებდა, რომ მათ ჰქონდათ ჭეშმარიტი სახარება. იოსებს სურდა გაეგო „თუ რომელი იყო ამ სექტებიდან მართალი“ (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:18). ბიბლია გვასწავლის, რომ „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება“ (ეფესელთა 4:5). იოსები ესწრებოდა სხვადასხვა ეკლესიების შეკრებებს, მაგრამ შეცბუნებული იყო მასზედ, თუ რომელ ეკლესიას უნდა მიერთებოდა. მოგვიანებით მან დაწერა:

„იმდენად დიდი იყო დაბნეულობა და დაპირისპირება სხვადასხვა რელიგიური მიმართულებებს შორის, რომ ახალგაზრდა ადამიანისათვის, როგორიც ვიყავი მე. . . შეუმლებელი იყო გაგება, რომელი იყო მათ შორის მართალი და რომელი მტყუანი. ასეთი სიტყვების ომსა და მოსაზრებების ალიაქოთში მყოფი ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: რა გავაკეთო? რომელი არის ამ ჯგუფებში მართალი? ან შეიმლება ყველანი ერთად არ არიან მართლები? მაგრამ რომელიმე მათგანი თუ არის მართალი, რომელია ის და როგორ შევმლებ ამის გაგებას?“ (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:8, 10).

სხვადასხვა სარწმუნოებებს შორის ჭეშმარიტების პოვნის სურვილით, რჩევისათვის იოსებმა მიმართა ბიბლიას. მან წაიკითხა, „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს და მიეცემა“ (იაკობი 1:5). ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ იოსებმა გადაწყვიტა მიემართა ღმერთისათვის შეკითხვით, თუ რა უნდა გაეკეთებინა. 1820 წლის გაზაფხულს იგი წავიდა ახლოდმდებარე პატარა ტყეში და ლოცვისათვის მუხლებზე დაიჩოქა. მან ასეთნაირად აღწერა შემდგომი მოვლენები:

„მე დავინახე მზეზე უფრო კაშკაშა სინათლის სვეტი პირდაპირ ჩემი თავის ზევით, რომელიც თანდათანობით ეშვებოდა, სანამ ბოლოს მე არ დამეცა. . . როდესაც სინათლე მთლიანად მომეფინა, მე დავინახე ორი პიროვნება, რომლებიც იდგნენ ჰაერში ჩემს ზევით, რომელთა სიკაშკაშის და დიდების სიტყვებით აღწერა შეუმლებელია. ერთერთმა მათგანმა მომმართა სახელით, მიმითითა მეორეზე და სთქვა: *ეს არის ჩემი საყვარელი მე, მოუსმ ინე მას!*“ (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:16–17).

**გაკვეთილი 1: აღდგენა**

შენიშვნები



ამ ხილვაში მამა ღმერთი და მისი ძე, იესო ქრისტე, გამოეცხადნენ იოსებ სმითს. მხსნელმა უთხრა იოსებს, რომ არ შეერთებოდა არცერთ ეკლესიას რადგან „არცერთი მათგანი არ იყო მართალი“ და „მათი ყველა მრწამსი იყო, ბიზღი.“ იესომ სთქვა, „ისინი მიახლოვდებიან თავიანთი ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან, ისინი ადამიანთა მცნებებს მომღვრებასავით ასწავლიან, ღვთიურად მოაქვთ თავი ისინი კი უარყოფენ ღმერთის მალას“ (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:19). მიუხედავად იმისა, რომ მრავალ კარგ ადამიანს სწამდა ქრისტესი და ისინი ცდილობდნენ მისი სახარების გაგებას და ქადაგებას, მათ არ ჰქონდათ მთლიანი ჭეშმარიტება, არც მღვდლობის უფლებამოსილება, იმისათვის რომ ადამიანები მოენათლათ და ჩაეტარებინათ ხსნის სხვა საეკლესიო წეს–ჩეულებები. მემკვიდრეობით, ყოველი თაობა იმყოფებოდა წინა თაობის გავლენის ქვეშ და ასე ყოველი ახალი თაობა შთამომავლობით იღებდა წინაპართა განდგომის შედეგებს, ასევე დამახინჯებულ მომღვრებას და საეკლესიო წეს–ჩვეულებებს, როგორიც არის ნათლობა. ისევე როგორც უწინ ღმერთმა მოუწოდა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს და სხვა წინასწარმეტყველებს, მან მოუწოდა იოსებ სმითს, რომ ყოფილიყო წინასწარმეტყველი, რომლითაც, დედამიწაზე აღსდგა სახარების სისრულე და სისავსე.

მამის და მისი მის გამოცხადების შემდეგ, სხვა ღვთიური მაცნეები ან ანგელოზებიც გამოეცხადნენ იოსებ სმითს და მის თანაშემწეს ოლივერ კაუდერის. იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და მიანიჭა იოსებ სმითს და ოლივერ კაუდერის აარონის მღვდლობა, რომელის უფლებამოსილებით შესამლებელი იყო ნათლობის ჩატარება. პეტრე, იაკობი და იოანე (სამი ქრისტეს პირვანდელი მოციქულთაგან) გამოეცხადნენ და მიანიჭეს მელქიცედეკის მღვდლობა იოსებ სმითს და ოლივერ კაუდერის, რითაც აღადგინეს მღვდლობის იგივე უფლებამოსილება რომლებსაც მველად ფლობდნენ ქრისტეს მოციქულები. მღვდლობის ამ უფლებამოსილებით, იოსებ სმითს მიეცა მითითებები, რათა დედამიწაზე კვლავ ჩამოეყალიბებინა იესო ქრისტეს ეკლესია. იოსებ სმითის მეშვეობით, იესო ქრისტემ მოუწოდა თორმეტ მოციქულს.

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ბიბლიური წინასწარმეტყველები ბოლო დღეებს უწოდებდნენ, უკანასკნელ დღეებს ანუ ჟამთა აღვსების წყობას. ეს არის დროის ის პერიოდი, რომელიც წინ უძღვის იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას. ეს არის უკანასკნელი წყობა. აი ამიტომ ეკლესიის სახელწოდებაა, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია.

ცოცხალი წინასწარმეტყველი მართავს დღეს ეკლესიას. ეს წინასწარმეტყველი, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის პრეზიდენტი, არის იოსებ სმითის სრულუფლებიანი მემკვიდრე. მისი და ამჟამინდელი მოციქულების უფლებამოსილება ხელდასხმით არის უწყვეტი ჯაჭვით დაკავშირებული, იესო ქრისტესთან იოსებ სმითის მეშვეობით.

### ისძავლეღ ზეპირად იოსებ სმიღ ი—ისტორია 1:16–17

დაიზეპირეთ თუ როგორ აღწერა იოსებ სმითმა მამის და ძის ხილვა (იოსებ სმითი—ისტორია 1:16–17), ასევე ყოველთვის მზად იყავით მოყვეთ პირველი ხილვა, იოსებ სმითის სიტყვებით. მოყოლისას არ იჩქაროთ. გაუზიარეთ გულწრფელი დამოწმება, რომ თქვენ იცით რომ ეს არის ჭეშმარიტება. თამამად აუხსენით თუ როგორ გაიგეთ ამ სიტყვების ჭეშმარიტების შესახებ. სთხოვეთ თქვენს ძმადნაფიც მისიონერს გააკეთოს იგივე.

შენიშვნები

### გაუზიარეღ ღ ქვენი დამოძმება

მისიონერის მოვალეობის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია - გაუზიაროს დამოწმება დღევანდელ წინასწარმეტყველზე და ეკლესიის პრეზიდენტზე.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

2 ნეფი 3
მოძღვრება და აღთქმები 112:30
ეფესელთა 1:10
ეფესელთა 4:5
იაკობი 1:5
ბროშურა, *წინასწარმეტყველი იოსებ სმითის დამოწმება*

## მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ



მამაზეციერმა იცოდა, რომ საუკუნეებით სიბნელის შემდეგაც კი, კვლავ იქნებოდა ეჭვი, ურწმუნოება და დეზინფორმაცია, ამიტომ ჩვენმა მოსიყვარულე მამაზეციერმა მსოფლიოს უბოძა უძველესი წმინდა წერილების წიგნი, რომელიც არის ბიბლიის ბადალი და რომელიც მოიცავს იესო ქრისტეს მარადიული სახარების სისრულეს. წმინდა წერილების ეს წიგნი წარმოადგენს სარწმუნო მტკიცებას, რომ იოსებ სმითი ნამდვილად არის ღმერთის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი. ეს წიგნი არის მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ.

ღვთიური მაცნე სახელად მორონიმ მიასწავლა გზა იოსებ სმითს გორაკზე, სადაც საუკუნეების განმავლობაში ოქროს ფირფიტები იყო დამალული. ამ ოქროს ფირფიტებზე იყო წინასწარმეტყველთა ხელნაწერები, რომლებიც აღწერენ ღმერთის ურთიერთობას უძველეს ხალხებთან ამერიკის კონტინენტებზე. ღმერთის ძალით იოსებ სმითმა გადათარგმნა ეს ფირფიტები. მორმონის წიგნში აღწერილმა წინასწარმეტყველებმა იცოდნენ მხსნელის მისიის შესახებ და ქადაგებდნენ მის სახარებას. აღდგომის შემდეგ, ქრისტე გამოეცხადა ამ ადამიანებს. მან უქადაგა მათ სახარება და დააარსა თავისი ეკლესია. მორმონის წიგნი ადასტურებს ამას, რომ ღმერთი შთააგონებს ადამიანებს და მოუწოდებს მათ თავისი წმინდა საქმისათვის ამ საუკუნეში, ამ თაობას, ისე როგორც მოუწოდებდა წარსულ თაობებს (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 20:11). იმისათვის რათა პიროვნებამ გაიგოს, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება, მან ის უნდა წაიკითხოს, იფიქროს მასზე და ილოცოს. ჭეშმარიტების პატიოსანი მამიებელი, მალე იგრძნობს, რომ მორმონის წიგნი არის ნამდვილად ღმერთის სიტყვა.

მორმონის წიგნის კითხვა, მასზე ფიქრი და ლოცვა არის აუცილებელი იმისათვის რომ რწმენაში მოქცევა იყოს მტკიცე და ხანგრძლივი. ისინი რომლებიც პირველად იწყებენ მორმონის წიგნის კითხვას, აკეთებენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, იმისაკენ რათა გაიგონ, რომ იოსებ სმითი არის ღმერთის წინასწარმეტყველი და დედამიწაზე იქნა აღდგენილი ჭეშმარიტი ეკლესია.

შენიშვნები

## გამოიყენეთ მორმონის წიგნი, აღდგენის ჭეშმარიტების დასადასტურებლად

აქ მოყვანილია მაგალითი იმისა თუ რა შეგიძლიათ სთქვათ, როდესაც წარადგენთ მორმონის წიგნს:

„ღმერთს უყვარს თავისი შვილები, ამიტომ მან მოგვცა სარწმუნო საშუალება, რომ დავადასტუროთ ჩვენი ნათქვამის ჭეშმარიტება. ეს საშუალება არის მორმონის წიგნი. თუ წაიკითხავთ ამ წიგნის შესავალის ბოლო ორ პარაგრაფს?" თუ მორმონის წიგნის ამჟამინდელ თარგმანი არ მოიცავს შესავალს, წაიკითხეთ და შეაჯამეთ ინგლისური მორმონის წიგნის შესავალის ბოლო ორი პარაგრაფი.

დაწვრილებით აუხსენით ყოველი იდეის მნიშვნელობა, რომელიც ამ პარაგრაფებში არის მოცემული და სთხოვეთ მოწაფეს აიღოს ვალდებულება, რომ წაიკითხავს მორმონის წიგნის ნაწყვეტებს და მიჰყვება იმ დარიგებებს, რომელიც აღწერილია ამ ორ პარაგრაფში.

როდესაც ადამიანს წარუდგენთ მორმონის წიგნს, სასარგებლო იქნება თუ მას აჩვენებთ წიგნის ეგზემპლარს, მოკლედ მოუყვებით შინაარსს და წაუკითხავთ რამოდენიმე ისეთ ნაწყვეტებს, რომლებსიც პირადად თქვენთვის არის მნიშვნელოვანი და შეიძლება მოწაფისთვისაც გახდეს მნიშვნელოვანი.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

მორმონის წიგნის თავფურცელი

მორმონის წიგნის შესავალი, პარაგრაფები 1–7

მოძღვრება და აღთქმები 1:17–23

მოძღვრება და აღთქმები 20:5–12

იოსებ სმითი—ისტორია 1:27–64

## ილოცეთ, სულიწმინდით ჭეშმარიტების გასაგებად

აღდგენის ეს მოწოდება ან არის ჭეშმარიტება ან არა. ჩვენ შეგვიძლია სულიწმინდის ძალით გავიგოთ, რომ ის არის ჭეშმარიტება, როგორც ეს არის დაპირებული მორონი, 10:3–5. მორმონის წიგნში მოწოდების წაკითხვის და მისი მოფიქრების შემდეგ, ნებისმიერი, ვინც მოისურვებს ჭეშმარიტების გაგებას, ლოცვისას იესო ქრისტეს სახელით უნდა შეეკითხოს ჩვენს მამაზეციერს, ჭეშმარიტია თუ არა ეს მოწოდება. ამისათვის მივმართავთ ჩვენს მამაზეციერს. მადლობას ვუხდით ჩვენი კურთხევებისათვის და ვთხოვთ, რომ გაგვაცნობიეროს მორმონის წიგნის ჭეშმარიტების შესახებ. ლოცვის გარეშე, ვერავინ ვერ შეიცნობს სულიერ ჭეშმარიტებებს.

**ლოცვა**

- მიმართეთ ჩვენს მამაზეციერს („ჩვენო მამაზეციერო. . .").
- გამოხატეთ თქვენი გულის გრძნობები (მადლიერება, შეკითხვები, თხოვნა, რომ დაგიმოწმოთ მორმონის წიგნის ჭეშმარიტება და ა.შ.).
- დაასრულეთ ლოცვა („იესო ქრისტეს სახელით, ამინ").

ჩვენი ლოცვების საპასუხოდ, გრძნობებით და ფიქრებით სულიწმინდა გვასწავლის ჭეშმარიტებას. გრძნობები, რომლებსაც ვიღებთ სულიწმინდისაგან არიან მლიერი, მაგრამ ამავე დროს, როგორც წესი ეს გრძნობები არიან ნაზი და ხმადაბალი, ჩვენ მათ ყური უნდა დავუგდოთ. როდესაც ვიგრძნობთ, რომ ის რასაც ვსწავლობთ არის ჭეშმარიტება, ჩვენ გაგვიჩნდება სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი გავიგოთ აღდგენის შესახებ.

ვიცით რა, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება, ეს ცოდნა ჩვენ მიგვიყვანს იმის გააზრებამდე, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველად მოწოდებული და მისი მეშვეობით იესო ქრისტეს სახარება იქნა აღდგენილი.

## ლოცვა

თუმცა ლოცვას დიდი როლი უკავია სხვადასხვა რელიგიებში და კულტურებში, მას იშვიათად განიხილავენ როგორც ადამიანის ღმერთთან ორმხრივი ურთიერთობის საშუალებას. დაეხმარეთ მათ, ვისაც ასწავლით იმის გააზრებაში, რომ ლოცვისას მათ შეუძლიათ თავიანთი გულის გრძნობების გამოთქმა. აჩვენეთ ეს თქვენი ლოცვით, რომელსაც იტყვით გაკვეთილის დასაწყისში და დასრულებისას. გამოიყენეთ უბრალო სიტყვები იმისათვის რომ მათაც შესძლონ ლოცვისას იგივე სიტყვების გამოყენება. დაეხმარეთ მათ იმის გაგებაში, რომ მამაზეციერი ხშირად უპასუხებს მათ ლოცვებს გულის გრძნობებით და ფიქრებში მოსული აზრებით. თუ ისინი არიან გულწრფელნი და ნამდვილად სურთ გაიგონ თუ არსებობს ნამდვილად ღმერთი, ის მათ უპასუხებს. გაკვეთილის ბოლოში ოჯახის უფროსს შესთავაზეთ, რომ მუხლმოყრილი სთქვას ლოცვა.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

ალმა 5:45–46
იოანე 14:26
მორმონის წიგნის შესავალი, პარაგრაფები 8–9
მოძღვრება და აღთქმები 8:2–3

## ნაღ ლობის შეღ ავაზება

ამ გაკვეთილის ან კიდევ ნებისმიერი სხვა გაკვეთილის ჩატარებისას, ნუ მოგერიდებათ ადამიანებისათვის ნათლობის და წევრად დამტკიცების შეთავაზება.

იმისათვის რომ ადამიანები მოემზადონ ნათლობის და წევრად დამტკიცების შეთავაზებისათვის, ასწავლეთ მათ ნათლობის მოძღვრება და ხშირად გაუზიარეთ დამოწმება იმაზე, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი უფლებამოსილებით ყველა ადამიანის ნათლობას, ცოდვების მიტევებისა და სულიწმინდის შესანიშნავი ძღვენის მიღებას. თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, „როდესაც გრძნობთ, რომ უფალი პასუხობს თქვენს ლოცვებს და გრძნობთ ამ მოწოდების ჭეშმარიტებას, მოინათლებით, რომ მიჰყვეთ იესო ქრისტეს მაგალითს?“

ნათლობის და წევრად დამტკიცების შეთავაზების დროს უნდა იყოთ კონკრეტული და პირდაპირი: „მიჰყვებით თუ არა იესო ქრისტეს მაგალითს და მოინათლებით შესაფერისი ძალა-უფლებით აღჭურვილი პირის მიერ? ჩვენ ნათლობის წირვას გავუძღვებით (თარიღი). მოემზადებით, რომ მოინათლოთ ამ დღეს?“

შენიშვნები

გაკვეთილი 1:
აღდგენა

შენიშვნები

## იდეები სწავლებისათვის

ამ განყოფილებაში მოცემული იდეები, თქვენთვის სასარგებლო იქნება მოცემული გაკვეთილის მოსამზადებლად და ჩასატარებლად. ილოცეთ და მოუსმინეთ სულის კარნახს, რომ გადაწყვიტოთ თუ როგორ გამოიყენებთ მათ. თქვენს მიერ ამორჩეული იდეები ჩართეთ გაკვეთილის გეგმაში. გახსოვდეთ, რომ ეს იდეები არის მხოლოდ შემოთავაზებული წინადადებები და არა მოთხოვნა, იმისათვის რომ დაგეხმაროთ თქვენი მოწაფეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

### მოკლე გაკვეთილის გეგმა (3–5 ძუთი)

დედამიწაზე, საუკუნეების განმავლობაში დაკარგული, იესო ქრისტეს სახარება, ჩვენი მოსიყვარულე მამაზეციერის მიერ, და ცოცხალი წინასწარმეტყველის მეშვეობით იქნა აღდგენილი. მორმონის წიგნი არის ამის დამადასტურებელი საბუთი. თქვენ შეგიძლიათ ის ხელში აიღოთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ და მოიფიქროთ თუ როგორ შეუძლია ამ წიგნის შინაარსს გააუმჯობესოს თქვენი ცხოვრება, ასევე შეგიძლიათ ილოცოთ იმის გასაგებად, რომ ის ნამდვილად არის ღმერთის სიტყვა.

- ღმერთი არის ჩვენი მოსიყვარულე მამაზეციერი
- სახარება ლოცავს ოჯახებს
- მამაზეციერი ანდობს თავის სახარებას ყოველი წყობის დროს
- მხსნელის ამქვეყნიური მსახურება და გამოსყიდვა
- დიდი განდგომა
- იოსებ სმითის მეშვეობით იესო ქრისტეს სახარების აღდგენა
- მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ
- ილოცეთ, სულიწმინდით ჭეშმარიტების გასაგებად

ვალდებულებები

- წაიკითხავთ და ილოცებთ იმის გასაგებად, რომ მორმონის წიგნი არის ღმერთის სიტყვა?
- ილოცებთ იმის გასაგებად, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

### საშუალო ხანგრძლივობის გაკვეთილის გეგმა (10–15 ძუთი)

ჩვენი მოწოდება არის მნიშვნელოვანი და ამავე დროს უბრალო. ღმერთი არის ჩვენი მამა. ჩვენ ვართ მისი შვილები. ჩვენ ვართ მისი ოჯახის ნაწილი. მას ჩვენ ვუყვარვართ. მსოფლიოს შექმნის დღიდან ის იჩენდა სიყვარულს და ზრუნავდა ჩვენზე. მრავალჯერ, სიყვარულით, მან გაანდო და შესთავაზა ადამიანებს იესო ქრისტეს სახარება, რომ მისმა შვილებმა იცოდნენ თუ როგორ დაუბრუნდნენ მას. მან ეს გაანდო წინასწარმეტყველებს, როგორებიც იყვნენ ადამი, ნოე, აბრაამი და მოსე. მაგრამ ადამიანები კვლავ და კვლავ უარყოფდნენ სახარებას. ორი ათასი წლის წინ, იესო ქრისტემ თვავდ იქადაგა თავისი სახარება, დააარსა ეკლესია და შეასრულა გამოსყიდვა. დაუჯერებელია მაგრამ, ადამიანებმა იესოც კი უარყვეს. ყოველთვის, როდესაც ადამიანები უგულვებელყოფენ ან ამახინჯებენ ჭეშმარიტ მოძღვრებებს და საეკლესიო წეს–ჩვეულებებს, ღმერთი აიღებს უკან თავის ეკლესიის მართვისთვის აუცილებელ უფლებამოსილებას.

შენიშვნები

ჩვენ გთავაზობთ თქვენ და ასევე ყველა ადამიანებს, რომ იმ ჭეშმარიტებე-ბის, რასაც თქვენ აფასებთ, დამატებითად მიიღოთ ახალი. განიხილეთ ჩვენი მტკიცება იმაზე, რომ მამაზეციერმა და მისმა ძემ, იესო ქრისტემ, სიყვარულით კვლავ მიმართეს ღმერთის შვილებს და წინასწარმეტყველს გაანდეს მთელი სახარება. ამ წინასწარმეტყველის სახელია იოსებ სმითი. ამ შესანიშნავი ჭეშმარიტების მტკიცებულება შეგვიძლია ვიპოვოთ განსაკუთრებულ წიგნში – მორმონის წიგნში და თქვენ შეგიძლიათ წაიკი-თხოთ ის, მოიფიქროთ და ილოცოთ მასზე. თუ გულწრფელად ილოცებთ, ნამდვილი განძრახვით და ქრისტეს რწმენით, ღმერთი სულიწმინდის ძალით გეტყვით, რომ ეს არის ჭეშმარიტება.

ვალდებულებები

- წაიკითხავთ და ილოცებთ იმის გასაგებად, რომ მორმონის წიგნი არის ღმერთის სიტყვა?
- ილოცებთ იმის გასაგებად, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

## მთლიანი გაკვეთილის გეგმა (30–45 წუთი)

- ღმერთი არის ჩვენი მოსიყვარულე მამაზეციერი
  - ჩვენ ვართ ღმერთის შვილები (იხილეთ საქმეები 17:29).
  - ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ და ის დაგვეხმარება, სწორი არჩევანის გაკეთებაში.
  - იესო ქრისტეს წყალობით, ჩვენ შეგვიძლია კვლავ ვიცხოვროთ ღმერთთან (იხილეთ იოანე 3:16–17).
- სახარება ლოცავს ოჯახებს
  - იესო ქრისტეს სახარება ეხმარება ოჯახებს ურთიერთობების დამყარებაში.
  - ოჯახი არის ღმერთის მიერ დაარსებული და ის არის საზოგადოების ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილი, ამ ცხოვრებაში და სამარადი-სოდ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 49:15–16).
  - ოჯახი არის ყველაზე საუკეთესო ადგილი სწავლებისათვის, სწავლისა-თვის და სახარების საფუძვლების გამოყენებისათვის (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 68:25; დაბადება 18:19; მეორე რჯული 6:7).
  - ოჯახი შეიძლება, რომ გახდეს მშვიდობის, სიხარულის და უსაფრთხოე-ბის ადგილი.
- მამაზეციერი ანდობს თავის სახარებას ყოველი წყობის დროს
  - ღმერთი ნიშნავს წინასწარმეტყველებს, რომ ასწავლონ მისი სახარება (იხილეთ ამოსი 3:7).
  - განდგომა ნიშნავს წინასწარმეტყველების და სახარების უარყოფას.
  - წყობა არის დროის ისეთი პერიოდი, როდესაც წინასწარმეტყველები ასწავლიან სახარებას. წინა წყობები დასრულდნენ განდგომით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 136:36–38).

გაკვეთილი 1:
აღდგენა

შენიშვნები

- – ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე და სხვა უძველესი წინასწარმეტყველები სახარებას ასწავლიდნენ (იხილეთ მოსე 5:4–12).

- მხსნელის ამქვეყნიური მსახურება და გამოსყიდვა
  - – ღმერთის ძემ აღადგინა და იქადაგა სახარება. მან მოახდინა მრავალი სასწაული (იხილეთ Guide to the Scriptures, „Miracle," 165).
  - – მან მოუწოდა თავის მოციქულებს და უბოძა მათ მღვდლობის უფლება-მოსილება, რომ ექადაგათ სახარება და ჩაეტარებინათ ხსნის საეკლესიო წეს–ჩვეულებანი, როგორიც არის ნათლობა (იხილეთ იოანე 15:16).
  - – ქრისტემ დააარსა თავისი ეკლესია.
  - – ადამიანებმა ქრისტე ჯვარს აცვეს, მისი მოციქულები უარყვეს და მოკლეს (იხილეთ მათე 27:35; მარკოზი 15:25).
  - – ქრისტემ შეასრულა გამოსყიდვა (იხილეთ Guide to the Scriptures, „Atone, Atonement," 22–23).

- დიდი განდგომა
  - – წინასწარმეტყველის გამოცხადების გარეშე, ადამიანები ჩავარდნენ სულიერ სიბნელეში (იხილეთ ამოსი 8:11–12).
  - – წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა იწინასწარმეტყველეს, რომ იქნებოდა დიდი განდგომა (იხილეთ 2 თესალონიკელთა 2:1–3).

- იოსებ სმითის მეშვეობით იესო ქრისტეს სახარების აღდგენა
  - – იოსები ეძებდა ჭეშმარიტებას (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:8, 10).
  - – ღმერთი და იესო ქრისტე გამოეცხადნენ იოსებ სმითს (იხილეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:16–17).
  - – როგორც ძველი წყობის წინასწარმეტყველები, იოსებ სმითი წინასწარმეტყველად იქნა მოწოდებული ამ ბოლო წყობისათვის.
  - – ღმერთმა იოსებ სმითის მეშვეობით აღადგინა სახარების სისრულე (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 35:17; 135:3).
  - – სხვა ზეციურმა მაცნეებმა აღადგინეს მღვდლობა და ქრისტეს ეკლესია იქნა ორგანიზებული (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 13; 27:12).
  - – დღეს ცოცხალი წინასწარმეტყველი ხელმძღვანელობს ეკლესიას.

- მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ
  - – მორმონის წიგნი არის სარწმუნო დასტური, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი.
  - – იოსებმა ღმერთის ძალით გადათარგმნა ოქროს ფირფიტები (იხილეთ მორმონის წიგნის შესავალი, პარაგრაფი 5).
  - – მორმონის წიგნი არის იმის დასტური, რომ ღმერთი დღესაც შთააგონებს წინასწარმეტყველებს ისე როგორც ის აკეთებდა ამას ყველა სხვა წყობის დროს (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 20:5–12).
  - – მორმონის წიგნი მოიცავს იესო ქრისტეს მთლიან სახარებას (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 20:8–9).

შენიშვნები

- ილოცეთ, სულიწმინდით ჭეშმარიტების გასაგებად
  – თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება (იხილეთ მორონი 10:3–5; მორმონის წიგნის შესავალი, პარაგრაფი 1, 8–9).
  – სულიწმინდა გასწავლით, თქვენი ფიქრების და გრძნობების მეშვეობით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 8:2–3).

ვალდებულებები

- წაიკითხავთ და ილოცებთ იმის გასაგებად, რომ მორმონის წიგნი არის ღმერთის სიტყვა?
- ილოცებთ იმის გასაგებად, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

## შეკითხვები, რომლებსაც უსვამთ გაკვეთილის ბოლოს

- გაქვთ რაიმე შეკითხვები, მოცემული გაკვეთილის შესახებ?
- დღეს დედამიწაზე, რომ ყოფილიყო წინასწარმეტყველი, თქვენ რას შეეკითხებოდით მას?
- გრძნობთ, რომ ღმერთს ესმის თქვენი ლოცვები? რატომ?
- გსურთ, რომ თქვენთვის გაარკვიოთ არის თუ არა მორმონის წიგნი ჭეშმარიტება? რატომ?

## ძირითადი განმარტებები

- **თავისუფალი არჩევანი:** შესაძლებლობა და პრივილეგია, რომელიც ღმერთმა უბოძა ადამიანებს, რათა მათ თვითონ მიიღონ თავიანთი გადაწყვეტილებები.

- **განდგომა:** ჭეშმარიტების უარყოფა, პიროვნების, ეკლესიის ან მთელი ერის მიერ. განდგომა მოიცავს აჯანყებას წინამძღვარების წინააღმდეგ და წინასწარმეტყველების უარყოფას. განდგომის აშკარა ნიშნებია, ღმერთის კანონების დარღვევა, სახარების წეს–ჩვეულებების შეცვლა და აღთქმების არ შესრულება (იხილეთ ესაია 24:5).

- **წყობა:** დროის პერიოდი, როდესაც უფალს ჰყავს არანაკლებ ერთი სრულუფლებიანი მსახური დედამიწაზე, რომელიც აღჭურვილია წმინდა მღვდლობის გასაღებებით. იესო ქრისტეს ჩათვლით, სახარების ახალი წყობის წამომწყებები იყვნენ ისეთი წინასწარმეტყველები, როგორებიც იყვნენ ადამი, ხანოქი, ნოე, აბრაამი, მოსე და იოსებ სმითი. როდესაც უფალი აყალიბებს წყობას ის თავიდან ანდობს სახარებას იმისთვის, რომ ახალი წყობის ადამიანები არ იყვნენ დამოკიდებულები წარსული წყობის ძველ სწავლებაზე ხსნის გეგმის შესახებ. წყობა, რომელსაც საფუძველი დაუდო იოსებ სმითის მოწოდებამ, ცნობილია როგორც „ჟამთა აღვსების წყობა“.

- **მღვდლობა:** უფლებამოსილება და ძალა, რომელსაც ღმერთი უბოძებს ადამიანს იმისათვის რომ მან იმოქმედოს იესო ქრისტეს სახელით ყველაფერში, რაც კეთდება ადამიანის ხსნისათვის.

- **წინასწარმეტყველი:** ადამიანი, რომელიც მოწოდებულია ღმერთის მიერ და ლაპარაკობს მის ნაცვლად. როგორც ღმერთის მაცნე, წინასწარმეტყველი იღებს მღვდლობის უფლებამოსილებას, მცნებებს, წინასწარმეტყველებებს და გამოცხადებებს ღმერთისაგან. ის პასუხისმგებელია, რომ კაცობრიობას აცნობოს ღმერთის ნება და მისი ჭეშმარიტი ბუნება, აჩვენოს მისი ქმედებების მნიშვნელობა და ადამიანებთან ურთიერთობა. წინასწარმეტყველი გმობს ცოდვას და წინასწარმეტყველებს მის შედეგებს. ის არის სიმართლის მქადაგებელი. განსაკუთრებულ შემთხვევებში წინასწარმეტყველმა

გაკვეთილი 1:
აღდგენა

შენიშვნები

შეიძლება მიიღოს ზეშთაგონება და მომავალი კაცობრიობის სასიკეთოდ იწინასწარმეტყველოს, თუმცა მისი მთავარი მოვალეობაა იყოს ქრისტეს მოწმე.

- **გამომსყიდველი:** იესო ქრისტე არის კაცობრიობის დიადი გამომსყიდველი, რადგან გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვების საფასური, ასევე მან შესაძლებელი გახადა ყველა ადამიანის აღდგომა. გამოსყიდვა ნიშნავს ვინმეს განთავისუფლებას, დახსნას, როგორც ადამიანის განთავისუფლება მონობისგან გადახდით. გამოსყიდვაში იგულისხმება იესო ქრისტეს გამოსყიდვა და ცოდვებისგან ხსნა. იესოს გამოსყიდვამ მთელი კაცობრიობა გაანთავისუფლა ფიზიკური სიკვდილისაგან. მისი გამოსყიდვით, რომელიც მოიცავს მის ტანჯვას გეთსიმანიის ბაღში და შემდეგ ჯვარზე და ასევე მის აღდგომას, ისინი, ვისაც სწამთ მისი და ინანიებენ ცოდვებს სულიერი სიკვდილისაგან თავისუფლდებიან.

- **რეფორმატორი:** რეფორმირება ნიშნავს რაიმეს შეცვლას გასაუმჯობესებლად. *რეფორმატორებს* ეძახიან ადამიანებს (მაგალითად მარტინ ლუთერი, ჟან კალვინი, უილიამ ტინდეილი და ჯონ უაიკლიფი) რომლებიც გმობდნენ არსებული ეკლესიების ადათ–ჩვეულებებს და გრძნობდნენ მათი გარდაქმნის აუცილებლობას.

- **აღდგენა:** აღდგენა ნიშნავს რაიმეს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას ან მის საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას. ტერმინი „აღდგენა“ როგორც გამოიყენება უკანასკნელი დღეების წმინდანების მიერ, ნიშნავს, რომ იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია, რომელიც განდგომის დროს იყო დაკარგული, აღდგენილ იქნა იმ სახით, როგორიც იყო იესო ქრისტეს მიერ დაარსებული. რეფორმირებისაგან განსხვავებით, აღდგენა მოხდა ღვთაებრივი ძალაუფლების შემწეობით და გამოცხადებით.

- **გამოცხადება:** ღმერთის მის შვილებთან დედამიწაზე ურთიერთობის საშუალება. გამოცხადება შეიძლება მოვიდეს ქრისტეს სინათლის და სულიწმინდის ძალის შემწეობით, შთაგონებით, ხილვებით, სიზმრებით ან ანგელოზების მოვლენით. გამოცხადების გზით მორწმუნე ადამიანები იღებენ ხელმძღვანელობას, რომელსაც ისინი მიჰყავს მარადიული ხსნისაკენ, ცელესტიალურ სასუფეველში. უფალი ანდობს თავის წინასწარმეტყველებს თავის საქმეს და ადასტურებს მორწმუნეთათვის, რომ წინასწარმეტყველების გამოცხადებები არიან ჭეშმარიტი (იხილეთ ამოსი 3:7). გამოცხადებებით უფალი პირადად დაარიგებს ყველას, ვინც ამისაკენ იღწვის, ვისაც აქვს რწმენა, ინანიებს ცოდვებს და ემორჩილება იესო ქრისტეს სახარებას.

სხვა ტერმინები, რომელთა მნიშვნელობის განმარტება შეიძლება დაგჭირდეთ მათთვის, ვისაც ასწავლით

- მოციქული
- ბიბლია
- ბოლომდე გაძლება
- სულიწმინდის ძღვენი
- სახარება
- მცნებების დაცვა და დარღვევა
- ხსნის წეს-ჩვეულებანი
- ლოცვა
- უკან დაბრუნება მასთან საცხოვრებლად
- მხსნელი
- წმინდა წერილები
- ცოდვა
- მართველობა

## რეფორმატორები და მსოფლიო რელიგიური ლიდერები

**ქვევით მოყვანილი დამატებითი ინფორმაცია გამოიყენეთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.**

**ჯონ უაიკლიფი:** დაიბადა ინგლისში მე-14 საუკუნე. სწავლობდა თეოლოგიას ოქსფორდის უნივერსიტეტში. ასწავლიდა, რომ კათოლიკურ ეკლესიას არ ჰქონდა მღვდლობის გასაღებები, ასევე ასწავლიდა, რომ წმინდა ევქარისტია (ანუ ზიარება) არ იყო ნამდვილი ქრისტეს სხეული, რომ ეკლესიას, ადამიანებზე, არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ძალაუფლება. მან გადათარგმნა ბიბლია ინგლისურ ენაზე და გარდაიცვალა 31 დეკემბერს 1384 წელს.

შენიშვნები

**მარტინ ლუთერი:** დაიბადა 10 ნოემბერს 1483, გერმანიაში. სწავლობდა ერფურტის და ვიტინგბერგის უნივერსიტეტებში. სასახლე ეკლესიის კარებზე ლურსმნებით მიაჭედა 95 თეზისი, რომლებიც კიცხავდნენ კათოლიკური ეკლესიის იმჟამინდელ მრავალ სწავლებებს, მათ შორის ადამიანისათვის ფულის საზღაურად ცოდვების შენდობას. გარდაიცვალა 18 თებერვალს 1546.

**უილიამ ტინდეილი:** დაიბადა უელსში 1494 წელს. სწავლობდა ოქსფორდში და კემბრიჯში. გადათარგმნა ახალი აღთქმა ინგლისურ ენაზე. მან წმინდა წერილები გახადა ხელმისაწვდომი უბრალო ადამიანებისათვის იმისათვის რომ გამოეაშკარავებინა რელიგიური წინამძღვარების ყალბი სწავლებები და კორუფცია. სიკვდილით დასჯილ იქნა 6 ოქტომბერს 1536.

**ჯონ კალვინი:** დაიბადა 10 ივლისს 1509, საფრანგეთში. სწავლობდა პარიზში, რათა გამხდარიყო მღვდელი. კათოლიკური ეკლესიის გარდაქმნისათვის მოძრაობის ლიდერი. ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა შვეიცარიაში. ასწავლიდა, რომ ადამიანი ბუნებით არის გარყვნილი და მხოლოდ ღმერთის მადლს შეუძლია მისი გადარჩენა. დაწერა მრავალი კომენტარები ბიბლიის შესახებ. გარდაიცვალა 27 მაისს 1564.

დამატებითი ინფორმაციისათვის რეფორმატორების შესახებ იხილეთ ქვევით მოყვანილი წყაროები მისიონერთა ბიბლიოთეკიდან: James E. Talmage, *Jesus the Christ,* 692–703; M. Russell Ballard, *Our Search for Happiness,* 26–32.

ისე როგორც ქრისტიანული სამყარო იყო კურთხეული რეფორმატორების სიმამაცით და ხედვით, ბევრი სხვა ერები იყვნენ კურთხეულნი ადამიანებით, რომლებსაც ღმერთმა გაანდო თავისი სიტყვის ის ნაწილი, რაც სიბრძნით მისი იყო აუცილებელი მათთვის (იხილეთ ალმა 29:8). სხვა რელიგიური წინამძღვარების სწავლებები დაეხმარა ბევრ ადამიანს გამხდარიყო უფრო თავაზიანი და ზნეობრივი ადამიანი.

**ბუდა (გაუტამა):** დაიბადა 563 წელს, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, ნეპალში, ინდუსური ტომის ბელადის შვილი. მის მიერ ნანახი ადამიანების ტანჯვით შეშფოთებული, გაიქცა მამამისის მდიდრული სასახლიდან, განუდგა მსოფლიოს და სიღარიბეში ცხოვრობდა. განათლების ძიებისას მან აღმოაჩინა ის, რაც მან უწოდა: „განთავისუფლების გზა." მისი სიტყვებით მიაღწია ნირვანას – მდგომარეობა, რომელშიც განუდგა ტკივილის რეალობას და ამქვეყნიურ საზრუნავს. გახდა მასწავლებელი მონაზვნების სკოლაში.

**კონფუცი:** დაიბადა 551 წელს, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე. ბავშობისას დაობლდა. ჩინეთში პირველი პროფესიონალი მასწავლებელი. ჩინეთის უდიდესი ზნეობრივი და საზოგადოებრივი მოაზროვნე. ცოტა რამ აქვს ნათქვამი სულიერ არსებებზე ან ღვთაებრივ ძალებზე. სწამდა, რომ ის იყო ზეციდან წმინდა მისიით მოგზავნილი, რათა დაეცვა სიკეთე და ჭეშმარიტება.

**მუჰამედი:** დაიბადა 570 წელს, ჩვენი წელთ აღრიცხვით მექაში. ბავშვობიდან დაობლდა, ცხოვრობდა სიღარიბეში. დაიმსახურა ადამიანების პატივისცემა როგორც სანდო მშვიდობისმყოფელი. 25 წლის ასაკში დაქორწინდა. 610 წელს ჰირას მთაზე ლოცვის და ფიქრის დროს, მისი სიტყვებით გამოეცხადა ანგელოზი გაბრიელი და მოუტანა გზავნილი ალაჰისაგან (ღმერთისგან). ამტკიცებდა, რომ ღმერთისაგან იღებდა გზავნილებს გაბრიელის მეშვეობით, 620 წლიდან 632 წლამდე. მოგვიანებით ამ გზავნილების შინაარსი, რომლებსაც ის მოუთხრობდა თავის მიმდევრებს დაიწერა, როგორც ყურანი, ისლამის წმინდა წიგნი.

გაკვეთილი 2:
ხსნის გეგმა

შენიშვნები

# ხსნის გეგმა



## თქვენი მიზანი

სწავლების დროს მოამზადეთ მოწაფეები იმისათვის რომ დააკმაყოფილონ მოთხოვნილებები, რომლებიც მოეთხოვებათ მათ, ვინც ინათლება. ეს მოთხოვნილებები მოცემულია მოძღვრება და აღთქმები 20:37 და ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებში. ყველაზე უკეთესად ამის მიღწევა შესაძლებელია თუ მოწაფეებს შესთავაზებთ აიღონ და შეასრულონ ქვემოთ მოცემული ვალდებულებები.

### ნათლობისძინა გასაუბრების შეკითხვები

- გწამთ, რომ ღმერთი არის ჩვენი მარადიული მამა?
- გწამთ, რომ იესო ქრისტე არის ღმერთის ძე, მსოფლიოს მხსნელი და გამომსყიდველი?
- ხართ მზად, იმისათვის რომ შაბათის დღე წმინდადჰყოთ, ასევე მიიღოთ ყოველკვირეული ზიარება და ემსახუროთ თქვენს მოყვასს?

### ვალდებულებები

- ილოცებთ იმისათვის რომ მიიღოთ დასტური, რომ ჩვენს მიერ მოყოლილი არის ჭეშმარიტება?
- მოინანიებთ თქვენს ცოდვებს?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- მიჰყვებით მხსნელის მაგალითს და მოინათლებით (თარიღი)?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ რომ მოიცვათ.

## დაეხმარეთ სხვებს, რათა უფრო მეტი გაიგონ იესო ქრისტეზე

მისიონერებმა უნდა დაამოწმონ იესო ქრისტეს შესახებ, ყველა ადამიანი მოიწვიონ მასთან, რათა მათ, გადაარჩინონ საკუთარი თავი. ძალიან მნიშვნელოვანია მიაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია მხსნელზე იმათ, ვინც მასზე ცოტა რამ ან საერთოდ არაფერი იციან. მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ არის იმისათვის რომ დაეხმაროს ყველა ადამიანს შეიცნოს, რომ იესო არის ქრისტე, ვინც ეცხადება ყველა ერს (იხილეთ მორმონის წიგნის თავფურცელი). მხსნელზე სწავლების და დამოწმების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს მოწაფესთან ერთად მორმონის წიგნიდან ნაწყვეტების კითხვა. ასევე სასარგებლო იქნება ეკლესიის სხვა კანონიკური ნაშრომების ნაწყვეტების ციტირებაც.

დაფიქრდით შემდეგ წინადადებებზე. მითითებული ნაწყვეტები შეიძლება გამოიყენოთ ამ გაკვეთილის მსვლელობისას ან მიუძღვნათ მას ცალკე გაკვეთილი. თქვენი გადაწყვეტილების მიხედვით შეგიძლიათ გაიმეოროთ ეს ღონისძიება რამდენჯერმე ნათლობამდე და ნათლობის და დამტკიცების შემდეგ.

შენიშვნები

| | |
|---|---|
| თავფურცელი და შესავალი | განიხილება მორმონის წიგნის დანიშნულება. |
| 1 ნეფი 10–11 | ლეჰი და ნეფი მოწმობენ მხსნელზე. |
| 1 ნეფი 19 | ნეფი იხსენიებს წინასწარმეტყველებს, მხსნელის მსახურებაზე და გამოსყიდვაზე. |
| 2 ნეფი 2 | ლეჰი მოწმობს მხსნელზე, როგორც გამომსყიდველზე. |
| 2 ნეფი 9 | იაკობი მოწმობს გამოსყიდვაზე. |
| 2 ნეფი 31–33 | ნეფი ასწავლის ქრისტეს მოძღვრებას. |
| ენოსი | ენოსი განიცდის თავის თავზე გამოსყიდვის ძალას. |
| მოსია 2–5 | მეფე ბენიამინი ასწავლის ქრისტეზე. |
| მოსია 12–16 | აბინადი სწირავს სიცოცხლეს, იესო ქრისტეზე მოწმობისათვის. |
| ალმა 5, 7 | ალმა მოწმობს მხსნელზე. |
| ალმა 17–22 | ლამანიელები იღებენ იესო ქრისტეს დამოწმებას. |
| ალმა 34 | ამულეკი მოწმობს გამოსყიდვაზე. |
| ალმა 36 | ალმა თავის თავზე განიცდის იესო ქრისტეს გამოსყიდვის ძალას. |
| ალმა 40–42 | ალმა მოწმობს აღდგომაზე და გამოსყიდვაზე. |
| ჰელამანი 5 | ნეფი და ლეჰი წარმოადგენენ ინსტრუმენტებს ღმერთის ხელში, მათი მთავარი დანიშნულებაა – დაამოწმონ მხსნელზე. |
| 3 ნეფი 9–10 | მხსნელი მოუწოდებს ხალხს, რომ მოვიდნენ მასთან. |
| 3 ნეფი 11–18 | მხსნელი ასწავლის ნეფიელებს მამაზეციერზე და ქადაგებს თავის მოძღვრებას. |
| 3 ნეფი 27 | მხსნელი ქადაგებს თავის სახარებას. |
| ეთერი 3 | იარედის ძმა იხილავს მხსნელს. |
| ეთერი 12 | ეთერი და მორონი მოწმობენ მხსნელზე და მისი გამოსყიდვის ძალაზე. |
| მორონი 7–8 | მორმონი ასწავლის ქრისტეს წმინდა სიყვარულზე და მის გამოსყიდვაზე. |
| მორონი 10 | მორონი მოუწოდებს ყველას მივიდნენ ქრისტესთან და სრულყოფილიყვნენ მასში. |
| „ცოცხალი ქრისტე“ | წინასწარმეტყველები და მოციქულები მოწმობენ მხსნელზე. |

## წინამიწიერი ცხოვრება: ღმერთის მიზანი და გეგმა ჩვენთვის

ბევრი ადამიანი სვამს შეკითხვებს: საიდან მოვედით ჩვენ? რატომ ვართ აქ? სად მივდივართ? ხსნის გეგმა პასუხებს გვამლევს ამ შეკითხვებზე.

ღმერთი არის ჩვენი სულების მამა. ყველანი სიმართლეში ვართ მისი შვილები და ამიტომაც ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ. სანამ დედამიწაზე დავიბადებოდით ყველანი ვცხოვრობდით ზეცაში, როგორც ჩვენი მამის სულიერი შვილები. მაგრამ არ ვიყავით ჩვენი ზეციერი მამის მსგავსნი და ვერც ვერასოდეს გავხდებოდით მომავალში და ამიტომ ვერ დავტკბებოდით ყველა იმ დალოცვებით, რომლებითაც ის არის კურთხეული. ასეთ შესამლებლობას ჩვენ მივიღებდით მხოლოდ მაშინ, როცა გვექნებოდა მოკვდავი ცხოვრების გამოცდილება ფიზიკურ სხეულში.

ღმერთის მთელი მიზანი, მისი საქმე და დიდება შედგენა იმაში, რომ ყველა ჩვენგანს მოგვცეს საშუალება, რომ მივიღოთ მისგან და დავტკბეთ ყველა კურთხევით. მან მოამზადა ჩვენთვის სრულყოფილი გეგმა თავისი მიზანის განსახორციელებლად. ჩვენ გავიაზრეთ და მივიღეთ ეს გეგმა მანამდე, სანამ მოვევლინებოდით დედამიწას. წმინდა წერილებში ღმერთის გეგმა მოხსენებულია, როგორც მოწყალების გეგმა, ბედნიერების გეგმა, გამოსყიდვის გეგმა და ხსნის გეგმა.

იესო ქრისტეს უკავია ცენტრალური ადგილი ღმერთის გეგმაში. როცა იესო ქრისტემ გამოისყიდა ცოდვები, მან ამით შეასრულა თავის მამის მიზანი და თითოეულ ჩვენთაგანს

შენიშვნები

მოგვცა საშუალება, რომ გავხდეთ უკვდავები და მივიღოთ მარადიული სიცოცხლე. სატანა, ანუ ეშმაკი არის ღმერთის გეგმის მტერი.

ნების თავისუფლება ან არჩევანის თავისუფლება – ეს არის ერთ-ერთი უდიდესი საჩუქარი, რომელიც ღმერთმა უბოძა თავის შვილებს. იმაზე თუ როგორ გამოვიყენებთ ჩვენ ამ საჩუქარს, ამაზეა დამოკიდებული ჩვენი მარადიული წინსვლა. ჩვენ უნდა ამოვარჩიოთ ვის გავყვეთ: იესო ქრისტეს თუ სატანას.

დედამიწაზე ცხოვრების დროს, ჩვენ ფიზიკურად განცალკევებული ვართ ღმერთისაგან, მაგრამ მას უნდა, რომ თითოეულმა მისმა შვილმა იპოვოს მშვიდობა ამ ცხოვრებაში და იყოს სიხარულით სავსე მის გვერდით ამ ცხოვრების შემდეგ. მას უნდა, რომ ჩვენ გავხდეთ მისი მსგავსი.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

**ღმერღის შვილები**
მოძღვრება და აღთქმები 93:29
საქმეები 17:29
ებრაელთა 12:9

**ღმერღის მიზანი**
მოსე 1:39
იოანე 17:3

**ძინამიძიერი ცხოვრება**
მოძღვრება და აღთქმები 138:53–56
მოსე 3:5
აბრაამი 3:22–26
იერემია 1:5
Guide to the Scriptures, „Premortal Life“

## შექმნა

მამის ხელმძღვანელობით იესო ქრისტემ შექმნა ჩვენთვის დედამიწა, რომ ვიცხოვროთ და მივიღოთ გამოცდილება. იმისათვის რომ თითოეული ჩვენთაგანი წინ წავიდეს და გახდეს ღმერთის მსგავსი, ჩვენ უნდა მივიღოთ სხეული და დედამიწაზე საცდელი პერიოდის დროს გავიაროთ გამოცდა. აქ დედამიწაზე, ჩვენს გვერდზე გვაკლია ღმერთის ფიზიკური ყოფნა. ჩვენ არ გვახსოვს ჩვენი წინამიწიერი ცხოვრება და რწმენით უნდა ვიაროთ და არა ხილვით.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

1 ნეფი 17:36
ალმა 30:44
მოძღვრება და აღთქმები 88:41–47
მოსე 2:1
მოსე 6:63
აბრაამი 3:24–25
JST, იოანე 1:1–3
2 კორინთელთა 5:6–7

## ადამის და ევას დაცემა და არჩევანის თავისუფლება

ადამი და ევა იყვნენ ღმერთის პირველი შვილები, რომლებიც მოევლინენ დედამიწას. როდესაც ღმერთმა შექმნა ადამი და ევა, მან ისინი ედემის ბაღში დაასახლა. ადამი და ევა შექმნილი იყვნენ ღმერთის მსგავსად, სხეულით ხორცით და ძვლებით. სანამ ადამი და ევა ედემის ბაღში ცხოვრობდნენ, ჯერ ღმერთის გარემოცვაში იყვნენ და მათ შეემლოთ მარადიული ცხოვრება. ისინი იყვნენ უცოდველები და ღმერთი უზრუნველყოფდა მათ ყველაფრით.

ედემის ბაღში ღმერთმა მისცა ადამს და ევას არჩევანის თავისუფლება. მან მათ უბრძანა, რომ არ ეჭამათ აკრძალული ხილი, ანუ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი. ადამს და ევას, რომ შეესრულებინათ ეს ბრძანება, ისინი შესძლებდნენ დარჩენილიყვნენ ედემის ბაღში, მაგრამ მოკვდავი ცხოვრების, წინააღმდეგობის გამოცდილების მიუღებლად ვერ განვითარდებოდნენ. ისინი ვერ შეიცნობდნენ სიხარულს, რადგან გამოცდილი არ ექნებოდათ დარდი და ტკივილი.

შენიშვნები

სატანა აცდუნებდა ადამს და ევას, რომ მათ ეგემათ აკრძალული ხილი და მათ გადაწყვიტეს ეს გაეკეთებინათ. ეს იყო ღმერთის გეგმის ნაწილი. ამ არჩევანის გამო ისინი განდევნილი გახდნენ ბაღიდან და ღმერთს ფიზიკურად დაშორდნენ. ამ მოვლენას ეწოდება დაცემა. ღმერთის გარემოცვიდან დაშორება არის სულიერი სიკვდილი. ადამი და ევა გახდნენ მოკვდავნი, ანუ გარდაიცვლებოდნენ ფიზიკური სიკვდილით, რაც ნიშნავს სხეულის სულისაგან განცალკევებას. ამის შემდეგ მათ შეიცნეს თუ რა არის ავადმყოფობა და ტანჯვა. მათ ჰქონდათ ზნეობრივი არჩევნის თავისუფლება, ანუ სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევნის გაკეთების შესამლებლობა. ამან მათ მისცათ საშუალება ესწავლათ და განვითარებულიყვნენ. მაგრამ ამით მათ ასევე შეემლოთ გაეკეთებინათ არასწორი არჩევანი და ჩაედინათ ცოდვები. ასევე, მათ შეემლოთ ბავშვების გაჩენა, რათა ღმერთის დანარჩენი სულიერი შვილებიც მოევლინონ დედამიწას, მიიღონ ფიზიკური სხეულები და გაიარონ გამოცდა. მხოლოდ ამ გზით ღმერთის შვილებს შეემლებათ განვითარება და მამის მსგავსება.

## დაცემის შესახებ სძავლება

როდესაც თქვენ პირველად ასწავლით ამ თემას ახალ მოწაფეს, ნუ ცდილობთ მოყვეთ ყველაფერი, რაც იცით ამის შესახებ. თემა განუმარტეთ, რაც შეიძლება მარტივად, რომ ღმერთმა აირჩია ორი თავისი შვილი ადამი და ევა იმისათვის რომ ისინი გამხდარიყვნენ პირველი მშობლები დედამიწაზე. თავიანთი ცოდვის ჩადენის შემდეგ, ისინი გახდნენ ცოდვილები და მოკვდავები. მათ თვითონ უკვე აღარ შეეძლოთ ზეციერ მამასთან დაბრუნება და მასთან ერთად ცხოვრება. უფალი ელაპარაკა ადამს და ასწავლა მას ხსნის და გამოსყიდვის გეგმაზე, რომლის განხორციელება შესაძლებელი გახდა იესო ქრისტეს მადლით. ამ გეგმის შესრულებით ადამისა და მისი ოჯახისათვის შესაძლებელი იყო ჰქონოდათ სიხარული ამ ცხოვრებაში, ხოლო მერე კი ღმერთთან დაბრუნების და მასთან ცხოვრების საშუალება (იხილეთ ალმა 18:36; 22:12–14).

## ძმინდა ძერილების შესძავლა

**ედემის ბაღში**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 2 | მოსე 3:15–17 | დაბადება 1:26–31 |
| მოსე 2:26–31 | მოსე 5:11 | დაბადება 2:15–17 |

**დაცემა**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 2:25 | მოსე 4 | დაბადება 3 |
| ალმა 12:22–34 | მოსე 5:10–12 | |

## ჩვენი ცხოვრება დედამიწაზე

ცხოვრება დედამიწაზე – ეს არის ბედნიერი შესამლებლობა და კურთხევა. ჩვენი მიზანია ამ ცხოვრებაში, რომ გვქონდეს სიხარული და მოვემზადოთ ღმერთთან დაბრუნებისათვის. მიწიერი ცხოვრების დროს ჩვენი ხვედრია ფიზიკური და სულიერი სიკვდილი. ღმერთს აქვს სრულყოფილი, დიდებული და უკვდავი სხეული, ხორცისა და მვლებისგან. იმისათვის რომ ჩვენც გავხდეთ ღმერთის მაგვარი და დავბრუნდეთ მასთან, ჩვენც ასევე უნდა გვქონდეს ხორცისა და მვლებისაგან სრულყოფილი, უკვდავი სხეული. მაგრამ ადამის და ევას დაცემის გამო ყველა ადამიანს დედამიწაზე აქვს არასრულყოფილი, მოკვდავი სხეული და ამიტომაც ადამიანი კვდება. ჩვენ რომ არ გვყავდეს მხსნელი იესო ქრისტე, მაშინ სიკვდილის გამო არ გვექნებოდა არანაირი იმედი იმისა, რომ მომავალში დავბრუნდებით ზეციერ მამასთან.

ფიზიკურ სიკვდილთან ერთად მთავარი დაბრკოლება, რომელიც არ გვამლევს საშუალებას გავხდეთ ღმერთის მაგვარი და დავბრუნდეთ მასთან, არის ცოდვა. ჩვენ მიწიერ ცხოვრებაში ხშირად ავყვებით ცდუნებებს, ვარღვევთ ღმერთის მცნებებს და ვცოდავთ. დედამიწაზე ცხოვრების დროს ყველანი ვუშვებთ შეცდომებს. თუმცა ხანდახან ვფიქრობთ, რომ ეს

შენიშვნები

ასე არ არის, ცოდვას ყოველთვის მივყევართ უბედურებისაკენ. ცოდვა იწვევს სინდისის ქენჯნას და სირცხვილს. ჩვენი ცოდვების გამო ჩვენ ვერ დავბრუნდებით მამაზეციერთან საცხოვრებლად მანამდე, სანამ არ განვიწმინდებით და სანამ არ გვაპატიებს ღმერთი.

მიწიერი ცხოვრების დროს ბევრი მოვლენა ჩვენი ამქვეყნიური გამოცდილებიდან გვაბედნიერებს. მაგრამ ასევე ჩვენ გვიწევს ისეთ მოვლენებთან შეხვედრა, რომლებსაც მოაქვთ ტკივილი და დარდი, ხშირად ამის მიზეზია სხვა ადამიანების მიერ ჩადენილი ცოდვები. ჩვენ ეს გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ვისწავლოთ და გავიზარდოთ, განვასხვავოთ სიკეთე ბოროტებისაგან და გავაკეთოთ არჩევანი. ღმერთის გავლენა გვიბიძგებს ვაკეთოთ სიკეთე, ხოლო სატანას მივყევართ ცოდვისაკენ. ისევე როგორც ფიზიკური სიკვდილის დროს, ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად გადავლახოთ ცოდვის შედეგები. ჩვენ ვართ უილაჯო იესო ქრისტეს გამოსყიდვის გარეშე.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**გამოსაცდელი პერიოდი ან შემოძმების დრო**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ნეფი 2:21 | მოსია 3:19 | ალმა 34:31–35 | ალმა 42:2–10 |
| 2 ნეფი 9:27 | ალმა 12:21–24 | აბრაამი 3:25–26 | |

**არჩევანი**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 2:26–29 | იესო ნავეს ძე 24:15 | *For the Strength of Youth,* „Agency and Accountability“ |

**სიკეთე და ბოროტება**

მორონი 7:12–19

**ცოდვა**

| | | |
|---|---|---|
| რომაელთა 3:23 | 1 იოანე 1:8–10 | 1 იოანე 3:4 |

**უძმინდური ვერ იქნება ღმერთის გარემოცვაში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ნეფი 10:20–21 | ალმა 41:10–11 | 3 ნეფი 27:19 | მოსე 6:57 |

## გამოსყიდვა



მანამდე სანამ შეიქმნებოდა ჩვენი სამყარო, მამაზეციერმა აირჩია იესო ქრისტე ჩვენს მხსნელად და გამომსყიდველად. იესო ქრისტეს გამომსყიდველმა მსხვერპლმა, ჩვენ მოგვცა საშუალება, გადავლახოთ დაცემის შედეგები. ქვეყნიერების შექმნის დღიდან, ყველა წინასწარმეტყველი მოწმობდა იმაზე, რომ იესო ქრისტე არის ჩვენი გამომსყიდველი.

ყველა ჩვენგანს მოუწევს განიცადოს ფიზიკური სიკვდილი, მაგრამ იესო ქრისტემ ჩვენთვის გადალახა ფიზიკური სიკვდილის დაბრკოლება. მისმა სულმა დატოვა მისი სხეული, როდესაც იგი გარდაიცვალა ჯვარზე. მესამე დღეს მისი სხეული და სული კვლავ გაერთიანდნენ სამუდამოდ, რომ მეტი არასდროს აღარ განცალკევდნენ. იგი გამოეცხადა ბევრ ადამიანს, რათა მათ დაენახათ მისი უკვდავი სხეული, ხორცისა და ძვლებისაგან. სულის და სხეულის ხელახლა გაერთიანებას ეწოდება აღდგომა და ეს არის ის საჩუქარი, რომელიც არის დაპირებული თითოეული ჩვენთაგანისათვის. იესო ქრისტეს აღდგომის შედეგად ჩვენ ყველა აღვდგებით, მიუხედავად იმისა თუ როგორ გავატარეთ ეს ცხოვრება – ვთესეთ სიკეთე

შენიშვნები

თუ ბოროტება. ჩვენ გვექნება სრულყოფილი, უკვდავი სხეული ხორცისა და ძვლებისაგან, რომელიც აღარ დაექვემდებარება ავადმყოფობას, ტკივილსა და სიკვდილს. აღდგომა საშუალებას მოგვცემს დავბრუნდეთ ღმერთთან და წარვდგეთ სასამართლოზე, მაგრამ არ გვამლევს იმის გარანტიას, რომ ვიცხოვრებთ მასთან. იმისათვის რომ მივიღოთ ასეთი დალოცვა, ჯერ უნდა განვიწმინდოთ ცოდვისაგან.

თავისი საყვარელი ძე იესო ქრისტე, ღმერთმა მოავლინა იმისათვის რომ მას გადაელახა არა მარტო ფიზიკური სიკვდილი არამედ ასევე ცოდვის დაბრკოლებაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ადამის და ევას დაცემაზე, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს პირად ცოდვებზე. ღმერთი არ მოითმენს არანაირ ცოდვას და ცოდვა ჩვენ გადაგვიღობავს მისკენ მიმავალ გზას. მხოლოდ მხსნელის მადლით და შეწყალებით ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვისაგან და მოგვეცეს ღმერთთან ცხოვრების საშუალება. ეს იქნება ჩვენთვის შესაძლებელი თუ ვირწმუნებთ იესო ქრისტეს, ცოდვებს მოვინანიებთ, მოვინათლებით, მივიღებთ სულიწმინდის მღვენს და გავძლებთ ბოლომდე.

იესო ქრისტემ გამოისყიდა ჩვენი ცოდვები იმისათვის რომ ხსნის გეგმა განხორციელებულიყო. ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ მას. იგი იყო მოწოდებული და მომზადებული ამისათვის უკვე წინამიწიერ ცხოვრებაში. ის ჭეშმარიტად იყო ღმერთის ძე, ხორცით. იყო უცოდველი და ყველაფრით ემორჩილებოდა თავის მამას. ყველა იმ ცდუნებების მიუხედავად, რომლებიც მან გადაიტანა ის, არცერთს არ დაჰყვა. როდესაც მამამ სთხოვა მის საყვარელ ძეს გამოესყიდა მთელი მსოფლიოს ცოდვები, იესო უკვე მზად იყო ამისათვის და სურდა შეესრულებინა მამის ნება. გამოსყიდვაში შედიოდა ის ტკივილი, რომელიც გადაიტანა გეთსიმანიის ბაღში, ასევე ჯვარცმის ტანჯვა და სიკვდილი, შემდგომ ეს დასრულდა მისი აღდგომით. მიუხედავად იმისა, რომ მან გადაიტანა იმაზე მეტი ტკივილი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ – ის სისხლს ღვრიდა კანის ყოველი ფორიდან და ღმერთს შეჰღაღადა თუ შეიძლებოდა ამ ტანჯვის თავიდან აცილება, მიუხედავად ამისა მან შეასრულა მამის ნება და ეს იყო მისი სიყვარულის, უდიდესი გამოვლინება მამისა და ჩვენს მიმართ. ეს არის იესო ქრისტეს გამარჯვება სულიერ სიკვდილზე მისი ტანჯვის მალით და გამარჯვება ფიზიკურ სიკვდილზე მისი აღდგომით, რასაც უწოდებენ გამოსყიდვას.

ქრისტე გვპირდება ჩვენი ცოდვების შენდობას, თუ მივიღებთ მას იმით, რომ გამოვავლენთ მასში რწმენას, მოვინანიებთ, წყალში მოვინათლებით, ხელდასხმით მივიღებთ სულიწმინდის მღვენს და გულწრფელად შევეცდებით ცხოვრების ბოლომდე დავიცვათ მისი მცნებები. მუდმივი მონანიებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცოდვების შენდობა და განწმენდა სულიწმინდის მალით. ჩვენ ვთავისუფლდებით სირცხვილის და დანაშაულის გრძნობის ტვირთისაგან და იესო ქრისტეს წყალობით ვხდებით ღირსეულნი ღმერთის გარემოცვაში დაბრუნებისათვის.

თუ ჩვენ მივენდობით იესო ქრისტეს გამოსყიდვას, ის შესძლებს ჩვენთვის დახმარებას, რათა გადავლახოთ წინააღმდეგობები, ავადმყოფობები და ტკივილი. ჩვენ სიხარულით აგვევსება გულები, მოვიპოვებთ მშვიდობას და ნუგეშს. იესო ქრისტეს გამოსყიდვით შეიძლება გამოსწორდეს ყველა ის უსამართლობა, რაც კი არის ამ ცხოვრებაში.

ჩვენი ცოდვების გამოსყიდვით იესო ქრისტემ ჩვენ არ გაგვანთავისუფლა პირადი პასუხისმგებლობისაგან. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ გვწამს მისი და დავიცავთ მის მცნებებს. მხოლოდ გამოსყიდვით ჩვენ შეგვიძლია დავუბრუნდეთ ღმერთს მასთან საცხოვრებლად.

შენიშვნები

### წმინდა წერილების შესძავლა

**აღდგომა**

2 ნეფი 9:6–7
ალმა 11:42–45
ალმა 40:23
ჰელამანი 14:15–19
მოძღვრება და აღთქმები 88:27–32
ლუკა 24:1–10, 36–39
1 კორინთელთა 15:20–23
JST, 1 კორინთელთა 15:40-42
Guide to the Scriptures, „Death, Physical,“ „Death, Spiritual,“ „Resurrection“

**გამოსყ დვა**

2 ნეფი 2:6–8
ალმა 7:11–13
ალმა 34:8–10
მოძღვრება და აღთქმები 19:15–19
მოძღვრება და აღთქმები 45:3–5
იოანე 3:16–17
1 იოანე 1:7
Guide to the Scriptures, „Atone, Atonement“

**სახარება - არის გზა**

2 ნეფი 9:1–24
2 ნეფი 31
ალმა 11:40
3 ნეფი 11:31–41
3 ნეფი 27
მორონი 7:27–28

## სულების სამყარო

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტემ სძლია ფიზიკურ სიკვდილს, ყველა ადამიანი მაინც უნდა გარდაიცვალოს, რადგან სიკვდილი წარმოადგენს იმ პროცესის ნაწილს, რომლის დროს ჩვენ გადავდივართ მომაკვდავი მდგომარეობიდან უკვდავში. სიკვდილის მერე ჩვენი სული მიდის სულების სამყაროში. სიკვდილი არ ჩვენს პიროვნებას ან ჩვენს მიდრეკილებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ. ისინი, რომლებმაც ამ ცხოვრებაში აირჩიეს ღმერთისადმი მორჩილება, იცხოვრებენ ბედნიერად, მშვიდად, დარდის და სევდის გარეშე. ხოლო მათ, ვინც აირჩიეს დაუმორჩილებლობა და ცოდვები არ მოინანიეს, იცხოვრებენ უბედურებაში. სულების სამყაროში სახარებას უქადაგებენ მათ, ვინც მიწიერი ცხოვრების დროს არ ემორჩილებოდა სახარებას ან არ ჰქონდა სახარების მოსმენის საშუალება. ჩვენ ვიქნებით სულების სამყაროში მანამ, სანამ არ აღვდგებით.

### წმინდა წერილების შესძავლა

**სახარებას უქადაგებენ გარდაცვლილებს**

მოძღვრება და აღთქმები 138
1 პეტრე 3:19–20
1 პეტრე 4:6

**სიკვდილი და სულების სამყარო**

ალმა 34:34
ალმა 40:11–14
ეკლესიასტე 12:7

## აღდგომა, განკითხვა და უკვდავება

როდესაც აღდგომით ჩვენი სხეული გაერთიანდება ჩვენს სულთან, ჩვენ წარვდგებით ღმერთის გარემოცვაში, რათა განვიკითხოთ. ჩვენ კარგად გვემახსოვრება ჩვენს მიერ გაკეთებული სიკეთე და ასევე დანაშაულიც. მანამდე თუ ჩვენ მოვინანიებთ ცოდვებს, ვიქნებით შეწყალებულნი. ჩვენ მოგვეზღვება ჩვენს მიერ ჩადენილი საქმეების და სურვილების მიხედვით.

აღდგომით ყველა ადამიანი გახდება უკვდავი – ისინი იცხოვრებენ მარადჟამს. უკვდავება ეს არის მღვენი ყველა ადამიანისათვის, სამართლიანისათვის და ბოროტისათვისაც. მაგრამ მარადიული სიცოცხლე – ეს იგივე არ არის, რაც უკვდავება. მარადიული სიცოცხლე ემლევა ღმერთის მიერ მხოლოდ იმათ, ვინც ემორჩილება მის სახარებას. ჩვენთვის ეს არის ყველაზე მაღალი მწვერვალი, რომლის მიღწევაც გვმალუმს. მას მიაღწევენ მხოლოდ

შენიშვნები

ისინი, ვინც ქრისტეს გამოსყიდვით, იქნება განთავისუფლებული ცოდვებისაგან და ტანჯვისაგან. ეს არის ამაღლება, რაც ნიშნავს ღმერთთან მარადიულად ცხოვრებას ჩვენს მარადიულ ოჯახებში. ეს არის ღმერთის და იესო ქრისტეს შეცნობა, ასევე რომ დავტკბეთ იმ ცხოვრებით, რომლითაც ისინი ცხოვრობენ.

**აღდგომა და გარდასახვა**

ზოგიერთ ადამიანს ერთმანეთში ერევა აღდგომის მოვლენა გარდასახვის (რეინკარნაციის) მოვლენასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ გარდაცვლილი ადამიანი კვლავ იბადება ამ ქვეყანაზე, მაგრამ სხვა სახით. ეს არის ცრუსწავლება. აღდგომის ჭეშმარიტი მოძღვრება გულისხმობს იმას, რომ ადამიანს ეძლევა უკვდავი სხეული ხორცისა და ძვლებისაგან. დარწმუნდით იმაში, რომ ვისაც თქვენ ასწავლით აღდგომის მოვლენას სწორედ ესმის იგი.

## დიდების სასუფევლები

მიწიერი ცხოვრების დროს, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, როდესაც ვაკეთებთ არჩევანს სიკეთესა და ბოროტებას შორის. ღმერთი გვაჯილდოვებს ჩვენი საქმეებისა და სურვილების შესაბამისად. რადგან ღმერთი თითოეულ ჩვენგანს აჯილდოვებს ფიზიკური სხეულით გაკეთებული საქმეების შესაბამისად და ამიტომ არსებობს დიდების სხვადასხვა სასუფევლები, სადაც ჩვენ გაგვამწესებენ განკითხვის შემდეგ. ვინც მოინანია ცოდვები, მიიღო სახარების ყველა წეს–ჩვეულება და არ დაარღვია, არცერთი აღთქმა, იქნებიან განწმენდილი ქრისტეს გამოსყიდვით. ისინი მიიღებენ ამაღლებას და იცხოვრებენ ყველაზე ამაღლებულ სასუფეველში, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ცელესტიალური სასუფეველი. ისინი იცხოვრებენ ღმერთთან, გახდებიან მისი მსგავსნი და მიაღწევენ სიხარულის სრულყოფას. ისინი იცხოვრებენ მარადიულად თავიანთი ოჯახის იმ წევრებთან ერთად, რომლებიც იქნებიან ამის ღირსეულნი. წმინდა წერილებში ეს სასუფეველი შედარებულია მზის მუქის ბრწყინვალების დიდებასთან.

ის ადამიანები, რომლებიც არ იღებენ იესო ქრისტეს სახარების სისრულეს, მაგრამ კეთილშობილად ცხოვრობენ, მიიღებენ ადგილს ტერესტრიალურ სასუფეველში. ეს სასუფეველი შედარებულია მთვარის მუქის ნათების დიდებასთან.

ვინც აგრძელებდა ცოდვაში ცხოვრებას და არ მოინანია თავისი ცოდვები ამ ცხოვრებაში, ისინი მიიღებენ თავის ჯილდოს ყველაზე დაბალ სასუფეველში, რომელსაც ეწოდება ტელესტიალური სასუფეველი. ეს სასუფეველი შედარებულია ვარსკვლავების მუქის ნათების დიდებასთან.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

**აღდგომა და აღდგენა**

2 ნეფი 9:14–15
იაკობი 6:8–9
ალმა 42:13–15, 22–23

**განკიოხვა**

2 ნეფი 28:23
მოსია 3:23–25
ალმა 5:15–21
ალმა 12:12–14
მოძღვრება და აღთქმები 132:12; 137:9
იოანე 5:22

**დიდების სასუფევლები**

3 ნეფი 28:10
მოძღვრება და აღთქმები 76: შესავალი
მოძღვრება და აღთქმები 76
მოძღვრება და აღთქმები 137
მათე 5:48
JST, 1 კორინთელთა 15:40–42

შენიშვნები

### მარადიული სიცოცხლე

2 ნეფი 31:17–21
მოძღვრება და აღთქმები 14:7
მოძღვრება და აღთქმები 29:43–44
მოძღვრება და აღთქმები 45:8
მოძღვრება და აღთქმები 93:19
იოანე 3:16
იოანე 17:3

## ხსნის გეგმა




იესო ქრისტეს გამოსყიდვა ხსნის შესაძლებლობას იძლევა.

## ნაღლობის შეღავაზება

ნათლობის და წევრად დამტკიცების შეთავაზების დროს უნდა იყოთ კონკრეტული და პირდაპირი: „მიჰყვებით თუ არა იესო ქრისტეს მაგალითს და მოინათლებით შესაფერისი ძალა-უფლებით აღჭურვილი პირის მიერ? ჩვენ ნათლობის წირვას გავუძღვებით (თარიღი). მოემზადებით, რომ მოინათლოთ ამ დღეს?“

## იდეები სწავლებისათვის

ამ განყოფილებაში მოცემული იდეები, თქვენთვის სასარგებლო იქნება მოცემული გაკვეთილის მოსამზადებლად და ჩასატარებლად. ილოცეთ და მოუსმინეთ სულის კარნახს, რომ გადაწყვიტოთ თუ როგორ გამოიყენებთ მათ. თქვენს მიერ ამორჩეული იდეები ჩართეთ გაკვეთილის გეგმაში. გახსოვდეთ, რომ ეს იდეები არის მხოლოდ შემოთავაზებული წინადადებები და არა მოთხოვნა, იმისათვის რომ დაგეხმაროთ თქვენი მოწაფეთა განცალკევებას, დასაკმაყოფილებლად.

### მოკლე გაკვეთილის გეგმა (3–5 ძუთი)

ხსნის გეგმა ჩვენ გვასწავლის თუ საიდან მოვედით, რატომ ვართ აქ, დედამიწაზე და სად წავალთ ამ ცხოვრების შემდეგ. გეგმა აღწერს ჩვენს მარადიულ მოგზაურობას წინამიწიერ და მიწიერ ცხოვრებაში, სიკვდილს და აღდგომას, ჩვენს გზას მარადიულობისაკენ. ამ გეგმიდან ჩვენ შევიცნობთ ასევე იმას, თუ რას აკეთებს ჩვენი მოსიყვარულე ზეციერი მამა იმისათვის რომ დაგვეხმაროს ამ გზის წარმატებით გავლაში, რათა ჩვენ დავბრუნდეთ მასთან და გავხდეთ მისი მსგავსნი. ამ გეგმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს იესო ქრისტეს მისია, მისი გამოსყიდვა და მისი როლი დაცემის დასაძლევად და ჩვენთვის მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად. ჩვენ გთხოვთ დაფიქრდეთ და ილოცოთ ამ მოწოდებაზე.

- წინამიწიერი ცხოვრება: ღმერთის მიზანი და გეგმა ჩვენთვის
- შექმნა
- არჩევანის თავისუფლება, ადამის და ევას დაცემა
- ჩვენი ცხოვრება დედამიწაზე
- გამოსყიდვა
- სულების სამყარო
- აღდგომა, განკითხვა და უკვდავება
- დიდების სასუფევლები

ვალდებულებები

- ილოცებთ იმისათვის რომ მიიღოთ დასტური, რომ ჩვენს მიერ მოყოლილი არის ჭეშმარიტება?
- მოინანიებთ თქვენს ცოდვებს?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- მიჰყვებით მხსნელის მაგალითს და მოინათლებით (თარიღი)?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ რომ მოიცვათ.

### საშუალო ხანგრძლივობის გაკვეთილის გეგმა (10–15 ძუთი)

ჩვენი მოწოდება გვეხმარება იმის გაგებაში, თუ ვინ ვართ ჩვენ და რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი. ამის ცოდნა, ჩვენ გვაძლევს იმედს, გვეხმარება მშვიდობის, სიხარულის და ბედნიერების პოვნაში. იგი გვიხსნის ჩვენ თუ საიდან მოვედით, რატომ ვართ აქ დედამიწაზე და სად წავალთ ამ ცხოვრების შემდეგ. ღმერთი ჩვენი მამაა და მას ვუყვარვართ. ჩვენ მისი შვილები ვართ. ჩვენ მისი ოჯახის ნაწილი ვართ და ჩვენ ვცხოვრობდით მასთან მანამდე, სანამ გავჩნდებოდით ამ დედამიწაზე. მას აქვს ბედნიერების გეგმა, რომლითაც ამ

შენიშვნები

გაკვეთილი 2:
ხსნის გეგმა

შენიშვნები

ცხოვრების მერე ჩვენ მოგვეცემა მასთან დაბრუნების საშუალება. ჩვენი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ღმერთის მიერ მოცემულ არჩევანის თავისუფლებას, ანუ დამოკიდებულია ჩვენს არჩევანზე. გეგმის მიხედვით, ადამის დაცემის შედეგად ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დედამიწაზე გავჩენილიყავით, მოგვცა საშუალება მივიღოთ ფიზიკური სხეული და გამოცდილება, ასევე ვიყოლიოთ ჩვენი საკუთარი ოჯახები. მაგრამ დაცემამ მოგვიტანა ფიზიკური სიკვდილი, რაც ნიშნავს სხეულის სულისაგან განცალკევებას, ასევე სულიერი სიკვდილიც, რაც არის ღმერთისგან დაცილება.

იესო ქრისტეს უკავია ცენტრალური ადგილი ღმერთის გეგმაში. ქრისტეს გამოსყიდვამ დასძლია, როგორც ფიზიკური, ისევე სულიერი სიკვდილის შედეგები. ჩვენ ყველანი აღვდგებით და ვიცხოვრებთ მარადიულად ჩვენი ფიზიკური სხეულებით, რომლებსაც არ შეეხებათ ავადმყოფობა და ტკივილი. ქრისტემ ასევე მოგვცა საშუალება, რომ გადავლახოთ სულიერი სიკვდილი. თუ ჩვენ ვცხოვრობთ მისი სახარებით, ის გამოიჩენს მოწყალებას, გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს, განგვკურნავს და დანაშაულის და სირცხვილის მაგივრად მოგვიტანს ბედნიერებასა და მშვიდობას ჩვენს ცხოვრებაში.

ღმერთის მოწყალე გეგმის მიხედვით, ჩვენ ყველა გადავიტანთ ფიზიკურ სიკვდილს. ჩვენი სულები დატოვებენ ჩვენს სხეულებს და გარკვეული დროის განმავლობაში იცხოვრებენ სულების სამყაროში. შემდგომ აღვდგებით და შევიძენთ უკვდავ სხეულებს და ეს იქნება მარადიული კავშირი სხეულისა და სულის შორის. ჩვენ ყველანი ვიქნებით განსჯილნი ჩვენი საქმეების და სურვილების შესაბამისად. ის ადამიანები, რომლებიც სახარების მიხედვით ცხოვრობდნენ, მიიღებენ მამაზეციერისაგან ყველაზე დიდ ჯილდოს – მის გარემოცვაში მარადიულ სიცოცხლეს.

ჩვენმა მამაზეციერმა კვლავ სიყვარულით მიმართა თავის შვილებს იმისათვის რომ გაენდო ბედნიერების გეგმა. ჩვენ გავიგებთ ამ შესანიშნავი გეგმის შესახებ მორმონის წიგნიდან, რომელიც შეგიძლიათ წაიკითხოთ, დაფიქრდეთ და შემდეგ ილოცოთ წაკითხულზე. ჩვენ გეპატიჟებით ეკლესიაში, რათა დაესწროთ წირვას ჩვენთან ერთად.

ვალდებულებები

- ილოცებთ იმისათვის რომ მიიღოთ დასტური, რომ ჩვენს მიერ მოყოლილი არის ჭეშმარიტება?
- მოინანიებთ თქვენს ცოდვებს?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- მიჰყვებით მხსნელის მაგალითს და მოინათლებით (თარიღი)?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ რომ მოიცვათ.

## მთლიანი გაკვეთილის გეგმა (30–45 ძუთი)

- წინამიწიერი ცხოვრება: ღმერთის გეგმა და მიზანი ჩვენთვის
  - ღმერთი არის ჩვენი ზეციერი მამა, ხოლო ჩვენ კი მისი შვილები (იხილეთ საქმეები 17:16–34; ებრაელთა 12:9).
  - ღმერთს აქვს გეგმა, რომელიც არის ჩვენი ბედნიერებისათვის. იესო ქრისტეს ამ გეგმაში უკავია ცენტრალური ადგილი.

შენიშვნები

  - ღმერთის ბედნიერების გეგმა საშუალებას გვაძლევს რომ მას დავუბრუნდეთ (იხილეთ მოსე 1:39).
  - ჩვენი მარადიული წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ არჩევანის თავისუფლებას (იხილეთ 2 ნეფი 2:27–29).
- შექმნა
  - მამის ხელმძღვანელობით იესო ქრისტემ შექმნა დედამიწა (იხილეთ ებრაელთა 1:1–3).
- არჩევანის თავისუფლება, ადამის და ევას დაცემა
  - ადამი და ევა შექმნილნი იყვნენ ღმერთის ხატად (იხილეთ დაბადება 1:26–27).
  - ედემის ბაღში ისინი იყვნენ უცოდველნი და ცხოვრობდნენ ღმერთის გარემოცვაში.
  - იმის გამო, რომ მათ იგემეს აკრძალული ხილი, ისინი განდევნილი იქნენ ედემის ბაღიდან (იხილეთ მოსე 4:19–31). ამას ეწოდება დაცემა.
  - ისინი გახდნენ მოკვდავნი და საშუალება მიეცათ გაეჩინათ ბავშვები, ასევე იყვნენ ცოდვის და სიკვდილის გავლენის ქვეშ (იხილეთ 2 ნეფი 2:22–25; მოსე 5:11).
- ჩვენი ცხოვრება დედამიწაზე
  - ცხოვრებაში ჩვენი მიზანია, რომ ვიპოვოთ ჩვენი ოჯახებით მარადიული მშვიდობა, სიხარული და ბედნიერება, ასევე, რომ მოვემზადოთ იმისათვის რათა დავბრუნდეთ და ვიცხოვროთ ღმერთთან.
  - ჩვენ დედამიწაზე დავიბადეთ რათა გავიაროთ გამოცდა (იხილეთ აბრაამი 3:24–25).
  - ჩვენ მივიღეთ სხეული ხორცისა და ძვლებისაგან, მაგრამ ასევე ვართ სიკვდილის გავლენის ქვეშ.
  - ღმერთი გვაძლევს მცნებებს. თუ ჩვენ მათ დავიცავთ, ვიქნებით დალოცვილნი. მაგრამ თუ ვარღვევთ მის მცნებებს, მაშინ ჩვენ ვცოდავთ და მივიღებთ ამ ცოდვის შედეგებს.
  - თითოეული ცოდვა უნდა იქნას გამოსყიდული, ჩვენს ან ქრისტეს მიერ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 19:15–20).
  - ჩვენ თვითონ ვაკეთებთ არჩევანს, ვიღებთ გადაწყვეტილებებს და თითოეული ჩვენგანი სცოდავს (იხილეთ რომაელთა 3:23).
  - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებისას ზოგი მოვლენა გვაბედნიერებს ზოგს კი დამწუხრება მოაქვს.
  - იესო ქრისტეს გარეშე ჩვენ ვერ გადავლახავთ ვერც ფიზიკურ და ვერც სულიერ სიკვდილს.
- გამოსყიდვა
  - იესო ქრისტემ გადალახა ფიზიკური სიკვდილი და ამიტომ ჩვენ ყველა აღვდგებით (იხილეთ ალმა 11:41–43).
  - ქრისტეს გამოსყიდვით ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვისაგან იმისათვის რომ დავუბრუნდეთ ღმერთს და ვიცხოვროთ მასთან (იხილეთ 2 ნეფი 9:8–9).
  - ქრისტე გვაპატიებს ცოდვებს თუ ჩვენ მას ვიწამებთ, მოვინანიებთ, მოვინათლებით, მივიღებთ სულიწმინდის ძღვენს და გავძლებთ ბოლომდე.

გაკვეთილი 2:
ხსნის გეგმა

შენიშვნები

- სულების სამყარო
  - ყველა ადამიანი უნდა გარდაიცვალოს.
  - გარდაცვალების შემდეგ ჩვენი სული მიდის სულების სამყაროში.
  - ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების შესაბამისად, ჩვენ იქ ვიცხოვრებთ ან უბედური ან კიდევ მშვიდი და წყნარი ცხოვრებით.
- აღდგომა, განკითხვა და უკვდავება
  - აღდგომისას ჩვენი სულები და სხეულები ხელახლა გაერთიანდებიან (იხილეთ ალმა 11:42–45; 40:23).
  - ჩვენ დავბრუნდებით ღმერთთან იმისათვის რომ განვისაჯოთ ჩვენი საქმეების და სურვილების შესაბამისად.
  - თუ მონანიებული გვაქვს ცოდვები, ჩვენ მივიღებთ მოწყალებას.
  - მარადიული სიცოცხლე ეს არის ღმერთის ძღვენი მათთვის, ვინც მთლიანად იყო მორჩილი იესო ქრისტეს სახარების (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 14:7).
- დიდების სასუფევლები (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 76; 137; 1 კორინთელთა 15:40–42).
  - ჩვენ ვჯილდოვდებით ჩვენი საქმეების და სურვილების შესაბამისად (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 137:9).
  - ისინი, ვინც სახარებას მიიღებენ და თამამად იცხოვრებენ მის მიხედვით, მიიღებენ ცელესტიალურ სასუფეველს (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 76:50–70).
  - კეთილშობილი ადამიანები, რომლებიც იყვნენ ადამიანების ცბიერობით დაბრმავებულნი და ისინი, რომლებიც არ იყვნენ თამამნი ქრისტეს დამოწმებისას მიიღებენ ტერესტრიალურ სასუფეველს (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 76:75, 79).
  - ისინი, რომლებიც სცოდავდნენ და არ მოინანიეს, მიიღებენ ტელესტიალურ სასუფეველს იმის მერე, როდესაც დაიტანჯებიან და გამოისყიდიან თავიანთ ცოდვებს.

ვალდებულებები

- ილოცებთ იმისათვის რომ მიიღოთ დასტური, რომ ჩვენს მიერ მოყოლილი არის ჭეშმარიტება?
- მოინანიებთ თქვენს ცოდვებს?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- მიჰყვებით მხსნელის მაგალითს და მოინათლებით (თარიღი)?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

## შეკითხვები, რომლებსაც უსვამთ გაკვეთილის ბოლოს

- გაქვთ რაიმე შეკითხვები, მოცემული გაკვეთილის შესახებ?
- როგორ გესმით ღმერთის გეგმა თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის?
- იქიდან გამომდინარე, რაც ჩვენ მოგიყევით, როგორ გესმით იესო ქრისტეს როლი? რას ნიშნავს ეს პირადად თქვენთვის?

შენიშვნები

## ძირითადი განმარტებები

ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები ხშირად გაუგებარია ადამიანებისათვის. დარწმუნდით იმაში, რომ თქვენ ნათლად ახსენით ისინი და გაიგეთ, ესმით თუ არა მათ, ვისაც ასწავლით.

- **გამოსყიდვა:** წმინდა წერილებში სიტყვა გამოსყიდვა ნიშნავს ჩადენილი ცოდვებისათვის დასჯას და ამით მომნანიებელი ცოდვილები განიწმინდებიან ცოდვისაგან და მათ ეძლევათ ღმერთთან შერიგების საშუალება. იესო ქრისტე დაიტანჯა გეთსიმანიის ბაღში და ჯვარზე. მხოლოდ მას შეეძლო ჩაედინა სრულყოფილი გამოსყიდვა მთელი კაცობრიობისათვის. ის დაისაჯა ჩვენი ცოდვებისათვის გეთსიმანიის ბაღში და გარდაიცვალა ჯვარზე. მან აიღო თავის თავზე ჩვენი ტკივილი, ავადმყოფობები, ცდუნებები, გაჭირვება და სნეულებები (იხილეთ ალმა 7:11–12).
- **ამაღლება:** მარადიული სიცოცხლე ღმერთთან ერთად, ასევე მამაზეციერის მსგავსთა გახდომა და მის გარემოცვაში ცხოვრება. ეს არის ღმერთისაგან უდიდესი ძღვენი. ამაღლების მიღება შეიძლება ქრისტეს გამოსყიდვით ასევე სახარების კანონების და წეს–ჩვეულებებისადმი მორჩილებით.
- **დაცემა (ადამისა და ევასი):** როდესაც ადამმა და ევამ იგემეს აკრძალული ხილი, ისინი გახდნენ მოკვდავები, ანუ ცოდვისა და სიკვდილის გავლენის ქვეშ. ადამი გახდა დედამიწაზე „პირველი ხორციელი“ (მოსე 3:7). უკანასკნელი დღეების გამოცხადებებიდან სჩანს, რომ დაცემა - ეს არის კურთხევა, ასევე ადამს და ევას უნდა ვცეთ პატივი, როგორც მთელი კაცობრიობის პირველ მშობლებს.
- **განკითხვა:** იესო ქრისტეს დახმარებით ღმერთი განსჯის ყოველ ჩვენგანს, იმისათვის რომ განსაზღვროს თუ რომელ მარადიულ სასუფეველში ვიქნებით. ეს განკითხვა დამოკიდებული იქნება ღმერთის მცნებებისადმი ჩვენს მორჩილებაზე, ასევე იესო ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის მიღებაზე. მარადიულ ჯილდოს ჩვენ მივიღებთ იმისდა მიხედვით თუ როგორი საქმენი და სურვილები გვქონდა ჩვენ, კეთილი თუ ბოროტი.
- **უკვდავება:** ეს არის მარადიული და აღმდგარი ცხოვრება და ფიზიკური სიკვდილისაგან განთავისუფლება.
- **მოკვდავება (მიწიერი ცხოვრება):** დრო დედამიწაზე დაბადებიდან ფიზიკურ სიკვდილამდე.
- **ფიზიკური სიკვდილი:** ჩვენი სულის, რომელიც ცოცხლობს მარადიულად და არის უკვდავი, განცალკევება ჩვენი ფიზიკური სხეულისაგან.
- **წინამიწიერი ცხოვრება (ცხოვრება სანამ დავიბადებოდით):** სანამ დავიბადეთ დედამიწაზე, ჩვენ ვცხოვრობდით მამაზეციერთან როგორც მისი სულიერი შვილები. წინამიწიერ ცხოვრებაში ჩვენ არ გვქონდათ ფიზიკური სხეულები.
- **გამოსყიდვა:** გამოსყიდვა ასევე ნიშნავს ვინმეს განთავისუფლებას, დახსნას, როგორც ადამიანის განთავისუფლება მონობისგან გადახდით. გამოსყიდვაში იგულისხმება იესო ქრისტეს გამოსყიდვა და ცოდვებისგან ხსნა. იესოს გამოსყიდვამ მთელი კაცობრიობა გაანთავისუფლა ფიზიკური სიკვდილისაგან. ისინი, ვისაც სწამთ იესოსი და ინანიებენ თავიანთ ცოდვებს, მისი გამოსყიდვის ძალით თავისუფლდებიან სულიერი სიკვდილისაგანაც.
- **აღდგომა:** სიკვდილის შემდეგ სულის ხელახლა გაერთიანება ხორცისა და ძვლებისაგან ფიზიკურ სხეულთან. აღდგომის მერე სული და სხეული არასდროს არ განცალკევდებიან და ადამიანი გახდება უკვდავი. ყველა ადამიანი დაბადებული დედამიწაზე აღდგება, ვინაიდან იესო ქრისტემ დასძლია სიკვდილი.
- **ხსნა:** ფიზიკური და სულიერი სიკვდილისაგან ხსნა. ყველა ადამიანი ღმერთის წყალობით გამოხსნილ იქნა ფიზიკური სიკვდილისაგან, იესო ქრისტეს სიკვდილის და მისი აღდგომის გამო. ასევე ღმერთის წყალობით ყველა პიროვნება შეიძლება გადაურჩეს სულიერ სიკვდილსაც, იესო ქრისტეში რწმენით. ეს რწმენა ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, სახარების კანონების და წეს–ჩვეულებებისადმი მორჩილებით და ქრისტესათვის მსახურობით.
- **სულიერი სიკვდილი:** დაშორება ღმერთისგან და მისი ზეგავლენისაგან, დაშორება ყველაფრისაგან, რაც უბიწოა. სწორედ ადამის დაცემამ მოიტანა დედამიწაზე სულიერი სიკვდილი (იხილეთ ალმა 42:6–7). მოკვდავი ამქვეყნიური ადამიანები ბოროტი

გაკვეთილი 2:
ხსნის გეგმა

შენიშვნები

აზრებით, სიტყვებით და საქმეებით არიან, სულიერად მკვდრები არიან ჯერ კიდევ დედამიწაზე ცხოვრების დროს (იხილეთ 2 ნეფი 9:39). იესო ქრისტეს გამოსყიდვით და სახარების საფუძვლების და წეს–ჩვეულებების მორჩილებით, ადამიანებს შეუძლიათ განიწმინდონ ცოდვებისაგან და სძლიონ სულიერი სიკვდილი.

სხვა ტერმინები, რომელთა მნიშვნელობის განმარტება შეიძლება დაგჭირდეთ მათთვის, ვისაც ასწავლით

- ნათლობა წყალში ჩაძირვით
- ცელესტიალური
- განწმენდილი (ცოდვისაგან)
- შექმნა
- მარადიული წინსვლა
- მარადიული სიცოცხლე
- რწმენა
- აკრძალული ხილი
- პატიებული (ცოდვა)
- ედემის ბაღი
- დიდების სასუფევლები
- წინააღმდეგობა
- ფიზიკური სიკვდილი
- ხსნის გეგმა
- გამოსაცდელი ვადა
- მონანიება
- ცოდვა
- სულების სამყარო
- ტელესტიალური
- ტერესტრიალური
- კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე

შენიშვნები

# იესო ქრისტეს სახარება



## ჩვენი მიზანი

სწავლების დროს მოამზადეთ მოწაფეები, იმისათვის რომ დააკმაყოფილონ მოთხოვნილებები, რომლებიც მოეთხოვებათ მათ, ვინც ინათლება. ეს მოთხოვნილებები მოცემულია მოძღვრება და აღთქმები 20:37 და ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებში. ყველაზე უკეთესად ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ მოწაფეებს შესთავაზებთ აიღონ და შეასრულონ ქვემოთ მოცემული ვალდებულუბები.

### ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები

- გწამთ, რომ ღმერთი არის ჩვენი მარადიული მამა?
- გწამთ, რომ იესო ქრისტე არის ღმერთის ძე, მსოფლიოს მხსნელი და გამომსყიდველი?
- გწამთ, რომ ეკლესია და იესო ქრისტეს სახარება აღდგენილ იქნა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით?

### ვალდებულებები

- გააგრძელებთ, იესო ქრისტეში რწმენის გაღრმავებას მისი სახარების შესწავლით?
- მოინანიებთ ცოდვებს და ილოცებთ მათი შენდობისათვის?
- მოინათლებით და გახდებით, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (თარიღი)? მიიღებთ, სული წმინდის ძღვენს და დამტკიცდებით წევრად?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

## ქრისტეს წყალობით ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვისაგან

ღმერთმა მოავლინა ჩვენს სამყაროში თავისი საყვარელი ძე, იესო ქრისტე იმისათვის რომ ყველა ღმერთის შვილმა სიკვდილის შემდეგ, შემლოს დაბრუნდეს და იცხოვროს მასთან. მხოლოდ მხსნელის მადლით და შეწყალებით ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვებისაგან იმისათვის რომ ვიცხოვროთ ჩვენს მამა ზეციერთან. ცოდვებისაგან განწმენდა – ეს ნიშნავს სულიერად განკურნებას (იხილეთ 3 ნეფი 9:13; 18:32).

ქრისტეს გამოსყიდვით და აღდგომით ყველა ადამიანს მიეცემა საშუალება დაბრუნდეს უფალის გარემოცვაში, რათა განიკითხოს, მისი საქმეების და სურვილების შესაბამისად (იხილეთ 2 ნეფი 9:10–16; ჰელამანი 14:15–18; 3 ნეფი 27:14–22; მოძღვრება და აღთქმები 137:9). ჩვენ განვისჯებით სამართლიანობისა და შეწყალების კანონების მიხედვით.

შენიშვნები

სამართლიანობა – ეს არის უცვლელი კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანები პასუხს აგებენ თავისი ქმედებებისათვის. ისინი კურთხეულები იქნებიან ღმერთის მცნებებისადმი მორჩილებისათვის და დაისჯებიან დაუმორჩილებლობისათვის. ჩვენ ყველა ვცოდავთ. ცოდვა ჩვენ გვაბინძურებს და ბინძურს არ შეუძლია იცხოვროს ღმერთთან (იხილეთ 1 ნეფი 10:21; 3 ნეფი 27:19; მოსე 6:57).

როცა მხსნელი აღმოჩნდა ჩვენს ადგილზე და დაისაჯა ჩვენი ცოდვებისათვის, ამით მან დააკმაყოფილა სამართლიანობის მოთხოვნები, მათთვის, ვინც ინანიებს თავის ცოდვებს და ცდილობს იცხოვროს ღმერთის მცნებების მიხედვით. სწორედ მის ამ ქმედებას, ეწოდება გამოსყიდვა. ქრისტეს ამ უანგარო საქმით, შეუძლია გვექომაგოს მამა ღმერთის წინაშე, რომელსაც შეუძლია გამოიჩინოს მოწყალება და გაგვანთავისუფლოს დასჯისაგან, ასევე მიგვიღოს თავის გარემოცვაში. ჩვენი მამა ზეციერი მოწყალებას იჩენს, როდესაც ის გვაპატიებს ცოდვებს და გვეხმარება მასთან დაბრუნებაში.

მიუხედავად ამისა, იესომ არ გაგვანთავისუფლა ჩვენი პირადი პასუხისმგებლობისაგან. ის შეგვინდობს ცოდვებს, როდესაც ჩვენ მას მივიღებთ, მოვინანიებთ და დავიცავთ ყველა მის მცნებებს. გამოსყიდვით და სახარების წესებით ცხოვრებით ჩვენ გავხდებით მამაზეციერთან მუდმივად ცხოვრების ღირსეულნი. ის, რომ ვაღიარებთ იესო ქრისტეს და გვწამს მისი, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ეს მცნებების დაცვით და სახარების პირველი საფუძვლებისა და წეს–ჩვეულებების შესრულებით.

### ცოდვა

სიტყვა „ცოდვა“ სხვადასხვა კულტურებში განიმარტება სხვადასხვანაირად. ზოგიერთ კულტურებში ის მჭიდროდ არის დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან. სხვა კულტურებში კი მხოლოდ ის დანაშაულია თუ იმის ჩადენა გამოცხადდება და თუ არცხვენს ოჯახს ან საზოგადოებას. განუმარტეთ, რომ ცოდვა - ეს არის ღმერთის მცნებების დარღვევა და ამის შედეგი არის ღმერთისაგან დაშორება. ღმერთმა იცის ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ და ვფიქრობთ, ასევე ის უკმაყოფილოა, როდესაც ჩვენ ვცოდავთ. ნუ ისაუბრებთ თქვენს წარსულში ჩადენილ ცოდვებზე, ასევე სთხოვეთ თქვენს მოწაფეებს არ ისაუბრონ თავიანთ დანაშაულებზე.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**ღმერღმა მოავლინა ღავისი ძე**

ალმა 11:40 იოანე 3:16–17

**ხსნა ქრისტეს მეშვეობიღ**

2 ნეფი 2:6–8 ალმა 34:8–9, 14–16
2 ნეფი 9:21–24

**ქრისტე არის ჩვენი ქომაგი**

მოძღვრება და აღთქმები 45:3–5

**შეძყალება და სამარღლიანობა**

მოსია 15:9 ალმა 42:22–25

## იესო ქრისტეში რწმენა



სახარების პირველი საფუძველია უფალი იესო ქრისტეში რწმენა. ქრისტეში რწმენა ნიშნავს იმას, რომ თქვენ ურყევად გწამთ, რომ იგი არის ღმერთის მხოლოდშობილი ძე, სამყაროს მხსნელი და გამომსყიდველი. ჩვენ ვაღიარებთ იმას, რომ შეგვიძლია მამა ზეციერთან დაბრუნება საცხოვრებლად მხოლოდ მისი მის მადლით და შეწყალებით. თუ ჩვენ გვწამს ქრისტე ჩვენ ვაღიარებთ და ვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში მის სწავლებებს და გამოსყიდვას. ჩვენ ვენდობით მას და გვწამს მისი ნათქვამი. ჩვენ ვიცით, რომ მას შესწევს მალა იმისა, რომ შეასრულოს ყველა თავისი დანაპირები. მამაზეციერი დალოცავს ყველას, ვისაც აქვს მისი მის რწმენა და ემორჩილება მას.

შენიშვნები

ქრისტეში რწმენას მივყევართ მოქმედებისაკენ. რწმენა აიმულებს, გულწრფელ და მუდმივ მონანიებას. როდესაც მართლა რწმენა გვაქვს, მაშინ ჩვენ შევეცდებით, რომ რაც შეგვიძლია, მეტი ვისწავლოთ და უფრო მეტად ვიყოთ ისეთი, როგორიც იყო ჩვენი მხსნელი. ჩვენ გვინდა უკეთესად შევიცნოთ მისი მცნებები და შემდეგ მათ დავემორჩილოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კვლავ მოგვივა შეცდომები, ჩვენ ვაჩვენებთ მისადმი სიყვარულს, მისი მცნებების დაცვით და ცოდვისაგან თავის არიდებით.

ჩვენ გვწამს ქრისტე და იმისა, რომ მას სურს, რომ ჩვენ დავიცვათ ყველა მისი მცნებები. ჩვენ გვინდა გამოვიჩინოთ ჩვენი რწმენის მალა მისადმი მორჩილებით. ჩვენ ვლოცულობთ რწმენით, რათა მოგვეცეს ცდუნებების დამლევის მალა. ასევე შეგვიძლია გავაღრმაოთ რწმენა სახარების, რომელიმე საფუძველის შესახებ, მაგალითად სიბრძნის სიტყვის ან მეათედის კანონის შესახებ, თავდაპირველად იმით, რომ მტკიცედ უნდა ვიწამოთ იესო ქრისტე, რომ დავიცვათ მისი მცნებები. როდესაც ჩვენ ვიცავთ, რაიმე განსაკუთრებულ მცნებას, ჩვენი გამოცდილებით ვწვდებით ამ მცნების ჭეშმარიტებას (იხილეთ იოანე 7:17). ჩვენ ასევე ვასაზრდოებთ რწმენას, როდესაც ვისმენთ ღმერთის სიტყვას (იხილეთ რომაელთა 10:17) და ვკითხულობთ ღმერთის სიტყვას (იხილეთ ჰელამანი 15:7-8).

ღმერთი გვაკურთხებს, თუ მას ვემორჩილებით. ის გვამლევს მალას, რომ გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს. იგი გვეხმარება გულის საწადელის შეცვლაში. იესო ქრისტეში რწმენით, ჩვენ ვიღებთ სულიერ და ფიზიკურ განკურნებას.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რწმენა, ძალა და ხსნა**

1 ნეფი 7:12
2 ნეფი 9:23
2 ნეფი 25:23
მორონი 7:33–34
მორონი 10:7

**რწმენის მოძღვრება**

ალმა 32
ეფესელთა 2:8
Guide to the Scriptures, „Faith“

**რწმენის თვალსაჩინო მაგალითები**

ეთერი 12
ებრაელთა 11

**ჩვენი ქმედებები და მორჩილება**

1 ნეფი 3:7
იაკობი 2:17–26
მოძღვრება და აღთქმები 130:20–21

**მონანიების რწმენა**

ალმა 34

## მონანიება

სახარების მეორე საფუძველი არის მონანიება. იესო ქრისტეში რწმენას და მისადმი სიყვარულს მივყევართ მონანიებისაკენ ან გვაცვლევინებს ფიქრებს, რწმენას და ქცევას, რომელიც უპირისპირდება მის ნებას. მონანიებაში ასევე შედის სამყაროს, ჩვენი თავის და ღმერთის ახლებურად აღქმა. როდესაც ვინანიებთ, ჩვენ ვგრძნობთ ღვთის გულისათვის მწუხრებას, შემდეგ ჩვენ უკვე აღარ ვაკეთებთ იმას, რაც იყო არასწორი და ვაგრძელებთ სწორი საქმეებით მოღვაწეობას. ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მთავარი მიზანია, მონანიების გზით ჩვენი ცხოვრება გავხადოთ ღმერთის ნების შესაბამისი. ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ მამა ღმერთთან საცხოვრებლად მხოლოდ ქრისტეს მოწყალებით და მოწყალებას ქრისტესგან, ჩვენ მივიღებთ მხოლოდ მონანიების გზით.

იმისათვის რომ მოვინანიოთ ცოდვები, ჩვენ ჯერ უნდა ვაღიაროთ ისინი და გულით ვიგრძნოთ სინანული ან ღვთის გულისათვის დამწუხრება. ჩვენს ცოდვებზე, აღსარებას ვეუბნებით ღმერთს. ასევე ვეუბნებით აღსარებას ჩვენს მძიმე ცოდვებზე, ღმერთის უფლებამოსილების მქონე საეკლესიო ხელმძღვანელებს, რომლებსაც შეუძლიათ დაგვეხმარონ მათ მონანიებაში. ჩვენ ლოცვით ღმერთს შევსთხოვთ, რომ შეგვინდოს. ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, რომ გამოვასწოროთ ჩვენი ქმედებებით გამოწვეული პრობლემები, ამას ჰქვია ზარალის ანაზღაურება. როდესაც ვინანიებთ, იცვლება ჩვენი შეხედულება ჩვენს

შენიშვნები

თავზე და გარშემო მსოფლიოზე. მაშინ, როდესაც ვიცვლებით, ვხედავთ, რომ ვართ ღმერთის შვილები და აღარ უნდა გავაგრძელოთ ერთი და იგივე შეცდომები კვლავ და კვლავ. თუ გულწრფელად მოვინანიებთ, ჩვენ ზურგს ვაქცევთ ცოდვებს და მათ არასდროს აღარ ჩავიდენთ. შევეწინააღმდეგებით ყველა ცდუნებებს, რომელიც გვიბიძგებენ ცოდვისაკენ. ჩვენი სურვილი, რომ მივყვეთ ღმერთს სულ უფრო მლიერდება და ღრმავდება.

გულწრფელ მონანიებას მოჰყვება რამოდენიმე შედეგი. ჩვენ ვგრძნობთ ღმერთის შენდობას და მის მშვიდობას ჩვენს ცხოვრებაში. გვტოვებს დანაშაულის გრძნობა და სევდა. უფრო უხვად ვგრძნობთ სული წმინდის მლიერ გავლენას. ხოლო ამ ცხოვრებიდან წასვლის დროს, უფრო კარგად მომზადებულნი ვიქნებით ჩვენს მამაზეციერთან და მის მესთან ცხოვრებისათვის.

იმის მერე, როდესაც ჩვენ ვირწმუნეთ ქრისტე და მოვინანიეთ ცოდვები, ჩვენ მაინც ვცდებით და ვცოდავთ. ჩვენ უნდა მუდმივად ვეცადოთ ამ შეცდომების გამოსწორება. გარდა ამისა ჩვენ უნდა მუდმივად ვისწრაფოდეთ სრულყოფილებისაკენ, ანუ განვავითაროთ ჩვენში ქრისტესნაირი თვისებები, გავაღრმაოთ ცოდნა და ვემსახუროთ უფალს უფრო ნაყოფიერად. როდესაც უფრო მეტს გავიგებთ იმაზე თუ რას ელის ჩვენგან მხსნელი, მით უფრო მეტი სურვილი გვექნება გამოვიჩინოთ სიყვარული მისადმი მორჩილებით. ამგვარად ჩვენ დავინახავთ თუ როგორ იცვლება ჩვენი ცხოვრება ყოველდღიური მონანიებით უკეთესობისაკენ. ჩვენი გულით და ქცევით სულ უფრო დავემსგავსებით ქრისტეს. ყოველდღიურ მონანიებას მოაქვს უდიდესი სიხარული.

### წმინდა წერილების შესწავლა

**ჩვენ ყველანი ვცოდავთ**
რომაელთა 3:23
1 იოანე 1:7–8

**მონანიება**
ალმა 34:8–17
მოძღვრება და აღთქმები 58:42–43
მოძღვრება და აღთქმები 61:2
2 კორინთელთა 7:9–10
Guide to the Scriptures, „Repent, Repentance"

**გამოსყიდვა და პატიება**
ჰელამანი 5:10–11

**შეწყალება მოითხოვს მონანიებას**
ალმა 12:32–35
ალმა 42:13, 21–24
მოძღვრება და აღთქმები 18:10–13

## ნათლობა, ჩვენი პირველი აღთქმა



იესო ქრისტეს რწმენა და მონანიება ჩვენ გვამზადებს მონათვლის და წევრად დამტკიცების საეკლესიო წეს–ჩვეულებებისათვის. ესენი არიან წმინდა საეკლესიო წეს–ჩვეულებები, ანუ რიტუალი, რომელიც გამოხატავს იმას, რომ ჩვენ ღმერთთან დავდეთ აღთქმა.

ღმერთი ყოველთვის მოითხოვდა თავისი შვილებისაგან აღთქმების დადებას. აღთქმა - ეს არის მნიშვნელოვანი სავალდებულო შეთანხმება ღმერთს და ადამიანს შორის. ღმერთი გვპირდება კურთხევებს, ხოლო ჩვენ მას ვპირდებით მორჩილებას. ღმერთი განსაზღვრავს სახარების აღთქმების პირობებს, რომლებსაც ჩვენ ან მივიღებთ ან უარვყოფთ. აღთქმების დაცვას ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებაში მოაქვს კურთხევები და ამაღლება მომავალ ცხოვრებაში.

შენიშვნები

აღთქმები ჩვენ გვავალდებულებენ, რომ პატივი ვცეთ ჩვენს მიერ ღმერთის წინაშე აღებულ ვალდებულებებს. აღთქმების დასაცავად, ჩვენ უნდა დავთმოთ ისეთი საქმიანობა ან გატაცებები, რომლებიც შეგვიძლიან ხელს აღთქმების დაცვაში. მაგალითად, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ კვირა დღეს საყიდლებზე ან გასართობ ღონისძიებებზე, იმისათვის რომ წმინდად შევინახოთ კვირა დღე. ჩვენ უნდა გვქონდეს სურვილი ღირსეულად მივიღოთ ღმერთის მიერ მოცემული აღთქმები და გავაკეთოთ ამისათვის ყველაფერი, რომ დავიცვათ ისინი. აღთქმები ჩვენ გვახსენებენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყოველდღიურად უნდა მოვინანიოთ ცოდვები. მცნებების დაცვით და სხვების სამსახურით ჩვენ ვიღებთ ჩვენი ცოდვების მიტევებას.

როგორც წესი, აღთქმები იდება ისეთი წმინდა საეკლესიო წეს–ჩვეულების დროს, როგორიც არის ნათლობა. ეს საეკლესიო წეს–ჩვეულება ტარდება მღვდლობის უფლებამოსილებით. ნათლობის წეს–ჩვეულებით მაგალითად, ჩვენ ვდებთ აღთქმას, რომ ავიღებთ ჩვენს თავზე იესო ქრისტეს სახელს, ყოველთვის გვეხსომება ის და დავიცავთ მის მცნებებს. თუ ჩვენ დავიცავთ ამ აღთქმის ჩვენს ნაწილს, ღმერთი გვპირდება, რომ სულიწმინდა ყოველთვის იქნება ჩვენთან, ცოდვები მიგვეტევება და ხელახლა დავიბადებით.

საეკლესიო წმინდა წეს–ჩვეულებით, როგორიც არის ნათლობა და წევრად დამტკიცება, ჩვენ უფრო მეტს ვიგებთ ღმერთის მალაზე და განვიცდით მის მოქმედებას (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 84:20). იესო ქადაგებდა, რომ ჩვენ უნდა მოვინათლოთ წყალში ჩვენი ცოდვების მისატევებლად, ანუ ცოდვების შენდობის მისაღებად. ნათლობა არის საეკლესიო წეს–ჩვეულება, რომელიც აუცილებელია ხსნისათვის. ნათლობის გარეშე ვერცერთი ადამიანი ვერ შევა ღმერთის სასუფეველში. ქრისტემ გვაჩვენა მაგალითი თავისი ნათლობით.

წყალში ჩამირვით ნათლობა ეს არის მხსნელის სიკვდილის, დამარხვის და აღდგომის სიმბოლო. ამდაგვარად ის გამოხატავს ჩვენი მველი ცოდვილი ცხოვრების დასასრულს და აღთქმას ახალის, როგორც იესო ქრისტეს მოწაფის ცხოვრების დასაწყისი. მხსნელი გვასწავლიდა, რომ ნათლობა არის ხელახლა დაბადება. როდესაც ვინათლებით, ჩვენ ვიწყებთ ხელახლა დაბადების პროცესს და ვხდებით ქრისტეს სულიერი შვილები და ქალიშვილები (იხილეთ მოსია 5:7–8; რომაელთა 8:14–17).

ჩვენ უნდა მოვინათლოთ, რომ გავხდეთ აღდგენილი ეკლესიის, ანუ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრები და იმისათვის რომ შევიდეთ ცათა სასუფეველში. ეს საეკლესიო წეს–ჩვეულება არის ღმერთის მიერ დაწესებული კანონი და უნდა ჩატარდეს მის მიერ ნაბომები უფლებამოსილებით. ეპისკოპოსმა ან მისიის პრეზიდენტმა, მღვდლობის მფლობელს უნდა მისცეს ნებართვა, რათა ჩაატაროს ნათლობა ან წევრად დამტკიცება.

პატარა ბავშვებს არ სჭირდებათ ნათლობა და არიან გამოსყიდულნი იესო ქრისტეს მოწყალებით (იხილეთ მორონი 8:4–24). ისინი არ ინათლებიან, სანამ არ გახდებიან რვა წლის, ანუ უნდა გაიაზრონ პასუხისმგებლობა (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 68:27).

ნათლობის წინ ჩვენ ვიჩენთ სურვილს, რომ დავდოთ აღთქმა და დავიცვათ ყველა მცნებები მთელი ჩვენი ცხოვრების ბოლომდე. ნათლობის შემდეგ ჩვენ ვიჩენთ რწმენას, აღთქმის დაცვით. ჩვენ ზიარების მიღებით, რეგულარულად ვაახლებთ ნათლობისას დადებულ აღთქმას. ყოველ კვირა ზიარების მიღება ეს არის ღმერთის მცნება. ეს გვეხმარება, რათა ვიყოთ ღირსეულნი, რომ სულიწმინდა ყოველთვის იყოს ჩვენთან. ეს არის ჩვენი აღთქმის ყოველკვირეული შეხსენება. იესო ქრისტემ ზიარების ეს წეს–ჩვეულება პირველად თვალნათლად აღასრულა, მოციქულების წინ ზუსტად მისი გამოსყიდვიდან ცოტა ხნით ადრე. მან ის აღადგინა იოსებ სმითის მეშვეობით. მხსნელმა ბრმანა, რომ მღვდლობის უფლებამოსილების მქონე წევრებმა უნდა ჩაატარონ ზიარება მისი სხეულის და დაღვრილი სისხლის მოსაგონებლად, რომელიც შეიწირა ჩვენთვის. როდესაც ჩვენ ღირსეულად ვიღებთ ზიარებას, ჩვენ ვდებთ პირობას, რომ ყოველთვის გვეხსომება მის მიერ გაღებული მსხვერპლი, ჩვენ ვაახლებთ ჩვენს აღთქმებს და ხელახლა ვიღებთ დაპირებას, რომ სული ყოველთვის იქნება ჩვენთან.

შენიშვნები

## ნათლობის წინ

„ყურადღება გაამახვილეთ, რომ მოწაფეებს გაუღვივდათ ქრისტეს რწმენა, მოინანიეს ცოდვები და თავიანთ ცხოვრებაში შეიტანეს საკმარისი ცვლილებები, რომ იყვნენ ღირსეულები, როგორც ეს ნაბრძანებია მოძღვრება და აღთქმები 20:37. მოწაფეებმა უნდა იცხოვრონ მორალური ღირსების შესაბამისად, დაიცვან სიბრძნის სიტყვა და პირობა დადონ, რომ გადაიხდიან მეათედს. თუ მისიონერები გრძნობენ, რომ საჭიროა დამატებითი მომზადება, მათ უნდა გადადონ ნათლობა იქამდე, სანამ მოწაფე არ დააკმაყოფილებს ყველა შესაბამის მოთხოვნებს.

„ნათლობის წინ ყველა მოწაფემ უნდა მოისმინოს მისიონერების ყველა გაკვეთილი, შეხვდეს ეპისკოპოსს ან მრევლის პრეზიდენტს და რამოდენიმეჯერ დაესწროს ზიარებას" („Statement on Missionary Work," პირველ პრეზიდენტთა წერილი, 11 დეკემბერი 2002).

## წმინდა წერილების შესწავლა

### ქრისტეს მაგალითი

2 ნეფი 31:4–18
მათე 3:13–17

### ნათლობის აღთქმა

მოსია 5:8–10
მოსია 18:8–10
მოძღვრება და აღთქმები 20:37

### ნათლობისათვის პირობები

2 ნეფი 9:23
მოსია 18:8–10
ალმა 7:14–15
3 ნეფი 11:23–27
მორონი 6:1–4
მოძღვრება და აღთქმები 20:37
საქმეები 2:37–39

### ზიარება უფალის მიერ არის დაწესებული

3 ნეფი 18:1–18
ლუკა 22:15–20

### ნათლობისათვის აღთქმული კურთხევები

მოსია 4:11–12, 26
მორონი 8:25–26
იოანე 3:5
რომაელთა 6:4

### ზიარების ლოცვები

მორონი 4 და 5
მოძღვრება და აღთქმები 20:75–79

### ზიარების მიღება

მოძღვრება და აღთქმები 27:2
1 კორინთელთა 11:23–29

### უფლებამოსილების აუცილებლობა

მოძღვრება და აღთქმები 22
ებრაელთა 5:4

## სულიწმინდის ძღვენი

იესო ასწავლიდა, რომ ჩვენ უნდა მოვინათლოთ წყლით და ასევე სულით. წყლით ნათლობას შემდეგ უნდა მოჰყვეს ნათლობა სულით, სხვაგვარად ის არასრულია. მხოლოდ, როდესაც ჩვენ ვინათლებით და ვიღებთ სულიწმინდის ძღვენს, ჩვენ ვიღებთ ჩვენი ცოდვების მიტევებას და მთლიანად თავიდან ვიბადებით სულიერად. შემდეგ ჩვენ ვიწყებთ ახალ სულიერ ცხოვრებას როგორც ქრისტეს მიმდევრები.

იმის შემდეგ, როდესაც ადამიანი წყლით მოინათლება, ერთი ან რამოდენიმე მღვდლობის უფლებამოსილების მქონე პირი, ახლადმონათლულს თავზე ადებს ხელს და ამტკიცებს მას უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრად. შემდეგ ისინი უბოძებენ მას სულიწმინდის ძღვენს.

ისინი, რომლებიც მიიღებენ სულიწმინდის ძღვენს და შემდგომ იქნებიან ღირსეულნი, შესმლებენ მთელი ცხოვრების მანძილზე დატკბნენ სულიწმინდის თანადგომით. სულიწმინდას შესწევს ჩვენი კურთხევის და განწმენდის ძალა. სულიწმინდა არის ქრისტეს მოწმე და გვეხმარება ჭეშმარიტების შეცნობაში. ის გვაძლევს სულიერ ძალას და გვეხმარება კარგის კეთებაში. ის ჩვენ გვანუგეშებს გაჭირვების და მწუხარების დროს. ის წინასწარ გვაფრთხილებს ფიზიკური და სულიერი საშიშროებების შესახებ. სულიწმინდა გვაძლევს ძალას, რომლითაც ჩვენ ვასწავლით და ვსწავლობთ. სულიწმინდის ძღვენი ეს არის მამაზეციერის მიერ ნაბოძები ერთერთი ყველაზე ძვირფასი ძღვენი. სულიწმინდის ძალით ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ ღმერთის ჩვენდამი სიყვარული და მივიღოთ მისი დარიგება. ეს ძღვენი არის მარადიული ბედნიერების და დაპირებული მარადიული სიცოცხლის წინასწარ განცდა.

შენიშვნები

ამ საეკლესიო წეს-ჩეულების ჩასატარებლად საჭიროა მღვდლობის უფლებამოსილება, რომელიც მრავალი საუკუნეების წინ განდგომის დროს იქნა დაკარგული და აღდგენილ იქნა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით. მხოლოდ ეკლესიის წევრობით შეუმლია ადამიანმა მიიღოს სულიწმინდის მღვენი. ეს უფლებამოსილება ეკლესიას განასხვავებს ყველა დანარჩენი რელიგიებისაგან მსოფლიოში. უფალის სიტყვებით, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი და ცოცხალი ეკლესია მთელი დედამიწის პირზე (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 1:30).

### დარიგებები სულიწმინდისაგან

განუმარტეთ მათ, ვისაც ასწავლით, რომ სატანა ეწინააღმდეგება ღმერთს და უბიძგებს ადამიანებს ცოდვის ჩადენისაკენ. იმისათვის რომ მათ შეინარჩუნონ ის კარგი გრძნობები, რომლებიც მათ ჰქონდათ მისიონერებთან შეხვედრისას, მათ უნდა წაიკითხონ მორმონის წიგნი, ილოცონ, დაესწრონ ეკლესიის შეკრებებს და დაიცვან მცნებები. აუხსენით, რომ სულიწმინდის მუდმივი თანადგომა არის ერთერთი უპირატესობა, რასაც ადამიანი იღებს ნათლობის და ეკლესიის წევრად დამტკიცების შედეგად.

### წმინდა წერილების შესწავლა

**სულიწმინდის ბუნება**

მოძღვრება და აღთქმები 130:22–23
იოანე 3:1–8
გალატელთა 5:22–23
Guide to the Scriptures, „Holy Ghost“

**სულიწმინდის გავლენა და კურთხევები, რომლებსაც მისგან ვიღებთ**

2 ნეფი 32:1–5
2 ნეფი 33:1–2
მოსე 6:61
იოანე 14:26
Guide to the Scriptures, „Holy Ghost“

**სულიწმინდის ძღვენის დიდი მნიშვნელობა**

2 ნეფი 31:11–12, 18, 21
3 ნეფი 18:36–37
3 ნეფი 19:13
3 ნეფი 27:19–20
მოძღვრება და აღთქმები 19:31
მოძღვრება და აღთქმები 33:15
საქმეები 19:1–6

## ბოლომდე გაძლება

როდესაც ჩვენ გავუდგებით ვიწრო და სწორ ბილიკს, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ იესო ქრისტეს რწმენით, მონანიებით, ნათლობით და წევრად დამტკიცებით, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის რათა დავრჩეთ ამ ბილიკზე. ჩვენ ამას ვაკეთებთ იესო ქრისტეს რწმენის მუდმივი გაღრმავებით, მონანიებით, ვალდებულებების აღებით და სულის კარნახისადმი მიყოლით.

იმის შემდეგ, როდესაც მივიღებთ ჩვენი ცოდვების შენდობას, ჩვენ უნდა ყოველ დღე ვეცადოთ, რომ შორს გვეჭიროს თავი ცოდვისგან, იმისათვის რომ სულიწმინდა, ყოველთვის იყოს ჩვენთან. ნათლობისას დადებულ აღთქმაში, ჩვენ ვპირდებით მამაზეციერს, რომ ჩვენ დავიცავთ მის მცნებებს მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე. თუ ჩვენ შევცოდავთ, მაშინ უნდა მოვინანიოთ, იმისათვის რათა შევინარჩუნოთ აღთქმის კურთხევები. ჩვენ ვდებთ პირობას, რომ გავაკეთებთ კეთილ საქმეებს, მოვემსახურებით სხვებს და მივყვებით მხსნელის მაგალითს. წმინდა წერილებში, მთელი ცხოვრების მანძილზე დადებული ასეთი აღთქმა, ხშირად მოიხსენიება, როგორც „ბოლომდე გაძლება.“

სახარების ბილიკის სვლით ჩვენ მივუახლოვდებით ღმერთს, დავსძლევთ ცდუნებას და ცოდვას და უფრო მეტად დავტკბებით სულიწმინდის მღვენით. თუ ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე მოთმინებით, ერთგულად და ურყევად მივყვებით ამ ბილიკს, ჩვენ ვიქნებით მარადიული სიცოცხლის ღირსეულები.

შენიშვნები

ქრისტეს რწმენა, მონანიება, აღთქმების დადება, მათი განახლება და დაცვა, ასევე სულით განწმენდა გახდება ჩვენი ცხოვრების წესად. ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისას ვხელმძღვანელობთ ამ პრინციპებით. ჩვენ ვპოულობთ მშვიდობას და სიხარულს ამ პრინციპების დაცვით და თანდათანობით ჩვენში ვასაზრდოებთ ქრისტესნაირ თვისებებს. საბოლოო ჯამში, თუ ჩვენ მივსდევთ ამ გზას და წინ ვივლით ურყევი რწმენით ქრისტეში და ბოლომდე გავძლებთ, მაშინ ჩვენთვის დაპირებულია, რომ მივიღებთ მარადიულ სიცოცხლეს (იხილეთ 2 ნეფი 31:20).

## წმინდა წერილების შესწავლა

**ბოლომდე გაძლება**

2 ნეფი 9:24 | 3 ნეფი 27:16–17 | მათე 10:22
2 ნეფი 31:14–20

**კურთხევები მათთვის, ვინც გაძლებენ**

1 ნეფი 13:37 | 3 ნეფი 15:9 | მოძღვრება და აღთქმები 14:7

## ნათლობის შეთავაზება

ნათლობის და წევრად დამტკიცების შეთავაზების დროს უნდა იყოთ კონკრეტული და პირდაპირი: „მიჰყვებით თუ არა იესო ქრისტეს მაგალითს და მოინათლებით შესაფერისი ძალა-უფლებით აღჭურვილი პირის მიერ? ჩვენ ნათლობის წირვას გავუძღვებით (თარიღი). მოემზადებით, რომ მოინათლოთ ამ დღეს?“

## იდეები სწავლებისათვის

ამ განყოფილებაში მოცემული იდეები, თქვენთვის სასარგებლო იქნება მოცემული გაკვეთილის მოსამზადებლად და ჩასატარებლად. ილოცეთ და მოუსმინეთ სულის კარნახს, რომ გადაწყვიტოთ თუ როგორ გამოიყენებთ მათ. თქვენს მიერ ამორჩეული იდეები ჩართეთ გაკვეთილის გეგმაში. გახსოვდეთ, რომ ეს იდეები არის მხოლოდ შემოთავაზებული წინადადებები და არა მოთხოვნა, იმისათვის რომ დაგეხმაროთ თქვენი მოწაფეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

### მოკლე გაკვეთილის გეგმა (3–5 ძუთი)

იესო ქრისტეს სახარება არის ერთადერთი გზა მარადიული სიცოცხლისაკენ. მისი სახარების პირველი საფუძვლები და წეს–ჩვეულებები არის იესო ქრისტეში რწმენა, მონანიება, ცოდვების მისატევებლად წყალში ნათლობა და სულიწმინდის ძღვენის მიღება. ამის შემდეგ ჩვენ უნდა გავძლოთ ბოლომდე. ჩვენს ცხოვრებაში სახარების ამ საფუძვლების გამოყენებით, ჩვენ მივყვებით ქრისტეს მაგალითს, ვსწავლობთ მისი მცნებების მიხედვით ცხოვრებას და ვანვითარებთ ჩვენში ქრისტესნაირ თვისებებს. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ჩვენი ცოდვების შენდობა და დავბრუნდეთ მამაზეციერთან, რათა ვიცხოვროთ მასთან.

- ქრისტეს წყალობით ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვისაგან
- იესო ქრისტეში რწმენა
- მონანიება
- ნათლობა, ჩვენი პირველი აღთქმა
- სულიწმინდის ძღვენი
- ბოლომდე გაძლება

ვალდებულებები

- გააგრძელებთ, იესო ქრისტეში რწმენის გაღრმავებას მისი სახარების შესწავლით?
- მოინანიებთ ცოდვებს და ილოცებთ მათი შენდობისათვის?
- მოინათლებით და გახდებით, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (თარიღი)? მიიღებთ, სული წმინდის ძღვენს და დამტკიცდებით წევრად?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ, რომ მოიცვათ.

### საშუალო ხანგრძლივობის გაკვეთილის გეგმა (10–15 ძუთი)

ჩვენი მთავარი მიზანია ამ მოწოდებით რწმენის და იმედის მიცემა. ჩვენ გვიყვარს იესო ქრისტე და თაყვანს ვცემთ მას. მას უკავია ცენტრალური ადგილი ბედნიერების გეგმაში, რომელიც ღმერთს აქვს ჩვენთვის მომზადებული. ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლი გვაძლევს საშუალებას, რომ მივიღოთ ღმერთთან მარადიული სიცოცხლე. როდესაც ვცხოვრობთ მისი სახარებით, ის მოწყალებით გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს. ამ ცხოვრებაში ის ჩვენ განგვკურნავს და დანაშაულის და სირცხვილის გრძნობას შეგვიცვლის მშვიდობისა და ბედნიერების გრძნობით.

იესო ქრისტეს სახარება არის უბრალო. ის იწყება ქრისტეში რწმენით. ჩვენ გვწამს მისი, ვენდობით მას და ვართ დამოკიდებულები მასზე. ასეთ რწმენას

შენიშვნები

შენიშვნები

მივყევართ მონანიებისაკენ, რომ აღარ ვაკეთოთ ის, რაც არასწორია და გავაგრძელოთ იმის კეთება, რაც სწორია. მასში ჩვენი რწმენა ასევე იწვევს ჩვენში სურვილს გამოვიჩინოთ მისდამი სიყვარული იმით, რომ დავიცვათ მისი მცნებები და მოვინათლოთ. ნათლობის შემდეგ იგი ჩვენ გვპირდება სულიწმინდის ძღვენს. სულიწმინდა დაგვეხმარება სწორი არჩევანის გაკეთება-ში, გვანუგეშებს და გვასწავლის ჭეშმარიტებას. როდესაც სულიწმინდა იქნება ჩვენთან, ჩვენ ამას ვიგრძნობთ გულით და გონებით. ჩვენ ვიგრძნობთ მშვიდო-ბას, სიყვარულს და სიხარულს. სურვილი გვექნება სხვებისადმი სამსახურის. მოვინდომებთ ისეთნაირად ცხოვრებას, რომ უფალი ჩვენით იყოს კმაყოფილი.

იესო ქრისტემ აღადგინა თავისი სახარება უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველით. ჩვენ სახარებაზე ვსწავლობთ მორმონის წიგნში, რომელიც თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ, მასზე მოიფიქროთ და ილოცოთ. ღმერთი გეტყვით სულიწმინდის ძალით, რომ ის არის ჭეშმარიტება. როდე-საც შეიცნობთ, რომ ეს სწავლება არის ჭეშმარიტება, თქვენ გაგიჩნდებათ მონანიების და ნათლობის სურვილი, იმისათვის რომ მიიღოთ თქვენი ცოდვების მიტევება და სულიწმინდის ძღვენი.

ვალდებულებები

- გააგრძელებთ, იესო ქრისტეში რწმენის გაღრმავებას მისი სახარების შესწავლით?
- მოინანიებთ ცოდვებს და ილოცებთ მათი შენდობისათვის?
- მოინათლებით და გახდებით, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (თარიღი)? მიიღებთ, სული წმინდის ძღვენს და დამტკიცდებით წევრად?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ რომ მოიცვათ.

## მთლიანი გაკვეთილის გეგმა (30–45 წუთი)

- ქრისტეს წყალობით ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვისაგან
  - ღმერთმა ამ ქვეყნად მოავლინა თავისი საყვარელი ძე იესო ქრისტე (იხილეთ იოანე 3:16–17).
  - მხოლოდ ქრისტეს მადლით და მოწყალებით შეგვიძლია განვთავისუფლდეთ ცოდვისაგან (იხილეთ 2 ნეფი 2:6–8).
  - ჩვენი პასუხისმგებლობა არის, რომ ქრისტე მივიღოთ, მოვინანიოთ და დავემორჩილოთ.
- იესო ქრისტეში რწმენა
  - ჩვენ უნდა ვიწამოთ იესო ქრისტე, როგორც სამყაროს მხსნელი.
  - მას სურს, რომ ჩვენ მივიღოთ მისი სწავლება და გავყვეთ მას.
  - ჩვენ მივიღებთ კურთხევებს, როდესაც ვიქნებით მორჩილნი (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 130:20–21).
- მონანიება
  - იესო ქრისტეს რწმენას მივყევართ მონანიებისაკენ (იხილეთ ალმა 34).

შენიშვნები

- ჩვენ ვგრძნობთ მწუხარებას ღვთის გულისთვის (იხილეთ 2 კორინთელთა 7:9–10).
- ჩვენ აღარ ჩავდივართ ისეთ ქმედებებს, რაც არასწორია, და ვაგრძელებთ სწორი საქმეების კეთებას.
- ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, ხოლო მძიმე ცოდვების დროს აღსარებას ვეუბნებით ეკლესიის ხელმძღვანელებს, რომლებსაც შეუძლიათ დაგვეხმარონ მონანიებაში (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 58:43).
- ჩვენ მივიღებთ ცოდვების შენდობას და ჩვენი სული შეივსება სიმშვიდით, ეს გრძნობა შეცვლის სევდის და დანაშაულის გრძნობას (იხილეთ ალმა 36:17–21).

- ნათლობა, ჩვენი პირველი აღთქმა
  - საეკლესიო წეს–ჩვეულება არის წმინდა რიტუალი, რომელიც ტარდება იმისათვის რომ დავდოთ ღმერთთან აღთქმები.
  - აღთქმა – ეს არის შეთანხმება ღმერთსა და მის შვილებს შორის.
  - აღთქმების შესრულებას მოაქვს კურთხევები.
  - ჩვენ ვინათლებით წყალში ცოდვების მისატევებლად (იხილეთ რწმენის სიმბოლოები 1:4).
  - როცა ჩვენ ვინათლებით, ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენს ვალდებულებებს ქრისტეს წინაშე (იხილეთ რომაელთა 6:3–8).
  - ნათლობა უნდა ჩატარდეს იმ პირთა მიერ, ვისაც გააჩნია მღვდლობის უფლებამოსილება.
  - ყოველკვირეული ზიარებით ჩვენ ვანახლებთ ჩვენს აღთქმას (მოძღვრება და აღთქმები 20:77, 79).

- სულიწმინდის ძღვენი
  - წყალში მონათვლის შემდეგ აუცილებელია მონათვლა სულით – ეს ორი რიტუალი განუყოფელია ერთმანეთისაგან.
  - მღვდლობის უფლებამოსილებით აღჭურვილნი თავზე ხელდასხმით უბოძებენ სულიწმინდის ძღვენს.
  - სულიწმინდა ჩვენ გვასწავლის, განგვწმენდს, გვანუგეშებს, გვიმოწმებს ჭეშმარიტებას, გვაფრთხილებს და გვმართავს (იხილეთ 2 ნეფი 32:1–5; მოსია 5:1–6; მორონი 10:5; მოძღვრება და აღთქმები 36:2).

- ბოლომდე გაძლება
  - იმის მერე როცა მოვინათლებით და წევრად დავმტკიცდებით, ჩვენ უნდა დავრჩეთ სწორ გზაზე.
  - ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ვიყოთ თავისუფალი ცოდვისაგან, რათა ვისარგებლოთ სულიწმინდის ძღვენით.
  - თუ ჩვენ ერთგულად მივყვებით სახარების რწმენის და მონანიების ბილიკს, დავდებთ და დავიცავთ აღთქმებს და მივიღებთ სულიწმინდას, ჩვენ გავხდებით მარადიული სიცოცხლის ღირსეულები (იხილეთ 2 ნეფი 31:14–20).
  - მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენ მუდმივად უნდა მოვინანიოთ ჩადენილი ცოდვები (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 19:15–20).

გაკვეთილი 3:
იესო ქრისტეს სახარება

შენიშვნები

ვალდებულებები

- გააგრძელებთ, იესო ქრისტეში რწმენის გაღრმავებას მისი სახარების შესწავლით?
- მოინანიებთ ცოდვებს და ილოცებთ მათი შენდობისათვის?
- მოინათლებით და გახდებით, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (თარიღი)? მიიღებთ, სული წმინდის ძღვენს და დამტკიცდებით წევრად?
- ამ კვირა დღეს, წამოხვალთ ეკლესიაში ჩვენთან ერთად?
- შეგვიძლია დავნიშნოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის თარიღი?
- მცნებები მე-4 გაკვეთილიდან, რომლებიც თქვენ გსურთ რომ მოიცვათ.

## შეკითხვები, რომლებსაც უსვამთ გაკვეთილის ბოლოს

- გაქვთ რაიმე შეკითხვები, მოცემული გაკვეთილის შესახებ?
- რას ნიშნავს მონანიება?
- რატომ არის სულიწმინდის ძღვენი სახარების აუცილებელი ნაწილი?
- რატომ არის თქვენთვის, ასეთი მნიშვნელოვანი ნათლობა და სულიწმინდის ძღვენის მიღება?
- ჩვენი ეკლესიის შეკრების დროს იყო თუ არა თქვენთვის რაიმე გაუგებარი?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ეკლესიის შეკრებაზე?

## ძირითადი განმარტებები

- **წევრად დამტკიცება:** ხელდასხმა, რათა ახლადმონათლული დამტკიცდეს ეკლესიის წევრად და მიიღოს სულიწმინდის ძღვენი. ამას ასრულებენ მელქიცედეკის მღდვლობით უფლებამოსილი პირები.

- **აღთქმა:** ეს არის შეთანხმება ღმერთსა და მის შვილებს შორის. ამ შეთანხმებაში ჩვენ არ წარმოვადგენთ თანასწორ მხარეს. აღთქმის პირობებს განსაზღვრავს ღმერთი, ხოლო ჩვენ მხოლოდ ვაკეთებთ იმას, რასაც ის მოითხოვს. ღმერთი ჩვენი მორჩილებისათვის გვპირდება კონკრეტულ დალოცვებს. ჩვენ აღთქმის დადებით ვასრულებთ საეკლესიო წეს–ჩვეულებებს. ამავე დროს ჩვენ ვპირდებით ღმერთს, რომ პატივს ვცემთ დადებულ აღთქმებს. მაგალითად ეკლესიის წევრები აღთქმას დებენ მონათვლის დროს და ანახლებენ ამ აღთქმას ზიარებისას. სხვა აღთქმებს ჩვენ ვდებთ ტაძარში. ღმერთის ხალხი – ეს არის აღთქმებით გამორჩეული ხალხი. ღმერთთან დადებული აღთქმების დაცვით ჩვენ უხვად მივიღებთ კურთხევებს.

- **გაძლება ბოლომდე:** დავრჩეთ ღმერთის ერთგულნი, დავიცვათ მისი მცნებები ცდუნებების, წინააღმდეგობებისა და ცხოვრებისეული სიძნელეების მიუხედავად.

- **მარადიული სიცოცხლე:** მარადიული ცხოვრება ოჯახებთან ერთად ღმერთის თანდასწრებით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 132:19–20). მარადიული სიცოცხლე – ეს არის ღმერთისგან ნაბოძები უდიდესი ძღვენი.

- **სახარება:** ღმერთის ხსნის გეგმა, რომელიც შესაძლებელი გახდა იესო ქრისტეს გამოსყიდვით. სახარება შეიცავს მარადიული ჭეშმარიტებებს, კანონებს, აღთქმებს და საეკლესიო წეს–ჩვეულებებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანებისათვის, რომ დაუბრუნდნენ ღმერთს.

- **მადლი:** ეს არის იესო ქრისტეს ძალა, რომელიც გვაძლევს საშუალებას მივიღოთ კურთხევები ამ ცხოვრებაში, ასევე მივიღოთ მარადიული სიცოცხლე და ამაღლება იმ პირობით, რომ ჩვენ ნამდვილად გვწამს ქრისტე, მოვინანიებთ და ყველანაირად ვეცდებით

შენიშვნები

დავიცვათ მისი მცნებები. ასეთი ღვთაებრივი დახმარება, ძალა, გვეძლევა ჩვენ იესო ქრისტეს შეწყალებით და სიყვარულით. ჩვენ ყველას გვჭირდება ღვთაებრივი მადლი და შეწყალება, ადამის დაცემის და ასევე ჩვენი სისუსტეების გამო.

- **მოწყალება:** ეს არის თანაგრძნობის და პატიების ნაზი სული. მოწყალება – ეს არის ღმერთის ერთ-ერთი თვისება. იესო ქრისტე თავისი გამომსყიდველი მსხვერპლით იჩენს მოწყალებას ჩვენს მიმართ იმ პირობით თუ ჩვენ მოვინანიებთ ცოდვებს.

- **ზარალის ანაზღაურება:** ეს არის დაკარგულის ან წართმეულის დაბრუნება.

სხვა ტერმინები, რომელთა მნიშვნელობის განმარტება შეიძლება დაგჭირდეთ მათთვის, ვისაც ასწავლით

- ცოდვებისგან განწმენდილი
- აღსარება
- პატიება
- ლოცვა
- ზიარება
- ვიწრო და სწორი ბილიკი
- ცდუნება

შენიშვნები

# მცნებები

## *ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის მომზადება*



### როგორ ვასძავლოღ ეს გაკვეღილი

არსებობს ბევრი მეთოდი ამ გაკვეთილში აღწერილი მცნებების სასწავლებლად. მაგალითად თქვენ შეგიძლიათ აქ განხილული მცნებები ჩართოთ პირველ სამ გაკვეთილში, ან რამოდენიმე მათგანისათვის ჩაატაროთ ცალკე გაკვეთილი. სწავლების მეთოდის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ მოწაფეების მოთხოვნები და მიჰყვეთ სულიწმინდის დარიგებას.

### მოემზადეთ სხვათა სასწავლებლად

ადამიანებისათვის მცნებების სწავლებისას თქვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს მათთვის დახმარება, მაშინ როდესაც ემზადებიან მონათვლისათვის და წევრებად დამტკიცებისათვის, რათა მათ იცხოვრონ სახარების კანონებით, იესო ქრისტეს რწმენით და მონანიებით. მცნებების დაცვით ადამიანები ასაზრდოებენ სახარებაზე დამოწმებას, აჩვენებენ, რომ მათ გააჩნიათ დამწუხრებული გული და მონანიე სული და ისინი ინანიებენ ყველა თავიანთ ცოდვას (იხილეთ მორონი 6:1–4; მომღვრება და აღთქმები 20:37).

ეს გაკვეთილი ისეთნაირად არ არის ორგანიზებული, როგორც პირველი სამი. პირველ სამ გაკვეთილში ახსნილი იყო იესო ქრისტეს სახარების მთავარი მომღვრება. ამ გაკვეთილში უნდა ავხსნათ, რომ ღმერთმა მოგვცა გარკვეული მცნებები, რომლებიც დაგვეხმარებიან ჩვენს ცხოვრებაში სახარების კანონების გამოსაყენებლად.

ამ გაკვეთილის სწავლებისათვის არსებობს მრავალი მეთოდი, მათ შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ მოწაფეების მოთხოვნები და სულიწმინდის დარიგებები. ყოველთვის ილოცეთ იმაზე, თუ როგორ დაეხმაროთ თქვენს მოწაფეებს, რომ მათ შესმლონ სახარების კანონებით ცხოვრება. ქვევით მოყვანილია რამოდენიმე იდეა, რომელიც შეგიმლიათ გაკვეთილებზე გამოიყენოთ:

- პირველი სამი გაკვეთილის გეგმაში ერთი ან რამოდენიმე მცნების სწავლების შეყვანა. ასეთ შემთხვევაში, განიხილეთ ალმას მიერ მოცემული სწავლება, რომ ღმერთმა მათ მისცა მცნებები, *იმის შემდეგ* როდესაც მათ გაანდო გამოსყიდვის გეგმა (იხილეთ ალმა 12:32, კურსივი ჩამატებულია). პირველი სამი გაკვეთილის გეგმაში გარკვეული მცნებების სწავლება მიზანშეწონილია, როგორიც არის ლოცვა და წმინდა წერილების შესწავლა.

შენიშვნები

სხვა მცნებების სწავლება უფრო მიზანშეწონილია, როდესაც პირველი სამი გაკვეთილის შემდეგ ჩაეყრება საფუძველი სახარების მომღვრებას.

- ცალკე გაკვეთილი მიუძღვნათ, ორი ან სამი მცნების შესწავლას.
- ცალკე გაკვეთილი მიუძღვნათ ერთი მცნების შესწავლას.
- თქვენ შეგიძლიათ ასწავლოთ მცნებები სახარების კონტექსტში. მოკლედ განიხილეთ იესო ქრისტეს სახარებაზე მოცემული გაკვეთილი, სანამ ასწავლით ერთ ან რამოდენიმე მცნებას. ასეთნაირად თქვენ დაეხმარებით მოწაფეებს იმის გაგებაში თუ როგორ ერგება ეს მცნებები ცხოვრების საერთო სურათში, მხსნელში რწმენის გაღრმავებით და მონანიებით, რათა მოემზადონ ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის. მათი ცხოვრება იქნება დალოცვილი თუ ისინი დაინახავენ იესო ქრისტეს სახარებას, როგორც ცხოვრების წესს.

თქვენ შეგიძლიათ ზოგიერთ მოწაფეს რამოდენიმე გაკვეთილითაც წარმატებულად ასწავლოთ, ზოგიერთებს კი, შეიძლება უფრო მეტი გაკვეთილები დასჭირდეთ. თქვენ შეგიძლიათ გამოიჩინოთ მოქნილობა გაკვეთილების სწავლებისას, იმისათვის რომ, რაც შეიძლება, მეტად დაეხმაროთ ადამიანებს მათი ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის მომზადებაში. თქვენი მიზანია მოიცვათ არა მარტო სასწავლო მასალა, თქვენ უნდა დაეხმაროთ ადამიანებს ქრისტესთან მოსვლაში, მათი იესო ქრისტეში რწმენით, მონანიებით, ნათლობით, სულიწმინდის მღვენის მიღებით და ბოლომდე გამლებით.

გაკვეთილების ხანგრძლივობა იშვიათად უნდა იყოს 45 წუთზე მეტი. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ უპრიანი იყოს უფრო მოკლე გაკვეთილების ჩატარება და ასეთნაირ შემთხვევაში შეიძლება უფრო ხშირი და მოკლე შეხვედრების ჩატარება, რომლებშიც ასწავლით თემას პატარ-პატარა ნაწილებად.

არსებობს მრავალი მეთოდი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ გაკვეთილის სასწავლებლად. რომელ მცნებას ასწავლით, როდის ასწავლით და მას რამდენ დროს დაუთმობთ, თქვენ ეს უნდა გადაწყვიტოთ მოწაფის მოთხოვნების და სულიწმინდის დარიგებების მიხედვით.

## მცნებების და ვალდებულებების უფრო ღრმად შესწავლა

ამ გაკვეთილის შესწავლისას, მიჰყევით ქვემოთ მოყვანილ მაგალითს:

- შეისწავლეთ განყოფილება, რომელშიც აღწერილია აღნიშნული მცნება და შეადგინეთ მარტივი გაკვეთილის გეგმა, რომელშიც იქნება განხილული სამიდან ხუთამდე რაოდენობის მთავარი პუნქტები.
- წაუკითხეთ მმადნაფიც მისიონერს თქვენს მიერ მომზადებული გაკვეთილის ორი ან სამ წუთიანი ვერსია. ივარჯიშეთ თუ როგორ შესთავაზებთ თანამოსაუბრეს, რომ აიღოს თითოეული ვალდებულება და განმარტეთ თუ როგორ გადაწყვეტთ მათ ყოყმანებს.
- განიხილეთ, თუ რა გზებით შეგიძლიათ მიაღწიოთ თქვენს მოწაფეებთან ერთად მათ მიერ აღებული თითოეული ვალდებულების შესრულება.

## მორჩილება

ღმერთი გვამლევს მცნებებს ჩვენი კეთილდღეობისათვის. მცნებები – ეს არის მოსიყვარულე ზეციერი მამის დარიგებები, რათა დაგვეხმაროს ბედნიერი ცხოვრების მისაღწევად. იგი ასევე ჩვენ გვამლევს სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევნის თავისუფლებას. როდესაც ჩვენ ღმერთს ვემორჩილებით, ამით ჩვენ მივყვებით სულს და ვირჩევთ მისი ნების აღსრულებას. მცნებებისადმი მორჩილებას ჩვენთვის მოაქვს მშვიდობა ამ ცხოვრებაში და მარადიული სიცოცხლე მომავალ სამყაროში. მორჩილება გამოხატავს ჩვენს სიყვარულს ღმერთისადმი. დაუმორჩილებლობას კი მოაქვს დარდი.

შენიშვნები

მამაზეციერმა იცის ჩვენი სისუსტეები და მოთმინებით არის სავსე, ჩვენს მიმართ. იგი გვლოცავს, როცა ვცდილობთ მისი მცნებების დაცვას. ის ჩვენგან მოელის მორჩილებას, იმისათვის რომ შესძლოს ჩვენ დაგვლოცოს.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

**არჩევნის თავისუფლება**

2 ნეფი 2:26–29
ალმა 12:31
მოძღვრება და აღთქმები 58:26–29
მოძღვრება და აღთქმები 82:8–10
Guide to the Scriptures, „Agency“

**მორჩილება**

მოძღვრება და აღთქმები 130:20–21
იოანე 14:15, 21
ეკლესიასტე 12:13

## ვალდებულება

- დაემორჩილებით, ღმერთის კანონებს?

## ხშირად ლოცვა

ღმერთი ჩვენ გვიბრძანებს, რომ ვილოცოთ. თქვენ შეგიძლიათ ლოცვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას. უფალმა გვასწავლა, რომ უნდა ვილოცოთ მუხლმოყრილად ყოველ დილას და ყოველ საღამოს, როგორც განმარტოებულად ასევე ოჯახთან ერთად. მამაზეციერს ესმის ჩვენი ლოცვები და პასუხობს მათზე. ყოველდღიური ლოცვებით ჩვენ ვიღებთ ღვთიურ რჩევებს და კურთხევებს. ჩვენ ყოველთვის უნდა ვილოცოთ გულწრფელად. ასევე უნდა ვილოცოთ „ნამდვილი მოწადინებით,“ ანუ იმას ვგულისხმობთ, რომ ვიმოქმედებთ მიღებული პასუხის შესაბამისად.

ჩვენი მამაზეციერისადმი ვლოცულობთ რწმენით, იესო ქრისტეს სახელით (იხილეთ მოსე 5:8).ვინაიდან ის არის ჩვენი მამა და ჩვენ ვართ მისი შვილები, ის პასუხობს ჩვენს ლოცვებს. ჩვენ ვიწყებთ ლოცვას ჩვენი მამა ზეციერისადმი მიმართვით, ხოლო ვამთავრებთ სიტყვებით: „იესო ქრისტეს სახელით, ამინ.“

ლოცვისას ჩვენს მოსიყვარულე მამაზეციერს ველაპარაკებით ღიად და პატიოსნად. გამოვხატავთ მადლიერებას და სიყვარულს ჩვენი დალოცვებისათვის. ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს სიყვარულზე მის მიმართ. ასევე ვთხოვთ დახმარებას, დაცვას და დარიგებას ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად.

თუ ვილოცებთ რწმენით, გულწრფელად და ნამდვილი მოწადინებით, ჩვენ დავინახავთ ღმერთის გავლენას ჩვენს ცხოვრებაში. იგი გვიხელმძღვანელებს ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში და დაგვეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. იგი დაგვლოცავს სულიერი მშვიდობის და ნუგეშის გრძნობით. გაგვაფრთხილებს საშიშროების შესახებ და ძალას მოგვცემს იმისათვის რომ გავუძლოთ ცდუნებას. ის შეგვინდობს ცოდვებს. ვიგრძნობთ თუ როგორ ვუახლოვდებით მას. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი გავლენის ცნობა პირად ცხოვრებაში. ჩვენ ასევე უნდა ვისწავლოთ სულიწმინდის ნაზი და ჩუმი ხმის მოსმენა.

ჩვენ ვიგრძნობთ თუ როდის გვასწავლის სულიწმინდა ჭეშმარიტებას. ჩვენი ცნობიერება სავსე იქნება შთაგონებული და ამაღლებული აზრებით. ჩვენი გონება განათდება ან მოგვეცემა ახალი ცოდნა. ჩვენი გული გაივსება სიხარულის, მშვიდობის და სიყვარულის გრძნობით. ჩვენ მოგვინდება სიკეთის თესვა და სხვებისადმი დახმარება. ამ გრძნობების აღწერა მნელია, მაგრამ ჩვენ ვცნობთ მათ, როდესაც განვიცდით.

შენიშვნები

### ძმინდა ძერილების შესძავლა

2 ნეფი 32:8–9
ენოსი 1:1–12
ალმა 34:17–28
მორონი 10:3–5
მოძღვრება და აღთქმები 6:22–23
მოძღვრება და აღთქმები 8:2–3
მოძღვრება და აღთქმები 9:7–9
მოძღვრება და აღთქმები 19:28
3 მეფეთა 19:11–12
Guide to the Scriptures, „Prayer“

### ვალდებულება

- მუხლმოყრილად ილოცებთ ყოველდღიურად, როგორც განმარტოებულად ასევე ოჯახთან ერთად?

## წმინდა წერილების შესწავლა

წმინდა წერილები ეს არის წინასწარმეტყველების მიერ წმინდა სულის კარნახით ჩაწერილი ისტორია, რომლებშიც აღწერილია ღმერთის მის შვილებთან ურთიერთობები. ჩვენ ვავლენთ ჩვენს რწმენას, როდესაც ვსწავლობთ ღმერთის გამოცხადებულ სიტყვას, ვემორჩილებით და გვწამს მისი. ჩვენ ბეჯითად და გულდასმით ვსწავლობთ წმინდა წერილებს იმისათვის რომ შევიცნოთ ჭეშმარიტება. ჩვენ ვტკბებით ამ ჭეშმარიტებებით, რადგან ისინი გვიხსნიან გამოცხადებების კარიბჭეს და გვეხმარებიან იმის გაგებაში, თუ რა უნდა ვაკეთოთ და როგორი უნდა გავხდეთ. ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ წმინდა წერილებს იმისათვის რომ ვისწავლოთ იესო ქრისტეზე და მის სახარებაზე. იესო ქრისტეს რწმენა – ეს არის ღმერთის მღვენი და ის მოდის მისი სიტყვის და სახარების შესწავლით და მისი წესებით ცხოვრებით. ეკლესიის მიერ დამტკიცებული წმინდა წერილები, რომლებსაც ასევე ემახიან ეკლესიის კანონიკურ ნაშრომებს, ეს არის: ბიბლია, მორმონის წიგნი, მომღვრება და აღთქმები, ასევე მვირფასი მარგალიტი. ჩვენ უნდა ყოველდღიურად შევისწავლოთ ეს წმინდა წიგნები.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

1 ნეფი 19:22–23
2 ნეფი 9:50–51
2 ნეფი 25:26
2 ნეფი 29:1–13
2 ნეფი 31:19–20
2 ნეფი 32:3–5
ალმა 32:28–30
იოანე 5:39
იოანე 20:31
2 ტიმოთე 3:14–17
2 პეტრე 1:20–21

### ვალდებულება

- წაიკითხავთ, წმინდა წერილებს ყოველდღიურად, როგორც განმარტოებულად ასევე ოჯახთან ერთად?

## შაბათი დღის წმინდად დაცვა

ის, თუ როგორ ვიქცევით შაბათის დღეს, გამოხატავს ჩვენს თავდადებას, რომ პატივი ვცეთ და ვეთაყვანოთ ღმერთს. შაბათის დღის წმინდად დაცვით, ჩვენ ვაჩვენებთ ღმერთს მზადყოფნას, რომ დავიცავთ დადებულ აღთქმებს. ყოველ კვირას (ეს არის ჩვენი შაბათის დღე) ჩვენ მივდივართ უფალის სახლში, რათა თაყვანი ვცეთ მას. ეკლესიაში ზიარების მიღებისას ჩვენ ვიხსენებთ იესო ქრისტეს და მის გამოსყიდვას. ჩვენ ვანახლებთ ჩვენს აღთქმებს და ვაჩვენებთ, რომ მზად ვართ მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები და შეცდომები.

ამ დღეს ჩვენ ვისვენებთ შრომისაგან. ჩვენ ვამლიერებთ ერთმანეთს, როდესაც ვესწრებით ეკლესიურ წირვებს და თაყვანს ვცემთ ღმერთს. ჩვენ ასევე ვაღრმავებთ ურთიერთობებს მეგობრებთან და ოჯახთან. ჩვენი რწმენა სულ უფრო ღრმავდება წმინდა წერილების შესწავლით და როდესაც უფრო მეტს ვსწავლობთ აღდგენილ სახარებაზე.

გაკვეთილი 4:
მცნებები

შენიშვნები

როცა რომელიმე საზოგადოებაში ან ქვეყანაში გულგრილი ხალხი არ იჩენს პატივისცემას შაბათის დღის მიმართ და არ იქცევიან ამ დღის შესაბამისად, მაშინ რელიგიური და საერთო ცხოვრება ყველა თავისი ასპექტით მკვეთრად ეცემა. ეს ხალხი კარგავს იმ კურთხევებს, რომლებიც დაკავშირებულია შაბათის დღის სიწმინდესთან. ამ დღეს ჩვენ თავი უნდა შევიკავოთ მაღაზიებში სიარულისაგან, ასევე რაიმე კომერციული ან სპორტული ღონისძიებაში მონაწილეობისაგან, რომლებიც ასე ხშირად აფუჭებენ ჩვენს შაბათის დღეს.

უკანასკნელი დღეების წმინდანებმა უნდა დაიცვან ეს დღე და იყვნენ თავისუფალი ამქვეყნიური საქმეებისაგან და მიუძღვნან ეს დღე სულიერ თაყვანისცემას, მადლიერებას, სულიერ სამსახურს და იმ ოჯახური ღონისმიებების ჩატარებას, რაც შეესაბამება შაბათის დღეს. თუ ეკლესიის წევრები ამ დღეს ესწრაფვიან აკეთონ საქმეები უფალის ნების და სულის შესაბამისად, მაშინ მათი ცხოვრება აივსება მშვიდობით და სიხარულით.

### წმინდა წერილების შესწავლა

3 ნეფი 18:1–25
მოძღვრება და აღთქმები 59:9–15
გამოსვლა 20:8–11
გამოსვლა 31:12–17
ესაია 58:13–14

### ეკლესიაში შეკრებაზე დაჯექით მოწაფეების ან წევრების გვერდით

ზიარების კრებებზე ან პალოს კონფერენციებზე, მისიონერები უნდა ისხდნენ თავისი მოწაფეების, ახლადმოქცეულების და ეკლესიის წევრების გვერდით. ისინი არ უნდა ისხდნენ სხვა მისიონერებთან ერთად.

### ვალდებულებები

- დაიცავთ, შაბათის დღეს წმინდად?
- მოემზადებით, იმისათვის რომ ღირსეულად მიიღოთ ზიარება?

**ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკითხს**

- როგორ გესმით შაბათის დღე (კვირა), ყოველკვირეული ზიარების მიღებისა და მოყვასის მიმართ მსახურების ჩათვლით? მზად ხართ, იმისათვის რომ დაემორჩილოთ ამ კანონს (ნათლობამდე)?

## ნათლობა და წევრად დამტკიცება

ნათლობით და წევრად დამტკიცებით ჩვენ ვიჩენთ ჩვენს სურვილს, რომ მივყვეთ ღმერთის მიერ მოცემულ გზას. როდესაც ვინათლებით და წევრად ვმტკიცდებით ამით ჩვენ ღმერთთან ვდებთ აღთქმას, რომ ავიღებთ ჩვენს თავზე იესო ქრისტეს სახელს, ყოველთვის გვეხსომება ის და დავიცავთ მის მცნებებს. ჩვენ ასევე ვდებთ პირობას, რომ ყოველთვის დავდგებით ღმერთის მოწმეებად და ყოველთვის დავეხმარებით გაჭირვებულებს (იხილეთ მოსია 18:8–9). ამის საპასუხოდ, ღმერთი გვპირდება სულიწმინდის მუდმივ თანადგომას, ცოდვების მიტევებას და ხელახლა დაბადებას.

### ვალდებულებები

- მოინათლებით და დამტკიცდებით წევრად?
- დაპატიჟებთ თქვენს მეგობრებს და ოჯახს თქვენს ნათლობაზე დასასწრებად?
- შესაძლებლობისამებრ, მოწაფეები დაპატიჟეთ ნათლისღებაზე და ზიარების შეკრებებზე, როდესაც ახლადმონათლული წევრად იქნება დამტკიცებული.

**ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკითხს**

- ნათლობისწინა გასაუბრების ყველა შეკითხვები.

შენიშვნები

## ნათლობის შეთავაზება

ნათლობის და წევრად დამტკიცების შეთავაზების დროს უნდა იყოთ კონკრეტული და პირდაპირი: „მიჰყვებით თუ არა იესო ქრისტეს მაგალითს და მოინათლებით შესაფერისი ძალა-უფლებით აღჭურვილი პირის მიერ? ჩვენ ნათლობის წირვას გავუძღვებით (თარიღი). მოემზადებით, რომ მოინათლოთ ამ დღეს?“

## წინასწარმეტყველის მიყოლა

ჭეშმარიტება არის ცოდნა რაიმე არსებულზე, როგორიც სინამდვილეშია ამჟამად, იყო წარსულში და როგორი იქნება მომავალში. ჭეშმარიტება უცვლელია პირობების ან დროის მიუხედავად. ჭეშმარიტება იქნება იგივე ნებისმიერ დროში და ნებისმიერ კულტურაში. ღმერთი არის ყოველი ჭეშმარიტების წყარო. ჩვენ შეგვიმლია გვწამდეს მისი, რადგან ვიცით, რომ ის გვასწავლის მხოლოდ ჭეშმარიტებას. ღმერთს სურს, რომ ყველა მისმა შვილებმა იცოდნენ ჭეშმარიტება. აქედან გამომდინარე, ხსნისათვის საჭირო ჭეშმარიტებას ის აცხადებს წინასწარმეტყველების და მოციქულების პირით. ჩვენ პირადად ის გვიცხადებს ჭეშმარიტებას წმინდა წერილებით და პირადი გამოცხადებებით.

წინასწარმეტყველი მოწოდებული და არჩეულია ღმერთის მიერ და ის არის დიდი რწმენის მქონე სამართლიანი ადამიანი. სულიწმინდის მეშვეობით უფალი მას ანდობს ჭეშმარიტებას და უბრმანებს, რომ ასწავლოს ეს ჭეშმარიტება ადამიანებს. დალოცვილები არიან ის ადამიანები, ვისაც სწამთ, წინასწარმეტყველისაგან ღმერთის გამოცხადებული სიტყვა.

ქრისტეს ეკლესია აგებულია წინასწარმეტყველების და მოციქულების სამირკველზე, რომლებიც ხელმძღვანელობენ ეკლესიას და იღებენ გამოცხადებებს. ღმერთმა მოუწოდა იოსებ სმითს, რათა ყოფილიყო ამ წყობის პირველი წინასწარმეტყველი და მეთაური. მისი მემკვიდრეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ დღეს უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას, ასევე არიან წინასწარმეტყველები და მოციქულები. ეკლესიის დღევანდელი პრეზიდენტი – ეს არის ცოცხალი წინასწარმეტყველი. ჩვენ უნდა გვწამდეს ღმერთის მიერ არჩეულ წინასწარმეტყველისა, ვიწამოთ მისი ღვთიური მოწოდება და მივყვეთ მის სწავლებებს.

ჩვენ ხშირად გვაქვს შესამლებლობა, რომ სახალხოდ გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა ეკლესიის ხელმძღვანელების მიმართ. *მხარდაჭერა* ნიშნავს ხელის მოკიდებას. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ჩვენი თავი ისე რომ, როდესაც ვუსმენთ მოციქულებს და წინასწარმეტყველებს, სულიწმინდა დაგვიმოწმებს მათი სწავლების ჭეშმარიტებას და ამის შემდეგ ჩვენ შევმლებთ გადავწყვიტოთ, რომ მივყვებით მათ რჩევა–დარიგებას.

მათ ვინც უსმენენ ცოცხალ წინასწარმეტყველებს და მოციქულებს, მიჰყვებიან მათ რჩევა–დარიგებებს, არასდროს არ აებნევათ გზა. ცოცხალი წინასწარმეტყველების სწავლებები გვამლევენ მარადიული ჭეშმარიტების საიმედო ღუზას, მუდმივად ცვალებადი ფასეულობების მსოფლიოში და გვეხმარება თავი ავარიდოთ უბედურებას და დარდს. მსოფლიოს არეულობა და ბრმოლა ჩვენ ვერ წაგვლეკავს და შევმლებთ დავტკბეთ იმის რწმენით, რომ ვართ ღმერთის ნებასთან ჰარმონიაში.

## წმინდა წერილების შესწავლა

მოსია 15:11–12
ალმა 13:1–16
3 ნეფი 12:1–2
მოძღვრება და აღთქმები 1:37–38

მოძღვრება და აღთქმები 21:1–7
მოძღვრება და აღთქმები 136:37–38
იოანე 15:16
საქმეები 10:34–44

ეფესელთა 2:19–20
ეფესელთა 4:11–14
ებრაელთა 5:4
ამოსი 3:7

შენიშვნები

## ვალდებულებები

- შეხვდებით ეპისკოპოსს?
- მხარს დაუჭერთ და მიჰყვებით ეკლესიის ხელმძღვანელების რჩევას?

**ნაღლობისძინა გასაუბრების შეკიღხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკიღხს**

- გწამთ, რომ [დღევანდელი ეკლესიის პრეზიდენტი] არის ღმერთის წინასწარმეტყველი? რას ნიშნავს ეს სიტყვები თქვენთვის?

## ათი მცნების დაცვა

მამაზეციერი გვამლევს მცნებებს, იმისათვის რომ ვიცოდეთ რა ვაკეთოთ და რას ავარიდოთ თავი, იმისათვის რომ მივიღოთ კურთხევები, რომლებითაც მას უნდა ჩვენი დალოცვა (სიხარული, დამშვიდებული სინდისი, მუდმივი ბედნიერება). ღმერთმა გაანდო მოსეს ათი მცნება, რომ მის ხალხს წინ გამღოლოდა:

- „არ იყოლიო სხვა ღმერთები ჩემს გარდა“ (გამოსვლა 20:3). სხვა „ღმერთები“ შეიძლება მოიხსენიებოდეს სიმდიდრე, მალაუფლება ან დიდება.
- „არ გაიკეთო კერპი“ (გამოსვლა 20:4).
- „არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის, სახელი ამაოდ“ (გამოსვლა 20:7).
- „დაიცავი შაბათის დღე, რათა წმიდაჰყო იგი“ (გამოსვლა 20:8).
- „პატივი ეცი მამაშენსა და დედაშენს“ (გამოსვლა 20:12).
- „არა კლა“ (გამოსვლა 20:13).
- „არ იმრუშო“ (გამოსვლა 20:14).
- „არ იქურდო“ (გამოსვლა 20:15).
- „არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი მოყვასის წინააღმდეგ“ (გამოსვლა 20:16).
- „არ ისურვო შენი მოყვასის სახლი, არ ისურვო შენი მოყვასის ცოლი, არც მისი მსახური, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი და არც არაფერი, რაც შენი მოყვასისაა“ (გამოსვლა 20:17).

ათი მცნება დღესაც მალაშია. ისინი გვასწავლიან ღმერთისადმი თაყვანისცემას და პატივისცემას. ისინი გვასწავლიან თუ როგორ მოვეპყროთ ერთმანეთს.

## არ იყოლიო სხვა ღმერღები

ადამიანები სხვადასხვა კულტურებიდან გამოხატავენ განსაკუთრებულ პატივისცემას საგნების მიმართ, რომლებიც მათ ახსენებთ ღვთაებრივს ან წინაპრებს. ხანდახან ასეთი საგნებია ძეგლები, რელიგიური ემბლემები ან ადგილები, შეიძლება გახდეს ამ ადამიანებისათვის თაყვანისცემის საგანი. დაეხმარეთ მათ იმის გაგებაში, რომ, ღმერთმა მოგვცა მცნება არ ვეთაყვანოთ კერპებს. დაეხმარეთ მათ გადაწყვეტილების მიღებაში რომ მოაცილონ ნებისმიერი საგნები, რომლებსაც ისინი ეთაყვანებიან ან ლოცულობენ. დაეხმარეთ მათ ყურადღება გაამახვილონ თავიანთ რწმენაზე და მამაზეციერისა და იესო ქრისტესადმი თაყვანისცემაზე. განუმარტეთ მათ, რომ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარება ყურადღებას ამახვილებს, ცოცხალ ქრისტეზე.

აღდგენილ სახარებაში უფალი გვასწავლის თუ როგორ უნდა ვაჩვენოთ, რომ ის გვახსოვს. ჩვენ ვაჩვენებთ რომ ის გვახსოვს, ლოცვით, ზიარებით და ტაძარში თაყვანისცემით. განსაკუთრებული რეგიონებისათვის თქვენი მისიის პრეზიდენტი მოგცემთ შესაბამის მითითებებს.

შენიშვნები

## წმინდა წერილების შესწავლა

მოსია 13
მოძღვრება და აღთქმები 59:5–6
მათე 22:36–40
გამოსვლა 20:1–17
მეორე რჯული 5:6–21

## ვალდებულება

- დაიცავთ ამ მცნებას?

## უბიწოების კანონით ცხოვრება

ღმერთი დიდად აფასებს უბიწოებას და სძულს სექსუალური ცოდვა. უბიწოება მოიცავს ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობებისაგან მკაცრად თავის შეკავებას და აბსოლუტურ თავდადებას და ერთგულებას ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში. მათ ვინც ცხოვრობენ უბიწოების კანონით აქვთ ძალა, რომელიც მოდის თვითკონტროლით. ოჯახურ ურთიერთობებში ისინი ტკბებიან ერთმანეთის მიმართ ნდობით. მათ შეუძლიათ უფრო ღრმად დატკბნენ სულიწმინდის გავლენით მათ ცხოვრებაში. ისინი, ვინც არღვევენ ამ კანონს არიან მათ ცხოვრებაში მუდმივი სირცხვილის დამნაშავის შეგრძნების ქვეშ.

უბიწოება მოითხოვს ერთგულებას, როგორც აზრებში ისე ქმედებებში. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ წმინდა აზრები და ვიყოთ თავმდაბლები ჩაცმულობით, საუბრით, ქმედებებით. ჩვენ უნდა ავარიდოთ თავი პორნოგრაფიას, ნებისმიერ ფორმაში. უნდა წმინდად მოვექცეთ ღვთის მიერ ნაბოძებ ძალას და ასევე ჩვენს სხეულს, რომელიც არის მთამომავლობის გაგრძელებისათვის. ისინი, ვინც აპირებენ მონათვლას, უნდა ცხოვრობდნენ უბიწოების კანონის დაცვით, რომელიც ქორწინებამდე კრძალავს ნებისმიერ სექსუალურ ურთიერთობას ქალსა და მამაკაცს შორის. ისინი არ უნდა იყვნენ აბორტის და ჰომოსექსუალური კავშირის მონაწილეები. ვინც ჩაიდინა სექსუალური ცოდვები, შეუძლიათ მოინანიონ და მათ ეპატიებათ ცოდვები.

## წყვილები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ

თუ ქალი და მამაკაცი ცხოვრობენ ერთად, მაგრამ არ არიან დაქორწინებული, მათი მონათვლა არ შეიძლება. ისინი ან უნდა დაშორდნენ ერთმანეთს, ან უნდა დაქორწინდნენ. ის, ვინც დაქორწინებულია ერთდროულად რამოდენიმე ადამიანზე, ასევე ვერ მოინათლება. თქვენი მისიის პრეზიდენტი მოგცემთ საჭირო რჩევას ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში.

## წმინდა წერილების შესწავლა

იაკობი 2:28
მოსია 13:22
ალმა 39:3–5
3 ნეფი 12:27–30
მოძღვრება და აღთქმები 42:22–24
მოძღვრება და აღთქმები 63:16
მათე 5:27–28
რომაელთა 1:26–32
ეფესელთა 5:3–5

## ვალდებულება

- იცხოვრებთ უბიწოების კანონით?

**ნათლობისძინა გასაუბრების შეკითხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკითხს**

- როგორ გესმით უბიწოების კანონი, რომელიც კრძალავს ნებისმიერ სექსუალურ ურთიერთობას ქალსა და მამაკაცს შორის კანონიერი ქორწინების გარეშე? მზად ხართ თუ არა (ნათლობამდე) დაიცვათ ეს კანონი?
- თუ გაგიკეთებიათ ოდესმე აბორტი? გქონიათ თუ არა ერთსქესოვანი ურთიერთობა? (შენიშვნა: პიროვნება, რომელიც დადებითად უპასუხებს თუნდაც ერთ შეკითხვას, ნათლობის წინ უნდა გაიაროს გასაუბრება მისიის პრეზიდენტთან).

გაკვეთილი 4:
მცნებები

შენიშვნები

## სიბრძნის სიტყვის დაცვა

ღმერთმა წინასწარმეტყველ იოსებ სმითს გაანდო ჯანმრთელობის კანონი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სიბრმნის სიტყვა“. ეს კანონი გვასწავლის თუ რომელი პროდუქტის და სასმელის გამოყენება შეიმლება ან არ შეიმლება იმისათვის რომ ვიყოთ ჯანმრთელები და არ მოვექცეთ ბოროტი მალების გავლენის ქვეშ. ღმერთი გვპირდება დალოცვებს – ჯანმრთელობას, მალას, ბოროტი მალებისაგან დაცვას და სულიერი ჭეშმარიტებების უკეთესად შეცნობას.

გახსოვდეთ, რომ ჩვენი სხეული წმინდაა. ჩვენ უნდა მოვექცეთ ჩვენს სხეულს პატივის-ცემით და მოფრთხილებით. სიბრმნის სიტყვა გვასწავლის, რომ ჩვენ უნდა მივირთვათ ჯანმრთელი საკვები. განსაკუთრებით მითითებულია, რომ უნდა თავი ავარიდოთ მავნე ნივთიერებებს, როგორც ალკოჰოლს, თამბაქოს, ჩაის და ყავას. ასევე თავი უნდა ავარიდოთ ნებისმიერ ნარკოტიკულ ნივთიერებას. თქვენმა მოწაფეებმა იმისათვის რომ მოინათლონ და წევრად დამტკიცდნენ უარი უნდა თქვან ყველა ამ მავნე ჩვევაზე. ის ადამიანები, რომ-ლებიც იცავენ სიბრმნის სიტყვას, უფრო კარგად აღიქვავენ სულიერ ჭეშმარიტებებს.

თქვენი მისიის პრეზიდენტი გიპასუხებთ ყველა იმ შეკითხვაზე, თუ რა პროდუქტი ან სასმელი, რომელიც გავრცელებულია თქვენს ქვეყანაში, შესულია სიბრმნის სიტყვაში.

### მავნე ჩვევების გადალახვა

თუ დაიცავთ ქვემოთ ჩამოთვლილ წესებს, თქვენ უფრო კარგად დაეხმარებით იმ ადამიანებს, ვისაც სურს დასძლიოს ისეთი მავნე ჩვევები, როგორიცაა თამბაქო, ალკოჰოლური სასმელების სმა და სხვა. ეს წესები ეფექტურია სიბრძნის სიტყვის დაცვაში, მაგრამ ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა მავნე ჩვევების დასაძლევადაც.

1. დაეხმარეთ ადამიანებს მიზნის დასახვაში და იმის განსაზღვრაში, თუ როდის და როგორ დაიწყებენ ისინი სიბრძნის სიტყვის წესების მიხედვით ცხოვრებას.
2. ილოცეთ მათზე, თქვენი პირადი ლოცვისას და ასევე მათი თანდასწრებითაც.
3. იყავით კეთილად, დადებითად განწყობილი და მზად იყავით დახმარებისათვის, მაშინაც კი, როდესაც ისინი კვლავ ცდებიან.
4. გააგრძელეთ მათთვის სახარების სწავლება. ასწავლეთ ისინი თუ როგორ გამოიყენონ ლოცვა და რწმენა, როგორც სიძლიერის წყარო.
5. დაეხმარეთ მათ ეკლესიაში ხშირად მოსვლაში და იმ სხვა წევრებთან დამეგობრებაში, რომლებმაც დასძლიეს მსგავსი მავნე ჩვევები და ახლა ცხოვრობენ სიბრძნის სიტყვის შესაბამისად.
6. საჭიროებისამებრ შეგიძლიათ შესთავაზოთ მღვდლობით კურთხევა.
7. გაამხნევეთ, რომ მოაცილონ ყველა მავნე ნივთიერებები, რომელიც მათ აქვთ სახლში.

მე-10 თავში თქვენ ნახავთ დამატებით რეკომენდაციებს თუ როგორ დაეხმაროთ ადამიენებს მავნე ჩვევების დაძლევაში.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

მოძღვრება და აღთქმები 89 1 კორინთელთა 3:16–17 1 კორინთელთა 6:19–20

### ვალდებულება

- იცხოვრებთ სიბრძნის სიტყვის წესებით?

**ნაღ ლობისძინა გასაუბრების შეკიღ ხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკიღ ხს**

- როგორ გესმით სიბრძნის სიტყვა? მზად ხართ თუ არა (ნათლობამდე) დაიცვათ ეს კანონი?

შენიშვნები

## მეათედის კანონის დაცვა

უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს დალოცვას წარმოადგენს ის პრივილეგია, რომელიც მეათედის გადახდით ეხმარება ღვთის სასუფეველის აღშენებას. მეათედი – ეს არის უმველესი ღვთიური კანონი. მაგალითად, ერთ-ერთი მველი აღთქმის წინასწარმეტყველი აბრაამი იხდიდა მთელი თავისი ქონების მეათედს (იხილეთ ალმა 13:15).

მათ, ვინც იხდის თავის მეათედს, ღმერთი ჰპირდება: „გაგიხსნათ ცის საქანელნი და გადმოგიცალოთ კურთხევა აურწყელად“ (მალაქია 3:10). ეს დალოცვები შეიმლება იყოს მატერიალური ან სულიერი, მაგრამ ისინი აუცილებლად მიეცემა მათ, ვინც იცავს ამ ღვთიურ კანონს.

მეათედი ნიშნავს ერთ მეათედს და ღმერთმა გვიბრმანა ჩვენ, რომ გავცეთ ჩვენი მოგების ერთი მეათედი ნაწილი, ანუ იგულისხმება საერთო შემოსავლის მეათედი ნაწილი, რომ ვიყოთ დალოცვილები. მეათედის კანონი გვამლევს საშუალებას მივიღოთ მონაწილეობა ღვთის სასუფეველის აღშენებაში. ჩვენი მეათედები წმინდაა ღმერთისათვის და ჩვენ გამოვხატავთ მის მიმართ პატივისცემას ამ მეათედის გადახდით. ღმერთი ჰპირდება, რომ უხვად დალოცავს იმათ, ვინც პატიოსნად იხდის მეათედს. ხოლო ისინი, ვინც არ იხდის მეათედს, ატყუებენ ღმერთს (იხილეთ მალაქია 3:8). ისინი იტოვებენ იმას, რაც კანონით ეკუთვნის ღმერთს. ჩვენ პირველ რიგში უნდა ვემიოთ ღვთის სასუფეველი, ხოლო მეათედის გადახდა – ეს არის მთავარი ამ ამოცანის შესასრულებლად. მეათედის გადახდა არის ჩვენი რწმენის მაჩვენებელი. ეს არის ჩვენი რწმენის გარეგნული გამოხატულება ღმერთისადმი და მისი საქმეებისადმი.

სახსრები, რომლებიც მიიღება მეათედის გადახდით, გამოიყენება ეკლესიის ღონისმიებების ჩასატარებლად, რაშიც შედის მთელ მსოფლიოში ტამრების და შეკრებების სახლების მშენებლობა და მომსახურება, სახარების ქადაგება, ასევე სატამრო და საოჯახო ისტორიის სამუშაოების და სხვა ღონისმიებების ჩატარება. მეათედი არ გამოიყენება ადგილობრივი საეკლესიო ხელმმღვანელების ანაზღაურებისათვის, რომლებიც მსახურობენ ხელფასის გარეშე და საერთოდ არანაირ მატერიალურ ანაზღაურებას არ იღებენ.

ადგილობრივი ეკლესიის ხელმმღვანელები რეგულარულად, ყოველ კვირას მრევლისგან მიღებულ მეათედს აგზავნიან უშუალოდ ეკლესიის მთავარ სამმართველოში. საბჭო, რომელშიც შედის პირველი პრეზიდენტობა, თორმეტთა ქვორუმი და თავმჯდომარე ეპისკოპოსობა, განსაზღვრავს თუ როგორ უნდა დაიხარჯოს მეათედის წმინდა ფონდები.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**მეაღ ედი**

| | | |
|---|---|---|
| მოძღვრება და აღთქმები 119 | ებრაელთა 7:1–2 | ლევიანები 27:30–33 |
| მოძღვრება და აღთქმები 120 | დაბადება 14:18–20 | მალაქია 3:7–12 |

**რძმენა**

| | |
|---|---|
| 3 ნეფი 13:33 | ეთერი 12:6 |

### ვალდებულება

- ნათლობის შემდეგ დაიცავთ მეათედის კანონს?

**ნაღ ლობისძინა გასაუბრების შეკიღ ხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკიღ ხს**

- როგორ გესმით მეათედის კანონი? მზად ხართ ის დაიცვათ?

გაკვეთილი 4:
მცნებები

შენიშვნები

## მარხვის კანონით ცხოვრება

უდიდესი დალოცვები ელით მათ, ვინც იცავს ღმერთის მცნებას მარხვის შესახებ. მარხვა ნიშნავს გარკვეული დროით უარის თქმას საჭმელზე და წყალზე. ჩვეულებრივ ყოველი თვის პირველი კვირა ითვლება განსაკუთრებულ დღედ მარხვისათვის და ამ დღეს, ჩვენ ორჯერ თავს ვიკავებთ საჭმლის მიღებისაგან, ვლოცულობთ და ვუზიარებთ დამოწმებას. მარხვას ყოველთვის უნდა მოჰყვეს ლოცვა. როდესაც ვმარხულობთ და რწმენით ვლოცულობთ, უფალისაგან უფრო გახსნილები ვართ ჩვენს ლოცვებზე პასუხებისათვის და კურთხევებისათვის. იგი გვპირდება მუდმივ ხელმძღვანელობას. ჩვენ უნდა ვიმარხულოთ და ვილოცოთ რაიმე განსაზღვრული მიზნისათვის. მარხვა – ეს არის პირადი და სულიერი ქმედება, ამის გამო ჩვენ არ უნდა ვეცადოთ მარხვით სხვისი ყურადღების მოპყრობა.

წმინდა რელიგია ითვალისწინებს ზრუნვას ღარიბებზე. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, რათა დავაკმაყოფილოთ მათი ფიზიკური და სულიერი მოთხოვნები. როცა ვმარხულობთ, ჩვენ ვამლევთ ეკლესიას გარკვეულ თანხას შემოწირულობის სახით, იმისათვის რომ დავეხმაროთ გაჭირვებულებს და ღარიბებს. ჩვენ ამას ვუწოდებთ მარხვის შემოწირულობას. თანხის ოდენობა არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რასაც დავზოგავთ მარხვის დღეს კერძის არ მიღებით. მაგრამ არ არის აუცულებელი შევიზღუდოთ ამ თანხით. ჩვენ უნდა ვიყოთ იმდენად ხელგაშლილები, რამდენადაც საშუალებას გვამლევენ სახსრები. ზრუნვა გაჭირვებულებზე გვეხმარება იმ აღთქმის შესრულებაში, რომელიც დავდეთ ნათლობის დროს და ასევე ჩვენი ცოდვების მიტევებაში.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**მარხვა**

| | | |
|---|---|---|
| ომნი 1:26 | ალმა 17:2–3 | მოძღვრება და აღთქმები 59:12–16 |
| ალმა 5:45–46 | მორონი 6:5 | მათე 6:1–4, 16–18 |
| ალმა 6:6 | მოძღვრება და აღთქმები 88:76 | ესაია 58:6–11 |

**ზრუნვა ღარიბებზე**

| | | |
|---|---|---|
| მოსია 4:16–27 | ალმა 4:12–13 | იაკობი 1:27 |
| მოსია 18:8–10 | მათე 25:34–46 | ესაია 58:3–12 |

### ვალდებულებები

- მომავალ მარხვის კვირა დღეს, იმარხულებთ და ილოცებთ რაიმე განსაკუთრებული მიზნისათვის?
- შემოწირავთ გულუხვ მარხვის შემოწირულობებს (თქვენი ნათლობის შემდეგ)?

## როგორ უნდა გადაიხადოთ მეათედი და მარხვის შემოწირულობა

მეათედის და შემოწირულობების გადახდა ხდება კონფიდენციალურად და კეთილი ნებით, არა მალით. ეკლესიის წევრებს შეუძლიათ ჩააბარონ მეათედი და შემოწირულობა ნებისმიერ დროს, მაგრამ ჩვეულებრივად მეათედს იხდიან შემოსავლის მიღებისას, ხოლო მარხვიდან შემოწირულობას – მარხვის დღეს. ამავე დროს წევრები ავსებენ შემოწირულობის ქვითარს, რომელსაც იღებენ ეკლესიის ეპისკოპოსისაგან. ეკლესიის წევრი იტოვებს შევსებული ქვითრის ყვითელ ასლს, ხოლო თეთრ ასლს ფულთან ერთად დებს კონვერტში. დაბეჭდილი კონვერტი მიეცემა ეპისკოპოსს ან მის მრჩეველებს. ეს შემოწირულობები ითვლება წმინდად და ეკუთვნის ღმერთს. ეპისკოპოსობის წევრი და კლერკი აწარმოებენ ამ შემოწირულობების ბუღალტრულ აღრიცხვას და ინახავენ ყველა მონაცემებს კონფიდენციალურად.

შენიშვნები

ყოველი წლის ბოლოს ეკლესიის წევრები მიდიან მეათედის საკითხის მოგვარებაზე ეპისკოპოსთან იმისათვის რომ დაადასტურონ მეათედისადმი თავიანთი გადახდის მდგომარეობა. ამ პირადი გასაუბრების დროს ისინი მიიღებენ ამონაწერს ყველა მათ მიერ გაკეთებულ გადახდებზე წლის განმავლობაში. ეკლესიაში ფინანსური ინფორმაცია სრულიად კონფიდენციალურია.

**ასძავლეღ მოძაფეებს ღუ როგორ გადაიხადონ მეაღ ედი და მარხვის შემოძირულობანი**

აჩვენეთ შემოწირულობის ქვითარი და აუხსენით თუ როგორ იყენებენ მას. ნათლობის შემდეგ ახლადმოქცეულებს შეიძლება დასჭირდეთ თქვენი დახმარება მათ შესავსებად.

## კანონისადმი მორჩილება და პატივისცემა

უკანასკნელი დღეების წმინდანები ყველგან, იმ ქვეყნის კანონებს ემორჩილებიან, სადაც ცხოვრობენ. ეკლესიის წევრებს ურჩევენ, რომ იყვნენ კარგი მოქალაქეები, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო სამსახურში, პოლიტიკურ პროცესებში და რომ იმსახურონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი ამას აკეთებენ არა როგორც ეკლესიის წარმომადგენლები არამედ, როგორც შეგნებული მოქალაქეები.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

მოძღვრება და აღთქმები 58:21
მოძღვრება და აღთქმები 98:5
მოძღვრება და აღთქმები 130:20–21
მოძღვრება და აღთქმები 134
რწმენის სიმბოლოები 1:12

**ვალდებულება**

- დაემორჩილებით იმ ქვეყნის კანონებს, რომელშიც ცხოვრობთ?

**ნაღ ლობისძინა გასაუბრების შეკიღ ხვები, რომელიც ეხება მოცემულ საკიღ ხს**

- თუ ჩაგიდენიათ, ოდესმე, სერიოზული დანაშაული? თუ ეს ასეა, იმყოფებით ამჟამად თავდებში ან სასჯელის მოხდის შემდეგ მეთვალყურეობისქვეშ? (შენიშვნე: პიროვნება, რომელიც დადებითად უპასუხებს თუნდაც ერთ შეკითხვას, ნათლობის წინ უნდა გაიაროს გასაუბრება მისიის პრეზიდენტთან.)

**ღონისძიებები**

ამ გაკვეთილში მოცემული ყოველი მცნებისათვის, წმინდა წერილებიდან შეადგინეთ დაპირებების ჩამონათვლის სია, მაგალითად როდესაც უფალი ჰპირდება იმ ადამიანებს, რომლებიც დაიცავენ მცნებებს. ჩამოწერეთ თქვენს სამეცადინო რვეულში ის დაპირებები, რომლებიც აღსრულდა თქვენს ცხოვრებაში.

შენიშვნები

# კანონები და საეკლესიო წეს–ჩვეულებები

## *ნათლობის და წევრად დამტკიცების შემდეგ*



© 1998 დელ პარსონი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

### მოემზადეთ სხვათა სასწავლებლად

როდესაც ახლადმოქცეულები მოინათლებიან და წევრად დამტკიცდებიან მეურვეობის ხელმძღვანელებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ ვინ გააგრძელებს ახლადმოქცეულების სწავლებას, მეურვეობის მისიონერები თუ სრული განაკვეთით მყოფი მისონერები და რამდენი ხანი გააგრძელებენ სწავლებას სრული განაკვეთით მყოფი მისონერები. ეს გაკვეთილი უნდა ასწავლონ ახალ წევრებს, მათი მონათვლიდან და წევრად დამტკიცებიდან, რაც შეიძლება მალე. თქვენ ასევე შეგიძლიათ მათ ასწავლოთ ამ კანონებზე და საეკლესიო წეს–ჩვეულებებზე მათი ნათლობის და წევრად დამტკიცების შუალედში ან კიდევ ნათლობის წინ. მონათვლის კანდიდატებმა ეკლესიის ამ კანონებსა და წეს–ჩვეულებებზე უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულები.

ეს გაკვეთილი მალიან ჰგავს მე-4 გაკვეთილს. მისი სწავლებისათვის მიდგომა უნდა განსაზღვროთ ახლადმოქცეულების მოთხოვნილებების და სულის კარნახის მიხედვით. მუდმივად იფიქრეთ და ილოცეთ თუ როგორ დაეხმაროთ ახლადმოქცეულებს სახარებით ცხოვრებაში. ქვევით მოყვანილია რამოდენიმე იდეა, რომელიც შეგიძლიათ გაკვეთილებზე გამოიყენოთ:

- შეგიძლიათ ასწავლოთ ახალ წევრს ყოველი ეს კანონი და საეკლესიო წეს–ჩვეულებები ამ გაკვეთილიდან, იმ დროს როდესაც განიხილავთ თემებს გაკვეთილებიდან „აღდგენის მოწოდება,“ „ხსნის გეგმა,“ და „იესო ქრისტეს სახარება.“ მაგალითად, აღდგენის მოწოდების განხილვისას, თქვენ შეიძლება დაგებადოთ სურვილი, მოწადეს ასწავლოთ მღვდლობის და მისიონერული სამსახურის შესახებ, ხსნის გეგმის განხილვის დროს, თქვენ შეგიძლიათ ასწავლოთ მარადიული ქორწინების, ტამრის და საოჯახო ისტორიის შესახებ, ასევე ეკლესიაში სწავლების და სწავლის შესახებ. იესო ქრისტეს სახარების განხილვის დროს შეიძლება სურვილი გაგიჩნდეთ, ასწავლოთ ვიწრო და სწორ გზაზე და ეკლესიაში მსახურობის შესახებ.
- გაკვეთილის განმავლობაში ერთი ან რამოდენიმე კანონის და საეკლესიო წეს–ჩვეულების სწავლება.
- ერთი კანონის ან საეკლესიო წეს–ჩვეულების ცალკე გაკვეთილად სწავლება.

იმუშავეთ წევრებთან ერთად, რომ ახალმა წევრებმა მიიღონ და იცხოვრონ ამ კანონებით და საეკლესიო წეს–ჩვეულებებით. ახალ წევრებს დაეხმარეთ იმის გააზრებაში, რომ ღმერთის კანონების დაცვით, ისინი შეინარჩუნებენ მათი ცოდვების მიტევებას და

შენიშვნები

დაადგებიან მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალ, სწორ გზას. მიაღწევენ დიდ მშვიდობას და სიხარულს, მიიღებენ პასუხებს ცხოვრების მნიშვნელოვან შეკითხვებზე და იგრძნობენ თავს დაცულად, იმის შეგნებით, რომ ისინი მიეკუთვნებიან იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიას. კანონები და საეკლესიო წეს–ჩვეულებები გვემსახურებიან სახელმძღვანელო პრინციპებად ბედნიერი ცხოვრებისავის, იესო ქრისტეში რწმენით და ურყევი იმედით, რომ მივიღებთ მარადიულ სიცოცხლეს მამასთან ზეცაში.

## შეისწავლეთ კანონები, საეკლესიო წეს–ჩვეულებები და ვალდებულებები

ქვევით მოყვანილი რეკომენდაციები სასარგებლო იქნება, თემის შესწავლისას „კანონები და საეკლესიო წეს-ჩვეულებები".

- შეისწავლეთ განყოფილება, რომელშიც აღწერილია მომღვრება და შეადგინეთ მარტივი გაკვეთილის გეგმა, რომელშიც იქნება განხილული სამიდან ხუთამდე რაოდენობის მთავარი პუნქტები.
- წაუკითხეთ მმადნაფიც მისიონერს თქვენს მიერ მომზადებული გაკვეთილის ორი ან სამ წუთიანი ვერსია. ივარჯიშეთ თუ როგორ შესთავაზებთ თანამოსაუბრეს, რომ აიღოს თითოეული ვალდებულება და განმარტეთ თუ როგორ გადაწყვეტთ მათ ეჭვებს.
- განიხილეთ, თუ რა გზებით შეგიძლიათ მიაღწიოთ თქვენს მოწაფეებთან ერთად, მათ მიერ აღებული თითოეული ვალდებულების შესრულება.

## მღვდლობა და დამხმარე ორგანიზაციები

მღვდლობა არის ძალა და უფლებამოსილება, რომელიც ღმერთის მიერ არის ნაბომები ადამიანისათვის, რათა იმოქმედოს მან ღმერთის სახელით მისი შვილების ხსნისათვის. მღვდლობით ჩვენ ვიღებთ ხსნისათვის საჭირო საეკლესიო წეს–ჩეულებებს, ასევე კურთხევას განკურნვისათვის, სიმშვიდისათვის და რჩევისათვის.

უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას მართავს იესო ქრისტე მოციქულებით და წინასწარმეტყველებით. ისინი არიან სამართლიანი ადამიანები, რომლებიც არიან ღმერთის მიერ მოწოდებულნი და მღვდლობის უფლებამოსილებით ნაკურთხი. უმველესად მოციქულები ქრისტეს მიერ ხელდასხმულ იქნენ და მან მათ უბომა მღვდლობა. ეს უფლებამოსილება დაკარგულ იქნა, როდესაც ადამიანებმა უარყვეს სახარება, მოკლეს ქრისტე და მისი მოციქულები.

მღვდლობის უფლებამოსილება აღდგენილ იქნა 1829 წელს, როდესაც იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა წინასწარმეტყველ იოსებ სმითს და ოლივერ კაუდერის. იოანემ დაადო ხელები მათ თავებზე და უბომა მათ აარონის მღვდლობა (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 13). ცოტა ხნის შემდეგ პეტრემ, იაკობმა და იოანემ დაადეს თავიანთი ხელები იოსებ სმითს და ოლივერ კაუდერის და უბომეს მათ მელქიცედეკის მღვდლობა, რომელიც პეტრემ, იაკობმა და იოანემ მიიღეს იესო ქრისტესგან (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 27:12–13).

კაცმა შეიძლება მიიღოს მღვდლობის უფლებამოსილება მხოლოდ სათანადო ხელდასხმით, ამის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელდადებით. კაცს რომელიც იღებს ამ მღვდლობას ემლევა საოცარი შესამლებლობა. ის დებს აღთქმას, რომ შეასრულებს წმინდა ვალდებულებებს, ემსახურება სხვებს და დაეხმარება ეკლესიის აღმენებაში. მას უნდა ჰქონდეს ღმერთისათვის მსახურობის სურვილი და უნდა იყოს ხელდასხმული ამ მალაუფლებით (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 4:3; 63:57). მათთვის, ვინც აღჭურვილია მღვდლობის უფლებამოსილებით ასევე აუცილებელია, რომ ჩაატარონ წმინდა საეკლესიო წეს–ჩვეულებები, როგორებიც არის ნათლობა და წევრად დამტკიცება. როდესაც მღვდლობის უფლებამოსილება გამოიყენება ღირსეულად, მაშინ ვლინდება ღმერთის მალა. მღვდლობის მალაუფლება გამოიყენება მხოლოდ სამართლიანობით, სიყვარულით და მოთმინებით.

გაკვეთილი 5: კანონები და საეკლესიო წეს-ჩვეულებები

შენიშვნები

მღვდლობა მოდის ღმერთისაგან. ეკლესიაში არის ორი მღვდლობა: აარონის მღვდლობა და მელქიცედეკის მღვდლობა. აარონის სამღვდელოება მართავს საეკლესიო წეს–ჩვეულებებს, როგორიც არის ნათლობა და ზიარება. ღირსეული 12 წლის და უფრო დიდი ასაკის მამაკაცები, იღებენ აარონის მღვდლობას, ნათლობის და წევრად დამტკიცების შემდეგ, მოკლე ხანში.

ღირსეული ზრდასრულმა მამაკაცებმა, საბოლოო ჯამში უნდა მიიღონ უმაღლესი ან მელქიცედეკის მღვდლობა. მღვდლობის ამ მალაუფლებით, ეკლესიის წევრები იღებენ ბევრ სულიერ და ამქვეყნიურ კურთხევებს. ღირსეულ მელქიცედეკის მღვდლობის მფლობელებს შეუმლიათ უბოძონ სულიწმინდის მღვენი, დანიშნულებისამებრ მიანიჭონ მღვდლობა სხვებს, ავადმყოფი აცხონ ნაკურთხი ზეთით და აკურთხონ ჯანმრთელობისთვის და სიმშვიდისათვის. ღირსეული ქმრებს და მამებს, რომლებსაც აქვთ მელქიცედეკის მღვდლობა, შეუმლიათ დალოცონ თავიანთი მეუღლეები, ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები განსაკუთრებული კურთხევებით. ოჯახის მასწავლებლები სტუმრობენ სახლში ეკლესიის წევრებს და ზრუნავენ ამ წევრებზე და ოჯახებზე. ეპისკოპოსები და პალოს პრეზიდენტები არიან მოსამართლეები ეკლესიაში. მათ აქვთ უფლებამოსილება დაეხმარონ წმინდანებს, რომლებმაც შესცოდეს მონანიებაში, რომ მათ შესმლონ დატკბნენ ეკლესიის წევრობის ყველა კურთხევებით. ეს ხელმძღვანელები ატარებენ წევრებთან გასაუბრებებს, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი არიან ღირსეულები ტამარში შესასვლელად.

მღვდლობის ხელმძღვანელობით, დამხმარე ორგანიზაციები, ეხმარებიან წევრებს განმტკიცებაში. ისინი არიან მისიონერული სამსახურისათვის დიდი რესურსი, რადგან მისიონერებს ეხმარებიან მოწაფეების მოძებნაში და სწავლებაში და უწევენ ამხანაგობას ახლადმოქცეულებს. 18 წლის და მეტი ასაკის ქალები, არიან მოწყალების საზოგადოების წევრები, რომელიც ეხმარება ოჯახებს, მარტოხელა პირებს და საზოგადოებას. 12 დან 18 წლამდე ასაკის გოგონები არიან ახალგაზრდა ქალების პროგრამის წევრები. იმავე წლოვანების ბიჭები, მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მამაკაცების პროგრამაში. 3 დან 11 წლამდე ბავშვები, მოღვაწეობენ დაწყები კლასის ორგანიზაციაში. ყველა წევრი, რომლის წლოვანება არის 12 წლის და ზევით, ესწრება საკვირაო სკოლის გაკვეთილებს.

### წმინდა წერილების შესწავლა

| | | |
|---|---|---|
| მოსია 18:17 | მოძღვრება და აღთქმები 84:19–20 | ლუკა 9:1–6 |
| ალმა 13:1–19 | მოძღვრება და აღთქმები 107 | იოანე 15:16 |
| მოძღვრება და აღთქმები 20:38–65 | მოძღვრება და აღთქმები 121:34–46 | იაკობი 5:14–15 |

### ვალდებულებები

- მოემზადებით აარონის მღვდლობის მისაღებად? (ეხებათ 12 წლის და ზევით ასაკის ღირსეულ მამაკაცებს)
- მოემზადებით მელქიცედეკის მღვდლობის მისაღებად? (ეხებათ ზრდასრული ასაკის ღირსეულ მამაკაცებს)
- მიიღებთ აქტიურ მონაწილეობას თქვენთვის შესაფერის დამხმარე ორგანიზაციაში?

## მისიონერული სამსახური

წევრები, რომლებიც უზიარებენ სახარებას განიცდიან სიხარულს და უფალის სულით არიან უხვად კურთხეული. როდესაც ჩვენ ვუზიარებთ სახარებას ჩვენ გამოვხატავთ თუ როგორი მვირფასი და ღრმადმნიშვნელოვანია ის ჩვენთვის და ჩვენ ვგრმნობთ უფრო დიდ სიყვარულს ღმერთის და სხვების მიმართ. უფალმა უბრმანა მის მიმდევრებს, რომ ექადაგათ მისი სახარება მთელ მსოფლიოში, რომ ყოველ ადამიანს მიეცეს მისი მიღების ან უარყოფის საშუალება. როდესაც ადამიანები ინათლებიან ისინი დებენ აღთქმას, რომ ყოველთვის დადგებიან ღმერთის მოწმეებად. მათ მოეთხოვებათ, რომ გაუზიარონ სახარება

შენიშვნები

ადამიანებს რომლებსაც ჯერ ის არ მიუღიათ. როდესაც ეკლესიის წევრები ცხოვრობენ სახარებისადმი ერთგული ცხოვრებით, მათ შეუძლიათ გახდნენ თვალსაჩინო მაგალითი თავიანთი ოჯახის წევრებისათვის და მეგობრებისათვის, თვალსაჩინოდ დაანახონ თუ რა დიდებული კურთხევები მიიღება სახარების კანონებით ცხოვრებით. ეკლესიის წევრებმა უნდა ისარგებლონ ყველა დასმული შეკითხვით, რათა უპასუხონ მათ და გაუზიარონ საეკლესიო ლიტერატურა და აუდიო ვიზუალური მატერიალი, ასევე მოიპატიჟონ ადამიანები, რომ ისწავლონ აღდგენილი სახარების მოწოდების შესახებ. წევრებმა უნდა ილოცონ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც არ არიან ეკლესიის წევრები. მათ უნდა ილოცონ შესამლებლობისათვის, რომ იყვნენ მისიონერები, რათა ემსახურონ მათ ვინც არ არიან ჩვენი სარწმუნოების და გაუზიარონ რისიც მათ სწამთ. ეკლესიის წევრებს უფალი ჰპირდება დახმარებას თუ რა უნდა სთქვან ან გააკეთონ სახარების გაზიარებისას.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

| | | |
|---|---|---|
| იაკობი 5:70–75 | მოძღვრება და აღთქმები 19:29 | მოძღვრება და აღთქმები 84:74–76, 88 |
| მოსია 28:3 | მოძღვრება და აღთქმები 33:8–11 | მოძღვრება და აღთქმები 88:81 |
| მოძღვრება და აღთქმები 18:10–16 | მოძღვრება და აღთქმები 38:40–42 | მოძღვრება და აღთქმები 100:5–8 |

### ვალდებულებები

- მოიპატიჟებთ მეგობრებს და ნათესავებს, რომლებიც არ არიან ეკლესიის წევრები, მისიონერებთან შესახვედრად, რომ მათაც ასწავლონ სახარება?
- ილოცებთ მისიონერებისათვის და შესაძლებლობისათვის რომ სხვებსაც გაუზიაროთ სახარება?
- მოემზადებით მისიაში სამსახურისათვის?

## მარადიული ქორწინება

ოჯახი არის ეკლესიის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ოჯახის შიგნით ადამიანები განიცდიან თავიანთი ცხოვრების ყველაზე დიდ ბედნიერებებს და მწუხარებებს. ქორწინება კაცს და ქალს შორის არის ღმერთის მიერ დაწესებული და უკავია ცენტრალური ადგილი ღმერთის მარადიულ გეგმაში, რომელიც არის მისი შვილების გადასარჩენად. წესი რომლითაც შეიქმნა მოკვდავი ცხოვრება, მითითებულია ღმერთის მიერ და ქორწინებით არის დაცული. ბედნიერების ღვთაებრივი გეგმა ოჯახურ ურთიერთობებს ამლევს საშუალებას, რომ გაგრძელდნენ ამქვეყნიური სიცოცხლის შემდეგ. ამისდა მიუხედავად ქორწინება შეიმლება იყოს მარადიული მხოლოდ მაშინ როდესაც ის არის წმინდა ტამარში საეკლესიო წეს–ჩვეულებით ჩაბეჭდილი, სათანადო მღვდლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ და როდესაც ტამარში ჩაბეჭდილი მეუღლეები, ერთად იცავენ მათ მიერ დადებულ აღთქმებს. ქმრებს და ცოლებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. როდესაც ისინი იცავენ მცნებებს და ცხოვრობენ სახარების საფუძვლებით, მათ უნდა ასევე დაიცვან თავიანთი ქორწინების ფიცი ერთგულად (იხილეთ „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს,“; ასევე იხილეთ მომღვრება და აღთქმები 42:22).

ოჯახურ ცხოვრებაში ბედნიერების მიღწევა შესამლებელია, როდესაც ოჯახი დაფუძნებულია იესო ქრისტეს სწავლებებზე და როდესაც მშობლები ოჯახს აყენებენ ცხოვრებაში პირველ ადგილზე. „ღვთაებრივი გეგმის მიხედვით მამებმა უნდა უხელმძღვანელონ თავიანთ ოჯახებს სიყვარულით და სამართლიანად, ისინი პასუხისმგებლები არიან თავიანთი ოჯახის დაცვაზე და ცხოვრებისეული საჭიროებების უზრუნველყოფაზე. დედების უმთავრესი მოვალეობა არის შვილების აღზრდა. ამ წმინდა მოწოდებით მამები და დედები ვალდებულები არიან ერთნაირად, თანაბრად გაინაწილონ და დაეხმარონ ერთმანეთს“

შენიშვნები

(„ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს“). მშობლებმა ერთად უნდა ასწავლონ თავიანთ ბავშვებს იესო ქრისტეს სახარება და დაეხმარონ, რომ მათ იცხოვრონ მისი კანონებით.

სატანა განსაკუთრებულად უტევს ოჯახებს. რამოდენიმე წლის წინ, ეკლესიის ხელმძღვანელებმა მოუწოდეს წმინდანებს, რომ ყოველი ორშაბათის საღამო გამოყონ საოჯახო საღამოსათვის. მშობლებმა უნდა გამოიყენონ ეს დრო იმისათვის რომ ასწავლონ თავიანთ შვილებს სახარება, გაამლიერონ მათთან ურთიერთობა და ერთად გაერთონ. ოჯახის განმტკიცება კიდევ შეიძლება, ყოველდღიური ოჯახური ლოცვით და წმინდა წერილების შესწავლით, ეკლესიაში მთელი ოჯახით დასწრებით და თაყვანისცემით და სხვებისადმი სამსახურით. ზეცა ეს არის იდეალური ოჯახის გაგრძელება. მღვდლობის წეს–ჩვეულებებით და ღირსეული ცხოვრებით, ჩვენ შეგვიძლია მარადიულად ვიცხოვროთ ღმერთთან ჩვენი ოჯახებით.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**ქორძინება**

| | | |
|---|---|---|
| მოძღვრება და აღთქმები 42:22 | მოძღვრება და აღთქმები 132:7 | „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს“ |
| მოძღვრება და აღთქმები 49:15 | დაბადება 2:24 | |
| მოძღვრება და აღთქმები 131:1–4 | ეფესელთა 5:25 | |

**ოჯახი**

| | | |
|---|---|---|
| მოსია 4:14–15 | მოძღვრება და აღთქმები 130:2 | „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს“ |
| 3 ნეფი 18:21 | 1 ტიმოთე 5:8 | |

**ასძავლეთ ბავშვებს**

| | | |
|---|---|---|
| ალმა 56:47 | მოსე 6:55–62 | ეფესელთა 6:4 |
| ალმა 57:21 | მოძღვრება და აღთქმები 68:25–30 | იგავები 22:6 |

### ვალდებულებები

- ჩაატარებთ ყოველ კვირას საოჯახო საღამოებს და სხვა საოჯახო ღონისძიებებს, ილოცებთ და შეისწავლით წმინდა წერილებს ყოველდღიურად მთელი ოჯახით?
- მოემზადებით ტაძარში წასასვლელად, (1) რათა მიიღოთ ტაძრის მოსილება? (2) რათა დაქორწინდეთ ამჟამად და სამარადისოდ? (3) თუ დაქორწინებულები ხართ, რომ ჩაიბეჭდოთ სამარადისოდ, როგორც მეუღლეები? და (4) რათა თქვენი ბავშვები ჩაიბეჭდონ თქვენთან ერთად?
- კვირაობით დაესწრებით წირვას ეკლესიაში მთელი ოჯახით?
- ემსახურებით სხვებს?

## ტაძრები და საოჯახო ისტორია

ღმერთმა უბრძანა მის ხალხს, რომ აეშენებინათ ტამრები. ტამრებში ჩვენ ვდებთ წმინდა აღთქმებს, ასევე ვიმოსებით ცოდნისა და ძალის მღვენით ზემოდან, ანუ გვემლევა ის მღვენი. ეს მალა გვეხმარება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და გვამლევს საშუალებას, რომ აღვაშენოთ ღმერთის სასუფეველი. ტამარში ჩვენ შეგვიმლია დავქორწინდეთ ამჟამად და სამარადისოდ, რაც იმლევა საშუალებას, რომ ოჯახები ერთად იყვნენ მარადჟამს ღმერთის გვერდზე. მონათვლიდან ერთი წლის შემდეგ, ღირსეულ ქალებს და მამაკაცებს, შეუმლიათ მიმართონ თავიანთ ეპისკოპოსს ტამრის რეკომენდაციისათვის, რათა მიიღონ ტამრის მოსილება. ტამრის მოსილების მიღების შემდეგ, დაქორწინებულ წყვილებს შეუმლიათ ჩაიბეჭდონ ან დაქორწინდნენ სამარადისოდ.

მხსნელს უყვარს ყველა ადამიანები და სურს, რომ ყველა მათგანმა მიიღოს ხსნა. მიუხედავად ამისა მილიონობით ადამიანები გარდაიცვალნენ, რომლებსაც არ ჰქონდათ

შენიშვნები

არანაირი საშუალება მოესმინათ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების შესახებ ან მიეღოთ მათი ხსნისათვის აუცილებელი საეკლესიო წეს–ჩვეულებები. მისი სიყვარულით, მადლით და მოწყალებით, უფალი ყველას აძლევს ხსნის მიღების საშუალებას, ვისაც არ ჰქონდა მისი მიღების, გააზრების და მათი ამქვეყნიური ცხოვრების დროს სახარებისადმი მორჩილების შესაძლებლობა. სულების სამყაროში გარდაცვლილ ადამიანებს უქადაგებენ სახარებას. ეკლესიის წევრები დედამიწაზე ასრულებენ მათი ხსნისათვის აუცილებელ საეკლესიო წეს–ჩვეულებებს, მათი გარდაცვლილი წინაპრებისათვის და სხვებისათვის. გარდაცვლილი სულებს, სულების სამყაროში აქვთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, მიიღონ ან უარყონ სახარება და მათთვის ჩატარებული საეკლესიო წეს–ჩვეულებები.

ამ მიზეზით, ეკლესიის წევრები ეძებენ ინფორმაციას მათი წინაპრებზე. ისინი ავსებენ საგვარტომო ნუსხებს და ოჯახის საჯგუფო ჩანაწერებს, რომლებშიც წერენ მათი გარდაცვლილი წინაპრების სახელებს, რომლებსაც წმინდა ტაძარში სჭირდებათ ხსნისათვის აუცილებელი საეკლესიო წეს–ჩვეულებების მიღება. ეს არის, საოჯახო ისტორიის სამუშაო. ღირსეულ წევრებს და ასევე ახლადმოქცეულებს, 12 წლის და ზევით, შეუძლიათ მიიღონ ეპისკოპოსისაგან რეკომენდაცია, რომ მონაწილეობა მიიღონ გარდცვლილთათვის ნათლობაში.

### საოჯახო ისტორია

ახალ წევრებს სთხოვეთ შეხვდნენ გამოცდილ წევრს ან მოინახულონ ადგილობრივი საოჯახო ისტორიის ცენტრი, (სადაც არის ამის საშუალება) იმისათვის რომ გააცნოთ საოჯახო ისტორიის სამსახურს და მათთვის არსებულ, გენიოლოგიურ რესურსებს. უზრუნველყვეთ ახლადმოქცეულები საოჯახო ისტორიის მასალებით.

### წმინდა წერილების შესწავლა

მოძღვრება და აღთქმები 43:16
მოძღვრება და აღთქმები 95:8–9
მოძღვრება და აღთქმები 124:22–42
მოძღვრება და აღთქმები 128
მოძღვრება და აღთქმები 131
მოძღვრება და აღთქმები 132
მოძღვრება და აღთქმები 138
ფსალმუნები 65:4
1 პეტრე 3:18–21
1 კორინთელთა 15:29
Brochure, *Welcome to the Family History Center* [ბროშურა, *კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საოჯახო ისტორიის ცენტრში*]

### ვალდებულებები

- მოემზადებით, სატაძრო წეს-ჩვეულებებისათვის? (ნათლობის და წევრად დამტკიცების შემდეგ, ღირსეულ წევრებს, 12 წლის და ზევით, შეუძლიათ მიიღონ რეკომენდაცია, რომ წავიდნენ ტაძარში და მიიღონ მონაწილეობა გარდაცვლილთათვის ნათლობაში.)
- მიიღებთ მონაწილეობას, საოჯახო ისტორიის სამუშაოებში და შეიტანთ, წინაპრების სახელებს ტაძარში მათთვის სატაძრო მონაცვლე წეს–ჩვეულებების ჩასატარებლად?

## მსახურობა

ერთერთი უდიდესი კურთხევა, რომელსაც ეკლესიის წევრები იღებენ არის სხვებისათვის მსახურობის შესაძლებლობა. როდესაც ჩვენ სიყვარულით სხვებს ვემსახურებით ჩვენ ამით ვემსახურებით ღმერთს. როდესაც ვინათლებით, ჩვენ აღთქმას ვდებთ, რომ ჩვენ გავუწევთ ასეთ სამსახურს (იხილეთ მოსია 18:8–10). ჩვენ უნდა უფრო მეტად შევიგნოთ სხვა ადამიანების ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებები. ჩვენ ვწირავთ ჩვენს დროს, ნიჭს და საშუალებებს, რომ დავაკმაყოფილოთ გაჭირვებულების მოთხოვნილებები. ჩვენ მივყვებით მხსნელის მაგალითს, რომელიც მოვიდა სხვების სამსახურისათვის. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც იესო აკეთებდა და გავხდეთ ისეთი როგორიც იყო ის.

შენიშვნები

ნათლობიდან მოკლე ხანში ახალი წევრები იღებენ ეკლესიის სამღვდელოების ხელმძღვანელებისაგან კურთხევას, ეკლესიაში პასუხისმგებლობის და მსახურობის შესახებ. ამას ჰქვია საეკლესიო მოწოდება. ყველანაირ სამსახურს ეკლესიაში აკეთებენ მოხალისეები. ამისათვის არავინ არ იღებს ხელფასს. როდესაც ჩვენ მივიღებთ საეკლესიო მოწოდებას, საკვირაო წირვის დროს ჩვენ საჯაროდ გვიცხადებენ მხარდაჭერას ეკლესიის წევრები, რათა მათაც შესძლონ ამის გააზრება და მხარი დაგვიჭირონ. ჩვენ ასევე სამღვდელოების ხელმძღვანელი გამოგვყოფს მოწოდებისათვის ხელდასხმით და ამით ჩვენ გვემლევა განსაკუთრებული კურთხევები, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი საეკლესიო მოწოდების შესრულებაში. ეკლესიას სჭირდება ყოველი წევრის ნიჭი და შესამლებლობები, მრავალგვარი საეკლესიო მოწოდებებისათვის. ყველა საეკლესიო მოწოდება მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ღმერთის სასუფეველის აღშენებას დედამიწაზე. ჩვენ უნდა მივიღოთ, ეკლესიის ასეთი მოწოდებები და უნდა ვიშრომოთ ბეჯითად, რომ ვისწავლოთ და შევასრულოთ ჩვენი მოვალეობები. როდესაც ასე ვაკეთებთ, იზრდება ჩვენი რწმენა, ვანვითარებთ ჩვენში ახალ ნიჭებს, სხვებისადმი სამსახურის უდიდეს შესამლებლობას და მივიღებთ მრავალ სხვა კურთხევებს. მღვდლობის უფლებამოსილების მატარებლებს შეიმლება მოუწოდონ ოჯახის მასწავლებლად მსახურობისათვის. ოჯახის მასწავლებელი არანაკლებ თვეში ერთხელ სტუმრად ეწვევა სახლში, მასზედ მიმაგრებულ გაწევრიანებულ ოჯახებს. ისინი ასწავლიან სახარებას, მშობლებს მხარს უჭერენ, აღრმავებენ მეგობრობას და ეხმარებიან ოჯახებს ტამრის აღთქმების მისაღებად მომზადებაში და მათი დაცვაში. დების შინამასწავლებლები წარმოადგენენ მოწყალების საზოგადოებას და ყოველთვიურად სტუმრად ეწვევა ყოველ სრულწლოვან დას, რომელზეც ის არის პასუხისმგებელი.

### წმინდა წერილების შესწავლა

**მოწყალება**

| | | | |
|---|---|---|---|
| მორონი 7:43–48 | მოძღვრება და აღთქმები 88:125 | მათე 22:36–40 | 1 კორინთელთა 13:1–8 |

**ბრუნვა ღარიბებზე**

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსია 4:26 | ალმა 34:28–29 | მოძღვრება და აღთქმები 52:40 | მათე 25:40 |

**ჩვენ უნდა ვემსახუროთ**

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსია 2:17 | მოსია 18:8–10 | მოძღვრება და აღთქმები 42:29 | მოძღვრება და აღთქმები 107:99–100 |

### ვალდებულებები

- მიიღებთ და შეასრულებთ, საეკლესიო მოწოდების მოვალეობებს (ოჯახის მასწავლებლის ან შინამასწავლებლის მოვალეობის ჩათვლით)?
- დაეხმარებით, სხვებს, მათი საეკლესიო მოწოდების მოვალეობების შესრულებაში?

## სწავლება და სწავლა ეკლესიაში

ეკლესია არის ორგანიზებული იმისათვის რათა სრულყოფოს და აკურთხოს ეკლესიის წევრების ცხოვრება. ეს გვამლევს საშუალებას, რომ ერთმანეთს ვასწავლოთ სახარება, მხარში ამოვუდგეთ, ვემსახუროთ და დავეხმაროთ ერთმანეთს ხსნის მისაღწევად. ეკლესიაში და ოჯახში, ყოველი წევრი იღებს განათლებას სახარების მომღვრებაზე. როდესაც წევრებს ეკლესიაში მოუწოდებენ მასწავლებლის დანიშნულებაზე, მათ ამისათვის აწვდიან სასწავლო მასალებს და ეხმარებიან, რომ მიაღწიონ წარმატებას ამ დანიშნულებაზე.

შენიშვნები

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

მოძღვრება და აღთქმები 88:77–79 ეფესელთა 4:11–14

**ვალდებულება**

- დაესწრებით ეკლესიაში წირვას?

## ბოლომდე გაძლება

როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ სახარებით, ჩვენ ვუახლოვდებით მამაზეციერს. ჩვენ ვგრძნობთ სიხარულს და უფრო ღრმად ვაფასებთ მხსნელის გამოსყიდვას. ჩვენი ოჯახები ერთად უფრო მტკიცდებიან. ჩვენ ვგრძნობთ უფრო დიდ სიყვარულს, სიხარულს და მშვიდობას, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში მოიტანა გამოსყიდვამ. ჩვენი გულები იცვლება და აღდგენილი სახარებით ცხოვრებით, ჩვენ ვპოულობთ უსაფრთხოებას.

როდესაც ჩვენ ვაგრძელებთ ქრისტეს რწმენით გამოვლენას, ვინანიებთ და ვანახლებთ ჩვენს აღთქმებს, ჩვენ ვიღებთ სულიწმინდის მუდმივ დარიგებას. თუ ჩვენ, ჩვენი ცხოვრების ბოლომდე გავუძლებთ და ვიქნებით ჩვენი აღთქმების ერთგულნი, ჩვენ მივიღებთ მარადიულ სიცოცხლეს.

ზოგიერთი წევრები არ მლებენ ბოლომდე, ანუ ხდებიან ნაკლებად აქტიურები. მიუხედავად ამისა ბოლომდე გამლება, ეს არის ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა. ჩვენ „ვიღვაწოთ ჩვენს სახსნელად“ (ფილიპელთა 2:12), ასევე ჩვენ ვემსახურებით და გვიყვარს ისინი, ვისი რწმენაც შესუსტდა პასიურობის გამო.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ნეფი 31:20–21 | მოძღვრება და აღთქმები 20:37 | იოანე 14:15, 21 | ფილიპელთა 2:12 |
| მორონი 6:4 | რწმენის სიმბოლოები 1:3 | ეფესელთა 4:11–14 | |

**ვალდებულება**

- გააგრძელებთ, სახარებით ცხოვრებას, ნათლობისას დადებული აღთქმის, მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე დაცვით?

შენიშვნები



# როგორ უნდა შევიცნო და ჩავწვდე სულს?

## განიხილეთ შემდეგი

- რატომ მჭირდება, რომ მივიღო პირადი გამოცხადება?
- რა არის სულიწმინდა და როგორ მუშაობს ის?
- რატომ უნდა ვილოცო რწმენით?
- როგორია სულის როლი მისიონერული სამსახურის დროს?
- როგორ ვიცნო სულის კარნახი?

## პირადი გამოცხადება

იოსებ სმითმა სთქვა, „ხსნის მიღება შეუმლებელია გამოცხადების გარეშე, მის გარეშე ამაოა ღვთისმსახურობა“ (*History of the Church*, 3:389). თქვენ იქნებით უფრო წარმატებულები თქვენს სამსახურში, როდესაც ისწავლით პირადი გამოცხადების მიღებას და მისი მიხედვით მოქმედებას. იოსებ სმითი ასევე ასწავლიდა, რომ გამოცხადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თქვენი ყოველდღიური სამსახურისათვის: „ეს არის პრინციპი, თუ რანაირად იმართება ღვთიური სამეფო – გამოცხადების მეშვეობით, რომელიც იცვლება იმ მდგომარეობის მიხედვით თუ როგორში აღმოჩნდებიან სასუფევლის მენი“ (*History of the Church*, 5:135).

ღმერთს უყვარხართ თქვენ და ყველა მისი შვილები. ის ცდილობს დაგეხმაროთ თქვენი ყოველდღიური და განსაკუთრებული წინააღმდეგობების დამლევაში. თქვენ მიიღეთ დაპირება, რომ მიიღებთ შთაგონებას იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთოთ და ამისათვის მოგეცათ მალა (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 43:15–16). ის დაგეხმარებათ თქვენს მალისხმევაში, რომ იცნოთ და ჩასწვდეთ სულს წმინდა წერილების ბეჯითად შესწავლით. ის თქვენ მიგიყვანთ იმ ადამიანებთან, რომლებიც მიიღებენ აღდგენის მოწოდებას. ის მოგცემთ მალას, რათა გააგებინოთ მოწოდება და შესმლოთ გაუზიაროთ დამოწმება იესო ქრისტეზე და მისი სახარების შესახებ. სულიწმინდის მღვენით ის უხვად დაგლოცავთ კურთხევებით. ის გთხოვთ, რომ იყოთ ამ მღვენის ღირსეულები, ასევე რომ ითხოვოთ, ემიოთ და კარებზე დააკაკუნოთ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 4:7; მათე 7:7–8).

შენიშვნები

შენიშვნები

ჩვენ ვცხოვრობთ იმ ჟამს, რომელზეც წინასწარმეტყველებდნენ მორმონის წიგნის წინასწარმეტყველები, დღე როდესაც ადამიანები „შეეკამათებიან ერთმანეთს, იქადაგებენ თავიანთ სწავლებას და უარყოფენ სულიწმინდას, რომელიც იმლევა საღაღადებელს“ (2 ნეფი 28:4; იხილეთ ასევე 3 ნეფი 29:6; მორმონი 9:7–8). მიუხედავად ამისა მრავალი ადამიანი ასევე ისწრაფის სულიერისაკენ. როდესაც შეისწავლით პირადი გამოცხადების მიღებას, თქვენ შესძლებთ ასწავლოთ მალით და უფლებამოსილებით (იხილეთ ალმა 17:3) რადგან სულიწმინდა მოგცემთ ლაპარაკის მალას (იხილეთ 1 ნეფი 10:22).

თქვენ უნდა ემიოთ და სულიწმინდით მიიღოთ პირადი გამოცხადება, როდესაც ეხმარებით ადამიანებს ნათლისღებისათვის და წევრად დამტკიცებისათვის. გქონდეთ რწმენა, რომ მიიღებთ პირად გამოცხადებას, რომელიც წინ გაგიმღვებათ ყოველი დღე. სულიწმინდა დაგეხმარებათ თქვენი სამსახურის ყოველ ასპექტში.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

მორონიმ თავის ბოლო დამოწმებაში დაწერა „რამოდენიმე სიტყვა როგორც მოწოდება“ (მორონი 10:2). წაიკითხეთ მორონი 10 და თქვენი სიტყვებით ჩაიწერეთ რვეულში თუ რას მოუწოდებს, რომ გააკეთოს მორონი, მორმონის წიგნის მკითხველს. (*მოუწოდებს* - კონტექსტში მტკიცედ ურჩევს ან დაჟინებით უბრძანებს, რომ გააკეთოს რამე.)

## ქრისტეს სინათლე

ადამიანს შეუმლია მიიღოს სულიერი დარიგება ნათლობამდე და წევრად დამტკიცებამდე. ეს სულიერი ზეგავლენა იწყება იესო ქრისტეს სინათლით, რომელიც „ემლევა ყოველ ადამიანს, რათა მან შესმლოს გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისაგან“ (მორონი 7:16; იხილეთ ასევე მუხლები 14–19).

ქრისტეს სინათლე არის „ღვთიური ენერგია, მალა და ზეგავლენა, რომელიც მოდის ღმერთისაგან ქრისტეს მეშვეობით, რომელიც ამლევს სიცოცხლეს და სინათლეს ყოველ არსებას. ეს არის კანონი, რომლითაც იმართება ყველაფერი ზეცაში და დედამიწაზე. ის ასევე ეხმარება ადამიანებს ჩასწვდნენ სახარების ჭეშმარიტებას და ეხმარება მათ ხსნისაკენ მიმავალ სახარების გზით სვლაში.

„ქრისტეს სინათლე არ უნდა აგვერიოს სულიწმინდაში. ქრისტეს სინათლე არ არის პიროვნება. ეს არის ზეგავლენა, რომელიც მოდის ღმერთისაგან და ამზადებს პიროვნებას სულიწმინდის მისაღებად. ეს არის კეთილი ზეგავლენა ყველა ადამიანის ცხოვრებაში. „ქრისტეს სინათლის ერთი გამოვლინება არის სინდისი, რომელიც ადამიანს ეხმარება გააკეთოს არჩევანი სწორს და არასწორს შორის. რაც უფრო მეტს სწავლობენ ადამიანები სახარების შესახებ, მით უფრო მგრმნობიარე ხდება მათი სინდისი. ადამიანები, რომლებიც დაემორჩილებიან ქრისტეს სინათლეს მიემართებიან იესო ქრისტეს სახარებისაკენ“ (The Guide to the Scriptures, „Light, Light of Christ;“ იხილეთ ასევე მომღვრება და აღთქმები 84:46–47).

პრეზიდენტმა ბოიდ კ. პაკერმა სთქვა, „ეს არის მნიშვნელოვანი . . . მისიონერისათვის . . . რომ იცოდეს სულიწმინდას შეუმლია იმუშავოს ქრისტეს სინათლით. სახარების ჭეშმარიტების მასწავლებელი არ სთესავს რაიმე უცხოს ან თუნდაც ახალს ზრდასრულ ადამიანში ან ბავშვში, პირიქით მისიონერი ან მასწავლებელი კავშირს ამყარებენ ქრისტეს სულთან, რომელიც უკვე იქ არის. სახარება მათთვის უკვე იქნება ნაცნობი“ („ქრისტეს სინათლე,“ სიტყვით გამოსვლა სემინარზე ახალი მისიის პრეზიდენტთათვის, 22 ივნისი 2004, 2).

## სულიწმინდა

**სულიწმინდის პიროვნება.** სულიწმინდა არის სამების მესამე წევრი. ის არის სულიერი არსება და არ აქვს ხორცისა და მვლებისაგან სხეული (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 130:22).

შენიშვნები

ის არის ნუგეშისმცემელი, რომელიც მხსნელის დაპირების მიხედვით ასწავლის მის მიმდევრებს ყველაფერს და გააჴსენებს ყველაფერს, რაც მანამდე ასწავლა (იხილეთ იოანე 14:26).

**სულიწმინდის ძალა.** დამოწმება, რომელსაც იღებენ გულწრფელი მოწაფეები ნათლობის წინ, მოდის სულიწმინდის მალით. „სულიწმინდის მალა შეიძლება ნათლობამდე მოევლინოს ადამიანს და დაუმოწმოს, რომ სახარება არის ჭეშმარიტი“ (The Guide to the Scriptures, „Holy Ghost“). ის ადამიანს ამლევს დამოწმებას იესო ქრისტეზე, დედამიწაზე მისი საქმეების და მისი მსახურების საქმეების შესახებ. სულიწმინდა, ჭეშმარიტებაზე იმლევა დამოწმებას. სულიწმინდის მალით ყველა ადამიანებს შეუმლიათ გაიგონ, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება. „სულიწმინდის მალით თქვენ შეგიმლიათ ჩასწვდეთ ყველაფრის ჭეშმარიტებას“ (მორონი 10:5).

**სულიწმინდის ძღვენი.** მოწაფეები, რომლებიც მიიღებენ დამოწმებას, მათ ჯერჯერობით არ აქვთ მიღებული დაპირება სულიწმინდის მუდმივ თანადგომაზე. იოსებ სმითმა სთქვა: „არის განსხვავება სული წმინდას და სულიწმინდის მღვენს შორის. კორნელიოსს ნათლობამდე მოევლინა სულიწმინდა, როგორც ღმერთის მალა, რომელმაც დაარწმუნა ის სახარების ჭეშმარიტებაში, მაგრამ მას არ შეემლო მიეღო სულიწმინდის მღვენი, სანამ არ მოინათლა. მას რომ არ მიეღო ეს ნიშანი ან საეკლესიო წეს-ჩვეულება, სულიწმინდა რომელმაც ის დაარწმუნა ღმერთის ჭეშმარიტებაში, მიატოვებდა მას“ (*History of the Church*, 4:555).

„. . . სულიწმინდის თანადგომის უფლება, როდესაც ამისათვის ადამიანი ღირსეულია, არის მღვენი, რომლის მიღება შეიმლება მხოლოდ მელქიცედეკის მღვდლობის მატარებლის ხელდასხმით, იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაში მიღებული სრულფასოვანი ნათლისღების შემდეგ (The Guide to the Scriptures, „Holy Ghost“).

> *„სულიწმინდის მღვენი მოდის მაშინ, როდესაც ადამიანი მოინანიებს და გახდება ამისათვის ღირსეული. . . სულიწმინდა მოწმობს ჭეშმარიტებაზე და სულში ისე ღრმად ჩაბეჭდავს მამა ღმერთის და მისი მის იესო ქრისტეს სინამდვილეს, რომ ვერანაირი მიწიერი მალა ან ხელისუფლება ვერ დააცილებს მას ამ ცოდნისაგან.“*
>
> – პრეზიდენტი ჯეიმს ე. ფაუსტი
> „THE GIFT OF THE HOLY GHOST—A SURE COMPASS,“
> *ENSIGN*, მაისი 1996, 4

როგორც ეკლესიის წევრი, თქვენ მიიღეთ სულიწმინდის მღვენი, მღვდლობის უფლებამოსილებით. ეს მღვენი თქვენ გამლევთ უფლებას სულიწმინდის მუდმივ თანადგომაზე, მაშინ როდესაც იქნებით ამისათვის ღირსეული. ილოცეთ სულის დარიგებისათვის და თამამად მიჰყევით იმ რჩევებს, რომლებსაც მისგან მიიღებთ.

**დამპირებელი წმინდა სული.** სულიწმინდა მოიხსენიება ასევე როგორც დამპირებელი წმინდა სული (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 88:3). დამპირებელი წმინდა სულით ჩაბეჭდვა ნიშნავს იმას, რომ სულიწმინდა ამტკიცებს, ჩატარებული სამართლიანი ქმედებები, წეს-ჩვეულებები და აღთქმები არიან მისაღები ღმერთისათვის. დამპირებელი წმინდა სული არის მოწმე მამასთან, რათა დაამოწმოს, რომ მხსნელი საეკლესიო წეს-ჩვეულებები, სწორად იყო ჩატარებული და მათთან დაკავშირებული ყველა აღთქმები იყო დაცული. ისინი ვინც არიან დამპირებელი წმინდა სულით ჩაბეჭდილნი, იღებენ ყველაფერს, რაც მამას აქვს (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 76:51–60; ეფესელთა 1:13–14). ყველა აღთქმა და საეკლესიო საქმიანობა უნდა ჩაბეჭდილი იყოს დამპირებელი წმინდა სულით, რომ ისინი მალაში იყვნენ ამ ცხოვრების შემდეგ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 132:7, 18–19, 26). აღთქმების დარღვევამ შეიმლება გააუქმოს ჩაბეჭდვა.

შენიშვნები

**სულის ძღვენები.** სულის მღვენები არის განსაკუთრებული სულიერი კურთხევები, რომლებსაც უფალი ამლევს ღირსეულ ადამიანებს მათი პირადი კეთილდღეობისათვის და მათი მეშვეობით სხვათა საკურთხევლად. მაგალითად, მისიონერები, რომლებმაც უნდა ისწავლონ ახალი ენა, შეიმლება მიიღონ ენების მღვენის კურთხევა, რომ გაუწიოს მათ ღვთიური დახმარება, ენის შესასწავლად. რამოდენიმე სულის მღვენი აღწერილია, მორონი 10:8–18, მომღვრება და აღთქმები 46:11–33 და 1 კორინთელთა 12:1–12. ეს არის მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი, წმინდა სულის მრავალი მღვენებისა. უფალმა შეიმლება გაკურთხოთ სხვადასხვანაირად, ეს დამოკიდებულია თქვენს ერთგულებაზე, თქვენს მოთხოვნილებებზე და მათ მოთხოვნილებებზე, ვისაც თქვენ ემსახურებით. თქვენ უნდა გსურდეთ სულიერი მღვენების მიღება და გულდასმით ემიოთ ისინი (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 46:8; 1 კორინთელთა 12:31; 14:1, 12). ეს მღვენები მიიღება ლოცვით, რწმენით და ღმერთის ნების შესაბამისი საქმიანობით (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 63:9–12; 84:64–73).

**ღონისძიება: დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერულ ან ეროვნულ მეცადინეობა**

წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი ლიტერატურა:

- The Guide to the Scriptures, „Holy Ghost," „Light, Light of Christ," and „Spirit."
- *Our Search for Happiness*, 84–86, 91–92.
- *True to the Faith*, „Holy Ghost," 81–84, and „Spiritual Gifts," 165–67.

დაწერეთ სულიწმინდის ბუნების და როლის განსაზღვრება.

წაიკითხეთ მოციქულთა საქმეები 4:23–33.

- როგორ ეძებდნენ პეტრე და იოანე სულიერ ძღვენებს?
- როგორ უპასუხა უფალმა მათ ლოცვებს?
- რა შეგიძლიათ ისწავლოთ ამ გამოცდილებიდან, თქვენი საკუთარი სამუშაოს მიმართებით?

## სულის ძალა მოქცევისას

ადამიანის მოქცევისას სულიწმინდის მალა არის ყველაზე მთავარი. ეცადეთ ჩასწვდეთ მოქცევის მომღვრებას და გამოცდილებას. პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერმა განმარტა სულის მთავარი როლი ადამიანის მოქცევაში:

„ადამიანის მოქცევა ხდება სულის მალით. მისიონერული სამსახურის წარმატებისათვის საჭიროა სამი პირობის დაცვა:

„ჩვენ უნდა გვესმოდეს თუ რას უნდა გრმნობდეს მოწაფე, იმისათვის რომ იყოს მოქცეული.

„ჩვენ უნდა გვესმოდეს თუ რას უნდა გრმნობდეს მისიონერი, იმისათვის რომ ასწავლოს სულის მომქცევი მალით.

„ასევე ჩვენ უნდა გვესმოდეს თუ რას უნდა გრმნობდეს წევრი, იმისათვის რომ წარმატებულად ხელი შეუწყოს ადამიანის მოქცევის პროცესს" (მისიის პრეზიდენტთა კონფერენცია, 3 აპრილი 1985).

შენიშვნები

რაც უფრო უკეთესად გაიგებთ თუ რას გრძნობენ მოწაფეები, მისიონერები და ახალი წევრები, როდესაც ისინი იღებენ სულისაგან დამოწმებას, უკეთესად ჩასწვდებით თქვენ საკუთარ როლს, რომლის მიზანია:



- სულიერად განმტკიცდეთ და გონება გაგეხსნათ მაშინ, როდესაც სწავლობთ წმინდა წერილებს და ასწავლით მომღვრებას.
- როდესაც ასწავლით შექმენით კლიმატი, რომელშიც სულიწმინდა შესძლებს გაუზიაროს დამოწმება. თქვენ ამას აკეთებთ აღდგენის მოწოდების სწავლების და დამოწმებისას. ასწავლეთ ისე როგორც გკარნახობთ სული, ასევე დაამოწმეთ, რომ სულიწმინდის მალით თქვენ იცით ის, რასაც თქვენ ასწავლით არის ჭეშმარიტება.
- მიჰყევით სულის კარნახს, ყოველი პიროვნების მოთხოვნილებების შესაბამისად მოწოდების ადაპტირებისათვის.
- შესთავაზოთ ადამიანებს იმოქმედონ. მათი რწმენა გაიზრდება, როდესაც მოინანიებენ, დაემორჩილებიან მცნებებს, დადებენ და დაიცავენ აღთქმებს.

უხუცესი მ. რასელ ბალარდმა სულის მალაზე სთქვა შემდეგი: „ნამდვილი მოქცევა ხდება სულის მალით. როდესაც სული ეხება გულს, გული იცვლება. როდესაც ადამიანი . . . გრძნობს სულის კარნახს, ან როდესაც ისინი ხედავენ თავიანთ ცხოვრებაში უფალის სიყვარულის და მოწყალების დასტურს, ისინი სულიერად ნათლდებიან და მლიერდებიან და მათი რწმენა მასში იზრდება. ეს სულიერი მოვლენები ხდება თავისთავად როდესაც ადამიანს სურს გამოსცადოს სიტყვა. აი ასე ვაღწევთ ჩვენ *გრძნობას*, რომ სახარება არის ჭეშმარიტება" („Now Is the Time," *Ensign*, ნოემბერი 2000, 75).

სულიწმინდა მოქმედებს ადამიანების გულებში, რათა შეიტანოს ეს ცვლილებები. როდესაც ადამიანები ირჩევენ ვალდებულებების დაცვას, ისინი უფრო მლიერად იგრძნობენ, სულიწმინდის მალას და მათ გაუღვივდება ქრისტესადმი მორჩილების რწმენას. ამიტომ, თქვენ უნდა დაეხმაროთ ადამიანებს, რომლებსაც ასწავლით, რომ გაიზარდონ რწმენაში, მათი მონანიებისაკენ მოწოდებით და ვალდებულებების აღებით და მათი დაცვით.

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

- წაიკითხეთ ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი და იმსჯელეთ, თუ რა უნდა იგრძნოს მოწაფემ, იმისათვის რომ მოქცეულ იქნას. ჩაიწერეთ თქვენი გრძნობები და შთაბეჭდილებები თქვენს სამეცადინო რვეულში. განიხილეთ თქვენი იდეები სხვა მისიონერებთან და წევრებთან.

  2 ნეფი 4:16–35; ენოსი 1; მოსია 4–5; 18:7–14; 27–28; ალმა 5; 17–22; 32; 36; 38
- წაიკითხეთ ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი და იმსჯელეთ თუ რა უნდა იგრძნოთ, თქვენ როგორც, მისიონერმა და როგორც წევრმა, რათა ასწავლოთ მომქცევი ძალით. ჩაიწერეთ თქვნი გრძნობები და შთაბეჭდილებები თქვენს სამეცადინო რვეულში. განიხილეთ თქვენი იდეები სხვა მისიონერებთან და წევრებთან.

  1 ნეფი 8:11–12; მოსია 28:1–4; ალმა 26; 29; 31:26–38; 32; მორონი 7:43–48; მოძღვრება და აღთქმები 4; 18:10–16; 50:21–22

შენიშვნები

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რას ასწავლიან ეს წმინდა წერილები სულის ძალაზე, თქვენი სამსახურის მიმართებით?**

2 ნეფი 33:1–2
მოძღვრება და აღთქმები 42:11–17
მოძღვრება და აღთქმები 50:13–22
საქმეები 2:37–38
1 კორინთელთა 2:11–14
Guide to the Scriptures, „Conversion, Convert"

**რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისათვის რომ დატკბეთ სულის ძალით თქვენს სამსახურში?**

ალმა 32:27–28
მოძღვრება და აღთქმები 42:14
იოანე 7:17

**რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი იმის სწავლება, რაც თქვენ იცით და გწამთ?**

ალმა 5:43–47
მოძღვრება და აღთქმები 52:9
მოძღვრება და აღთქმები 80:4

## ილოცეთ რწმენით

თქვენ შეგიძლიათ ასწავლოთ უფალისდაგვარ მხოლოდ სულის ძალით და სულს მიიღებთ მხოლოდ ლოცვით და რწმენით. უფალმა სთქვა, რომ სული მოგეცემათ რწმენით აღსავსე ლოცვით და სულს თუ არ მიიღებთ, ნუ ასწავლით (მომღვრება და აღთქმები 42:14). მოწაფეების სწავლებისას, როდესაც ილოცებთ დახმარებისათვის, სულიწმინდა მიიტანს თქვენს ნასწავლებს „ადამიანების შვილთა გულებამდე" (2 ნეფი 33:1).

პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ აღწერა ეს პრინციპი მისი მისიის დროინდელი ერთ-ერთი შემთხვევით:

„მე მშვენივრად მახსოვს ორი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც მსახურობდნენ ჩემს მისიაში. ერთი იყო ნამდვილი სუპერვარსკვლავი, ის იყო განათლებული, ნიჭიერი, სწრაფი და ცოტათი ქედმაღალი. მეორე კი, რომელიც იყო აბრების მხატვარი, რომელიც მისიამდე მუშაობდა აბრების სახელოსნოში, მცირე განათლებით მაგრამ მან იცოდა თავისი სისუსტეები და ენდობოდა უფალს. როდესაც ის ლოცულობდა, სჩანდა, რომ ესაუბრებოდა უფალს. ეს არ იყო დაზეპირებული სიტყვები ეს იყო სრულფასოვანი საუბარი და ახალგაზრდა ახდენდა საოცრებებს, როდესაც მეორე ახალგაზრდა უბრალოდ გულგრილად იხდიდა მოვალეობას. ძალა რომელიც ერთს ჰქონდა და ამ ძალის არ ქონა მეორეში იყო მალიან აშკარა. შესთხოვეთ ღმერთს. მან გამოგიგზავნათ მოსაწვევი და ის გიპასუხებთ" (*Teachings of Gordon B. Hinckley* [1997], 469).



ეცადეთ ილოცოთ გულწრფელად, ნამდვილი მოწადინებით და მთელი „გულის ძალით" (მორონი 7:48). ქმედით ლოცვისათვის საჭიროა დიდი მალისხმევა (იხილეთ მორონი 10:3–4; მომღვრება და აღთქმები 8:10; 9:7). გაამახვილეთ სერიოზულად ყურადღება თქვენს გონებრივ განწყობილებაზე და სიტყვებზე, რომლებსაც გამოიყენებთ. ლოცვისას გახსოვდეთ შემდეგი:

- ლოცვისას გამოიყენეთ ისეთი სიტყვები, რომლებითაც სჩანს, რომ გიყვართ და პატივს სცემთ მამაზეციერს. გამოიყენეთ შესაფერისი და საპატივსაცემო გამოთქმები მიუხედავად ენისა, რომელზეც არ უნდა ლოცულობდეთ. მაგალითად ინგლისურ ენაზე გამოიყენეთ წმინდა წერილებში გამოყენებული ნაცვალსახელები, როგორებიც არის *Thee, Thou, Thy* და *Thine*.

შენიშვნები

- ყოველთვის გამოხატეთ მადლიერება კურთხევებისათვის. შეგნებულად მადლიერების გამოხატვა დაგეხმარებათ იმის ჩაწვდომაში თუ როგორი მოწყალეა უფალი.
- განსაკუთრებულად ილოცეთ სულიწმინდის თანადგომისათვის და დახმარებისათვის. თქვენი ყურადღებით და გულისხმიერებით სულიერი შთაგონების მიმართ, აჩვენეთ, რომ აფასებთ ამ კურთხევებს. შემდეგ თამამად მიჰყევით ამ შთაგონებას.
- ილოცეთ სიყვარულით და მოწყალებით. ლოცვებში ადამიანები მოიხსენიეთ სახელებით. სთხოვეთ შთაგონება, რომ შესძლოთ მათი მოთხოვნილებების უკეთესად გააზრება და დაკმაყოფილება. ილოცეთ კონტაქტების, მოწაფეების, ახლადმოქცეულებისა და ნაკლებად აქტიური წევრების კეთილდღეობისათვის. ილოცეთ თქვენი რაიონის წევრებისათვის, სამღვდელოების და დამხმარე ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის. ილოცეთ სახლში თქვენი ოჯახისათვის. ილოცეთ თქვენი მმადნაფიცი მისიონერისათვის, სხვა მისიონერთათვის და თქვენი მისიის პრეზიდენტისათვის. ილოცეთ იმისათვის რათა გაიგოთ თუ როგორ შესძლოთ სხვებისადმი დახმარება და მზად იყავით მათ სასიკეთოდ მსხვერპლშეწირვისათვის.
- ილოცეთ, რათა დაინახოთ და გაიგოთ თუ საით წახვიდეთ და რა გააკეთოთ. ილოცეთ, რომ მიხვიდეთ იმათთან, რომლებიც მზად არიან აღდგენის მოწოდების მისაღებად. ილოცეთ, რომ იცნოთ ისინი.

> *„ყოველ დილით, მისიონერებმა უნდა მუხლი მოიყარონ და შესთხოვონ ღმერთს, რომ გაეხსნათ ენა და ელაპარაკოს მათი პირით, რომ აკურთხოს ადამიანები რომლებსაც ისინი ასწავლიან. თუ ისინი ამას იზავენ, ახალი სინათლე მოვა მათ ცხოვრებაში. მეტი ენთუზიაზმი იქნება მათ სამსახურში. ისინი ჩასწვდებიან და გაიაზრებენ, რომ პირდაპირი გაგებით არიან უფლის მსახურები, რომლებიც საუბრობენ მისი სახელით. ისინი იპოვიან ახლებურ გამომახილს მათგან, ვისაც ასწავლიან. როდესაც სულით ასე აკურთებენ, მათი მოწმობები უპასუხებენ მათ იგივე სულის ზემოქმედებით.“*
>
> —პრეზიდენტი გორდონ ბ. ჰინკლი
> „MISSIONARY SERVICE,“ *FIRST WORLDWIDE LEADERSHIP TRAINING MEETING,* 11 იანვარი 2003, 20

- შეიცნეთ, რომ თქვენმა მამაზეციერმა უკეთესად იცის რა გჭირდებათ, ვიდრე თქვენ თვითონ. ენდეთ სულს თუ რისთვის ილოცოთ (იხილეთ 3 ნეფი 19:24; მოძღვრება და აღთქმები 46:28, 30).
- ღამე თქვენს ლოცვებში, მოუყევით უფალს გასული დღეს, თქვენს მიერ გაკეთებული საქმეები. შემდეგ მოიფიქრეთ მასთან ერთად თქვენი შემდეგი დღის გეგმა. ყური დაუგდეთ სულის კარნახს.
- ილოცეთ, რომ დასძლიოთ ცდუნება. ცდუნებისათვის დათმობა ეწინააღმდეგება სულს.
- ილოცეთ და საჭიროებისამებრ იმარხულეთ განსაკუთრებული კურთხევებისათვის.
- ილოცეთ და იმსჯელეთ წმინდა წერილებზე. წმინდა წერილები გაგიხსნიან ფანჯარას გამოცხადებისათვის.
- გწამდეთ, რომ ღმერთი უპასუხებს თქვენ ლოცვებს. შეიცნეთ, რომ ღმერთის ზრახვები არ არის თქვენი ზრახვები (იხილეთ ესაია 55:8–9) და ენდეთ ღმერთს, რომ ის უპასუხებს თქვენ ლოცვებს თავისი წესით და მისთვის შესაფერის დროს.

შენიშვნები

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

იმსჯელეთ შემდეგ განსაზღვრებებზე, რომლებიც ეხება გულწრფელ ლოცვას:

„ხშირად ჩვენი ლოცვების მთავარი პრობლემა არის, რომ ჩვენ მათ წარმოვთქვამთ ისე თითქოს სასურსათო მაღაზიაში, ტელეფონით ვუკვეთავდეთ საქონელს – ვაკეთებთ შეკვეთას და ვკიდებთ ტელეფონს. ჩვენ გვჭირდება ფიქრი, მსჯელობა და გააზრება იმის თუ რაზე ვლოცულობთ და შემდეგ ვესაუბროთ ღმერთს ისე როგორც ერთი ადამიანი ესაუბრება მეორეს“ (გორდონ ბ. ჰინკლი, *Teachings of Gordon B. Hinckley*, 469).

„თუ ლოცვა მოიცავს მხოლოდ გაჭირვების ჟამს წარმოთქმულ, სპაზმატურ ძახილს, მაშინ ის არის უკიდურესად ეგოისტური ქმედება, რადგან ჩვენ ვფიქრობთ ღმერთზე, როგორც სარემონტო სახელოსნოს ხელოსანზე, რომელიც უნდა დაგვეხმაროს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს უზენაესი დღე და ღამე, ყოველთვის არა მარტო მაშინ, როდესაც შველა არსაიდან არ არის და ჩვენ სასოწარკვეთილად გვჭირდება დახმარება“ (ჰოვარდ ვ. ჰანტერი, *The Teachings of Howard W. Hunter*, ed. Clyde J. Williams [1997], 39).

გამოიყენეთ ქვევით მოყვანილი სკალა, თქვენთვის პირადად შეაფასეთ თქვენი ლოცვები. თქვენს სამეცადინო რვეულში, დაწერეთ პასუხები შემდეგ შეკითხვებზე: სად ჩასვავდით თქვენ თავს ამ სკალაში? სად გინდათ, რომ იყოთ ამ სკალაში? როგორ აპირებთ შეცვლას?

| სუსტი | დამაკმაყოფილებელი | კარგი |
|---|---|---|
| ქრისტეში სუსტი რწმენა | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | ქრისტეში ძლიერი რწმენა |
| არა მადლიერი | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | მადლიერებით აღსავსე |
| გონება არ არის გამახვილებული სამუშაოზე | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | გონება გამახვილებულია სამუშაოზე |
| ლოცვებთან შეუფერებელი საქმეები | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | ლოცვების ახდენის საწინდარი საქმეები |
| ერთგვაროვნება | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | დღევანდელ დღეზე ფოკუსირება |
| მოსაწყენი გრძნობები | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | ჭკუის სასწავლებელი, გამომაცოცხლებელი |
| უწმინდურ ფიქრებზე ფოკუსირება | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | წმინდა ფიქრებზე ფოკუსირება |
| ეგოცენტრული | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | სხვა ადამიანებზე მზრუნველი |
| აბსტრაქტული, არა კონკრეტული | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | კონკრეტული, არა აბსტრაქტული |
| არ იგრძნობა სული | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | იგრძნობა სულის თანადგომა ლოცვისას |
| ვერ გესმით პასუხები | ◄ ▬ ▬ ▬ ▬ ► | დარწმუნებული ხართ, რომ ღმერთი პასუხობს ლოცვებს |

## წმინდა წერილების შესწავლა

**რატომ უნდა ილოცოღ სულისაღ ვის?**

2 ნეფი 32:8–9
მოძღვრება და აღთქმები 42:14
მოძღვრება და აღთქმები 50:13–22

**რისღ ვის უნდა ილოცოღ?**

ალმა 6:6
ალმა 13:28
ალმა 34:17–27
ალმა 37:36–37
3 ნეფი 18:20
3 ნეფი 19:9
მოძღვრება და აღთქმები 50:29–30
Guide to the Scriptures, „Prayer“

## ისწავლეთ სულის კარნახის ცნობა

სული ყოველთვის მზად არის, რომ რჩევა მოგცეთ და გზა დაგისახოთ. მიუხედავად ამისა, სული საუბრობს ჩუმად, თქვენი გრძნობების და გონების მეშვეობით. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა თქვენთვის და მათთვის, ვისთანაც მუშაობთ არის სულიწმინდის ჩუმი და ნაზი ხმით ნათქვამი რჩევის ცნობა.

შენიშვნები

პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერი ასწავლიდა: „სულის ხმა აღწერილია წმინდა წერილებში არა როგორც ხმამაღალი ან უხეში. არა როგორც ჭექა-ქუხილის ხმა და არც უსაშველოდ გამაყრუებელი ხმა, არამედ პირიქით, აღწერილია მალიან ნაზი ხმა როგორც ჩურჩული, მას შეუმლია სულამდე ჩაწვდომა და გულში ცეცხლის გაჩენა. (3 ნეფი 11:3; ჰელამანი 5:30; მოძღვრება და აღთქმები 85:6–7.) გახსოვდეთ, ელიამ უფალის ხმა იპოვა არა ქარში, არა მიწისძვრაში და არა ცეცხლში, არამედ ეს იყო ოდნავი ჩქამი. (3 მეფეთა 19:12.)

„სული არ იქცევს ჩვენ ყურადღებას ყვირილით და არ გვაჯანჯღარებს მძიმე ხელით. არამედ ის ჩაგვჩურჩულებს. ის გვკარნახობს ისე ნაზად, რომ თუ ჩვენ დაკავებული ვართ ჩვენი ფიქრებით შეიმლება ვერც კი ვიგრძნოთ მისი ხმა. (არ არის გასაკვირი, რომ სიბრძნის სიტყვა გაგვანდო ჩვენ, რადგან ლოთი ან ნარკომანი, როგორ იგრძნობდა ასეთ ხმას?)

„ხანდახან ის ახდენს საკმაოდ საგრძნობ ზემოქმედებას, რომ მიიპყროს ჩვენი ყურადღება. მაგრამ ყველაზე ხშირად თუ ჩვენ არ დავუგდებთ ყურს მის ნაზ ჩურჩულს, სული მიდის და იცდის, სანამ ჩვენ არ მივმართავთ უფალს, ბეჯითად და გულდასმით, ჩვენი ქცევით და აღწერით, როგორც სამუელმა უმველესს დროს, უთხრა: ბრმანე, რადგან გისმენს შენი მსახური. (1 მეფეთა 3:10.)“ („The Candle of the Lord,“ *Ensign*, იანვარი 1983, 53).

მსოფლიოში მრავალი ხმა იბრძვის თქვენი ყურადღებისათვის და მათ შეუმლიათ ადვილად ჩაახშონ სულიერი შთაბეჭდილებები, თუ არ იქნებით მათ მიმართ ფრთხილად.

## ღონისძიება: დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

შეისწავლეთ შემდეგი ცხრილი, გაიხსენეთ ისეთი მოვლენები, როდესაც თქვენ გქონდათ გრძნობები, აზრები და შთაბეჭდილებები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში. ცოდნის და გამოცდილების მიღებისას, ამ სიას დაუმატეთ სხვა ნაწყვეტები. იმსჯელეთ თუ როგორ გამოიყენოთ ეს პრინციპები, რომ დაეხმაროთ ადამიანებს, იგრძნონ და შეიცნონ სულის ზემოქმედება.

| | |
|---|---|
| მოძღვრება და აღთქმები 6:23; 11:12–14; რომაელთა 15:13; გალატელთა 5:22–23 | იწვევს სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, მოთმინების, თავმდაბლობის, სახიერების, რწმენისა და იმედის გრძნობებს. |
| მოძღვრება და აღთქმები 8:2–3 | აყალიბებს იდეებს გონებაში და გრძნობებს გულში. |
| მოძღვრება და აღთქმები 128:1 | იპყრობს ფიქრებს და იწვევს გრძნობებს. |
| იოსებ სმითი—ისტორია 1:11–12 | აძლიერებს წმინდა წერილების ზემოქმედებას. |
| მოძღვრება და აღთქმები 9:8–9 | იწვევს კეთილ გრძნობებს, სწავლების მიმართ თუ გაკვეთილი შეიცავს ჭეშმარიტებას. |
| ალმა 32:28; მოძღვრება და აღთქმები 6:14–15; 1 კორინთელთა 2:9–11 | ანათლებს გონებას. |
| ალმა 19:6 | უკუნეთს სცვლის სინათლით. |
| მოსია 5:2–5 | აძლიერებს ბოროტების თავიდან აცილების და მცნებებისადმი მორჩილების სურვილს. |
| იოანე 14:26 | ასწავლის და ახსენებს ჭეშმარიტებას. |
| იოანე 14:27 | იძლევა მშვიდობის და ნუგეშისმცემელ გრძნობებს. |
| იოანე 16:13 | ჭეშმარიტების გზამკვლევია და მომავლის ამბების მომასწავლებელი. |
| მორონი 10:5 | ანდობს ჭეშმარიტებას. |
| მოძღვრება და აღთქმები 45:57 | არიდებს და იცავს სიცრუისაგან. |
| 2 ნეფი 31:18; მოძღვრება და აღთქმები 20:27; იოანე 16:14 | ადიდებს და მოწმობს მამა ღმერთზე და იესო ქრისტეზე. |
| მოძღვრება და აღთქმები 42:16; 84:85; 100:5–8; ლუკა 12:11–12 | მოჰყავს თავმდაბალი მასწავლებლების სიტყვები. |
| იოანე 16:8 | ცოდვას იცნობს და გამოასწორებს. |
| მორონი 10:8–17; მოძღვრება და აღთქმები 46:8–26; 1 კორინთელთა 12 | იძლევა სულის ძღვენებს. |

შენიშვნები

| | |
|---|---|
| ალმა 10:17; 12:3; 18:16, 20, 32, 35; მოძღვრება და აღთქმები 63:41 | ეხმარება სხვა ადამიანების აზრთა გაგებას და ჩაწვდომას. |
| მოძღვრება და აღთქმები 46:30; 50:29–30 | გვეუბნება თუ რისთვის უნდა ვილოცოთ. |
| 2 ნეფი 32:1–5; მოძღვრება და აღთქმები 28:15 | გვეუბნება თუ რა უნდა ვაკეთოთ. |
| 1 ნეფი 10:22; ალმა 18:35 | ეხმარება სამართლიანს ილაპარაკოს ძალით და უფლებამოსილებით. |
| მოძღვრება და აღთქმები 21:9; 100:8; იოანე 15:26 | მოწმობს ჭეშმარიტებაზე. |
| 2 ნეფი 31:17; ალმა 13:12; 3 ნეფი 27:20 | განწმინდავს და მოაქვს ცოდვების მიტევება. |
| 1 ნეფი 2:16–17; 2 ნეფი 33:1; ალმა 24:8 | მსმენელის გულამდე მიაქვს ჭეშმარიტება. |
| 1 ნეფი 1:1–3; გამოსვლა 31:3–5 | აფართოებს უნარს და შესაძლებლობებს. |
| 1 ნეფი 7:15; 2 ნეფი 28:1; 32:7; ალმა 14:11; მორმონი 3:16; ეთერი 12:2 | უბიძგებს (მოუწოდებს წინსვლისაკენ) ან აკავებს (მოუწოდებს უკან დახევისაკენ). |
| მოძღვრება და აღთქმები 50:13–22 | ანათლებს მასწავლებლებს და მოსწავლეებს. |
| მოძღვრება და აღთქმები 88:3; იოანე 14:26 | იძლევა ნუგეშს. |
| | |
| | |
| | |
| | |

დასმულ შეკითხვაზე „როგორ უნდა შევიცნოთ სულის კარნახი?“ პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ წაუკითხა მორონი 7:13, 16–17 და შემდეგ სთქვა: „საბოლოო ჯამში ეს არის გამოცდა, გვიბიძგებს ის, კეთილი საქმეებისაკენ, ამაღლებისაკენ, სიმაღლისაკენ ან სწორი საქმეების კეთებისაკენ, სიკეთისაკენ და დიდსულოვნებისაკენ? მაშინ ის ღმერთის სულისგან არის. . . .

„თუ ის მოგვიწოდებს, რომ ვაკეთოთ სიკეთე, მაშინ ის არის ღმერთისაგან. თუ ის გვიბიძგებს ბოროტებისაკენ, ის ეშმაკისეულია. . . . და როდესაც აკეთებთ სწორ საქმეს და ცხოვრობთ სწორად, თქვენ გეცოდინებათ თქვენს გულში თუ რას გეუბნებათ სული“.

„თქვენ შეიცნობთ სულის კარნახს, მისი ნაყოფით, ის რომელიც ანათლებს, რომელიც აღაშენებს, ის რომელიც არის დადებითი, ამაღლებული, მივყევართ უკეთესი ფიქრებისაკენ და სიტყვებისაკენ ასევე უკეთესი საქმეებისაკენ არის ღმერთის სულისაგან“ (*Teachings of Gordon B. Hinckley*, 260–61).

ღმერთი პასუხობს თქვენ ლოცვებს თქვენი პირადი შთაგონებით და გამოცხადებით. სულიწმინდის მეშვეობით ის დაგეხმარებათ ახალი მოწაფეების მებნისას და საქმიანობაში, როდესაც ასწავლით აღდგენილ სახარებას და ეხმარებით განმტკიცებაში ნაკლებად აქტიურ წევრებს და ახლადმოქცეულებს. თქვენი ამოცანა არის, რომ იცხოვროთ ღირსეულად, ილოცოთ მხურვალედ, ისწავლოთ სულის კარნახის ცნობა და თამამად მიჰყვეთ მას.

## სულისადმი ნდობა

ვინაიდან ხართ, უფალის მსახური, თქვენ უნდა აკეთოთ მისი სამუშაო მისი წესით და მისი ძალით. ზოგიერთი მისიონერები არიან დარწმუნებულნი, რომ იციან გზა წარმატებისაკენ. სხვებს აკლიათ ასეთი სითამამე. გახსოვდეთ, ყველაფრის მიუხედავად თქვენი სითამამე და რწმენა უნდა ეყრდნობოდეს ქრისტეს და არა თქვენ თვითრწმენას. ენდეთ სულს ვიდრე თქვენს საკუთარ ნიჭს და შესამლებლობებს. ენდეთ სულს, რომ იყოს თქვენი გზამკვლევი თქვენი სამსახურის ყოველ ასპექტში. წინასწარმეტყველი იოსებ სმითი ასწავლიდა, რომ სული არის ქადაგების და სწავლების სამირკველი:

„არავის არ შეუმლია იქადაგოს სახარება სულიწმინდის გარეშე“ (*History of the Church*, 2:477).

შენიშვნები

„რამოდენიმე ადამიანი იყო მოწოდებული და ხელდასხმული გამოცხადების და წინასწარმეტყველების სულის მიერ და დაიწყეს ქადაგება, როგორც სული კარნახობდა მათ, ისინი სუსტები იყვნენ, მაგრამ მტკიცდებოდნენ ღმერთის მალით“ (*History of the Church*, 4:538).

„[იოსებ სმითი] აგრძელებდა მითითებების მიცემას უხუცესებისათვის სახარების ქადაგების შესახებ და მათ არწმუნებდა სულის მიღების აუცილებლობაში, რომ მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა ექადაგათ, ზეციდან მოვლენილი სულიწმინდით“ (*History of the Church*, 4:13).

თქვენი ყოველკვირეული და ყოველდღიური დაგეგმარების სესიის დროს, ზოგიერთი მირითადი შეკითხვები უნდა დაუსვათ საკუთარ თავს, ყოველ დღე და დღის განმავლობაში მრავალჯერ, (კითხვების მაგალითი იხილეთ ქვევით მოყვანილ ჩარჩოში „წმინდა წერილების შესწავლა“). ემიეთ შთაგონება, რომ უპასუხოთ ამ შეკითხვებს ყოველი შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. ამ პასუხებმა შემდგომ უნდა ჩამოაყალიბონ თქვენი გეგმები. მაგრამ ამასთან ერთად თქვენ ასევე უნდა მზად იყოთ, რომ მიჰყვეთ სულიწმინდას და შეცვალოთ გეგმები, როდესაც მოგეცემათ მოულოდნელი შესამლებლობები და სიტუაციები.

შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი წმინდა წერილები და განიხილეთ თუ როგორ პასუხობენ ისინი ამ მნიშვნელოვან შეკითხვებს, რომლებიც უნდა დაუსვათ თქვენს თავს ყოველ დღე. განიხილეთ თუ რას ნიშნავს ქვევით მოყვანილი ნაწყვეტები თქვენს მიებაში, დაგეგმარების სესიის დროს, დამოუკიდებელი და მმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობებზე. ასევე განიხილეთ მათი მნიშვნელობა, როდესაც ასწავლით გაკვეთილებს, შესთავაზებთ ადამიანებს, რომ აიღონ ვალდებულებები, შეამოწმებთ ამ ვალდებულებების შესრულებას, გაამტკიცებთ ახალი და ნაკლებად აქტიურ წევრებს და იმუშავებთ მრევლთან.

## წმინდა წერილების შესწავლა

### სად უნდა წავიდე?

ჰელამანი 10:17
მოძღვრება და აღთქმები 31:11
მოძღვრება და აღთქმები 75:26–27
მოძღვრება და აღთქმები 79:1–2

### რა უნდა გავაკეთო?

1 ნეფი 4:6
2 ნეფი 32:2–5
მოძღვრება და აღთქმები 28:15
მოძღვრება და აღთქმები 52:3–4

### რა უნდა ვთქვა?

2 ნეფი 33:1
ალმა 5:43–46
ალმა 11:22
ჰელამანი 5:18
ჰელამანი 13:3–5
მოძღვრება და აღთქმები 33:8–10
მოძღვრება და აღთქმები 50:13–22
მოძღვრება და აღთქმები 68:1–4
მოძღვრება და აღთქმები 75:3–11
მოძღვრება და აღთქმები 100:5–8
მათე 10:19–20
მარკოზი 13:11
1 კორინთელთა 2:4–5, 12–13
გამოსვლა 4:10–12

### როგორ შევუსადაგო სწავლებები ჩემი მოწაფეების მოთხოვნილებებს?

ალმა 12:7
ალმა 41:1
3 ნეფი 17:2–3
მოძღვრება და აღთქმები 71:1
მოძღვრება და აღთქმები 84:85

### რომელი წმინდა წერილები უნდა გამოვიყენო და როგორ გამოვიყენო ისინი?

მოსია 18:19–20
მოსია 27:35
მოძღვრება და აღთქმები 18:32–36
მოძღვრება და აღთქმები 32:4
მოძღვრება და აღთქმები 42:11–17
მოძღვრება და აღთქმები 68:1–4
მოძღვრება და აღთქმები 71:1
მოძღვრება და აღთქმები 80:4
ლუკა 24:13–32

შენიშვნები

## მოწოდება სიფრთხილისაკენ

როდესაც ლოცულობთ შთაგონებისათვის, თქვენ ასევე უნდა მიიღოთ თქვენი გრძნობების დასტური. მაგალითად, შეადარეთ თქვენი გადაწყვეტილებები წმინდა წერილებს და ცოცხალი წინასწარმეტყველების სწავლებებს. დარწმუნდით, რომ თქვენი გრძნობები ეთანხმება თქვენს მიერ დასახულ მიზანს; მაგალითად, თქვენ არ მიიღებთ გამოცხადებას თუ როგორ უნდა შეასრულოს ადგილობრივმა ეპისკოპოსმა თავისი მოწოდება. ისაუბრეთ თქვენს გადაწყვეტილებებზე და დასკვნებზე თქვენს მმადნაფიც მისიონერთან, თქვენი ოლქის ხელმძღვანელთან ან საჭიროებისამებრ თქვენი მისიის პრეზიდენტთან.

პრეზიდენტი ჰოვარდ ვ. ჰანტერი არიგებდა შემდეგნაირად: „ნება მიბოძეთ მოგიწოდოთ სიფრთხილისაკენ. . . მე ვფიქრობ, თუ ჩვენ არ ვიქნებით ფრთხილად. . . ჩვენ შეიძლება გავაყალბოთ უფალის სულის ჭეშმარიტი ზემოქმედება, უღირსი მანიპულაციური ხერხებით. მე მაშფოთებს, როდესაც ერთნაირად აფასებენ მლიერ ემოციებს, აცრემლიანებულ თვალებს და სულის თანადგომას. რათქმაუნდა უფალის სული იწვევს მლიერ გრძნობებს, ცრემლების ჩათვლით, მაგრამ გარეგნული გამოხატვა არ უნდა ავურიოთ თვით სულის თანადგომისაგან“ (*The Teachings of Howard W. Hunter*, 184). უფალის სული ყოველთვის ანათლებს.

> *„თუ ვართ ღირსეულნი ჩვენ გვაქვს გამოცხადებების მიღების უფლება ჩვენთვის, მშობლებს მათი შვილებისათვის და წევრებს ეკლესიაში მათ მოწოდებებზე. მაგრამ გამოცხადებების უფლება სხვებისათვის არ უნდა გადიოდეს ჩვენი მართველობის ფარგლებს გარეთ.“*
>
> – პრეზიდენტი ჯეიმს ე. ფაუსტი
> „COMMUNION WITH THE HOLY SPIRIT,“ *ENSIGN*, მარტი 2002, 4

გამოცხადებები და სულიერი განცდები არიან წმინდა. ისინი უნდა შევინახოთ საიდუმლოდ და მათზე ვისაუბროთ მხოლოდ შესაბამის სიტუაციებში. როგორც მისიონერი, თქვენ შეიძლება მეტად გაეცნოთ სულიერ განცდებს ვიდრე აქამდე თქვენს ცხოვრებაში. ნუ აყვებით ცდუნებას, რომ გულღიად ისაუბროთ ამ განცდებზე.

პრეზიდენტმა ბოიდ კ. პაკერი ამბობდა: „მე ვისწავლე, რომ მლიერი, შთამბეჭდავი სულიერი განცდები არ მოდიან ჩვენს ცხოვრებაში ხშირად. მაშინ როდესაც ეს ხდება, უმთავრესად ისინი ჩვენი საკუთარი განათლებისთვის, რჩევისათვის და გამოსწორებისთვის არიან განკუთვნილი. თუ არ მოგვიწოდებენ სათანადო უფლებამოსილებით ამისათვის, ისინი არ არიან განკუთვნილი იმისათვის რომ სხვებს მივცეთ რჩევა ან დარიგება.

„მე ასევე დავრწმუნდი, რომ არ არის ჭკვიანური საქციელი მუდმივად არაჩვეულებრივ სულიერ განცდებზე საუბარი. ისინი უნდა სათუთად შევინახოთ და გავუზიაროთ მხოლოდ მაშინ როდესაც სული თვითონ გკარნახობთ მათ გამოყენებას სხვათა კურთხევისათვის“ (*Ensign*, იანვარი 1983, 53).

შენიშვნები

## ძმინდა ძერილების შესძავლა

სულზე დაყრდნობა არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ უფალი მკაცრად გვაფრთხილებს, რომ არ უარვყოთ და არ ჩავაქროთ სული. რა შეისწავლეთ ქვევით მოყვანილი ნაწყვეტები, წმინდა წერილებიდან?

იაკობი 6:8–9
3 ნეფი 29:5–6
მორმონი 9:7–9
მორონი 10:7–8
მოძღვრება და აღთქმები 11:25–26
1 თესალონიკელთა 5:19–20

## გახსოვდეთ შემდეგი

- ილოცეთ იმის რწმენით, რომ მიიღებთ პასუხებს თქვენს ლოცვებზე.
- ისწავლეთ სულის ჩაწვდომა, ცნობა და მისი შთაგონებისათვის მიყოლა.
- ისწავლეთ სულისადმი ნდობა, რათა მან გაჩვენოთ თუ საით წახვიდეთ, რა გააკეთოთ და რა სთქვათ.
- ასწავლეთ სხვებს თუ როგორ უნდა იცნონ სული.

შენიშვნები

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- ჩაიწერეთ თქვენი სულიერი შთაბეჭდილებები თქვენს დღიურში. უპასუხეთ ისეთ შეკითხვებს, როგორებიც არიან მაგალითად: წმინდა წერილების შესწავლის შემდეგ გავიგე რაიმე უკეთესად? მქონდა, არაჩვეულებრივი შესაძლებლობები, რომ შევხვედრილიყავი ადამიანებს, რომლებისთვისაც შემეძლო გამეზიარებინა მოწოდება? მომეცა, ის სიტყვები, რომლებიც უნდა მეთქვა, როდესაც ისინი მჭირდებოდნენ? მქონდა, ძლიერი სიყვარულის გრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც შევხვდი? როგორი პასუხები მივიღე ჩემს ლოცვებზე?

- გაყავით გვერდი ორ სვეტად. ერთი სვეტი დაასათაურეთ „რა გააკეთა უფალმა“ და მეორე სვეტი „რა გააკეთეს ლეჰიმ და ნეფიმ.“ წაიკითხეთ ლიაჰონას და გატეხილი მშვილდის ამბავი (1 ნეფი 16:9–30) ან ნეფის მიერ გემის მშენებლობის ისტორია (1 ნეფი 17:7–16; 18:1–6). კითხვისას, ჩაწერეთ ეს მოვლენები სათანადო სვეტებში. განიხილეთ თუ რა შეუძლია გასწავლოთ ამ ისტორიამ შთაგონების ბუნების შესახებ.

- გადახედეთ თქვენს დღიურს და მოძებნეთ მოვლენები, როდესაც სული იყო თქვენი გზამკვლევი ან განიცადეთ გამოცხადება ან სულის ძღვენი. იმსჯელეთ, თუ როდის, სად და რატომ გადაგხდათ ეს მოვლენები. გააკეთეთ რაიმე სპეციფიკური, რომ მომზადებულიყავით ამ მოვლენისათვის? როგორ გამოვლინდა უფალის ნება? რა იგრძენით? რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რათა კვლავ განმეორდნენ იგივე მოვლენები? ასეთი მოვლენების დამახსოვრება მომავალში დაგეხმარებათ სულის ცნობისათვის და მის მიღებაში.

- ბიბლიაში საქმეების წიგნს ხშირად ეძახიან „მოციქულთა მეშვეობით სულიწმინდის ქმედებების წიგნი.“ წაიკითხეთ ამ წიგნის თავების მოკლე შინაარსი და განმარტეთ თუ რატომ შეიძლება ეს სათაური იყოს მისთვის შესაფერისი. მოძებნეთ მასალები, რაც დაამტკიცებს თქვენს განმარტებას.

- შეისწავლეთ და მოიფიქრეთ შემდეგი რჩევა. როგორ არის ის დაკავშირებული თქვენი ყოველდღიური პროზელიტურ საქმიანობასთან?

  > „გადაეცი მღვდელთმსახურებს, რომ იყვნენ მორჩილნი, ერთგულნი და აუცილებლად მოუფრთხილდნენ უფალის სულს, რათა შეინარჩუნოთ მისი თანადგომა, რომელიც წაიყვანს მათ სწორი გზით. იყავით ყურადღებით და ნუ უარყოფთ ამ ნაზ და ჩუმ ხმას, ის ასწავლის მათ თუ რა უნდა გააკეთონ და სად წავიდნენ, ის მოიტანს სასუფევლის ნაყოფს. გადაეცი მღვდელთმსახურებს, რომ იყვნენ გახსნილი გულებით რწმენისათვის, ვინაიდან, როდესაც სულიწმინდა მოვა მათთან, მათი გულები უკვე მზად იქნებიან მის მისაღებად. მაშინ ისინი შესძლებენ გაარჩიონ უფალის სული ყველა სხვა სულებისაგან, ვინაიდან ის მოიტანს სიმშვიდეს და სიხარულს მათ სულებში, ის ააცილებს მათ გულებს, სისასტიკეს, სიძულვილს, კამათს და ბოროტებას, მათი ერთადერთი სურვილი იქნება სიკეთის კეთება“ (quoted in *Juvenile Instructor*, 19 July 1873, 114).

  წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა ეს რჩევა ბრიგამ იანგს მისცა სიზმარში, იოსებ სმითის გარდაცვალებიდან თითქმის სამი წლის შემდეგ. ბრიგამ იანგის ადგილას, რომ ყოფილიყავით და მიგეღოთ ეს რჩევა, რას გააკეთებდით?

- შეისწავლეთ ალმა 33:1–12; 34:17–29, 38. რა შეკითხვებზე პასუხობდა ალმა? (განიხილეთ ალმა 33:1–2.) როგორ უპასუხა ალმამ ამ შეკითხვებს? როგორი მტკიცებულება მისცა იმაზე, რომ ღმერთს ესმის და პასუხობს ლოცვებს?

- უფალმა დაგვპირდა, რომ სული გვიწინამძღვარებს სხვადასხვანაირი საშუალებებით. ქვევით მოყვანილი ნაწყვეტების კითხვისას, გამოყავით თქვენი სამსახურის ის ასპექტები სადაც გჭირდებათ სულის წინამძღვარობა. როგორი მნიშვნელობა აქვს იმ მცნებებს და დაპირებებს რომლებიც არის ქვემოთ მოყვანილი წმინდა წერილების ნაწყვეტებში თქვენი დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობისათვის, საოლქო შეკრებებისათვის, სამხარეო კონფერენციებისათვის, ასევე ნათლობის წირვებისათვის და სხვა შეკრებებისათვის?

შენიშვნები

**ლოცვა**

3 ნეფი 19:24
მოძღვრება და აღთქმები 46:30
მოძღვრება და აღთქმები 50:30
რომაელთა 8:26

**შეკრებების ჩატარება**

მორონი 6:9
მოძღვრება და აღთქმები 20:45
მოძღვრება და აღთქმები 46:2

**ჩანაწერები**

მოძღვრება და აღთქმები 9:9
მოძღვრება და აღთქმები 24:6
მოძღვრება და აღთქმები 47:4
მოძღვრება და აღთქმები 104:81
მოძღვრება და აღთქმები 124:4
მოსე 6:6

- წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან (ამ სექციების სათაურების ჩათვლით).

მოძღვრება და აღთქმები 60:1–5
მოძღვრება და აღთქმები 61:1–4, 21–22
მოძღვრება და აღთქმები 62:4–8

ამ სიტყვების მიხედვით, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი უფალისათვის?

რას არ ჰქონდა მნიშვნელობა უფალისათვის?

განიხილეთ უხუცესი დალინ ჰ. ოუკსის შემდეგი გამოთქმები:

„ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ძლიერი სურვილი, რომ მას წინამძღვარობდეს უფალის სული, მაგრამ. . . უგუნურად მიჰყავს ეს სურვილი იქამდე, რომ ყველაფერში უნდა სულის გაძღოლა. სურვილი რომ წინამძღვარობდეს უფალი არის ძალა, მაგრამ ამასთან ერთად უნდა გვესმოდეს, რომ მამაზეციერი გვიტოვებს ბევრ გადაწყვეტილებებს, რომ ჩვენ დამოუკიდებელად გავაკეთოთ არჩევანი. პირადი არჩევანის გაკეთება არის ზრდის ერთ-ერთი წყარო, რომელიც უნდა გამოვცადოთ ჩვენი მოკვდავი ცხოვრების დროს. ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გადააბარონ ყველა გადაწყვეტილებების მიღება უფალს და ლოცულობენ გამოცხადებისათვის ყოველი არჩევანის გაკეთების წინ, მალე აღმოჩნდებიან ისეთ სიტუაციაში, როდესაც ილოცებენ წინამძღვარობისათვის და არ მიიღებენ მას. ეს შეიძლება მოხდეს იმ მრავალ სიტუაციაში, როდესაც არჩევანი არის ტრივიალური ან როდესაც მისაღებია ნებისმიერი ვარიანტი.

„ჩვენ უნდა გავიაზროთ ყველაფერი ჩვენს გონებით, გამოვიყენოთ მსჯელობის შესაძლებლობა, რომელიც შემქმნელმა ჩადო ყველა ჩვენგანში. შემდეგ უნდა ვილოცოთ რჩევისათვის და თუ მას მივიღებთ, უნდა ვიმოქმედოთ შესაბამისად. თუ ჩვენ რჩევას არ მივიღებთ, უნდა შევეცადოთ გავაკეთოთ საუკეთესო არჩევანი და ვიმოქმედოთ შესაბამისად. ადამიანებს, რომლებიც ჯიუტად ეძებენ გამოცხადებას და რჩევას ისეთ საკითხებში, რომლებშიც უფალი არ სთვლის, რომ გვჭირდება წინამძღოლობა შეუძლიათ მოიფიქრონ პასუხი მათი საკუთარი ფანტაზიის ან მიდრეკილებების მიხედვით, ან მათ შეიძლება მიიღონ პასუხი ყალბი გამოცხადების მეშვეობით“ („Our Strengths Can Become Our Downfall,“ *Ensign*, Oct. 1994, 13–14).

როგორ განსხვავდება, საკუთარი მოსაზრებების მიხედვით და სულზე ნდობით მოქმედებებს შორის?

## ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- ისაუბრეთ თუ როგორ ლოცულობთ ერთად როგორც ძმადნაფიცი მისიონერები. წინამძღვარობს, იმ ლოცვებს სულიწმინდა? იღებთ პასუხებს თქვენს ლოცვებზე? როდესაც ლოცულობთ როგორც ძმადნაფიცი მისიონერები:
  - გწამთ, რომ ღმერთი მოგცემთ იმას რასაც სთხოვთ სამართლიანად?
  - თქვენი ლოცვების პასუხებისათვის, გამოხატავთ მადლიერებას და უხდით მადლობას?

შენიშვნები

– მოიხსენიებთ, ლოცვებში ადამიანებს, სახელებით და ფიქრობთ მათ მოთხოვნილებებზე?

– ლოცულობთ ერთმანეთისათვის და სულის თანადგომისათვის?

– იღებთ პასუხებს თქვენს ლოცვებში?

როგორც ძმადნაფიცმა მისიონერებმა ისაუბრეთ თუ როგორ მოიძიებთ სულს უფრო გულდასმით.

- ისაუბრეთ თუ როგორ აღწერენ სხვადასხვა ადამიანები სულიწმინდის ზემოქმედებას. დაწერეთ თქვენი მოწაფეების შთაბეჭდილებები მათი სულთან ურთიერთობების, სახარების შესწავლის და ვალდებულებების დაცვის ძალისხმევისას. როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ, რომ სხვა ადამიანებმაც შესძლონ ამ წმინდა ზეგავლენის ცნობა? ამავე დროს, როგორ შეგიძლიათ თავი აარიდოთ მანიპულირებას?

- იმსჯელეთ და განიხილეთ, თუ რამდენად გეხებათ ქვევით მოყვანილი რჩევა: „თქვენ ვერ დააძალებთ სულიერებას. ისეთი სიტყვები, როგორც არიან *იძულება*, *დაძალება*, *ნაძალადევი*, *ზეწოლა*, *მოთხოვნა*, არ აღწერენ სულთან ჩვენს პრივილეგიას. თქვენ ვერ შესძლებთ სულს პასუხის გაცემა დააძალოთ, ისე როგორც ვერ შესძლებთ ძალით აიძულოთ ლობიოს მარცვალს ზრდა, ან დააძალოთ წიწილას გამოიჩეკოს ვადაზე ადრე. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ კლიმატი, რომ უფრო ხელი შეუწყოს ზრდას, გაანოყიეროთ და დაიცვათ მაგრამ ვერ დააძალებთ და ვერ აიძულებთ: თქვენ უნდა დაელოდოთ, სანამ არ გაიზრდება თავისით“ (ბოიდ კ. პაკერი, „The Candle of the Lord,“ *Ensign*, Jan. 1983, 53).

- ისაუბრეთ შემდეგ გამოთქმებზე და როგორ შეუძლიათ ამ პრინციპებს შეცვალონ თქვენი ლოცვები და თქვენი მუშაობა. როგორ შეუძლიათ თქვენს ლოცვებს იქონიონ გავლენა თქვენს გეგმებზე, მიზნების დასახვაზე, მუშაობაზე და ყოველდღიურ ღონისძიებებზე?

  „ჩვენი საქმეები, უმთავრესად არიან ჩვენი ლოცვების ბავშვები. ჯერ ვლოცულობთ და მხოლოდ შემდეგ ვმოქმედებთ, ჩვენი სათანადო თხოვნები სახავენ ჩვენი ქცევის ალალ-მართალ კურსს“ (ბრუს რ. მაკკონკი, „Why the Lord Ordained Prayer,“ *Ensign*, Jan. 1976, 12).

  „გულწრფელი ლოცვა გულისხმობს, რომ როდესაც ჩვენ ვსთხოვთ რაიმე კურთხევას ან სათნოებას, ჩვენ უნდა ვიშრომოთ ამ კურთხევისათვის და დავეხმაროთ სათნოების ზრდას“ (David O. McKay, *Secrets of a Happy Life*, 114–15).

  “სთხოვეთ (ღმერთს) დაგაყენოთ იქ სადაც მას სურს, რომ თქვენ იყოთ და მიგითითოთ ის რაც მას უნდა, რომ თქვენ აკეთოთ და გაგრძნობინოთ, რომ შესძლებთ იმის გაკეთებას“ (Brigham Young, *Discourses of Brigham Young,* sel. John A. Widtsoe [1954], 46).

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- ჩაატარეთ გაკვეთილი თემაზე, ლოცვის დროს შესაფერისი და მოკრძალებული სიტყვების გამოყენებაზე.

- საჭიროებისამებრ, სთხოვეთ მისიონერებს, მოყვნენ ისტორია ან გაიხსენონ შემთხვევა, რომელიც ამას წინათ მოისმინეს დამოწმებების შეკრებაზე, სწავლებისას ან სხვა გარემოებისას. სხვა ადამიანების სულიერი ისტორიები და მოვლენები, დაგეხმარებათ რწმენის განმტკიცებაში და შეცნობაში, რომ სულის გავლენა არის ფართე და ხდება ხშირად.

- გამოხატეთ მადლიერება თქვენს სამსახურში უფალის ხელის გამოვლენისათვის (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 59:21). განიხილეთ, როგორ გეხმარებათ მადლიერების გამოხატვა იმისათვის რომ დაინახოთ პატარა მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რომლის მეშვეობით გაკურთხებთ უფალი (იხილეთ ეთერი 3:5).

- სთხოვეთ მისიონერებს, რომ გამოვიდნენ სიტყვით სულიწმინდის ძალის და დანიშნულების შესახებ.

- სთხოვეთ ახლადმოქცეულს მოგითხროთ, თუ როგორი ზეგავლენა იქონია მასზე სულმა მისი მოწაფეობის დროს.

შენიშვნები

## მისიის პრეზიდენტი

- დროგამოშვებით სთხოვეთ მისიონერებს, მათ მიერ თქვენთვის დაწერილი ყოველკვირეულ წერილებში მოგიყვნენ შესაბამისი სულიერი განცდები, რომელიც მათ ჰქონდათ.
- გასაუბრების დროს, ხანდახან გამოკითხეთ მისიონერებს, მათი დილის და საღამოს ლოცვების შესახებ. შეეკითხეთ, არის თუ არა მათი ლოცვები შინაარსიანი.
- შეეკითხეთ მისიონერებს თუ როგორ ეხმარებიან მოწაფეებს, რომ მათ იგრძნონ და იცნონ სული.
- როდესაც შესაფერისი იქნება, მოუყევით მისიონერებს თუ როგორ იღებთ გამოცხადებებს მათი ახალ ადგილზე გადაყვანის შესახებ და იმ მისიონერებზე, რომლებიც იჩენენ დაუმორჩილებლობას, ან სჭირდებათ დახმარება, ასევე თუ როგორი მოძღვრებები უნდა იქადაგოთ.

შენიშვნები



# რა არის მორმონის წიგნის როლი?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- რატომ ეძახიან მორმონის წიგნს ჩვენი რელიგიის სომის ქვას?
- როგორ პასუხობს მორმონის წიგნი, ადამიანის სულის უდიდეს შეკითხვებს?
- რატომ არის მორმონის წიგნი ასეთი მნიშვნელოვანი, ადამიანის მოქცევის პროცესში?
- როგორ უნდა გამოვიყენო მორმონის წიგნი რწმენის განმტკიცებისათვის და ადამიანების დასახმარებლად ღმერთთან დაახლოებისათვის?
- რატომ მიეკუთვნება მორონი 10:3–5-ში მოცემულ დაპირებას, ცენტრალური ადგილი, მისიონერულ სამსახურში?

მორმონის წიგნი არის ქრისტეს ღვთაებრიობის მლიერი დამოწმება. ის ასევე არის წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით აღდგენის მტკიცებულება. მთავარი ნაწილი ადამიანის მოქცევაში უკავია სულიწმინდისაგან მიღებულ დამოწმებას, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება. როგორც მისიონერი, თქვენ ჯერ თვითონ უნდა გქონდეთ თქვენი პირადი დამოწმება მორმონის წიგნის ჭეშმარიტებაზე. ამ დამოწმებას შეუმლია დაგეხმაროთ უფრო ღრმა და უცვლელი რწმენის მისაღწევად მორმონის წიგნის მალაში, ადამიანის მოქცევის პროცესში. ეჭვი არ შეგეპაროთ: სულიწმინდა დაუმოწმებს მორმონის წიგნზე ყველას, ვინც კითხულობს, მსჯელობს მასზე და შეეკითხება ღმერთს თუ არის ის ჭეშმარიტება გულწრფელად, ნამდვილი მოწადინებით და ქრისტეს რწმენით. სულიწმინდის ეს დამოწმება უნდა იყოს თქვენი სწავლების მთავარი მიზანი.

## მორმონის წიგნი არის ჩვენი რელიგიის სომის ქვა



წინასწარმეტყველი იოსებ სმიტი ასწავლიდა, მორმონის წიგნი არის „ჩვენი რელიგიის სომის ქვა“ (მორმონის წიგნის შესავალი). სხვა გამოსვლაში მან ასევე სთქვა: „აგვართვით მორმონის წიგნი და გამოცხადებები, მაშინ სადღაა ჩვენი რელიგია? აღარაფერი აღარ დაგვრჩება“ (*History of the Church*, 2:52).

შენიშვნები

თაღი ეს არის მტკიცე არქიტექტურული ნაგებობა, აგებული სოლისებრად გამოთლილი ქვებით, რომლებიც ერთმანეთს ეყრდნობიან. შუა ნაწილი, ანუ სოძის ქვა, როგორც წესი უფრო ფართეა ვიდრე სხვა ქვები და აკავებს მათ თავიანთ ადგილებზე. როდესაც იოსებ სმითმა უწოდა მორმონის წიგნს „ჩვენი რელიგიის სოძის ქვა,“ მან იგულისხმა, რომ მორმონის წიგნი მტკიცედ აერთიანებს ჩვენს რელიგიას. პრეზიდენტმა ეზრა ტაფტ ბენსონმა სთქვა, რომ მორმონის წიგნს შეიძლება ვუწოდოთ სოძის ქვა არანაკლებ სამი მიზეზის გამო:

**დამოწმება ქრისტეს შესახებ.** „მორმონის წიგნი არის სოძის ქვა ჩვენს დამოწმებაში იესო ქრისტეს შესახებ, რომელიც თავად არის ყველაფრის ქვაკუთხედი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ის არის დამოწმება მისი რეალურობის, მთელი სიძლიერით და სიცხადით.“

**მოძღვრების სისავსე.** „თავად უფალმა სთქვა რომ მორმონის წიგნი მთელი სისრულით შეიცავს იესო ქრისტეს სახარებას. (მოძღვრება და აღთქმები 20:9.) . . . მორმონის წიგნში ჩვენ ვიპოვით მოძღვრების სისავსეს, რომელიც აუცილებელია ჩვენი პირადი ხსნისათვის. და ეს ყველაფერი გადმოცემულია პირდაპირ და უბრალოდ, ისეთნაირად, რომ ბავშვებმაც შესძლონ ხსნის და ამაღლების გზის სწავლა.“




**დამოწმების საფუძველი.** „ისე როგორც თაღი ჩამოინგრევა, თუ სოძის ქვას ამოვაცლით, ასევე არის მთელი ეკლესია, ან ის დგას თუ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება ან კიდევ ის ინგრევა, საწინააღმდეგო შემთხვევაში. ეკლესიის მტრებს ეს ნათლად ესმით, ეს არის მიზეზი თუ რატომ შედიან ასე შორს, რომ უარყონ მორმონის წიგნის ჭეშმარიტება. რადგან თუ ისინი შესძლებენ მის დისკრედიტირებას, იგივე დაემართება წინასწარმეტყველ იოსებ სმითს, ასევე მას მიჰყვება ჩვენი მტკიცება მღვდლობის გასაღებების ფლობაზე, გამოცხადებაზე და აღდგენილ ეკლესიაზე. მაგრამ ამავე წესით თუ მორმონის წიგნი ჭეშმარიტია – ამჟამად მილიონები ამტკიცებენ, რომ მიიღეს სულიწმინდის დამოწმება და ის ნამდვილად ჭეშმარიტია, მაშინ აუცილებელია აღდგენის და მასთან დაკავშირებული მტკიცებულების მიღებაც“ (*A Witness and a Warning* [1988], 18–19).

მორმონის წიგნი სულთან ერთად, არის თქვენი ყველაზე ძლიერი საშუალება ადამიანების მოქცევისათვის. მორმონის წიგნი არის ყველაზე სწორი წიგნი დედამიწაზე (იხილეთ მორმონის წიგნის შესავალი). ის ნათლად ასწავლის ქრისტეს მოძღვრებას, განსაკუთრებით, რომელიც მიცემულია გაკვეთილებში, რომლებსაც თქვენ ასწავლით მოწაფეებს. გამოიყენეთ ის როგორც მთავარი წყარო აღდგენილი სახარების სწავლებისას. ქვევით მოყვანილია ზოგიერთი ჭეშმარიტებები, რომლებიც თქვენ უნდა ასწავლოთ მოწაფეებს. ისინი არიან ნათლად აღწერილი მორმონის წიგნში.

| მისიონერული | მოძღვრებები | მითითებული ნაწყვეტები |
|---|---|---|
| მოწოდება იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ | განდგომა, აღდგენა, იოსებ სმითი, მღვდლობის უფლებამოსილება | 1 ნეფი 12–14<br>2 ნეფი 3; 26–29<br>მოსია 18 |
| ხსნის გეგმა | „მარადიული ღმერთის დიდი გეგმა,“ ასევე ადამის დაცემა, გამოსყიდვა, აღდგომა და განკითხვა | 2 ნეფი 2; 9, მოსია 3;<br>15 ალმა 12; 40–42 |
| იესო ქრისტეს სახარება | ქრისტეში რწმენა, მონანიება, ნათლობა, სულიწმინდის ძღვენი და ბოლომდე გაძლება | 2 ნეფი 31–32<br>3 ნეფი 11; 27 |
| მცნებები; კანონები და წეს-ჩვეულებები | საეკლესიო წეს-ჩვეულებები, როგორიც არიან ნათლისღება, წევრად დამტკიცება, მღვდლობის თანამდებობაზე ხელდასხმა და ზიარება | 3 ნეფი 11:22–28;<br>18 მორონი 2–6 |

შენიშვნები

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაწერეთ პასუხები შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორი გავლენა იქონია თქვენს დამოწმებაზე იესო ქრისტეს შესახებ მორმონის წიგნით მეცადინეობამ?
- როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ მორმონის წიგნი იმისათვის რათა გაამტკიცოთ სხვა ადამიანების დამოწმებები?

## წმინდა წერილების შესწავლა

**რას ამბობს მხსნელი მორმონის ძიგნის შესახებ?**

| | | |
|---|---|---|
| მოძღვრება და აღთქმები 1:29 | მოძღვრება და აღთქმები 19:26–27 | მოძღვრება და აღთქმები 42:12 |
| მოძღვრება და აღთქმები 3:19–20 | მოძღვრება და აღთქმები 20:5–16 | მოსე 7:62 |
| მოძღვრება და აღთქმები 17:6 | მოძღვრება და აღთქმები 33:16 | |



ს. ჰარისონ კონროი კო., ინკ.–ს შემწეობით. ასლის გადაღება არ შეიძლება.

## მორმონის წიგნი არის დამოწმება იესო ქრისტეზე

მორმონის წიგნის მთავარი მიზანია, რომ დაარწმუნოს ყველა ადამიანები, რომ იესო არის ქრისტე (იხილეთ მორმონის წიგნის თავფურცელი). ის არის დამოწმება ქრისტეზე, ადასტურებს რა, მისი ცხოვრების, მისიის და მალის რაელობას. ის ასწავლის ჭეშმარიტ მომღვრებას გამოსყიდვაზე, რომელიც არის ხსნის გეგმის საფუძველი. მორმონის წიგნში შემონახულია რამოდენიმე ადამიანის ნაწერები, რომლებმაც თავად იხილეს ქრისტე. იარედის ძმამ, ნეფიმ და იაკობმა წინამიწიერი ქრისტე იხილეს. მორმონმა და მორონიმ ნახეს აღმდგარი ქრისტე. ამასთან ერთად მრავალმა ხალხმა იხილა მხსნელი ნეფიელების შორის მისი მოკლე მაგრამ მლიერი ქადაგების დროს (იხილეთ 3 ნეფი 11–28). ისინი რომლებმაც იციან ცოტა ან სულ არაფერი მხსნელის შესახებ, შეიცნობენ მას მორმონის წიგნის წაკითხვით, მასზე მსჯელობით და ლოცვით.

მორმონის წიგნის დამოწმება ამტკიცებს ბიბლიის დამოწმებას იმაზე, რომ იესო არის მხოლოდშობილი მე ღმერთის და მსოფლიოს გადამრჩენელი. იესო ქრისტეს სახარების სისრულის სწავლებისას, თქვენ ხშირად გაუზიარებთ თქვენს დამოწმებას მსოფლიოს მხსნელზე და გამომსყიდველზე. სულიწმინდის მალით, თქვენ დაუმატებთ ცოცხალ დამოწმებას ამ მოწოდების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

**რა მიზეზის გამო, მორმონის ძიგნის ძინასძარმეტყველები, აძარმოებდნენ ღ ავიანღ ჩანაძერებს?**

| | | |
|---|---|---|
| 1 ნეფი 6:4–6 | 2 ნეფი 33:13–15 | მორმონის სიტყვები 1:3–8 |
| 1 ნეფი 9:3–5 | იაკობი 1:4–7 | ალმა 37:2, 14 |
| 2 ნეფი 4:15–16 | იაკობი 4:1–6, 12 | 3 ნეფი 5:14–15 |
| 2 ნეფი 25:23–29 | ენოსი 1:13 | მორმონი 8:35 |
| 2 ნეფი 26:15–16 | ჯარომი 1:2 | მოძღვრება და აღთქმები 3:16–20 |
| 2 ნეფი 29:11–14 | ომნი 1:25–26 | მოძღვრება და აღთქმები 10:46–48 |

შენიშვნები

## მორმონის წიგნი და ბიბლია მხარს უჭერენ ერთმანეთს

ადამიანების ურთიერთობა ბიბლის მიმართ არის სხვადასხვანაირი. ზოგიერთს სწამს, რომ ბიბლია არის აბსოლუტურად სრულყოფილი, შეცდომების გარეშე და ის არის ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი ხსნისათვის. სხვები თვლიან, რომ ბიბლია არის ლიტერატურული ნაწარმოები, ღირსეული შესწავლისათვის მაგრამ უარყოფენ, რომ ის მოიცავს მტკიცებულებას ქრისტეს ღვთაებრიობაზე, მის მიერ ჩადენილ სასწაულებზე და ღმერთის გამოცხადებაზე. ზოგიერთები უბრალოდ უგულვებელყოფენ ბიბლიას და ზოგს კი საერთოდ არასოდეს უნახიათ ბიბლია ან არ ჰქონიათ მისი წაკითხვის შესაძლებლობა.

უკანასკნელი დღეების წმინდანებს „სწამთ რომ ბიბლია არის ღმერთის სიტყვა, როდესაც ის სწორად არის გადათარგმნილი“ (რწმენის სიმბოლოები 1:8). მორმონის წიგნი არ ეჯიბრება ბიბლიას, არამედ მხარს უჭერს მას და მოგვიწოდებს, რომ ის წავიკითხოთ, ასევე ამტკიცებს მისი მოწოდების ჭეშმარიტებას. თქვენ უნდა ერთდროულად გამოიყენოთ, როგორც მორმონის წიგნი ასევე ბიბლია, რადგან ისინი მხარს უჭერენ ერთმანეთს.

მორმონის წიგნი მოგვითხრობს უძველეს აღთქმებზე, რომლებიც ღმერთმა დადო თავის შვილებთან, ბიბლია მოგვითხრობს დიდ წინასწარმეტყველებზე, რომლებმაც ასევე მიიღეს ეს აღთქმები თავიანთი რწმენის წყალობით. მორმონის წიგნი მოწმობს ქრისტეზე და მის გამოსყიდვაზე, ბიბლიაში აღწერილია მისი დაბადების, მსახურობის, სიკვდილის, გამოსყიდვის და აღდგომის ამბავი. ამგვარად ბიბლია და მორმონის წიგნი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს.

უ.დ.წ. ეკლესიის მიერ გამოცემულ, მეფე ჯეიმსის ვერსიის ბიბლიას და მორმონის წიგნს აქვთ მუხლების ჯვარედინი მითითებები და სამეცადინო მასალები, რომლებიც აერთიანებენ იუდას ჯოხს (ბიბლია) და იოსების ჯოხს (მორმონის წიგნი) ჩვენს ხელში (იხილეთ ეზეკიელი 37:15–17; იხილეთ ასევე 1 ნეფი 13:34–41; 2 ნეფი 3:12; 29:8). სწავლებისას უმეტესად გამოიყენეთ ციტატები მორმონის წიგნიდან, მაგრამ ასევე აჩვენეთ თუ როგორ ასწავლიან იგივე საფუძვლებს მორმონის წიგნი და ბიბლია.

გამოიყენეთ მორმონის წიგნი, რათა განმარტოთ და ახსნათ ნაწყვეტები ბიბლიიდან. მაგალითად, ახალ აღთქმაში სწერია, რომ იესო მოინათლა რათა, „აღსრულდეს მთელი სიმართლე“ (მათე 3:14–15). მორმონის წიგნი განმარტავს თუ რას ნიშნავს მთელი სიმართლის აღსრულება (იხილეთ 2 ნეფი 31:5–9).

თუ თქვენ ერთად გამოიყენებთ ორივე წიგნს, წმინდა წერილებს – მორმონის წიგნს და ბიბლიას, ისინი დაგეხმარებიან წინააღმდეგობების გადალახვაში და მცდარი სწავლებების გამოსწორებაში (იხილეთ 2 ნეფი 3:12).

ბიბლია ასწავლის შემდეგს მოწმეების კანონზე: „ორი მოწმის ან სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა“ (2 კორინთელთა 13:1). ამ კანონის შესაბამისად, მორმონის წიგნი და ბიბლია, ორივე მოწმობენ იესო ქრისტეს შესახებ.

### ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

ქვევით მოყვანილ თემებზე, იპოვეთ მორმონის წიგნში და ბიბლიაში ჯვარედინი მითითებები. ყოველი თემის სათაურთან ფრჩხილებში მითითებულია მაგალითები. თქვენით დაურთეთ თემები და მითითებები წმინდა წერილებში.

- წინასწარმეტყველები (ამოსი 3:7 და იაკობი 4:4–6)
- განდგომა (2 ტიმოთე 4:3–4 და 2 ნეფი 28)
- აღდგომა (საქმეები 3:19–21 და 1 ნეფი 13:34–42)
- ღმერთის შვილები (საქმეები 17:29 და 1 ნეფი 17:36)

შენიშვნები

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რას მოგვითხრობს ბიბლია მორმონის წიგნზე?**

იოანე 10:16
ესაია 29:4, 11–18
ეზეკიელი 37:15–17
Guide to the Scriptures, „Ephraim,“ subheading: *The Stick of Ephraim or Joseph*

**რას მოგვითხრობს მორმონის წიგნი ბიბლიაზე?**

1 ნეფი 13:20–29, 40–41
2 ნეფი 29:3–14
3 ნეფი 23:1
მორმონი 7:8–9

**როგორ ემსახურებიან ორივე წიგნი ქრისტეს დამოწმებად?**

2 ნეფი 29:8
იოანე 20:31
საქმეები 10:43

## მორმონის წიგნი იძლევა პასუხებს სულის დიდებულ შეკითხვებზე

პრეზიდენტმა ეზრა ტაფტ ბენსონმა სთქვა, რომ მისიონერებმა „უნდა აჩვენონ თუ როგორ პასუხობს (მორმონის წიგნი) ადამიანის სულის უდიდეს შეკითხვებს“ („Flooding the Earth with the Book of Mormon,“ *Ensign*, ნოემბერი 1988, 5).

„ადამიანის სულის უდიდესი შეკითხვები“ შეიძლება ვუწოდოთ შეკითხვებს, როგორებიც არიან: არსებობს თუ არა ღმერთი? ვარსებობდი მე სანამ დავიბადებოდი? ვიცოცხლებ სიკვდილის შემდეგ? რა არის ცხოვრების მიზანი? არის თუ არა სინამდვილეში იესო – მხსნელი?



სხვა შეკითხვები შეიძლება იყოს უფრო ამქვეყნიურ პრობლემებზე: როგორ შემიძლია გავაუმჯობესო ჩემი ურთიერთობები მეუღლესთან? როგორ დავეხმარო ჩემს მოზარდ ბავშვებს თავი აარიდონ ნარკოტიკებს და გარყვნილობას? როგორ ვიპოვო სამსახური, რომელიც ოჯახის შენახვის საშუალებას მომცემს?

ყველა ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში ეხმარება იესო ქრისტეს სახარება. როდესაც ვიწამებთ მორმონის წიგნის ჭეშმარიტებას, ჩვენ შეგვიძლია გავცეთ პასუხები ცხოვრების მიზანზე და მარადიული სიცოცხლის იმედზე. მორმონის წიგნი აღწერს ბედნიერების გეგმას, რომელიც ხსნის სიცოცხლის აზრს და პერსპექტივას. მორმონის წიგნში შესამლებელია ვიპოვოთ პასუხები შეკითხვებზე, როგორებიც არიან ქვევით მოყვანილი.

- არსებობს თუ არა ღმერთი? (ალმა 22)
- რას მოელის იესო ქრისტე ჩემგან? (2 ნეფი 9)
- როგორ დამეხმარება რწმენა იესო ქრისტეში? (ალმა 36)
- არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ? (ალმა 40)
- რა არის ცხოვრების მიზანი? (ალმა 34)
- რატომ დაუშვა ღმერთმა ბოროტება და ტანჯვა? (2 ნეფი 2; ალმა 14:9–11; 60:13)
- არის საჭირო, ჩემი ახლადშობილის მონათვლა? (მორონი 8)
- მიცნობს თუ არა ღმერთი? (ალმა 5:38, 58)
- პასუხობს ღმერთი ლოცვებს? (ენოსი 1)

შენიშვნები

- როგორ მოვიპოვო, მშვიდობა და სიხარული? (მოსია 2, 4)
- როგორ შეიძლება, რომ ჩემი ოჯახი იყოს უფრო ბედნიერი და ერთიანი? (მოსია 2)
- როგორ მივაღწიო ოქროს შუალედს ჩემს ოჯახს და კარიერას შორის? (3 ნეფი 13)
- როგორ გავამტკიცო ურთიერთობები მეუღლესთან? (3 ნეფი 14)
- როგორ ავარიდო ჩემს ოჯახს ბოროტება, რომელიც მას ემუქრება? (ალმა 39)
- როგორ ავარიდო თავი ცოდვას? (ჰელამანი 5)

როდესაც ვკითხულობთ მორმონის წიგნს სულის წინამძღვრობით, ჩვენ ვიღებთ პასუხებს ჩვენს პირად შეკითხვებზე. ის გვასწავლის, რომ ლოცვა და გამოცხადება არიან გასაღებები, მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისათვის. ის გვეხმარება ჩვენი რწმენის ქონაში რომ ღმერთი უპასუხებს ჩვენს ლოცვებს.

მორმონის წიგნი გვეხმარება იმის გააზრებაში, რომ ღმერთის მცნებები არ არის ჩვენი უფლებების შეზღუდვების სია, არამედ ისინი არიან ბედნიერი სრულფასოვანი ცხოვრებისაკენ გზამკვლევები. როდესაც ჩვენ თანდათანობით გვესმის ის ფაქტი, რომ სახარების პირველი საფუძვლები და წეს-ჩვეულებები არის გზა სრულფასოვანი ცხოვრებისაკენ, ჩვენ მივხვდებით, რომ ეს საფუძვლები გვეხმარებიან ნებისმიერ შეკითხვებზე პასუხის პოვნაში და ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში. მაგალითად, ჩვენ მივხვდებით, რომ მონანიება, შენდობა და სხვებისადმი სამსახურისათვის აღთქმა, აუცილებელია ჩვენ მეუღლეებთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ჩვენ დავინახავთ, რომ ქრისტეში რწმენით, აღთქმების დადებით და დაცვით ასევე სულის კარნახისადმი მიყოლით ახალგაზრდობა იმენს მალას, რათა გადალახონ ის მლიერი ცდუნებები, რომლებიც არის მათ გარშემო.

> *„ბევრად უფრო საშიშ მსოფლიოში. . . მორმონის წიგნი: იესო ქრისტეს შესახებ კიდევ ერთი დამოწმებას, შესწევს მალა, დაანაყროს და უმკურნალოს მსოფლიოს დამშეულ სულებს.“*
>
> – პრეზიდენტი ბოიდ კ. პეკერი
> „THE BOOK OF MORMON: ANOTHER TESTAMENT OF JESUS CHRIST,“ *ENSIGN*, ნოემბერი 2001, 64

სახარებას შეუძლია პასუხი გასცეს თითქმის ყველა შეკითხვაზე და გადაწყვიტოს ნებისმიერი პრობლემა. აი ამიტომ თქვენ უნდა ასწავლოთ სახარების საფუძვლები, რომლებიც მოცემულია ბიბლიაში და მორმონის წიგნში, რომელშიც მთლიანად არის სახარება (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 42:12).

**ღონისძიება: დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

ჩამოწერეთ რომელიმე სია „ადამიანის სულის დიდი შეკითხვებიდან“ რომელიც გეკითხებოდნენ მოწაფეები. იპოვეთ მორმონის წიგნში მუხლები, რომლებიც პასუხობენ ამ შეკითხვებს. ჩაიწერეთ პასუხები თქვენს სამეცადინო რვეულში და გამოიყენეთ ისინი სწავლების დროს.

## მორმონის წიგნი ღმერთთან აახლოვებს ადამიანებს

მორმონის წიგნის შესახებ, წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა სთქვა: „ადამიანი მისი მომღვრების მიხედვით ცხოვრებით უფრო მიუახლოვდება ღმერთს, ვიდრე ნებისმიერი სხვა წიგნით“ (მორმონის წიგნის შესავალი). მორმონის წიგნი არის საფეხური დამოწმებისაკენ და პირადი გამოცხადებისაკენ. გამოიყენეთ მორმონის წიგნი, რათა დაეხმაროთ ადამიანებს სულიერი გამოცდილების მისაღებად, განსაკუთრებით სულიწმინდის დამოწმების მიღებაში, რომ ეს წიგნი არის ჭეშმარიტი. მუდამ მოიპატიჟეთ ადამიანები, რომ იცხოვრონ იმ

შენიშვნები

საფუძვლებით, რომლებიც მოცემულია მორმონის წიგნში, თქვენ ამით დაეხმარებით მათ იესო ქრისტეში რწმენის განვითარებაში და ღმერთთან დაახლოებაში.

პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ გამოაცხადა: „მათ ვინც წაიკითხეს (მორმონის წიგნი) ლოცვით, იმისდა მიუხედავად ისინი არიან მდიდარნი თუ ღარიბნი, განათლებულნი თუ გაუნათლებელნი, გაიზარდნენ მისი მალით. . . მე გპირდებით, რომ თუ თქვენ ლოცვით წაიკითხავთ მორმონის წიგნს, იმისდა მიუხედავად თუ რამდენჯერ გაქვთ ის მანამდე წაკითხული, თქვენს გულში შემოვა. . . უფალის სული. მოგივათ უფრო მტკიცე გაბედულება, რომ ივლით მისი მცნებებისადმი მორჩილებით და მიიღებთ უფრო მლიერ დამოწმებას ღმერთის მის სიცოცხლის რეალობაზე“ („The Power of the Book of Mormon,“ *Ensign*, ივნისი 1988, 6).

## გამოიყენეთ მორმონის წიგნი, რომ უპასუხოთ საწინააღმდეგო მოსაზრებებს

ბევრი ადამიანები არ დაიჯერებენ ყველაფერს, რასაც თქვენ ასწავლით. პრეზიდენტმა ეზრა ტაფტ ბენსონმა აგვიხსნა თუ როგორ შეიმლება მორმონის წიგნი იყოს მთავარი რესურსი ასეთი სიტუაციების გადასაწყვეტად:

„ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მორმონის წიგნი, ეკლესიისადმი წამოყენებული საწინააღმდეგო მოსაზრებების საპასუხოდ. . .

„ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებები, ეხებიან რა, აბორტებს, მრავალცოლიანობას, ღმერთისადმი თაყვანისცემას მეშვიდე დღეს და ა.შ. დამოკიდებულია ერთ შეკითხვაზე, იყო თუ არა იოსებ სმითი და დღეს მყოფი მისი მემკვიდრეებიც, ჭეშმარიტად ღმერთის წინასწარმეტყველები, რომლებიც იღებენ ღმერთისაგან გამოცხადებებს. . . .


*My Servant Joseph* © 2004 ლიზ ლემონ სვინდლი. ამ სურათის ასლი გადაღებულია ფაუნდეშენ არტის ნებართვით, ამერიკან ფორკ, იუტა 84003.

„. . . ერთადერთი შეკითხვა რომელზეც მოდავემ უნდა თავის თავს უპასუხოს არის თუ არა მორმონის წიგნი ჭეშმარიტება. ვინაიდან თუ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება, მაშინ იესო არის ქრისტე და იოსებ სმითი იყო მისი წინასწარმეტყველი, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია არის ჭეშმარიტი და მას უძღვის წინ წინასწარმეტყველი, რომელიც იღებს გამოცხადებებს ღმერთისაგან.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა წარმოვადგინოთ სახარება და გავაკეთოთ ეს ქმედითად. ჩვენ არ ვართ ვალდებულნი ვუპასუხოთ ყველა სადაო შეკითხვას. საბოლოო ჯამში ყოველი ადამიანი ეყრდნობა რწმენის კედელს, სადაც მან თვითონ უნდა დაიცვას თავისი სარწმუნოება“ (*A Witness and a Warning*, 4–5).

მაგალითად გულწრფელი მოწაფეები შეიმლება არ გეთანხმებოდნენ იმაზე, რასაც მათ ასწავლით სიბრძნის სიტყვის შესახებ. დაეხმარეთ მათ იმის გააზრებაში, რომ სინამდვილეში მათ აღელვებთ საკითხი იმაზე, რომ თუ საუბრობდა იოსებ სმითი როგორც ღმერთის წინასწარმეტყველი როდესაც აღადგინა მან ეს მცნება ჩვენს წყობაში. თქვენ შეგიმლიათ სთქვათ: „იმისათვის რომ რწმენით მიიღოთ ეს სწავლება, საჭიროა იწამოთ, რომ ეს მცნება მოვიდა ჩვენთან ღმერთის გამოცხადების მეშვეობით, რომელიც ჰქონდა წინასწარმეტყველი იოსებ სმითს. თუ გინდათ იცოდეთ, რომ იოსებ სმითი იყო თუ არა ღმერთის წინასწარმეტყველი, უნდა წაიკითხოთ მორმონის წიგნი და ილოცოთ მასზე.“

მოწაფეებმა თავად უნდა მოძებნონ პასუხები თავიანთ საწინააღმდეგო მოსაზრებებზე და გადალახონ თავიანთი ეჭვები. თქვენ შეგიმლიათ დაეხმაროთ, როდესაც მათ ყურადღებას გაამახვილებთ იმაზე, რაც გაამტკიცებს მათ რწმენას იესო ქრისტეში, მორმონის

შენიშვნები

წიგნის წაკითხვის და მასზე ლოცვის შეთავაზებით. როდესაც ისინი განამტკიცებენ თავიანთ დამოწმებას აღდგენის შესახებ, მათ მიეცემათ ძალა, რომელიც დაეხმარებათ თავიანთი ეჭვების და წინააღმდეგობების გადალახვაში.

როდესაც პასუხობთ მოწაფეების შეკითხვებზე, გახსოვდეთ: ჩვენი გაგება მოდის თანამედროვე წინასწარმეტყველებისგან – იოსებ სმითის და მისი მემკვიდრეებისაგან, რომლებიც იღებენ ღმერთის პირდაპირ გამოცხადებებს. ამიტომ პირველი შეკითხვა, რომელზეც მოწაფეებმა უნდა გადაწყვიტონ, ეს იქნება შეკითხვა: იყო თუ არა იოსებ სმითი, წინასწარმეტყველი. ისინი შესძლებენ ამაზე პასუხის გაცემას მორმონის წიგნის წაკითხვით და მასზე ლოცვით.

## იოსებ სმით ი და მორმონის წიგნი

იმის გასარკვევად, იყო თუ არა იოსებ სმითი ღმერთის წინასწარმეტყველი, არის ერთი საშუალება მორმონის წიგნის კითხვა და მასზე ლოცვა.

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

თქვენს სამეცადინო რვეულში, ჩამოწერეთ თუ როგორ უპასუხებთ მოწაფეების ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს, იოსებ სმითზე და მორმონის წიგნზე დაყრდნობით:

- „მე არ მწამს რომ ღმერთი კვლავ ელაპარაკება ადამიანებს."
- „მე მწამს რომ შემიძლია ვეთაყვანო ღმერთს ჩემი საკუთარი გზით, ვიდრე რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის მეშვეობით."
- „თუ გავწევრიანდები თქვენს ეკლესიაში, რატომ უნდა ვთქვა უარი ღვინის სმაზე?"
- „რაში მჭირდება რელიგია?"

## როგორ უნდა გამოიყენოთ მორმონის წიგნი?

ბევრი მოწაფეები ან არ კითხულობენ მორმონის წიგნს, ან არ ესმით თუ რას კითხულობენ. ადამიანები, რომლებიც არ კითხულობენ ან არ ესმით მორმონის წიგნის, მათთვის ძნელი იქნება დამოწმების მიღება, რომ ის არის ჭეშმარიტება.

## წაიკით ხეთ მორმონის წიგნი თ ქვენს მოწაფეებთ ან ერთ ად

მოწაფეებთან ერთად კითხვისას, ილოცეთ, რომ სულიწმინდა დაუმოწმებს მოწაფეებს, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება.



თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მოწაფეებს, მორმონის წიგნის მათთან ერთად კითხვით. წიგნიდან ნაწყვეტის შერჩევის დროს ილოცეთ დახმარებისათვის, რომ მოძებნოთ პასუხი მოწაფეების ეჭვების და პრობლემების გადასალახავად. თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ წიგნი მათთან ერთად გაკვეთილის დროს ან განმეორებით სტუმრობის დროს. თქვენ ასევე შეგიძლიათ მოილაპარაკოთ ეკლესიის წევრებთან, რომ მათ მოწაფეებთან ერთად წაიკითხონ მორმონის წიგნი.

შენიშვნები

ზოგიერთ ნაწყვეტებს წიგნიდან აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგალითად თავფურცელს, შესავალს (განსაკუთრებულად ბოლო ორ პარაგრაფს), და მორონი 10:3–5. ეს ნაწყვეტები ეხმარებიან მოწაფეებს იმის გაგებაში თუ როგორ მიიღონ მორმონის წიგნზე დამოწმება. მოუწოდეთ მათ, რომ წაიკითხონ მორმონის წიგნი დასაწყისიდან, სამი და რვა თვითმხილველების დამოწმებების და წინასწარმეტყველი იოსებ სმითის დამოწმების ჩათვლით.

წაიკითხეთ და განიხილეთ მოკლე ციტატები (როგორებიც არის 1 ნეფი 3:7 ან მოსია 2:17) და გრძელი ნაწყვეტები ან მთელი თავები (როგორებიც არის 2 ნეფი 31, ალმა 7, ან 3 ნეფი 18).

როდესაც მოწაფეებთან ერთად კითხულობთ, შიგადაშიგ შეჩერდით და განიხილეთ წაკითხული. მიუთითეთ მთავარი მომენტებზე ან მნიშვნელოვანი მომღვრებებზე, რომლებზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება კითხვის დროს. გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები, გრმნობები, დამოწმებები და პირადი გამოცდილება. დაეხმარეთ ადამიანებს იგრმნონ მორმონის წიგნის სულიერი მალა. ამ გზით თქვენ შესმლებთ მათ ასწავლოთ ჭეშმარიტი მომღვრება, პირდაპირ მორმონის წიგნიდან. გააგრძელეთ მათთან ერთად კითხვა თქვენს მომდევნო ვიზიტების დროს, რათა ადამიანებმა, ვისაც ასწავლით გამოიმუშაონ დამოუკიდებლად კითხვის და ლოცვის ჩვევა.

> „გთხოვთ ნუ მიიღებთ მორმონის წიგნს როგორც საჩუქარს. ილოცეთ შთაგონებისათვის, რომ თქვენი მისიის დროს თუ როგორ შესძლოთ უფრო ეფექტურად გამოიყენოთ მორმონის წიგნი. მე გპირდებით, რომ თუ თქვენ ასე გააკეთებთ, თქვენი გონება განათლდება და მოგეცემათ თქვენთვის აუცილებელი ხელმძღვანელობა."
>
> – რიჩარდ ჯი. სქოთი
>
> მისიის პრეზიდენტების სემინარი, 23 ივნისი 1999

ასწავლეთ პრინციპები და მომღვრებები მორმონის წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვების გამოყენებით. განუმარტეთ თქვენს მიერ მოყვანილი ნაწყვეტის წინა ისტორია და კონტექსტი. განუმარტეთ უცხო სიტყვები და გამოთქმები.

„მიუსადაგეთ" თქვენს მიერ წაკითხული სიტყვები საკუთარ თავს და მოწაფეებს, შეეცადეთ თვალსაჩინოდ დაანახოთ თუ როგორ გეხებათ ეს სიტყვები პირადად თქვენ და თქვენს მოწაფეებს (იხილეთ 1 ნეფი 19:23). „მისადაგება" ნიშნავს გონებრივად დავიკავშიროთ, რომელიმე მომღვრების გააზრება და ამ მომღვრების ცხოვრებაში გამოყენება. იმისათვის რომ წიგნი იკითხოთ გულწრფელად და ნამდვილი მოწადინებით, თქვენ და თქვენს მოწაფეებს უნდა გსურდეთ იმოქმედოთ ამ მომღვრების შესაბამისად, გამოიყენოთ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და საჭიროების შემთხვევაში მოინანიოთ ცოდვები. ამ მომღვრების შესაბამისად ცხოვრებით, თქვენ მოიპოვებთ რწმენას, რომ ის არის ჭეშმარიტი. მაგალითად თქვენ შეგიძლიათ უთხრათ მოწაფეს:

- „როგორც თქვენ, ნეფის წინ ელოდა რთული გამოცდა. მაგრამ მან გამოიჩინა რწმენა, რომ წავიდოდა და გააკეთებდა რაც უფალმა უბრმანა მას, და მან შესმლო ყოფილიყო წარმატებული თავის საქმეში. (წაიკითხეთ 1 ნეფი 3:7.) მე ვიცი, რომ ღმერთი მოგიმზადებთ გზას, რათა თქვენ შესმლოთ იცხოვროთ სიბრმნის სიტყვის მიხედვით."
- „ჯონ, ეს კარგია, რომ თქვენ გინდათ განთავისუფლდეთ დანაშაულის გრმნობისაგან. ისე როგორც ნეფიელებს დაჰპირდა მხსნელი, თქვენ თუ მოინანიებთ, მოინათლებით და მიიღებთ სულიწმინდას, თქვენ იქნებით უდანაშაულო მამის წინაშე." (წაიკითხეთ 3 ნეფი 27:16.)

ენდეთ დაპირებას, რომელიც არის მოცემული მორონი 10:3–5. ყოველი ვინც გულწრფელად კითხულობს და ლოცულობს ამ წიგნზე, შესმლებს ნათლად ჩასწვდეს მის ჭეშმარიტებას სულიწმინდის მალით. გააკეთეთ, რაც შეგიძლიათ, რომ დაეხმაროთ მოწაფეებს:

შენიშვნები

- წაიკითხონ მორმონის წიგნი და იმსჯელონ მის მოწოდებაზე, რომელიც ეხება იესო ქრისტეს.
- იესო ქრისტეში რწმენით, ლოცვებით შესთხოვონ ღმერთს, რომ მიიღონ დამოწმება მორმონის წიგნის ჭეშმარიტებაზე და რომ იოსებ სმითი არის აღდგენის წინასწარმეტყველი.
- გულწრფელად ილოცონ და იყვნენ ჭეშმარიტად მოწადინებული, რაც ნიშნავს, რომ იმოქმედებენ ღმერთისაგან მიღებული პასუხის შესაბამისად.

თქვენც თვითონაც ასევე მუდმივად უნდა გამოიყენოთ ეს დაპირება, რათა განამტკიცოთ და განაახლოთ თქვენი პირადი დამოწმება მორმონის წიგნზე. ეს განახლებული დამოწმება დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ მტკიცე თვითრწმენა, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დააპირებს ამ დაპირების გამოცდას, აუცილებლად მიიღებს პასუხს.

### გამოიყენეთ მორმონის წიგნი თქვენი სამუშაოს ყოველ ასპექტში

მორმონის წიგნი არის ძლიერი რესურსი ადამიანის მოქცევის პროცესში. გამოიყენეთ ის, როგორც მთავარი წყარო აღდგენილი ჭეშმარიტების სწავლებისას.

### გახსოვდეთ შემდეგი:

- მორმონის წიგნი არის იესო ქრისტეზე ჩვენი დამოწმების, ჩვენი მოძღვრების და ჩვენი პირადი დამოწმებების სომის ქვა.
- მორმონის წიგნი ნათლად განმარტავს მოძღვრებას, რომელიც მოცემულია მისიონერთა გაკვეთილებში.
- მორმონის წიგნზე დაყრდნობით პასუხი გაეცით სულის შეკითხვებზე და ეკლესიის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს.
- მუდმივად იკითხეთ მორმონის წიგნი თქვენს მოწაფეებთან და ახლად მოქცეულებთან ერთად. გააკეთეთ ყველაფერი, რათა დაეხმაროთ მათ თვითონ იკითხონ ეს წიგნი ყოველ დღე და რასაც ისწავლიან გამოიყენონ თავიანთ ცხოვრებაში.
- ენდეთ უფალის დაპირებას, რომ ყოველი ადამიანი ვინც გულწრფელად კითხულობს და ლოცულობს მორმონის წიგნზე, მიიღებს ცოდნას მის ჭეშმარიტებაზე სულიწმინდის ძალით.

# მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

შენიშვნები

## დამოუკიდებელი მეცადინეობა

- წაიკითხეთ 2 ნეფი 2, 9, 30, 31, 32 და ყურადღება გაამახვილეთ ყველა სიტყვებზე, რომლებიც ეხებიან იესო ქრისტეს იმ სიტყვების გაფერადებით. შეადგინეთ ამ თავებში გამოყენებული ქრისტეს სახელების და ტიტულების სია. ხაზი გაუსვით ქრისტეს ნათქვამ სიტყვებს. გამოყავით მისი თვისებები და ქცევები. თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ ამ დავალების შესრულება, მთლიანად მორმონის წიგნის კითხვის დროს.
- სამეცადინო რვეულში ჩაწერეთ თუ რა იგრძენით, როდესაც პირველად მიიღეთ სულიერი დამოწმება მორმონის წიგნის ჭეშმარიტებაზე.
- მოძღვრება და აღთქმებში 20:17 არის ასეთი სიტყვები „აი აქედან ჩვენ ვიცით", ამ სიტყვებით იწყება მოძღვრების წარდგენა, რომელიც ნათლად არის გადმოცემული მორმონის წიგნში. წაიკითხეთ მოძღვრება და აღთქმები 20:15–35 და შეადგინეთ მოძღვრებების სია, რომლებიც მოხსენიებულია ამ მონაკვეთში. ამოარჩიეთ ერთერთი მოძღვრება და გამოიყენეთ Guide to the Scriptures, რათა შეადაროთ თქვენი სია, იმასთან, რაც ბიბლიაში არის ნათქვამი ამ მოძღვრებებზე.
- შეადარეთ მთაზე ქადაგება აღწერილი მათე 5–7 და ტაძართან ქრისტეს ქადაგება აღწერილი 3 ნეფი 12–14. შეადგინეთ ნათელი და ძვირფასი ჭეშმარიტებების სია, რომელიც აღდგენილია მორმონის წიგნის მეშვეობით.
- შეადგინეთ შეკითხვების სია, რომლებიც დაგისვეს მოწაფეებმა. იპოვეთ მორმონის წიგნიდან ნაწყვეტები, რომლებიც პასუხობენ ამ შეკითხვებს და გამოიყენეთ ისინი საჭიროებისამებრ თქვენი ყოველდღიური გაკვეთილების დროს.
- მოძებნეთ მორმონის წიგნში მუხლი, რომელმაც შეცვალა თქვენი ცხოვრება. ჩაიწერეთ თქვენი გრძნობები წმინდა წერილის ამ მუხლზე თქვენს სამეცადინო რვეულში.
- მოძებნეთ მორმონის წიგნში ყველა ის შემთხვევები სადაც მოყვანილია ვინმეს ლოცვის სიტყვები. თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაიწერეთ თუ რა იყო ამ ლოცვებში საერთო.
- წაიკითხეთ 2 ნეფი 33:10–15 და მორონი 10:27–29, 34. რას ეტყვით ნეფის და მორონის სასამართლოს წინაშე, თუ როგორ იყენებდით მორმონის წიგნს? ჩაიწერეთ თქვენი პასუხი და დაისახეთ მიზნები, რომლებიც დაგეხმარებიან ამ წიგნის უკეთ გამოყენებისათვის.
- მოსია 11–16, თავების მოკლე შინაარსების მიხედვით შეაჯამეთ თუ რას ასწავლიდა აბინადი. წაიკითხეთ ეს თავები და განავრცეთ თქვენი ჩანაწერები.
- მოსია 2–5, თავების მოკლე შინაარსების მიხედვით შეაჯამეთ თუ რას ასწავლიდა მეფე ბენიამინი. წაიკითხეთ ეს თავები და განავრცეთ თქვენი ჩანაწერები.
- მორმონის წიგნის ყოველდღიური კითხვისას, ჩაიწერეთ თქვენს სამეცადინო რვეულში ის ნაწყვეტები, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე. ჩაიწერეთ თუ როგორ გამოიყენებთ ამ სიტყვებს თქვენს ცხოვრებაში.

## ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- ერთად წაიკითხეთ მორმონის წიგნიდან ნაწყვეტები. გაუზიარეთ ერთმანეთს თუ რა ისწავლეთ და იგრძენით. ერთმანეთს გაუზიარეთ დამოწმება.
- მორმონის წიგნში აღწერილი წინასწარმეტყველებიდან ან მისიონერებიდან, რომელს გინდათ, რომ ჰგავდეთ და რატომ? გაუზიარეთ ძმადნაფიც მისიონერს თქვენი აზრები.
- წაიკითხეთ ალმა 26 და 29 ძმადნაფიც მისიონერთან ერთად. გაუზიარეთ თუ რას გრძნობთ თქვენი მისიის შესახებ. სამეცადინო რვეულში, ჩაწერეთ თქვენი გრძნობების შესახებ.
- წაიკითხეთ ალმა 37:9 და ისაუბრეთ იმაზე თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა წმინდა წერილებს ამონისათვის და მისი თანამოძმე მისიონერებისათვის. მოძებნეთ აღწერილი ნაწყვეტები მასზედ, თუ როგორ იყენებდნენ ისინი წმინდა წერილებს.

შენიშვნები

- წაიკითხეთ ალმა 11–14 თქვენს ძმადნაფიც მისიონერთან ერთად, ერთმა განასახიეროს ალმა ან ამულეკი, და მეორემ კი მათი ოპონენტები. მიაქციეთ ყურადღება თუ როგორ უპასუხებენ ეს მისიონერები რთულ შეკითხვებს.

- წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი მოთხრობა, რომელიც ეყრდნობა რეალურ მოვლენებს, განიხილეთ თუ რა გაიგეთ მორმონის წიგნის მნიშვნელობაზე და მის ძალაზე (სახელები შეცვლილია).

  „როდესაც მოვიპატიჟეთ სნაიდერების ოჯახი, რომ მიეღოთ ნათლობა და წევრად დამტკიცება, და სნაიდერი მზად იყო, მაგრამ, ძმა სნაიდერმა სთქვა, 'ნუ გექნებათ დიდი იმედი, უხუცესებო. არ ვიცი თუ ოდესმე მე ამას შევსძლებ!' თუმცა ძმა სნაიდერი ყოველთვის იღებდა ჩვენს გაკვეთილებს თბილად და მეგობრულად, ის ღრმად წუხდა იმაზე თუ როგორ მიიღებდა მისი ოჯახი მის გადასვლას სხვა ეკლესიაში.

  „რამოდენიმე კვირის განმავლობის შემდეგ, ახედავდით, ძმა სნაიდერის შინაგან ბრძოლას, მე და ჩემ ძმადნაფიცმა მისიონერმა მივიღეთ შთაგონება კიდევ ერთხელ გადაგვეკითხა 3 ნეფი 11 სნაიდერებთან ერთად. მე არასოდეს დამავიწყდება თუ რა მოხდა იმ საღამოს. როდესაც გავხსენით მორმონის წიგნი, ჩემმა ძმადნაფიცმა მისიონერმა აუხსნა, 'ამ თავში, როგორც თქვენ გახსოვთ, მოგვითხრობს თუ როგორ მოევლინა მორმონის წიგნში აღწერილ ხალხს მხსნელი. აქ ჩვენ ვკითხულობთ მხსნელის სიყვარულზე ამ ხალხის მიმართ და ჭეშმარიტებაზე, რომელიც მათ ასწავლა.' ჩვენ რიგრიგობით წავიკითხეთ ერთი-ორი მუხლი. როდესაც წავიკითხეთ მე-5 მუხლი, ჩემმა ძმადნაფიცმა მისიონერმა შემაწყვეტინა კითხვა და სთქვა, 'მე ყოველთვის მაოცებდა თუ როგორ არის აღწერილი ხმა, რომელიც მათ მოისმინეს. ეს ხმა არ იყო უხეში, არც ხმამაღალი, მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ ეს იყო ჩუმი ხმა, მას ჰქონდა ძლიერი გამჭოლი ეფექტი მათზე. ეს ხმა მათ ესმოდათ არა მარტო ყურებით, ის მათ ჩასწვდათ გულებშიც.' მე ვუყურებდი სნაიდერებს, როდესაც ისინი ყურადღებით უსმენდნენ ჩემს ძმადნაფიც მისიონერს.

  „ლოცვის მნიშვნელობაზე და სულისათვის კარნახის მოსმენაზე საუბრის შემდეგ, გავაგრძელეთ წიგნის კითხვა, ეხლა ძმა სნაიდერის კითხვის რიგი იყო, იგი კითხულობდა რომ მათ მესამეჯერ გაიგეს ხმა, რომელიც იყო მამაზეციერის და ეუბნებოდათ მათ: აჰა, ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე, რომლითაც მე განვადიდე ჩემი სახელი. მამაზეციერმა უბრძანა მათ მოესმინათ მის ძისათვის. ძმა სნაიდერი შეჩერდა, ყურადღებით შეჰყურებდა მორმონის წიგნს. შემდეგ შემომხედა და სთქვა: 'მამაზეციერი ნამდვილად ამაყობდა თავისი შვილით, არა?' მე ვუპასუხე 'დიახ'. ძმა სნაიდერმა კვლავ ჩაიხედა წიგნში ღრმად ჩაფიქრებულმა. ბოლოს მან სთქვა, 'მეც მოვინდომებდი, რომ მამამეციერი ამაყობდეს ჩემით. მაინტერესებს თუ როგორ წარადგენდა ჩემ თავს. ვფიქრობ, მე რომ . . . დიახ მე მინდა რომ ის ამაყობდეს ჩემით და ამისათვის უნდა გავაკეთო რასაც ის მოელის ჩემგან რომ გავაკეთებ.' 'დიახ, მე ვფიქრობ რომ ეს მნიშვნელოვანია,' - მე ვუპასუხე. 'კარგით,' ძმა სნაიდერმა გააგრძელა. 'ვფიქრობ მე ძალაინ ბევრს ვდარდობდი თუ რას იტყოდნენ სხვა ადამიანები და არ მადარდებდა თუ რას ფიქრობს ღმერთი.' მოკლე პაუზის შემდეგ ძმა სნაიდერმა, თავი დაგვიკრა და მტკიცე ხმით სთქვა, 'ვფიქრობ რომ უნდა მოვინათლო.' მისი პასუხი იყო იმდენად მოულოდნელი რომ მე და ჩემმა ძმადნაფიცმა მისიონერმა გაოცებულად გადავხედეთ მას. ბოლოს ჩემმა ძმადნაფიცმა მისიონერმა სთქვა, 'დიახ, ეგ იქნებოდა სწორი საქმე. ფაქტიურად, მოგვიანებით წიგნის ამ თავში მხსნელი ასწავლის, . . .' როდესაც ვუსმენდი ჩემ ძმადნაფიც მისიონერს ვგრძნობდი თუ როგორ მევსებოდა გული მადლიერების და თბილი გრძნობებით, მორმონის წიგნის ძალისათვის."

ამ მისიონერებმა როგორ გამოიყენეს მორმონის წიგნი? თქვენ და თქვენი ძმადნაფიცი მისიონერი როგორ შესძლებთ გამოიყენოთ ის უფრო ეფექტურად თქვენი მისიონერული მოღვაწეობის დროს?

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- ივარჯიშეთ მორმონის წიგნის გამოყენებაში ყველანაირად ისე როგორც არის აღწერილი ამ თავის ქვესათაურებში.

- ჩამოთვალეთ შეკითხვები და საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებზეც გეკითხებიან მოწაფეები. განუმარტეთ ერთმანეთს თუ როგორ უპასუხებთ ამ შეკითხვებს მორმონის წიგნის გამოყენებით.

შენიშვნები

- ერთად წაიკითხეთ მორმონის წიგნიდან ნაწყვეტები. გაუზიარეთ ერთმანეთს ცოდნა, გრძნობები და დამოწმება.
- იმეცადინეთ, რათა შესძლოთ მორმონის წიგნის გამოყენებით აღდგენის მოწოდების დამოწმება.
- ამოირჩიეთ მორმონის წიგნის, რომელიმე დიდი მისიონერი. განიხილეთ ამ მისიონერის თვისებები და სხვა მისიონერებთან ერთად შეადგინეთ ამ თვისებების სია. სთხოვეთ ყოველ მისიონერს, რომ დაისახოს მიზნად რომ განავითაროს თავის თავში ამ თვისებებიდან რომელიმე. გაიმეორეთ ეს ღონისძიება რეგულარულად მორმონის წიგნის სხვა მისიონერების გამოყენებით.
- სთხოვეთ მისიონერებს მოგიყვნენ თუ როგორ შესძლეს მორმონის წიგნით მოწაფეების-თვის დახმარება მათი მოქცევის პროცესში.
- სთხოვეთ მისიონერებმა გაგიზიარონ თავიანთი საუკეთესო პასუხი მორმონის წიგნიდან, ადამიანის სულის შეკითხვაზე.

## მისიის პრეზიდენტი

- ასწავლეთ მისიონერებს თუ როგორ გამოიყენონ მორმონის წიგნი, რათა დაადასტურონ აღდგენის მოწოდების ჭეშმარიტება.
- წაიკითხეთ 1 ნეფი 1 მისიონერებთან ერთად და შეადარეთ იმასთან, რაც გადახდა იოსებ სმითს.
- დაურიგეთ მისიონერებს რბილი ყდით დაბეჭდილი მორმონის წიგნის ახალი ეგზემპლარები. სთხოვეთ მათ სხვადასხვა ფერებში გამოჰყონ შემდეგი ინფორმაცია:
  - ყველა ადგილი, სადაც მოხსენიებულია იესო ქრისტე (ნებისმიერი მისი სახელით, ან მასთა დაკავშირებული ნაცვალსახელით).
  - მისი სიტყვები (პირადად მის მიერ წარმოთქმული ან წინასწარმეტყველების მიერ ნახსენები როგორც, „ასე ამბობს უფალი“).
  - მისი თვისებები.
  - მორმონის წიგნში მოყვანილი მოძღვრებები და პრინციპები.

  სთხოვეთ მისიონერებს ყოველი გვერდის ქვევით ჩამოთვალონ მოხსენებული თემების საერთო რაოდენობა. ამ დავალების დაწყებიდან ორი სამი თვის შემდეგ, გასაუბრებების ან საოლქო შეკრებების დროს, სთხოვეთ მისიონერებს, რომ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ახალი ნასწავლი. თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ მთელ მისიას, რომ გამოჰყონ ნაწყვეტები წიგნში, ისეთ თემებზე, როგორიცა არის იესო ქრისტეში რწმენაზე, მონანიებაზე, ნათლობაზე და სულიწმინდის ძღვენზე, ან სახარების რომელიმე ძირითად საფუძველზე.
- გასაუბრებების დროს, მისიონერებს სთხოვეთ, რომ გაგიზიარონ მორმონის წიგნიდან ნაწყვეტები, რომლებმაც შეცვალეს მათი ცხოვრება.
- დაეხმარეთ მისიონერებს, რომ გაიგონ, თუ როგორ ასწავლის მორმონის წიგნი მოძღვრებებს მისიონერთა გაკვეთილებიდან. მაგალითად, გამოსყიდვის თემის შესწავლი-სას, სთხოვეთ მისიონერებს, ერთ სვეტში ჩამოწერონ, მორმონის წიგნში მოცემული გამოს-ყიდვის ყველა მთავარი მომენტი, ყველა მითითებების ჩათვლით. შემდეგ მეორე სვეტში, პირველი სვეტის გვერდიგვერდ, ჩამოწერონ იგივე ელემენტები, ოღონდ ამოწერილი ბიბლიიდან. მისიონერებმა დატოვონ ცარიელი ის უჯრები, რომლებიც არ არის ნახსენები ბიბლიაში. მისიონერებისათვის გახდება ნათელი თუ რატომ არის მორმონის წიგნი ჩვენი მოძღვრების სომის ქვა. იგივე ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს სხვა მოძღვრებების შესწა-ვლის დროს, რომლებსაც ასწავლიან მისიონერები.
- გაარკვიეთ შეკითხვები სულის შესახებ, რომლებიც ახასიათებთ ადამიანებს თქვენს მისიი-აში. სთხოვეთ მისიონერებს, რომ იპოვონ პასუხები ამ შეკითხვებზე მორმონის წიგნში.

შენიშვნები



# როგორ უნდა განვავითაროთ ქრისტესნაირი თვისებები?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- როგორ შემიძლია განვავითარო ჩემში თვისებები, რომლებიც დამეხმარებიან, რომ გავხდე იესო ქრისტეს სახარების უფრო ძლიერი და ეფექტური მსახური?
- როგორ დამეხმარება, ქრისტესნაირი თვისებების განვითარება, ჩემი, როგორც მისიონერის მიზნის მიღწევაში?
- ამ თვისებებიდან ყველაზე მეტად, რომელი მჭირდება, რომ ჩემში განვავითარო?

თავისი ამქვეყნიური მისიის დასაწყისში, იესო ქრისტემ გაიარა გალილეის ზღვის სანაპიროზე და მოუწოდა ორ მებადურს, პეტრეს და ანდრიას. „გამომყევით მე და ადამიანთა მებადურებად გაგხდით“ (მათე 4:19; იხილეთ ასევე მარკოზი 1:17). უფალმა ასევე მოგიწოდათ აკეთოთ მისი საქმე და რომ მიჰყვეთ მას. ქრისტეს მიმდევრობა ნიშნავს მისი მაგალითის გამეორებას და მისნაირად გახდომას.

ზოგიერთი თავები, *იქადაგე ჩემი სახარებაში* თქვენ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე თუ რა უნდა გააკეთოთ თქვენ, როგორც მისიონერმა – როგორ უნდა იმეცადინოთ, როგორ უნდა ასწავლოთ, როგორ უნდა გამოიყენოთ დრო უფრო ჭკვიანურად. იმის გარდა, რასაც აკეთებთ ასევე მნიშვნელოვანია თუ რას წარმოადგენთ თქვენ თვითონ.

აღდგენილი სახარება, საშუალებას გამლევთ გახდეთ, როგორც მამაზეციერი და იესო ქრისტე. მხსნელმა დაგვისახა გზა. მან გვაჩვენა სრულყოფილი მაგალითი და მოგვიწოდა, რომ გავხდეთ ისეთები, როგორიც არის თვითონ (იხილეთ 3 ნეფი 27:27). ისწავლეთ მისგან და ეცადეთ აითვისოთ ცხოვრებაში მისი თვისებები, მისი გამოსყიდვის მალით, თქვენ შეგიმლიათ მიაღწიოთ ამ მიზანს და სხვებსაც წინ გაუმღვეთ ამისათვის.

წმინდა წერილები აღწერენ ქრისტესნაირ თვისებებს, რომლებიც თქვენთვის აუცილებელია, რათა განავითაროთ საკუთარ თავში, როგორც მისიონერული სამსახურისათვის ასევე თქვენი მთელი ცხოვრებისათვისაც. შეისწავლეთ წმინდა წერილების ნაწყვეტები, რომლებიც მოცემულია ამ თავში და მეცადინეობისას სხვა ნაწყვეტებშიც მოიძიეთ ქრისტესნაირი თვისებები.

შენიშვნები

ქრისტესნაირი თვისებები არიან ღმერთისაგან ნაბოძები მღვენები. ისინი მოგეცემათ მაშინ, როდესაც სწორად გამოიყენებთ თქვენს თავისუფალ არჩევანს. სთხოვეთ თქვენს მამაზეციერს, რათა გაკურთხოთ ამ თვისებებით. თქვენ ვერ შესძლებთ მისი დახმარების გარეშე ამ თვისებების განვითარებას. ღმერთის მადლის წყურვილით, ჩასწვდით თქვენს სისუსტეებს და მზად იყავით გულმოდგინედ თქვენ თავზე მუშაობისათვის.

## ძმინდა ძერილების შესძავლა

**რას ამბობენ ქვევიღ მოყვანილი ძმინდა ძერილები, იესო ქრისტეს მაგალიღ ის მიყოლაზე?**

3 ნეფი 12:48 იოანე 13:1–16 1 პეტრე 2:21
3 ნეფი 27:21, 27

**როგორი ურღ იერღ კავშირი არის სახარების პირველ საფუძვლებს და ქრისტესნაირ ღ ვისებებს შორის?**

მორონი 8:25–26

## ამ თავის შესწავლისათვის საჭირო იდეები

არსებობს მრავალნაირი მიდგომა ამ თავის შესასწავლად. შეეცადეთ გამოიყენოთ ქვევით მოყვანილი მეთოდებიდან ერთერთი:

- როდესაც შეავსებთ „ტესტს თვისებების შესახებ“, რომელიც მოცემულია ამ თავის ბოლოში, გაარკვიეთ თუ რომელი თვისება გჭირდებათ ან გსურთ რომ განავითაროთ. შეისწავლეთ პარაგრაფი რომელიც ემღვნება ამ თვისებას და დაისახეთ მიზნები მის გასანვითარებლად.
- გადაიკითხეთ ეს თავი, წმინდა წერილების კითხვის გარეშე და გადაწყვიტეთ თუ რომელი თვისება გინდათ, რომ შეისწავლოთ უფრო ღრმად. შემდეგ შეისწავლეთ მნიშვნელოვანი ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ამ თვისებასთან. მოიძიეთ წმინდა წერილებში სხვა ნაწყვეტები რომლებიც მოგვითხრობენ ამ თვისებაზე. ჩაიწერეთ თქვენს სამეცადინო რვეულში მოსაზრებები თუ როგორ შესძლებთ განავითაროთ ეს თვისება თქვენში.
- გამოარჩიეთ თვისება, რომელიც გსურთ, რომ შეისწავლოთ. მიჰყევით მითითებებს რომლებიც მოცემულია სათაურით „ქრისტესნაირი თვისების განვითარება“ რომელიც მოცემულია ამ თავის ბოლოში.



ასლის გადაღება არ შეიძლება.

## იესო ქრისტეში რწმენა

როდესაც გაქვთ რწმენა ქრისტეში, თქვენ გწამთ, რომ ის არის ღმერთის მხოლოდშობილი ძე, სისხლით და ხორცით. თქვენ მას იღებთ, როგორც მხსნელს და გამომსყიდველს და მიყვებით მის სწავლებებს. თქვენ გწამთ, რომ მიიღებთ თქვენი ცოდვების შენდობას მისი გამოსყიდვის მეშვეობით. მასში რწმენა ნიშნავს, რომ ენდობით მას და დარწმუნებული ხართ მის სიყვარულში თქვენს მიმართ.

რწმენას მივყევართ ქმედებისაკენ, როგორიც არის მონანიება, მორჩილება და ერთგული მსახურობა. როდესაც გაქვთ იესო ქრისტეში რწმენა, თქვენ იმდენად ენდობით უფალს, რომ მზად ხართ დაიცვათ მისი მცნებები, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ბოლომდე არ

შენიშვნები

გესმით მათი მნიშვნელობა. თქვენ ასრულებთ იმას, რასაც უფალი მოელის თქვენგან. მოგაქვთ სიკეთე თქვენს და სხვა ადამიანების ცხოვრებაში. ღვთის ნებით თქვენ შეგწევთ მალა მოახდინოთ სასწაულები. თქვენი რწმენა გამოვლინდება ბეჯითი შრომით.

რწმენა ეს არის მალაუფლების კანონი. ღმერთი აღასრულებს თავის საქმეებს მალით, მაგრამ ღმერთის მალა გამოვლინდება, როგორც რწმენის საპასუხო ქმედება (იხილეთ მორონი 10:7). ის აღასრულებს თავის საქმეებს მისი შვილების რწმენის მიხედვით. ეჭვი და შიში არის რწმენის საწინააღმდეგო თვისებები.

თქვენი რწმენა გაიზრდება ბეჯითი მეცადინეობით, ლოცვით, ერთგული მსახურობით, ასევე სულიწმინდის კარნახისადმი და მცნებებისადმი მორჩილებით.

თქვენი რწმენა იესო ქრისტეში მტკიცდება მაშინ როდესაც უფრო უკეთესად გესმით მისი და მისი სწავლებების. წმინდა წრილების კვლევის და შესწავლის დროს, თქვენ ჩასწვდებით მის გზას, მის სიყვარულს ყველა ადამიანების მიმართ და მის მცნებებს.

რწმენა გულისხმობს სულიწმინდის მისიისადმი და მალისადმი ნდობას. რწმენის მეშვეობით იღებთ თქვენი ლოცვების პასუხებს და პირად შთაგონებას, რომელიც დაგეხმარებათ უფალის საქმის კეთებაში.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**რა არის რძმენა?**

| | | |
|---|---|---|
| ალმა 32:21 | ებრაელებს 11:1; იხილეთ შენიშვნა უ.დ.წ.–ს მიერ გამოცემული ინგლისურ ბიბლიაში | *True to the Faith,* „Faith," 54–56 |
| ეთერი 12:6 | | Guide to the Scriptures, „Faith" |

**როგორ მიიღებღ რძმენას და რისი გაკეღება შეგიძლიაღ რძმენის მეშვეობიღ?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 25:29 | ალმა 32 | მორონი 7:33 |
| 2 ნეფი 26:13 | ჰელამანი 15:7–8 | რომაელთა 10:17 |
| მოსია 4:6–12 | ეთერი 12:7–22 | ებრაელთა 11 |

**როგორი კურღხევები მიიღება რძმენის მეშვეობიღ?**

| | |
|---|---|
| მოსია 3:17 | ჰელამანი 5:9–12 |
| მოსია 5:1–15 | იოანე 14:6 |

## იმედი

იმედი არის მტკიცე რწმენა, რომ უფალი შეასრულებს მის დაპირებებს თქვენს მიმართ. ეს გამოვლინდება ნდობით, ოპტიმიზმით, ენთუზიაზმით და მომთმენი დაჟინებით. ეს არის რწმენა და მოლოდინი, იმის რაც უნდა მოხდეს. თუ თქვენ გაქვთ იმედი, მაშინ უფრო ადვილად გაივლით ყველა განსაცდელს და უბედურებას, ვინაიდან უფრო მეტად დარწმუნებული იქნებით იმაში, რომ ყველაფერი ხელს უწყობს თქვენ კეთილდღეობას. იმედი გვეხმარება ჩვენ გადავლახოთ სევდა. წმინდა წერილებში იმედი იესო ქრისტეში აღწერილია, როგორც იმის რწმენა, რომ თქვენ მიიღებთ მარადიულ სიცოცხლეს ცელესტიალურ სასუფეველში.

> *„იმედით დალოცვილებო, მოდით როგორც ქრისტეს მოწაფეები დავეხმაროთ იმათ, ვინც რაიმე მიზეზის გამო გადაუხვიეს სახარების სასოებას (კოლოსელთა 1:23). მოდით დავეხმაროთ მათ ვინც უიმედოდ ჩამოუშვეს ხელები."*
>
> – ელდერი ნილ ა. მაქსველი
> „BRIGHTNESS OF HOPE," *ENSIGN,* ნოემბერი 1994, 36

პრეზიდენტი ჯეიმს ე. ფაუსტი ასწავლიდა:

შენიშვნები

„იმედი – ეს არის ჩვენი სულის ღუზა. . .

„იმედი – ეს არის რწმენა ღმერთის დანაპირებებში, იმის რწმენა, რომ თუ ჩვენ ეხლა ვიმოქმედებთ, მომავალში აუცილებლად მივიღებთ სასურველ კურთხევებს. . .

„ჩვენი იმედის უცვლელი წყარო არის ის, რომ ჩვენ ვართ ღმერთის შვილები და მის მემ, უფალმა იესო ქრისტემ გვიხსნა სიკვდილისაგან“ („Hope, an Anchor of the Soul,“ *Ensign*, ნოემბერი 1999, 59–60).

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რა არის იმედი და რისი იმედი გვაქვს?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 31:20 | მორონი 7:40–48 | რომაელთა 8:24–25 |
| ალმა 58:10–11 | მოძღვრება და აღთქმები 59:23 | ებრაელთა 6:10–20 |
| ეთერი 12:4, 32 | მოძღვრება და აღთქმები 138:14 | Guide to the Scriptures, „Hope“ |

## მოწყალება და სიყვარული



© 1989 Conceptions Unlimited Investments, Inc.

ერთხელ ერთ ადამიანმა ჰკითხა იესოს: „მოძღვარო, რომელი მცნებაა დიდი რჯულში?“ იესომ მიუგო: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და დიდი მცნება. და მეორე ამისი მსგავსი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (მათე 22:36-39).

მოწყალება – ეს არის ქრისტეს წმინდა სიყვარული (იხილეთ მორონი 7:47). მოწყალება მოიცავს ღმერთის მარადიულ სიყვარულს თავისი შვილების მიმართ. ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაღრმავოთ საკუთარ თავში ეს სიყვარული. თუ თქვენ ხართ მოწყალებით სავსე, მაშინ თქვენ ემორჩილებით ღმერთის მცნებებს და აკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ იმისათვის რომ ემსახუროთ სხვა ადამიანებს და დაეხმაროთ მათ აღდგენილი სახარების მიღებაში.

მოწყალება – ეს არის ღმერთის მღვენი. წინასწარმეტყველმა მორმონმა თქვა, რომ უნდა ვილოცოთ ჩვენი მამისათვის მთელი ჩვენი გულის ძალით იმისათვის რათა ავივსოთ ამ სიყვარულით (იხილეთ მორონი 7:48). როდესაც მიყვებით ამ რჩევას და იქნებით მოწადინებული აკეთოთ სამართლიანი საქმეები, თქვენ შეამჩნევთ, როგორ მლიერდება თქვენი სიყვარული ყველა ადამიანის მიმართ, განსაკუთრებით კი მათ მიმართ, ვისთან ერთად თქვენ მსახურობთ. თქვენ იგრძნობთ გულწრფელ დაინტერესებას იმ ხალხის მარადიულ კეთილდღეობაში და ბედნიერებაში. თქვენ ყოველთვის დაინახავთ მათში ღმერთის შვილებს და მათ პოტენციალს, რომ თვითეულ მათგანს შეუძლია გახდეს ჩვენი ზეციერი მამის მსგავსი. თქვენ იშრომებთ მათი კეთილდღეობისათვის. თქვენ აარიდებთ თავს ისეთ ნეგატიურ გრძნობებს, როგორიცა არის სიბრაზე, შური, გულისთქმა ან სიხარბე. თქვენ არ განსჯით სხვებს, არ გააკრიტიკებთ და არ იტყვით მათზე ცუდს. თქვენ შეეცდებით გაუგოთ მათ და გაიგოთ მათი შეხედულება. იქნებით მათთან მომთმენი და ეცდებით დაეხმაროთ განსაცდელის და უიმედობის ჟამს. როგორც რწმენა, მოწყალება მოითხოვს ქმედებებს. თქვენ შესძლებთ განავითაროთ საკუთარ თავში ეს თვისება, როდესაც შეეცდებით მონახოთ შესამლებლობები იმისათვის რომ ემსახუროთ სხვა ადამიანებს და მთელი სულით და გულით იშრომებთ ამ სამსახურში.

შენიშვნები

### წმინდა წერილების შესწავლა

**რა არის მოწყალება?**

მორონი 7:45–48 | 1 კორინთელთა 13 | Guide to the Scriptures, „Charity“

**როგორ გამოხატავდა მოწყალებას იესო ქრისტე?**

1 ნეფი 19:9 | ეთერი 12:33–34 | ლუკა 7:12–15
ალმა 7:11–13

**რას გეუბნებიან ეს მუხლები მოწყალების შესახებ?**

2 ნეფი 26:30 | ალმა 7:24 | 1 ტიმოთე 4:12
მოსია 2:17 | ეთერი 12:28 | 1 პეტრე 4:8; იხილეთ შენიშვნა უ.დ.წ.–ს მიერ გამოცემული ინგლისურ ბიბლიაში
მოსია 28:3 | მოძღვრება და აღთქმები 88:125

## სათნოება

სათნოება იღებს საფუძველს თქვენს უღრმეს ფიქრებში და სურვილებში. ეს არის ფიქრების და ქცევის წესი, რომელიც ეფუძვნება მაღალ მორალურ სტანდარტებს. ვინაიდან სულიწმინდა არ ჩერდება უწმინდურ კარავში, სათნოება არის აუცილებელი პირობა, იმისათვის რომ მიიღოთ სულის წინამძღვარობა. თქვენი ფიქრები და ქცევა, როდესაც ხართ თქვენ თავთან მარტოდ და გჯერათ, რომ არავინ გიყურებთ, ეს არის ის ჭეშმარიტი საზომი, რომლითაც განისაზღვრება თქვენი სათნოება.

სათნო ადამიანები არიან სულიერად სრულიად წმინდა. მათი ყურადღება გამახვილებულია უბიწო ამაღლებულ ფიქრებზე და თავიანთი გონებიდან სდევნიან უღირს აზრებს, რომლებსაც შეუძლიათ უბიძგონ უღირსი საქციელისაკენ. ისინი ემორჩილებიან ღმერთის მცნებებს და მიჰყვებიან ეკლესიის წინამძღვარების რჩევას. ისინი ლოცულობენ, რათა მიეცეთ ძალა, რომ გაუძლონ ცდუნებას და გააკეთონ, რაც არის სწორი. ისინი დაუყოვნებლივ ინანიებენ ნებისმიერ ჩადენილ ცოდვას ან არასწორ ქმედებას. ისინი ცხოვრობენ თავიანთი ტამარში შესასვლელი რეკომენდაციის ღირსეულად.

თქვენი გონება არის როგორც თეატრის სცენა, მაგრამ თქვენი გონების სცენაზე ერთდროულად შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მსახიობი. თუ თქვენ სცენას დატოვებთ ცარიელს, მაშინ სცენაზე ბნელი და ცოდვილი ფიქრები გამოვლენ და შეეცდებიან თქვენს ცდუნებას. მაგრამ ამ ფიქრებს არ აქვთ მალა თუ თქვენი გონების სცენა დაკავებულია ჯანსაღი ფიქრებით, მაგალითად ჰიმნით ან მუხლით წმინდა წერილებიდან, რომელიც თქვენ იცით ზეპირად, რომელიც შეიძლება გაგახსენდეთ ცდუნების ჟამს. თქვენი გონების სცენის მართვით, თქვენ შეგიძლიათ წარმატებულად წინააღმდეგობა გაუწიოთ ცოდვის ჩადენის ცდუნებისაკენ წაქეზებას. თქვენ შესმლებთ გახდეთ წმინდა და სათნო.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რას ნიშნავს სათნო ადამიანად ყოფნა?**

მოძღვრება და აღთქმები 4:6 | მოძღვრება და აღთქმები 46:33 | 2 პეტრე 1:3–8
მოძღვრება და აღთქმები 25:2 | მოძღვრება და აღთქმები 121:45–46 | Guide to the Scriptures, „Virtue“
მოძღვრება და აღთქმები 38:24 | რწმენის სიმბოლოები 1:13

შენიშვნები

## ცოდნა

უფალმა გვიბრძანა, რომ ვემიოთ ცოდნა, როგორც სწავლით ასევე რწმენით (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 88:118). მან ასევე გაგვაფრთხილა, რომ შეუმლებელია უვიცი ადამიანი იყოს გადარჩენილი (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 131:6). ემიეთ ცოდნა, განსაკუთრებით სულიერი ცოდნა. შეისწავლეთ წმინდა წერილები ყოველ დღე, და შეისწავლეთ ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვები. მეცადინეობით და ლოცვით ემიეთ პასუხები თქვენი სპეციფიკური შეკითხვებისათვის, წინააღმდეგობებისთვის და შესამლებლობებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ ნაწყვეტებს წმინდა წერილებიდან, რომლებიც შეგიმლიათ გამოიყენოთ სწავლების პროცესში და აღდგენილ სახარებაზე დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის დროს.

იფიქრეთ იმაზე თუ როგორ გამოიყენებთ სახარების პრინციპებს თქვენს ცხოვრებაში. ბეჯითი მეცადინეობით, ლოცვით და ჭეშმარიტი მოწადინებით, სულიწმინდა გაგინათებთ გონებას, გასწავლით ჭეშმარიტებას და დაგეხმარებათ წმინდა წერილების და ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვების აზრის გაგებაში. თქვენ ასევე შეგიმლიათ მიიღოთ ცოდნა სხვა ადამიანების, განსაკუთრებით ეკლესიის ხელმძღვანელების მოსმენით და ყურებით. როგორც ნეფი, თქვენც შეგიმლიათ სთქვათ: „ჩემი სული წმინდა წერილების მოყვარულია და ჩემი გული ფიქრობს მათზე. . . აჰა, სული ჩემი ხარობს უფალის საქმეებით და ჩემი გული მუდამ ფიქრობს იმაზე თუ რა ვნახე და მოვისმინე“ (2 ნეფი 4:15–16).

### წმინდა წერილების შესწავლა

**როგორ გვეხმარება ცოდნა უფალის საქმის კეთებაში?**

ალმა 17:2–3
მოძღვრება და აღთქმები 88:77–80

**როგორ შეგიძლიათ მიიღოთ ცოდნა?**

2 ნეფი 32:1–5
მორონი 10:5
მოძღვრება და აღთქმები 42:61
მოძღვრება და აღთქმები 76:5–10
მოძღვრება და აღთქმები 88:118
Guide to the Scriptures, „Knowledge“

## მოთმინება

მოთმინება ეს არის ყოველდღიური დაყოვნებების, უსიამოვნებების, წინააღმდეგობების და ტანჯვისათვის გამლების უნარი, ყოველგვარი გაბრაზების გულგატეხილობის და შფოთვის გარეშე. ეს არის ღმერთის ნების შესრულება მისი მიერ განსაზღვრული დროის მიხედვით. როდესაც ხართ მომთმენი, თქვენ მტკიცედ უმლებთ სირთულეებს და შეგიმლიათ პირისპირ აღუდგეთ ნებისმიერ უბედურებას წყნარად და საიმედოდ. მოთმინება დაკავშირებულია იმედთან და რწმენასთან. უნდა ისწავლოთ დალოდება, ღმერთის დაპირებული კურთხევების აღსრულებისათვის.

თქვენ გჭირდებათ მოთმინება ყოველდღიურ ცხოვრებაში და

> *„ცხოვრება სირთულეებით არის სავსე, ზოგი უმნიშვნელო და ზოგი კი საკმაოდ სერიოზული. თითქოს ყოველი და სათითაო ადამიანისათვის წინ მომზადებულია უთვალავი წინააღმდეგობები. ჩვენი პრობლემაა, როდესაც გვინდა ვიპოვოთ ამ წინააღმდეგობებისთვის მყისიერი გადაწყვეტილება და გვავიწყდება, რომ ხშირად უნდა გამოვიჩინოთ საჭირო ღვთაებრივი სათნოება, რომელიც არის მოთმინება.“*
>
> – პრეზიდენტი თომას ს. მონსონი
> „PATIENCE—A HEAVENLY VIRTUE,“ *ENSIGN,* ნოემბერი 1995, 59

შენიშვნები

ადამიანებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით თქვენს მმადნაფიც მისიონერთან. უნდა იყოთ ყველა ადამიანების მიმართ მომთმენი, თქვენი საკუთარი თავის ჩათვლით, როდესაც მუშაობთ საკუთარი სისუსტეების და შეცდომების გამოსწორებაზე.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

- შეისწავლეთ მოსია 28:1–9. რა იყო მოსიას შვილების სურვილი?
- რა ურჩია უფალმა ამ მისიონერებს? (იხილეთ ალმა 17:10–11 და 26:27.)
- რა იყო მათი მოთმინების და სიბეჯითის შედეგი? (იხილეთ ალმა 26.)
- ჩაიწერეთ პასუხები თქვენს სამეცადინო რვეულში.

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რატომ არის მოთმინება მნიშვნელოვანი? როგორ არის მოთმინება რწმენასთან დაკავშირებული?**

| | | |
|---|---|---|
| მოსია 23:21 | ალმა 34:40–41 | 2 კორინთელთა 6:1–10 |
| მოსია 24:9–16 | მოძღვრება და აღთქმები 101:38 | იაკობი 5:10–11 |
| ალმა 31:31 | რომაელთა 5:3–5 | ფსალმუნები 46:10 |
| ალმა 32:41–43 | რომაელთა 8:24–25 | Guide to the Scriptures, „Patience“ |

## თავმდაბლობა



თავმდაბლობა არის უფალის ნებისადმი მორჩილების მზადყოფნა და პატივისცემა უფალისადმი იმ ყველაფრისათვის, რაც აღსრულდა თქვენს ცხოვრებაში. თავმდაბლობა გულისხმობს ასევე მადლიერებას კურთხევებისათვის და იმის აღიარებას, რომ ჩვენ მუდმივად გვჭირდება მისი ღვთაებრივი დახმარება. თავმდაბლობა არ ნიშნავს სისუსტეს, ეს არის სულიერი მალის მაჩვენებელი. როდესაც თქვენ მორჩილად ენდობით მას, აცნობიერებთ მის მალას და მოწყალებას, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მისი მცნებები არის თქვენს სასიკეთოდ. თქვენ ხართ დარწმუნებული, რომ შესმლებთ ყველაფრის შესრულებას, რასაც უფალი მოგთხოვთ თუ მას მიენდობით. თქვენ ასევე მზად ხართ ენდოთ მის ამორჩეულ მსახურებს და მიჰყვეთ მათ რჩევებს. თავმდაბლობა დაგეხმარებათ გულმოდგინე შრომაში, მორჩილებაში, რომ იყოთ დაუღალავი და უანგარო მსახური.

თავმდაბლობის საწინააღმდეგო არის ამპარტავნობა, რაც იგმობა წმინდა წერილებში. ამპარტავნობა ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო მეტად ვენდობით ჩვენ თავს ვიდრე ღმერთს და მის მსახურებს. ეს ასევე ნიშნავს ამქვეყნიურის უფრო მაღლა დაყენებას ვიდრე ღვთაებრივის. ამპარტავანი ადამიანები იმის მაგივრად, რომ ადიდონ ღმერთი, ადიდებენ თავიანთ თავს. სიამაყე ისწრაფის მეტოქეობისაკენ, ამპარტავანი ადამიანები ისწრაფიან მეტის მოხვეჭისაკენ და მიაჩნიათ, რომ არიან სხვა ადამიანებზე უკეთესნი. ამპარტავნობას მოაქვს სიბრაზე და სიმულვილი და არის დიდი შებრკოლების ლოდი.

შენიშვნები

## წმინდა წერილების შესწავლა

**რას ნიშნავს დავმდაბლობა?**

2 ნეფი 9:28–29 | ალმა 5:26–29 | მათე 26:39
მოსია 4:11–12 | ალმა 26:12 | Guide to the Scriptures, „Humble, Humility“

**როგორი კურთხევებს მიიღებთ თუ იქნებით დავმდაბალი?**

ალმა 32:1–16 | მოძღვრება და აღთქმები 12:8 | მოძღვრება და აღთქმები 136:32–33
ეთერი 12:27 | მოძღვრება და აღთქმები 67:10 | მათე 23:12
მოძღვრება და აღთქმები 112:10

**როგორ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ თქვენს თავში ამპარტავნობა?**

1 ნეფი 15:7–11 | 2 ტიმოთე 3:1–4 | იგავები 15:10
1 ნეფი 16:1–3 | იგავები 13:10 | იგავები 28:25

## სიბეჯითე

სიბეჯითე, ეს არის, მტკიცე, თანმიმდევრული, სერიოზული და ენერგიული შრომა, ღმერთის საქმის შესასრულებლად. უფალი მოელის თქვენგან, რომ იშრომებთ ბეჯითად, შეუპოვრად, დიდი მალისხმევით და ზრუნვით. ბეჯითი მისიონერი მუშაობს ეფექტურად და ქმედითად. სიბეჯითე მისიონერულ სამსახურში არის უფალისადმი და მისი სამსახურისადმი სიყვარულის გამოვლენა. როდესაც ხართ ბეჯითი, თქვენ, თქვენს სამსახურში მოიპოვებთ სიხარულს და კმაყოფილებას.

აკეთეთ კეთილი საქმეები თქვენი თავისუფალი ნებით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 58:27). ნუ დაელოდებით თქვენი წინამძღვარების მითითებებს თუ რა უნდა გააკეთოთ. იშრომეთ იქამდე, სანამ არ გააკეთებთ ყველაფერს რაც თქვენ შეგიძლიათ, თუნდაც როდესაც იქნებით დაღლილი. ყურადღება გაამახვილეთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე და თავი აარიდეთ დროის უაზროდ ფლანგვას. ილოცეთ რჩევისათვის და მალისთვის. დაგეგმეთ თქვენი მუშაობა რეგულარულად და ეფექტურად. თავი აარიდეთ ყველაფერს რაც ხელს გიშლით ფიქრში და საქმეებში.

„მე ხშირად მითქვამს, რომ მისიონერული შრომა ის ერთერთი უდიდესი საიდუმლოა არის შრომა! თუ მისიონერი შრომობს, ის მიიღებს სულს, თუ ის მიიღებს სულს, ის შესაბამისად ასწავლის სულით და თუ ის ასწავლის სულით ის შეეხება ადამიანებს გულებს და იქნება ბედნიერი. მას არ ენატრება სახლი და არ დარდობს ოჯახზე, ვინაიდან მთელი მისი დრო, ნიჭი და ინტერესები მიზანმიმართულია მსახურებისაკენ. შრომა, შრომა, შრომა – არ არის არაფერი, რასაც შეუძლია შეცვალოს შრომა მისიონერულ სამსახურში.“

– პრეზიდენტი ეზრა ტაფტ ბენსონი
*THE TEACHINGS OF EZRA TAFT BENSON* (1988), 200

შენიშვნები

## წმინდა წერილების შესწავლა

**რას ნიშნავს სიბეჯითე?**

მორონი 9:6
მოძღვრება და აღთქმები 10:4
მოძღვრება და აღთქმები 107:99–100
Guide to the Scriptures, „Diligence“

**რატომ მოელის უფალი თქვენგან სიბეჯითეს?**

მოძღვრება და აღთქმები 75:2–5
მოძღვრება და აღთქმები 123:12–14
მოძღვრება და აღთქმები 127:4
მოძღვრება და აღთქმები 130:20–21

**როგორ კავშირშია სიბეჯითე თავისუფალ არჩევანთან?**

მოსია 4:26–27
მოძღვრება და აღთქმები 58:26–29

## მორჩილება

როგორც მისიონერმა თქვენ უნდა გულმოდგინედ დაიცვათ მცნებები, დაემორჩილოთ მისიის წესებს და შეასრულოთ თქვენი ხელმძღვანელების რჩევები. მორჩილება არის პირველი და უმთავრესი ღვთაებრივი კანონი. ეს არის თქვენი რწმენის გამოვლინება. თქვენ შეიძლება მოგეთხოვოთ ისეთი რამეების გაკეთება, რომლების აზრიც შეიძლება ბოლომდე არ გესმოდეთ. თქვენი მორჩილებით, თქვენ განმტკიცდებით რწმენაში, ცოდნით, სიბრძნით, დამოწმებით, უსაფრთხოებით და თავისუფლებით. ეცადეთ იყოთ უფალის, ასევე ცოცხალი წინასწარმეტყველის და თქვენი მისიის პრეზიდენტის მორჩილი.

> *„შინაგანი დისციპლინა ყალიბდება ყოველდღიური მორჩილებით, მორალური სისუფთავით და ჯანმრთელი ცხოვრების წესით, ეს არის მთავარი იარაღი, ჯავშანი, თქვენს გარშემო, რომელიც უსაფრთხოდ გიცავთ იმ ცდუნებებისაგან რომლებიც არის თქვენს გარშემო მოკვდავებაში.“*
>
> – რობერტ დ. ჰეილზი
> „CALLED TO SERVE,“ *ENSIGN,* მაისი 1991, 39

## წმინდა წერილების შესწავლა

**რას ნიშნავს მორჩილება?**

1 ნეფი 2:3
მოსია 5:8
მოსია 15:7
მოძღვრება და აღთქმები 82:8–10
მათე 7:24–27
იოანე 7:17
იოანე 14:15
Guide to the Scriptures, „Obedience, Obedient, Obey“

**რა შეგიძლიათ ისწავლოთ მორჩილებაზე ამ წმინდა წერილებიდან?**

1 ნეფი 3:7
მოძღვრება და აღთქმები 105:6
4 მეფეთა 5:1–14

**რატომ ასრულებდნენ ჰელამანის ჯარში ახალგაზრდა მებრძოლები ბრძანებებს ასეთი სიზუსტით? როგორი კურთხევები მიიღეს მათ?**

ალმა 56:45–48
ალმა 57:21–27

შენიშვნები

## ქრისტესნაირი თვისებების განვითარება

ქვევით მოყვანილი გეგმა დაგეხმარებათ, რომ შეისწავლოთ, იპოვოთ და განავითაროთ ის თვისებები, რომლებიც აღწერილია ამ თავში, ასევე სხვა თვისებები რომლებიც აღწერილია წმინდა წერილებში:

- გამოყავით ის თვისება, რომელიც გსურთ რომ განავითაროთ.
- ჩაიწერეთ ამ თვისების განსაზღვრა და განმარტება.
- ჩაიწერეთ შეკითხვები, რომლებზეც უნდა უპასუხოთ სწავლის დროს.
- ამოიწერეთ და გულდასმით შეისწავლეთ ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან სადაც აღწერილია ეს თვისება.
- ჩაიწერეთ თქვენი გრძნობები და შთაბეჭდილებები.
- დაისახეთ მიზნები და შეადგინეთ გეგმა, რომ ცხოვრებაში გამოიყენოთ ეს თვისება.
- ილოცეთ უფალისადმი, რათა დაგეხმაროთ ამ თვისების განვითარებაში.
- პერიოდულად შეაფასეთ თქვენში ამ თვისების განვითარების პროგრესი.

### ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

გამოყავით რომელიმე თვისება, რომელიც აღწერილია ამ თავში ან წმინდა წერილებში. იმოქმედეთ ზემოთ მოყვანილი გეგმის მიხედვით, რომ უკეთესად ჩასწვდეთ ამ თვისებას და იმუშაოთ იმის განვითარებაზე.

შეხედეთ მისიონერის პირად ნიშანს. რითი განსხვავდება თქვენი პირადი ნიშანი, რომელიმე კომპანიის თანამშრომლის პირადი ნიშნისაგან? ყურადღება მიაქციეთ, რომ მასზე მსხვილად სწერია თქვენი და მხსნელის სახელი. რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისათვის რომ თქვენ წარმოადგენდეთ მას როგორც ერთერთი მისი მოწაფე? რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ ადამიანები აღიქვავდნენ დადებითად თქვენს სახელს მხსნელის სახელთან ერთად? ჩაიწერეთ თქვენი აზრები სამეცადინო რვეულში.




### წმინდა წერილების შესწავლა

**როგორი თვისებები აღწერილია წმინდა წერილებში?**

მოსია 3:19
ალმა 7:23
მოძღვრება და აღთქმები 4
მოძღვრება და აღთქმები 121:41–45
რწმენის სიმბოლოები 1:13
ფილიპელთა 4:8
2 პეტრე 1:5–8

### გახსოვდეთ შემდეგი

- თქვენ უნდა *იყოთ* ქრისტესნაირი მისიონერი, და არა უბრალოდ *აკეთოთ,* რაც მისიონერს ევალება.
- ქრისტესნაირად ყოფნა ეს არის მთელი ცხოვრების ამოცანა.
- თქვენ მისდევთ ქრისტეს მაგალითს – ანვითარებთ მის თვისებებს – ერთი გადაწყვეტილებით და უნდა მოყვეს ქმედებით მეორეს შემდეგ.
- რათა გახდეთ ქრისტესნაირი, საჭიროა გქონდეთ ნამდვილი რწმენა, მონანიება, აღთქმების დაცვა, სულიწმინდის უფრო მეტად მიღება და ბოლომდე გაძლება.

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

შენიშვნები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- მოამზადეთ ხუთწუთიანი გამოსვლა ერთერთ თვისებაზე, რომელზეც აღწერილია ამ თავში.
- გამოიყენეთ Guide to the Scriptures, მოძებნეთ მასში მაგალითები სადაც მხსნელი იჩენდა იმ თვისებებს, რომლებიც აღწერილია ამ თავში. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში ყველაფერი, რასაც ისწავლით.
- პერიოდულად შეავსეთ ტესტი „ტესტი თვისებების შესახებ“ რომელიც ამ თავის ბოლოში არის მოცემული.
- გამოყავით თვისება ამ თავში. დაუსვით თქვენ თავს შეკითხვა:
  - როგორ შევსძლებ ამ თვისების განვითარებას?
  - რა უნდა შევცვალო ჩემს გულში, გონებაში და ქცევაში, რომ განვავითარო ეს თვისება?
  - როგორ დამეხმარება აღთქმების დაცვა ამ თვისების განვითარებაში?
  - როგორ დამეხმარება ამ თვისების განვითარება, რომ გავხდე ღირსეული სულიწმინდის მუდმივი თანადგომისათვის და იესო ქრისტეს სახარების უფრო ძლიერი მქადაგებელი?
- იპოვეთ იმ თვისებების მაგალითები, რომლებიც ახასიათებდა იესო ქრისტეს, წმინდა წერილებში აღწერილი კაცებსა და ქალებს შორის. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში თქვენი აზრები.

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- შეისწავლეთ მითითებები ლიტერატურიდან მისიონერთა ბიბლიოთეკაში ქრისტესნაირ თვისებებზე.
- ისაუბრეთ ურთიერთკავშირზე სხვადასხვა თვისებებს შორის, მაგალითად:
  - როგორ კავშირშია რწმენა და სიბეჯითე?
  - როგორ კავშირშია თავმდაბლობა და სიყვარული?
  - როგორ ამტკიცებს ცოდნა მოთმინებას?

### საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- საოლქო შეკრებიდან და სამხარეო კონფერენციიდან რამოდენიმე დღით ადრე, სთხოვეთ ყოველ მისიონერს, რომ ამოირჩიონ ამ თავში ან წმინდა წერილებში მოცემული ერთერთი თვისება და მოამზადონ მასზე ხუთ წუთიანი მოხსენება, სადაც ჩართული იქნება წმინდა წერილებიდან მოცემული ნაწყვეტები, რომლებიც მათ დაეხმარათ.

  კონფერენციის მსვლელობისას გამოყავით დრო, რათა რამოდენიმე მისიონერმა წაუკითხონ დამსწრეებს თავიანთი მოხსენება.

- დაყავით მისიონერები სამ ჯგუფად და მიეცით შემდეგი დავალება:

  *ჯ ფ ი 1:* წაიკითხეთ 1 ნეფი 17:7–16 და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:
  - როგორ გამოვლინდა ნეფის რწმენა?
  - რომელი ქრისტესნაირი თვისება გამოიჩინა ნეფიმ?
  - როგორ კურთხევებს დაპირდა უფალი ნეფის, თუ ის ერთგული იქნებოდა და დაიცავდა მცნებებს?
  - როგორ კავშირშია ეს ამბავი მისიონერულ სამსახურთან?

  *ჯ ფ ი 2:* წაიკითხეთ იაკობი 7:1–15 და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:
  - როგორ ჰქონდა იაკობს ასეთი მტკიცე რწმენა, რომ წინააღმდეგობა გაეწია შერემის შემოტევისათვის?

შენიშვნები

– როგორ გამოავლინა იაკობმა თავისი რწმენა შერემთან საუბრისას?

– როგორ მოიქცა იაკობი ქრისტესნაირად?

– რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ განვავითაროთ იაკობისნაირი რწმენა?

*ჯგუფი 3:* წაიკითხეთ იოსებ სმითი—ისტორია 1:8–18 და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

– როგორ გამოავლინა იოსებ სმითმა იესო ქრისტეში რწმენა?

– როგორი გამოცდა გაიარა მისმა რწმენამ?

– რა გააკეთა მან, რაც იყო ქრისტესნაირი?

– რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ მივყვეთ იოსებ სმითის მაგალითს?

როდესაც ჯგუფები დაამთავრებენ მუშაობას, შეკრიბეთ მისიონერები და სთხოვეთ გაგიზიარონ თუ რა განიხილეს.

- მოუყევით შემთხვევა თქვენი ცხოვრებიდან, როდესაც იყავით შთაგონებული ან კურთხეული სხვა ადამიანის რწმენით.

- დაავალეთ მისიონერებს შეავსონ ტესტი „ტესტი თვისებების შესახებ.“ მიეცით ყოველ მისიონერს ფურცელი, სადაც ჩაიწერს თავის პასუხებს.

  როდესაც მისიონერები დაასრულებენ ტესტზე მუშაობას, მოუწოდეთ მათ დაისახონ პირადი მიზნები.

  სთხოვეთ რამოდენიმე მისიონერს გაგიზიარონ თუ რა ისწავლეს და იგრძნეს მაშინ, როდესაც, ავსებდნენ ტესტს.

  გაუზიარეთ თქვენი დამოწმება იმის შესახებ თუ როგორი მნიშვნელოვანია, რომ განვავითაროთ ჩვენში ქრისტესნაირი თვისებები.

## მისიის პრეზიდენტი

- სთხოვეთ მისიონერებს, რომ წაიკითხონ ახალი აღთქმის ოთხი სახარებიდან ერთერთი ან 3 ნეფი 11–28. სთხოვეთ მათ ხაზი გაუსვან მხსნელის იმ ქმედებებს, რომლებიც მათაც შეუძლიათ გააკეთონ.

- მისიონერებს ასწავლეთ მიზნების და გეგმების დასახვა, რომ ისწავლონ ბეჯითად შრომა. აჩვენეთ თუ როგორ გამოიხატება ადამიანებისადმი სიყვარული მათ მიმართ ბეჯითად მსახურობით.

- გასაუბრებების დროს, სთხოვეთ მისიონერებს გაგიზიარონ ერთერთ თვისებაზე, რომელსაც ისინი ცდილობენ, რომ განავითარონ.

- სამხარეო კონფერენციების დროს, სთხოვეთ მისიონერებს მოგიყვნენ ქრისტესნაირ თვისებებზე, რომლებსაც მათ ძმადნაფიც მისიონერებში აფასებენ ყველაზე მეტად.

# ტესტი თვისებების შესახებ

ყურადღებით წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი ყველა გამოთქმა. გადაწყვიტეთ მართლა გახასიათებთ თუ არა ის თქვენ და ამოირჩიეთ ყველაზე უფრო შესაფერისი პასუხი, მოცემული პასუხების ვარიანტებიდან. ჩაიწერეთ თქვენი პასუხები თქვენს სამეცადინო რვეულში. სულიერი ზრდა ეს არის თანდათანობითი პროცესი და არავინ არ არის სრულყოფილი, ასე რომ უნდა გახსოვდეთ, რომ ზოგ საკითხებში იქნებით მეტად წარმატებული ზოგში კიდევ ნაკლებად.

პასუხების ვარიანტები 1 = არასდროს 2 = ხანდახან 3 = ხშირად 4 = თითქმის ყოველთვის 5 = ყოველთვის

## რწმენა

_____ 1. მე მწამს ქრისტესი და ვიღებ მას, როგორც ჩემ მხსნელს. (2 ნეფი 25:29)

_____ 2. მე დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს ვუყვარვარ. (1 ნეფი 11:17)

_____ 3. მე იმდენად ვენდობი მხსნელს, რომ შემიძლია მივიღო მისი ნება და გავაკეთო ყველაფერი, რასაც ის ჩემგან მოელის. (1 ნეფი 3:7)

_____ 4. მე მტკიცედ მწამს, რომ იესო ქრისტეს გამოსყიდვით მე შემიძლია მივიღო ყველა ჩემი ცოდვების შენდობა. (ენოსი 1:5–8)

_____ 5. მე მაქვს ქრისტეში საკმარისი რწმენა, რომ მივიღო პასუხები ჩემს ლოცვებში. (მოსია 27:14)

_____ 6. მე ვფიქრობ მხსნელზე დღის განმავლობაში და მახსოვს თუ რა გააკეთა მან ჩემთვის. (მოძღვრება და აღთქმები 20:77, 79)

_____ 7. მე მაქვს საკმარისი რწმენა იმისათვის რომ ვაკეთო კარგი საქმეები ჩემი ან სხვა ადამიანების ცხოვრებაში. (ეთერი 12:12)

_____ 8. სულიწმინდის ძალით მე ვიცი, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება. (მორონი 10:3–5)

_____ 9. მე მაქვს საკმარისი რწმენა ქრისტეში, რომ გავაკეთო ყველაფერი რასაც ის მოელის ჩემგან, თუ საჭირო გახდა – სასწაულებიც კი. (მორონი 7:33)

## იმედი

_____ 10. ჩემი ერთერთი ყველაზე დიდი ოცნებაა, რომ მივიღო მარადიული სიცოცხლე ღმერთის ცელესტიალურ სასუფეველში. (მორონი 7:41)

_____ 11. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მისია იქნება ბედნიერი და წარმატებული. (მოძღვრება და აღთქმები 31:3–5)

_____ 12. მე ვარ მშვიდად და ოპტიმისტურად განწყობილი მომავლისადმი. (მოძღვრება და აღთქმები 59:23)

_____ 13. მე მტკიცედ მწამს, რომ დადგება დღე როდესაც ვიქნები ღმერთთან და გავხდები მისნაირი. (ეთერი 12:4)

## მოწყალება და სიყვარული

_____ 14. მე გულწრფელად მსურს მარადიული კეთილდღეობა და ბედნიერება ადამიანებისათვის. (მოსია 28:3)

_____ 15. ჩემს ლოცვებში მე შევსთხოვ მოწყალებას, ანუ ქრისტეს წმინდა სიყვარულს. (მორონი 7:47–48)

_____ 16. ვცდილობ ჩავწვდე სხვა ადამიანების გრძნობებს და გავიგო მათი შეხედულებები. (იუდა 1:22)

_____ 17. მე ვპატიობ იმ ადამიანებს, რომლებმაც მაწყენინეს და ცუდად მომექცნენ. (ეფესელთა 4:32)

_____ 18. მე ვცდილობ დავეხმარო ადამიანებს მათი გაჭირვების და მწუხარების ჟამს. (მოსია 18:9)

_____ 19. როდესაც ეს შესაფერისია, მე ვეუბნები სხვებს, რომ ისინი მიყვარს და ვზრუნავ მათზე. (ლუკა 7:12–15)

_____ 20. მე ვეძებ შესაძლებლობებს, რათა დავეხმარო ადამიანებს. (მოსია 2:17)

_____ 21. მე კეთილად მოვიხსენიებ სხვებს. (მოძღვრება და აღთქმები 42:27)

_____ 22. მე ვარ კეთილად და მომთმენად განწყობილი ადამიანების მიმართ, მაშინაც კი როდესაც მათ მძიმე ხასიათი აქვთ. (მორონი 7:45)

_____ 23. მე მიხარია სხვების წარმატებები. (ალმა 17:2–4)

## სათნოება

_____ 24. მე ვარ სუფთა და სპეტაკი გულით. (ფსალმუნები 23:3–4)

_____ 25. მე არ მაქვს სიბოროტის ჩადენის სურვილი, მინდა ვაკეთო მხოლოდ სიკეთე. (მოსია 5:2)

_____ 26. მე ვარ სანდო, ყოველთვის ვასრულებ ჩემს ნათქვამს. (ალმა 53:20)

_____ 27. ჩემი ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ სამართლიან და ამაღლებულ აზრებზე და არ ვუშვებ გონებაში უწმინდურ აზრებს. (მოძღვრება და აღთქმები 121:45)

_____ 28. მე ვინანიებ ჩადენილ ცოდვებს და ვცდილობ გადავლახო ჩემი სისუსტეები. (მოძღვრება და აღთქმები 49:26–28)

_____ 29. მე ვგრძნობ სულიწმინდის გავლენას ჩემს ცხოვრებაში. (მოძღვრება და აღთქმები 11:12–13)

## ცოდნა

_____ 30. მე ვარ დარწმუნებული ჩემს ცოდნაში სახარების მოძღვრების და საფუძვლების შესახებ. (ეთერი 3:19–20)

_____ 31. მე ყოველდღიურად ვსწავლობ წმინდა წერილებს. (იოანე 5:39)

_____ 32. მე გულმოდგინედ ვცდილობ ჩავწვდე ჭეშმარიტებას და ვიპოვო პასუხები ჩემს შეკითხვებზე. (მოძღვრება და აღთქმები 6:7)

_____ 33. სულისაგან მე ვიღებ ცოდნას და წინამძღვარობას. (1 ნეფი 4:6)

_____ 34. მე მიყვარს და ვაფასებ სახარების მოძღვრებას და საფუძვლებს. (2 ნეფი 4:15)

## მოთმინება

_____ 35. მე მოთმინებით ველოდები კურთხევებს და უფალის დაპირებების შესრულებას. (2 ნეფი 10:17)

_____ 36. მე შემიძლია დალოდება, გაბრაზების ან წყენის გარეშე. (რომაელთა 8:25)

_____ 37. მე ვარ მომთმენი და სულგრძელად ვიტან, მისიონერული სამსახურთან დაკავშირებულ სიძნელეებს. (ალმა 17:11)

_____ 38. მე ვარ მომთმენი სხვათა შეცდომების და სისუსტეების მიმართ. (რომაელთა 15:1)

_____ 39. მე ვარ მომთმენი ჩემი თავის მიმართ და ვენდობი უფალს, ჩემი სისუსტეების დაძლევაში. (ეთერი 12:27)

_____ 40. მე წყნარად და იმედით ვხვდები, უბედურებას და ტანჯვას. (ალმა 34:40–41)

## თავმდაბლობა

_____ 41. მე ვარ მშვიდი და თავმდაბალი. (მათე 11:29)

_____ 42. მე ვენდობი უფალს დახმარებისათვის. (ალმა 26:12)

_____ 43. მე ვარ გულწრფელად მადლიერი იმ კურთხევებისათვის, რომლებიც მივიღე უფალისაგან. (ალმა 7:23)

_____ 44. ჩემი ლოცვები არიან მხურვალე და გულწრფელი. (ენოსი 1:4)

_____ 45. მე დიდად ვაფასებ ჩემი ხელმძღვანელების და მასწავლებლების დარიგებებს. (2 ნეფი 9:28)

_____ 46. მე ვცდილობ ვიყო უფალის ნებისადმი მორჩილი, როგორიც არ უნდა იყოს ის. (მოსია 24:15)

## სიბეჯითე

_____ 47. მე ვმუშაობ ეფექტურად, მაშინაც კი როდესაც ჩემი დრო არ არის შეზღუდული და არ მყავს ზედამხედველი. (მოძღვრება და აღთქმები 58:26–27)

_____ 48. მე ვამახვილებ ჩემს ყურადღებას მხოლოდ ყველაზე მთავარზე. (მათე 23:23)

_____ 49. მე არანაკლებ დღეში ორჯერ, ვლოცულობ პირადად. (ალმა 34:18–27)

_____ 50. ჩემს ფიქრებს ვამახვილებ ჩემს მისიონერულ მოწოდებაზე. (მოძღვრება და აღთქმები 4:2, 5)

_____ 51. მე ვისახავ მიზნებს და რეგულარულად ვგეგმავ ჩემს დროს. (მოძღვრება და აღთქმები 88:119)

_____ 52. მე ვშრომობ შეუპოვრად იქამდე, სანამ წარმატებით არ შევასრულებ სამუშაოს. (მოძღვრება და აღთქმები 10:4)

_____ 53. ჩემს სამსახურში ვპოულობ სიხარულს და კმაყოფილებას. (ალმა 36:24–25)

## მორჩილება

_____ 54. ჩემს ლოცვებში, მე ვთხოვ ძალას, რომელიც დამეხმარება ცდუნებების გადალახვაში და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. (3 ნეფი 18:15)

_____ 55. მე ვიცავ ყველა იმ მცნებებს, რომლებიც აუცილებელია, რომ ვიყო ღირსეული ტაძრის რეკომენდაციისათვის. (მოძღვრება და აღთქმები 97:8)

_____ 56. მე გულმოდგინედ ვემორჩილები მისიის წესებს და ჩემი ხელმძღვანელების რჩევებს. (ებრაელთა 13:17)

_____ 57. მე ვცდილობ ვიცხოვრო სახარების კანონების და საფუძვლების მიხედვით. (მოძღვრება და აღთქმები 41:5)

შენიშვნები



# როგორ შევისწავლო უკეთესად მისიის ენა?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- რატომ უნდა მუდმივად გავაუმჯობესო ენის ცოდნა?
- როგორ შემიძლია უკეთესად ვილაპარაკო და ვასწავლო იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ვმსახურობ მისიაში?
- როგორ შემიძლია მივიღო ენების ნიჭი?

## მოამზადეთ თქვენი თავი სულიერად

უფალმა განაცხადა, რომ თითოეული ადამიანი მოისმენს სახარების სისრულეს თავის მშობლიურ ენაზე იმათ მეშვეობით, ვინც არის ამ მალაუფლებისთვის ხელდასხმული“ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 90:11). განამტკიცეთ თქვენი პირადი დამოწმება, რათა უფრო დიდი მალა მიეცეს თქვენს სიტყვებს ადამიანის მოსაქცევად. ჯერ შეისწავლეთ მოძღვრება და გაკვეთილების თემები თქვენ მშობლიურ ენაზე. ეს დაგეხმარებათ მის ათვისებაში, გაამლიერებს თქვენს დამოწმებას და სწავლების უნარს. ამის შემდეგ, წმინდა სულის დახმარებით თქვენ შემლებთ აღდგენილი სახარების აღდგენის მოწოდე-ბის სწავლებას თქვენი მისიის ენაზეც.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის პირობები, რომელთა შესრულებით, გამლიერდება თქვენი რწმენა, რომ ღმერთი დაგეხმარებათ მისიის ენაზე სწავლებაში და დამოწმებაში:

- გაიაზრეთ, რომ თქვენ მოგიწვიათ მისიაში, უფალმა მისი წინასწარმეტყველის მეშვეობით.
- იცხოვრეთ ისე, რომ ღირსეული იყოთ იმისა, რათა სულიწმინდა ყოველთვის იყოს თქვენი წინამძღვარი.
- დაიცავით ის მცნებები და წესები, რომლებიც დადგენილია მისიონერებისათვის.
- ილოცეთ გულწრფელად იმისათვის რომ მიიღოთ ღვთის დახმარება.
- ყოველ დღე, ისწავლეთ, იმეცადინეთ და ისაუბრეთ თქვენი მისიის ენაზე.

ფოტო: GettyImages.com. ასლის გადაღება არ შეიძლება.

შენიშვნები

## იყავით ბეჯითი და შეუპოვარი

იმისათვის რომ კარგად შეისწავლოთ და ეფექტურად ასწავლოთ თქვენი მისიის ენაზე, საჭიროა ბეჯითი შრომა. არ გაგიკვირდეთ, თუ თავიდან ეს ამოცანა მოგეჩვენებათ მალიან რთული. ენის ათვისება მოითხოვს დროს. მოითმინეთ, დახმარებისათვის მიმართეთ თქვენს მმადნაფიც მისიონერს, მრევლს, მოწაფეებს და სხვა მისიონერებს.

არ შეწყვიტოთ ენის სწავლა მაშინაც კი, როდესაც ადამიანები დაიწყებენ თქვენი ნათქვამის გაგებას. იმის და მიხედვით თუ როგორ გაუმჯობესდება თქვენი ლაპარაკი ამ ენაზე, ხალხი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს იმას, თუ რას ლაპარაკობთ და არა იმას, თუ როგორ ლაპარაკობთ. თქვენ უფრო ნაკლებად იფიქრებთ იმაზე, თუ როგორ უფრო ზუსტად გამოხატოთ თქვენი გულის გრძნობები. თქვენ უფრო სწრაფად დაეხმარებით ყველა მოწაფეს და წმინდა სული უკეთესად გიკარნახებთ.

ეცადეთ გააუმჯობესოთ ენის ცოდნა მისიის მსახურობის ბოლომდე და მისიის დასრულების შემდეგაც. უფალმა უხვად გაკურთხათ და შეიძლება მოგვიანებით მას კვლავ დასჭირდეს თქვენი ეს ნიჭი თქვენს ცხოვრებაში. უხუცესი ჯეფრი რ. ჰოლანდმა განმარტა: „ჩვენ უნდა. . . გვქონდეს იმედი, რომ ყოველი მისიონერი, რომელიც სწავლობს უცხო ენას, შესამლებლობისამებრ დაეუფლება მას სრულყოფილად. . . როდესაც ასე იზამთ, თქვენი ქადაგების და დამოწმების უნარი გაიზრდება. თქვენ უკეთესად მიგიღებენ და უფრო უკეთეს სულიერ შთაბეჭდილებას მოახდენთ თქვენს მოწაფეებზე. . . ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოდ ეგრედ წოდებული მისიონერული ლექსიკონით. გაიღრმავეთ ენის ცოდნა, და თქვენ უფრო უკეთესად მიაღწევთ ადამიანების გულებამდე“ (მისიონერების სატელევიზიო სატელიტური გადაცემა, აგვისტო 1998).

თქვენ არ ხართ მარტო, თქვენი მისიის ენის შესწავლისას. როდესაც უფალი იძლევა მცნებას, ის ყოველთვის გვამლევს მისი შესრულების საშუალებას (იხილეთ 1 ნეფი 3:7). მიმართეთ მას დახმარებისათვის. სწავლისას იყავით ბეჯითი, დროთა განმავლობაში თქვენ აითვისებთ ახალ ენას საკმარისად, რომ შეასრულოთ თქვენი, როგორც მისიონერის დანიშნულება.

## ისწავლეთ ინგლისური

თუ თქვენ არ ფლობთ ინგლისურად, თქვენ ის უნდა ისწავლოთ მისიის დროს. ეს თქვენ დაგლოცავთ მისიის დროს და მთელი ცხოვრების განმავლობაში. ინგლისური ენის შესწავლა მოგცემთ დამატებით საშუალებას მონაწილეობა მიიღოთ უფალის სასუფეველის აღშენებაში და იქნება კურთხევა თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის. ბევრი რჩევები, რომლებიც მოცემულია ამ თავში თქვენთვის სასარგებლო იქნება. ყურადღება გაამახვილეთ განსაკუთრებულად შემდეგზე:

- დაისახეთ მიზნად, რომ თქვენს მმადნაფიც მისიონერთან ინგლისურად ილაპარაკოთ. თუ თქვენმა მმადნაფიცმა მისიონერმა უკვე იცის ინგლისური და ცდილობს ისწავლოს თქვენი ენა თქვენ შეგიძლიათ მოილაპარაკოთ, რომ ისაუბროთ ინგლისურად ბინაში და მისიის ენაზე, როდესაც იქნებით გარეთ.
- იკითხეთ ინგლისურად მორმონის წიგნი თქვენს მმადნაფიც მისიონერთან ერთად. თქვენ შეგიძლიათ მოილაპარაკოთ: რიგრიგობით წაიკითხოთ მუხლები ჯერ ინგლისურ ენაზე შემდეგ თქვენი მმადნაფიცი წაიკითხავს შემდეგ მუხლს მისიის ენაზე. შეუსწორეთ ერთმანეთს გამოთქმა და ინტონაცია.
- სთხოვეთ თქვენი მისიის პრეზიდენტს რჩევა ინგლისური ენის მარტივ გრამატიკულ ტექსტზე თუ ის თქვენ უკვე არ გაქვთ.

## ენის დაუფლების წესები

ამ განყოფილებაში აღწერილია წესები, რომლებიც დაგეხმარებათ ენის უფრო ეფექტურად ათვისებაში.

- **აიღეთ პასუხისმგებლობა.** რეგულარულად დაისახეთ ან განაახლეთ მიზნები და გეგმები ენის შესწავლისათვის. გამოიყენეთ ყველა შესამლებლობა იმისათვის რომ ილაპარაკოთ უცხო ენაზე.
- **მიეცით აზრი ენის შესწავლას.** თქვენ თავს დაუსვით შეკითხვა: რატომ ვსწავლობ ამას? როგორ დამეხმარება ურთიერთობებში? დაუკავშირეთ ის, რასაც სწავლობთ თქვენს ყოველდღიურ სიტუაციებს და ღონისძიებებს. შეისწავლეთ ენის ის ნაწილები, რომლებიც დაგეხმარებათ იმის თქმაში რაც გინდათ, რომ ადამიანებს გააგებინოთ. მაგალითად, თუ გინდათ, რომ თქვენს გაკვეთილს დაურთოთ ისტორია წმინდა წერილებიდან, შეისწავლეთ ამისათვის საჭირო სიტყვები და გრამატიკა.
- **ეცადეთ ისაუბროთ.** ეცადეთ იპოვოთ სათანადო ბალანსი ენის გრამატიკის და თეორიის შესწავლასა და ყოველდღიური ღონისძიებებიდან პრაქტიკას შორის. ენის შესწავლისას არაფერი არ შეცვლის ადგილობრივებთან საუბარის პრაქტიკას.
- **გულდასმით შეისწავლეთ ახალი სიტყვები და წესები.** თქვენ შესმლებთ უფრო ეფექტურად გაიხსენოთ და გამოიყენოთ წესები თუ რეგულარულად გაიმეორებთ იმას რაც უკვე ნასწავლი გაქვთ და გამოიყენებთ ახალ სიტუაციებში.

## შეადგინეთ ენის სასწავლო გეგმა

ენის სასწავლო გეგმა დაგეხმარებათ ახალბედა და ასევე გამოცდილ მისიონერებს, ყურადღება გაამახვილოთ იმაზე თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ ყოველდღე, რათა უკეთესად აითვისოთ მისიის ენა. ამ გეგმაში იქნება შესული თუ რას გააკეთებთ ენის შესწავლის სამეცადინო დროს და ასევე მთელი დღის განმავლობაში.

ამ გეგმის შედგენის და კორექტირებისას, საჭიროებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ ენის შესწავლის სამეცადინო დრო. შემდეგ ყოველ დილით ენის სასწავლად მეცადინეობისას, ისწავლეთ სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც საჭირო იქნება ყოველდღიური ღონისძიებებისათვის. ქვევით მოყვანილი მითითებები დაგეხმარებათ თქვენი საკუთარი ენის სასწავლო გეგმის შედგენაში:

1. **დაისახეთ მიზნები.** მისიის დროს ენის შესასწავლად დაგეხმარებათ ყოველკვირეული და ყოველდღიური მიზნების დასახვა. ყურადღება გაამახვილეთ, რომ გააუმჯობესოთ თქვენი ლაპარაკის და სწავლების უნარი, დაგეგმილი ღონისძიებების დროს, როგორებიც არის მოწაფეებთან გაკვეთილები, ახალი მოწაფეების მოძიების ღონისძიებები და მეურვეობის საბჭოს კრებები. გადახედეთ თქვენს პროგრესს ენის შესწავლისათვის დასახული მიზნების მიღწევაში. თქვენ თავს დაუსვით შეკითხვა თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ უფრო გარკვეულად და შედეგიანად ილაპარაკოთ გეგმიური ღონისძიებების დროს.
2. **ამოირჩიეთ, თუ რომელ საშუალებებს გამოიყენებთ.** განიხილეთ ქვევით მოყვანილი ენის შესასწავლი საშუალებები და განსაზღვრეთ თუ რომელი მათგანი შეგიძლიათ გამოიყენოთ იმისათვის რომ მიაღწიოთ თქვენს მიზნებს:

- თქვენი მისიის ენაზე გამოცემული კანონიკური ნაშრომები.
- გაკვეთილები მისიის ენაზე.
- ჯიბის ლექსიკონი.
- გრამატიკის პატარა წიგნი.
- მსც-ს გამოცემული ენის სასწავლო მასალები.
- ჩანაწერების ბარათები.
- ჯიბის ბლოკნოტი.



შენიშვნები

- მისიის ენაზე გამოცემული ეკლესიის სხვა მასალები.

**3. დაიმახსოვრეთ სიტყვები და ფრაზები.** გამოყავით სიყტყვები და გამოთქმები, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენი მიზნების მისაღწევად. თქვენი ენის სასწავლო გეგმაში შეიძლება შედიოდეს შემდეგი იდეები:

- გამოყავით სიტყვები და გამოთქმები, გაკვეთილებში, ბროშურებში, წმინდა წერილებში და ეკლესიის სხვა მასალებში, რომლების გამოყენებასაც შესძლებთ ადამიანების სწავლებისას.
- ბლოკნოტში ჩაიწერეთ სიტყვები ან გამოთქმები, რომლების მნიშვნელობა არ იცით. ყოველთვის თან იქონიეთ პატარა ლექსიკონი, რომ გაიგოთ უცხო სიტყვების მნიშვნელობა.
- მთელი დღის განმავლობაში თან იქონიეთ ჩანაწერების ბარათები. ბარათის ერთ მხარეს დაწერეთ სიტყვა ან გამოთქმა, მისი მნიშვნელობა კი მიაწერეთ მეორე მხარეს. გვერდზე გადადეთ იმ სიტყვების ბარათები, რომლებიც უკვე ისწავლეთ. გააგრძელეთ მუშაობა დანარჩენ სიტყვებზე იქამდე, სანამ არ ისწავლით ყველას.
- გამოიყენეთ ახალი სიტყვები და გამოთქმები, დამოუკიდებელი მეცადინეობის, მოწაფეების სწავლების და ასევე მთელი დღის განმავლობაში.
- ივარჯიშეთ ახალი სიტყვების და გამოთქმების წარმოთქმაში, მათი ხმამაღლა წარმოთქმით.
- მისიის ენაზე დაიმახსოვრეთ მნიშვნელოვანი მუხლები.
- გაკვეთილებიდან და ბროშურებიდან დაიმახსოვრეთ მარტივი წინადადებები, რომლითაც შეგიძლიათ აუხსნათ სახარების მთავარი საფუძვლები. მოძებნეთ სხვა გზები, რითაც შესძლებთ ამ პრინციპების გამოხატვას.

**4. შეისწავლეთ გრამატიკა.** გამოიყენეთ თქვენი ენის დაუფლების საშუალებები, რომ გაერკვეთ გრამატიკის წესებში, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენი მიზნების მიღწევაში. საჭიროების შემთხვევაში, სთხოვეთ დახმარება თქვენს მმადნაფიცს, სხვა გამოცდილ მისიონერს ან ეკლესიის წევრს. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ზოგიერთი ქვევით მოყვანილი იდეები:

- გამოიყენეთ გრამატიკული ტექსტი, რომელიც თქვენ მოგცეს მსც-ში ან ტექსტი, რომელიც დამტკიცებულია თქვენი მისიის პრეზიდენტის მიერ იმისათვის რომ დაგეხმაროთ უკეთესად ჩასწვდეთ გრამატიკას და წინადადებების წყობის სქემებს, რომლებიც მოცემულია გაკვეთილებში, ბროშურებში და წმინდა წერილებში.
- გრამატიკის ამ წესების გამოყენებით მოამზადეთ წინადადებები და გამოთქმები, რომლებსაც გამოიყენებთ თქვენი დაგეგმილი ღონისძიებების დროს. ივარჯიშეთ ამ წინადადებების წარმოთქმაში და წერაში.
- ყურადღება მიაქციეთ სიტყვების წყობას წინადადებაში და მათ გამოყენებას გრამატიკულ ფორმებში.
- ეცადეთ, რომ ყოველდღიურად პრაქტიკაში გამოიყენოთ თქვენს მიერ ნასწავლი გრამატიკა.

**5. აქტიურად მოუსმინეთ.** განიხილეთ შემდეგი რჩევები:

- ყურადღებით მოუსმინეთ ადგილობრივებს და ეცადეთ გაიმეოროთ მათი ინტონაცია და გამოთქმა.
- როდესაც გესმით რამე, რომლის მნიშვნელობაც არ იცით ჩაიწერეთ და გაარკვიეთ თუ რას ნიშნავს. ივარჯიშეთ ახალი სიტყვების და წინადადების წყობის სქემის გამოყენებაში.
- როდესაც უსმენთ საუბარს, ეცადეთ ამოიცნოთ ის სიტყვები და გრამატიკული წყობები, რომელიც ეხლახან ისწავლეთ.

შენიშვნები

- როდესაც გესმით გამოთქმა, რომლის წყობა განსხვავებულია იმისაგან თუ როგორაც თქვენ მას იტყოდით, ჩაიწერეთ ის, რათა შემდგომში გამოიყენოთ. მაგრამ, ხართ რა, უფალის მსახური, ყოველთვის ილაპარაკეთ სწორად და არ გამოიყენოთ ჟარგონი.
- ჩამოწერეთ იმ სიტყვების და გამოთქმების სია, რომლებიც შეიძლება გაიგოთ გეგმიური ღონისძიებების დროს სხვა ადამიანებისაგან. წინასწარ განიხილეთ ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც კავშირში არის ამ პასუხებთან. მოამზადეთ შესაძლებელი პასუხები და ივარჯიშეთ თუ როგორ იტყვით მათ.

**6. გააუმჯობესეთ წერა კითხვის უნარი.** წაიკითხეთ მორმონის წიგნი თქვენი მისიის ენაზე, იმისათვის რომ შეისწავლოთ ახალი სიტყვები და ფრაზები, ივარჯიშოთ გრამატიკაში, გამოთქმაში და სწრაფად საუბარში. ენის სწავლის დროს, წმინდა წერილების გამოყენებით, თქვენ მოიპოვებთ დიდ ძალას. ასევე განიხილეთ შემდეგი იდეები:

- ისწავლეთ მისიის ენის ანბანის, ასოების ასევე ნიშნების, წერა და კითხვა. იმ ენების შესწავლისას, რომელთა დამწერლობა ეფუძნება ნიშნებს, ყურადღება გაამახვილეთ კითხვაზე, მათ შორის წმინდა წერილების კითხვაზეც, ეს თქვენ დაგეხმარებათ სხვების სწავლებაში.
- ხმამაღლა წაიკითხეთ მისიის ენაზე, ნაწყვეტები მორმონის წიგნიდან და სხვა წმინდა წერილებიდან ან ეკლესიის ჟურნალებიდან. ყურადღება გაამახვილეთ უცხო სიტყვებზე, გამოთქმებზე და გრამატიკულ წყობებზე. თუ არ გესმით სიტყვის მნიშვნელობა, ეცადეთ მისი აზრის გაგება კონტექსტის მიხედვით, სანამ დაიწყებთ მისი მნიშვნელობის მებნას ლექსიკონში. დაუმატეთ ამ სიტყვით სანიშნე ბარათი სხვა ახალი სიტყვების ბარათებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ თქვენი მშობლიური ენის და მისიის ენის წმინდა წერილები ერთდროულად.
- კითხვის დროს, სთხოვეთ ვინმეს, შეამოწმოს თქვენი გამოთქმა, ინტონაცია და პაუზის გამოყენება.
- ივარჯიშეთ თქვენი მისიის ენაზე წერაში, მაგალითად როდესაც დაწერთ პირადი ან სამახსოვრო ჩანაწერებს, სამადლობელო, მისალოც და მხარდამჭერის წერილებს. დაწერეთ თქვენი დამოწმება მორმონის წიგნის თავფურცელზე რომელსაც დაარიგებთ.

**7 სთხოვეთ სხვებს დახმარება.** განიხილეთ შემდეგი იდეები:



- თუ თქვენი მმადნაფიცი მისიონერი არის ადგილობრივი, გამოიყენეთ ეს უპირატესობა და კარგი შესამლებლობა, ხშირად დაუსვით შეკითხვები და მოსთხოვეთ განმარტებები.
- სტხოვეთ მმადნაფიც მისიონერს და ადგილობრივებს, რომ შეგისწორონ შეცდომები და მოგცენ რჩევები მათ გამოსასწორებლად. თუ ადამიანები გამოიყენებენ თქვენთვის უცხო გამოთქმას სთხოვეთ, გაგიმარტონ მისი მნიშვნელობა. ბავშვები და მოხუცებული ხშირად მზად არიან დახმარებისათვის.
- თქვენს მოწაფეებს სთხოვეთ დახმარება, განუმარტეთ: „მე ვსწავლობ თქვენს ენას, გთხოვთ დამეხმარეთ. თუ ვერ მოვძებნე საჭირო სიტყვა, გთხოვთ მიკარნახეთ.“
- ნუ მოგერიდებათ კონკრეტულ სიტყვაზე დახმარების თხოვნა: „როგორ ვთქვა ____________ ?“ „როგორ წარმოთქვამთ ____________ ?“ „რას ნიშნავს სიტყვა ___________ ?“ „გთხოვთ გაიმეოროთ ეს სიტყვა.“ ჩაიწერეთ პასუხები და შემდეგ შეისწავლეთ ისინი.

შენიშვნები

- ეკლესიის წევრებს სთხოვეთ, შეამოწმონ თქვენი ცოდნა ლექსიკონის და სანიშნი ბარათების გამოყენებით, ასევე სთხოვეთ დაგეხმარონ წმინდა წერილების ხმამაღლა კითხვაში.

**8. შეაფასეთ და შეასწორეთ თქვენი სასწავლო გეგმა.** ყოველკვირეულად განიხილეთ თქვენი სასწავლო გეგმა და შეაფასეთ მისი ქმედითუნარიანობა. სთხოვეთ თქვენს მმადნაფიც მისიონერს და მისიის ხელმძღვანელებს, მოგცენ სათანადო რჩევები ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად.

ისაუბრეთ მისიის ენაზე ყოველთვის როდესაც გექნებათ ამის შესაძლებლობა. დღის განმავლობაში თქვენს მმადნაფიც მისიონერთან მისიის ენაზე ისაუბრეთ რაც შეიძლება ხშირად. პირადად და სხვა ადამიანების თანდასწრებით ილოცეთ მისიის ენაზე, რათა ისწავლოთ ლოცვისათვის შესაბამისი სიტყვები და გულის გრძნობების გამოთქმა.

ნუ გეშინიათ შეცდომების დაშვება. ყველა ვინც სწავლობს უცხო ენას უშვებს შეცდომებს. ადამიანები გაგებით მოეკიდებიან და დააფასებენ თქვენს მალისხმევას მათი ენის დაუფლებისათვის. გამოთქმების და წმინდა წერილების დამახსოვრება დაგეხმარებათ შეცდომებისაგან თავის არიდებაში, მაგრამ თქვენ არ უნდა დაიზეპიროთ ამ მიზნით გრძელი ტექსტები და წინასწარ მომზადებული სიტყვით გამოსვლები.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

ზევით მოყვანილი რჩევების და მითითებების გამოყენებით, შეადგინეთ სასწავლო გეგმა. განიხილეთ ეს გეგმა თქვენს ძმადნაფიც მისიონერთან ან მისიის ხელმძღვანელთან.

## იმეცადინეთ თქვენს ძმადნაფიც მისიონერთან ერთად

დაეხმარეთ თქვენს მმადნაფიც მისიონერებს რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ ენის სწავლაში წარმატებას და მოიპოვონ თვითრწმენა. ხშირად და გულწრფელად შეაქეთ ისინი და ასევე სხვა მისიონერები, ასევე აღნიშნეთ მათი წარმატებები. იყავით წინდახედული, რომ არ სთქვათ ან გააკეთოთ რაიმე რაც დაასუსტებს მათ თვითრწმენას, მაგრამ ნუ დაფარავთ მათ შეცდომებს, რათა არ იფიქრონ, რომ უკვე აღარ სჭირდებათ სწავლა. უარი არ უთხრათ დახმარებისათვის, როდესაც ის აუცილებელია. საშუალება ხშირად მიეცით მათ წარმატებით ასწავლონ და დაამოწმონ. განიხილეთ ქვევით მოყვანილი სამეცადინო იდეები თქვენს მმადნაფიც მისიონერებთან ერთად:

- ასწავლეთ ერთმანეთს, როდესაც გაიგებთ რაიმე ახალ სიტყვებს და გრამატიკულ წესებს.
- ივარჯიშეთ მისიის ენაზე გაკვეთილების სწავლებაში. ახალ მისიონერებს შეუძლიათ თავიდან ასწავლონ მარტივი გაკვეთილები და მარტივი სიტყვებით გაუზიარონ დამოწმებები, ასევე გააკეთონ წმინდა წერილებიდან დამახსოვრებული მუხლების ციტირება. როდესაც მათი თვითრწმენა და შესაძლებლობები თანდათანობით გაიზრდება, ისინი შესძლებენ უფრო მეტად მიიღონ მონაწილეობა მოწაფეების სწავლებაში.
- ტიპიური მისიონერული სიტუაციების დროს ივარჯიშეთ ენის გამოყენებაში.
- ერთმანეთს თავაზიანად მიეცით უბრალო და პრაქტიკული რჩევები და განიხილეთ საერთო პრობლემები, ასევე მნიშვნელოვანია წყენის გარეშე მმადნაფიცი მისიონერის შენიშვნების მიღება.

ქვევით მოყვანილი რეალური ამბავიდან აღნიშნეთ თუ როგორ დაეხმარა გამოცდილი მისიონერი მის მმადნაფიცს.

*ხულ ახალი გადმოხული ვიყავი ჩემი მიხიის მეორე მხარეში როდესაც ჩემმა მმადნაფიცმა მითხრა, რომ ჩემი რიგი იყო რათა ხაღამოს დანიშნულ შეხვედრაზე წამეყვანა ხულიერი გაკვეთილი. ამან მე ხაკმაოდ შემაშინა. ჩემი პირველი მმადნაფიცი მიხიონერი ყოველთვის*

შენიშვნები

*წარმატებულად და კარგად უმღვებოდა გაკვეთილების სწავლებას, მე მცირეოდენი წვლილი შემქონდა გაკვეთილების მსვლელობაში, ხშირად ვიჯექი და ვუსმენდი თუ როგორ პასუხობდა ის შეკითხვებს და ამლევდა განმარტებებს.*

*მე შევეცადე რომ დამერწმუნებინა მმადნაფიცი, უკეთესი იქნებოდა თუ ის წაიკითხავდა სულიერ გაკვე თილს, მაგრამ მან გამამხნევა, რომ შემესრულებინა ეს დავალება და მეც დავთანხმდი. ის დამეხმარა წინასწარ გაკვეთილისათვის მომზადებაში.*

*როდესაც დადგა დრო, მე გადავშალე წმინდა წერილები და წავიკითხე 3 ნეფი 5 და 7. მიუხედავად იმისა რომ მიჭირდა მე მაინც ავუხსენი თუ რატომ იყო ეს მუხლები ჩემთვის ასეთი მნიშვნელოვანი და გულზე მომეშვა როდესაც დავამთავრე საუბარი. როდესაც დაგვისვეს შეკითხვა მე შევხედე ჩემს მმადნაფიცს მაგრამ მან ხმა არ ამოიღო, ჩემს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი როდესაც მე გავეცი პასუხი სავსებით გასაგებ ფრანგულ ენაზე. უფრო მეტად კი იმან გამაოცა, რომ ჩემი თანამოსაუბრე ვერც კი მიხვდა თუ როგორი სუსტი მოსაუბრე მიმაჩნდა ჩემი საკუთარი თავი. მე მოვიპოვე თვითრწმენა და მივხვდი, რომ ჩემი ფრანგული უფრო უკეთესი იყო ვიდრე მე მეგონა.*

*გადიოდა კვირები, ჩემი მმადნაფიცი მამლევდა საშუალებას, რომ მესწავლებინა ადამიანებისათის, მაშინაც კი, როდესაც მეპარებოდა ეჭვი, რომ ამას შევმლებდი თუ არა, მაშინაც კი როდესაც თვითონ მმადნაფიცსაც ალბათ ეჭვი ეპარებოდა. მაგრამ იმის გამო რომ ის მამხნევებდა საუბრისათვის, მოსმენისათვის და სწავლებისათვის, ენას ვეუფლებოდი სულ უფრო სწრაფად და მე ვიგრმენი, რომ უკვე აღარ ვიყავი კიდევ ერთი უბრალო ჩუმი მმადნაფიცი მისიონერი არამედ ვიგრმენი, რომ გავხდი ინსტრუმენტი მამაზეციერის ხელში.*

## ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- თუ თქვენ მუშაობთ ახალ მისიონერთან ერთად, როგორ შესძლებთ მისთვის უკეთესად დახმარებას ენის შესწავლაში?
- თუ თქვენ ხართ ახალი მისიონერი, როგორი დახმარება შეგიძლიათ ითხოვოთ თქვენი უფროსი ძმადნაფიცისაგან?

## კულტურის და ენის შესწავლა

კულტურა და ენა მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. კულტურის გაგება დაგვეხმარება ენის თავისებურებების გაგებაში. ეცადეთ უკეთ შეისწავლოთ ხალხის კულტურა იმისათვის რომ უფრო გასაგებად და ადვილად მიიტანოთ ადამიანებამდე აღდგენილი სახარების მთავარი უნიკალური აზრი.

ვისაც ასწავლით იმ ადამიანთა ნდობის და სიყვარულის მოპოვების საუკეთესო ხერხს წარმოადგენს შემლებისდაგვარად მიყვეთ მათ კულტურულ ტრადიციებს. ასე იქცეოდნენ ბევრი ცნობილი მისიონერები (იხილეთ 1 კორინთელთა 9:20–23). ეცადეთ, რომ ადამიანებმა არ იგრმნონ თავი უხერხულად და თავისუფლად ურთიერთობდნენ თქვენთან.

## ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მსახურობთ მისიაში აზიაში. თქვენ ემზადებით გაკვეთილისთვის აღდგომის შესახებ და იცით, რომ ბუდისტებს სწამთ რეინკარნაციის. როგორ მოუყვებოდით მათ აღდგომაზე ისე, რომ მოწაფეებმა გაიგონ, რომ ეს სწავლება განსხვავდება რეინკარნაციის სწავლებისაგან? რა სიტყვების და ფრაზების სწავლა დაგჭირდებათ იმისათვის რომ შეასრულოთ ეს ამოცანა?
- იფიქრეთ იმ ადამიანთა კულტურულ და რელიგიურ წარმოშობაზე, ვისაც ასწავლით. განსაზღვრეთ, მათი კულტურული ან რელიგიური ტრადიციებიდან, რომელ ასპექტს შეუძლია შეგიშალოთ ხელი სახარების მოძღვრების სწორად ახსნაში. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ მიაწოდოთ მათ თქვენი სწავლე-ბა მათთვის უფრო გასაგებად და ნათლად.

შენიშვნები

## ენების ნიჭი

ეცადეთ შეიმინოთ სულის მღვენები და მათ შორის ენების და მათი გაგების ნიჭი. ყველაზე მეტად ზუსტად ეს ნიჭი დაგეხმარებათ თქვენ ილაპარაკოთ და გაიგოთ იმ ადამიანების ენაზე, ვის ქვეყანაშიც მსახურობთ მისიაში. ამ ნიჭს თქვენ უშრომველად ვერ მიიღებთ, უნდა აუცილებლად ბეჯითად იშრომოთ, რომ შეიმინოთ ის. ამისათვის უნდა იშრომოთ და ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის რომ კარგად შეისწავლოთ მისიის ენა. იწამეთ, რომ წმინდა სული დაგეხმარებათ თუ იცხოვრებთ ღირსეულად და ყველანაირად ეცდებით მიზნის მიღწევას. თქვენ ასევე უნდა იწამოთ, რომ ნამდვილად შემლებთ ენების ნიჭის მიღებას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

როცა თქვენ იგრმნობთ, რომ გიჭირთ აზრის გამოთქმა და ვერ ლაპარაკობთ ისე ნათლად როგორც გსურთ, უნდა გახსოვდეთ, რომ სულს შეუმლია ელაპარაკოს ყველა ღმერთის შვილების გულებს. პრეზიდენტი თომას ს. მონსონი ასწავლიდა: „არსებობს მხოლოდ ერთი ენა. . . რომელიც იცის თითოეულმა მისიონერმა – ეს არის სულის ენა. ამ ენას ვერ ისწავლით განათლებული ადამიანის მიერ დაწერილი წიგნებით, ვერ ისწავლით წაკითხვით ან დაზეპირებით. სულის ენას ეუფლება ის, ვინც მთელი გულით ისწრაფის ღმერთისკენ და იცავს მის ღვთიურ მცნებებს. ამ ენის მეშვეობით შეიმლება ბარიერების გარღვევა, წინააღმდეგობების დამლევა და ადამიანების გულებამდე მიღწევა“ („The Spirit Giveth Life,“ *Ensign*, ივნისი 1997, 2).

### გახსოვდეღ შემდეგი

- ის გაკვეთილები და მოძღვრებები, რომლებიც უნდა ასწავლოთ, ჯერ ისწავლეთ თქვენს მშობლიურ ენაზე.
- ისწავლეთ ეს მოძღვრებები და მათზე თქვენი გრძნობების გამოხატვა თქვენი მისიის ენაზე.
- შეადგინეთ ენის სასწავლო გეგმა და რაც უფრო სრულყოფილად დაეუფლებით თქვენი მისიის ენას, მით უფრო მეტად ჩართეთ მასში ახალი იდეები.
- ეძიეთ სულის კარნახი და უფრო კარგად გაუგებთ ადამიანებს და უკეთეს კონტაქტს დაამყარებთ მათთან.

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

შენიშვნები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- განიხილეთ ამ თავში მოცემული რჩევები. გაარკვიეთ შემოთავაზებული რჩევებიდან ჯერ რომელი არ გიცდიათ და დაისახეთ მიზნად, რომ მომავალ რამოდენიმე დღეში სცადოთ მისი გამოყენება.

- შემდეგი ოლქის შეკრებაზე, შეკითხეთ გამოცდილ მისიონერს, რომელიც კარგად ფლობს მისიის ენას თუ რა გააკეთა ენის შესასწავლად.

- წაიკითხეთ და განიხილეთ უხუცესი რიჩარდ გ. სკოტის ნათქვამი: „როდესაც ერის ტრადიციები და ადათ-წესები ეწინააღმდეგება ღმერთის სწავლებებს, ისინი უნდა დაგმოთ. ტრადიციებს და ადათ-წესებს, რომლებიც არიან ჰარმონიაში ღმერთის მოძღვრებასთან უნდა სათუთოდ მოუაროთ" („Removing Barriers to Happiness," *Ensign,* მაისი 1998, 87). იფიქრეთ თუ რითი განსხვავდება მისიის კულტურული ტრადიციები თქვენი სამშობლოს ტრადიციებისაგან. ჩამოწერეთ განსხვავებების სია. შემდეგ გადახაზეთ ტრადიციები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სახარების სწავლებებს. განიხილეთ დარჩენილი პუნქტები და იმსჯელეთ იმაზე თუ როგორ შეგიძლიათ გაითავისოთ ეს ტრადიციები.

- შეადგინეთ სასწავლო გეგმა, რომ მოემზადოთ თქვენი მისიის ენაზე შეასრულოთ ქვევით ჩამოთვლილი დავალებებიდან ერთერთი:
  - მოუთხროთ იოსებ სმითის ისტორია.
  - მოკლედ მოუყვეთ თუ რაზე მოგვითხრობს 3 ნეფი 11.
  - მოკლედ მოუყვეთ თუ რაზე მოგვითხრობს ალმა 32.
  - მოუყვეთ ნეფის და თითბრის ფირფიტების ისტორია (იხილეთ 1 ნეფი 3–5).
  - განუმარტოთ წყობები.
  - გაუზიაროთ პირადი გამოცდილება.

- მისიონერთა ერთერთი გაკვეთილიდან ამოიწერეთ სამახსოვრო ბარათებზე სიტყვები, რომლებიც არ იცით. თან იქონიეთ სანამ მათ ყველას არ ისწავლით.

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- ივარჯიშეთ, ერთმანეთის მისიის ენაზე გაკვეთილების სწავლებით.

- სთხოვეთ თქვენს ძმადნაფიცს, რომ მოისმინოს თუ როგორ გამოთქვამთ სიტყვებს და დაგეხმაროთ მათ გაუმჯობესებაში.

- წმინდა წერილებიდან ამოირჩიეთ ისტორიები ან ნაწყვეტები, რომლებიც გსურთ გამოიყენოთ მოწაფეების სწავლებისას. ივარჯიშეთ თქვენი სიტყვებით მათ მოყოლაში.

- განიხილეთ იდეები, რომლებიც მოცემულია ამ თავში. ძმადნაფიც მისიონერთან განიხილეთ თუ რომელ მათგანს გამოიყენებთ მომავალ კვირის განმავლობაში ერთობლივი მეცადინეობების დროს.

- თუ თქვენ ამეცადინებთ ახალ მისიონერს, აღნიშნეთ სიტუაციები, როდესაც მოსაუბრეებს მისი არ ესმით. შეადგინეთ სიტყვების, გამოთქმების ან გრამატიკული წესების სია, რომლებიც დაეხმარება თქვენს ძმადნაფიცს. განუმარტეთ და ავარჯიშეთ მათი გამოყენებისათვის რაც სიაში ჩაწერეთ, უახლოესი გეგმიური ღონისძიებების დროს.

### საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- შეკრებაზე მოიწვიეთ ადგილობრივები. ორგანიზება გაუკეთეთ, რომ მისიონერებმა მათ ასწავლონ პატარა ჯგუფებში. სთხოვეთ ადგილობრივებს, რომ გააკეთონ შენიშვნები და შეაფასონ მისიონერების ენის ცოდნა, ასევე მისცენ რჩევა-დარიგებები.

შენიშვნები

- ერთ ან ორ მისიონერს წინასწარ დაავალეთ, რომ მოყვნენ წარმატებების შესახებ ენის დაუფლებაში. სთხოვეთ, რომ დამსწრეებს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და იდეები.
- დაავალეთ ერთ-ერთ გამოცდილ მისიონერს გააკეთოს მოკლე მოხსენება ენის შესწავლის იმ ნაწილზე, რომელიც ყველაზე მეტად უჭირთ მისიონერებს. წარუდგინეთ სწორი მაგალითები და მიეცით მისიონერებს მათი ათვისების საშუალება.
- სთხოვეთ იმ მისიონერებს, რომლებისათვის ეს კულტურა წარმოადგენს მათ მშობლიურს, რომ გაუზიარონ დანარჩენებს სასარგებლო რჩევები.

### მისიის პრეზიდენტი

- დრო და დრო ჩაატარეთ გასაუბრებები მისიონერებთან იმ ენაზე, რომელსაც ისინი სწავლობენ.
- რჩევა სთხოვეთ ადგილობრივ მღვდლობის ხელმძღვანელებს იმის შესახებ, თუ როგორ გააუმჯობესონ მისიონერებმა თავიანთი ენის შესწავლის მეთოდები.
- განსაზღვრეთ, თქვენი მისიის ენასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული შეცდომები და სამხარეო კონფერენციაზე მიეცით სათანადო რეკომენდაციები ამ შეცდომების გამოსასწორებლად.
- შეახსენეთ მისიონერებს მოძღვრება სულის ძღვენების შესახებ.
- დააკვირდით თქვენ მისიონერებს მაშინ, როცა ისინი ასწავლიან მისიის ენაზე.
- ხშირად ესაუბრეთ მისიონერებს თქვენი მისიის ენაზე.



# როგორ გამოვიყენო დრო უფრო გონიერად?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- როგორ შეუძლია ჩემს მიზნებს დამეხმარონ, რომ ვიყო უფრო ეფექტური მისიონერი?
- მიზნების დასახვის დროს, რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება?
- რა რესურსები და საშუალებები არის ჩემ ხელში და როგორ შემიძლია მათი გამოყენება?
- რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი რაიონის წიგნი?
- როგორ უნდა ჩავატარო ყოველკვირეული და ყოველდღიური დაგეგმარების სესიები?
- როგორ გავარკვიო, ეხმარება თუ არა ჩემი მიზნები და გეგმები უფალის საქმეს წინსვლაში?

თქვენ მოწოდებული ხართ, რომ შეასრულოთ უფალის სამუშაო განსაზღვრულ რაიონში. მას უნდა, რომ თქვენ თვალი ადევნოთ თქვენს უბანს და სიყვარულით იზრუნოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც იქ ცხოვრობენ. თქვენი მიზანია დაეხმაროთ ამ ხალხს ღმერთთან მისვლაში ნათლობით და წევრად დამტკიცებით.

გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ, რომ წასვლისას თქვენ დატოვოთ თქვენი რაიონი უფრო ძლიერი, ვიდრე ის თქვენს ჩამოსვლამდე იყო. აზრიანი მიზნები და ზუსტი დაგეგმვა დაგეხმარებათ იმის გაკეთებაში, რასაც უფალი მოელის თქვენგან. როდესაც თქვენ იჩენთ ზრუნვას იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ თქვენს დანიშნულ რაიონში, თქვენ ანგარიშს აგებთ ღმერთის და მისიის ხელმძღვანელების წინაშე.

წერილში, რომლითაც მოგიწოდეს მისიაში სამსახურად, ნათქვამია შემდეგი: „თქვენგან მოელიან, რომ თქვენ მთელ დროს და ყურადღებას მიუმღვნით უფალის სამსახურს და დროებით მიატოვებთ თქვენს დანარჩენ საქმეებს. ასე თუ იმრომებთ, თქვენ მიიღებთ დალოცვას უფალისაგან და გახდებით ჭეშმარიტების ეფექტური დამცველი და მოღაღადე. ჩვენ გენდობით და ვლოცულობთ, რომ უფალი დაგეხმაროთ თქვენი მოვალეობების შესრულებაში ამ წმინდა მოწოდების სამსახურში.“ ეს თავი თქვენ აგიხსნით თუ როგორ შეიძლება სწორად დასმული მიზნებით, დაგეგმვით და ანგარიშების მომზადებით დაეხმაროთ მრავალ ადამიანებს აღდგენილი სახარების მიღებაში.

შენიშვნები

### ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

წაიკითხეთ იაკობი 5:11–13, 61–64, 74–75, უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

- რა გრძნობებს განიცდის უფალი თავის შვილების მიმართ?
- რანაირ ძალისხმევას მოითხოვს ღმერთი თავის მსახურებისაგან?

## მოქცევის ძირითადი მაჩვენებლები

თქვენ ალბათ დაგებადათ შეკითხვა, თქვენი მრავალი მოვალეობებიდან, თუ რომელი არის ყველაზე მნიშვნელოვანი. იმისათვის რომ უპასუხოთ ამ შეკითხვას, საჭიროა გაიგოთ თქვენი დანიშნულება და იცოდეთ თუ როგორ დაგეხმარებათ დროის ეფექტურად გამოყენება ამ დანიშნულების მიღწევაში.

თქვენი დანიშნულება არის, რომ მოიწვიოთ ადამიანები ქრისტესთან მისასვლელად და დაეხმაროთ მათ აღდგენილი სახარების მიღებაში, იესო ქრისტესი და მის მიერ ჩვენს გამოსყიდვაში რწმენით, მონანიებით, ნათლობით, სულიწმინდის მღვენის მიღებით და ბოლომდე გამლებით. ეკლესიის ხელმძღვანელებმა განსაზღვრეს ის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დაგეხმარებიან თქვენ ამ დანიშნულების შესრულებაში. თუ მიყვებით ამ მაჩვენებლებს, თქვენ ბევრად უკეთესად დაეხმარებით ადამიანებს, რომ მივიდნენ ნათლობამდე, წევრად დამტკიცებამდე, შემდეგ ეკლესიაში აქტიურად იმოღვაწეონ და მოქცეულ იქნენ სამუდამოდ.

### ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც უნდა ჩაიწეროთ და აჩვენოთ ანგარიშებში

- მოწაფეები, რომლებმაც მიიღეს ნათლობა და წევრად დამტკიცება
- მოწაფეები ნათლობის თარიღით
- ზიარების დამსწრე მოწაფეები
- მოწაფისათვის წევრის თანდასწრებით ჩატარებული გაკვეთილები
- სხვა ჩატარებული გაკვეთილები
- განვითარებადი მოწაფეები
- მიღებული და დაკავშირებული კონტაქტები
- ახალი მოწაფეები
- ახლადმოქცეულებისა და ნაკლებად აქტიური წევრებისათვის ჩატარებული გაკვეთილები

ეს მაჩვენებლები განსაზღვრავენ მოვლენებს და პირობებს, რომელიც აჩვენებს პიროვნების განვითარებას მტკიცე მოქცევისაკენ. ქვევით მოყვანილია ყოველი ძირითადი მაჩვენებლის მოკლე აღწერა:

**მოწაფეები, რომლებმაც მიიღეს ნათლობა და წევრად დამტკიცება:** ყოველი მოქცეული პიროვნება, რომელმაც მიიღო ნათლისღების და წევრად დამტკიცების საეკლესიო წეს-ჩვეულებები.

**მოწაფეები ნათლობის თარიღით:** ყოველი მოწაფე, რომელიც დათანხმდა, რომ მოინათლოს და წევრად დამტკიცდეს მისთვის დანიშნულ თარიღს.

**ზიარების დამსწრე მოწაფეები:** ყოველი მოწაფე, რომელიც დაესწრო ზიარების შეკრებას.

**მოწაფისათვის წევრის თანდასწრებით ჩატარებული გაკვეთილები:** გაკვეთილების საერთო რაოდენობა, რომლებიც ჩაუტარდათ მოწაფეებს ეკლესიის წევრის თანხლებით. გაკვეთილები, როგორც წესი მოიცავენ, მისიონერთა გაკვეთილებიდან სახარების ერთი ან

შენიშვნები

რამოდენიმე საფუძვლის სწავლებას, გახსნით და დახურვის ლოცვით ასევე ვალდებულებების აღების შეთავაზებით. არ არის აუცილებელი ერთ გაკვეთილში მისიონერთა გაკვეთილის ყველა პრინციპების სწავლება. თქვენი სწავლების ეფექტურობის საზომია, მოწაფეების მხსნელში რწმენის ზრდა, მათ მიერ ჩადენილი ცოდვების მონანიება და გულმოდგინედ მომზადება ნათლობის და წევრად დამტკიცების მიღებისათვის.

**სხვა ჩატარებული გაკვეთილები:** ჩატარებული გაკვეთილების საერთო რაოდენობა, რომლებზეც ეკლესიის წევრები არ დასწრებიან.

**განვითარებადი მოწაფეები:** მოწაფეების საერთო რაოდენობა, რომლებმაც მოისმინეს ორი ან მეტი გაკვეთილი და ასრულებენ ვალდებულებებს როგორებიცა არის, ლოცვა, მორმონის წიგნის კითხვა, ეკლესიის შეკრებებზე დასწრება, ასევე ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის მზადება. მოწაფეები, რომლებსაც სურთ სახარების შესახებ სწავლის გაგრძელება მაგრამ უჭირთ ვალდებულებების შესრულება, არ ითვლებიან განვითარებად მოწაფეებად. ასეთი მოწაფეები აღირიცხებიან როგორც „ახალი მოწაფეები“ ან „სხვა მოწაფეები“.

**მიღებული და დაკავშირებული კონტაქტები:** ადამიანებთან დაკავშირებული კონტაქტების საერთო ჯამი, რომლებთან თქვენ ჩაატარეთ გაკვეთილი ან დანიშნეთ განმეორებით შეხვედრა. როგორც კი თქვენ დაუკავშირდით ადამიანს ის უკვე აღარ ითვლება „პერსპექტიულ კონტაქტად“ ის გადადის ან ახალი მოწაფეების კატეგორიაში, რომელთანაც მომავალში გაგრძელდება მუშაობა ან იშლება სიიდან. კონტაქტი ასევე ითვლება განხორციელებულად როდესაც მრავალი ცდის მიუხედავად თქვენ ვერ დაუკავშირდით პიროვნებას ან მისამართი, რომელიც მოგაწოდეს არის არასწორი. ამ კონტაქტებს აგზავნიან უკან მისიის ოფისში, თანდართული განმარტების წერილით თუ რატომ ვერ დაუკავშირდით კონტაქტს.

მიღებული კონტაქტების საერთო რაოდენობაში შედის ის პირები, რომლებიც თქვენ მიიღეთ (წევრებისგან, მოწაფეებისაგან ან ეკლესიის მთავარი სამმართველოდან) მაგრამ ჯერ პირადად არ დაკავშირებულხართ. ანგარიშისათვის, კონტაქტების რაოდენობა, რომლებსაც თქვენ ჯერ არ დაუკავშირდით, გადადის კვირიდან კვირაზე. ყოველი ახალი კონტაქტი ემატება ამ სიას და ყოველი პიროვნება, რომელსაც დაუკავშირდით იშლება კონტაქტების სიიდან. გახსოვდეთ, რომ „დაკავშირებული კონტაქტები“ ნიშნავს პიროვნებების იმ რაოდენობას, რომლებსაც თქვენ დაუკავშირდით აღრიცხული კვირის განმავლობაში.

**ახალი მოწაფეები:** პიროვნებების საერთო რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ გაკვეთილი და დაენიშნათ დამატებითი შეხვედრა.

**ახლადმოქცეულებისა და ნაკლებად აქტიური წევრებისათვის ჩატარებული გაკვეთილები:** გაკვეთილების საერთო რაოდენობა, რომლებიც ჩაუტარდათ ახლადმოქცეულებს, რომლებიც ერთ წელზე ნაკლებია რაც არიან ეკლესიის წევრები და ნაკლებად აქტიურ წევრებს.

როდესაც ისახავთ მიზნებს და სამუშაო გეგმებს, შეაფასეთ თქვენი მალისხმევა იმ კუთხით თუ რამდენად ხელს უწყობს თქვენი საქმიანობა ყოველი ამ მირითადი მაჩვენებელის ზრდას. თქვენი მიზანია მიაღწიოთ თითოეული მირითადი მაჩვენებლის ზრდას.

თქვენ გააკეთებთ უფრო მეტს, ვიდრე არის აღწერილი ამ მაჩვენებლებში, მაგალითად დაამყარებთ კონტაქტს ქუჩაში ან შეისწავლით წმინდა წერილებს თქვენ დამოუკიდებლად და მმადნაფიცთან ერთად. ეს მნიშვნელოვანი ღონისმიებები დაგეხმარებათ მიაღწიოთ წარმატებას ერთ ან რამოდენიმე მირითადი მაჩვენებლის ამაღლებაში. მაგალითად როცა თქვენ ასწავლით იმ ადამიანებს, რომლებიც დამოუკიდებლად მომებნეთ, ამით თქვენ ზრდით ახალ მოწაფეთა რაოდენობას. ასევე ანალოგიურად თქვენი დამოუკიდებელი და მმადნაფიცთან ერთად მეცადინეობა წმინდა წერილების შესასწავლად, აამაღლებს თქვენ უნარს ასწავლოთ სულით და მოუტანს დალოცვებს ყველა მოწაფეს, როგორც ახალს, ასევე განვითარებადს. ადამიანების მომებნის და მათი სწავლების უნარი აამაღლებს ყველა

შენიშვნები

მირითად მაჩვენებელს. შეაფასეთ თქვენი სამუშაო იმის მიხედვით, თუ იზრდება თუ არა ადამიანთა რაოდენობა ამ კატეგორიებში. თუ თქვენ ან თქვენი მმადნაფიცი ვერ ხედავთ ამ ღონისმიებებიდან მიღებულ შედეგს, ანუ არ იზრდება არცერთი მირითადი მაჩვენებელი, მაშინ უნდა დაფიქრდეთ იმაზე, ღირს თუ არა ამ ღონისმიებებზე თქვენი დროის კარგვა.

### ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

სამეცადინო რვეულში ჩამოწერეთ ბოლო სამი დღის განმავლობაში ჩატარებული ყველა თქვენი პრობლემური ღონისძიებები. განსაზღვრეთ, იმოქმედა თუ არა თითოეულმა ღონისძიებამ, ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელზე. თუ იმოქმედა, მაშინ ამ ქმედების გვერდით მიაწერეთ - *დიახ*. თუ არ იმოქმედა - *არა*. თოთოეული დადებითი პასუხის გვერდით მიაწერეთ თუ როგორი შედეგი იქონია ამ ღონისძიებამ, ხოლო თითოეული უარყოფითი პასუხის გვერდით მიაწერეთ რატომ ჩაატარეთ ის და თუ გააგრძელებთ მომავალში ამ ღონისძიების ჩატარებას. ესაუბრეთ თქვენ ძმადნაფიცს და აუხსენით თუ რატომ აღნიშნეთ ზოგი ქმედება „*დიახ*“ და ზოგი „*არა*“. შემდეგ განიხილეთ თუ რომელი ღონისძიება უნდა შეწყვიტოთ.

## რაიონის წიგნი და დაგეგმარებისა და ანგარიშგების საშუალებები

მათზე, ვინც მოვიდა ეკლესიაში ნათლობით და წევრად დამტკიცებით, მორონი წერდა: „მათი სახელები აღირიცხა იმისათვის რომ გვახსოვდეს ყველა მათგანი და ივვებებოდნენ ისინი ღმერთის კეთილი სიტყვით, და იმყოფებოდნენ სწორ გზაზე“ (მორონი 6:4).

თქვენ გაქვთ ყველა ის საშუალება, რაც დაგეხმარებათ გააკეთოთ მნიშვნელოვანი ჩანაწერები ყველა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ასწავლით. ეს საშუალებები ასევე გეხმარებიან გაუზიაროთ ინფორმაცია სათანადო მოცულობით იმათ, ვისაც ის სჭირდება, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ სურათში.




ყველა ეს საშუალებები და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია თქვენი მუშაობისათვის, არის „რაიონის წიგნში“ და „მისიონერის დღიურში“. რაიონის წიგნი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

- **რაიონის რუკა**
  - რაიონის რუკა საზღვრების მონახაზით
- **განვითარების მსვლელობის ჩანაწერები**
  - განვითარების მსვლელობის ჩანაწერის ფორმები
- **მოწაფეები ნათლობის თარიღით**
  - ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ
- **განვითარებადი მოწაფეები**
  - ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ
- **ახალი და სხვა მოწაფეები**
  - ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ
- **პოტენციური მოწაფეები**
  - ფორმები პოტენციური მოწაფეების შესახებ

- ფორმები მედიიდან მიღებული კონტაქტებისა და სხვა ინფორმაციის წყაროებიდან მიღებული კონტაქტების შესახებ

- **ყოფილი მოწაფეები**
  - ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ
- **ახლადმოქცეულები და ნაკლებად აქტიური წევრები**
  - ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ
- **ინფორმაცია მეურვეობის და მისიის შესახებ**
  - მეურვეობის ტელეფონის ნომრების სია
  - მეურვეობის თანამდებობების სია
  - მეურვეობისა და მისიონერთა შეკრებების ცხრილი

- ოჯახების სია, რომლებშიც ყველა წევრი არ არის ეკლესიის წევრი
- თქვენი ოლქის ან მხარის მისიონერთა სია

- **ხელმძღვანელები**
  - შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიშები
- **ინფორმაცია რაიონის შესახებ**
  - ბინის შესახებ ინფორმაცია
  - საზოგადოებრივი ტრანსპორტი
  - საპარიკმახერო
  - სამრეცხაო
  - საყიდლების ადგილები
  - ადგილები, რომლებსაც სჯობს თავი აარიდოთ
  - კონტაქტები

### რაიონის წიგნი

ყველა იმ ტერიტორიას, სადაც მიმდინარეობს მისიონერული მუშაობა, აქვს „რაიონის წიგნი“, სადაც იწერება ანგარიში თქვენი ყოველდღიური მუშაობის შესახებ. ყოველდღიურად განაახლეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გამოიყენეთ ეს ანგარიშები ყოველკვირეული დაგეგმარების სესიის დროს. ჩანაწერები გააკეთეთ აკურატულად, რეგულარულად და ზუსტად იმისათვის რომ ნებისმიერ სხვა მისიონერს შეეძლოს თქვენს შთაგონებულ მსახურებაზე დაყრდნობით რაიონის აღშენება. ხელმძღვანელების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში თან იქონიეთ რაიონის წიგნი, როდესაც მიდიხართ გასაუბრებაზე ან სამხარეო კონფერენციაზე, იმისათვის რომ მისიის ხელმძღვანელებმა გადაიკითხონ ის და გირჩიონ თუ როგორ გამოიყენოთ ის უფრო ეფექტურად.

თქვენ უნდა გამოიყენოთ „რაიონის წიგნის“ რომელიმე ნაწილი ყოველდღიურად მაშინ, როდესაც განაახლებთ და დასახავთ თქვენ გეგმებს. როდესაც მოგთხოვენ, მიიტანეთ „რაიონის წიგნი“ გასაუბრებაზე ან სამხარეო კონფერენციაზე იმისათვის რომ მისიის ხელმძღვანელებმა შეძლონ მისი განხილვა. როდესაც გადაგიყვანენ სხვა რაიონში, ეს წიგნი დარჩება თქვენს ბინაში, იმისათვის რომ მომავალმა მისიონერებმა ისარგებლონ თქვენს მიერ შეგროვილი ინფორმაციით.

შენიშვნები

აკურატულად და ზუსტად შეიტანეთ ამჟამინდელი ინფორმაცია „რაიონის წიგნში“ იმ ადამიანების შესახებ, ვისთანაც მუშაობთ. ქვევით მოყვანილია თქვენთვის განკუთვნილი საშუალებების განმარტება.

**ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ:** ეს ფორმა დაგეხმარებათ დაწვრილებით ჩანაწერების გაკეთებაში, მოწაფეების, ახლადმონათლულებისა ან ეკლესიის ნაკლებად აქტიური წევრების შესახებ, რომლებსაც თქვენ ასწავლით.

- პირადი ინფორმაცია.
- ნათლობის და წევრად დამტკიცების თარიღები.


THE CHURCH OF JESUS CHRIST OF LATTER-DAY SAINTS

Teaching Record

| Proselyting area | Ward or branch | Stake or district |
|---|---|---|

**Personal Information** (See reverse side for additional personal information.)

| Name(s) of person or couple | *Type | Age | Date of initial contact | Scheduled baptism date | Actual baptism date | Confirmation date | Names of children (Additional names may be written in the Background information section on the back.) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | Age / Age |
| | | | | | | | Age / Age |

| Address | Phone number | Missionaries who began teaching |
|---|---|---|

| Names of fellowshippers and home or visiting teachers | Phone number | Address |
|---|---|---|

*Type: I – Investigator; PC – Recent convert; LA – Less-active member; M – Member; PM – Part-member family

**Date Lessons and Principles Taught** (Circle if taught with a member present.)

| Message of the Restoration | Before Baptism | After Baptism | Commandments | Before Baptism | After Baptism |
|---|---|---|---|---|---|
| God is our loving Heavenly Father | | | Obedience | | |
| The gospel blesses families | | | Pray often | | |
| Gospel dispensations | | | Study the scriptures | | |
| The Savior's earthly ministry | | | Keep the Sabbath day holy | | |
| The Great Apostasy | | | Baptism and confirmation | | |
| The Restoration: Joseph Smith | | | Follow the prophet | | |
| The Book of Mormon | | | Keep the Ten Commandments | | |
| Prayer, Holy Ghost | | | Live the law of chastity | | |
| **Plan of Salvation** | | | Obey the Word of Wisdom | | |
| Pre-earth life | | | Keep the law of tithing | | |
| The Creation | | | Observe the law of the fast | | |
| Agency and the Fall | | | How to donate tithes and offerings | | |
| Our life on earth | | | Obey and honor the law | | |
| The Atonement | | | **Laws and Ordinances** | | |
| The spirit world | | | Priesthood and auxiliaries | | |
| Resurrection, judgment, and immortality | | | Missionary work | | |
| Kingdoms of glory | | | Eternal marriage | | |
| **Gospel of Jesus Christ** | | | Temples and family history | | |
| Cleansed from sin | | | Service | | |
| Faith in Jesus Christ | | | Teaching and learning | | |
| Repentance | | | Endure to the end | | |
| Baptism, our first covenant | | | **Review Baptismal Interview Questions** | | |
| The gift of the Holy Ghost | | | | | |
| Endure to the end | | | | | |

**Status of Commitments or Activities for Investigator or Head of Household**

| Invited | Keeping | |
|---|---|---|
| | | Read from the Book of Mormon |
| | | Pray about Joseph Smith and the Book of Mormon |
| | | Attend sacrament and other meetings |
| | | Children attend Primary, Young Men, or Young Women |
| | | Introduce family and friends to the missionaries |
| | | Attend a baptismal service |
| | | Meet the bishop and members of the ward council |
| | | Develop friendships with ward members |
| | | Keep the Ten Commandments |
| | | Live the law of chastity |
| | | Live the Word of Wisdom |
| | | Live the law of tithing |
| | | Live the law of the fast |
| | | Live the law of the land |
| | | Be interviewed for baptism and confirmation |
| | | Invite friends and family to attend their baptism and confirmation |
| | | Be baptized and confirmed |
| | | Have daily individual prayer and scripture study |
| | | Have daily family prayer and scripture study |
| | | Hold weekly family home evening |
| | | Receive the priesthood |
| | | Receive a Church calling |
| | | Participate in proxy baptisms |

(See reverse side for additional personal information.)

*(წინა მხარე)*

- აქ ჩაიწერება ჩატარებული გაკვეთილების თარიღები, რომლებზეც თქვენ ასწავლეთ პრინციპები, რომლებიც ისწავლება ხუთ გაკვეთილში, ასევე, მათზე ესწრებოდათ თუ არა ეკლესიის წევრი. ეს ნაწილი საშუალებას გაძლევთ გადაათვალიეროთ ყველა გავლილი თემა მათი სწავლების თანმიმდევრობის მიუხედავად.
- თქვენ შეგიძლიათ გადაავლოთ თვალი თუ რომელი გაკვეთილი ჩატარდა მონათვლამდე და რომელი მონათვლის შემდეგ.
- აქ ჩაიწერება მოწაფეთა მიერ აღებული ვალდებულებები და თუ როგორ ასრულებენ მათ ისინი. აქ თქვენ ჩაწერთ იმ თარიღებს, თუ როდის შესთავაზეთ ამ ვალდებულებების აღება და როგორ თანმიმდევრულად შეასრულეს მათ ისინი.

შენიშვნები

- ამ სექციაში ჩაიწერება ზოგადი ინფორმაცია ოჯახზე ან ადამიანზე. არ ჩაწეროთ მალიან პირადი ან ნეგატიური კომენტარები.
- ამ გრაფაში ჩაიწერება მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩატარებული გაკვეთილების და გასაუბრებების შესახებ. თქვენ შეგიძლიათ აღნიშნოთ ის შეკითხვები, რომლებიც გაუჩნდათ თქვენს მოწაფეებს, ასევე ის სიძნელეები, რომლებიც წარმოიქმნა მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას და რა წარმატებებს მიაღწიეს მათ წმინდა წერილების შესწავლაში და ლოცვებში. თქვენ შეგიძლიათ ასევე აღნიშნოთ დაესწრნენ თუ არა ისინი საეკლესიო შეკრებებს და რომელ თავებს კითხულობენ მორმონის წიგნიდან.
- ამ სექციაში თქვენ ჩაწერთ კომენტარებს განმეორებით ვიზიტებზე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ან ოჯახი, აღარ არის დაინტერესებული ეკლესიით.


Teaching Record (continued)

Background Information

Comments about Teaching Visits

Former Investigator Status

(უკანა მხარე)

„ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ" ჩანაწერები კონკრეტულ ადამიანზე ან ოჯახზე უნდა დარჩეს „რაიონის წიგნში" იქამდე, სანამ ადამიანი ან ოჯახი არ გახდებიან ეკლესიის აქტიური წევრები, ან ამოიშალოს გადასახლების და გარდაცვალების შემთხვევაში.


THE CHURCH OF JESUS CHRIST OF LATTER-DAY SAINTS

Progress Record

Key Indicators: Week ending

**განვითარების მსვლელობის ჩანაწერი:** ეს ჩანაწერები საშუალებას იძლევიან შეაჯამოთ მოწაფეების ასევე ახლადმონათლულების და ეკლესიის ნაკლებად აქტიური წევრების განვითარების მაჩვენებლები, მათი ვისაც თქვენ ასწავლით. ასევე გამლევთ საშუალებას მირითადი მაჩვენებლების ანგარიშის შედგენაში. გამოიყენეთ ეს ინფორმაცია მეურვეობის და პალოს ლიდერებთან თქვენი მისიონერული მუშაობის კოორდინირებისთვის, ასევე მეურვეობის ხელმძღვანელებთან მეურვეობის საბჭოს მისონერების საკორდინაციო კრებებზე. ეს ანგარიში თქვენ უნდა განაახლოთ ყოველკვირეული დაგეგმარების სესიის დროს ან მეურვეობის საბჭოს კრების წინ. თუ შესამლებელი იქნება მიაწოდეთ ამ ანგარიშის ასლები ყოველ კვირას ან საჭიროებისამებრ, ეპისკოპოსს,

შენიშვნები

მეურვეობის მისიის ხელმძღვანელს და მეურვეობის საბჭოს სხვა წევრებს. დარწმუნდით, რომ ინფორმაცია, რომელიც თქვენ ჩაწერეთ „განვითარების მსვლელობის ჩანაწერში“ არის აკურატული, სრული და ზუსტი. ეს განამტკიცებს თქვენს მიმართ მეურვეობის საბჭოს წევრების ნდობას. გამოიყენეთ „შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიში“ და „მისიონერთა ყოველკვირეული ანგარიში“ იმისათვის რომ შეატყობინოთ რამდენი ნათლობა ჩატარდა და რამდენი წევრი დამტკიცდა გასულ კვირას. ასევე, დაუყოვნებლივ წარადგინეთ ზუსტი და სრული ნათლობის ჩანაწერები, რადგან ეკლესიის ოფიციალური საწევრო ჩანაწერები არ ფორმდება მანამდე, სანამ მისია არ შეატყობინებს ეკლესიის მთავარ სამმართველოს ნათლობის და წევრად დამტკიცების შესახებ.

**პოტენციური მოწაფეები:** ეს ფორმა საშუალებას გაძლევთ იქონიოთ ჩანაწერები ადამიანებზე, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, რომ გახდნენ მოწაფეები.

- პოტენციური მოწაფის სტატუსი. (იყო თუ არა, პიროვნება ამოშლილი მოწაფეების სიიდან, ამჟამად იღებს თუ არა გაკვეთილებს, არის თუ არა საჭირო განმეორებითი ვიზიტი?)
- როგორ შედგა კონტაქტი პიროვნებასთან, მრევლის მიერ იქნა მითითებული თუ მისიონერებმა იპოვეს თვითონ.
- თარიღი როდესაც პიროვნებასთან შედგა კონტაქტი.
- მნიშვნელოვანი შენიშვნები.




მისიონერის დღიურის „პოტენციური მოწაფეების“ განყოფილებიდან გადაიწერეთ მნიშვნელოვანი შენიშვნები „პოტენციური მოწაფეების“ ფორმაში. გამოიყენეთ ეს ინფორმაცია განმეორებითი ვიზიტისათვის, განიხილეთ წევრების მისიონერული მოღვაწეობა მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან, ასევე დაგეგმეთ სხვა ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება ამ ადამიანებს, რომ დაიწყონ აღდგენილი სახარების სწავლა. ეს ფორმა ასევე გამოიყენება როგორც ისტორიული მონაცემების არქივი, რაიონის მომავალი მისიონერებისათვის. სხვა რაიონში გადაყვანის წინ, დარწმუნდით, რომ ამ ფორმაში, მისიონერის დღიურიდან გადაწერილი გაქვთ ყველა მნიშვნელოვანი მონაცემები.

შენიშვნები

**შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიში:** ყოველკვირეულად შეავსეთ ეს მოხსენება იმისათვის რომ იქონიოთ ინფორმაცია ყველა მირითადი მაჩვენებლისათვის. ყოველი მისიონერების წყვილმა უნდა გამოიყენოს „შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიში“ რომელიც დაბეჭდილია „მისიონერის დღიურის“ ბოლო გვერდზე იმისათვის რომ მიაწოდოს ეს ინფორმაცია ოლქის მისიონერების ხელმძღვანელს. ოლქის ხელმძღვანელი ჩაწერს სახელებს ყოველი მისიონერების წყვილიდან ასევე მათ მიერ მოწოდებული მირითადი მაჩვენებლების შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიშზე. შემდგომ ის აჯამებს მისი ოლქის შედეგებს ფორმის ქვედა ნაწილში. ინფორმაცია მიეწოდება ზემდგომ ინსტანციას. ოლქის ხელმძღვანელი გადასცემს ოლქის შედეგებს მხარის ხელმძღვანელებს, ისინი შესაბამისად აჯამებენ მხარის მაჩვენებლების ინფორმაციას და გადასცემენ მისიის პრეზიდენტის თანაშემწეებს. პრეზიდენტის თანაშემწეები გადასცემენ მისიის შედეგების მონაცემებს მისიის პრეზიდენტს.




**მისიონერის დღიური:** ამ საშუალებაში შედიან შემდეგი:

- ყოველდღიური ცხრილი ექვსი კვირისათვის, მეშვიდე კვირა მოცემულია შემოკლებულ ფორმაში.
- ყოველკვირეული მიზნების გვერდები.
- მითითებების კრებული დაგეგმარებისათვის, ღონისძიებების სია, რომლებსაც ადამიანი მიჰყავს ნათლობისაკენ, წევრად დამტკიცებისაკენ და აქტიური მოღვაწეობისაკენ ეკლესიაში, მისიონერთა გაკვეთილების გეგმები, იდეები ადამიანების მოსამებნად, მათ სასწავლებლად და ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები.
- სექცია კონტაქტებზე ინფორმაციის ჩასაწერად, ასევე მოწაფეების და წევრების ტელეფონების ნომრების და მისამართების შესანახად.
- შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიში – თქვენი ყოველკვირეული მოღვაწეობის ანგარიშისათვის.

შენიშვნები

ყოველკვირეული დაგეგმარების სესიაზე, თქვენ ჩაიწერთ მიმდინარე კვირის მიზნებს, „მისიონერის დღიურში“ გვერდზე „კვირის მიზნები“ როგორც ეს არის ქვევით ნაჩვენები.

- ყოველი მირითადი მაჩვენებლის, მიმდინარე კვირის მიზნები.
- კვირის რეალური რეზულტატები. ყოველი დღის რეზულტატები იწერება დღიურის, დღის გეგმის ცხრილში. ამ განყოფილებაში იწერება კვირის საერთო რეზულტატები.




- ადამიანების სახელები, რომლებიც დაგეხმარებიან თქვენი მიზნების მისაღწევად (განვითარებადი მოწაფეები, ახალი მოწაფეები). დაისახეთ მიზნები ამ ადამიანებზე თქვენი იმედის შესაბამისად (ეკლესიის შეკრებაზე დასწრება, მორმონის წიგნის წაკითხვა, ნათლობის თარიღის დანიშვნა და ა.შ.).
- ადგილი სადაც ჩაწერთ სხვა მიზნებს, თქვენი პირადი ან მმადნაფიცთან ერთობლივი.

შენიშვნები

ყოველ დღე საქმიანობის დაგეგმვისას და ქადაგებისას, თქვენ გამოიყენებთ ამ დღიურ განრიგს როგორც მოცემულია ქვევით:

- ყოველდღიური განრიგი, სადაც ჩაწერთ დანიშნულ გაკვეთილებს, შეხვედრებს და ქმედებებს ახალი მოწაფეების მოსამებნად. დაგეგმეთ ისეთნაირად, რომ დღის განმავლობაში, ყოველ საათს, გქონდეთ სასარგებლო ღონისძიებები. ასევე მოცემულია სივრცე სათადარიგო გეგმებისათვის.
- სივრცე სადაც მოცემულია იმ საქმეების ცხრილისათვის რომლებიც უნდა გააკეთოთ (სატელეფონო ზარები, ადამიანებთან შეხვედრები, გაკვეთილების მომზადება, ვალდებულებების შესრულების მიყურადება, და ა.შ.).




- ადგილი, სადაც ჩაიწერთ თუ რას იმეცადინებთ მოწაფეებთან გაკვეთილის ჩატარების წინ.
- ყოველდღიური მიზნები და რეალური შედეგები, ამორჩეული მირითადი მაჩვენებლების მიმართებით.

**მისიონერთა ყოველკვირეული ანგარიში:** ეს ანგარიში გამლევთ საშუალებას პირდაპირ ჩააბაროთ ანგარიში მისიის პრეზიდენტს, ქადაგების ღონისძიებებზე ან სხვა პირად საქმეებზე, რომლებიც გსურთ, რომ გაუზიაროთ. როდესაც წერთ ასეთ ანგარიშს, გამოხატეთ თქვენი აზრები ნათლად და კონკრეტულად, ნუ შეეცდებით მოცემული ადგილის მთლიანად შევსებას. მარტო მისიის პრეზიდენტი წაიკითხავს თქვენ წერილს, ასე რომ ნუ მოგერიდებათ გულახდილი კომენტარების გაკეთება.



შენიშვნები

## როგორ დავისახოთ მიზნები

მიზნები ასახავენ ჩვენი გულის მისწრაფებებს და ჩვენ ხედვას თუ რისი მიღწევა შეგვიძლია. მიზნების და გეგმების მეშვეობით, ჩვენი იმედები გარდაისახება ქმედებებში. მიზნების დასახვა და დაგეგმვა არის რწმენის გამოვლინება. ლოცვით, დაისახეთ მიზნები, რომლებიც ჰარმონიაში იქნებიან მხსნელის მცნებასთან რომელმაც სთქვა „მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და მისა და სულიწმინდის სახელით“ (მათე 28:19).

დაისახეთ მიზნები ყოველი მირითადი მაჩვენებელისათვის. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაისახოთ მიზნები თქვენი პირადი განვითარებისათვის. გააკეთეთ ყველაფერი რისი მალაც შეგწევთ იმისათვის რომ შეასრულოთ თქვენი გეგმები ამავე დროს პატივი სცეთ სხვების თავისუფალ არჩევანს. წარმატების საზომი საბოლოო ჯამში არის არა მარტო მიზნების მიღწევა, არამედ იმ სამსახურითაც, რომელსაც ეწევით ადამიანების განვითარებისათვის. დასახული მიზნები არიან ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას იმლევიან ვაკეთოთ კეთილი საქმეები მამაზეციერის შვილებისათვის. ისინი არ უნდა გამოვიყენოთ პირადი მიზნების და პოპულარობის მისაღწევად.

„მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ არ დავისახავთ ჩვენს ცხოვრებაში მიზნებს, და არ ვისწავლით შრომას ისე, რომ მათ მივაღწიოთ, შესამლოა როდესაც დავბერდებით აღმოვაჩინოთ, რომ რეალიზება გავუკეთეთ ჩვენი პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილს. როდესაც ადამიანი სწავლობს მიზნების დასახვის წესებს ის აუცილებლად მიაღწევს ამ ცხოვრებაში მნიშვნელოვან რეზულტატებს.“

– რურცელ მ. ს•ლ ბ•ლ•ს დი
რ–ს ბ ლ •უ•ლგ•შს დბ ბიდკბ ნ–ეს ენცი•შე ლპ ვწითი მბ ულნებ•, ბ ცპ ბ მბესი 18, 1981

გულდასმით დასახული გეგმები, მოგცემთ ნათელ მიმართულებას, და მათი მეშვეობით თქვენი დღეები შეივსება საქმეებით, რომლებიც დაეხმარებათ ადამიანებს მხსნელში რწმენის განმტკიცებაში, ნათლისღებისაკენ წევრად დამტკიცებისაკენ და ეკლესიაში აქტიურობისაკენ განვითარებაში. რთული მიზნები დაგეხმარებათ ეფექტურად მუშაობაში, მთელი მალების მობილიზებაში და ზრდაში. მიზნების დასახვისას მიჰყევით ქვევით მოყვანილ მითითებებს:

- მიჰყევით სულის კარნახს.
- ყურადღება გაამახვილეთ მირითად მაჩვენებლებზე.
- თქვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ ადამიანები. იმისდა მიუხედავად, რომ თქვენ გამოიყენებთ ციფრებს, შესამლებლობისამებრ თქვენი მონაცემები შეავსეთ ადამიანების სახელებითაც.
- მიზნების დასახვისას, იყავით კონკრეტული და რეალისტურები, ამავე დროს მიზნები უნდა დაისახოთ ისეთი, რომლებიც გიბიმგებთ განვითარებისაკენ.
- ეცადეთ დაისახოთ ყოველკვირეული და ყოველდღიური მიზნები.
- დაისახეთ მიზნები დამოუკიდებელი და მმადნაფიცთან ერთად მეცადინეობისათვის, ასევე ენის სასწავლო მეცადინეობებისათვის, თუ სწავლობთ უცხო ენას.
- თქვენი განვითარება შეაფასეთ ყოველ დღე, ასევე ყოველი კვირის და ყოველი ექვსი კვირის ბოლოს. იმ შემთხვევაში თუ დასახულ მიზანს ვერ მიაღწევთ, შეაფასეთ თქვენი მალისხმევა და ეცადეთ იპოვოთ გზები, რომ მიაღწიოთ დასახულ მიზანს. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება გაუკეთეთ თქვენს მიზნებს.

შენიშვნები

რამოდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი მისიის პრეზიდენტმა შეიძლება დაგისახოთ სრულყოფილების სტანდარტები, ან მისიის მიზნები, იმისათვის რომ აამაღლოს თქვენი ხედვა და რწმენა. სტანდარტები რომლებიც იქნება დასახული ოლქისათვის, მხარისათვის და მისიისათვის, დაგეხმარებათ გამოაჩინოთ შესაძლებლობების მაქსიმუმი, ეფექტურად იმუშაოთ და საუკეთესო შედეგები მიაღწიოთ. მათ არ უნდა შეხედოთ როგორც ნორმატივებს, რომლებიც გამლევენ გარკვეულ მიზნებს თქვენ და თქვენს მმადნაფიც მისიონერს.

### ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

ყოველი მაჩვენებელისათვის დაისახეთ კვირის გეგმები. ყოველი მიზნის დასახვისას, საკუთარ თავს ჰკითხეთ:

- ამ ციფრების მონაცემების უკან რეალური ადამიანებიც არიან?
- არის თუ არა მიზანი კონკრეტული?
- არის თუ არა მიზანი რეალისტური?
- ეს მიზანი მოითხოვს თუ არა ჩვენი ძალების მაქსიმუმს?
- ვართ თუ არა მოწადინებული ამ მიზნის მისაღწევად?

განიხილეთ ყოველი დასახული მიზანი. საჭიროებისამებრ გადაწყვიტეთ თუ რატომ და როგორ შეცვალოთ, რომელიმე მათგანი.

## ყოველკვირეული დაგეგმარების სესია

როდესაც დაისახავთ მიზნებს, გადაწყვიტეთ თუ როგორ მიაღწევთ მათ. თქვენ მმადნაფიცთან ერთად, ყოველკვირეულად უნდა ჩაატაროთ დაგეგმარების სესია, ისეთ დროს და დღეს რომელიც ყველაზე ნაკლებად ეფექტურია ქადაგებისათვის, მაგალითად ხუთშაბათს ან პარასკევს დილით. თქვენი მისიის პრეზიდენტი დაგინიშნავთ დღეს და საათს, ყოველკვირეული დაგეგმარების სესიისათვის. კრების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს ორი ან სამი საათი.

განხილვები უნდა ფოკუსირებული იყოს ადამიანების საჭიროებებზე და თუ როგორ დაეხმაროთ მათ რომ განვითარდნენ. ამ კრების დროს განიხილეთ გასული კვირის მიზნები და დაისახეთ მიზნები მომავალი კვირისათვის ასევე განიხილეთ ქადაგების საქმიანობის ყველა ასპექტი.

კვირა დღის საღამო რეკომენდირებულია გამოიყენოთ სატელეფონო ანგარიშ მოხსენების მოსამზადებლად. კვირა დღეს საღამოს მომზადებული, ეს მოხსენება, იქნება ყველაზე სრულყოფილი და დროული, რადგან ნათლობებისა და წევრად დამტკიცებების უმეტესობები ტარდება შაბათს ან კვირას.

იმის გამო, რომ ყოველკვირეული დაგეგმარების სესია არ დაემთხვევა ყოველკვირეულ სატელეფონო ანგარიშს, სამუშაო გეგმები შეადგინეთ 10 დღის ვადის გათვლით. მაგალითად, თუ თქვენი დაგეგმარების სესია გაქვთ ხუთშაბათს, მაშინ კრება დაიწყეთ იმ გეგმების განხილვით, რომელიც უნდა შესრულებულიყო მიმდინარე კვირას და დაგეგმეთ თუ როგორ მიაღწევთ ამ მიზნებს კვირა დღემდე, შემდეგ დაისახეთ მიზნები და გეგმები შეადგინეთ მომავალი ორშაბათიდან კვირა დღემდე. კვირა დღეს საღამოს, მოამზადებთ გასული კვირის ანგარიშს და მოახსენებთ შედეგებზე ასევე უკვე გექნებათ შედგენილი მომავალი კვირის გეგმები. ქვევით მოყვანილია თუ როგორ უნდა გამოიყენოთ გეგმის შედგენის მითითებები ყოველკვირეული დაგეგმარების სესიაზე.

1. **ილოცეთ და ეცადეთ, რომ მიიღოთ შთაგონება.** სანამ კრებას დაიწყებდეთ, თან იქონიეთ მისიონერის დღიური და რაიონის წიგნი. დაიწყეთ თქვენი დაგეგმარების სესია ლოცვით.

შენიშვნები

როდესაც განიხილავთ ადამიანების მოთხოვნილებებს ეცადეთ მიიღოთ შთაგონება და დაგეგმეთ თუ როგორ ემსახუროთ მათ რომ განვითარდნენ სახარებაში. განსაკუთრებით ილოცეთ თქვენი მოწაფეებისათვის. უნდა გქონდეთ საკმარისი რწმენა იმისათვის რომ მამაზეციერს სთხოვოთ დალოცოს ისინი, მათი ლოცვების პასუხებით, გაუჩნდეთ სურვილი ეკლესიაში დასწრების და ა.შ.

**2. მომავალი კვირისათვის, დაისახეთ მიზნები და გეგმები მოწაფეების ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის.** განიხილეთ ყოველი ადამიანის ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ, რომლებიც მზად არის რომ მოინათლოს ან წევრად დამტკიცდეს მომავალ კვირას. განიხილეთ ყველა მოსამზადებელი სამუშაოები რომლებიც საჭიროა ნათლობისწინა გასაუბრებისათვის, ასევე ნათლობის და წევრად დამტკიცების წირვისათვის. სწავლების მსვლელობის შესახებ ანგარიშის მიხედვით განიხილეთ ყველა ის ვალდებულებები რომლების შესრულებაც შეიმლება გაუჭირდეთ ადამიანებს და როგორ შეგიმლიათ ამაში მათი დახმარება. დაგეგმეთ მათთან ყოველდღიური კონტაქტი. განიხილეთ თუ როგორ შეგიმლიათ დაეხმაროთ ზიარების შეკრებაზე მეურვეობის მისიის ხელმძღვანელს და ეპისკოპოსს, წევრად დამტკიცების საეკლესიო წეს-ჩვეულების ჩატარებაში.

**3. დაისახეთ მიზნები და გეგმები მოწაფეებისათვის, რომლებსაც აქვთ დანიშნული ნათლობის თარიღი.** განიხილეთ ყოველი პიროვნების ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ, რომლებიც უნდა მოინათლონ მომავალ კვირებში. ისაუბრეთ იმ გაკვეთილებზე, რომლებიც უნდა ასწავლოთ მათ. განიხილეთ თუ როგორ შეგიმლიათ დაეხმაროთ მათ ნათლობისათვის და წევრად დამტკიცებისათვის მომზადებაში. ისაუბრეთ იმ მოწაფეებზე, რომლებიც არ მოინათლნენ მათთვის დანიშნულ დღეს. ყურადღებით მოიფიქრეთ და განიხილეთ მათი მოთხოვნილებები. დაისახეთ ახალი მიზნები და გეგმები, რომლებიც დაეხმარებათ მათ, რომ მოემზადონ რომელიმე დღისათვის, როდესაც ისინი შესმლებენ ნათლობის აღთქმისა და წევრად დამტკიცების საეკლესიო წეს-ჩვეულების მიღებას. სწავლების მსვლელობების შესახებ ანგარიშის გვერდზე ფანქრით აღნიშნეთ, სახარების საფუძვლები რომელებსაც აპირებთ, რომ ასწავლოთ და ის ვალდებულებები რომლების დაცვაში მათ დაეხმარებით. განსაზღვრეთ თუ რისი გაკეთება შეგიმლიათ, რომ მათ მიიღონ ეს გაკვეთილები და დაიცვან აღნიშნული ვალდებულებები.



**4. დაისახეთ მიზნები და გეგმები თუ როგორ დაეხმარებით თქვენს მოწაფეებს ზიარებაზე დასწრებისათვის.** განიხილეთ ყოველი მოწაფის ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ და მათი ზიარებაზე დასწრების ანგარიში. მოწაფეები რომლებიც ესწრებიან ზიარებას რეგულარულად, განიხილეთ თუ რა უნდა გააკეთოთ, რომ მათ განამტკიცონ თავიანთი სულიერი განათლება. მათ ვინც არასდროს დასწრებია ზიარების შეკრებას, ისინი რომლებიც დაესწრნენ მხოლოდ ერთხელ ან ესწრებიან იშვიათად, განიხილეთ თუ რა უშლით მათ ხელს დასწრებისათვის. მაგალითად, შეიმლება მათ სჭირდებათ ტრანსპორტით დახმარება ან შეიმლება ეშინიათ ან მათთვის უცხო იყოს უკანასკნელი დღეების წმინდანთა წირვები, ან შეიმლება მათ წარსულში ჰქონდათ რელიგიასთან დაკავშირებული უარყოფითი გამოცდილება. განიხილეთ თუ რა შეგიმლიათ გააკეთოთ, რომ დაეხმაროთ მათ ამ წინაღობების გადასალახავად. დასახეთ მიზნად გარკვეული რაოდენობის მოწაფეების მოწვევა მომავალი ზიარების შეკრებაზე. დაგეგმეთ თუ ვინ მიიყვანს ამ ადამიანებს ეკლესიაში, ვინ მიესალმება მათ და ვინ დაჯდება მათთან

შენიშვნები

გვერდზე შეკრების დროს. დაგეგმეთ, ქვორუმის, დამხმარე ორგანიზაციის რომელიმე ხელმძღვანელთან და რომელიმე მასწავლებელთან დაკავშირება, რომ იზრუნონ ამ მოწაფეზე. ასევე თქვენს გეგმაში გაითვალისწინეთ თუ როდის შეატყობინებთ ამაზე ეპისკოპოსს. განვითარების მსვლელობის ჩანაწერში, ჩამოწერეთ გზები, რომლებითაც მეურვეობის საბჭოს შეუძლია თქვენთვის დახმარების გაწევა. დაგეგმეთ თუ რა უნდა გააკეთოთ კვირის ყოველი დღის განმავლობაში, რომ მოამზადოთ ეს ადამიანები შეკრებებზე რეგულარულად დასწრებისათვის.

**5. დაისახეთ მიზნები და გეგმები გაკვეთილებისათვის, რომლებიც უნდა ასწავლოთ განვითარებად მოწაფეებს.** განიხილეთ ყოველი განვითარებადი მოწაფის ანგარიში სწავლების მსვლელობების შესახებ, რომლებსაც ასწავლიდით წევრის თანდასწრებით. განიხილეთ თუ როგორ ითვისებენ ისინი გაკვეთილებს. განიხილეთ ვალდებულებები ანგარიშში სწავლების მსვლელობის შესახებ, რომლებსაც ისინი ცდილობენ დაიცვან ან შეასრულონ. განიხილეთ თუ როგორ დაეხმაროთ მეურვეობის წევრებს და მეურვეობის საბჭოს, რომ მონაწილეობა მიიღონ მოწაფის განვითარებაში. დაისახეთ მიზნები თქვენი მომავალი გაკვეთილებისათვის, ვალდებულებებისათვის, რომლების შესრულებაშიც დაეხმარებით, განსაკუთრებით, ეკლესიაში დასწრების შესახებ და დაისახეთ მათთვის მნიშვნელოვანი მიზნები, რომლებითაც თქვენ მათ დაეხმარებით მომავალი რამოდენიმე კვირის განმავლობაში.

განიხილეთ ყოველი განვითარებადი მოწაფის ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ, რომლებსაც ასწავლიდით წევრის დასწრების გარეშე. ეს მოწაფეები შეიმლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოიმიეთ თქვენი მალისხმევით. განიხილეთ მღვდლობის ან დამხმარე ორგანიზაციის რომელი ხელმძღვანელი შეიმლება იყოს მათი მეგობარი. განიხილეთ ის გაკვეთილები, რომლებსაც მათ ასწავლით და ვალდებულებები რომლების შესრულებაშიც დაეხმარებით. დაისახეთ მიზნები იმ გაკვეთილებისათვის რომლებიც თქვენ უნდა ასწავლოთ, როგორ მოიწვევთ წევრებს და როგორ დაეხმარებით ამ მოწაფეებს, რომ დაესწრონ ზიარების შეკრებას. ჩაიწერთ ეს მიზნები ანგარიშში სწავლების მსვლელობის შესახებ და შეადგინეთ აუცილებელი გეგმები.

**6. დაისახეთ მიზნები და გეგმები გაკვეთილებისათვის, რომლებიც უნდა ასწავლოთ ყველა სხვა მოწაფეებს.** განიხილეთ ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ იმ მოწაფეების რომლებიც არ ვითარდებიან. განიხილეთ თუ რატომ არ ასრულებს ყოველი ეს მოწაფე ვალდებულებებს. განიხილეთ თუ როგორ შესმლებთ მღვდლობის და დამხმარე ორგანიზაციის ხელმძღვანელების დახმარებით დაიმეგობროთ ეს მოწაფეები. განიხილეთ იგივე პუნქტები, რომლებიც მოცემულია მე-5 პუნქტში. დაისახეთ მიზნები და გეგმები რომ დაეხმაროთ ამ ადამიანებს, რომ განვითარდნენ. ჩაიწერეთ ეს მიზნები ანგარიშში სწავლების მსვლელობების შესახებ.

**7 დაისახეთ მიზნები და გეგმები იმისათვის რომ შეხვდეთ და ასწავლოთ იმ ადამიანებს, რომელებზეც ინფორმაცია მიიღეთ წევრებისგან, მოწაფეებისგან, არაწევრებისგან და ეკლესიის მთავარი სამმართველოდან.** განიხილეთ პოტენციური მოწაფეების ფორმები. განიხილეთ ყველა მიღებული კონტაქტები. განიხილეთ კონტაქტები რომლებსაც ჯერ არ დაკავშირებულხართ. დაისახეთ მიზნები და გეგმები, რომ კვირის განმავლობაში შეხვდეთ რაც შეიმლება მეტ კონტაქტს, ამასთანავე შესამლებლობისამებრ შეეცადეთ შეხვდეთ სიაში მყოფ ყველა კონტაქტს. კონტაქტებს, რომლებსაც მიიღებთ ეკლესიის მთავარი სამართველოდან, თუ შეგიმლიათ უნდა დაუკავშირდეთ 24 საათში. განიხილეთ თუ როგორ შეგიმლიათ დაიწყოთ ურთიერთობა პიროვნებასთან ან ოჯახთან და რა გაკვეთილი შეგიმლიათ მათ ასწავლოთ. თუ კონტაქტი მოგაწოდეს ეკლესიის მთავარი სამმართველოდან, განიხილეთ თუ როგორ ასწავლით მათ სახარებას, მათ მიერ მოწოდებული ვიდეომასალის, წიგნისა ან სხვა მასალის გამოყენებით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს მასალები არის თქვენს განკარგულებაში. თუ ამას ჩათვლით შესაფერისად დაუკავშირდით კონტაქტს ტელეფონით და დანიშნეთ მასთან შეხვედრა. განიხილეთ თუ როგორ იმუშავებთ ამ ადამიანთან მომავალში.

შენიშვნები

**8 დაისახეთ მიზნები და გეგმები, რომ მოიძიოთ წევრებისგან, მოწაფეებისაგან და არაწევრებისაგან ახალი კონტაქტები.** ლოცვით განსაზღვრეთ თუ რომელ წევრებს და მოწაფეებს შეგიძლიათ ესტუმროთ. დაგეგმეთ თუ როგორ დაეხმარებით მათ, რომ მოიწვიონ თავიანთი მეგობრები და ოჯახის წევრები იმისათვის რომ შეისწავლონ აღდგენილ სახარება. განიხილეთ თუ როგორ შეგიძლიათ მათი ჩართვა მისიონერულ სამსახურში. დაგეგმეთ შეხვედრები და დასახეთ აუცილებელი ღონისძიებები.

**9. დაისახეთ მიზნები და გეგმები გაკვეთილებისთვის რომლებიც უნდა ასწავლოთ ახლადმოქცეულებს და ნაკლებად აქტიურ წევრებს.** განიხილეთ ყველა ახლადმოქცეულის და ნაკლებად აქტიური წევრის ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ, რომლებსაც თქვენ ასწავლით. დასახეთ მიზნები და გეგმები იმ გაკვეთილებისთვის, რომლებიც თქვენ უნდა ასწავლოთ. განსაზღვრეთ თუ როგორ დაეხმარებით ამ ადამიანებს, რომ დაესწრონ ზიარებას და შეასრულონ ვალდებულებები.

**10. დაისახეთ მიზნები და გეგმები, რომ იპოვოთ ახალი მოწაფეები.** განიხილეთ გასული კვირის ღონისძიებები, რომ მოიმიოთ ახალი მოწაფეები მოწოდებული კონტაქტებით, მსახურობის მეშვეობით და პირადად თქვენს მიერ მოწაფეების მებნის ღონისმიებებით. გამოიყენეთ ინფორმაცია რაიონის წიგნის განყოფილებიდან „პოტენციური მოწაფეები“. განიხილეთ თუ რატომ გახდნენ ზოგიერთი ადამიანები მოწაფეები და სხვები არა. დაისახეთ მიზანი თუ რამდენ ახალ მოწაფეს იპოვით ამ კვირას. გამოარჩიეთ ადამიანები, რომლებიც შესამლებელია გახდნენ მოწაფეები. ასევე გამოარჩიეთ წევრები ან ნაწილობრივად გაწევრიანებული ოჯახები და კონტაქტები, რომლებსაც გინდათ მოინახულოთ, ასევე როგორ შეგიძლიათ ადამიანებისათვის სამსახურის გაწევას. დაგეგმეთ თუ რომელ საშუალებას გამოიყენებთ მოწაფეების მოსამებნად, მაგალითად ეკლესიაში მოსაწვევი ბარათების, ვიდეოკასეტების, საეკლესიო DVD- დისკების, წმინდა წერილების და ბროშურების ადამიანებისათვის დარიგება. ასევე განიხილეთ თუ სად წახვალთ, რომ კონტაქტი დაამყაროთ ადამიანებთან, ყოველ დღე რამდენ ადამიანთან დაამყარებთ კონტაქტს, რომელ მოწაფეებს სთხოვთ დახმარებას ადამიანებთან კონტაქტების მომიებაში, რომელ ყოფილ მოწაფეებს ესტუმრებით ასევე თუ როგორ შეუმლია მეურვეობის საბჭოს მოგეხმაროთ და ა.შ. დასახეთ მომავალი დღისათვის კონკრეტული გეგმა. შეავსეთ დანარჩენი დრო ადამიანების მომიების ღონისმიებებით, რომლებიც დაგეხმარებიან დასახული მიზნების მიღწევაში. დაისახეთ მიზნები და დაგეგმეთ ესაუბროთ იმდენ ადამიანს, რამდენსაც უფალი შეაგხვედრებთ თქვენს გზაზე. ყოველთვის ეცადეთ ემიოთ ადამიანები, რომ ასწავლოთ.

**11. დაგეგმეთ თუ როგორ იმუშავებთ მეურვეობის საბჭოსთან.** ეპისკოპოსი არის თავმჯდომარე პირი, დააფასეთ და პატივი ეცით მას. მისი ხელმძღვანელობით განიხილეთ განვითარების მსვლელობის ჩანაწერი, რომელიც წინა მისიონერთა საკორდინაციო კრებაზე ან მეურვეობის საბჭოზე იყო გამოყენებული. განიხილეთ დავალებები, რომელიც მიიღეთ ეპისკოპოსისაგან ან მეურვეობის მისიის ხელმძღვანელისაგან და მოახსენეთ მათი შესრულების შესახებ. განიხილეთ თუ როგორ შეგიძლიათ სხვების მოწვევა ვისაც შეუძლია დახმარება, როგორებიც არიან, მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი, სამღვდელოების და დამხმარე ორგანიზაციების ხელმძღვანელები, და წევრები. გულდასმით მოამზადეთ განვითარების მსვლელობის ჩანაწერი მომავალი მეურვეობის საბჭოს კრებისათვის, სამღვდელოების აღმასრულებელი საბჭოს კრებისთვის ან მისიონერთა საკორდინაციო კრებისათვის. ყურადღება მიაქციეთ, რომ მოხსენება იყოს გასაგებად და აკურატულად დაწერილი. დაისახეთ მიზნები და გეგმები, რომ ჰარმონიულად იმუშაოთ მეურვეობის ხელმძღვანელებთან. როდესაც შესამლებელი იქნება, გააკეთეთ განვითარების მსვლელობის ჩანაწერის ასლი მეურვეობის ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც დაესწრებიან კრებას.

შენიშვნები

**12. გეგმაში შეიყვანეთ რეგულარული შეხვედრები და კრებები.** თქვენს დღიურში შეიყვანეთ რეგულარული შეხვედრები, როგორებიც არის საოლქო შეკრებები, სამხარეო კონფერენციები, გასაუბრებები და ეკლესიის შეკრებები. განიხილეთ ყველა ის დავალებები, რომლებიც უნდა შეასრულოთ ამ შეხვედრების წინ და ჩაწერეთ ისინი განყოფილებაში„შენიშვნები/გასაკეთებელი საქმეები“.

**13. შეაფასეთ ძმადნაფიცთან ურთიერთობა.** თქვენი ყოველკვირეული დაგეგმარების სესიის შემდეგ მოუყევით მმადნაფიცს იმ გეგმების შესახებ, რომელთა მისაღწევად მისი დახმარება დაგჭირდებათ და სთხოვეთ მას დახმარება ამისათვის. განიხილეთ თქვენს მმადნაფიცთან ურთიერთობა. განიხილეთ წინაღობები, რომლებიც გიშლიან ხელს ერთად მორჩილების სულისკვეთებით მუშაობაში. გადაწყვიტეთ კონფლიქტები. გაუზიარეთ მმადნაფიცს თუ რას ფიქრობთ მის მლიერ მხარეებზე. სთხოვეთ გამოთქვას მოსაზრება, რომ უფრო კარგი ურთიერთობის დამყარება შესძლოთ. საჭიროების შემთხვევაში დაისახეთ მიზანი, რომ გააუმჯობესოთ ურთიერთობები. დაასრულეთ შეხვედრა ლოცვით.

## ყოველდღიური დაგეგმარების სესია

ყოველი დღის ბოლოს უნდა ჩაატაროთ დაგეგმარების სესია. თუ ასწავლით გაკვეთილს შეგიძლიათ არ დაბრუნდეთ სახლში 21:30 საათამდე. სხვა შემთხვევაში დაბრუნდით თქვენს ბინაში 21:00 საათზე და შემდეგ ჩაატარეთ ყოველდღიური დაგეგმარების სესია 21:00 დან 21:30 საათამდე. (მისიის პრეზიდენტებს შეუძლიათ შეცვალონ განრიგი ადგილობრივი პირობების მიხედვით.) გამოიყენეთ იგივე პრინციპები, რომლებსაც იყენებთ ყოველკვირეული დაგეგმარების კრების დროს ოღონდ უფრო გამარტივებულ ფორმაში. ილოცეთ როდესაც განიხილავთ გაკვეთილებს ან თემებს, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ შეისწავლოთ დამოუკიდებლად ან ერთობლივად და რომლებიც დაგეხმარებიან მომავალში გეგმის შედგენაში. ჩაწერეთ ეს თემები გრაფაში, რომელიც მოცემულია ყოველდღიურ განრიგში. განიხილეთ თქვენი დღიური განრიგი. დაგეგმეთ დღე ისეთნაირად, რომ ყოველი საათი იყოს დაკავებული სასარგებლო საქმეებით. კვირა დღეის საღამოს, დაგეგმარების კრების დროს მოამზადეთ თქვენი შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიში, დაწერეთ ყოველკვირეული წერილი მისიის პრეზიდენტისათვის და მომავალი კვირისათვის ჩამოაყალიბეთ თქვენი მიზნები.

მეორე დღეს სანამ გამოხვალთ ბინიდან, განიხილეთ თქვენი მიზნები, გეგმები და განრიგი. საჭიროების შემთხვევაში შეიტანეთ შესწორებები. ყოველთვის ილოცეთ სანამ გამოხვალთ ბინიდან. თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ დღე დაგეგმეთ წარმატებულად, როდესაც სხვას არ შეეკითხებით „ეხლა რა ვქნა?“

## ანგარიშვალდებულება

ანგარიშვალდებულების პრინციპს აქვს ფუნდამენტალური მნიშვნელობა ღმერთის მარადიულ გეგმაში. ჩვენ ყველა წარვსდგებით უფალის წინაშე უკანასკნელ სასამართლოზე, რომ ჩავაბაროთ ანგარიში იმ შესამლებლობების გამოყენებისათვის რომლებიც მან მოგვცა (იხილეთ ალმა 5:15–19; მომღვრება და აღთქმები 137:9). მისიაში მსახურობისას თქვენ ბევრს ისწავლით ანგარიშვალდებულების შესახებ, რომელიც ბევრად დაგეხმარებათ თქვენს მომავალ ცხოვრებაში. ანგარიშვალდებულების პრინციპებით იქნებით დალოცვილი თუ:

> *„იქ სადაც საქმიანობას აღრიცხავენ, სამუშაო უკეთ კეთდება, იქ სადაც საქმიანობას აღრიცხავენ და ანგარიშს აბარებენ, სამუშაო უკეთ კეთდება და სწრაფად.“*
>
> – პრეზიდენტი თომას ს. მონსონი
> „THOU ART A TEACHER COME FROM GOD,“ *IMPROVEMENT ERA,* დეკემბერი 1970, 101

შენიშვნები

- მიზნების და გეგმების დასახვისას, გახსოვდეთ, რომ მოგიწევთ ანგარიშის ჩაბარება სამსახურის შესახებ, თქვენი მისიის ხელმძღვანელების წინაშე, ასევე უფალის წინაშეც ლოცვის დროს.
- იგრძენით პირადი პასუხისმგებლობა იმ წმინდა ნდობისათვის, რომელიც უფალმა გამოიჩინა თქვენს მიმართ.
- დაისახეთ მნიშვნელოვანი მიზნები.
- იყავით ინიციატიური თქვენი სამუშაოს წარსდგენისას უფალის და მისიის ხელმძღვანელების წინაშე. ნუ დაელოდებით მათი მხრიდან თხოვნას. ნუ აიძულებთ სხვებს, რომ შეამოწმონ თქვენს მიერ შესრულებული სამუშაო. უნდა გქონდეთ სურვილი, რომ ანგარიში ჩააბაროთ თქვენს ნამუშევარზე.
- მთლიანად პასუხი აგეთ იმაზე, რასაც აკეთებთ. არასდროს დააბრალოთ სხვებს თქვენი წარუმატებლობა და არახელსაყრელი პირობები.
- ეცადეთ ისწავლოთ თქვენი ხელმძღვანელებისაგან და სთხოვეთ მოგცენ რჩევები, რომლებიც დაგეხმარებათ სრულყოფილებისათვის.
- იყავით მოტივირებული, რომ სამუშაო გააკეთოთ, რაც შეიმლება უკეთესად.

ანგარიშვალდებულება არ მოგეთხოვებათ მხოლოდ მისიის ბოლოში, ეს არის პრინციპი, რომლის დაცვას გავლენა აქვს თუ როგორ დაიწყებთ თქვენს მისიას, როგორ ფიქრობთ და გრძნობთ იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მოგეთხოვებათ უფალისაგან, როგორი ურთიერთობა გაქვთ მისიონერული სამსახურისადმი და ბოლომდე როგორ გაუძლებთ. თქვენი მიდგომა მისიისადმი, გამოხატავს თქვენს სიყვარულს მამაზეციერისადმი, მისი მისადმი და თქვენს პატივისცემას მღვდლობისადმი.

როდესაც ლოცულობთ მარტო ან თქვენს მმადნაფიცთან ერთად, ეცადეთ მიიღოთ შთაგონება თუ რა უნდა აკეთოთ ყოველი დღე. როდესაც მიჰყვებით თქვენს გეგმებს, ილოცეთ და სთხოვეთ უფალს, რომ წინ გაგიმღვეთ. მთელი დღის განმავლობაში გულში ილოცეთ, რომ სულმა გიკარნახოთ თუ სად წახვიდეთ და რა სთქვათ და რა გააკეთოთ. დაუსვით თქვენ თავს შეკითხვა, „რა შემიმლია კიდევ გავაკეთო?“ დღის ბოლოს თქვენს ლოცვაში ანგარიში ჩააბარეთ გაკეთებული სამუშაოს შესახებ.

თქვენ ანგარიშს ჩააბარებთ ყოველი კვირისათვის თქვენს მისიის ხელმძღვანელებს, შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიშის გამოყენებით. თუ თქვენ ხართ მისიის ხელმძღვანელი, თქვენ მიიღებთ ამ ინფორმაციას სხვა მისიონერებისაგან. გამოიჩინეთ ინტერესი მათი ცხოვრებისადმი და იმ ადამიანებისადმი, ვისაც ისინი ასწავლიან, და არა უბრალო ციფრების მონაცემებით. ნუ გამოიყენებთ ამ საშუალებებს ან მიღებულ ინფორმაციას კონტროლისათვის ან მართვისათვის. ინფორმაცია რომელსაც თქვენ იღებთ ამ საშუალებების მეშვეობით, დაგეხმარებათ შეაქოთ მისიონერები მათი სიბეჯითისათვის და მოგცემთ მომავალში მათი სწავლების საშუალებას.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რას ნიშნავს ანგარიშვალდებულება?**

მოძღვრება და აღთქმები 58:26–33 მოძღვრება და აღთქმები 101:78 ეზეკიელი 33:1–6

**რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ანგარიშვალდებულებისას თავისუფალი არჩევანი?**

2 ნეფი 2:26–29 ჰელამანი 14:30–31

**როგორ უნდა იმუშაონ ერთად მისიონერმა და მისიის ხელმძღვანელმა?**

მოძღვრება და აღთქმები 38:23–25 ებრაელთა 13:17–18

## გახსოვდეთ შემდეგი

- თქვენი ძალისხმევა გაამახვილეთ თქვენს დანიშნულებაზე.
- დაისახეთ მიზნები ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.
- ილოცეთ მთელი გულით თქვენს მიზნებზე და გეგმებზე.
- გამოიყენეთ რაიონის წიგნი და მისიონერის დღიური იმისათვის რომ დაეხმაროთ ადამიანებს რწმენის განვითარებაში, მონანიებაში, ასევე რომ მოინათლონ, მიიღონ სულიწმინდის ძღვენი და გაუძლონ ბოლომდე.
- ყოველი ძირითადი მაჩვენებლისათვის, დაისახეთ მიზანი რომელიც დაგეხმარებათ ძალების უფრო ეფექტურად გამოყენებაში, რწმენის გამოვლენაში და შედეგიანად შრომაში.
- ჩაატარეთ ყოველკვირეული და ყოველდღიური დაგეგმარების სესიები, რომ ყურადღება გაამახვილოთ ადამიანების სახარებაში განვითარებაში დასახმარებლად.
- ანგარიში ჩააბარეთ თქვენი მოღვაწეობის შესახებ უფალს და მისიის ხელმძღვანელებს.

შენიშვნები

შენიშვნები

# მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

## დამოუკიდებელი მეცადინეობა

- თქვენს სამეცადინო რვეულში, ჩაწერეთ ერთ წინადადებიანი პასუხი დასმულ შეკითხვებზე სექციაში „განიხილეთ შემდეგი."
- რამოდენიმე წუთით დაფიქრდით და წარმოიდგინეთ თქვენი მისიის ბოლო დღეზე, როდესაც ეს დღე დადგება:
  - თქვენი როგორც მისიონერის, რომელი მიღწევები გინდათ რომ დაასახელოთ?
  - როგორი ადამიანი გინდათ რომ გახდეთ?
  - როგორი ცვლილებები გინდათ რომ სხვებმა დაინახონ თქვენში?

  თქვენს სამეცადინო რვეულში, ჩაწერეთ ყოველი ამ შეკითხვის პასუხი. გადაწყვიტეთ თუ რა უნდა გააკეთოთ ეხლა რომ მიაღწიოთ ამ მიზნებს. ჩაიწერეთ ის გეგმები, რომლებიც აზრად მოგივათ.

## ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- თქვენი რაიონის წიგნის გამოყენებით უპასუხეთ ქვევით მოყვანილ შეკითხვებს:
  - არის თუ არა, ყველა ჩანაწერები, განახლებული, აკურატულად დაწერილი და ადვილად წასაკითხი?
  - შესძლებს თუ არა, ამ რაიონის ახალი მისიონერი, რაიონის წიგნის წაკითხვით გაგებას თუ რომელ ადამიანებს სჭირდებათ დახმარება სულიერი განვითარებისათვის და როგორ შეიძლება მათი დახმარება?
  - დაეხმარება თუ არა თქვენი ჩანაწერები, ამ რაიონში ახალ მოსულ მისიონერს ახალი მოწაფეების პოვნაში?
  - წარმოიდგინეთ, რომ თქვენ აჩვენებთ რაიონის წიგნს უფალს და აბარებთ ანგარიშს თუ როგორ ზრუნავდით ადამიანებზე თქვენს რაიონში. იქნებოდა თუ არა უფალი კმაყოფილი თქვენი ძალისხმევით?
- განიხილეთ თქვენი ერთერთი ახალი მოწაფე. თქვენს მისიონერის დღიურში იპოვეთ გვერდი სათაურით „ღონისძიებები, რომლებსაც ადამიანი მიჰყავს ნათლობისაკენ, წევრად დამტკიცებისაკენ და ეკლესიაში აქტიურობისაკენ." აიღეთ ერთი ღონისძიება და ჩამოთვალეთ ყველა ის ქმედებები, რომლებიც საჭიროა რომ ის ჩატარდეს. განიხილეთ თუ როგორ შეგიძლიათ დაგეგმოთ ეს ამოცანები, რომ ეს ღონისძიება ჩატარდეს რაც შეიძლება მალე.
- ძმადნაფიცთან ერთად განიხილეთ შემდეგი შედარება, დღის განმავლობაში რამდენი ხანი გაქვთ „ანკესი" წყალში ჩაშვებული.

  „არცერთი ჩვენგანი არ უნდა იყოს ისეთი მეთევზესავით, რომელიც ფიქრობს რომ მთელი დღე თევზაობდა, რომელიც სინამდვილეში მთელი დღე დახარჯა მხოლოდ, წყალში ჩასასვლელად, მერე იქიდან ამოსასვლელად, საჭმლის ჭამაში და ანკესის მომზადებაში. თევზაობისას წარმატება მოაქვს იმას, თუ რამდენი ხანი არის ანკესი წყალში და არა რამდენი ხანი არ იყავით სახლში. ზოგიერთი მეთევზე სახლიდან სათევზაოდ მიდის თორმეტი საათით და ანკესი წყალში აქვს ჩაშვებული ათი საათი, ზოგი მეთევზე კი, ასევე სათევზაოდ მიდის თორმეტი საათით მაგრამ წყალში ანკესი აქვს ჩაშვებული მხოლოდ ორი საათი. ამ მეორე მეთევზეს შეიძლება უკვირდეს თუ რატომ ვერ იჭერს იმდენ თევზს როგორც პირველი მეთევზე.

  „იგივე პრინციპი ეხებათ მისიონერებს, რომლებსაც მასწავლებელმა მოიხსენია როგორც ადამიანების მეთევზეები. მისიონერმა სათევზაო ანკესი უნდა ჩააგდოს ბინიდან" (დალინ ჰ. ოუკსი, სემინარი ახალი მისიის პრეზიდენტთათვის, ივნისი 20, 2000).

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- მისიონერებს წაუკითხეთ, ქვევით მოყვანილი სიტუაციები მისიონერთა ცხოვრებიდან. გაანაწილეთ ისინი პატარა ჯგუფებად და განიხილეთ მიზნები და გეგმები, რომლებიც დაეხმარებოდათ ადამიანებს ამ სიტუაციებში მისულიყვნენ ნათლობამდე და წევრად დამტკიცებამდე. სთხოვეთ, რომ ყოველმა ჯგუფმა გამოთქვას თავიანთი მოსაზრებები.

შენიშვნები

*სიტუაცია პირველი:* თქვენ გაიცანით ლარი და ბეტი, როდესაც ისინი ამზადებდნენ საუზმეს ჰუმანიტარულ სასადილოში. თქვენ მათ წაუკითხეთ ერთი გაკვეთილი და ახლა მათ უნდათ მეტის გაგება. ისინი არ იცნობენ ეკლესიის რომელიმე წევრს. ბეტი არის ქრისტიანი, ლარის კი, არ აინტერესებს რელიგია. ისინი არ არიან დაქორწინებული მაგრამ ცხოვრობენ ერთად. ლარი მუშაობს საღამოს 4 საათიდან შუაღამემდე. ბეტი მუშაობს დღის საათებში.

*სიტუაცია მეორე:* სტივმა მოისმინა ყველა გაკვეთილები და ესწრება ეკლესიის შეკრებებს თვეში ორჯერ მაინც. მას სწამს, რომ იესებ სმითი არის წინასწარმეტყველი და მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტი. მისი ოჯახის წევრები არიან ღვთისმოშიში კათოლიკები და არ მოსწონთ მისი შეხვედრები მისიონერებთან.

*სიტუაცია მესამე:* ჯილი არის კოლეჯის სტუდენტი, მას ჰყავს მეგობარი რომელიც არის ეკლესიის წევრი. ამ მეგობარმა მოგიწვიათ ჯილთან შესახვედრად. თქვენ ჯილს ჩაუტარეთ ორი გაკვეთილი. მისი წევრი მეგობარი ორივე გაკვეთილზე ესწრებოდა. ის ჯერ არ დასწრებია ეკლესიის შეკრებებს და იმდენად დაკავებულია საშინაო დავალების კეთებით, რომ მისთვის ძნელია მორმონის წიგნის წაკითხვისათვის დროის გამონახვა.

- სთხოვეთ მისიონერებს გაუზიარონ დანარჩენებს გამოცდილება, როდესაც მიზნების და გეგმების დასახვით, მათ შესძლეს ადამიანებისათვის დახმარება:
  - მხსნელში უფრო დიდი რწმენის განვითარებაში.
  - მონანიებაში და ცხოვრების შეცვლაში რითაც ისინი უფრო დაუახლოვდნენ ღმერთს.
  - ნათლობის და წევრად დამტკიცების აღთქმის მიღებაში.
  - ეკლესიაში დაბრუნებაში და ნათლობის აღთქმის განახლებაში.

- გაყავით მისიონრები სამ ჯგუფად. განუმარტეთ, რომ ყოველი ჯგუფი მიიღებს მნიშვნელოვან დავალებას. შემდეგ ყოველ ჯგუფს მიეცით ქვევით მოყვანილი ერთერთი ამოცანა:
  - დაიწყონ ქადაგება ახალ უბანში.
  - მოამზადონ სამხარეო კონფერენციისათვის სასწავლო, სესია რომლის თემა მიძღვნილი იქნება მოწაფეებისათვის მორმონის წიგნთან გაცნობა.
  - დაეხმარონ მოწაფეების ოჯახს, მეურვეობასთან დაახლოებაში. ოჯახი შედგება სამი ბავშვისაგან: 8 წლის გოგო, 12 წლის გოგო და 16 წლის ბიჭი.

  უთხარით მისიონერებს, რომ აქვთ რვა წუთი იმისათვის რომ გეგმა შეადგინონ. ერთერთმა მისიონერმა უნდა დაწეროს გეგმა, ყოველდღიური ღონისძიებების ჩათვლით.

  სთხოვეთ ყოველ ჯგუფს რომ წარადგინოს თავისი გეგმა. ყოველი წარდგენის შემდეგ დაუსვით შეკითხვა:
  - რა უნდა ცოდნოდათ მისიონერებს ყოველი მოცემული სიტუაციებიდან?
  - როგორი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს თუ თქვენ არ დაგეგმავთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ან საერთოდ გეგმის გარეშე იმოქმედებთ?

  ყოველი წარსდგენის შემდეგ დაუსვით შეკითხვა:
  - რატომ ვთლით რომ გეგმის და მიზნის დასახვა არის სიყვარულის, რწმენის გამოვლენა?

## მისიის პრეზიდენტი

- სთხოვეთ მისიონერებს რომ მოიტანონ თავიანთი რაიონის წიგნები სამხარეო კონფერენციაზე ან გასაუბრებაზე. გადახედეთ რაიონის წიგნებს თქვენ თვითონ, საჭიროების შემთხვევაში სთხოვეთ თქვენს მეუღლეს ან მისიის ხელმძღვანელებს გადაიკითხონ რაიონის წიგნები.

- დროგამოშვებით გადაიკითხეთ მისონერთა ყოველკვირეული და ყოველდღიური დაგეგმარების სესიები.

შენიშვნები

- დროგამოშვებით ჩაატარეთ გასაუბრებები მისიონერთა ბინებში. ამასთან ერთად სთხოვეთ თქვენს მეუღლეს ან პრეზიდენტისათვის თანაშემწეებს გადაიკითხონ მისიონერების რაიონის წიგნები და ყოველდღიური დღიურები.
- რეგულარულად გადაიკითხეთ მისიონერების დღიურები.
- დროგამოშვებით დაესწარით მეურვეობის საბჭოს კრებებს.



# როგორ მოვძებნო ადამიანები, რომ ვასწავლო?

შენიშვნები

## განიხილეთ შემდეგი

- რას ნიშნავს, რომ მოძებნოთ ისინი, რომლებიც თქვენ მიგვიღებენ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 42:8)?
- როგორ გავამტკიცო ჩემი რწმენა იმაში, რომ შევძლებ ადამიანების პოვნას, რათა ვასწავლო?
- რატომ უნდა მოვიწვიო ეკლესიის წევრები, რომ დამეხმარონ ადამიანების მოძებნის ძალისხმევაში?
- რა როლი უკავია მედიას და ეკლესიის მთავარი სამმართველოს მიერ მოწოდებულ კონტაქტებს?
- რა ურთიერთობაშია ადამიანების მოძებნა და სწავლება?
- რა როლი უკავია მსახურობას ადამიანების მოძიების ძალისხმევაში?
- რა მეთოდები ჯერ არ მიცდია ადამიანების სწავლებისათვის ძიებაში?

## რწმენის განმტკიცება, რომ შევძლებ ადამიანების მოძებნას

მოძღვრება და საფუძვლები, რომლებიც მოცემულია ამ თავში განამტკიცებს თქვენს რწმენას, რომ უფალი მოამზადებს ადამიანებს იმისათვის რომ მიგიღონ თქვენ და აღდგენილი სახარება. ის გაგიძღვებათ თქვენ მათკენ ან მათ მოიყვანს თქვენთან. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანების მოძებნა ხორციელდება სხვადასხვანაირად. მისიონერებმა და მისიის პრეზიდენტმა უნდა შეუსაბამონ მუშაობა ადგილობრივ პირობებს. განსხვავებების მიუხედავად მოძებნის პრინციპები ყველასათვის იგივეა.

**ღმერთის ოჯახი.** ყველა ადამიანები დედამიწაზე წინამიწიერ ცხოვრებაში იყვნენ ღმერთის ოჯახის წევრები (იხილეთ საქმეები 17:26–29; ებრაელთა 12:9). ჩვენ ვართ ღმერთის ოჯახის ნაწილი ამ ცხოვრებაში და მომავალ ცხოვრებაში როგორც მისი ოჯახის წევრებს შეგვიძლია დავტკბეთ უფრო დიდი კურთხევებით. ჩვენ ყველანი ვართ ძმები და დები ღმერთის ოჯახში. ამის ცოდნა ჩვენ გვეხმარება იმის გააზრებაში, რომ ყველა ვართ ერთნი და ამავე

© 1990 Del Parson. Do not copy.

შენიშვნები

დროს განუმეორებელნი. ეს გვამლევს იმედის საბაბს, რომ მარადიულად ვიცხოვრებთ ღმერთთან თანდასწრებით. ჩვენ გავიგეთ ეს მირითადი ჭეშმარიტებები აღდგენის მეშვეობით. მმების და დებისათვის აღდგენილი სახარების სწავლება არის თქვენი პირადი პასუხისმგებლობა და კურთხევა. როგორც ალმა ცდილობდა განმდგარი ზორამიელებისათვის დახმარებას თქვენც ასევე შეგიმლიათ სთქვათ თქვენს ლოცვაში: „ო უფალო დაგვაჯილდოვე წარმატებით, რომ ჩვენ შევმლოთ კვლავ მოვაქციოთ ეს ხალხი ქრისტეში, აჰა უფალო, მათი მვირფასი სულები. ამიტომ მოგვეცი მალა და სიბრმნე, რომ შევმლოთ ჩვენი მმების კვლავ შენთან მოყვანა“ (იხილეთ ალმა 31:34–35).

**კიპოვეთ ისინი, რომლებიც თქვენ მიგიღებენ.“** თქვენ უნდა აღაშენოთ ეკლესია იმ ადამიანების მომებნით „რომლებიც თქვენ მიგიღებენ“ (მომღვრება და აღთქმები 42:8). ასეთი ადამიანები შეიცნობენ თქვენში უფალის მსახურებს. მათ მოუნდებათ თქვენი მოწოდების შესაბამისად მოქმედება. ამ ადამიანებიდან ბევრი არიან დატყვევებულნი სიმართლისაგან შორს, რადგან არ იციან სად ემიონ ის (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 123:12).

ჩვეულებრივ თქვენ არ იცით ვინ არიან ეს ადამიანები. შეიმლება მათ თავიდან ვერც მიხვდნენ, რომ თქვენ ხართ უფალის მსახურები. მათ შეიმლება არ ესმოდეთ, რომ მშვიდობის, მიმართულების და ცხოვრების მიზნის მიღწევა შეიმლება მხოლოდ აღდგენილი სახარებით. მათ ხშირად არ ესმით, რომ ემებენ აღდგენილ სახარებას, იქამდე სანამ არ იპოვიან მას. მაგალითად ერთმა მოქცეულმა სთქვა, „როდესაც მოვისმინე აღდგენილი სახარება მან შეავსო ჩემს გულში სიცარიელე, რომლის არსებობა არ ვიცოდი.“ მეორემ სთქვა, „მე დავასრულე ის მებნა, რომელსაც ვეწეოდი ჩემსდა უნებლიედ.“

სადაც არ უნდა იყოთ სამსახურისათვის დანიშნული, გახსოვდეთ, რომ უფალმა მოგავლინათ მისიაში, რათა გადაარჩინოთ სულები. იშრომეთ ბეჯითად, რომ მიაწვდინოთ თქვენი ხმა ამ ადამიანებს, უთხარით ის აზრები, რომლებსაც უფალი გიკარნახებთ თქვენს გულში. ასეთი ქმედებით, მიიღებთ დაპირებას რომ არ შეცბებით ადამიანის წინაშე, და საჭირო დროს მოგცემათ სათქმელად ის რაც უნდა სთქვათ (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 100:4–6). სულით მებნა ისევე მნიშვნელოვანია როგორც სულით სწავლება. სწავლების და ასევე მიების დროს თქვენი მალისხმევა უფრო შედეგიანი იქნება თუ მიჰყვებით სულის კარნახს. იქონიეთ იმის რწმენა, რომ გეცოდინებათ თუ რა უნდა ასწავლოთ და რა გააკეთოთ იმისათვის რომ იპოვოთ ის ადამიანები ვინც თქვენ მიგიღებთ.

### ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

ეკლესიის ბევრი წევრი, ვისაც თქვენ სტუმრობთ შეიძლება იყვნენ მოქცეულები. მოძებნეთ დრო და შეეკითხეთ თუ როგორ გაეცნენ ისინი ეკლესიას და როგორ გაიგეს, რომ მისიონერები მათ ასწავლიდნენ ჭეშმარიტებას. დააჯამეთ ეს გამოცდილებები თქვენს სამეცადინო რვეულში.

### წმინდა წერილების შესწავლა

**როგორ ამზადებს ღმერთი თავის შვილებს აღდგენილი სახარებისაკენ მისასვლელად?**

ალმა 13:24
ალმა 16:16–17
მოძღვრება და აღთქმები 29:7
მოძღვრება და აღთქმები 33:6
მოძღვრება და აღთქმები 84:45–47, 88
მოძღვრება და აღთქმები 136:32–33

შენიშვნები

## ესაუბრეთ ყველას



როდესაც წინასწარმეტყველი იოსებ სმითი მოგზაურობდა მისურის მდინარეზე მისიონერების ჯგუფთან ერთად, უფალმა მას უკარნახა, რომ არ იყო საჭირო, რომ უხუცესებს მიეცურათ მდინარეზე სწრაფად, როდესაც მდინარის ორივე ნაპირას ხალხი იღუპებოდა ურწმუნოებით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 61:3). როდესაც სწრაფად მიდიხართ, რომელიმე გეგმიურ ღონისძიებაზე, ილოცეთ იმისათვის რომ დაინახოთ ის არაგეგმიური შესაძლებლობები, რომ ემსახუროთ და ასწავლოთ იმათ, რომელიც შეიძლება „იღუპება ურწმუნოებით.“ ილოცეთ სულიერი მგრძნობელობისათვის, რომ იცნოთ ასეთი შესაძლებლობები. თქვენ დაინახავთ, რომ ღმერთი გიგზავნით ადამიანებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ აღდგენილი სახარება.

მისიონერული სამსახური დგას ერთ ადგილზე იქამდე, სანამ არ იპოვით ვინმეს, რომ ასწავლოთ. ყოველ დღე, ესაუბრეთ იმდენ ადამიანს, რამდენსაც შესძლებთ. უცხო ადამიანთან საუბრის წინ მღელვარება არის ჩვეულებრივი მოვლენა, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ილოცოთ რწმენისათვის და მალისათვის, რომ იყოთ თამამი საუბარში, რათა მოუწოდოთ აღდგენილი სახარების შესახებ. შეეცადეთ გამოიყენოთ ქვევით მოყვანილი იდეები ვისაც შეხვდებით ყველასთან საუბრისას:

- ესაუბრეთ ადამიანებს მათი ოჯახების შესახებ. დაეხმარეთ მათ, რომ დაინახონ თუ როგორ დალოცავს აღდგენილი სახარება მათ ოჯახებს.
- ეძებეთ ნიშნები, რომელიც დაგეხმარებათ ადამიანებთან საუბარის დასაწყებად, როგორებიც არის სხვადასხვა საგნები ეზოში ან სახლში, წარწერები ტანსაცმელზე ან სახლში ბავშვების ყოფნის ნიშნები.
- გულწრფელად მოუსმინეთ იმას თუ რას გეუბნებიან ადამიანები.
- იყავით თბილი, მეგობრული და ხალისიანი. შესთავაზეთ დახმარება.
- ენდეთ სულს, რომ ის გიკარნახებთ გულში და გონებაში იმას თუ რა უნდა ასწავლოთ.
- მოიპატიჟეთ ყველა, რომ ასწავლოთ აღდგენილი სახარების შესახებ.
- დაარიგეთ მოსაწვევი ბარათები.
- შეეკითხეთ ადამიანებს, ჰყავთ თუ არა ნაცნობი, რომელსაც დააინტერესებს თქვენი მოწოდება.

ქვევით მოყვანილი ნამდვილი ისტორიის კითხვისას, შეეცადეთ მიხვდეთ თუ როგორ იყო მომზადებული მამაკაცი, რომ მიეღო მისიონერები და როგორ გამოიყენეს მისიონერებმა დაუგეგმავი შესაძლებლობა, რომ ესწავლებინათ მისთვის სახარება.

> *ბავშვობისას მე არავინ მასწავლიდა, რომ წამეკითხა ბიბლია. მივდიოდი კვირაობით ეკლესიაში, მაგრამ არაფერს არ ვიძლეოდი და არაფერს ვგრძნობდი საპასუხოდ. მე გულგატეხილი ვიყავი ჩემი რელიგიით. . . მე ვეძებდი ღმერთს, მინდოდა მცოდნოდა, რომ არსებობს თუ არა ის საერთოდ, მწყუროდა გამეცნო ის და მისი სიტყვები. მაგრამ თითქოს ვერ ვპოულობდი იმას, რასაც ვეძებდი.*
>
> *იყო მომენტები, როდესაც ვგრძნობდი, რომ თითქმის მოვიკალი წყურვილი. როდესაც პირველად მეჭირა ხელში ჩემი პირველი ბავშვი, გოგო, პირველად მქონდა შეგრძნება, რომ ღ ერთი მართლა არსებობს. მრავალი წლების შემდეგ როდესაც მისი და დაიბადა, მე განვიცადე იგივე გრძნობები. . . თუმცა თითქმის ყოველთვის ჩემს სულს ტანჯავდა აუხსნელი*

შენიშვნები

*ტვირთი. მე ვიყავი სულიერად მოწყურებული და ვერ ვპოულობდი წყაროს, რომელიც მომიკლავდა ამ წყურვილს.*

*1994 წლის აპრილში მე ვცხოვრობდი მექსიკაში ქალაქ მონტერეი, და ვმუშაობდი ტაქსის მძღოლად. ერთ დღეს მთელი დღე წვიმდა და მთის ფერდობიდან მოედინებოდა წყლის ნიაღვარი, რამოდენიმე საათი სვლის შემდეგ, მე აღმოვჩნდი მონტერეიდან რვა კილომეტრში მოშორებით პატარა ქალაქში. უკვე თითქმის სახლში წასვლის დრო იყო. მოულოდნელად მე დავინახე, ორი ახალგაზრდა, რომლებიც ფეხით მოდიოდნენ. მათ ეცვათ მუქი შარვლები და თეთრი პერანგები და თავიდან ფეხებამდე სველები იყვნენ.*

*როდესაც მივუახლოვდი გავაღე ტაქსის კარი და დავუძახე, „ჩაჯექით! მე მონტერეიში მივდივარ.“*

*მაღალმა ქერა თმებით მიპასუხა, „ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ფული.“*

*მე ვუპასუხე „უფასოდ“.*

*ისინი სწრაფად ჩასხდნენ ტაქსიში.*

*უკან გზაზე ჩვენ ვისაუბრეთ. მათ მთხოვეს თუ შეიძლებოდა გაეზიარებინათ ჩემთვის მოწოდება იესო ქრისტეს შესახებ. მე დავეთანხმე და მივეცი ჩემი მისამართი.*

*როდესაც სახლში მივედი, მე გავაღვიძე ცოლი და მოვუყევი ამ ორ ახალგაზრდაზე. „რა საინტერესო დამთხვევაა,“ მე ვუთხარი. „ერთი მექსიკელია მეორე კი ამერიკელი და ორივეს უხუცესი ჰქვიათ.“*

*„უხუცესი ნიშნავს მისიონერს,“ მიპასუხა მეუღლემ, მან იცოდა ცოტა რამ ეკლესიის შესახებ.*

*გულის სიღრმეში ვიგრძენი რაღაც. ამ ახალგაზრდებმა ჩემს გულში დატოვეს ღრმა კვალი. მე ვიგრძენი, რომ ვიყავი ახლოს იმ წყაროსთან, რომელიც მომიკლავდა წყურვილს და ის იყო მალიან ახლოს.*

*მისიონერები მოვიდნენ ჩვენთან სახლში 5 ივნისს და სიხარულით ვუსმენდი მათ. ორი კვირის შემდეგ, 19 ივნისს, მე მოვინათლე. ჩემი ცოლი მოინათლა ოთხი თვის შემდეგ, ოქტომბერში. ჩვენი უფროსი ქალიშვილი გადიოდა რელიგიურ გაკვეთილებს სკოლაში. როდესაც პირველად წავიდა ეკლესიაში მან ტირილით მითხრა: „მამა ეს ხომ ბევრად უკეთესია იმაზე რასაც გვასწავლიან სკოლაში!“ ოქტომბერში ისიც მოინათლა.*



© 2001 საიმონ დიუი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

*1995 წლის დეკემბერში ჩვენ ჩავიბეჭდეთ ქალაქ მეხიკოში, მეხიკოს ტამარში, ამ ცხოვრებისათვის და სამარადისოდ. ეხლა ჩვენი ოჯახი ტკბება ჰარმონიით, მშვიდობით და ბედნიერებით. ჩვენ ვიცით ვის ვეთაყვანებით. ვიცით საიდან მოვედით და სად მივდივართ. ჩვენ გვიყვარს ღმერთის სიტყვა, განსაკუთრებით მორმონის წიგნი, და გვიყვარს მისი ეკლესია, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია. ამ მღვენებით ჩვენ მოვიპოვეთ სიცოცხლის წყარო, რომელზეც მხსნელმა უთხრა სამარიელ ქალს: „ხოლო ვინც შესვამს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება. რადგან წყალი, მე რომ მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლეედ იდინებს“ (იოანე 4:14). [Victor Manuel Cabrera, „Thirsting for the Living Water,“ Ensign, აგვისტო 2001, 60–61]*

## ღონისძიება: დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- როგორ იყო ადამიანი მომზადებული აღდგენილი სახარებისათვის?
- რა მოხდებოდა, რომ უხუცესებს არ ეთქვათ არაფერი და არ გაეზიარებინათ მისთვის სახარების მოწოდება?
- განიხილეთ, თუ რა გააკეთეთ გუშინ. გაესაუბრეთ რაც შეიძლება მეტ ადამიანებს? თუ არა დასახეთ მიზნები და გეგმები, რომ დღეს გააკეთოთ ასე.

შენიშვნები

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რას ამბობს უფალი სიტყვის ღქმის აუცილებლობაზე? რა უდა ასძავლოდ? რანაირი დაპირება მიიღეღ?**

მოძღვრება და აღთქმები 24:12
მოძღვრება და აღთქმები 28:16
მოძღვრება და აღთქმები 33:7–15
მოძღვრება და აღთქმები 60:2–3, 7–8

## ასწავლეთ, როდესაც იპოვით, იპოვეთ როდესაც ასწავლით

მებნა და სწავლება არის ერთმანეთთან დაკავშირებული ღონისძიებები. როდესაც თქვენ ხვდებით ადამიანებს, მომზადებული იყავით, რომ მოკლედ ასწავლოთ აღდგენილი ჭეშმარიტების შესახებ, რათა სულიწმინდამ მათ დაუმოწმოს, რომ თქვენ ხართ უფალის მსახურები. მრავალ სიტუაციებში თქვენ უნდა შესმლოთ მოწოდების წარდგენა ერთი წუთის ან უფრო ნაკლები დროის განმავლობაში. ადამიანები უფრო მიჩვეულები არიან მოკლე მლიერ გამოთქმებს. მაგალითად თქვენ შეგიმლიათ დაამოწმოთ აღდგენის მოწოდებაზე ორი ან სამი წინადადებით:

> *მრავალი საუკუნეების შემდეგ, როდესაც დაკარგული იყო ღმერთის ჭეშმარიტება (იესო ქრისტეს სახარება) ის აღდგენილ იქნა სიყვარულით აღსავსე ღმერთის მიერ ცოცხალი წინასწარმეტყველის მეშვეობით. ჩვენ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც შეგიმლიათ ხელში დაიჭიროთ, წაიკითხოთ, იფიქროთ და ილოცოთ თქვენს გულში, რომ შეისწავლოთ მისი ჭეშმარიტების შესახებ. ნებას დაგვრთავთ, რომ. . .*

თუ ცოტა მეტი დრო გაქვთ, თქვენ შეგიმლიათ სთქვათ მეტი:

> *ჩვენი მოწოდება არის უბრალო. ღმერთი არის ჩვენი მამა. ჩვენ ვართ მისი შვილები. ჩვენ ვართ მისი ოჯახის ნაწილი. მას ჩვენ ვუყვარვართ. მსოფლიოს დასაბამიდანვე, ის იჩენდა სიყვარულს და ზრუნვას ჩვენს მიმართ. მრავალჯერ მან გამოიჩინა სიყვარული და გაანდო იესო ქრისტეს სახარება მის შვილებს, რომ მათ შესმლონ მასთან დაბრუნება, მან გაანდო ეს ცოდნა ისეთ წინასწარმეტყველებს როგორებიც იყვნენ, ადამი, ნოე, აბრაამი და მოსე. მაგრამ ზოგიერთი ადამიანი კვლავ და კვლავ უარყოფდა სახარებას. ორი ათასი წლის წინ, იესო ქრისტემ თავად იქადაგა მისი სახარება. დაუჯერებელია მაგრამ ადამიანებმა იესოც კი, უარყვეს. ყოველთვის როდესაც ადამიანები უარყოფენ ან ამახინჯებენ ჭეშმარიტ მომღვრებას და წეს-ჩვეულებებს, ღმერთი ართმევს ადამიანებს მის მალაუფლებას, რომელიც საჭიროა ეკლესიის მართვისათვის.*
>
> *ჩვენ გეპატიჟებით, რომ გაიგოთ უფრო მეტი იმ ჭეშმარიტებაზე, რომელიც თქვენთვის არის ასეთი ძვირფასი. განიხილეთ ის ფაქტი, რომ ჩვენმა მამაზეციერმა კვლავ სიყვარულით მიმართა მის შვილებს და გაანდო ჭეშმარიტი მომღვრება და საეკლესიო წეს-ჩვეულებები წინასწარმეტყველს. ამ წინასწარმეტყველის სახელია იოსებ სმითი. ამ ბრწყინვალე ჭეშმარიტების დამამტკიცებელი საბუთი არის მორმონის წიგნში. თქვენ შეგიმლიათ ის აიღოთ ხელში, წაიკითხოთ და იმსჯელოთ თქვენი გონებით და გულით იმ ჭეშმარიტებებზე, რომელიც მოცემულია მასში.*

არ დაიწყოთ ადამიანებთან გაცნობა ასეთი სიტყვებით, „გაქვთ თუ არა რამოდენიმე წუთი, რომ მოგითხროთ მოწოდებაზე. . .“ უკეთესია განავითაროთ თვისება, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოთ სწავლება და ჭეშმარიტების დამოწმება ადამიანებთან შეხვედრისთანავე. თქვენ უფრო მეტ ადამიანებს იპოვით სასწავლებლად, როდესაც დაამოწმებთ და აგრმნობინებთ მათ სულიწმინდის მალას.

თქვენი პირვანდელი მიდგომის მიუხედავად შეეცადეთ დაუყოვნებლივ და უბრალოდ გადახვიდეთ საუბარზე სახარების აღდგენის შესახებ, რადგან ამაშია ჩვენი უნიკალური მოწოდება მსოფლიოსათვის. იმ ადამიანებს, რომლებსაც თქვენ ასწავლით როგორც წესი ჰყავთ მეგობრები და ნათესავები, რომლებიც მზად არიან მიიღონ აღდგენილი სახარება. სწავლებისათვის ყველა ხელსაყრელ სიტუაციაში, ადამიანების მომიებისას, მოწაფეების

შენიშვნები

სწავლებისას და წევრებთან მუშაობისას, ყოველთვის დაუსვით შეკითხვა „იცნობთ ვინმეს ვინც შეიძლება დაინტერესდეს ამ მოწოდებით და ვისაც შეიძლება ის დაეხმაროს?“ კონტაქტის მიღების შემდეგ შეეკითხეთ, „კიდევ ვის შეიძლება დაეხმაროს ჩვენი მოწოდება?“ ნუ მოგერიდებათ და შემდგომ შეხვედრებზეც კვლავ დაუსვით ეს შეკითხვა. როდესაც ადამიანები, რომლებსაც ასწავლით იგემებენ სახარების კურთხევის გემოს მათი სურვილი გაიზრდება, რომ გაუზიარონ ეს კურთხევები სხვასაც (იხილეთ 1 ნეფი 8:12). სახარების შესწავლისას ხშირად ისინი იპოვიან ახალ მეგობრებს. მისიონერები, რომლებიც იყენებენ ამ პრინციპებს, როგორც წესი ბევრ ადამიანებს ასწავლიან.

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

- ერთ-ერთი გაკვეთილიდან, მოამზადეთ ერთ წუთიანი მოწოდება. მოიფიქრეთ თუ როგორ გაუზიარებთ მას ადამიანებთან გაცნობისას.
- მოიფიქრეთ თუ როგორ დააკავშირებთ ამ მოწოდებას სახარების აღდგენასთან.
- გაუზიარეთ ეს მოწოდება თქვენს ძმადნაფიცს.
- დასახეთ მიზნად, რომ ასწავლოთ ეს მოწოდება შესაფერის დროს რომ მოიპოვოთ ახალი მოწაფე.

- განიხილეთ ადამიანების სია, რომლებსაც თქვენ ამჟამად ასწავლით. შეადგინეთ სია იმ ადამიანების, რომლებსაც სთხოვეთ, რომ მოეცათ თქვენთვის კონტაქტები და ცალკე სია, რომლებისთვისაც ჯერ არ გითხოვიათ. ივარჯიშეთ თუ როგორ სთხოვთ ადამიანებს, რომ მოგაწოდონ კონტაქტები ზემოთ აღნიშნული ჯგუფებიდან. თქვენს დღიურში გააკეთეთ აღნიშვნები, რომ შემდეგი შეხვედრისას სთხოვოთ ადამიანებს გაგიზიარონ ეს ინფორმაცია.

## ისაუბრეთ ოჯახის მნიშვნელობის შესახებ



იესო ქრისტეს სახარების აღდგენა ლოცავს ოჯახებს. აღდგენილი სახარების კანონებით ცხოვრებისას, ოჯახები უფრო მტკიცდებიან და ტკბებიან მშვიდობით, სიხარულით და ერთიანობის, განუშეორებლობის გრძნობით.

როდესაც ეცნობით ადამიანებს ესაუბრეთ ოჯახის მნიშვნელობაზე, ეს დაგეხმარებათ ადამიანების მოძებნაში, რომ ასწავლოთ. ადამიანების უმეტესობას აქვთ ბუნებრივი ინტერესი ოჯახებისადმი. მრავალ სიტუაციებში, თქვენ შეგიძლიათ სწრაფად დაუკავშიროთ ადამიანებმა რაც იციან ოჯახის შესახებ აღდგენის მოწოდებას. ადამიანების მოძებნისას, თქვენ შეგიძლიათ სთქვათ დაახლოებით შემდეგი:

> *ოჯახზე უფრო მთავარი რამ, ჩვენთვის არ არსებობს. ჩვენი ოჯახი გვაერთიანებს, გვამლევს სახელს და გვეხმარება იმის შეგრძნებაში, რომ ჩვენ ვუყვარვართ და გვჭირდებით. ჩვენი ოჯახებიდან მემკვიდრეობით ვიღებთ სხვადასხვა პიროვნულ და ფიზიკურ თვისებებს, რომელთა გამოც ვართ განუმეორებლები.*
>
> *მრავალი ადამიანებისათვის მთელს მსოფლიოში მლიერი და ბედნიერი ოჯახი არის ცხოვრების მთავარი მიზანი. ხშირად ამ მიზნისათვის მიღწევა არის მალიან მნელი. ბავშვების აღზრდა და მტკიცე ოჯახი დღევანდელ მსოფლიოში ხშირად გვეჩვენება თითქოს შეუძლებელი ამოცანა იყოს, იმ ბოროტების გამო, რომელიც ჩვენს გარშემო არის.*

ამის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ გადახვიდეთ აღდგენის მოწოდების თემაზე:

შენიშვნები

*ოჯახისადმი ზრუნვის და სიყვარულის გრძნობა არის მარადიული, ის ღრმად არის გამჯდარი ჩვენს სულებში. ეს გრძნობა დაფუძვნებულია ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაზე. თქვენს დაბადებამდე თქვენ უკვე იყავით ღმერთის ოჯახის წევრი. ის არის ჩვენი მამა. ვინაიდან ის არის ჩვენი მამა, ჩვენ ვართ ძმები და დები. მამაზეციერს სურს, რომ ჩვენ დავბრუნდეთ მასთან და კვლავ ვიცხოვროთ მასთან, როგორც მისი ოჯახის ნაწილი. ოჯახები აქ დედამიწაზე დაკავშირებულები არიან ღმერთის ოჯახთან. ოჯახებს შეუძლიათ იცხოვრონ ერთად ამ ცხოვრების შემდეგ. ჩვენ ვიცით ეს რადგან საუკუნეებით დაკარგული ჭეშმარიტი მომღვრება და წეს-ჩვეულებები, როგორიც არის წყალში ნათლობა, აღდგენილ იქნა დედამიწაზე ჩვენი მოსიყვ არული მამაზეციერის მიერ, ცოცხალი წინასწარმეტყვ ელის მეშვეობით. ეს აღდგენილი ჭეშმარიტებები გვეხმარებიან არა მარტო ღმერთის ოჯახში ჩვენი ადგილის გააზრებაში ისინი ასევე გვამლევენ უდიდეს იმედს, რომ ჩვენ გვექნება მტკიცე და ბედნიერი ოჯახი ამ ცხოვრებაში. ჩვენ გვსურს უფრო მეტი მოგითხროთ . . .*

ამ წესით შეიმლება ვასწავლოთ ასევე სხვა თემებიც, როგორებიც არის ბედნიერება, გაჭირვება, ცხოვრების მიზანი ან სიკვდილი. როგორიც არ უნდა იყოს თქვენი მიდგომა ადამიანის გაცნობისას, გახსოვდეთ, რომ ის ყოველთვის სწრაფად უნდა დაუკავშიროთ ჩვენს უნიკალურ მოწოდებას მსოფლიოსათვის.

## ეკლესიის წევრებთან მუშაობის მნიშვნელობა

იმუშავეთ ეკლესიის წევრებთან იმისათვის რომ მოიმიოთ ადამიანები სასწავლებლად. ყველაზე იდეალური სიტუაცია არის როდესაც წევრები იპატიჟებენ ადამიანებს თავისთან იმისათვის რომ მისიონერებმა მათ ასწავლონ. როდესაც წევრები აკეთებენ ამას, უფრო მეტი ადამიანები ინათლებიან და რჩებიან ეკლესიაში აქტიურები. წევრებთან ურთიერთობას აქვს დიდი მნიშვნელობა რადგან, ის უხსნის ადამიანებს გულს და ეხმარება მათ აღდგენილი სახარების შესწავლაში. ხშირად ეს ნიშნავს იმას რომ ისინი შედიან ეკლესიის წევრების მეგობრების წრეში, აქტიური და ნაკლებად აქტიური წევრების, ასევე ახლადმოქცეულების და ნაწილობრივად გაწევრიანებული ოჯახების ჩათვლით.

პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ სთქვა: „ბევრი ჩვენგანი უყურებს მისიონერთა სამსახურს, როგორც მარტო კარდაკარ სიარულს. ყველამ ვინც იცნობს ამ სამსახურს, იცის, რომ არსებობს უკეთესი საშუალება. ეს არის ეკლესიის წევრების მეშვეობით. როდესაც მოწაფეს წარადგენს ეკლესიის წევრი, დაუყოვნებლივ ირთვება მხარდაჭერის სისტემა. წევრი უზიარებს დამოწმებას ამ სამუშაოს ჭეშმარიტებაზე. ის სულმოუთქმელად ელის მისი მოწაფე მეგობარის ბედნიერებას და სიხარულით ივსება მისი მეგობარის მიერ სახარების შესწავლის წარმატების გამო.

> *„ბოლოს, იმის მერე რაც თქვა, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ვალდებულება არის სახარების ქადაგება.“*
>
> – ტინ•დტ•ს მეპ ვწელი იბ დბ დითი
> *TEACHINGS OF THE PROPHET JOSEPH SMITH*, 113

„სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებს შეუმლიათ ჩაატარონ გაკვეთილი, მაგრამ ეკლესიის წევრს, როდესაც შეუმლია დაეხმარება მათ გაკვეთილების ჩატარებაში თავისი ბინის შეთავაზებით. ის გაუზიარებს გულწრფელ დამოწმებას ამ სამუშაოს ღვთაებრიობაზე. როდესაც მისიონერები არ იქნებიან, ის იქ იქნება, რომ უპასუხოს შეკითხვებს. ის იქნება ახლადმოქცეულის მეგობარი, რომელსაც წინ ელის უნდა გაიაროს დიდი და ხანდახან რთული ცვლილებები. . . ახალი ადამიანების ეკლესიაში მოყვანა არ არის მარტო მისიონერების საქმე. ისინი აღწევენ მეტ წარმატებას, როდესაც ახალი მოწაფეების წყარო არიან წევრები“ (*Ensign*, მაისი 1999, 105–6).

საწყისი წერტილი წევრებთან მყარი ურთიერთობების დასაწყისისათვის არის ეპისკოპოსი. შესთავაზეთ დახმარება და ემსახურეთ ყველა სამართლიან საქმეში. რეგულარულად დაუსვით თქვენ თავს შეკითხვა, „ეპისკოპოსისათვის მე ვარ კურთხევა თუ საზრუნავი?“ განავითარეთ თქვენში მიდგომა „რითი შემიმლია დაგეხმაროთ?“. თუ თქვენ შეეცდებით,

შენიშვნები

რომ გამონახოთ შესაძლებლობები, რათა გამოხატოთ სიყვარული, ემსახუროთ და ასწავლოთ, ეპისკოპოსი და მეურვეობის წევრები შესძლებენ უფრო მეტად განდოთ თავიანთი ოჯახის წევრები და მეგობრები.

განიხილეთ ქვევით მოყვანილი ნაწყვეტი ერთერთი მისიონერის წერილიდან რომელიც მან მისწერა მისიის პრეზიდენტს:

*ძვირფასო პრეზიდენტო,*

*დღეს დამირეკეს თქვენმა თანაშემწეებმა და შემატყობინეს, რომ მაგზავნიან სამსახურისათვის სხვა რაიონში. მე ვგრძნობ, რომ მინდა გამოვხატო ჩემი მადლიერება იმისათვის რომ გამომიშვით ამ რაიონში. თითქოს გუშინ იყო როდესაც მეუბნებოდით იმ წინაამ დღეგობებზე, რომელიც წინ მელოდა.*

*პირველსავე კვირა დღეს ჩვენ დავრწმუნდით თქვენი ნათქვამის ჭეშმარიტებაში. მეურვეობაში ჩვენ ცივად შეგვხვდნენ. ერთადერთი შუქის სხივი იყო სკოტი, მეურვეობის ახალი მისიის ხელმძღვანელი. ჩვენს მოსვლამდე ერთი თვით ადრე ის გადმოიყვანეს საჰაერო სამხედრო ბაზაზე სამსახურისათვის და ჩვენი მოსვლისთვის ის უკვე ორი კვირა მსახურობდა მეურვეობის მისიის ხელმძღვანელად. პირველ კვირა დღეს სკოტმა დაგვპატიჟა სახლში სადილზე, იმისათვის რომ განგვეხილა თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა, რათა საქმე წინ წასულიყო. სადილის შემდეგ, ჩვენ დავიჩოქეთ ლოცვით და ვთხოვეთ მამაზეციერს დახმარება. როდესაც ვლოცულობდით ჩვენ ვიგრძენით სიმშვიდის და გამბედაობის გრძნობა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე კარგი გზა რომ საქმე წინ წაგვეწია უნდა მოგვეპოვა წევრების ნდობა. ჩვენ გადავწყვიტეთ მივყოლოდით ამონის მაგალითს და გვემსახურა მათთვის.*

*ჩვენ დავიწყეთ ეპისკოპოსით. წინა მისიონერების არასაკმარისი მალისხმევის და რაიონში ცოტა ნათლობების გამო, ის არ იყო მაინცადამაინც აღტაცებული, როდესაც ვსთხოვეთ, რომ შეგვხვედროდა. მან საბოლოო ჯამში დაგვპატიჟა თავისთან სახლში სადილზე. ჩვენ გავიგეთ, რომ ეპისკოპოსი აპირებდა სახლში ხალიჩის აღებას და ხალიჩის ქვეშ იატაკის აღდგენას. ჩვენ შევთავაზეთ დახმარება და იგი დაეთანხმა ჩვენ შეთავაზებას. სამუშაოების დასრულებისას, ეპისკოპოსმა გვთხოვა, რომ სიტყვით გამოვსულიყავით ზიარების შეკრებაზე, ჩვენ ეს მივიღეთ იმის ნიშნად, რომ ის უკვე ჩვენ გვენდობოდა.*

*ჩვენ იგივე გზით ვემსახურეთ მეურვეობის წევრებსაც. ვპოულობდით შესაძლებლობებს, რომ დავხმარებოდით მათ სხვადასხვა უბრალო საქმეებში. როდესაც ჩვენ არ ვიყავით წევრებთან დავდიოდით კარიდან კარამდე და ვუყვებოდით აღდენილი სახარების შესახებ, რაც შეგვემლო ბევრ ადამიანებს. ჩვენ დალოცვილები ვიყავით ადამიანებით, რომ გვესწავლებინა და წევრებმა დაინახეს, რომ მოგვყავდა ადამიანები, რომლებსაც ჩვენით ვპოულობდით. მთელი მეურვეობის მიდგომა ჩვენს მიმართ შეიცვალა. ადამიანებს გაუჩნდათ ინტერესი მისიონერული სამსახურისათვის. როგორც კი, წევრები მოგვენდნენ, მუშაობა აეწყო და შედეგად მრავალი ნათლობაც ჩატარდა.*



ეკლესიის ბევრ წევრს ეშინია მისიონერული სამუშაოს ჩატარება. ბევრმა არ იცის თუ საიდან დაიწყოს და რა სთქვას. ბევრს ეშინია, რომ დაკარგავენ ახლო მეგობრებს თუ მათ გაუზიარებენ სახარებას. არსებობს მრავალი მეთოდები, რომ დაეხმაროთ წევრებს. მაგალითად, მოუყევით აღდგენის და გაკვეთილების სხვა მომღვრების შესახებ და ამით დაეხმარეთ, რომ იგრძნონ მოწოდების სულის მალა, რათა განამტკიცონ თავიანთი რწმენა. იმისათვის რომ მოიპოვოთ მათი ნდობა და სიხარულით დაგეხმარონ მისიონერულ სამსახურში ყველაზე კარგი რაც შეგიძლიათ გააკეთოთ არის თუ მათ დაეხმარებით იესო ქრისტეს მომღვრების ცოდნის გაღრმავებაში. დაეხმარეთ იმის გაგებაში, რომ ისინი უფრო ბუნებრივად მოუყვებიან აღდგენილი სახარების შესახებ თუ თავიანთ ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობებში შეეცდებიან ემსახურონ მათ და გამოიჩინონ მათ მიმართ სიყვარული. ასწავლეთ

შენიშვნები

პრინციპები ამ თავის განყოფილებიდან „იარეთ სიკეთის კეთებით“. გაამხნევეთ წევრები, რომ შეიკრიბონ ერთად მარხვისათვის და გულით ლოცვისათვის იმ ადამიანების სულების გადასარჩენად, რომლებმაც არ იციან ღმერთი (იხილეთ ალმა 6:6). ყველაფერში რასაც არ უნდა აკეთებდეთ ეკლესიის წევრებთან ეცადეთ აამაღლოთ და განამტკიცოთ მათი რწმენა, რომ დაეხმაროთ მათ მისიონერული სამსახურისათვის.

აქტიურ წევრებთან მუშაობასთან ერთად, ეცადეთ იპოვოთ ადამიანები სასწავლებლად მომავალი უხუცესების, ნაკლებად აქტიური და ახალი წევრების დახმარებით. ამ წევრებს ალბათ ჰყავთ სხვა სარწმუნოების მიმდევარი ბევრი მეგობრები და მათ შეუმლიათ მიიღონ მრავალი კურთხევები თუ ისინი გაუზიარებენ აღდგენილ სახარებას თავიანთი ოჯახის წევრებს და მეგობრებს.

წევრებთან ყოველი ვიზიტის დროს, გააკეთეთ, რაც შეგიმლიათ, რომ გაამხნევოთ ისინი გააკეთონ შემდეგი:

- ილოცონ და მიჰყვნენ სულის კარნახს.
- ემსახურონ მოყვასს.
- განავითარონ მეგობრული ურთიერთობა.
- ამოიღონ ხმა და გაუზიარონ აღდგენილი სახარება.
- მოუწოდონ სხვა ადამიანებს, რომ განამტკიცონ მათი ქრისტეში რწმენა.

თქვენ უნდა დააფასოთ ყოველი ინფორმაცია კონტაქტების შესახებ, რომელსაც წევრისაგან მიიღებთ. როდესაც წევრი გამლევთ მეგობრის სახელს, რომ დაურეკოთ ან ესტუმროთ, დაუკავშირდით ამ ადამიანს სწრაფად და შემდეგ წევრს მოუყევით შედეგებზე.

## იდეები ძევრების დასახმარებლად

არსებობს მრავალი მეთოდი იმისათვის რომ წევრები უფრო აქტიურად ჩაერთონ მისიონერულ სამსახურში. განიხილეთ შემდეგი იდეები:

- ეცადეთ მიიღოთ მითითებები ეპისკოპოსისაგან და მეურვეობის სხვა ხელმძღვანელებისაგან. იხილეთ თავი 13 დამატებითი დახმარებისათვის ამ მხარეში.
- ასწავლეთ ეკლესიის ხელმძღვანელებს და წევრებს აღდგენის მოწოდება და ასევე სხვა გაკვეთილები.
- ასწავლეთ მათ რომ გამოიჩინონ სიყვარული და ზრუნვა მეზობლების და მეგობრების მიმართ.
- სთხოვეთ, რომ იმარხულონ და ილოცონ მისიონერული შესაძლებლობებისათვის.
- მოუწოდეთ, რომ ესტუმრონ თავიანთ ახლობლებს, რომელთა ცხოვრებაში მოხდა გარდამტეხი მოვლენა (დაბადება, ოჯახში ახლობლის გარდაცვალება, ქორწინება, ან საცხოვრებლად სხვა ადგილზე გადასვლა).
- სთხოვეთ მათ რომ დაგეხმარონ სასწავლებლად. იდეალური სიტუაცია იქნებოდა თუ ეკლესიის წევრი იქნება თქვენთან, რომელიც წარსულში იგივე ეკლესიის წევრი იყო, რომელსაც მიეკუთვნება მოწაფე.
- დაეხმარეთ, რომ დათქვან დღეები როდესაც ისინი დაპატიჟებენ თავიანთ მეგობრებს იმისათვის რომ მოისმინონ აღდგენის მოწოდებაზე.
- აჩვენეთ მათ სასწავლო მასალები, რომლებიც შეუძლიათ გადასცენ სხვებს, როგორებიც არის მორმონის წიგნი, ვიდეო მასალა და მოსაწვევი ბარათები.
- მოუწოდეთ, რომ დაპატიჟონ თავიანთი მეგობრები, ეკლესიაში ან საოჯახო საღამოზე, იმისათვის რომ უყურონ საეკლესიო ვიდეო ფილმებს ან მონაწილეობა მიიღონ საუბრებში სახარების შესახებ.
- დაეხმარეთ, რომ მათ ისწავლონ თუ რას ეტყვიან თავიანთ მეგობრებს.
- განუმარტეთ, რომ მიღებული შედეგების მიუხედავად, რატომ არის აუცილებელი სახარების გაზიარება.

კიდევ არსებობს მრავალი სხვა გზა, რათა დაეხმაროთ წევრებს, რომ უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ. ეცადეთ გააფართოვოთ ეს სია თქვენი მისიის განმავლობაში. გაუზიარეთ თქვენი იდეები სხვა მისიონერებს.

შენიშვნები

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

ძმადნაფიცთან ერთად განიხილეთ თუ როგორ ემსახურებოდით და ეხმარებოდით ბოლო თვის განმავლობაში ეპისკოპოსს, მეურვეობის სხვა ხელმძღვანელებს და წევრებს. განიხილეთ და დასახეთ გეგმა თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ მომავალ თვეში იმისათვის რომ მათთან განავითაროთ უფრო მტკიცე ურთიერთობა.

განიხილეთ იდეები, რომელიც ჩამოთვლილია ცხრილში „იდეები წევრების დასახმარებლად“. გამოყავით ის იდეები, რომლებიც თქვენ ჯერ არ გიცდიათ. თქვენს დღიურში ჩაინიშნეთ და შეეცადეთ მომავალ კვირას განახორციელოთ ზოგიერთი მოცემული იდეა.

## მედიის და ეკლესიის მთავარი სამმართველოს მიერ მოწოდებული კონტაქტები

კონტაქტები, არის კიდევ ერთი ინფორმაციის წყარო იმ ადამიანების მოძებნაში, რომლებიც მზად არიან აღდგენილი სახარებისათვის. წევრებისაგან მოწოდებული ინფორმაციის გარდა, ეკლესია იყენებს სხვა მეთოდებსაც, რათა მიაწვდინოს ხმა ღმერთის შვილებს. ეკლესია იწვევს ინტერესს ადამიანებში მედიაში გამოქვეყნებული განცხადებებით, დამთვალიერებლების ცენტრებით, ისტორიული ადგილებით, ჰუმანიტარული დახმარების პროექტებით და ინტერნეტით (www.mormon.org, www.lds.org, www.familysearch.org). კონტაქტები, რომლებსაც მიღებულია მედიისაგან და ეკლესიის მთავარი სამმართველოდან, არიან ადამიანები, რომლებიც დათანხმდნენ, რომ მიიღონ თავისთან ეკლესიის წარმომადგენლები იმისათვის რომ მიიღონ საეკლესიო მასალები, (მაგალითად ბიბლია ან მორმონის წიგნი) რომ გაიგონ უფრო მეტი ეკლესიის შესახებ. მისიონერები უნდა მოეპყრონ ამ შესამლებლობებს, როგორც თავიანთ წმინდა ვალდებულებას.

სანამ ესტუმრებით კონტაქტს, ყურადღებით გაეცანით მის მიერ შეკვეთილ მასალებს. მოამზადეთ პატარა გაკვეთილი, რომ შეკვეთილი მასალის შესახებ საუბრიდან გადახვიდეთ აღდგენის მოწოდების გაკვეთილზე. ზოგიერთ შემთხვევებში მიღებული კონტაქტების მეშვეობით გაეცნობით სხვა ადამიანებს, რომლებიც ღმერთმა მოამზადა. თუ მიღებული კონტაქტები არ არიან დაინტერესებული, შეეკითხეთ მათ, თუ იცნობენ ვინმეს, ვინც შეიძლება დაინტერესდეს. ასევე ესაუბრეთ ოჯახის სხვა წევრებს და მათ მეზობლებს. შეეკითხეთ ყოველ მათგანს, თუ ვის შეიძლება კიდევ აინტერესებდეს თქვენი მოწოდება. შეიძლება თქვენ გაიცნობთ რომელიმე პიროვნებას იმიტომ რომ მის მეზობლად ცხოვრობს ადამიანი, რომელიც მზად არის სახარებისათვის.

როდესაც მუშაობთ კონტაქტებთან, გახსოვდეთ შემდეგი:

- დაუკავშირდით მათ 24 საათის განმავლობაში.
- თუ ეს შესამლებელია დაურეკეთ და წინასწარ მოელაპარაკეთ შეხვედრაზე. თუ ისინი არ დაგხვდნენ სახლში, შეეცადეთ მიხვიდეთ სხვა დროს.
- მიიტანეთ შეკვეთილი მასალა და შეახსენეთ, რომ მათ მოითხოვეს თქვენთან შეხვედრა. შეაგროვეთ მთელი ოჯახი, რომ ყველამ მოისმინოს გაკვეთილი.
- ასწავლეთ სახარების აღდგენის მოწოდების შესახებ.
- ვიზიტის დროს შესთავაზეთ ვალდებულების აღება, რომელიც განამტკიცებს მათ რწმენას ქრისტეში.
- სთხოვეთ, რომ მოგაწოდონ კონტაქტები.
- მოელაპარაკეთ შემდეგ შეხვედრაზე.
- როდესაც მათთან დაამთავრებთ საუბარს, დაგეგმეთ სამეზობლოში მუშაობა.
- თუ ადამიანი სახლში არ არის, მაშინ დაელაპარაკეთ მეზობლებს.

შენიშვნები

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

შეაგროვეთ ბოლო თვის კონტაქტების ინფორმაცია თქვენს რაიონში. გამოყავით ის ადამიანები, რომლებსაც ჯერ არ დაუკავშირდით და ესტუმრეთ მათ. გადაწყვიტეთ თუ რომელ ადამიანს კვლავ ესტუმროთ, რომლებთანაც ადრე უკვე იყავით.

## საოჯახო ისტორია

საოჯახო ისტორია ან გენიოლოგია წარმოადგენს დამატებით მეთოდს ადამიანების სწავლებისათვის მოსამებნად. საოჯახო ისტორია დღესდღეობით არის ყველაზე გავრცელებული ჰობი მთელს მსოფლიოში. მთელს მსოფლიოში ელიას სული აღვიძებს მილიონობით ადამიანებში სურვილს, რომ ემებონ თავიანთი წინაპრები. ბევრს სურს რომ ჰქონდეს უფრო მლიერი კავშირი თავიანთ შორეულ ნათესავებთან. ამან შეიმლება მიიყვანოს ისინი სურვილამდე, რომ იპოვონ კავშირი და ერთობა ღმერთის ოჯახთან.

> „მე იმედი მაქვს, რომ ვნახავ იმ დროს, როდესაც ჩვენ დავანგრევთ ხელოვნურ საზღვარს, რომელსაც ჩვენ ასე ხშირად ვავლებთ მისიონერულ სამუშაოს და სატამრო, გენიოლოგიურ სამუშაოებს შორის, რადგან ეს ყველაფერი არის ერთიანი, დიდი, გამომსყიდველი სამუშაო!“
>
> – პრეზიდენტი სპენსერ ვ. კიმბოლი
> „THE THINGS OF ETERNITY—STAND WE IN JEOPARDY?“
> *ENSIGN*, ივნისი 1977, 3

გაარკვიეთ თუ როგორი რესურსები არის ხელმისაწვდომი თქვენს რაიონში საოჯახო ისტორიული სამუშაოებისათვის. მაგალითად, თქვენ შეიმლება დაპატიჟოთ ადამიანები ადგილობრივ საოჯახო ისტორიის ცენტრში, რომლებსაც წარუდგენთ წევრებს, რომლებიც თავის მხრივ დაეხმარებიან ადამიანებს თავიანთი წინაპრების მოძიებაში. თუ ეკლესიაში წევრები სათანადოდ გეხმარებიან, თქვენთვის არ არის აუცილებელი ბევრი რამის ცოდნა საოჯახო ისტორიაზე, იმისათვის რომ შესთავაზოთ ეს სამსახური. მსოფლიოს მრავალ კუთხეში ამას აკეთებენ წევრები, რომლებსაც შეუმლიათ დაეხმარონ ადამიანებს თავიანთი ოჯახის ფესვების მომიებაში. ამ სამუშაოში ჩართეთ წევრები, რომ პოტენციურმა მოწაფეებმა გაიცნონ ის ადამიანები რომლებიც მზად არიან მათთან მეგობრობისათვის. განუმარტეთ, რომ საოჯახო ისტორიის ცენტრის მომსახურება არის უფასო.

როდესაც დადიხართ სახლებში კარდაკარ, თქვენ შეგიმლიათ დაურიგოთ ადამიანებს საოჯახო ისტორიის ცენტრის, მოსაწვევი ბარათები, ცენტრის ტელეფონის ნომრებით, შესთავაზოთ უფასო დახმარება ოჯახის ფესვების მომიების პირველი ეტაპის დაწყება. განმეორებით მიაკითხეთ რამოდენიმე დღეში იმ ოჯახებს სადაც დატოვეთ მოსაწვევი ბარათები. დაურიგეთ ეს ბარათები მოწაფეებს, რომლებსაც შემდგომ შეუმლიათ თავის მეგობრებს და ნათესავებს დაურიგონ ისინი. კარგი იქნებოდა თუ თვალსაჩინო მაგალითისათვის თან იქონიებთ თქვენ პირად ოთხი თაობის მთამომავლობის სიას, რომ შესმლოთ გაუზიაროთ ეს ინფორმაცია თქვენ მოგვარეებს.

იმისათვის რომ დაიწყოთ ეს სამუშაო განიხილეთ შემდეგი:

- ეწვიეთ საოჯახო ისტორიის ცენტრს თუ ის არის თქვენს რაიონში.
- განიხილეთ ეპისკოპოსთან და მეურვეობის საბჭოსთან ერთად თქვენი სურვილი, რომ ადამიანებს, რომლებსაც ხვდებით ყოველ დღე შესთავაზოთ საოჯახო ისტორიის სამსახურით დახმარება.

შენიშვნები

- განიხილეთ მეურვეობის ხელმძღვანელებთან, რომ უფრო შეთანხმებულად ჩაატაროთ ეს ღონისძიება:
  - სთვლის თუ არა ეპისკოპოსი შესაფერისად თქვენ წინადადებას, რომ შესთავაზოთ ადამიანებს მეურვეობის წევრების დახმარება?
  - მეურვეობის რომელი წევრები მსახურობენ საოჯახო ისტორიის ცენტრში, ან აქვთ საოჯახო ისტორიული სამუშაოების გამოცდილება?
  - როგორ შეიძლება, რომ ყველაზე შესაფერისად სთხოვოთ ამ წევრებს დახმარება?
  - ვინ იქნება თქვენთან ერთად როდესაც თქვენ მიიტანთ საოჯახო ისტორიის ანკეტებს?

წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი მოხუცებული მისიონერის მიერ მოყოლილი ისტორია. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე თუ როგორი როლი ითამაშა საოჯახო ისტორიულმა სამსახურმა ამ ოჯახის მოქცევაში.

*ქალბატონი მილდრედ შულცი იყო მისი ეკლესიის ერთგული წევრი. ამიტომ, არ იყო გასაკვირი, როდესაც მისიონერებმა დააკაკუნეს მის კარებზე, მანეგრევე მოიპატიჟა ისინი სახლში, რომ მათთვის ესწავლებინა „ჭეშმარიტება." როდესაც მისიონერები ასწავლიდნენ მას, მან იწამა აღდგენილი სახარების ჭეშმარიტება და მოინათლა. მაგრამ მისმა მეუღლემ ფრენკმა არ მოისურვა მისიონერების მოსმენა.*

*აი აქედან იწყება ჩემი ისტორია. უხუცესებმა გაგვაცნეს და, შულცი. ჩვენ დავეხმარეთ მას დაეწყო გენიოლოგიური ხის შედგენა და შემდეგ დავპატიჟეთ საოჯახო ისტორიის ცენტრში. ჩვენი შეხვედრის დღე, როდესაც მოვიდა, ფრენკმა გვთხოვა თუ შეიძლებოდა, რომ მოსულიყო ჩვენთან ერთად, რომ მასაც მოეძებნა თავისი წინაპრები. რა თქმა უნდა და შულცი მოხარული იყო ასეთი შესაძლებლობით და ისინი ერთად გაემართნენ ცენტრში.*

*უხუცესები უნდა შეგვხვედროდნენ იმავე დღეს ცოტა მოგვიანებით. სანამ ისინი მოვიდნენ, ჩვენ ვაჩვენეთ ფრენკს და მილდრედს ბიბლიოთეკა და იქ გავაცნეთ მათ და, რაიტი. ქალბატონი, რაიტი იყო საოჯახო ისტორიული სამუშაოების სპეციალისტი და მან შესთავაზა დახმარება ფრენკს მამის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. და, რაიტი. იპოვა წიგნებში ფრენკის მამის სახელი და ასევე მისცა გერმანიის რუკა, სადაც მონიშნული იყო მისი დაბადების ადგილი. ფრენკი იმდენად აღტაცებული იყო ამ აღმოჩენით, რომ როდესაც უხუცესები მოვიდნენ ისინი მან დაპატიჟა სადილზე, რომ გაეზიარებინა მისი ოჯახის ისტორია და სურათები. ელიას სული შეეხო მას, მოულბო გული და გაუხსნა კარები მისი ცხოვრების აღდგენილი სახარებით შესავსებად.*

*იმ საღამოს, მილდრედი ფიქრობდა თუ რა უნდა ეთქვა ფრენკისათვის, რომ ის უფრო მეტად დაინტერესებულიყო სახარებით და ერთი შეკითხვა მოუვიდა თავში. „ფრენკ," მან უთხრა, „გინდა ჩემთან იყო სამუდამოდ, ამ ცხოვრების შემდეგაც? გინდა, რომ გქონდეს მარადიული ოჯახი?" მან უცბად უპასუხა, „ოჰ, მილდრედ, რათქმაუნდა მინდა. როგორ უნდა გავაკეთო ეს?" ეს იყო ის შეკითხვა, რომლისთვისაც ის ლოცულობდა. „მოუსმინე იმას რასაც გეტყვიან მისიონერები," უპასუხა მილდრედმა. ფრენკი დაეთანხმა. უხუცესების გაკვეთილებმა, ასევე აღდგენის მოწოდების სითბომ, მოულბო გული და გაუქარწყლა ფრენკს შიში და უნდობლობა. მან მზადყოფნით მიიღო ჭეშმარიტება, რომელიც მისიონერებმა გაუზიარეს. მან მიიღო მონათვლის შეთავაზება. ფრენკი და მილდრედი იმის შემდეგ გახდნენ მლიერი და აქტიური წევრები.*

*ფრენკი და მილდრედი ბეჯითად შრომობდნენ, რომ ჩაეტარებინათ ხსნისათვის აუცილებელი წეს-ჩვეულებები მათი ოჯახისათვის. ის დღე როდესაც მათ ჩაატარეს მათი გარდაცვლილი წინაპრების ნათლობა მათთვის გახდა დაუვიწყარი. სატამრო სამუშაოების პროცესში, მმა შულცს დაესიზმრა მამამისი. მან სიზმარში ნახა მამამისი ფერმაზე, სადაც ის მუშაობდა როდესაც ის პატარა იყო. მამამისი იჯდა სავარძელში ზღურბლთან, თეთრ სამოსელში ჩაცმული და ხელს იწვდიდა მისი შვილისაკენ. ფრენკს გაეღვიძა სიზმრიდან ატირებული. მან იცოდა, რომ მამამისმა მიიღო ის სამსახური, რომელიც მისთვის იყო ჩატარებული.*

შენიშვნები

### ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- რამ იქონია გავლენა ფრენკზე, რომ დაეთანხმა მისიონერების გაკვეთილებისათვის მოესმინა?
- როგორ შეგიძლიათ უფრო უკეთესად დაუკავშიროთ საოჯახო ისტორიული სამუშაო ღმერთის გეგმას ოჯახებისათვის?
- როგორ იყენებთ საოჯახო ისტორიას, როგორც ადამიანების სასწავლებლად მოძებნის საშუალებას? კიდევ როგორნაირად შეგიძლიათ შესთავაზოთ საოჯახო ისტორიული ინფორმაცია ადამიანებს, რომლებსაც ყოველდღე ხვდებით? დაგეგმეთ რომ დაიწყოთ საოჯახო ისტორიის გამოყენება, როგორც ერთერთი ეფექტური საშუალება მოწაფეების მოსაძიებლად.

ოჯახის ისტორია არის მლიერი საშუალება იმ ადამიანების მოსამებნად, რომლებიც უფალმა მოამზადა აღდგენილი სახარების მისაღებად. ილოცეთ იმისათვის რომ გაიგოთ საოჯახო ისტორიის გამოყენების შესამლებლობები ადამიანების მომიების პროცესში. ადამიანებს აქვთ სულიერი გრმნობები, როდესაც საუბრობენ თავიანთ ოჯახებზე. ადამიანები ასევე გრმნობენ სულს, როდესაც მათ უყვებიან თუ რატომ ვაკეთებთ საოჯახო ისტორიულ სამუშაოს. ამასთან ერთად ახლადმოქცეულებს აქვთ მზარდი ინტერესი ეკლესიის მიმართ, როდესაც ისინი პოულობენ თავიანთი ოჯახის ფესვებს და ასრულებენ მათთვის სატამრო წეს-ჩვეულებების სამსახურს.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**რა აღადგინა უფალმა ელიას მეშვეობით?**

მოძღვრება და აღთქმები 110:14–16
მოძღვრება და აღთქმები 128:16–18
მოძღვრება და აღთქმები 138:32–34
მალაქია 4:5–6

### ღონისძიება: დამოუკიდებელი და ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

მოილაპარაკეთ მეურვეობის წევრთან, რომელსაც აქვს საოჯახო ისტორიის სამუშაოების გამოცდილება, რომ ეწვიოთ საოჯახო ისტორიულ ცენტრს. სტუმრობისას გაარკვიეთ თუ რა სახის სამსახურებია ხელმისაწვდომი. მოიპოვეთ ინფორმაცია, მაგალითად თუ როდის იხსნება ცენტრი, ვინ მსახურობს იქ და რა შეგიძლიათ შესთავაზოთ იმ ადამიანებს, ვისაც ხვდებით ყოველ დღე.

ივარჯიშეთ, თუ როგორ შესძლებთ შესთავაზოთ საოჯახო ისტორიული დახმარება იმ ადამიანებს, ვისაც შეხვდებით. დაგეგმეთ მოძიების დროს, ადამიანებისათვის საოჯახო ისტორიული სამსახურის შეთავაზება.

---

წაიკითხეთ და განიხილეთ „Family History Work and Genealogy" წიგნში *True to the Faith* იმისათვის რომ უფრო ღრმად ჩასწვდეთ საოჯახო ისტორიულ სამუშაოს. სამეცადინო რვეულში ჩაიწერეთ თუ რა ისწავლეთ.

შენიშვნები

## ყოფილი მოწაფეები



© 1990 დელ პარსონი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

ყოფილი მოწაფეები არიან მვირფასი წყარო ახალი მოწაფეების მოსამიებლად. არსებობს ბევრი მიზეზები რის გამოც ადამიანებს აღარ სურთ ეკლესიის გაკვეთილების მოსმენა. მიზეზი შეიმლება იყოს მისიონერების სხვა რაიონში გადაყვანა, მოწაფეები შეიმლება წავიდნენ დასასვენებლად, მისიონერებმა შეიმლება გაკვეთილები შეწყვიტონ მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეები მათ მოსვლას ელოდებოდნენ და შეიმლება მოწაფეებმა იფიქრონ, რომ მისიონერებს აღარაფერი ახალი არ აქვთ მათთვის სასწავლებელი. მრავალი ყოფილი მოწაფეები ამბობენ, რომ კვლავ შეხვდებოდნენ მისიონერებს.

ხშირად გადაიკითხეთ თქვენი რაიონის წიგნი, იმისათვის რომ გამოარჩიოთ ყოფილი მოწაფეები. ლოცვით გადახედეთ ინფორმაციას რაიონის წიგნში, სადაც მოცემულია თუ როგორ გაიცნეს მოწაფეებმა ეკლესია პირველად, რას ასწავლიდნენ, როგორ მიიღეს გაკვეთილები და რატომ შეწყვიტეს სახარების შესწავლა. თუ წევრები იყვნენ ჩართული, ყოფილი მოწაფეების გაკვეთილების სწავლებაში და ეკლესიურ ცხოვრებასთან გაცნობაში, შეეკითხეთ წევრებს, თუ რა ახსოვთ მასზე და როგორ ხდებოდა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაგეგმეთ ახალი კონტაქტი ყოფილ მოწაფესთან.

თუ რომელიმე მოწაფე აპირებს სახარების შესწავლის შეწყვეტას, ჩაწერეთ შესაბამისი ინფორმაცია რაიონის წიგნში, რომელიც დაეხმარებათ სხვა მისიონერებს, რომლებიც მომავალში მას დაუკავშირდებიან.

ქვევით მოყვანილი ისტორიის კითხვისას, განიხილეთ ყოფილ მოწაფეებთან მუშაობის მნიშვნელობა.

*ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სამსახურად გამიწვიეს იმავე მისიაში სადაც მსახურობდა ერთი წლის წინ ჩემი უფროსი და. მისიაში რამოდენიმე თვის სამსახურის შემდეგ, მე გადამიყვანეს ერთერთ რაიონში სადაც ადრე ჩემი და მსახურობდა. როდესაც ეს გაიგო ჩემმა დამ, მან მომწერა წერილი, სადაც მსთხოვდა, რომ ვწვევოდი ერთ ოჯახს, რომელსაც მეწყვილე მისიონერთან ერთად ასწავლიდა. ჩემმა დამ წერილში აღწერა თუ როგორ უყვარდა ნორმანების ოჯახი, თუ როგორ ახლოს იყვნენ მათთან და როგორ გული დასწყდა, როდესაც მათ აღარ მოისურვეს ეკლესიასთან ურთიერთობა.*

*მე და ჩემმა მმადნაფიცმა ვიპოვეთ ნორმანების სახლი და მათ თბილად მიგვიღეს. მათ მიიღეს ჩვენი შეთავაზება, რომ კვლავ მოესმინათ გაკვეთილები აღდგენილ სახარებაზე. მე არ ვიცი რა განსხვავება იყო, მაგრამ ამმამად ისინი სრულიად მზად იყვნენ, რომ მიეღოთ ჩვენი მოწოდება. მთელი ოჯახი მოინათლა და წევრად დამტკიცდა.*

*ამ შემთხვევის შემდეგ, მე დავფიქრდი სხვა ადამიანებზე, ყოფილ მოწაფეებზე, რომლებთანაც მუშაობდა ჩემი და. მე გავიფიქრე, „თუ ამან გაამართლა ნორმანების ოჯახთან ურთიერთობაში, შეიმლება ამან გაამართლოს სხვა ადამიანებთანაც, ვისაც ასწავლიდა ჩემი და." მე გადავწყვიტე ეს იდეა მიმეწერა ჩემი დისათვის, რომ დავკავშირებოდი სხვა ყოფილ მოწაფეებს, რომლებსაც ის ასწავლიდა. მან თავისი დღიურიდან მომაწოდა სხვა ყოფილი მოწაფეების სახელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩემს რაიონში.*

*მე და ჩემი მმადნაფიცი მთელი შემდეგი კვირა ვმუშაობდით, რომ დავკავშირებოდით ამ ადამიანებს. ჩვენსდა სასიხარულოდ, სიიდან თითქმის ნახევარი დაგვეთანხმა, რომ კვლავ მოესმინათ მოწოდება აღდგენილ სახარებაზე. ამ ჯგუფიდან, რამოდენიმე ადამიანი მოინათლა და წევრად დამტკიცდა. როდესაც ვხვდებოდით ყოფილ მოწაფეებს, ჩვენ მათ ვთხოვდით ჩვენთვის მოეცათ რეკომენდაცია მათი მეგობრებზე და ნაცნობებზე, რომლებთაც შეიმლება აინტერესებდათ ჩვენი მოწოდება. ამის შედეგად, ჩვენ დამატებით ხალხი ვიპოვეთ სასწავლებლად. ეს იყო ჩემი მისიის ყველაზე დატვირთული დრო.*

შენიშვნები

### ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- გამოარჩიეთ ყველა ყოფილი მოწაფეები თქვენს რაიონის წიგნში.
- დასახეთ გეგმა, რომ დაუკავშირდეთ რაც შეიძლება მეტ ადამიანებს შემდეგი 24 საათის განმავლობაში.

## დამოუკიდებლად ადამიანების მოძიება სწავლებისათვის

ეცადეთ გაამტკიცოთ თქვენი რწმენა იმაში, რომ ღმერთი ამზადებს მის შვილებს იმისათვის რომ მათ მიიღონ აღდგენილი სახარება. თუ თქვენ აკეთებთ, რაც შეგიძლიათ ყველაფერს, სულიწმინდის კარნახის მიხედვით, რათა იპოვოთ ადამიანები სასწავლებლად, უფალი შეგახვედრებთ ამ ადამიანებს თქვენს გზაზე.

არსებობს ბევრი ღირსეული გზები, რითაც შეგიძლიათ მოძებნოთ ადამიანები, რომლებიც მზად არიან აღდგენილი სახარების მისაღებად. თქვენ უნდა გააკეთოთ ყველაფერი რაც შეგიძლიათ, რომ შეხვდეთ მათ ვინც მზად არის. მისიონერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ შემდეგი იდეები დაეხმარათ მათ ადამიანების სასწავლებლად მოსამიებლად დამოუკიდებლად მიებისას. ამ სიის კითხვისას, დაგეგმეთ, თქვენთვის ახალი იდეების პრაქტიკულად გამოყენება. ეს სია ასევე იქნება საწყისი წერტილი თქვენთვის, როდესაც იმსჯელებთ ადამიანების სასწავლებლად მომიების მალისხმევაში, სხვა ღირსეულ მეთოდებზე.



- იმუშავეთ ეპისკოპოსთან და მეურვეობის საბჭოსთან, რათა აღმოაჩინოთ და დაუკავშირდეთ ადამიანებს, რომლებსაც ახლახან, შეემინათ ბავშვი, მხარეში გადმოსახლდნენ საცხოვრებლად ან ოჯახში გლოვობდნენ გარდაცვლილს.
- მოიმიეთ შესამლებლობები, რათა ემსახუროთ ადამიანებს.
- ასწავლეთ აღდგენის მოწოდება წევრებს, როგორც აქტიურებს, ასევე ნაკლებად აქტიურებსაც, ახლადმოქცეულებს და ნაწილობრივად გაწევრიანებულ ოჯახებს. სთხოვეთ, რომ მათ გაგაცნონ ადამიანები, რომლებსაც შეგიძლიათ ასწავლოთ.
- წევრებისათვის დაგეგმეთ და ჩაატარეთ შეხვედრის საღამოები, რომლებზეც ისინი შესმლებენ თავიანთი მეგობრების დაპატიჟებას ან რომლის დროსაც თქვენ შესმლებთ ასწავლოთ სახარება და შესმლოთ თხოვნა, რომ მათ მოგაწოდონ კონტაქტები.
- შესთავაზეთ ადამიანებს დახმარება, თუ როგორ უნდა ჩაატარონ საოჯახო საღამო.
- ადამიანებს, რომლებსაც შეხვდებით შესთავაზეთ მათ გეწვიონ ადგილობრივ საეკლესიო შეკრებების სახლში.
- შესთავაზეთ, რომ დაეხმარებით ეპისკოპოსთან შესახვედრად.
- შესთავაზეთ, რომ ეწვიონ ვებგვერდს www.mormon.org.
- ორგანიზება გაუკეთეთ წმინდა წერილების შემსწავლელ კლასს.
- ორგანიზება გაუკეთეთ ინგლისური ენის შემსწავლელ კლასს.
- სემინარის ან ინსტიტუტის გაკვეთილებზე დაპატიჟეთ სათანადო წლოვანების ადამიანები.
- იარეთ სახლიდან სახლში ან ესაუბრეთ ადამიანებს ქუჩაში.
- გამოიყენეთ მოსაწვევი ბარათები, DVD დისკები და ბროშურები.

შენიშვნები

- ეცადეთ მიიღოთ ინფორმაცია კონტაქტების შესახებ მიმდინარე და ყოფილი მოწაფეებისაგან, ნაკლებად აქტიური წევრებისაგან, ასევე მომავალი უხუცესებისაგან და ყველასაგან, ვისაც შეხვდებით.
- მჭიდროდ იმუშავეთ ეკლესიის ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობების წარმომადგენლებთან, ეცადეთ ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნოთ სტატია თქვენი მისიონერული სამსახურის შესახებ.
- დაპატიჟეთ ადამიანები საეკლესიო შეკრებებზე, ღონისმიებებზე და ღია კარის დღეებზე.
- დაპატიჟეთ ადამიანები ნათლობებზე. ეს მოწაფეებს მისცემს შესანიშნავ შესამლებლობას, რომ იგრმნონ სულის გავლენა.

## იარეთ სიკეთის კეთებით

თქვენი რწმენა, რომ თქვენ შესმლებთ ადამიანების პოვნას სასწავლებლად, გამოვლინდება თქვენს ქმედებებში. მიწიერი ქადაგების დროს მხსნელმა „მიიღო მონის ხატება" (ფილიპელთა 2:7). ის „დადიოდა, ქველმოქმედებდა" (საქმეები 10:38) და „ქადაგებდა სახარებას" (მათე 4:23). მისი მაგალითის მიყოლით თქვენ იპოვით ადამიანებს, რომლებიც თქვენ მიგიღებენ.

ადამიანებისათვის მსახურობით, თქვენ შესმლებთ განსაკუთრებული შემართებით და შთაგონებით გაერთიანდეთ მათთან, ვინც უკვე მზად არის აღდგენილი სახარების მისაღებად. თქვენი კეთილი საქმეები, დაეხმარებათ ადამიანებს, თქვენში ღმერთის მსახურის დანახვაში და მიგიყვანთ შესამლებლობებისაკენ, რომ ასწავლოთ მათ აღდგენილი სახარება.



ბევრი მისიონერი თავიანთი მისიაში მსახურობამდე, მონაწილეობდა ეგრეთ წოდებულ „მსახურობის პროექტებში," როგორებიც არის ადამიანებისათვის დახმარება ახალ ბინაზე გადასვლაში, საეკლესიო ფერმაზე მსახურობით და ეზოს დასუფთავებით. როგორც მისიონერი, თქვენ მიიღებთ მონაწილეობას, ასეთ დაგეგმილ ღონისმიებაში ყოველ კვირას (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *Missionary Handbook*).

ამ განყოფილებაში აღწერილია სამსახურისათვის არაგეგმიური შესამლებლობები. ასეთი ტიპის სამსახური თქვენგან მოითხოვს სულისადმი მოსმენის მზადყოფნას, რომ შეიცნოთ ის შესამლებლობები, რომ ჩაიდინოთ პატარა კეთილი საქმეები, რომლებიც შეგიძლიათ შესთავაზოთ ღმერთის შვილებს. ილოცეთ და იყავით მზად აკეთოთ კეთილი საქმეები ყოველ დღე. კეთილი საქმეების კეთებით, თქვენ იპოვით იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან მოისმინონ აღდგენილი სახარების მოწოდება.

ქვევით მოყვანილი ამბავის კითხვისას, გაამახვილეთ ყურადღება თუ როგორ აკეთებდნენ მისიონერები კეთილ საქმეებს და ქადაგებდნენ სახარებას.

შენიშვნები

*პაბლო რეგულარულად ესწრებოდა ყოველკვირეულ ინგლისურის გაკვეთილებს. ის პენსიონერი იყო და სწავლობდა ინგლისურს, რომ როგორმე გული გადაექყოლებინა და არ ედარდა ავადმყოფ ცოლზე. ერთხელ ის არ მოვიდა. არავინ არ იცოდა რატომ. ერთი თვის შემდეგ, ის კვლავ მოვიდა გაკვეთილზე, ის მალიან შეცვლილი იყო. იყო მალიან გამხდარი და დათრგუნვილი. გაკვეთილის მსვლელობაში არ მიიღო მონაწილეობა ისე როგორც ადრე და კლასი დატოვა მანამდე, სანამ გაკვეთილი დამთავრდებოდა და შევმლებდით მასთან გასაუბრებას.*

*შემდეგი კვირის განმავლობაში მე და ჩემი მმადნაფიცი ვლოცულობდით იმისათვის რომ, პაბლო დაბრუნებულიყო კლასში გაკვეთილზე, რომ მას დავლაპარაკებოდით. ჩვენ ლოცვაზე მივიღეთ პასუხი და იგი მოვიდა მეცადინეობაზე. როცა გაკვეთილის მერე ველაპარაკეთ, გავიგეთ, რომ ცოლი გარდაეცვალა. პაბლომ მოგვიყვა მისი ამბავი, ჩვენ გავიზიარეთ მისი მწუხარება და ვუთხარით, რომ გვინდა დავეხმაროთ მას იმის გაგებაში, თუ რა უნდა გააკეთოს, რომ კვლავ თავის ცოლთან ერთად იყოს. მან თავი ასწია, შემომხედა გაბრაზებული, დამწუხრებული, ცრემლიანი თვალებით მითხრა: „თქვენ, რომ მართლა გსურდეთ ჩემი დახმარება, მოხვიდოდით ჩემთან და დამეხმარებოდით ჩემი ცხოვრების მოწესრიგებაში. ამას არ აკეთებენ მისიონერები? მე მჭირდება დახმარება, რომ მოვიყვანო ჩემი სახლი და ასევე სხვა საქმეები წესრიგში.“*

> *„გინდათ, რომ იყოთ ბედნიერი? დაივიწყეთ საკუთარ თავი და თავგამოდებით ჩაერთეთ ამ დიდ სამუშაოში. მიმართეთ თქვენი მალისხმევა ადამიანების დახმარების საქმეს. . . იყავით წმინდა, წამოაყენეთ მუხლმოდრეკილნი, მხარში ამოუდექით მათ ვინც ხელები ჩამოუშვა. იცხოვრეთ იესო ქრისტეს სახარებით.“*
>
> – პრეზიდენტი გორდონ ბ. ჰინკლი
> *TEACHINGS OF GORDON B. HINCKLEY*, 597

*პაბლოს სიტყვებით, გაკვირვებული და შერცხვენილი დავრჩით. ჩვენ ვუთხარით მას, რომ მზად ვართ დავეხმაროთ მის საქმეებში. მგონი ზუსტად ამ წუთიდან მან დაიჯერა ჩვენი განზრახვების ჭეშმარიტება. გვთხოვა მოვსულიყავით მასთან სახლში და დავხმარებოდით ხეების მოჭრაში. დანიშნულ დროს ჩვენ მართლაც მივედით მასთან და ყველამ ერთად დავიწყეთ მუშაობა. თვეები ის უვლიდა თავის ავადმყოფ ცოლს და ამიტომ სახლში და ბაღში დაუგროვდა ბევრი საქმე. სამუშაო სამივესთვის საკმარისი იყო. პაბლოს სახლში მუშაობა გახდა ჩვენთვის ყოველკვირეულ საქმედ. ვაჭრიდით ხეებს ზედმეტ ტოტებს, ვიღებდით სარეველებს და ვკრეფდით მოსავალს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვეწყო გაკვეთილების ჩატარება მასთან. ყოველთვის, როცა ვცდილობდით ამის გაკეთებას, ის გვაწყვეტინებდა. პაბლოს მოსწონდა, როცა ველაპარაკებოდით მის ცხოვრებაზე და ოჯახზე. ჩვენ მირითადად მას ვუსმენდით.*

*თვე ნახევრის შემდეგ პაბლომ გაგვაკვირვა როცა შეგვეკითხა: „მართალია, რომ მე კიდევ ერთხელ დავინახავ ჩემ ცოლს?“ ჩვენ სიხარულით ვუპასუხეთ, რომ ეს სიმართლეა. მოვუყევით მარადიულ ოჯახებზე და შევეცადეთ, რაც შეიმლება დაწვრილებით გვეპასუხა მის შეკითხვებზე.*

*პაბლოს ასევე მოვუყევით ხსნის გეგმაზე. მას მალიან მოეწონა ეს მომღვრება. ჩვენი წასვლის წინ, მან კვლავ მოგვაყარა უამრავი შეკითხვები: „ექნება თუ არა ჩემ მეუღლეს სხეული, როცა მას შევხვდები? აღარ გვექნება ტკივილი და ავადმყოფობა?“ ჩვენ ვუპასუხეთ შეკითხვებზე და მოვილაპარაკეთ ახალ შეხვედრაზე იმისათვის რომ განვიხილოთ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების საფუმვლები.*

*მალე პაბლოს სახის გამომეტყველება შეიცვალა. ის დაწყნარდა და უფრო ხშირად იღიმებოდა. მან ნამდვილად მიიღო იმედი უკეთეს ცხოვრებაზე (იხილეთ ეთერი 12:4). ჩვენი მსახურება დაეხმარა მას იმ სწავლების ჭეშმარიტების დაჯერებაში, რომელსაც ვასწავლიდით.*

შენიშვნები

## ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- როგორი კეთილი საქმეები გააკეთეს მისიონერებმა ამ მოთხრობიდან?
- რა როლი შეასრულა მისიონერების მსახურებამ პაბლოს გადაწყვეტილებაში უფრო მეტი გაეგო სახარების შესახებ?
- ცდილობთ თუ არა, რომ მოძებნოთ შესაძლებლობები, რათა გააკეთოთ კეთილი საქმეები ყოველ დღე? შეგიძლიათ თუ არა გაწიოთ უფრო მეტი ძალისხმევა?

ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში ან გაესაუბრეთ ძმადნაფიცს თუ რა კეთილი საქმეები შეგიძლიათ გააკეთოთ დღეს იმისათვის რომ უფრო მეტი ადამიანები მოძებნოთ სწავლებისთვის.



გჯეროდეთ, რომ თქვენ ნამდვილად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მზად იქნებიან მიიღონ აღდგენის მოწოდება. ღმერთი მიგიყვანთ ზუსტად იქ, სადაც თქვენი კეთილი საქმეები და სიტყვები მოამზადებენ ადამიანებს იმისათვის რომ მიიღონ მისიონერები და ეკლესიის წევრები. სწავლებისათვის ხალხის მოძებნის დროს ილოცეთ და მოიძიეთ შესაძლებლობები, რომ ემსახუროთ, დახმარება გაუწიოთ და წაახალისოთ ადამიანები. როცა ხალხს ემსახურებით, უნდა ელაპარაკოთ ყველას, ვისაც შეხვდებით თქვენს გზაზე. გჯეროდეთ, რომ ნამდვილად შეგიძლიათ გაუზიაროთ ხალხს აღდგენილი სახარების მომღვრება.

რასაც არ უნდა აკეთებდეთ, თქვენ უნდა სიყვარულით ემსახუროთ თქვენს მმებსა და დებს, ასევე იმედი გქონდეთ და ლოცვით ეცადეთ ასწავლოთ მათ აღდგენილი სახარება.

## მითითებები

**კეთილი საქმეების კეთების დროს გახსოვდეთ შემდეგი:**

- იყავით თქვენ ძმადნაფიცთან ერთად.
- შეინარჩუნეთ თქვენი მოწოდების წმინდა ბუნება.
- დაიცავით მისიონერების წესები და არ გამოიყენოთ და არ შეწიროთ თქვენი საკუთარი ფული.
- ნახეთ მითითებები, რომლებიც მოცემულია *Missionary Handbook* ყოველკვირეული საზოგადოებრივი მსახურების შესახებ.

## წმინდა წერილების შესწავლა

**რა როლი ჰქონდა მხსნელის ცხოვრებაში მსახურებას?**

3 ნეფი 17:7, 21
მათე 8:1–4
მათე 9:1–8
მარკოზი 1:21–28
იოანე 4:46–54

**რა როლი ჰქონდა ამონის და აარონის მისიებში მსახურებას?**

ალმა 17:19–25
ალმა 18:8–10
ალმა 22:3

**რის გაკეთებას გთხოვთ უფალი?**

3 ნეფი 27:21

შენიშვნები

## არცერთი ძალისხმევა არ დარჩება უშედეგოდ

თუ ადამიანებმა უარი თქვეს აღდგენილი სახარების შესწავლაზე, თქვენი სამუშაო, მაინც არ დაიკარგა უშედეგოდ. თქვენი მუდმივი მისწრაფება, რომ ემსახუროთ რაც შეიძლება უფრო მეტ ადამიანს და ასწავლოთ მათ – ეს არის ღმერთის ერთ-ერთი ხერხი, რომლის დახმარებით იგი ამზადებს თავის შვილებს იმისათვის რომ საბოლოო ჯამში მათ მიიღონ მისი მსახურები. ხშირად უფალი მიმართავს თავის შვილებს თქვენი დახმარებით. იმ შემთხვევაშიც კი როცა ადამიანები უარს იმახიან აღდგენილი სახარების შესწავლაზე, თქვენი მსახურება და თქვენი სიტყვები მოწმობენ ღმერთის სიყვარულზე მათ მიმართ და შესამლებელია თქვენ თესავთ მომავალი მოსავლის თესლებს, რომელსაც მოიმკიან სხვა მისიონერები ან ეკლესიის წევრები.

თუ ადამიანები არ ღებულობენ სახარებას, არ გაიტეხოთ გული. თქვენ სთქვით თქვენი სათქმელი სიტყვა, რომ გააფრთხილოთ. თქვენ მიეცით მათ ნათელი არჩევნის საშუალება. ქრისტეს მოწაფეები ნანობენ, როდესაც ადამიანებს არ სურთ მონანიება, მაგრამ მათ არ ავიწყდებათ ვინ არიან და რა სამუშაოს აკეთებენ. ისინი მტკიცედ აგრძელებენ წინ სვლას.

### გახსოვდეთ შემდეგი

- აშენეთ ეკლესია, ეცადეთ მონახოთ ისინი, რომლებიც თქვენ მიგიღებენ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 42:8).
- სწავლების მსურველთა ძებნაში მიენდეთ წმინდა სულს და მიყევით მის კარნახს.
- ღმერთი ამზადებს ადამიანებს თქვენს რაიონში იმისათვის რომ მათ მიიღონ აღდგენილი სახარება.
- აქტიური და ნაკლებად აქტიური ეკლესიის წევრები, მომავალი უხუცესები და ახლადმოქცეულები – არიან ინფორმაციის საუკეთესო წყარო, სწავლების მსურველ ადამიანთა ძებნის, მათი მონათვლის და წევრად დამტკიცებისათვის.
- განავითარეთ მდგრადი ურთიერთობა ეპისკოპოსთან და წევრებთან.
- ასწავლეთ როდესაც იპოვით, იპოვეთ როდესაც ასწავლით.
- მზად იყავით სწავლების მსურველ ადამიანთა ძებნის დროს არაგეგმიური, მოულოდნელი შესაძლებლობებისათვის.
- ილოცეთ, რომ მოგეცეთ კეთილი საქმეების კეთების და იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ ქადაგების შესაძლებლობები.
- არსებობს ბევრი სხვადასხვა გზა სწავლების მსურველ ადამიანთა ძებნაში. არ გაჩერდეთ მხოლოდ ერთ ან ორ მეთოდზე.

შენიშვნები

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- წაიკითხეთ ქვევით მოყვანილი ერთ-ერთი მისიონერი ქალის წერილი მშობლებს: „მე ვასწავლიდი ერთ მშვენიერ ქალს ავტობუსში. ჩვენ ვბრუნდებოდით ოლქის კრებიდან, მე დავჯექი ერთადერთ თავისუფალ ადგილზე და ვათვალიერებდი ჩემ ფოსტას. რათქმაუნდა პირველ რიგში გავხსენი თქვენი წერილი პატარა ევანის სურათებით. შევამჩნიე, რომ გვერდით მჯდომი ქალიც ათვალიერებს ჩემთან ერთად ჩემს სურათებს. როდესაც ავწიე თავი, ჩვენ ერთმანეთს თვალებში შევხედეთ, მოხუცმა ქალმა ოდნავ გამიღიმა და მიტრიალდა ფანჯრისაკენ. მერე მან დახუჭა თვალები თითქოს დასაძინებლად ემზადებოდა. მე დავიწყე ლოცვა: „მამა ზეციერო, მე მინდა მას დაველაპარაკო. გთხოვ დამეხმარე." ერთი წუთის მერე ქალმა გაახილა თვალები და წელში გასწორდა. მე ჩქარა ვუთხარი: „რა სიმპათიურია, არა?" ვაჩვენე პატარა ევანის სურათები და დავიწყე ოჯახზე საუბარი. მე ვკითხე მას ბავშვებზე და მან ცრემლიანი თვალებით მიპასუხა, რომ მისი გოგო მას ვერ იტანს და არ სურს მასთან ურთიერთობა. იგი ტიროდა და მეც ავტირდი მასთან ერთად. მე მოვუყევი მას ხსნის გეგმაზე და ვუთხარი, რომ მამა ზეციერი იცნობს მას პირადად. მან იცის მისი გაჭირვებების შესახებ. ცრემლიანი თვალებით მე ვუთხარი მას, რომ მის ქალიშვილს უყვარს იგი, რადგან მე თვითონ ვარ მოსიყვარულე დედის შვილი, რომელიც ძალიან მიყვარს. მე ავუხსენი, რომ ხანდახან ადამიანები ღებულობენ არასწორ გადაწყვეტილებებს და მის ქალიშვილს აქვს არჩევნის თავისუფლება. ქალმა გამიღიმა და მითხრა: „დარწმუნებული ვარ, შენ დედას ძალიან ენატრები. როცა დაბრუნდები, ის აღარ გამოგიშვებს." მან მადლობა გადამიხადა სასიამოვნო საუბრისათვის და მომცა თავისი მისამართი, რომ ჩვენ კვლავ გვესაუბრა სახარებაზე. ჩასვლისას, მან მითხრა, რომ არასწორ ავტობუსზე დაჯდა მაგრამ რატომღაც აღარ ჩამოვიდა. „არავინ არ ჯდებოდა ჩემს გვერდით, სანამ შენ არ ამოხვედი . . . და უყურე, რა გამოვიდა! ღმერთის გეგმა სრულყოფილია!"

  ამ თავის რა პრინციპების განხორციელებას ხედავთ მოყვანილ მოთხრობაში? გადაათვალიერეთ ეს თავი და ჩამოაყალიბეთ ეს პრინციპები სამეცადინო რვეულში. რომელი პრინციპი შეგიძლიათ გამოიყენოთ დღესვე?

- წაიკითხეთ იოანე 15:12–13; 21:15–17; 1 თესალონიკელთა 2; და მოსია 18:8–10. როგორ წარმატებით ასრულებთ თქვენს მოვალეობას, რომ გიყვარდეთ და ემსახუროთ ადამიანებს? რა შეგიძლიათ გააუმჯობესოთ? ჩაიწერეთ თქვენი პასუხები თქვენს სამეცადინო რვეულში.

- როგორ უნდა გაიგონ ადამიანებმა, რომ თქვენ ხართ ღმერთის მსახური? როდესაც იფიქრებთ ამ შეკითხვაზე, წაიკითხეთ მორონი 7:3–5; მათე 7:20; იოანე 13:34–35. სამეცადინო რვეულში ჩაიწერეთ თქვენი აზრები.

- წაიკითხეთ 3 ნეფი 18:31–32; ალმა 8:16; ალმა 24:7–8; და ალმა 32:41. განიხილეთ თუ რას ასწავლიან ეს მუხლები ყოფილ მოწაფეებთან მუშაობაზე. სამეცადინო რვეულში ჩაიწერეთ, რაც ისწავლეთ და გაუმჯობესეთ ძმადნაფიცს თქვენი გამოცდილება.

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- გამოიყენეთ თქვენი დღიური, დასახეთ გეგმები, რომ შეხვდეთ ახლადმოქცეულებს. შეეკითხეთ მათ თუ როგორ იყვნენ მომზადებულები სახარებისათვის. მაგალითად, დაუსვით შეკითხვები: პირველად როდის გაიგეთ ეკლესიის შესახებ? რამ გადაგაწყვეტინათ, რომ შეხვედროდით მისიონერებს? ჩაიწერეთ ნასწავლი სამეცადინო რვეულში.

- განიხილეთ ყოველი ქვევით მოყვანილი თემა. მისიონერთა გაკვეთილების გამოყენებით, მოიფიქრეთ უბრალო მეთოდები ადამიანების მოსაძებნად სწავლებისათვის. ივარჯიშეთ თუ როგორ ასწავლით ადამიანებს შეხვედრისას და ისწავლეთ საუბრის ნებისმიერი თემიდან აღდგენის თემაზე გადასვლა.

  – ცხოვრების მიზნის და მიმართულების მითითების მოთხოვნილების გრძნობა.

  – ღმერთთან უფრო დაახლოების სურვილი.

  – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებში დახმარების მოთხოვნილება.

შენიშვნები

- წაიკითხეთ გვერდები 66–68 წიგნიდან *Our Search for Happiness* და გვერდები 59–64 წიგნიდან *True to the Faith*, რომ უკეთესად გაიგოთ საოჯახო ისტორიის სამუშაოების მოძღვრების საფუძვლები. მოამზადეთ მოხსენება საოჯახო ისტორიის სამუშაოს შესახებ, და გაუზიარეთ ის თქვენ ძმადნაფიცს.

- წარმოიდგინეთ, რომ თქვენ და თქვენი ძმადნაფიცი გადაგიყვანეს ახალ რაიონში. თქვენ ნახეთ, რომ რაიონის წიგნი არის კარგ მდგომარეობაში, მაგრამ არ გყავთ მოწაფეები. რა უნდა გააკეთოთ, რომ იპოვოთ ადამიანები სასწავლებლად, რაც შეიძლება სწრაფად? დასახეთ გეგმები, რომ დღესვე გამოიყენოთ თქვენს მიერ მოფიქრებული ზოგიერთი რჩევები.

- შემდეგი რჩევა აღმოჩნდა წარმატებული ბევრი მისიონერისათვის და ეკლესიის წევრისათვის. თქვენს ძმადნაფიცთან ერთად წაიკითხეთ და შეისწავლეთ ეს რჩევა.
  - დაეხმარეთ წევრებს შეადგინონ მეგობრების, ნათესავების და ახლობლების სია, რომლებისთვისაც მათ სურთ სახარების გაზიარება. განიხილეთ ეს სია წევრებთან და ლოცვით ამოირჩიეთ რომელიმე, ვისაც ისინი გაუზიარებდნენ სახარებას.
  - დაეხმარეთ, რომ დანიშნონ თარიღი როდესაც ისინი (ა) შეეცდებიან თავიანთ სახლში მოამზადონ ცალკეული პიროვნება ან ოჯახი გასაუბრებისათვის ან (ბ) გააკეთებენ რამეს, რომ მოიზიდონ ისინი ეკლესიურ ცხოვრებაში. თარიღის დანიშვნა ეხმარება წევრებს საკუთარი რწმენის გამოვლინებაში.
  - დაეხმარეთ მათ გეგმის დასახვაში, თუ რას გააკეთებენ დღევანდელი დღიდან დანიშნულ თარიღამდე.
  - რეგულარულად იქონიეთ კონტაქტი მათთვის მხარდასაჭერად და დასახმარებლად. სთხოვეთ, რომ გაგიზიარონ თავიანთი წარმატებები და საზრუნავები.

  განიხილეთ თუ როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს იდეები თქვენი სამსახურის რაიონში.

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- წაიკითხეთ და განიხილეთ განყოფილება „დამოუკიდებლად ადამიანების მოძიება სწავლებისათვის“.
  - განიხილეთ თუ როგორ დაეხმარნენ ეს იდეები მისიონერებს ადამიანების სასწავლებლად მოძიებაში.
  - დაფაზე, ჩამოწერეთ სხვა, დამატებითი, იდეები ადამიანების სასწავლებლად მოძიებისათვის, სთხოვეთ მისიონერებს თვალსაჩინოდ წარადგინონ თავიანთი იდეები.
  - მოუწოდეთ მისიონერებს, რომ დასახონ პირადი მიზნები, რომ გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა ადამიანების სასწავლებლად მოძიების საქმეში.

- ჩამოწერეთ სიტუაციების სია, რომელიც აღწერს ძიების პროცესს.
  - დაავალეთ ყოველ მისიონერს მოიფიქროს ერთერთი ასეთი სიტუაცია. შემდეგ მიეცით ყოველ მისიონერს 5 წუთი, რომ მოამზადონ მეთოდი თუ როგორ ასწავლიან აღდგენის მოწოდების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ურჩიეთ მათ გადაიკითხონ გაკვეთილი „იესო ქრისტეს სახარების აღდგენის მოწოდება“.
  - ხაზი გაუსვით იმას თუ რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც მათ მიერ ნათქვამი მოწოდების სიგრძე, დროის მხრივ, შეესაბამება სიტუაციას. მაგალითად, მისიონერებს შეუძლიათ უფრო მეტი დრო მიუძღვნან გაკვეთილს, როდესაც ასწავლიან წევრის სახლში ვიდრე მაღაზიაში ვინმეს სწავლებისათვის.
  - მისიონერებს დაავალეთ, რომ რაც შეიძლება ბევრმა მათგანმა აჩვენოს აღდგენის მოწოდების სწავლების უნარი მათთვის მიცემული სიტუაციის შესაბამისად.

- ასწავლეთ წესები, რომლებიც მოცემულია განყოფილებაში „ასწავლეთ როდესაც იპოვით, იპოვეთ როდესაც ასწავლით“.

შენიშვნები

– დაავალეთ ყოველ მისიონერს, რომ მოამზადოს ერთ წუთიანი გზავნილი, რომელსაც ის გაუზიარებს ადამიანებს გაცნობისას. ეს მოწოდება უნდა ეყრდნობოდეს მისიონერთა გაკვეთილებში მოცემულ მოძღვრებას.

– სთხოვეთ მისიონერებს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ერთ წუთიანი გზავნილი. თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ სხვადასხვა სიტუაციები, როდესაც შეიძლება ადამიანების პოვნა სწავლებისათვის, მაგალითად, ეკლესიის წევრებთან სახლში, ვინმეს კარების ზღურბლთან, ქუჩაში ან ვინმეს მიერ რეკომენდირებულ პიროვნებას. დაავალეთ მისიონერებს, რომ ივარჯიშონ ყოველ ასეთი სიტუაციაში სწავლებისათვის.

## მისიის პრეზიდენტი

- იყავით სამაგალითო, მისიონერულ სამსახურში, ეკლესიის წევრებთან, თქვენს ოჯახში. გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება მისიონერებს და ეკლესიის წევრებს.

- განიხილეთ სამღვდელოების ხელმძღვანელებთან თუ რა იქნება ყველაზე საუკეთესო მეთოდები მისიონერების მიერ ადამიანების სწავლებისათვის მოსაძიებლად, თქვენს მისიაში.

- ორგანიზება გაუკეთეთ მისიონერთა შეხვედრების საღამოებს, სადაც შესძლებთ ესაუბროთ თქვენი მისიის მოწაფეებს. შეუთანხმდით ადგილობრივ სამღვდელოების ხელმძღვანელებს შეკრებების ადგილზე და თარიღზე, რომ ეკლესიის წევრებმა შესძლონ თავიანთი მეგობრების მოყვანა. თქვენი გამოსვლის წინ სთხოვეთ ახლადმოქცეულებს, რომ გაუზიარონ დამოწმებები და მოყვნენ თავიანთი მოქცევის ისტორიები. სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილეთ აღდგენის მოწოდებაზე.

- მისიონერებს გაუზიარეთ თქვენი წინაპრების ოთხი თაობის საგვარეულო გენიოლოგიური ცხრილი, ასევე აუხსენით თუ როგორ იყენებთ მას ადამიანების სწავლებისათვის ძიებაში.

- დროგამოშვებით დაეხმარეთ მისიონერებს ადამიანების სასწავლებლად მოძიებაში.



# როგორ განვავითარო ჩემში მასწავლებლის უნარი?

შენიშვნები

## განიხილეთ შემდეგი

- როგორ უნდა ვასწავლო წმინდა წერილებიდან?
- რისთვისაა სწავლების დროს შეკითხვების დასმა?
- რა სახის კითხვები უნდა დავსვა?
- უკეთესად როგორ შევისმინო მოწაფეთა შეკითხვები, სული წმინდის კარნახის შესმენასთან ერთად?
- როგორ შემიძლია დავეხმარო ადამიანებს მათი შინაგანი მერყეობისას გადაწყვეტილების მისაღებად?
- როგორ შემიძლია დავეხმარო სხვებს მავნე ჩვევებისა და სასიცოცხლოდ საზიანო მიდრეკილებების დაძლევაში?

თქვენ მოწოდებული ხართ აღდგენილი სახარების მასწავლებლად ყველა იმ სულისათვის, რომელიც მიგიღებთ. სწავლება თქვენი საქმიანობის მირითადი მიზანია. თქვენ ავითარებთ ქრისტესნაირ თვისებებს საკუთარ თავში, სწავლობთ მისიონერთა გაკვეთილებს, იუმჯობესებთ მისიის ენაზე მეტყველების უნარს და ეყრდნობით სულიწმინდას, რათა დამაჯერებლად იქადაგოთ. უფალმა ეს განაცხადა, როგორც მცნება, რომელსაც მოჰყვება შესაბამისი დაპირება:

ვიდრე ჩვენ მიზნად დავისახავთ მისი სიტყვის გაცხადებას, მანამ უნდა მივიღოთ მისი სიტყვა და აი მაშინ გაგვეხსნება მჭევრმეტყველება და თუ მოვინდომებთ, მისი სული და სიტყვა, რაც ღვთის მალას წარმოადგენს ხალხის დასარწმუნებლად, ჩვენთან იქნება (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 11:21).

მუდამ გახსოვდეთ სიცოცხლის სიტყვები და საჭირო ჟამს მოგეცემათ ზუსტად ის, რაც ესაჭიროება ყოველ ადამიანს (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 84:85).

პირველ პრეზიდენტობამ და თორმეტ მოციქულთა ქვორუმმა განაცხადეს: „ჩვენი მიზანია, რომ მივაწოდოთ აღდგენილი სახარების მოწოდება ისეთნაირად, რომ სულმა მართოს მისიონერები და ის ადამიანებიც, ვისაც ისინი ასწავლიან. მალიან მნიშვნელოვანია მისიონერთა გაკვეთილების მომღვრების დედააზრის სწავლა, მაგრამ მისიონერმა ეს არ ასწავლოს დაზეპირებული ტექსტის მოყოლით. მისიონერი თავისუფალია, რომ იქადაგოს

შენიშვნები

თავისი სიტყვებით და სულიწმინდის კარნახის მიხედვით. მან არ ჩაატაროს დაზეპირებული გაკვეთილი, არამედ თამამად უნდა იყენებდეს საკუთარ სიტყვებს. მას შეუძლია შეცვალოს გაკვეთილის თანმიმდევრობაც, ილაპარაკოს შთაგონებით, დაინტერესებული მოწაფის საჭიროებების და ინტერესების შესაბამისად. საკუთარი რწმენით საუბრისას, მისიონერმა უნდა გაუზიაროს დამოწმება იმ სწავლების ჭეშმარიტებაზე, რომელსაც ის ასწავლის" („Statement on Missionary Work," პირველ პრეზიდენტთა წერილი, 11 დეკემბერი 2002).

ისწავლეთ სულიწმინდის მიმართ ნდობა, განსაკუთრებით ნდობა იმის მიმართ, რომ იგი აგამოქმედებთ და აგამეტყველებთ. ამ თავში მოცემული მასწავლებლობის მეთოდების შესწავლითა და განვითარებით და შესაბამისად მათი გამოყენებით თქვენ შემლებთ უკეთესი გამტარი გახდეთ უფლის ხელში. სული წმინდა საუკეთესოდ გამოიყენებს თქვენს მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარს იმისათვის, რომ თქვენი სწავლება უფრო მლევამოსილი გახდეს. თქვენი სწავლების მომმლავრებული მალა და ხარისხი დაეხმარება სხვებს იმის გაგებასა და დარწმუნებაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის აღდგენილი სახარება. თქვენი პიროვნული ღირსება მათ მომღვრების აღქმაზე ზეგავლენას მოახდენს. მათ ცნობიერებაზე აგრეთვე იმოქმედებს ის, თუ რამდენ ყურადღებას უთმობთ მათ, რამდენად კარგად უხსნით მათ სახარებას, როგორ იყენებთ მათთან წმინდა წერილებს, უზიარებთ თქვენს დამოწმებას, სვამთ შეკითხვებს და ამასთან ერთად, სთხოვთ საკუთარ თავზე ვალდებულების აღებასა და შესრულებას.

### მიჰყევით სული ძმინდას

„სულიწმინდა წარმოადგენს ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს. როდესაც სულიწმინდა ამაღლებს თქვენს მოწოდებას, თქვენ თქვენი მისიის ფარგლებში სასწაულთა ქმედების უნარი გეძლევათ. სულიწმინდის ზეგავლენის გარეშე თქვენ ვერასდროს ვერ გახდებით წარმატებულნი, მიუხედავად თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობისა" (ეზრა ტაფტ ბენსონი, სემინარი ახალი მისიის პრეზიდენტთათვის, 25 ივნისი 1986).

### მოიხვეჭეთ სული ძმინდა

შემდეგი რჩევანი დაგეხმარებათ იმაში, რომ მოიწვიოთ სული წმინდა სწავლებისთვის:

- ილოცეთ.
- გამოიყენეთ წმინდა წერილები.
- გაუზიარეთ სხვებს თქვენი დამოწმება.
- გაუზიარეთ სხვებს თქვენი საკუთარი გამოცდილება.
- გამოამჟღავნეთ სიყვარული ღვთისა და ადამიანთა მიმართ.

## როგორ დავიწყოთ სწავლება

მოწაფესთან გატარებული პირველი წუთები მეტად მნიშვნელოვანია. ისინი ნდობით უნდა განეწყონ თქვენს მიმართ. თქვენი პირველი შეხვედრა ჩაატარეთ გულთბილ, თავაზიან და გულწრფელ გარემოში. შესთავაზეთ რამოდენიმე მარტივი კითხვა, რათა გაიგოთ მოწაფის რელიგიური საწყისები და ის, თუ რას ელოდება იგი თავის მხრივ, თქვენგან მოსმენილი გაკვეთილებიდან. მაგალითად: რა როლი ითამაშა რელიგიამ თქვენს ცხოვრებაში? ამავე დროს არასოდეს დასვათ ისეთი პირადი შეკითხვა, რომლის გამოც ისინი უხერხულად იგრძნობენ თავს.

ვიდრე დაიწყებთ გაკვეთილს, სთხოვეთ ყოველ დამსწრეს მიიღოს გაკვეთილში მონაწილეობა. სთხოვეთ მათ გათიშონ ტელევიზორი და გაამახვილონ ყურადღება, რათა წინააღმდეგობა არ შეექმნას უფლის სული წმინდას.

განუმარტეთ მათ, რომ თქვენ გსურთ ლოცვით დაიწყოთ და დაასრულოთ გაკვეთილი. უთხარით მათ, რომ თქვენ თვითონ აღავლენთ გახსნით ლოცვას. ილოცეთ მარტივად, მაგრამ გულმხურვალედ, რათა უფალმა დალოცოს თქვენი მოწაფენი ცხოვრების ყოველ ასპექტში, განსაკუთრებით იმაში, რომ ისინი ეზიარონ თქვენი სწავლების ჭეშმარიტ არსს.

შენიშვნები

გამოავლინეთ წრფელი ინტერესი და სიყვარული მოწაფეთა მიმართ, აგრეთვე სახარების მოქცევის მლევამოსილებისადმი რწმენა (იხილეთ მორონი 7:43-48). სულიწმინდის ხელმძღვანელობით, თქვენ შეგიმლიათ ამდაგვარი აზრები გააზმოვანოთ:

- ვინაიდან ღმერთი არის ჩვენი ზეციერი მამა, ჩვენ ყველანი მმები და დები ვართ. ჩვენ გვინდა ერთმანეთისადმი მიმართვებში გვესმოდეს დაღ და მმაღ.
- ყოველ ადამიანს, რომელსაც ჩვენ ვმომღვრავთ, გააჩნია თავისი პირადი საზრუნავი და ცხოვრებისეული სირთულეები. მხსნელი და მისი მომღვრება—სახარება, დაეხმარება ყოველ თქვენთაგანს მწუხრსა თუ იწროებაში.
- ჩვენი გზავნილი დაგეხმარებათ თქვენ თქვენი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. იგი დაგეხმარებათ ცხოვრებისეული პრობლემებისა და სირთულეების დამლევაში.
- ჩვენი გზავნილი, რომლის არსიც იესო ქრისტე გახლავთ, მალზე მნიშვნელოვანი და მვირფასი გზავნილია.
- ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს ცხოვრებაში, რის გამოც გვებადება უხერხულობისა და დანაშაულის გრმნობა. ამ გრმნობებს ვერ შევიმსუბუქებთ მონანიებისა და მიტევების გარეშე. მაგრამ ყოველი მათგანი სრულიად განკურნებადია ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლშეწირვით.
- შეუმლებელია ჩაწვდეთ ჩვენს გზავნილს ერთბაშად. დროთაგანმავლობაში ლოცვა, სწავლა, პირადი გამოცდილება და ღვთის მცნებათა დაცვა მოგიტანთ გზავნილის სრულ აღქმას.
- ყველას მსგავსად, ჩვენ ჩვენი სისუსტეები გვახასიათებს. შეიმლება ჩვენ ცუდად ვფლობთ ენას ან უმლური ვართ პასუხი გავცეთ ყოველ თქვენს შეკითხვას. მაგრამ ჩვენ წინასწარმეტყველისაგან მოწოდებული ვართ გაგიზიაროთ ჩვენი ცოდნა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი გზავნილი ჭეშმარიტია.
- ჩვენ გაგიმღვებით ამ სწავლების გზაზე, რათა თვითონვე ჩაწვდეთ ჩვენი გზავნილის ჭეშმარიტებას. გზავნილის მიღება და მისი გამოყენება თქვენი არჩევანია, ასე რომ თამამად დასვით კითხვები.
- იმ დროს, როდესაც თქვენ გულწრფელად ცდილობთ ჩვენი გზავნილის წვდომას, შესამლოა სიმნელეებს გადაეყაროთ, მაგრამ ღმერთი დაგეხმარებათ.
- ჩვენი გზავნილის მიღებისას თქვენ ისწავლით იმას, თუ როგორ შეხვიდეთ ღვთის აღთქმაში ან სხვა გვარად, მის დაპირებაში. თქვენ ისწავლით იმას, თუ როგორ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება ისე, რომ ღვთის სწავლების ჰარმონიაში შემლოთ თქვენი ცხოვრება. თქვენ გაგიჩნდებათ სურვილი გაჰყვეთ იესო ქრისტეს მომღვრებას და მოინათლოთ შესაფერი მალა-უფლებით აღჭურვილი პირის მიერ (იხილეთ იოანე 3:5).

გაკვეთილის ჩატარებამდე კარგი იქნებოდა მასალის მოკლე მიმოხილვა. დაეხმარეთ ხალხს, რათა დაინახონ ის, რომ გაკვეთილი პირადად მათთვის მეტად აქტუალურია. თქვენი მოწაფეების დიდი ნაწილი უკვე მომზადებულია უფლისაგან (იხილეთ ალმა 16:16-17). თქვენი ერთობლივი სულიერი გამოცდილების გაზიარებისას, ისინი პირველივე შეხვედრაზე იგრმნობენ თქვენში უფლის მსახურს.

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

თქვენს ძმადნაფიცთან ერთად ივარჯიშეთ გაკვეთილის სხვადასხვა დაწყების ფორმაზე. გამოიყენეთ ზემოთ მოყვანილი რჩევები.

შენიშვნები

## მოარგეთ თქვენი სწავლება მოწაფეთა საჭიროებებს



ყოველი თქვენი მოწაფე ან ოჯახი, რომელსაც თქვენ ასწავლით, განუმეორებელია. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ჯერ ბოლომდე არ იცით მათი ინტერესები, მიღწევები, საჭიროებანი თუ ეჭვები, მაინც გულთან ახლოს უნდა მიიტანოთ მათი მდგომარეობა. პრობლემათა და საჭიროებათა მიუხედავად, ადამიანები მხოლოდ მაშინ ღებულობენ სრულფასოვან დახმარებას, თუკი ღებულობენ სახარებას და იყენებენ მას ცხოვრებაში. თქვენ შემლებთ თქვენი სწავლების მორგებას თუკი მეისმენთ წმინდა სულის კარნახს.

შთაგონებით, თქვენ შეგიმლიათ შეცვალოთ გაკვეთილის მიმდევრობა მოწაფეთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე მოსარგებად. თქვენ შეგიმლიათ ერთი შეხვედრისას განიხილოთ რამოდენიმე გაკვეთილის მასალა ან პირიქით, ერთი გაკვეთილის მასალის განხილვას დაუთმოთ რამოდენიმე შეხვედრა. მამა ზეციერმა იცის თავისი შვილები, ასე რომ ენდეთ შთაგონებას სწავლების დროს ასეთი მოქნილი გადაწყვეტილებების მისაღებად. ილოცეთ გამოცნობის სულის ნიჭზე და ყურადღება მიაქციეთ ყოველ აზრსა და გრძნობას, რომელიც ამ დროს გეწვევათ თქვენ ცოდნის გადაცემის თაობაზე.

თქვენ ისე მოქნილად უნდა შეცვალოთ თქვენი სწავლების პროცესი, რომ რაც შეიმლება მეტი ყურადღება დაუთმოთ იმ ვალდებულებებს, რომლების შესრულებაც ყველაზე მეტად უჭირს მოწაფეს. მაგალითად: ზოგისთვის მალიან ადვილია აღიქვას მორმონის წიგნი, როგორც ღვთის სიტყვა, იმ დროს როდესაც სხვა მალიან მნელად ღებულობს იმას, რაც უშუალოდ არ არის ბიბლია. ზოგისთვის მოწევის დანებება გაცილებით უფრო მნელია, ვიდრე მეათედის კანონის მიღება.

სწავლების გარკვეული ნაწილის გადმოსაცემად დაგეგმარებისას გაითვალისწინეთ ის, თუ რა მოცულობის ახალი ინფორმაცია უნდა გაუზიაროთ ადამიანს. აირჩიეთ მოწაფესათვის მისაღები ტემპი, რადგან ყოველ ადამიანს გააჩნია ათვისების საკუთარი რითმი. ზოგიერთის წინსვლა თვალსაჩინო იქნება, ისევე, როგორც ზოგისა იქნება შენელებული. დარწმუნდით იმაში, რომ თქვენ საკმარის კითხვათა რაოდენობას უსვამთ მათ და თქვენის მხრივ ყურადღებით უსმენთ მათ პასუხებს, რათა კარგად ჩაწვდეთ იმას, თუ რამდენად სწრაფად და კარგად სწავლობენ თქვენი მოწაფეები და როგორ იყენებენ ისინი თქვენს მიერ გადაცემულ ცოდნას ცხოვრებაში.

გაითვალისწინეთ დროის ფაქტორიც. უმეტეს წილად გაკვეთილი არ უნდა გრძელდებოდეს 45 წუთზე მეტ ხანს. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში თქვენი შეხვედრა შეიმლება დასრულდეს 15-20 წუთშიც კი. თუ პიროვნებას შეხვედრისათვის აქვს მხოლოდ 15 წუთი, მოარგეთ თქვენი გაკვეთილი ამ 15 წუთს.

გჯეროდეთ იმ დაპირებისა, რომ სული წმინდა საჭირო ჟამს გიკარნახებთ საჭირო სიტყვებს (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 100:6).

### ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში ხართ და ხედავთ მოხუცს, რომელიც ცდილობს მძიმე ჩანთების აწევას ნაგავში გადასაყრელად. თქვენ ძმადნაფიცთან ერთად ეხმარებით მას. შედეგად ამისა ის შეგეკითხებათ

შენიშვნები

თქვენ იმას, თუ ვინ ბრძანდებით. პასუხის შემდეგ იგი გეპატიჟებათ სახლში და გთანხმდებათ თქვენი გზავნილის მოსმენას. საუბრის დასაწყისში გეუბნებათ ასეთ რამეს:

- მისი მეუღლე ერთი წლის წინ გარდაიცვალა და მას იგი ძალიან ენატრება.
- იგი ადვილად იღლება გულის სისუსტის გამო.
- ეხლა მას უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აინტერესებს არსებობს თუ არა ღმერთი.

რა შეგიძლიათ მიაწოდოთ მას ცოდნის სახით სანუგეშოდ? როგორ უნდა მოარგოთ თქვენი გაკვეთილები მის მოთხოვნილებებს და წუხილს?

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რას ნიშნავს მისცეღ ადამიანს ის, რაც მას ესაჭიროება?**

ალმა 29:8 — მოძღვრება და აღთქმები 84:85

**რას შეპირდა უფალი ერღ გულ მისიონერებს?**

მოძღვრება და აღთქმები 68:2–4 — მოძღვრება და აღთქმები 100:5–8 — მათე 10:19–20

## თქვენს ძმადნაფიცთან ერთიან კავშირში დამოძღვრეთ ადამიანები



უფალმა გვიბრძანა დავდიოდეთ წყვილ-წყვილად და ვმოძღვრავდეთ მისი სახელით და სულიწმინდის მლევამოსილებით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 42:6). თქვენი სწავლება იქნება უფრო მლევამოსილი და მიმზიდველი, თუ თქვენ და თქვენს მმადნაფიცს სწავლების პროცესში ერთობა გექნებათ. ყოველდღიური სწავლების დაგეგმარებისა და მეცადინეობისას, ერთად განიხილეთ ყოველივე ის, რასაც სწავლების დროს გადასცემთ, რათა ერთიან კავშირში გადასცემდეთ ცოდნას თქვენს მოწაფეებს.

თქვენი სწავლება იქნება უფრო მძლავრი, თუ თქვენ თქვენს მმადნაფიცთან ერთად გაკვეთილის ჩატარების დროს ისწავლით ერთმანეთის სრულფასოვან ჩანაცვლებას. არასდროს არ ჩაატაროთ გაკვეთილი მექანიკურად. მხარი მიეცით თქვენს მმადნაფიც მისიონერს იმით, რომ დაადასტურებთ მის მიერ ნაქადაგებ ჭეშმარიტებას საკუთარი დამოწმებით. მიჰყევით სული წმინდის შთაბეჭდილებებით დაბადებულ ქადაგებას. ყოველთვის იყავით მზად დაუთმოთ მმადნაფიცს, რათა არ შეუშალოთ ხელი მასში სული წმინდის მიმართულებას. საუბრის დროს უცქირეთ მოწაფეს თვალებში. თქვენი მმადნაფიცი მისიონერის ქადაგებისას გულში ილოცეთ მისდა მხარდასაჭერად და ყურადღებით მოუსმინეთ მოწაფეთა პასუხებს.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

**როგორ უჭერენ ერღ მანეღ ს მხარს ძმადნაფიცი მისიონერები?**

ალმა 12:1 — მოძღვრება და აღთქმები 42:6 — მოძღვრება და აღთქმები 52:9–10

შენიშვნები

## მიიწვიეთ მრევლი სწავლების პროცესში მონაწილეობისათვის

ყოველთვის, როცა შეგიძლიათ, სწავლების პროცესში ჩართეთ მრევლი, განსაკუთრებით კი ახლად მოქცეულნი. იდეალურ შემთხვევას წარმოადგენს გაკვეთილში იმ მოქცეულების ჩართვა, რომლებიც ადრე იმავე ეკლესიის მრევლი იყვნენ, როგორებადაც არიან ამჟამინდელი მოწაფეები. უჩვენეთ მონაწილეებს გაკვეთილის ტექსტი, აუხსენით ის, თუ რა ცოდნის გადაცემა გსურთ მათთვის. იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ აწარმოოთ ერთობლივი სწავლება. მაგალითად: მოაყოლეთ მრევლის წევრებს ის, თუ როგორ შემლეს მათ წარმოდგენილი გაკვეთილის გარკვეული ნაწილის არსის წვდომა, შედეგად,- მიღება, შემდგომ კი მისი ცხოვრებაში გამოყენება. ხელი შეუწყეთ მოქცეულებს გაუზიარონ მოწაფეს თავისი გამოცდილება მასზედ, თუ როგორ გადაწყვიტეს ამ ეკლესიის წევრობა. გაკვეთილში მრევლის წევრების თანამონაწილეობით ისინი საშუალებას ღებულობენ განიცადონ მისიონერული მუშაობის სიხარული. ამავე დროს მათ შორის ჩამოვარდება მეგობრული ურთიერთობები. პრეზიდენტი თომას ს. მონსონი გვასწავლიდა:

*სწავლების პროცესის დროს მოწაფე ს მალიან დაეხმარება ბოლოწლებში მონათლული და გაწევრიანებული დაოჯახებული წყვილების დამოწმების მალა. კანადის მისიაში, ონტარიოსა და ქვებექში, სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა ჩემი მისიის პრეზიდენტობის დროს, ჩვენ შევნიშნეთ, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მიეკუთვნებოდა მირითადად სამი გამოჩენილი რწმენის მიმდინარეობას: რომაული კათოლიკური, ანგლიკანური და კანადის გაერთიანებული ეკლესია. მისიის ყოველ ქალაქში ჩვენ დავნიშნეთ წარსულში ამ სამი რელიგიის წარმომადგენელი ახლადმოქცეული ოჯახი, რათა ისინი, მეორე ან მესამე მისვლაზე, დახმარებოდნენ მისიონერებს მათი გაკვეთილების ჩატარებაში მოწაფის ოჯახში.*

*მაგალითად, როდესაც მისიონერები გაკვეთილებს უტარებენ კანადის გაერთიანებული ეკლესიის წევრებს, განა მადლობელი არ იქნებოდნენ ისინი მმა უილიამ სთოუნმენისა და მისი მეუღლი სა, წარსულში კ ნადის გაერთიანებული ეკლ ესიის წევრების სარწმუნო დამოწმებისათვის? მმა სთოუნმენი ყვებოდა: „როდესაც მე გავხდი უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი, მე გახლდით კანადის გაერთიანებული ეკლესიის მთავარი მბეჭდავი. დავკარგე სამსახური, მაგრამ შემდგომ ვიპოვე ახალი, უფრო უკეთესი. ამაზე მეტიც, მე ვიპოვე ჭეშმარიტება მთელი თავისი სიწ მისეული სისრულით. თქვენც შეგიძლიათ ცხოვრებაში მსგავსი ცვლილებების შეტანა. თქვენც შეგიძლიათ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება. მოდით გამოგივლით კვირას დილით მანქანით და ერთად წავიდეთ ეკლესიაში. იქ ჩვენ გვერდი-გვერდ დავჯდებით და თქვენ თავად მოისმენთ და იგრმნობთ ყველაფერს. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით.*

*ცოლ-ქმარი, ენტონი და ედით ბელფიგლიო, ასე დაუმეგობრდნენ მათ, ვინც რომაული კათოლიკური ეკლესიის წევრები იყვნენ. შედეგი იგივე აღმოჩნდა. ამის გაკეთება შეიძლება და ასეთნაირად მოქცეულები აღარ ღალატობენ არჩევანს. ამაზე მეტიც, ამ დანიშნულმა წყვილებმა კიდევ უფრო ღრმად გაიდგეს ფესვები სახარების ნაყოფიერ ნიადაგში. ორივე, მმა სთოუნმენი და ბელფიგლიო, გახდნენ ხელდასხმული პატრიარქები. მრევლისა და მისიონერების გაერთიანებული მალისხმევა, ასეთი თავისებური თანამშრომლობის შედეგად იძლევა ძვირფა სი სულების მეტად უხვ მოსავალს (მისიონერთათვის სწავლების სატელევიზიო სატელიტური გადაცემა, 25 აპრილი 2003).*

### ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

წარმოიდგინეთ, რომ ერთ-ერთი წევრის სახლში პირველი შეხვედრისათვის მიიწვიეთ მოწაფე და მისი ოჯახი გაკვეთილის ჩასატარებლად. წინასწარ მოიფიქრეთ ის, თუ როგორ დაიხმარებთ თითოეულ ქვემოთ დასახელებულ პირს სწავლების მსვლელობისას:

- სრული დატვირთვის მისიიდან ახლად დაბრუნებული მეურვეობის მისიონერი
- მღვდელი
- ახლადმოქცეული
- ეპისკოპოსი

შენიშვნები

## გამოიყენეთ წმინდა წერილები

ეკლესიის კანონიკური ნაშრომები წარმოადგენენ თქვენი აღდგენილი სახარების სწავლების მირითად წყაროს. თქვენ აგრეთვე შეგიმლიათ გამოიყენოთ ამჟამად მოღვაწე წინასწარმეტყველების სიტყვები. არსებობს უამრავი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი სწავლების დროს საფუძვლად წმინდა წერილების გამოყენება. მაგალითად:

- უფალმა და მისმა მოციქულებმა ასე გვირჩიეს: (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 42:12, 56–58; 71:1). უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველმა ასე დაგვარიგა: „სახარების საფუძვლების სწავლების დროს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მორმონის წიგნში უფლის მიერ ხსენებული სიტყვები, ისევე, როგორც მათი გამოყენების მაგალითები (ეზრა ტაფტ ბენსონი, „The Book of Mormon and the Doctrine and Covenants," *Ensign*, მაისი 1987, 84).
- წმინდა წერილები ეპატიჟებიან სული წმინდას. ისინი, მთელი მლევამოსილებით გადმოსცემენ ღვთის სიტყვას (იხილეთ ალმა 31:5).
- წმინდა წერილები პასუხს ამლევენ სულის დიდებულ კითხვებს (იხილეთ 2 ნეფი 32:3; იაკობი 2:8).
- წმინდა წერილები თქვენს ქადაგებას მალაუფლებასა და ფასეულობას ანიჭებენ, იმ ადგილებშიც კი, სადაც ქრისტიანული რწმენის საფუძველიც კი არაა.



© გრეგ კ. ოლსენი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

თქვენი წმინდა წერილების გადმოცემის მალა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენ დროს უთმობთ თქვენ თვითონ, მათ შესწავლას. თქვენი ყოველდღიური სიტყვის ნადიმით თქვენი წმინდა წერილების სწავლების გადმოცემის უნარი გაუმჯობესდება. ამას გარდა, თქვენი მოწაფის მიმართ თხოვნა წაიკითხონ და იფიქრონ წმინდა წერილებზე, იქნება უფრო მლევამოსილი, რამე თუ თქვენ თვითონაც იგივეს აკეთებთ თქვენს ცხოვრებაში. დაეხმარეთ ადამიანებს წმინდა წერილების მიმართ რწმენის შემენაში, განსაკუთრებით მორმონის წიგნის მიმართ, რომელიც გაცხადებული ჭეშმარიტების წყაროს წარმოადგენს. როდესაც ადამიანებს წმინდა წერილების მიმართ გაუჩნდებათ ნდობა, მაშინ, თქვენი დახმარებით, ისინი უფრო სწორად შემლებენ მომღვრების წვდომას. შეგიმლიათ გამოიყენოთ შემდეგი წინადადებები:

**გააცანით წმინდა წერილი.** მოკლედ აღწერეთ იმ ნაწყვეტის შინაარსი, რომლის გამოყენებასაც აპირებთ. სთხოვეთ მოწაფეს განსაკუთრებული აზრების მომებნა. წმინდა წერილების მცირე ცოდნის მქონე ადამიანთათვის, შესამლოა საჭირო გახდეს ნაწყვეტის კონტექსტის ახსნა და იმავდროულად საუბარი მათთვის გასაგებ ენაზე. ქვემოთ მოცემულია მაგალითები წმინდა წერილების გასაცნობად:

- „აი რა გადახდა იოსებ სმითს, მისივე საკუთარი გადმოცემით, მაშინ, როცა იგი ტყეში სალოცავად შევიდა. მან სთქვა: მე დავინახე სინათლის სვეტი . . ."
- „ამ ნაწყვეტში წინასწარმეტყველი ალმა ასწავლის გლახაკთ ღვთის სიტყვის მიმართ რწმენის გამოჩენას. იგი ადარებს ღვთის სიტყვას იმ მარცვალს, რომელიც შეიმლება დაითესოს ჩვენს გულებში. მოდით წავიკითხოთ მუხლი . . ."

შენიშვნები

**წაიკითხეთ ნაწყვეტი.** თავად წაიკითხეთ ნაწყვეტი ხმამაღლა ან მოწაფეს სთხოვეთ წაკითხვა. გამოიჩინეთ ტაქტი მათ მიმართ, რომლებსაც უჭირთ კითხვა. თუ ნაწყვეტი მათთვის მნელად გასაგებია, გულდასმით წაიკითხეთ იგი მათთან ერთად და დაეხმარეთ მათ რთული აზრების გაგებაში. საჭიროების შემთხვევაში წააკითხეთ უფრო მარტივი ნაწყვეტი. შესამლოა დაგჭირდეთ მნელი სიტყვების ან ფრაზების განმარტება.

- „სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს და მიეცემა“ (იაკობი 1:5).

წმინდა წერილების ზოგიერთი ნაწყვეტი მალიან ადვილია გასაგებად და არ საჭიროებს ახსნას. სხვა შემთხვევაში შესამლოა მოგიწიოთ წანაკითხის ახსნა.

**მოირგეთ ნაწყვეტი წმინდა წერილებიდან.** „მოირგეთ“ ნაწყვეტი წმინდა წერილებიდან, უჩვენეთ მოწაფეებს თუ რაოდენ აქტუალურია წმინდა წერილების პრინციპები დღეს და მათაც „მოარგეთ“ ისინი (იხილეთ 1 ნეფი 19:23). უჩვენეთ მოწაფეებს ის, თუ როგორ შეუმლიათ მათ ამ პრინციპების ცხოვრებაში გამოყენება. ზუსტად გამოყენების პროცესში ისინი დარწმუნდებიან მომღვრების ჭეშმარიტებაში. გაუზიარეთ მათ თქვენი დამოწმება ამა თუ იმ პრინციპის მიმართ და დაპირდით მათ კურთხევას. მაგალითად:

- „ალმას ხალხზე, ისევე, როგორც თქვენზე, მმიმე ტვირთი იყო დადებული. იმდენად მმიმე, რომ ის თითქმის აუტანელი იყო მათთვის სატარებლად. მაგრამ რწმენის გამოვლენისა და ღვთისადმი ღაღადის გამო ღმერთმა გაამლიერა ისინი იმდენად, რომ მათ შემლეს სიმნელეების გადალახვა და შემდგომ ღმერთმა გაათავისუფლა ისინი მათი განსაცდელებისაგან. მე ვიცი, რომ როდესაც თქვენ. . . ღმერთი დაგეხმარებათ თქვენს განსაცდელში ისევე, როგორც დაეხმარა იგი ამ ხალხს.“
- „ალმას ხალხის მიმართ რჩევა-დარიგებანი დღესაც გამოყენებადია ჩვენს ცხოვრებაში. (მიმართეთ პიროვნებას სახელით), თქვენ მზად ხართ . . .“

ადამიანები, რომლებსაც თქვენ მომღვრავთ, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წმინდა წერილების მიმართ შეხედულებებით, იმით, თუ რამდენად კარგად იცნობენ ბიბლიას, რამდენად კარგად ესმით წმინდა წერილების ენა და რამდენად სწამთ ის, რომ ბიბლიის შინაარსი წარმოადგენს ღვთის სიტყვას. დაეხმარეთ ყოველ მოწაფეს წმინდა წერილების მიერ მადლიერების გრმნობის შემენაში. თქვენი სწავლებისას წმინდა წერილების ეფექტური გამოყენებით თქვენ დაეხმარებით მოწაფეს დამოუკიდებლად დაიწყოს მათი შესწავლა. ყოველი შეხვედრის შემდეგ დაავალეთ მათ წმინდა წერილების გარკვეული მუხლების ან თავების კითხვა. თქვენ შეგიმლიათ დაუტოვოთ ისეთი კითხვები, რომლებზედაც ისინი კითხვის დროს დაფიქრდებიან, შემდეგ შეხვედრაზე კი თქვენთან ერთად განიხილავენ. ეს წააქეზებს მათ წმინდა წერილების ყოველდღიური სახლში შესწავლისა და საეკლესიო გაკვეთილებზე და შეხვედრებზე მათ გამოყენებაზე.

### წმინდა წერილების განხილვა კულტურის ჭრილში

ყოველ რელიგიას უმეტეს წილად გააჩნია წმინდა წერილები ან რაიმე წმინდა ტექსტები მაინც, მაგრამ მათი გამოყენება და აღქმა შეიძლება განსხვავდებოდეს იმისაგან, თუ როგორ უყურებენ მათ ჩვენი ეკლესიის წევრები. მაგალითად, აუხსენით მათ, რომ თქვენი წმინდა წერილების მონიშვნა დასტურია იმისა, რომ თქვენ გსურთ გააცნობიეროთ ისინი და გამოიყენოთ ცხოვრებაში და არა ის, რომ თქვენ უდიერად ეპყრობით მას. დაეხმარეთ მოწაფეებს იმის გაცნობიერებაში, რომ ეკლესიის კანონიკურ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ისინი შეიცავენ უფლის სიტყვას, რომელიც დაწერილია ღვთის წინასწარმეტყველთა მიერ, ჩვენ კი ვღებულობთ მათ როგორც ჭეშმარიტებას.

შენიშვნები

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

**განიხილეთ ერთ-ერთი შემდეგი ნაწყვეტი. განსაზღვრეთ ის, თუ როგორ:**

- მიაწვდით ამ ნაწყვეტს.
- უზრუნველყოფთ ნაგულისხმევს და კონტექსტს.
- წაიკითხავთ და ახსნით ნაწყვეტს და მის შინაარსს.
- ახსნით რთულ სიტყვებს.
- დაეხმარებით მოწაფეებს ამ ნაწყვეტის ცხოვრებაში გამოსაყენებლად.

მორმონის წიგნის თავფურცელი; 3 ნეფი 11; მორონი 10:3–8; იოანე 17:3; რომაელთა 8:16–17; 1 კორინთელთა 15:29; იაკობი 1:5; 1 პეტრე 3:19–20; ამოსი 3:7

**წმინდა წერილების შესწავლა**

**რატომ არის მნიშვნელოვანი სძავლება ძმინდა ძერილების გამოყენებით?**

1 ნეფი 19:23 მოძღვრება და აღთქმები 20:7–12 2 ტიმოთე 3:15–17
2 ნეფი 4:15–16

## გასაგებად ქადაგება

*„ჭეშმარიტი ნიჭია ის, როდესაც ადამიანს შეუძლია აიღოს დიადი და იდუმალი თემა და ისე გაშალოს და განმარტოს იგი, რომ ბავშვისათვისაც კი ნათელი და გასაგები გახდეს.“*

– პრეზიდენტი ჯონ ტეილორი
*THE GOSPEL KINGDOM,* G. HOMER DURHAM-ის რედაქციით (1943), 270

ადამიანებს უკეთესად სწამთ სახარების აღდგენის გზავნილისა, თუკი მათ ესმით მისი შინაარსი. პრეზიდენტ ჯეიმს ე. ფაუსტმა ბრძანა: „შეისწავლეთ წმინდა წერილები, იფიქრეთ მათზე, დაიმოწმეთ სხვები წმინდა წერილებიდან, განსაკუთრებით მორმონის წიგნიდან და ახალი აღთქმიდან. ჭეშმარიტება იმდენად კარგად უნდა გაითავისოთ, რომ შეგეძლოთ მისი ნათლად გადმოცემა. ბ. ჰ. რობერტსმა დაწერა შემდეგი: იმისათვის, რომ ჭეშმარიტება გახდეს ცნობილი, თავდაპირველად იგი უნდა ჩამოაყალიბოთ და რაც უფრო ნათელი და სრული იქნება თქვენი ქადაგება, სულიწმინდა უფრო მეტ შესაძლებლობას მიიღებს დაუმოწმოს ადამიანთა სულებს მისიონერული სამუშაოს ჭეშმარიტება. [*New Witnesses for God*, 3 ტომი (1909), 2:vii]. თქვენ ვერ შემლებთ ადამიანების იმაზე მეტად მოქცევას, რა ზომაც თქვენ თვითონა ხართ მოქცეულნი“ („What I Want My Son to Know before He Leaves on His Mission,“ *Ensign*, მაისი 1996, 41).

სწავლებისას, თქვენ გევალებათ წმინდა წერილების სიღრმისეული ახსნა და განმარტება (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 68:1). განმარტება ნიშნავს მალიან გასაგებად ახსნას. სახარების განმარტება ნიშნავს თვითონ მოძღვრების და წმინდა წერილების ამონარიდების ნათლად და მარტივად ახსნას სული წმინდის კარნახით. იმისათვის, რომ გახადოთ მოძღვრების საფუძვლები გასაგები, გამოიყენეთ ენა იმდენადვე ღირსეული, როგორც მარტივად გასაგები. რათა დაეხმაროთ ადამიანებს მოძღვრების პრინციპების ათვისებაში, დაუსვით მათ კითხვები, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ ესა თუ ის პრინციპები და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად ესმით და ღებულობენ ისინი მოძღვრებას.

მესამე თავის ყოველი პირველი სამი გაკვეთილის ბოლოს მოცემულია იმ სიტყვათა სია, რომლებიც შესაძლოა უცხო იყოს მოწაფისთვის. გასაგებად ქადაგება ასევე გულისხმობს

შენიშვნები

თქვენს მიერ სიტყვების, ფრაზების და იდეების ახსნას, რათა ადამიანები უკეთესად ჩაწვდნენ იმას, რასაც თქვენ მათ ასწავლით. თქვენ შეგიძლიათ გაიუმჯობესოთ სახარების განმარტების უნარი, თუ თქვენ:

- გესმით იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებსაც თქვენ იყენებთ.
- განმარტავთ სიტყვებს, რომლებიც შესამლოა სხვებისათვის გაუგებარი იყოს. მრევლის უმეტესობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სიტყვა განმარტებულია Guide to the Scriptures და *True to the Faith*-ში.
- დასვამთ ასეთ შეკითხვებს: „თუ იცით რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ...“ ან, „შეგიძლიათ თქვენი სიტყვებით გადმოგვცეთ ის, რაზედაც ჩვენ ამწუთში ვისაუბრეთ?“

როდესაც დაიწყებთ მე-3 თავს, ამოკრიფეთ სიტყვები, რომლებიც თქვენი აზრით მოწაფეთათვის მნელადაა გასაგები. სწავლების დროს მოინიშნეთ სიტყვები, ფრაზები და მოსაზრებანი და იდეები, რომლებიც მოწაფეთათვის სირთულეს წარმოადგენენ. განსაზღვრეთ ასეთი სიტყვები ზემოდ აღნიშნული წყაროს გამოყენებით. გამოსცადეთ ასეთი განმარტებანი თქვენს მოწაფეებსა და ახლადმოქცეულებზე.

### ძმინდა ძერილების შესძავლა

**რატომ საჭიროებს მოძღვრება დეტალურ ახსნას?**

| | | |
|---|---|---|
| მოსია 8:3 | ალმა 12:1 | მოძღვრება და აღთქმები 68:1–5 |
| მოსია 27:35 | 3 ნეფი 26:1 | მოძღვრება და აღთქმები 71:1 |

**როგორ ვსძავლობღ ჩვენ? რატომ არის მნიშვნელოვანი ინფორმაციის საფეხურებიღ გახსნა?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 28:30 | მოსია 2:9 | მოძღვრება და აღთქმები 98:11–12 |
| იაკობი 4:13 | | |

**რატომ არის სიმარტივე ასე მნიშვნელოვანი?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 25:4, 7, 28 | ალმა 13:23 | ნეემია 8:8 |
| 2 ნეფი 32:7 | | |

**როგორ ამყარებს უფალი ურღიერღობას ღავის შვილებღან?**

| | |
|---|---|
| 2 ნეფი 31:3 | მოძღვრება და აღთქმები 1:24 |

## დასვით კითხვები

იესო ქრისტე ხშირად სვამდა კითხვებს, რათა დაეფიქრებინა ადამიანები ღვთაებრივი კანონების მიმართ, რითაც ეხმარებოდა მათ კანონების ცხოვრებაში გამოსაყენებლად. მისი კითხვები აღრმავდნენ აზროვნებას, მიუბიძგებდნენ სულს მიებასაკენ და საკუთარ თავზე ვალდებულებების აღებას.



კარგი შეკითხვები დაგეხმარებათ თქვენ მოწაფეთა ინტერესების, მათი ეჭვების ან მათი კითხვების სწორ გაგებაში. ასე რომ, ისინი გააუმჯობესებენ თქვენს სწავლებას, მოიზიდავენ სულიწმინდას და დაეხმარებიან თქვენს მოწაფეებს სწავლაში.

შენიშვნები

გაუაზრებელმა შეკითხვებმა შეიძლება შეაშინონ, გააღიზიანონ ან სულაც გული ატკინონ მოწაფეს. ასეთი კითხვების გამო გაკვეთილი შეიძლება გახდეს უშართავი. ეცადეთ დასვათ კითხვები, რომლებიც:

- მარტივი და გასაგებად უბრალოა.
- ეხმარება ადამიანებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ რას ასწავლით მათ.
- დაგეხმარებათ თქვენ იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად კარგად ესმის მოწაფეს ის, რასაც თქვენ მას ასწავლით.
- მოეხმარება ადამიანებს შესწავლილის გამოყენებაში.

ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემით, თქვენს მოწაფეებს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება ემლევათ. კარგი შეკითხვები მიუბიმგებენ მოწაფეებს დასვან კითხვა იმ დროს, როდესაც მათთვის რაღაც გაუგებარია ან აწუხებთ ან უნდათ იცოდნენ თუ რა უნდა მოიმოქმედონ. კარგ შეკითხვებს შეუმლიათ დახმარება გაუწიონ თქვენს მოწაფეებს საკუთარი გრმნობების გაზიარებაში, შედეგად რისა ისინი აღმოაჩენენ, რომ მათი დამოწმება იზრდება. ეფექტური შეკითხვების მაგალითებია:

- რა შეკითხვები გაქვთ იმის თაობაზედ, რაც გისწავლიათ?
- გჯერათ თუ არა თქვენ, რომ მამა ზეციერს უყვარხართ? რატომ?
- რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ჩვენ ვუშვებთ ისეთივე შეცდომებს, რა შეცდომებსაც ჩადიან ამ ნაწყვეტში აღწერილი ადამიანები?

იმისათვის, რომ დაეხმაროთ მოწაფეს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში, შესამლოა სთქვათ ასეთი რამ: „იმ დროს, როდესაც მე მაბათის დღის წმინდად დასაცავად ვსაუბრობ, თქვენ თვითონ ჰკითხეთ საკუთარ თავს: რას ნიშნავს ეს მცნება, ჩემთვის?“ თავი აარიდეთ შემდეგნაირ შეკითხვებს:

- ერთ იდეაზე მეტს შემცველებს.
- რომლებიც ეხება მომღვრების საფუმვლებს რომლებიც მოწაფისათვის ჯერ უცნობი არიან.
- არ გააჩნიათ აშკარა მიზანი.
- ინფორმაციის გამომმალავს.

ზედმეტად ბევრი კითხვის დასმა, განსაკუთრებით პირველივე შეხვედრისთანავე, ქმნის დაკითხვის შთაბეჭდილებას. ნუ სთხოვთ მოწაფეებს კონკრეტული პასუხები გასცენ შეკითხვებს, რომელთა მიმართ პასუხი ნათელია ან უმნიშვნელო. ასეთნაირად, კარგი სასწავლო ატმოსფერო გადაგვარდება ვიქტორინად. როდესაც განიცდით კონკრეტული პასუხის საჭიროებას, დასვით კითხვა, რომელიც შეიცავს პასუხთან დაკავშირებულ ინფორმაციას ან რაიმე სხვა ხერხით მიაწოდეთ პასუხისათვის განკუთვნილი ინფორმაცია. თავი აარიდეთ ისეთი კითხვების დასმას, რომლებზედაც პასუხის არ ცოდნის შემთხვევაში მოწაფე უხერხულ მდგომარეობაში იგრმნობს თავს. კითხვების დასმა ყველაზე სასარგებლოა მაშინ, როდესაც ადამიანს თქვენ უკვე შეასწავლეთ და დაუმოწმეთ მირითადი საფუმვლები. ქვემოთ წარმოდგენილია ნაკლებად ეფექტური კითხვების მაგალითები:

- ვინ იყო პირველი წინასწარმეტყველი? (ამას ეკითხებით მანამ, სანამ ასწავლით ქამთა წყობას.)
- როგორაა, რომ ჩვენი სხეულის სიწმინდე განაპირობებს ჩვენში სული წმინდის არსებობას, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენ მზადა ვართ, გავყვეთ ღვთის წინასწარმეტყველს? (შეიცავს ერთ იდეაზე მეტს.)
- არის თუ არა მნიშვნელოვანი ღვთის მცნებათა ცოდნა? (კითხვა, რომელიც პასუხად საჭიროებს მხოლოდ:კი-არა-ს ტიპის პასუხს, პასუხი ნამეტანად აშკარაა.)

შენიშვნები

- რა განცდები გაგაჩნიათ მორმონის წიგნის მიმართ? (ეკითხებით მანამ, სანამ ისინი წაიკითხავდნენ წიგნს.)
- რისი გაკეთება შეგვიძლია ყოველდღიურად იმისათვის, რომ ვიგრძნოთ სიახლოვე ღმერთთან? (ბუნდოვანი კითხვა, რომელიც მოითხოვს კონკრეტულ პასუხს: ლოცვა.)
- ნოეს შემდეგ, ვინ იყო მომდევნო წინასწარმეტყველი? (კითხვა შეიცავს ვარაუდს.)



ისწავლეთ სულიწმინდის მიერ თქვენში აღმრული შეკითხვების დასმა. შესაფერ დროს შესაფერისი კითხვის დასმა დიდად დაეხმარება თქვენს მოწაფეებს სახარების შესწავლაში და სულიწმიდის შეგრძნებაში. ზუსტად ასე, არაშესაფერისი დროის, არაშესაფერისი შეკითხვა სწავლის ხელშემშლელია. შესაფერის დროს შესაფერისი კითხვების დასმა მოითხოვს თქვენგან სულიწმინდისადმი შესაფერ განწყობას, თქვენი მოწაფეების მოსმენას და სწავლებაზე მთელი თქვენი ყურადღების გადატანას. ეფექტური სწავლება მძიმე შრომაა, რაც მოითხოვს როგორც თქვენგან, ასევე თქვენი მსმენელისაგან ყურადღების კონცენტრაციასა და მალისხმევას.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

როგორ შეიძლება შეფერხდეს მოწაფეთა სულიერი ზრდა, მაგალითად, ერთ-ერთ ქვემოთ მოცემულ სიტუაციაში, თუ თქვენ არაფერი არ გეცოდინებათ ამის შესახებ?

- მისი თანამშრომლები გამუდმებით სასაცილოდ იგდებენ ყველაფერს, რაც ეხება სულიერებას.
- მისი ოჯახის წევრები სხვა ეკლესიას ერთგულებენ.
- მისი მეგობრები თვლიან, რომ მორმონები არა ქრისტიანული სექტაა.
- მორმონის წიგნიდან მიღებული სულიერი გამოცდილება.

მოიფიქრეთ კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ ზემოთ აღწერილი სიტუაციების შემთხვევებში მეტი ინფორმაციის მოსაძიებლად. ჩაიწერეთ თქვენი კითხვები სამეცადინო რვეულში. გაიაზრეთ თქვენს ძმადნაფიცთან ერთად ის, თუ როგორ გააუმჯობესოთ თქვენს მიერ ჩაწერილი კითხვები.

## ისმინეთ

როდესაც თქვენ სხვებს ყურადღებით უსმენთ, თქვენ უკეთესად გესმით მათი. როდესაც ისინი ხედავენ, რომ მათი ფიქრები და გრძნობები მნიშვნელოვანია თქვენთვის, მაშინ ისინი მეტად განეწყობიან მომღვრების მიმართ, გაგიზიარებენ პირად გამოცდილებას და მიიღებენ ვალდებულებებს საკუთარ თავზე. როდესაც თქვენ უსმენთ მოწაფეებს, თქვენ უფრო მეტად ეფექტურად შეგიძლიათ გაკვეთილის მორგება მათ მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე.

განსაკუთრებით მოისმინეთ სულიწმინდის ჩაგონება. იმ დროს, როდესაც სხვები გიზიარებენ თავის გრძნობებს, შესამლოა თქვენ დაგებადოთ ის აზრები ან იდეები, რომლებსაც სულიწმინდა მთაგაგონებთ. თქვენ უკეთ შემლებთ იმის ჩაწვდომასაც, თუ რისი გამოხატვა სურთ სხვებს.

სხვათა მოსმენისას, არ იფიქროთ იმაზე, თუ რისი თქმა გინდათ. დარწმუნდით იმაში, რომ მოსმენისას თქვენ უფრო გსურთ ჩაწვდეთ ადამიანის აზრს, ვიდრე ფიქრობთ იმაზე, რა სთქვათ პასუხად. უხუცესი ჯეფრი რ. ჰოლანდი გვასწავლიდა: „მოსმენა გაცილებით

შენიშვნები

უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლაპარაკი. ეს ადამიანები არ წარმოადგენენ მხოლოდ ნათლობის აღრიცხვისათვის განკუთვნილ უსულო საგნებს. ისინი ჩვენი ძმები და დები და შვილები არიან ღვთისა და მათ სჭირდებათ ყოველივე ის, რაც ჩვენ გაგვაჩნია. იყავით გულწრფელნი. გამოიჩინეთ ჭეშმარიტი ზრუნვა. ჰკითხეთ თუ რა ესაჭიროებათ *მათ* ყველაზე მეტად. რას ეტრფიან *ისინი საკუთარ* გულში და რას ევლებიან თავს? შემდეგ მოუსმინეთ მათ. თუ გარემო ხელშემწყობია, გაარკვიეთ, რისი ეშინიათ, რისკენ მიისწრაფვიან ან რა აკლიათ ცხოვრებაში. მე გპირდებით, რომ მათი ნათქვამიდან *რაიმე* სახარებისეული მაინც იჩენს თავს, რომელზედაც თქვენ შეგიძლიათ ააგოთ საუბარი და გაუზიაროთ მათ დამოწმება. . . თუ ჩვენ სიყვარულით ვუსმენთ, არ დაგვჭირდება ფიქრი იმაზედ, თუ რა ვთქვათ. ეს ჩვენ მოგვეცემა სული წმიდის მეშვეობით ან ჩვენი მეგობრების დახმარებით.“ („Witnesses Unto Me,“ *Ensign*, მაისი 2001, 15; კურსივი დედანშია).

ადამიანების ჯდომის მანერა, მათი სახის გამომეტყველება, ხელების მოძრაობა, მათი ხმა და თვალები ბევრს მეტყველებენ იმაზე, თუ რას განიცდის პიროვნება. დააკვირდით ამ უსიტყვო გზავნილებს; ეს შეიძლება დაგეხმაროთ იმის გაცნობიერებაში, თუ რას განიცდის თქვენი მოწაფე. ასევე ყურადღება მიაქციეთ საკუთარი თავის უსიტყვო მეტყველებას. გულწრფელი მოსმენისას თქვენ თქვენი ინტერესისა და ენთუზიაზმის უსიტყვო გზავნილებს განაფრქვევთ ირგვლივმყოფთათვის.

ნუ შეგეშინდებათ დუმილის. ადამიანებს ხშირად კითხვებზე პასუხის გასაცემად ან საკუთარი გრძნობების გამოსახატავად დრო ესაჭიროებათ. შესამლოა კითხვის დასმის შემდეგ, სულიერი გამოცდილების გაზიარების შემდეგ, იმ შემთხვევაშიც, თუ ადამიანს უჭირს საკუთარი აზრების გამოხატვა, გაჩნდეს პაუზა. სანამ გასცემდეთ პასუხს, მიეცით ადამიანს საშუალება დაასრულოს თავისი აზრი, საუბრის დროს ნუ გააწყვეტინებთ მათ სიტყვას.

გააკეთეთ ისეთი კომენტარები, რომლებიდანაც ჩანს, რომ თქვენ გესმით ის, რაზედაც მიდის საუბარი. მაგალითად: „ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ ____________ . ასეა, არა?“ ან: „სწორედ თუ გაგიგეთ, თქვენ თვლით რომ ____________ “. როდესაც არ ხართ დარწმუნებული იმაში, რომ გესმით საკითხი, სთხოვეთ ადამიანს უფრო კარგად აგიხსნათ თუ რას გულისხმობს ის.

ზოგ ადამიანს საუბრისას გააჩნია დომინირებული ტენდენცია, რაც ხელს გიშლით თქვენ აღდგენილი სახარების ქადაგებაში. თქვენ უნდა ისწავლოთ სიტუაციის ამგვარი ტაქტიანი კონტროლი. მაგალითად: გმადლობთ ამ აზრის გაზიარებისათვის, მხოლოდ შევთანხმდეთ ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. მე ვთხოვ ჩემს მმადნაფიცს ჩაინიშნოს ეს და შემდეგ შეხვედრაზე ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხს. გახსოვდეთ, რომ ყველაზე მეტად თქვენ შემლებთ ხალხის დახმარებას, მათთვის იესო ქრისტეს სახარების გაზიარებით.

თქვენი ყურადღებით მოსმენისას სულიწმინდა გიკარნახებთ იმას, რაც უნდა თქვათ. მოსმენა საჭიროებს მალისხმევასა და კონცენტრაციას. ერთ-ერთმა მისიონერმა გაგვიზიარა ასეთი ნამდვილი გამოცდილება (სახელები შეცვლილია):

> *მე და ჩემი მმადნაფიცი მისიონერი ვმომღრავდით სანჩეზების ოჯახს. მალზედ ცხელოდა, ბავშვებიც მლიერ ხმაურობდნენ. მე ვკითხე და სანჩეზს კითხულობდა თუ არა იგი მორმონის წიგნს. იმ დროს, როდესაც მან საუბარი დაიწყო , მე შევნიშნე, რომ მისმა ვაჟიშვილმა ჩემს მმადნაფიცს გამოსტაცა უბის წიგნაკი და ხელის ქნევით ოთახის ირგვლივ დარბოდა. მიუხედავად იმისა, რომ მე ვუყურებდი და სანჩეზს, აზრები სულ სხვაგან მქონდა. მე ვფიქრობდი: „ისედაც მალიან ცხელა, ნეტავ ეს ბიჭუნა მაინც დაწყნარდეს. არა... არაფერი არ გამოგვივა.“ ჩემი აჭრილი გონებით მე შევამჩნიე, რომ და სანჩეზს გაუჭირდა ლაპარაკი. სათუთი გრმნობა დამეუფლა, რამაც მიმანიშნა, რომ მე ყური უნდა დამეგდო საუბრისათვის. მე ვებრმოდი სიცხეს და ხმაურს, თან ყურადღებით ვუყურებდი მას თვალებში, როდესაც ის ლაპარაკობდა. მან ჯერ დაბლა დაიხედა, შემდეგ ჩვენ შემოგვხედა. მისი მეუღლე უიმედოდ ცდილობდა ბავშვების დაწყნარებას. სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ მან აკანკალებული ხმით განაგრმო: „მე შევასრულე თქვენი თხოვნა. მე წავიკითხე ის, რაც დამავალეთ და ამასთან ერთად ვილოცე კიდეც.“ იგი ისევ დადუმდა და დაბლა დაიხედა. მან შვილებს გადაავლო თვალი, შემდეგ ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს. „მე მივიღე პასუხი“ სთქვა მან ღიმილით და თვალები ცრემლებით აევსო. „მე ვიცი, რომ მორმონის წიგნი ჭეშმარიტია,*

შენიშვნები

*მე ეს ვიცი". ოთახი სულიწმინდით აივსო. მადლიერებით აღმევსო გული, რადგან მოვუსმინე მას, ბოლოს კი გავუღიმე და ვთქვი: „მართალია".*

## ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ან ჩაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი კითხვების პასუხები სამეცადინო რვეულში ან იმსჯელეთ მათზე ძმადნაფიცთან ერთად.

- რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისიონერს თავისი კომფორტის ან ძმადნაფიცის წიგნაკის დარდი უფრო ექნებოდა?
- როგორი მადლი მიიღო მოწაფემ იმის გამო, რომ მისიონერი უსმენდა მას?

უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს:

| | |
|---|---|
| ა = არასოდეს არ ვიქცევი ასე | გ = ჩვეულებისამებრ ასე ვიქცევი |
| ბ = ზოგჯერ ვიქცევი ასე | დ = ყოველთვის ასე ვიქცევი |

- სხვებთან საუბრისას მე ვფიქრობ მსგავს გამოცდილებებზე, რომლის გაზიარებაც მოსმენაზე მეტად უფრო მინდა.
- როდესაც სხვები საკუთარ გამოცდილებას მიზიარებენ, მე ყოველთვის ვცდილობ საკუთარი თავი წარმოვიდგინო მათ ადგილას, რათა ვიცოდე, რას გრძნობენ ისინი.
- სწავლებისას ყოველთვის ვწუხვარ იმაზე, თუ რა უნდა ვთქვა ან რა უნდა ვასწავლო.
- მე განწყობას ვკარგავ, თუკი მოწაფეები ბევრს ლაპარაკობენ.
- მე ძალიან მიჭირს თანამესაუბრის აზრის ბოლომდე მიყურადება ან მისი საუბრის სწორი გააზრება.
- მე ხშირად მეფანტება ყურადღება, როდესაც ჩემი ძმადნაფიცი ატარებს გაკვეთილს.
- მე ვკარგავ განწყობას, როდესაც ლაპარაკის დროს სხვები ერევიან საუბარში ან მართმევენ ყურადღებას.
- მე ვღებულობ სულის კარნახს რაღაცის სათქმელად ან გასაკეთებლად, მაგრამ უგულებელვყოფ მათ.

განსაზღვრეთ, რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ გააუმჯობესოთ თქვენი მოსმენის უნარი.

## განავითარეთ კარგი ურთიერთობა მოწაფესთან

უხერხულობის გრძნობის თავიდან ასაცილებლად ზოგიერთი ადამიანი კითხვაზე პასუხობს იმას, რაც მისი აზრით თქვენთვისაა მისაღები და საამო და არა იმას, რასაც ისინი სინამდვილეში განიცდიან. ეცადეთ შექმნათ მათთან ისეთი ურთიერთობანი, რომელთა ხელშეწყობით ისინი შეძლებენ გულწრფელი გრძნობების გაზიარებას.

## დაეხმარეთ ხალხს მათი ეჭვების დაძლევაში



ზოგიერთს, თქვენს მოწაფეთა შორის, ვალდებულებების შესასრულებლად არ ჰყოფნის რწმენა, ზოგი კი წააწყდებიან წინააღმდეგობას, სხვანი კი ვერ ღებულობენ ყველაფერ იმას, რასაც თქვენ მათ ასწავლით. მათ საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთონ, მაგრამ თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ მათ შეკითხვებს უპასუხოთ, დაეხმაროთ მათ მათს განსაცდელში და დაამლევინოთ ყოველი წინააღმდეგობა.

ზოგჯერ ადამიანის ეჭვები აისბერგის მსგავსია, რომლის მხოლოდ პატარა ნაწილი მოსჩანს ზედაპირზე. ასეთი ეჭვები შეიძლება მეტად რთული და მნელად მოსაგვარებელი იყვნენ. აი რატომ არის

შენიშვნები

საჭირო მიჰყვეთ სულიწმინდას და იმოქმედოთ ისე, როგორც მოითხოვს კონკრეტული სიტუაცია. ილოცეთ გამოცნობის სულის ნობათის მოსახვეჭად და მიენდეთ თქვენს შთაბეჭდილებებს. მამა ზეციერმა იცის ადამიანთა გულები და ასევე მათი გამოცდილებაც (აისბერგი მთლიანობაში) და დაგეხმარებათ იმის ამოცნობაში, თუ ვის რა ესაჭიროება ყველაზე მეტად.

როდესაც თქვენ ეხმარებით სხვებს მათი ეჭვების დამლევაში უპირველეს ყოვლესა ეცადეთ კითხვა-პასუხების მეშვეობით დაადგინოთ მათი კონკრეტული ეჭვები. მიენდეთ სულიწმინდას, რათა იხილოთ მათი ეჭვებისაგან თავის დაღწევის გზა. მაგალითად, თუ მათ ნათლობის შესახებ ეჭვი გააჩნიათ, წააკითხეთ მათ შესაბამისი მუხლი წმინდა წერილებიდან ან გაუზიარეთ მათ თქვენი დამოწმება წინასწარმეტყველ იოსებ სმითზე.

ხშირად ეს ეჭვები უფრო გარემოს მიზეზია ვიდრე დოქტრინალური. მაგალითად, მოწაფეს, გაწევრიანების შემთხვევაში, შესამლოა ოჯახის წევრების წინააღმდეგობა შეხვდა ან თანამშრომლების ზურგის შექცევის ეშინია. რასაც არ უნდა ეხებოდნენ ეჭვები, ისინი შესამლოა წარსულ მოვლენათა შედეგები იყვნენ ან ასევე შესამლებელია, ისინი ვინმეს უარყოფითი ზემოქმედებაა, რაც თქვენ არ გესმით, რამეთუ არ იცით შესაბამისი მიზეზი. უმეტეს შემთხვევაში მრევლს შეუმლია დაგეხმაროთ მათი ეჭვების გააზრებასა და დამლევაში.

ეჭვების ბუნება განსაზღვრავს იმას, თუ რა ხერხით გადაწყვეტთ მის პრობლემას. დაადგინეთ, რის გამო გაჩნდა ეს ეჭვი: იმით, რომ არ გააჩნია აღდგენის ჭეშმარიტებაზე სულიერი დამოწმება თუ გაურბის ვალდებულებათა ჭეშმარიტი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას. პრობლემის წყაროს აღმოჩენა დაგეხმარებათ იმის გადაწყვეტაში, თუ რაზე გაამახვილოთ ყურადღება: დამოწმებაზე თუ საკუთარ თავზე ვალდებულების აღების თაობაზე.

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

აირჩიეთ ერთ-ერთი ვალდებულება, რომელსაც სთავაზობთ მოწაფეებს გაკვეთილის მსვლელობის დროს. გამოავლინეთ მათში სხვადასხვა ეჭვები, რომლებიც შესაძლოა ხელის შემშლელია მათთვის ამ ვალდებულებათა ასაღებად და შესასრულებლად. იმსჯელეთ და გაივარჯიშეთ კიდეც, რათა რაც შეიძლება მოხდენილად დაეხმაროთ მოწაფეებს მათდა ეჭვების დასაძლევად.

## მონანიება და მავნე ჩვევებთან ბრძოლა

მონანიება სულიერი პროცესია და შეიცავს თავმდაბლობას, ცოდვების აღიარებას, დანაკარგის ანაზღაურებასა და ცოდვების მიმართ პირის შებრუნებას. ეს არის აზრთა და ქმედებათა მარადიული სრულყოფა. იდეალურ შემთხვევაში საკმარისია კონკრეტული ცოდვის ერთჯერადი მონანიება. მაგრამ თუ ცოდვამ კვლავ იჩინა თავი, მონანიება, როგორც განკურნების საშუალება, მაინც ხელმისაწვდომია (იხილეთ მოსია 26:30; მორონი 6:8; მომღვრება და აღთქმები 1:31–32).

მონანიება ორგვაროვანი პროცესია: როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური. ადამიანებმა ხელი უნდა აიღონ მათთვის ჩვევად ქცეულ მიუღებელ საქციელზე. მიუღებელი ქმედებები უნდა შეიცვალონ ჯანსაღი და მისაღები საქციელით.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მონანიებასა და მავნე ჩვევებისაგან თავის დაღწევას სჭირდება დრო. ზოგჯერ მოქცეულნი თვითდისციპლინის მკაცრი წესის დაცვის დროს, მიუხედავად მათი საუკეთესო ზრახვებისა, მაინც ვარდებიან ცდუნებაში. ასეთ შემთხვევაში ახლადმოქცეულნი, სრული მონანიებისა და ცდუნებათა დასამლევად უნდა მიმართონ წინამძღვარ მღვდელთმსახურებს და არა მისიონერებს.

ნათლობისა და წევრად დამტკიცების მადლით ადამიანები ღებულობენ სულიწმინდის მღვენს, რომელიც განამტკიცებს მათ ამ სიმნელეთა გადალახვაში. შესამლოა, მხოლოდ ნათლობა და წევრად დამტკიცება, არ იყოს საკმარისი ადამიანის ემოციური და ფიზიკური

შენიშვნები

ჩვევებისაგან გასათავისუფლებლად. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დასაწყისში, ადამიანი აღწევს გარკვეულ წარმატებას, მას, მისი სრული მონანიებისა და სულიერი აღდგენისათვის შესამლოა მომავალში დასჭირდეს ემოციურად განკურნება.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

- გაიხსენეთ მოწაფე, ახლადმოქცეული, ან ნაკლებად აქტიური წევრი, რომლებიც ცდილობენ მავნე ჩვევების დაძლევას.
- განიხილეთ „იესო ქრისტეში რწმენა“ და „მონანიება“ მე-3 თავის გაკვეთილი „იესო ქრისტეს სახარება“-დან.
- ამ თავიდან და ამ გაკვეთილიდან, ისეთი რა შეგიძლიათ ასწავლოთ ამ ადამიანს, რაც დაეხმარება მას მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლებაში?
- ასეთი ადამიანის დასახმარებლად შეიმუშავეთ გაკვეთილის შესაბამისი გეგმა.

## დაეხმარეთ მოწაფეებს და ახლადმოქცეულებს სრულად აღიქვან ის, თუ როგორ მოინანიონ და განთავისუფლდნენ მავნე ჩვევებისაგან

შესამლოა თქვენ მოგმართონ შეკითხვებით ან წუხილით მავნე ჩვევების ზეგავლენის გამო. რა საკვირველია, თქვენ მოინდომებთ ამ პრობლემებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას. შეგიმლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები:

- გაუზიარეთ მოწაფეს თქვენი დამოწმება, სახარების მკურნალი ბუნების თვისებათა გამო, განსაკუთრებით გამოსყიდვის განკურნების მლევამოსილებაზე (იხილეთ ალმა 7:11–13).
- დაუმოწმეთ მათ, რომ მხოლოდ ღმერთს შეუმლია სულიერი განკურნების სასწაულის მოვლენა (იხილეთ ფსალმუნი 146:3).
- აუხსენით მათ, რომ მკურნალობის ნობათი ეხება სხეულს, ისევე, როგორც სულს.



© 2000 საიმენ დუი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

ემოციური განკურნების მირითადი საფეხურებია:

- პრობლემის გამომჟღავნება და აღიარება. ეს საჭიროებს პატიოსან და გულდასმით თვით გამორკვევას.
- აღიარება იმისა, რომ ასეთი საქციელი მავნებელია. იგი უარყოფითად მოქმედებს ადამიანებზე და მოითხოვს შეცვლას.
- თავმდაბლობა და სინანულის გრმნობა.
- მიტევების დამსახურება მათგან, ვინც თქვენი საქციელითაა დაზარალებული და საკუთარი თავის პატიების ათვისება.
- მავნე ჩვევებზე ხელის აღება და ჯანსაღი ჩვევების დანერგვა.
- ერთგულების შენახვა შემდეგ საკითხებში: ნათლობის აღთქმის დაცვა, მსახურება, ლოცვა სულიწმინდის დახმარებისათვის და ღვთის მცნებათა დაცვის სურვილი.

შენიშვნები

- გააზრება იმისა, რომ უფალს ყოველთვის უყვარს თავისი შვილები, მაშინაც კი, როდესაც ისინი ცოდავენ ან მველ ჩვევებს უბრუნდებიან. ყოველთვის არსებობს მონანიებისა და განკურნების გზა.

## მავნე ჩვევების დაძლევის გზა

მოწაფეებმა, ახლად მოქცეულმა და ნაკლებად აქტიურმა წევრებმა შესამლოა გკითხონ თქვენ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მავნე ჩვევების დასამლევად. ისინი თქვენში სანდო მხარდამჭერსა და ხელმმღვანელს ხედავენ. შეგიმლიათ გამოიყენოთ შემდეგი წინადადებები:

- სთხოვეთ მათ ჩამოწერონ ის, თუ როდის, რა ადგილას და ვისთან ერთად უფრო ადვილად უბრუნდებიან მიუღებელ საქციელს. განიხილონ ეს სია მეუღლესთან, ეპისკოპოსთან, მეურვეობის მისიონერთან ან სხვა სანდო მეგობართან. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ შეცვალონ ან თავი აარიდონ სიაში აღნიშნულ სიტუაციებს.
- სთხოვეთ მათ ჩამოწერონ ის, თუ რას კარგავენ ისინი ამჟამად და რას დაკარგავენ მომავალში, თუ კი არ შეცვლიან თავის უკადრის საქციელს.
- ჩამოწერონ, რა შეუმლიათ გააკეთონ საიმისოდ, რომ თავი აარიდონ ან საერთოდ არ დაუშვან უკადრისი საქციელი. შესამლოა ამისათვის საჭირო გახდეს მეუღლესთან საუბარი, ეპისკოპოსთან ან ახლო მეგობართან დარეკვა მხარის დასაჭერად, ფიზიკური ვარჯიში ან სხვა რომელიმე საქმიანობა, რომელიც დაეხმარება მათ ცდუნების დამლევაში.
- წააქეზეთ ისინი რეგულარული ლოცვებისათვის, წმინდა წერილების შესასწავლად, ასევე ამაღლებული მუსიკის მოსასმენად და სასარგებლო წიგნების წასაკითხად.
- წააქეზეთ ისინი მღვდლობის კურთხევის მისაღებად.
- წააქეზეთ ისინი დარჩნენ ეკლესიის აქტიური წევრები, რადგან ზუსტად ეკლესია ეხმარება მათ, როგორც პრობლემების დასამლევად, ასევე უფალთან დასაახლოვებლად.
- წააქეზეთ ისინი შესაბამისი მხარდაჭერის ჯგუფების დასასწრებად ან პროფესიული დახმარების მისაღებად. ზოგიერთ ადგილებში უკანასკნელი დღეების წმინდანთა ოჯახური სამსახურის დახმარების მიღება შესამლებელი.



- განამტკიცეთ ისინი, რათა არასოდეს შეურიგდნენ დამარცხებას. უფალი დაეხმარება მათ, თუნდაც, რომ დრო დასჭირდეს ამას.

უკანასკნელი დღეების აქტიური წმინდანი საუკეთესოდ შემლებს ახლადმოქცეული წევრების აქტიურობის შენარჩუნებას, თუკი იგი მათი მეგობარი გახდება. საკუთარი გულთბილობითა და დადებითი განწყობის განვრცობით მრევლი უნდა ეხმარებოდეს მოწაფეებსა და ახლადმოქცეულებს. მოწაფეებსა და ახლადმოქცეულებსაც მოსწონთ, როდესაც მათ ღიმილით ესალმებიან, გულწრფელად ეკითხებიან თუ როგორ მიდის მათი საქმე, როდესაც მათ შეკრების დროს მიუჯდებიან გვერდით ან სტუმრად ეპატიჟებიან ოჯახურ სადილზე თუ საოჯახო საღამოზე.

რადგან არსებობს იმის ალბათობა, რომ ზოგიერთები მაინც დაუბრუნდებიან მველ ჩვევებს, წინამმღვარ მღვდელთმსახურებმა და მრევლმა არ უნდა გაიტეხონ გული და არც უნდა შეიცხადონ ეს ამბავი, თუ გაიგებენ, რომ მოწაფე ან ახლადმოქცეული ებრმვის ასეთ პრობლემებს. ასეთ ადამიანებს ჩვენ უნდა გამოვუცხადოთ ნდობა და არ უნდა

შენიშვნები

განვიკითხოთ ისინი მხოლოდ იმიტომ, რომ მველ ჩვევებს დაუბრუნდნენ. ამას უნდა უყურებდეთ, როგორც დროებით მოვლენას და გასაგებ შეფერხებას. ასეთი მოწაფის ან ახლადმოქცეულის განკითხვა არასოდეს არ არგებს მათ, პირიქით, ხელს შეუწყობს მათ გულგატეხილობას, არააქტიურობასა და მარცხს. თუკი ახლად მოქცეულმა უეცრად შეწყვიტა ეკლესიაში სიარული, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დაუბრუნდა მველ ჩვევებს და ამის გამო გულაცრუებულია და თავს უღირსად გრძნობს. ასეთი წევრის დაუყოვნებლივი მონახულება, მისი წახალისება და მხარდაჭერა დაეხმარება მას წარმატებისათვის ბრძოლაში. მრევლმა სიტყვითა და საქმით უნდა მიიღონ მოქცეულები (იხილეთ 3 ნეფი 18:32).

მავნე ჩვევების დასამარცხებლად ყველაზე მნიშვნელოვანია, ეკლესიის მიმართ ერთგულება და მის აქტიურ წევრად დარჩენა.

### ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

გაიხსენეთ თქვენი რომელიმე ჩვევა, ისეთი, რომელსაც თქვენ ხშირად ავლენთ დაუფიქრებლად, მაგალითად, თითების მტვრევა, სათვალის გასწორება, ზომაზე მეტი ჭამა ან ზედმეტი ძილი. ახლა ეცადეთ ერთი დღის განმავლობაში ებრძოლოთ ამ ჩვევას. წარმატებისას, ეცადეთ უკვე ერთი კვირა არ გაიმეოროთ ჩვევა. გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება ძმადნაფიცს. ახლა წარმოიდგინეთ, რაოდენ უფრო ძნელია თქვენი მოწაფისათვის ალკოჰოლის ან თამბაქოსადმი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება.

## დაუტოვეთ მოწაფეს რაიმე სასწავლო მასალა

ყოველი გაკვეთილის ბოლოს დაუტოვეთ მოწაფეს წასაკითხი ან დასაფიქრებელი მასალა შემდეგი შეხვედრისათვის. ეს შეიმლება იყოს მორმონის წიგნის გარკვეული თავები ან ბროშურა, რომელშიც მოცემულია ის, რაც გაუზიარეთ მას ან რის გაზიარებასაც აპირებთ შემდეგი შეხვედრისას. შესამლოა ეს იყოს რაიმე სხვა ლიტერატურა ან აუდიო-ვიდეო მასალა. თუ მათ ინტერნეტზე მიუწვდებათ ხელი, მოუწოდეთ მათ www.mormon.org საიტზე შესვლა. მათ ყოველთვის უნდა ჰქონდეთ რაიმე, რაზედაც ისინი დაფიქრდებიან ან აღავლენენ ლოცვას. ეს შეიმლება გახდეს თქვენი შემდეგი შეხვედრის საუბრის პირველივე თემა.

### ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

გადახედეთ იმ მასალებს, რომლებიც შეგიძლიათ დაუტოვოთ მოწაფეებს, ბროშურებისა და აუდიო-ვიდეო მასალების ჩათვლით. არის თუ არა სხვა მასალები, რომელთა მოძიება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ გაუზიაროთ ისინი მოწაფეებს? ჩაინიშნეთ თქვენს მისიონერულ დღიურში ყველა ასეთი შესაკვეთი მასალა.

იფიქრეთ ყოველ მოწაფეზე, რომელსაც უნდა შეხვდეთ ამ კვირაში. მორმონის წიგნის რომელი თავები იქნება მათთვის ყველაზე სასარგებლო? რა სხვა მასალები დაეხმარება მათ? ჩაიწერეთ თქვენს მისიონერულ დღიურში ის, თუ რის გაზიარებას აპირებთ ყოველ მოწაფესთან და რას გააკეთებთ იმისათვის, რომ შემდეგ შეხვედრაზე დაინახოთ მათი წარმატებები.

## ასწავლეთ აღდგენილი სახარება არაქრისტიანული წარმოშვების მაძიებლებს

ზოგიერთ თქვენს მოწაფეს შესამლოა არ სწამდეს მამაზეციერისა და იესო ქრისტესი, ან არა ჰქონდეს ქრისტიანული წარსული. ასეთი ადამიანების უმეტესობას, მაინც აქვთ რაღაც სარწმუნოება, ჩვეულებები ან ისეთი ადგილები, რომლებიც წმინდაა მათთვის. თქვენ, როგორც ღმერთის მსახური, ვალდებული ხართ გამოიჩინოთ მათ რელიგიისა და ტრადიციების მიმართ შესაბამისი პატივისცემა. არ დაუშვათ არაფერი ისეთი, რაც გამოხატავს თქვენს უპატივცემულობას ყოველივე იმის მიმართ, რაც მნიშვნელოვანია მათთვის.

შესამლოა თქვენ დაფიქრდეთ იმაზედ, თუ რა რიგად მოარგოთ თქვენი სწავლება ასეთ ადამიანებს. თქვენთვის ფრიად სასარგებლო იქნება გახსოვდეთ, რომ მოსაქცევად, ყოვე-

შენიშვნები

ლმა ღვთის შვილმა, მიუხედავად მათი ისტორიული წარსულისა, უნდა განავითაროს საკუთარ თავში რწმენა იესო ქრისტეს მიმართ, მოინანიოს, მოინათლოს, დამტკიცდეს წევრად და მცნებების დაცვითა და მსახურობით ბოლომდე გამლოს. ის პრინციპები, რომლებიც ეხმარება სხვებს იესო ქრისტეს რწმენაში განმტკიცებას ყოველ არსებულ კულტურაში ერთი და იგივეა.

თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ადამიანებს შეუქმნათ მათ სწორი წარმოდგენა ღმერთზე, როგორც მამა ზეციერზე და განავითაროთ მათში რწმენა იესო ქრისტეს მიმართ, ისე, რომ მათ პირადი სულიერი გამოცდილება შეიძინონ და არა თქვენი გადმოცემით მოსმენილი უბრალო სიტყვიერი ახსნა იმისა, თუ რა არის ღმერთი. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ, ამის გააზრებაში იმ დროს, როდესაც ისინი:

- იმენენ სულიერ დასტურს, რომ მამა ზეციერი და იესო ქრისტე, მე მისი, წინასწარმეტყველ იოსებ სმითს გამოეცხადნენ.
- ისმენენ თქვენს გულწრფელ გაკვეთილებს და დამოწმებას სახარების მიმართ და იმაზეც, თუ რატომ გააკეთეთ არჩევანი გაჰყოლოდით იესო ქრისტეს.
- ხშირად უბრალო, გულახდილ ლოცვაში პირადად თქვენგან და მრევლის სხვა წევრებისაგან, ისმენენ თქვენს მამა ზეციერთან საუბარს.
- მათ ესმით თქვენი უმლიერესი დამოწმება.
- ლოცულობენ როგორც თქვენთან ერთად, ასევე დამოუკიდებლად.
- იწყებენ იმის გაცნობიერებას, თუ რას გრძნობთ თქვენ, როდესაც კითხულობთ წმინდა წერილებს და მსჯელობთ მათზე.
- ყოველდღიურად კითხულობენ ღვთის სიტყვას წმინდა წერილებიდან (განსაკუთრებით მორმონის წიგნიდან).
- ესწრებიან საეკლესიო წირვას, რათა იხილონ თუ როგორ ვეთაყვანებით უფალს.
- ხვდებიან ეკლესიის იმ წევრებს, რომლებსაც შეუძლიათ ახსნან ის, თუ როგორ ირწმუნეს მათ, მამა ზეციერი და იესო ქრისტე.
- იცავენ მცნებებს.

ასეთი ღონისძიებები სასარგებლოა ყველა იმ ადამიანისათვის, რომელთაც თქვენ ასწავლით და იმავდროულად აუცილებელია, წარსულში არაქრისტიანთათვის, ვინაიდან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი წარსული შეიცავდეს რაიმე მსგავს გამოცდილებას.

მრავალი მოქცეული არაქრისტიანი აღიარებს, რომ მათ დიდად არ ესმოდათ ის, თუ რას ასწავლიდნენ მათ მისიონერები, მაგრამ მათ იგრძნეს სული წმინდა და ამიტომაც მოინდომეს იმის გაკეთება, რასაც მათ მისიონერები სთხოვდნენ. თქვენ უნდა ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის, რომ დაეხმაროთ მოწაფეს სახარების მომღვრების წვდომაში. იქონიეთ მოთმინება და გამოიჩინეთ მხარდაჭერა, რადგან ზოგიერთ ადამიანს მოუწევს საკუთარ გრძნობებში გარკვევა და ამ გრძნობების გამომჟღავნება, რისთვისაც დროა საჭირო. შესამლოა ასეთი ადამიანებისათვის დაგჭირდეთ პირადად მათთვის განკუთვნილი გაკვეთილების, შესაფერი ტემპისა და სიღრმის შერჩევა, რათა მათ სწორად გაიაზრონ თქვენი სწავლება. წარსულში არაქრისტიანი მოწაფეების სწავლებისას შესამლებელია შემდეგი რჩევების გამოყენება:

- მოამზადეთ ყოველი გაკვეთილის მარტივი მიმოხილვა.
- სთხოვეთ მათ გაგიზიარონ თუ რა გაიგეს ამ გაკვეთილიდან და რა შეიგრძნეს.
- მოიტოვეთ დრო აუცილებელი სიტყვებისა და პრინციპების განმარტებისთვის. ის სიტყვები, რომლებსაც თქვენ სწავლებისას იყენებთ შესამლოა გაუგებარი იყოს მოწაფეთათვის.

შენიშვნები

- დაუბრუნდით წინა გაკვეთილს, რათა უფრო ნათლად შეასწავლოთ მომღვრება. ამის გაკეთება შეიმლება დაგჭირდეთ სასწავლო პროცესის ნებისმიერ დროს.

## მაგალითები წმინდა წერილებიდან

წმინდა წერილები შეიცავენ იმის მაგალითებს თუ როგორ ასწავლიდნენ მისიონერები მათ, ვისაც არ სწამდათ ღმერთი ან არ ესმოდათ მისი ჭეშმარიტი ბუნება. შეისწავლეთ ქვემოთ მოცემული წმინდა წერილების ნაწყვეტები და შემდეგ აუხსენით ძმადნაფიცს ან ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში თუ როგორ დაეხმარნენ მისიონერები ადამიანებს მიეღოთ დამოწმება იმაზე, რომ ღმერთი არსებობს.

- ალმა და ამულეკი (ალმა 9–12; 15)
- ამონი და აარონი (ალმა 17–22)
- ალმა (ალმა 30)
- ალმა და სხვები (ალმა 31–35)
- პავლე (საქმეები 17:16–34)

## ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

როცა კი შესაძლებელია, მოძებნეთ ახლადმოქცეული, რომელიც მისიონერებთან შეხვედრამდე არ იყო ქრისტიანი. დანიშნეთ მასთან შეხვედრა და სთხოვეთ მას გაგიზიაროს მისი მოქცევის ამბავი. მაგალითად, ჰკითხეთ თუ რა გახდა მისი ღვთისადმი რწმენაში შემოსვლის მიზეზი, როგორ ილოცა მან თავისი პირველი ლოცვა, რა იგრძნო მან იმ დროს, როდესაც პირველად მიიღო პასუხი ლოცვაზე, რა როლი უკავია წმინდა წერილებს მის მოქცევაში და რა გრძნობები ჰქონდა მას საკვირაო წირვის დასწრებისას. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში ის, რაც მისგან გაიგეთ.

## გახსოვდეთ შემდეგი

- აღდგენილი სახარების შესწავლის და მისი ცხოვრებაში გამოყენების პროცესში, მოთხოვნილებები დაკმაყოფილდებიან.
- თქვენს ძმადნაფიცთან ერთად დაგეგმეთ ყოველი დღე, რათა სწავლების დროს მიაღწიოთ ერთობას.
- ხშირად გაიზიარეთ თქვენი დამოწმება.
- წმინდა წერილები, განსაკუთრებით მორმონის წიგნი, არის თქვენი ქადაგების ძირითადი წყარო.
- ილოცეთ გარჩევის სულისათვის, რათა იცოდეთ, როდის გამოიყენოთ ამ თავში ახსნილი უნარები.

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

შენიშვნები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- წარმოიდგინეთ თქვენი თავი ქვემოთ მოცემულ სიტუაციებში. როგორ გამოიყენებდით ამ თავში მოცემულ პრინციპებსა და უნარებს, რათა დაეხმაროთ ადამიანებს მათ სულიერ ზრდაში? დაგეგმეთ ის, თუ როგორ გამოიყენებდით შესწავლილ პრინციპებს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.
  - პარკში სეირნობისას თქვენ შენიშნეთ სკამზე მჯდარი ქალბატონი ბავშვით, ქალბატონი ტირის.
  - თქვენ მოხვედით სახლში მოწაფესთან, რომელსაც ამზადებთ ნათლობისათვის, ის კი გეუბნებათ თქვენ, რომ მას აღარ სურს თქვენთან შეხვედრა.
  - თქვენ უკვე მეშვიდედ შეხვდით მოწაფეს, რომელსაც ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა მისიონერები ასწავლიდნენ. წინსვლის ნიშნები თითქმის არ აღენიშნება.
  - თქვენ იწყებთ ერთ-ერთი გაწევრიანებული ოჯახისათვის სახარების გაზიარებას, ისინი კი გეუბნებიან: „ჩვენ უკვე ყველას ვისაც ვიცნობთ შევთავაზეთ მისიონერებთან შეხვედრა, მაგრამ ყველამ უარი თქვა.“
- ამოირჩიეთ ერთ-ერთი მისიონერული გაკვეთილი. ყოველი ძირითადი პრინციპიდან, ამოირჩიეთ ერთი ან ორი ნაწყვეტი წმინდა წერილებიდან. ივარჯიშეთ ქადაგებისას ამ ნაწყვეტების გამოყენებაში ისე, როგორც ეს აღწერილია ამ თავის განყოფილებაში „გამოიყენეთ წმინდა წერილები“.
- რამოდენიმე კვირის განმავლობაში გაიმეორეთ მაცხოვრის სწავლებანი სახარებიდან (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე) და 3 ნეფი. ჩაინიშნეთ შეკითხვები თქვენს სამეცადინო რვეულში, რომლებსაც თვით მაცხოვარი იყენებდა. შეადარეთ ეს შეკითხვები იმ შეკითხვებს, რომლებსაც ჩვეულებრივ თქვენ იყენებთ.
- წაიკითხეთ ალმას მე-18 თავის მოთხრობა ამონსა და მეფე ლამონიზე, ასევე აარონზე ალმა 22:4–18. მინიშნებული ტექსტების კითხვისას განმარტეთ და აღწერეთ ყოველივე, როგორადაც ამას ამონი და აარონი აკეთებდნენ:
  - მიჰყვებოდნენ სულიწმინდას და მოძღვრავდნენ სიყვარულით.
  - იწყებდნენ სწავლებას.
  - თავიანთ სწავლებებს მოარგებდნენ ადამიანთა უშუალო საჭიროებებს.
  - უზიარებდნენ სხვებს საკუთარ დამოწმებას.
  - იყენებდნენ წმინდა წერილებს.
  - სვამდნენ შეკითხვებს, უსმენდნენ სხვებს და ეხმარებოდნენ ადამიანებს ეჭვების დაძლევაში.
  - წააქეზებდნენ მოწაფეებს ვალდებულებათა აღების სითამამეზე.
- გაიაზრეთ პრეზიდენტ ჰაროლდ ბ. ლის გამონათქვამები გასაგებად ქადაგების თაობაზე. შეაფასეთ ის, თუ რამდენად ნათლად ასწავლით სახარების მოძღვრებას. ჩაიწერეთ სამეცადინო რვეულში ის, რაც შეისწავლეთ.

  „არ გადაუხვიოთ წმინდა წერილების კონტექსტს, მაგრამ ნათელჰყავით ისინი“ (*The Teachings of Harold B. Lee,* Clyde J. Williams-ს ნაკრებიდან [1996], 444).

  „მართალია, თქვენ მასწავლებლები ხართ, მაგრამ სრულებითაც არ გევალებათ ახალი მოძღვრების შექმნა. თქვენი მოვალეობაა ძველი მოძღვრება ისე მიაწოდოთ მოწაფეს, რომ ის არა უბრალოდ გასაგები იყოს, არამედ ისე, რომ იგი იყოს გასაგებად უბრალო“ (*The Teachings of Harold B. Lee,* 458).

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- განიხილეთ თქვენი ბოლოს ჩატარებული გაკვეთილის გეგმა. შეადგინეთ თითო შეკითხვა ყოველივე იმ ძირითად პრინციპზე, რომელიც დასახულია თქვენს გეგმაში. გადახედეთ

შენიშვნები

თქვენს შეკითხვებს, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი მოცემული თავის შესაბამისობას ასახავენ. ამის შემდეგ უპასუხეთ ყოველ შეკითხვას ისე, თითქოს თქვენ იყოთ მოწაფე. საჭიროებისამებრ კითხვებში შეიტანეთ შესაბამისი ცვლილებები. გაუზიარეთ კითხვები ძმადნაფიცს. ერთად შეაფასეთ თქვენი შეკითხვები.

გაითვალისწინეთ მოწაფის მოთხოვნილებები. განიხილეთ ის, თუ როგორი პასუხები შეიძლება გასცეს თქვენმა მოწაფემ ამ შეკითხვებზე. იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ დაგეხმარება ეს შეკითხვები სულიწმინდის მოსახვეჭად, რათა მოწაფემ უფრო კარგად გაიგოს სახარება.

- იფიქრეთ თითოეულ თქვენს ახალ მოწაფეზე. იმსჯელეთ იმაზე, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ დაეხმაროთ მათ სულიერ ზრდაში. ჩაიწერეთ თქვენი მოსაზრებები სამეცადინო რვეულში და შეადგინეთ მოქმედების გეგმა თქვენს მისიონერულ დღიურში.

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- მოიწვიეთ წევრები ან მოწაფეები თქვენს შეკრებაზე. აუხსსენით ჯგუფს, რომ თქვენ გინდათ, რომ მისიონერებმა დახვეწონ მათი მნიშვნელოვანი გზავნილის გაზიარების უნარი. აირჩიეთ გაკვეთილი და მისი გადმოცემის ერთ-ერთი ხერხი. მიეცით მისიონერებს 20 წუთიანი გაკვეთილის ჩატარების საშუალება, თქვენს მიერ არჩეულ ხერხზე ყურადღების გამახვილებით. 20 წუთის შემდეგ მოახდინეთ მათი ჩანაცვლება. იმის შემდეგ, რაც მისიონერებს მიეცათ სწავლების საშუალება, შეკრიბეთ წევრებისა და მოწაფეების ჯგუფი ერთად, რათა გაუზიარონ მისიონერებს ის, თუ რა იყო მათ სწავლებაში ყველაზე ეფექტური და რა უნდა გამოასწორონ.

- უჩვენეთ ვიდეომასალები, სადაც მისიონერები ატარებენ გაკვეთილებს ან ამყარებენ ურთიერთობას უცნობ ადამიანებთან. აირჩიეთ სწავლების ხერხი და ჯგუფურად იმსჯელეთ მასზედ, თუ რაოდენ კარგად იყენებენ მისიონერები ამ ხერხს ისე, როგორც ვიდეოშია ნაჩვენები.

- აირჩიეთ სწავლების ხერხი ან მისი რომელიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, მოძებნეთ შესაბამისი მოძღვრება ან წმინდა წერილების ნაწყვეტი, რომელიც შეესაბამება ამ ხერხს. ასწავლეთ ხერხის დოქტრინალური საფუძველი მისიონერებს.

## მისიის პრეზიდენტი

- დროდადრო დაესწარით მისიონერებს გაკვეთილებზე. წინასწარ იფიქრეთ მათთან ერთად თუ როგორ მიიღებთ მონაწილეობას სწავლების პროცესში.

- შეაგულიანეთ ხელმძღვანელი მღვდელთმსახურები შეჰყვნენ მისიონერებს გაკვეთილებზე და გააცნონ რჩევები.

- აჩვენეთ წმინდა წერილების, კითხვებისა და შესმენის ეფექტურობა, როდესაც თქვენ ასწავლით მისიონერებს სამხარეო კონფერენციებისა და გასაუბრების დროს.



# როგორ დავეხმარო ადამიანებს, რომ აიღონ და შეასრულონ ვალდებულებები?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- რატომ უნდა ვიყო მომართული, რათა შევაგულიანო ადამიანები აიღონ ვალდებულებები?
- რა კავშირი აქვს ვალდებულებათა აღებას მოქცევასთან?
- როგორ შემიძლია მორჩილი დამოწმების გაზიარება?
- რა ლოცვა-კურთხევის დაპირებათა უფლებები გამაჩნია?
- რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი ჩემთვის, ადამიანების ვალდებულებათა შესრულებების მიყურადება?

## შეაგულიანეთ ადამიანები ვალდებულების აღებაზე

თქვენ, როგორც მისიონერს, გსურთ ადამიანთა სულების გადარჩენა (იხილეთ მოსია 28:3). თქვენ იცით, რომ ადამიანებს შეუძლიათ ქრისტესთან მისვლა და გადარჩენა მხოლოდ მონანიების პირობით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 18:10–16). თქვენი სურვილების აღსრულების ერთ-ერთი ხერხია მოუწოდოთ ადამიანებს მონანიება (იხილეთ ალმა 5:49; მოძღვრება და აღთქმები 15:6; 16:6) და თამამად მოიწვიოთ ისინი გამოამჟღავნონ მონანიებისადმი საჭირო რწმენა, მოინათლონ წყალითა და სული წმინდით და ერთგულებით გამლონ ბოლომდე (იხილეთ 3 ნეფი 27:16–20; მორმონი 7:10).

ვალდებულება მონანიების აუცილებელი ნაწილია. ეს არის საკუთარი თავის მიმართ პირობის დადება გარკვეულ მოქმედებათა შესასრულებლად და შემდგომ ამ დაპირების ბეჯითად შესრულება. როდესაც ადამიანები გულწრფელად იღებენ ვალდებულებას, მათ აქვთ ნამდვილი მოწადინება, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი სავსებით მზად არიან შეასრულონ ის, რაზედაც მათ აიღეს ვალდებულება. მათ მიიღეს ურყევი და გულწრფელი

© 2002 Del Parson. Do not copy.

შენიშვნები

გადაწყვეტილება, რათა შეიცვალონ. ისინი ხდებიან ქრისტეს ერთგულნი და თავს უმღვნიან მის სახარებას. თავიანთი ვალდებულების შესრულებით ისინი ჭეშმარიტად ამტკიცებენ იმას, რომ მათ მიიღეს ქრისტეს სული, მათი ცოდვების მისატევებლად (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 20:37). როდესაც თქვენ სწავლებისას სთხოვთ მოწაფეს საკუთარ თავზე ვალდებულების აღებას, თქვენ მოსანანიებლად ეპატიჟებით მას.

ადამიანებისთვის საკუთარ თავზე ვალდებულების აღებისა და შესრულების დახმარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ვალდებულების შეთავაზება. ვალდებულების შეთავაზება და შემდგომ მისი შესრულების მიყურადება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან:



© 2001 სიმონ დიუი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

- ადამიანები მოიქცევიან რწმენისაკენ, როდესაც ისინი ცხოვრობენ იმ პრინციპებით, რომლებსაც ისინი სწავლობენ (იხილეთ იოანე 7:17) და გრძნობენ სულიწმინდის დასტურს მასზედ, რომ მამა ზეციერი იწონებს იმას, რასაც ისინი აკეთებენ.
- მონანიება და საკუთარი თავის შეცვლა დაეხმარება ადამიანებს სიძნელეების გადალახვაში, ასევე დარცხვენისა და დანაშაულის გრძნობის დამლევაში და შედეგად ამისა ღვთის პატიების სიხარულისა და მშვიდობის გრძნობის შემენაში.
- ვალდებულებების შესრულება ეხმარება ადამიანებს წმინდა აღთქმების დადებაში და მათ დაცვაში.

ადამიანთა მიმართ თქვენი სიყვარული და რწმენა, ღვთის დაპირებათა მიმართ თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ იმით, რომ დაეხმარებით მათ მოინანიონ და შეასრულონ ვალდებულებები.

ნათლობისათვის სავალდებულო დაპირებები ჩამოთვლილია პირველ ოთხ გაკვეთილში. ნათლობისა და წევრად დამტკიცების, შემდგომ სულიერი წინსვლისათვის საჭირო ვალდებულებანი მოყვანილია, მეხუთე გაკვეთილში. ყოველთვის გახსოვდეთ რაოდენ აუცილებელია ეპატიჟებოდეთ ადამიანებს აკეთონ ის, რაც განამტკიცებს მათ რწმენას ქრისტეს მიმართ. დაიმახსოვრეთ შემდეგი პრინციპები:

- სწავლების ან მოძიების ყოველი შესაძლებლობა–მრევლთან, მათი რეკომენდაციით მოსულ ადამიანებთან ან პირადი კონტაქტით გაცნობილ ადამიანებთან უნდა უბიძგებდეს მათ მოქმედებისაკენ, უმეტეს შემთხვევაში აღდგენაზე შესწავლის შემოთავაზებით.
- სწავლებისას ყოველთვის, იშვიათი შემთხვევების გარდა, ადამიანებთან საუბარი უნდა მთავრდებოდეს მოწოდებით აკეთონ რაიმე, რაც გაამლიერებს მათ რწმენას ქრისტეს მიმართ.
- სწავლებისას გაამახვილეთ ყურადღება ერთ ან რამოდენიმე ვალდებულებაზე. თუ თქვენ არ მოუწოდებთ ადამიანებს ამ ვალდებულებების საკუთარ თავზე აღებას, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ არ სთხოვთ მათ მონანიებასა და დაახლოებას ქრისტესთან.
- როდესაც თქვენ მმადნაფიცთან ერთად ემზადებით გაკვეთილის ჩასატარებლად, გაითვალისწინეთ ყოველი მოწაფის მოთხოვნილებები და მდგომარეობა და ამის მიხედვით ჩართეთ ერთი ან რამოდენიმე ვალდებულება თქვენი გაკვეთილის გეგმაში.
- გაკვეთილის მსვლელობისას შესამლოა გეწვიოთ შთაგონება და სთხოვოთ არა მარტო იმ ვალდებულების აღება, რომელიც გაითვალისწინეთ. ყოველთვის მოიწვიეთ ადამიანები მოსანანიებლად.

შენიშვნები

- თამამად სთხოვეთ ადამიანებს აიღონ საკუთარ თავზე ვალდებულებები (იხილეთ ალმა 38:12). სითამამე გამოხატავს თქვენს რწმენას მასზედ, რომ უფლის მცნებათა დაცვას მადლი მოჰყვება.
- ადამიანები არ შეიცვლებიან თუ თქვენ ამისაკენ მათ არ მოუწოდებთ.

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

**რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ადამიანების შეგულიანება ვალდებულებების აღებაზე?**

ალმა 5:62
მორონი 7:13

**რატომ არის საკუთარ თავზე ვალდებულებების აღება ასე მნიშვნელოვანი?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 31 | ალმა 32:27 | იოანე 7:17 |
| მოსია 2:41 | მოძღვრება და აღთქმები 14:7 | |
| ალმა 7:14–16 | მოძღვრება და აღთქმები 20:37 | |

## დასვით პირდაპირი კითხვები

საკუთარ თავზე ვალდებულებების აღების შეთავაზება ხშირად იწყება ფრაზით: „ხომ არ..“ და მოითხოვს *კი-არა* ტიპის პასუხს. შეთავაზება უნდა იყოს კონკრეტული, პირდაპირი და ნათელი. ასეთ შემახილებს მიჰყავთ ადამიანები მინიშნებული კონკრეტული მოქმედებების შესრულებისაკენ და მოითხოვენ საკუთარ თავზე ვალდებულების აღებასა და აქტიური რწმენის გამომჟღავნებას იმ პრინციპების მიმართ, რომლებიც თქვენ მათ შეასწავლეთ.

ქვემოთ მოყვანილია სწორ შეთავაზებათა მაგალითები, რომლებსაც მოჰყვება დაპირება და დამოწმება:

- წაიკითხავთ თუ არა [3 ნეფი 11, მორონი 10:3–5, ამ ბროშურას] ჩვენს ხვალინდელ, 7 საათისათვის შეხვედრამდე? მე ვიცი, რომ თუ თქვენ ამას იზამთ . . . მე ვამოწმებ, რომ მორმონის წიგნი არის . . .
- ილოცებთ და ჰკითხავთ ღმერთს,- იყო თუ არა იოსებ სმითი წინასწარმეტყველი? მე ვიცი, რომ ლოცვისას ღმერთი . . . მე ვიცი, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი . . .
- წამოხვალთ ჩვენთან ერთად ეკლესიაში კვირას დილის 9 საათზე? თუ წამოხვალთ . . . მე ვიცი, რომ ქრისტეს ეკლესია აღდგენილია . . .
- დაიწყებთ უბიწოების კანონით ცხოვრებას ისე, როგორც ჩვენ ეს აგიხსენით? ამ კანონით ცხოვრება . . . როგორც მსახური უფლისა მე ვამოწმებ, რომ უმანკო ცხოვრება . . .
- დაპატიჟებთ (სახელი) პარასკევამდე ჩვენთან შესახვედრად და სახარების შესასწავლად? სულიწმინდა დაგეხმარებათ თქვენ . . . სახარების გაზიარება დალოცავს თქვენს ცხოვრებას . . .
- შეიძლება თქვენთან სახლში მოსვლა, რათა მოგიყვეთ იმაზე, რომ ღმერთმა აირჩია წინასწარმეტყველი ჩვენს დროში ზუსტად ისე, როგორც ამას აკეთებდა უხსოვარ დროთა წიაღში? თქვენს ცხოვრებაში შემოვა უფრო მეტი სიმშვიდე, გაზრდილი მიზნები და მიმართულება, როდესაც თქვენ ჩაწვდებით იმას, რომ . . . მე ვამოწმებ, რომ ღმერთმა ისევ იხმო . . .

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაწერეთ უბრალო, პირდაპირი და ნათელი მოპატიჟება გაკვეთილში მოცემული ყოველი ვალდებულებისადმი. თუ თქვენ ასეთი რამ უკვე გაგიკეთებიათ, გაიმეორეთ იგი და შეადარეთ თქვენი ახალი მოპატიჟებები მის ადრე შედგენილ მოპატიჟებებს. შეეკითხეთ საკუთარ თავს,- გაუმჯობესდა თუ არა თქვენი მოპატიჟების ჩამოყალიბების უნარი?

შენიშვნები

თქვენს ძმადნაფიცთან ერთად გადახედეთ თქვენს მიერ შედგენილ მოპატიჟებებს. ყოველი მოპატიჟები-სათვის განიხილეთ შემდეგი შეკითხვები:

- მოპატიჟებისას, ვუხსნი თუ არა მე მოწაფეს უფლის მიერ დაპირებულ ლოცვა-კურთხევებს? თუ არა, რატომ?
- ვარიდებ თუ არა თავს შეთავაზებას? თუ ასეა, რატომ?
- ვგრძნობ თუ არა თავს უხერხულად ამ ვალდებულების შეთავაზების დროს? როგორ შეიძლება ეს გა-მოვასწორო?
- რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეთავაზება პირადად ჩემთვის?
- რამდენად ხშირად ვახერხებ ჩემს მიერ შემოთავაზებული მოპატიჟებების მიყურადებას? როგორ შემიძლია ყოველივე ამის გაუმჯობესება?

გაიხსენეთ მოწაფეები ან ნაკლებად აქტიური წევრები, რომლებსაც თქვენ იცნობთ და ივარჯიშეთ ამ მოპატიჟებებზე ისე, თითქოს თქვენ მათ სინამდვილეში მიმართავდეთ.

საჭიროებისამებრ, გადახედეთ თქვენი გაკვეთილის გეგმაში ჩადებულ მოპატიჟებებს. დასვით კონკრეტული მიზნები, რომლებიც ერთი დღის და მთელი კვირის განმავლობაშიც კი დაგეხმარებათ მოპატიჟებების შეთავაზებებში.

## დაპირდით ადამიანებს ლოცვა-კურთხევებს

ადამიანებს, მათი აზრებისა და ქმედებების შესაცვლელად, ესაჭიროებათ მიზეზი. დაპი-რებული ლოცვა-კურთხევები ხშირად უზრუნველყოფენ ღვთის მიმართ მორჩილების მლიერ მოტივაციას. როდესაც უფალი გვამლევს მცნებას, იგი ხშირად ბუნებრივად გვპირ-დება დალოცვებს ამ მცნების დაცვის შემთხვევაში (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 130:20–21). როდესაც თქვენ ადამიანებს ამზადებთ კონკრეტული მცნების დასაცავად, ასწავლეთ მათ შემდეგი რამ:

- ჩვენს მიერ მცნებათა დაცვა გამოხატავს ჩვენს სიყვარულს ღვთისა და მისი მის მიმართ.
- მცნებათა დაცვით ისინი გამოხატავენ ღვთის მიმართ საკუთარ რწმენას.
- ამის სანაცვლოდ, ისინი ღებულობენ დაპირებულ ლოცვა–კურთხევებს.

როდესაც თქვენ ამოწმებთ რაიმე მცნებას, ისაუბრეთ იმ ლოცვა-კურთხევებზე, რომლებიც თქვენ მიიღეთ ამ მცნებების დაცვის შედეგად. დაპირდით თქვენს მოწაფეებს იმავე მადლის მიღებას.

ვალდებულების შესრულების მცდელობისას, სთხოვეთ მოწაფეებს ისაუბრონ იმ ლო-ცვა-კურთხევების შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს მამაზეციერისაგან. დაარწმუნეთ ისინი იმაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ ცხოვრებაში გაჩნდება სირთულეები, მამა ზეციე-რი გააგრმელებს მათ დალოცვას, თუკი ისინი დაემორჩილებიან მის ნებას.

### წმინდა წერილების შესწავლა

**რას ამბობს უფალი ჩვენი დალოცვის ღ ავისი სურვილის შესახებ?**

ალმა 37:17 მოძღვრება და აღთქმები 1:37 მოძღვრება და აღთქმები 76:5–10

### ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

წაიკითხეთ მოძღვრება და აღთქმები 82:10 და 130:20–21. ამის შემდეგ განიხილეთ შემდეგი ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან. თქვენს სამეცადინო რვეულში ჩამოაყალიბეთ ორი სვეტი. ერთ სვეტ-ში ჩამოწერეთ მცნებები, რომლებიც მოიპოვება ყოველ ნაწყვეტში, მეორეში კი ის დალოცვები, რომლე-ბიც მოჰყვება ამ მცნების დაცვას.

შენიშვნები

მოძღვრება და აღთქმები 11:21 მოძღვრება და აღთქმები 89:18–21 მოძღვრება და აღთქმები 100:5–8
მოძღვრება და აღთქმები 84:85 მოძღვრება და აღთქმები 95:8–9 მალაქია 3:10–12

გადახედეთ ერთ-ერთ მისიონერულ გაკვეთილში ჩამოთვლილ ვალდებულებებს. ყოველი ასეთი ვალდებულებისათვის პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

- რა ლოცვა-კურთხევებს დაპირდა უფალი მათ, ვინც იცავს მის მცნებებს?
- ამ პრინციპებისადმი მორჩილება, როგორ ეხმარება ადამიანებს რწმენისა და დამოწმების შეძენაში?
- როგორ დაეხმარება ეს ვალდებულება ადამიანებს მოინანიონ და გახდნენ სულიწმინდის მიმართ უფრო მგრძნობიარენი?

## ხშირად გაუზიარეთ თქვენი დამოწმება

> *„რაც შეეხება დამოწმებას, გახსოვდეთ, რომ რასაც ის სრული მზაობით უზიარებს სხვებს, მისია, ხოლო ის, რასაც თავისთვის იტოვებს,- დაკარგულია. . . . ასწავლიდეთ და ამოწმებდეთ–არ არსებობს ამაზე უკეთესი კომბინაცია.“*
>
> – რასელ მ. ნელსონი
> *PATHWAYS TO PERFECTION* [1973], 100–101

დამოწმება არის სულიერი დარწმუნება და ჭეშმარიტების შეგრძნება, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ სულიწმინდის მეშვეობით. დაამოწმოთ ნიშნავს გააკეთოთ რწმენის უბრალო, პირდაპირი განცხადება სახარების ჭეშმარიტების მიმართ. დამოწმების გაზიარება ხშირად არის სულიწმინდის მოწვევისა და შედეგად ამისა, სხვების მიერ მისი შეგრძნების ერთ-ერთი უმლიერესი საშუალება. იგი ხდება დამატებითი, ცხოველი, პირადი მოწმობა თქვენს მიერ წმინდა წერილებიდან გადმოცემულ ჭეშმარიტებისა. ეფექტური მისიონერი ასწავლის, ამოწმებს და ეპატიჟება სხვებს აკეთონ ის, რაც განამტკიცებს მათ რწმენას იესო ქრისტეს მიმართ. ეს შეიცავს ადამიანთა მიმართ დაპირებებს ლოცვა-კურთხევის შესახებ, რომლებსაც ისინი მიიღებენ თუკი იცხოვრებენ ჭეშმარიტი პრინციპებით. მაგალითად, მისიონერს შეუმლია თქვას: „მე ვიცი, რომ თუკი თქვენ დაიცავთ შაბათის დღის სიწმინდეს, თქვენს გულებში მეტი სიმშვიდე დაისადგურებს“.



იმისათვის, რომ თქვენი დამოწმება მეტად დამაჯერებელი იყოს, თქვენ გმართებთ გულწრფელობა. მლიერი დამოწმება არ არის დამოკიდებული მჭევრმეტყველებაზე ან თქვენი ხმის მალაზე, იგი მთლიანად არის დამოკიდებული თქვენი გულის დარწმუნებაზე. ყოველდღიურად განამტკიცეთ თქვენი იმ მომღვრებისა და პრინციპების წვდომა და დარწმუნება, რომლების გადმოცემასაც აპირებთ. ხშირად გაუზიარეთ თქვენი დამოწმება იმ ჭეშმარიტებისა და მომღვრების ჩასაბეჭდად, რომლებსაც თქვენ ასწავლით. რაც შეიმლება ხშირად ასწავლეთ და გაუზიარეთ სხვებს დამოწმება და ასევე დაუმოწმეთ ჭეშმარიტება ყოველი სწავლებისას.

თქვენი დამოწმება შეიმლება იყოს სრულიად მარტივი, მაგალითად: „იესო ქრისტე არის მე ღვთისა“ ან „მე პირადად დავრწმუნდი იმაში, რომ მორმონის წიგნი ჭეშმარიტია“. თქვენ ასევე შეგიმლიათ მოკლედ გაუზიაროთ ის, თუ როგორ შეიმინეთ ეს ცოდნა. ყოველი

შენიშვნები

გაკვეთილის მსვლელობისას რამდენჯერმე გაუზიარეთ მოწაფეს თქვენი დამოწმება და არა მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს. დაამოწმეთ ის, რომ რასაც თქვენი მმადნაფიცი ასწავლის, ღმერთისაგან არის. დაამოწმეთ, რომ ის პრინციპი, რომლის სწავლებასაც თქვენ აპირებთ, მოწაფის ცხოვრებას დალოცვილს გახდის, თუკი ის დაიცავს და ცხოვრებაში გაატარებს მას. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ გახდა თქვენი ცხოვრება დალოცვილი ამ მცნებათა დაცვით.

ზოგჯერ ადამიანების ინტელექტი ეჭვ ქვეშ აყენებს ყოველივეს, რასაც თქვენ მათ ასწავლით, მაგრამ გულწრფელი დამოწმების, ეჭვ ქვეშ დაყენება განუსაზღვრელად რთულია. როდესაც თქვენ უზიარებთ სხვას დამოწმებას, ილოცეთ მასზედ, რომ მათ, ვისაც ასწავლით, იგრძნონ სულიწმინდის დამაჯერებელი დამოწმება. თქვენი დამოწმებისას იქმნება ისეთი განწყობა, რომლის დროსაც მოწაფე გრძნობს სულიწმინდის დამოწმებას მასზედ, რომ რასაც თქვენ ქადაგებთ ჭეშმარიტებაა. ეს განამზადებს მათ იმ ვალდებულებებისათვის საკუთარ თავზე ასაღებად, რომლებსაც თქვენ მათ შესთავაზებთ.

როდესაც ბრიგამ იანგი ერთი წლის განმავლობაში ეცნობოდა აღდგენილ სახარებას, იგი არ გამხდარა უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი. მან ასე მოიხსენია თავისი მოქცევა რწმენისაკენ: „მსოფლიოს ყოველი ნიჭი, გონივრულობა, სიბრმნე და დახვეწილობა, რომ მოეცათ ჩემთვის მორმონის წიგნთან ერთად და მთელი მიწიერი მჭევრმეტყველებით განეცხადებინათ მისი ჭეშმარიტება ამ ქვეყნიურ ცოდნაზე და სიბრმნეზე დაყრდნობით, მე ამას აღვიქვავდი მხოლოდ როგორც ნისლს, რომელიც ადის ზემოთ იმისათვის, რომ გაიფანტოს. მაგრამ როცა კი მინახავს ადამიანი, რომელიც არც მჭევრმეტყველი იყო და არც საზოგადო საკითხებზე საუბრებში გაწაფული, რომელსაც შეეძლო უბრალოდ ეთქვა: „სულიწმინდის ძალით მე ვიცი, რომ მორმონის წიგნი ჭეშმარიტია და რომ იოსებ სმითი არის წინასწარმეტყველი ღვთისა“, სული წმინდა, რომელსაც ეს ადამიანი განაფრქვევდა, ანათლებდა ჩემს გონებას და სინათლე, დიდება და უკვდავება იხსნებოდნენ ჩემს თვალ წინ. მე ვიყავი მათ გარემოცვაში, მე ვივსებოდი მათი მადლით და მე ვიცოდი, რომ ამ ადამიანის დამოწმება ჭეშმარიტია“ (*Journal of Discourses*, 1:90).

## ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები დამოწმების მაგალითებია. წაიკითხეთ თითოეული კითხვა და წმინდა წერილის ნაწყვეტი. ჩაიწერეთ პასუხები თქვენს სამეცადინო რვეულში.

- ამ მუხლებში, რას ამოწმებენ წინასწარმეტყველები და მოციქულები?
- რამდენად ძლიერად სწამთ მათ იმისა, რასაც ისინი ამბობენ? თქვენ როგორ დაასკვნიდით იმას, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან ჭეშმარიტებაში?
- რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: „მე ვიცი, რომ __________ ჭეშმარიტია“? კიდევ რა სიტყვების გამოყენება შეგიძლიათ იმისდა გამოსახატავად, რაშიდაც თქვენ სრულებითა ხართ დარწმუნებული?

| | | |
|---|---|---|
| იაკობი 7:7–12 | მოძღვრება და აღთქმები 76:22–24 | საქმეები 2:14–38 |
| ალმა 5:45–48 | იოანე 3:3–11 | საქმეები 10:34–44 |
| ალმა 34:1, 8 | | |

## წმინდა წერილების შესწავლა

**როგორია დამოძმების გაზიარების ზოგიერთ ი დაპირება და პრინციპი?**

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 33:1 | მოძღვრება და აღთქმები 84:61 | იოანე 15:26 |
| მოძღვრება და აღთქმები 62:3 | მოძღვრება და აღთქმები 100:5–8 | |

შენიშვნები

## მიყურადება

საკუთარ თავზე ვალდებულების ასაღებად შეთავაზება მისი შემდგომი მიყურადების გარეშე ემსგავსება მოგზაურობას, რომელიც ჩვენ დავიწყეთ და არ დავასრულეთ ან კონცერტს, რომელზედაც ჩვენ ბილეთი ვიყიდეთ და თეატრში კი აღარ წავედით. დამასრულებელ ქმედებათა გარეშე ვალდებულება კარგავს აზრს.

ცვლილებები შესაძლოა რთული გამოდგეს. თქვენ გაკისრიათ როლი განამტკიცოთ ადამიანები მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში შეიცვალონ. თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ დაეხმაროთ ადამიანებს მათი ვალდებულებების შესრულებაში.

გულწრფელი მონანიება საუკეთესოდ მჟღავნდება გარკვეული დროის განმავლობაში მართალი საქციელით, განსაკუთრებით ისეთი მცნებების მიმართ, როგორებიცაა უბიწოების კანონი, სიბრძნის სიტყვა და მეათედის გადახდის კანონი. თქვენი და მეურვეობის ხელმძღვანელების ადამიანებთან მუშაობისას გამოიჩინეთ მათ მიმართ გაგება. გამოიჩინეთ მოთმინება, მაგრამ ამავე დროს დარჩით მტკიცენი. თქვენი მსახურება არ ითვლება დასრულებულად ვიდრე ადამიანი არ დაიწყებს აღებული ვალდებულების მიხედვით ცხოვრებას ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, სანამ არ მოინანიებენ (იხილეთ 3 ნეფი 18:32). მონანიებისათვის საჭირო მლიერი რწმენის განვითარებისათვის ზოგჯერ შეიძლება დაგჭირდეთ ადამიანებთან მრავალჯერადი მისვლა.

მიყურადება იწყება პირველივე შეხვედრიდან და გაკვეთილიდან:

- დააწერინეთ მათ ვალდებულება რაიმე თქვენს მიერ დატოვებულ ბროშურაზე ან ბარათზე, სადაც მითითებული იქნება თქვენი სახელი და ტელეფონის ნომერი.
- შეატყობინეთ ადამიანებს, რომ თქვენ ყოველდღიურად ცოტა ხნით მაინც მოინახულებთ მათ გაკვეთილების შორის შუალედებში. განუმარტეთ მათ, რომ თქვენი მიზანია მათი მხარდაჭერა და დახმარება. აცნობეთ მათ, თუ რაზე გექნებათ მათთან საუბარი ამ შეხვედრების დროს.
- გააკეთეთ ჩანაწერები თქვენს დღიურში გრაფებში „Notes/To Do List“ რათა ხვალ უკვე შემლოთ ყველა იმ ვალდებულების მიყურადება, რომელიც დღეს შესთავაზეთ მოწაფეს.

განახორციელეთ ყოველდღიური კონტაქტი თქვენს მოწაფეებთან, თუ კი ეს შესამლებელია, რათა ყოველთვის იყოთ საქმის კურსში, თუ რა პროგრესი აქვთ მიღწეული მათ ვალდებულებების შესრულების მიმართ, უპასუხოთ მათ შეკითხვებს, დაეხმაროთ მათ სიმნელეთა გადალახვაში, ჩაუტაროთ დამატებითი გაკვეთილები, ერთად წაიკითხოთ მორმონის წიგნი, გაუზიაროთ ერთმანეთს ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან ან გამოიყენოთ აუდიო-ვიდეო მასალები. თქვენი ხშირი ვიზიტების შედეგად თქვენ განუმტკიცებთ მათ სულიერ გრმნობებს, რომლებიც მათ დაებადათ მაშინ, როდესაც თქვენ აცნობდით მათ, იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შესახებ. სულიწმინდის ეს მხარდამჭერი ზეგავლენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესამლოა ზოგჯერ დაგჭირდეთ მოწაფეებთან დარეკვა, რამეთუ შეახსენოთ და თან შეაგულიანოთ ისინი ვალდებულებების შესასრულებლად.

დაეხმარეთ მოწაფეებს იმ ლოცვა-კურთხევათა გამოცნობაში, რომლებიც მათ მიიღეს ვალდებულებათა შესრულების შედეგად. განსაკუთრებით დაეხმარეთ მათ მათი შეგრმნებების გამოხატვაში, როდესაც საქმე ეხება სულიწმინდის მიერ კონკრეტული გზავნილის ჭეშმარიტების დადასტურებას.

შეაქეთ და წაახალისეთ ადამიანები, რომლებიც წარმატებულად ასრულებენ ვალდებულებებს. მოწაფეები იცვლიან ცხოვრებას. მათ ბევრი რამ აქვთ ასათვისებელი და გასაკეთებელი. გულწრფელად და ხშირად შეაქეთ ისინი. გამოხატეთ თქვენი მადლიერება და მათდამი თქვენი რწმენა მათი წინსვლის გამო. ყოველთვის, როდესაც კი მათთან ხართ, წაახალისეთ ისინი.

შენიშვნები

გამოხატეთ სევდა და სინანული, როდესაც ადამიანები ვერ ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს და შედეგად ამისა, დარჩებიან ლოცვა-კურთხევის გარეშე.

## დონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

დაგეგმეთ და ჩაიწერეთ დღიურში თქვენი ყოველდღიური კონტაქტები მოწაფეებთან. რამოდენიმე დღით ადრე დაგეგმეთ თქვენი საქმიანობა, რათა შეძლოთ ყოველი მოწაფის ვალდებულებების შესრულების მიყურადება.

აირჩიეთ ერთ-ერთი ვალდებულება, რომლის აღებასაც შესთავაზებთ მოწაფეს გაკვეთილის მსვლელობის დროს. შემდეგ გამოავლინეთ მოწაფეებში სხვადასხვა ეჭვები, რომლებიც შესაძლოა გახდნენ მათთვის ხელის შემშლელი ამ ვალდებულების მისაღებად ან შესასრულებლად. იმსჯელეთ და ივარჯიშეთ, რათა შეძლოთ რაც შეიძლება უკეთესად დაეხმაროთ ადამიანებს მათი ეჭვების დასაძლევად.

## გახსოვდეთ შემდეგი

- მოზიდვისას ან სწავლებისას, როგორც მრევლთან, ასევე მოწაფეებთან, გამოიყენეთ ყოველი ხელსაყრელი სიტუაცია, რათა შესთავაზოთ მათ იკისრონ საკუთარ თავზე ვალდებულებათა აღება.
- შესთავაზეთ ადამიანებს საკუთარ თავზე ვალდებულების აღება, რათა დაეხმაროთ მათ მოქცევაში.
- დაპირდით ლოცვა-კურთხევებს.
- გაუზიარეთ დამოწმება.
- მიაყურადეთ მათ, რათა დაეხმაროთ აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში.

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

შენიშვნები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- ამოირჩიეთ ერთ-ერთი მცნება მეოთხე ან მეხუთე გაკვეთილიდან. გაიხსენეთ დალოცვები, რომლებიც მიიღეთ ამ მცნების დაცვის შედეგად და ჩაიწერეთ ისინი თქვენს სამეცადინო რვეულში.

- მისწერეთ თქვენს ოჯახის წევრებს და კითხეთ მათ, თუ რა დალოცვები მიიღეს მათ გარკვეულ მცნებათა დაცვით (მაგალითად, მეათედის გადახდა).

- დაწერეთ ის, თუ რას გრძნობთ ვალდებულებების შეთავაზების დროს. თქვენი შეთავაზებები თამამია თუ გაუბედავი? დარწმუნებული ხართ, რომ ადამიანები მიიღებენ დალოცვებს თუ ეჭვობთ ამის მიმართ? ხართ თუ არა თანმიმდევრული, მომთმენი და დანამდვილებით უწევთ ადამიანებს დახმარებას მათთან ყოველდღიური კონტაქტისას? იციან თუ არა ადამიანებმა, რომ თქვენ ისინი გიყვართ? როგორ შეგიძლიათ გამოასწოროთ ყოველი ის სისუსტე, რომლებსაც თქვენ აღმოაჩენთ თქვენს შეთავაზებებში?

- გაიმეორეთ თქვენი ყოველი გაკვეთილების გეგმა. ჩართეთ თუ არა გაკვეთილში კონკრეტული ვალდებულებანი? გიწყობთ თუ არა ხელს თქვენი გაკვეთილი საიმისოდ, რომ მოწაფემ აიღოს თავის თავზე ვალდებულებები?

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- თქვენი მისიონერის დღიურიდან ამოიწერეთ იმ ადამიანთა სახელები, რომლებთანაც თქვენ დაამყარეთ კონტაქტები ბოლო ორი დღის განმავლობაში, მოწაფეებისა და მრევლის ჩათვლით. ყოველი მათგანისათვის აღნიშნეთ ის ვალდებულება, რომელიც მან აიღო საკუთარ თავზე, აღნიშნეთ ისინიც, რომლებიც შესაძლოა მზად იყვნენ შეთავაზებისათვის, მაგრამ არ შესთავაზეთ მათ. იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შეძლეთ ზოგისაგან ვალდებულებათა მიღება და სხვებთან კი ჯერ ვერ მიაღწიეთ საწადელს. რას იზამთ იმისათვის, რომ მიაყურადოთ მათ ვალდებულებათა შესრულება?

- გადახედეთ თქვენს დღიურს და ამოიწერეთ იმ მოწაფეთა სახელები, რომლებისთვისაც აპირებთ გაკვეთილის ჩატარებას ამ უახლოეს დღეებში. გადაწყვიტეთ, რომელ მცნებათა დაცვას შესთავაზებთ მათ მეოთხე და მეხუთე გაკვეთილებიდან? იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შესთავაზებთ მათ კონკრეტულ ვალდებულებას და რა ლოცვა-კურთხევების დაპირება შეგიძლიათ ამ მცნებათა მიმართ მორჩილების შედეგად.

- თუ საჭიროდ მიიჩნევთ, აჩვენეთ მოწაფეს სწავლების ჩანაწერები, რათა იცოდნენ, თუ რას ელოდებით მათგან. შეგიძლიათ ამ ჩანაწერის ასლიც კი დაუტოვოთ მათ.

- გადახედეთ თქვენს დღიურში გრაფას „Notes/To Do List“. დაგეგმეთ თუ არა ბოლო სამი დღისათვის ყოველი ვალდებულების მიყურადება?

### საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- განიხილეთ ეფექტური და შემოქმედებითი იდეები მოწაფეებთან ყოველდღიური ურთიერთობისათვის. ეფექტურად მუშაობდნენ მისიონერები წევრებთან? სახის ბეჭდური თუ აუდიო-ვიდეო მასალებია გამოსადეგი? რისი გაკეთება შეგიძლიათ თუ ადამიანები სახლში არ არიან ან არიან მეტად დაკავებულნი თქვენთან შესახვედრად?

- განიხილეთ ხერხები, რომლებიც ეფექტურად გამოყენებულ იქნა მეოთხე და მეხუთე გაკვეთილებში გადმოცემული მცნებების სასწავლებლად.

- განიხილეთ ზოგიერთი მოწაფის ამჟამად არსებული ეჭვები. რა ბუნების ეჭვები აწუხებთ მათ? რისი გაკეთება შეუძლიათ მისიონერებს მოწაფეთა ამ ეჭვებისაგან განთავისუფლებისათვის?

### მისიის პრეზიდენტი

- დრო და დრო დაესწარით მისიონერების გაკვეთილებს. დაეხმარეთ მათ ყურადღების გამახვილებაში იმაზე, რომ შეძლონ დახმარება გაუწიონ ადამიანებს ვალდებულებათა აღებასა და მათ შესრულებაში.

შენიშვნები

- წააქეზეთ სამღვდელოების წინამძღვარები და წევრები აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მოწაფეებთან ყოველდღიურ კონტაქტში შესასვლელად.
- გახდით წარმატებულ ვალდებულებათა შეთავაზების მაგალითი, როგორც თქვენს მისიონერულ მუშაობისა, ასევე იმ მისიონერებისთვის, ვისთანაც ერთად მსახურობთ.



# როგორ მოვამზადო ადამიანები ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ დავეხმარო ადამიანებს მოემზადონ მათი ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის?
- როგორ უნდა ჩავატარო ნაყოფიერი ნათლობისწინა გასაუბრება?
- როგორ იგეგმება და ტარდება სულიერად ამამაღლებელი ნათლობის მსახურება?
- როგორ შემიძლია მჭიდრო თანამშრომლობა ეპისკოპოსთან, რათა დავრწმუნდე იმაში, რომ ახლადმოქცეულებმა გაიარეს წევრად დამტკიცების წეს-ჩვეულება?
- რატომ არის ნათლობისა და წევრად დამტკიცების ჩანაწერების შევსება მნიშვნელოვანი?

## მოამზადეთ ადამიანები ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის

თქვენი სწავლების მიზანია დაეხმაროთ სხვებს, იესო ქრისტეს მიმართ რწმენის განვითარებაში და ცოდვების მონანიებაში. როგორც მორმონი გვასწავლიდა, მონანიების პირველი ნაყოფი ნათლობაა (მორონი 8:25). ნათლობისწინა გასაუბრება ეკლესიის მიერ ჩამოყალიბებული ის ხერხია, რომლითაც ვლინდება, აკმაყოფილებს თუ არა ყოველი კანდიდატი ნათლობისათვის უფლის მიერ დადგენილ პირობებს და არის თუ არა იგი მზად სულიწმინდის მღვენის მისაღებად. ეკლესიის მიერ მალა-უფლებით აღჭურვილ პირთა წინაშე, ამ გასაუბრების შედეგად, ნათლობის კანდიდატები ამოწმებენ იმას, რომ ისინი პასუხობენ წმინდა წერილების მოთხოვნილებას მასზედ, რომ მთლიანად მოინანიეს ყველა თავისი ცოდვა (იხილეთ მომღვრება და აღთქმები 20:37). ვალდებულებები, რომლებსაც

© 1988 გრეგ კ. ოლსენ. მილულ პონდის სტამბისა და დოქტორი ჯერი ჰუპერის შემწეობით. ასლის გადაღება არ შეიძლება.

შენიშვნები

მოწაფეები ღებულობენ საკუთარ თავზე, განამზადებენ მათ ნათლობის აღთქმის დასადებად და მათდა დასაცავად. ადამიანები, რომლებიც ასრულებენ თქვენს მიერ შეთავაზებულ ვალდებულებებს, კარგად იქნებიან მომზადებულნი გასაუბრების, საეკლესიო წევრობისა და აქტიურობისათვის.

თქვენი მოწაფეების განსწავლებისა და მომზადების დროს, დარწმუნდით იმაში, რომ ისინი აკმაყოფილებენ ნათლობისათვის საჭირო პირობებს.

## პირობები ნათლობისათვის

### მოძღვრება და აღთქმები 20:37:

- ღმერთის წინაშე თავმდაბლობა.
- მონათვლის სურვილი.
- დამწუხრებული გულით და მონანიე სულით მოსვლა.
- ყველა ჩადენილი ცოდვის მონანიება.
- იესო ქრისტეს სახელის თავზე ასაღებად მზადყოფნა.
- ქრისტესათვის ბოლომდე მსახურობის მტკიცე გადაწყვეტილება.
- საქმით ჩვენება იმისა, რომ მათ მიიღეს ქრისტეს სული ჩადენილი ცოდვების მისატევებლად.

### პირველი პრეზიდენტობა და თორმეტთა ქვორუმი:

- საგრძნობი ცვლილებების შეტანა ცხოვრებაში, რათა უპასუხონ მოძღვრებისა და აღთქმების 20:37-ში აღწერილ მოთხოვნილებებს.
- ქრისტეს მიმართ რწმენის განვითარება.
- დაშავებათა მონანიება.
- მორალური ღირსების პრინციპებით ცხოვრება.
- სიბრძნის სიტყვით ცხოვრება.
- მეათედის გადახდის ვალდებულების აღება.
- ყველა მისიონერული გაკვეთილის გავლა [გაკვეთილი 1-4 ანგარიშიდან სწავლების მსვლელობის შესახებ და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები].
- შეხვედრა ეპისკოპოს ან მრევლის პრეზიდენტთან.
- დასწრება ზიარების რამოდენიმე შეკრებაზე.

(„Statement on Missionary Work," პირველ პრეზიდენტთა წერილი, 11 დეკემბერი, 2002)

იმის შემდეგ, რაც მოწაფე მტკიცედ დაასახელებს ნათლობის თარიღს, დაგეგმეთ თუ როდისთვის შეასრულებთ ყველა იმ ღონისძიებას, რომლებსაც ადამიანი მიჰყავს ნათლობისა და წევრად დამტკიცებისაკენ, რაც გაწერილია თქვენს დღიურში. ყურადღებით გადახედეთ ანგარიში სწავლების მსვლელობის შესახებ, რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ თქვენ მიაწოდეთ მოწაფეებს სწავლების მირითადი მომღვრება და რომ ისინი მზად არიან უპასუხონ ნათლობისწინა გასაუბრების ყოველ შეკითხვას. თქვენს შემდეგ შეხვედრაზე გააცანით ეს განრიგი ნათლობის კანდიდატს. საკუთარ ნათლობამდე, თუ შესამლებელია, დაასწარით ეს პიროვნება რომელიმე ნათლობას.

თუ თქვენ თვლით, რომ თქვენს მოწაფეს ესაჭიროება დამატებითი მომზადება, ნუ დაგეგმავთ გასაუბრებას ვიდრე მოწაფე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. თუ პიროვნება არასრულწლოვანია, დარწმუნდით იმაში, რომ მისი მშობლები ან მეურვეები ამლევენ მას ნათლობის უფლებას (სასურველია წერილობით ფორმაში).

როდესაც თქვენ ეხმარებით ადამიანებს მოემზადონ ნათლობისწინა გასაუბრებისათვის, აუხსენით მათ გასაუბრების მიზანი. ასწავლეთ მათ და დაუმოწმეთ ნათლობის სიწმინდე

შენიშვნები

და სულიწმინდის მღვენის მიღება. აუხსენით მათ, რომ თქვენ გსურთ დარწმუნდეთ იმაში, რომ მათ ესმით თქვენს მიერ მათთვის გადაცემული პრინციპები და ის აღთქმა, რომელშიც ისინი შედიან ამიერიდან. ასევე აუხსენით მათ ის, რომ გასაუბრება ერთ-ერთი საშუალებაა იმისა, რომ დაუმოწმონ უფლის წარმომადგენელს მათი მზადყოფნა ამ წმინდა წეს-ჩვეულებათა მისაღებად. თუკი ისინი დაიცავენ ნათლობისა და წევრად დამტკიცების დროს დადებულ აღთქმას, ისინი მიიღებენ ცოდვების მიტევებას. გააცანით მათ კითხვები, რომლებზედაც მოუწევთ პასუხის გაცემა გასაუბრების დროს მათი რწმენის, წარსულში ჩადენილი ცოდვების მონანიების და ცხოვრების მთელ მანძილზე მათი იესო ქრისტეს მიმართ მორჩილების აღთქმის შესახებ. ხაზი გაუსვით იმას, რომ წყლით ნათლობა წევრად დამტკიცებისა და სული წმინდის მღვენის გარეშე სრულყოფილი როდია.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

- წაიკითხეთ თითოეული ქვემოთ მოცემული ნაწყვეტი და გააკეთეთ წმინდა წერილებში ნახსენები ნათლობისა და წევრად დამტკიცების აუცილებელი მოთხოვნილებების მოკლე მიმოხილვა.

| | | |
|---|---|---|
| 2 ნეფი 9:23; 31:4–13 | 3 ნეფი 27:13–21 | მოძღვრება და აღთქმები 20:37 |
| მოსია 18:8–10 | მორონი 6:1–4 | მოძღვრება და აღთქმები 22 |
| ალმა 7:14–15 | მორონი 8:25–26 | საქმეები 2:37–39 |

- ნათლობისწინა გასაუბრების დროს კანდიდატებს ეკითხებიან, არიან თუ არა ისინი მზად იმისათვის, რომ აიღონ საკუთარ თავზე ქრისტეს სახელი. რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ დაეხმაროთ მათ ამ შეკითხვის უკეთესად გაგებაში? ამ შეკითხვაზე ფიქრისას შეისწავლეთ შემდეგი ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან:

| | | |
|---|---|---|
| მოსია 4–5 | მოსია 26:18, 21–27 | 3 ნეფი 27:1–10 |
| მოსია 18:1–11 | | |

შესაძლოა თქვენ მოგინდეთ სხვა წმინდა წერილების ნაწყვეტების მოძებნა, რომლებიც დაგეხმარებიან ამ პრინციპის ნათელსაყოფად.

## როგორ წარვმართოთ გასაუბრება?

ადამიანი, რომელიც ატარებს გასაუბრებას, უნდა იყენებდეს ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებს და უნდა იხელმძღვანელოს სული წმინდის კარნახით იმის დასადგენად, პასუხობს თუ არა კანდიდატი იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც აღწერილია მოძღვრებასა და აღთქმებში 20:37. მან ასევე უნდა მოარგოს კითხვები კანდიდატის ასაკსა და მოწიფულობას.

თუ კანდიდატი არ პასუხობს ნათლობისწინა გასაუბრების მოთხოვნილებებს, ნათლობა და წევრად დამტკიცება უნდა გადაიდოს. მოწაფემ უნდა გაიაროს დამატებითი გაკვეთილები სრული განაკვეთით მყოფი მისიონერებისაგან და მიიღოს მეგობრული ურთიერთობა მეურვეობის წევრებისაგან.

საოლქო ან სამხარეო ხელმძღვანელი, რომელიც ატარებს გასაუბრებას, უნდა ახსოვდეს შემდეგი რამ:

- ჩაატარეთ გასაუბრება კომფორტულ, განმარტოებულ ადგილას, რომელიც ხელს უწყობს ღვთის სულის შეგრძნებას. თქვენი მმადნაფიცი იქვე ახლოს უნდა იმყოფებოდეს.
- დაიწყეთ ლოცვით.
- დაეხმარეთ კანდიდატს თავი გახსნილად იგრძნოს.
- გახადეთ ეს გასაუბრება სულიერად ამამაღლებელი.
- დარწმუნდით იმაში, რომ კანდიდატს ესმის გასაუბრების მიზანი.

შენიშვნები

- დასვით ნათლობისწინა გასაუბრების კითხვები. გამოიყენეთ დამატებითი შეკითხვები, რათა უკეთესად იგრძნოთ მოსაუბრის დამოწმების მალა და მისი მონანიების გულწრფელობა.
- უპასუხეთ კანდიდატის შეკითხვებს.
- შესთავაზეთ ადამიანს თავისი დამოწმების გაზიარება და საკუთარი გრძნობების გამოხატვა.
- თუ ადამიანს აქვს სირთულეები დამოწმების ან საკუთარი ღირსებების მიმართ, აუხსენით მას, რომ უკეთესი იქნებოდა ნათლობის გადადება ვიდრე იგი არ იგრძნობს თავს უკეთ მომზადებულად.

## ნადლობისძინა გასაუბრების შეკიდხვები

1. გწამთ, რომ ღმერთი არის ჩვენი მარადიული მამა? გწამთ, რომ იესო ქრისტე არის ღმერთის ძე, მსოფლიოს მხსნელი და გამომსყიდველი?
2. გწამთ, რომ ეკლესია და იესო ქრისტეს სახარება აღდგენილ იქნა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით? გწამთ თუ არა, რომ [დღევანდელი ეკლესიის პრეზიდენტი] არის ღმერთის წინასწარმეტყველი? რას ნიშნავს ეს სიტყვები თქვენთვის?
3. რას ნიშნავს თქვენთვის მონანიება? თქვენის აზრით, გაქვთ კი მონანიებული თქვენს წარსულში დაშვებული ცოდვები?
4. თუ ჩაგიდენიათ, ოდესმე, სერიოზული დანაშაული? თუ ეს ასეა, იმყოფებით ამჟამად თავდებში ან სასჯელის მოხდის შემდეგ მეთვალყურეობისქვეშ? თუ გაგიკეთებიათ ოდესმე აბორტი? გქონიათ თუ არა ერთსქესოვანი ურთიერთობა?
5. თქვენ გასწავლეს, რომ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრობა მოითხოვს სახარების პრინციპებით ცხოვრებას. როგორ გესმით შემდეგი სტანდარტები? მზად ხართ დაემორჩილოთ მათ?
   a. უბიწოების კანონი, რომელიც კრძალავს ნებისმიერ სექსუალურ ურთიერთობას ქალსა და მამაკაცს შორის კანონიერი ქორწინების გარეშე?
   b. მეათედის კანონი.
   c. სიბრძნის სიტყვა.
   d. შაბათის დღე (კვირა), ყოველკვირეული ზიარების მიღებისა და მოყვასის მიმართ მსახურების ჩათვლით.
6. ნათლობისას თქვენ შედიხართ აღთქმაში ღმერთთან მასზედ, რომ მზად ხართ აიღოთ საკუთარ თავზე ქრისტეს სახელი და მთელი ცხოვრების განმავლობაში დაიცვათ მისი მცნებები. ხართ თუ არა მზად ამ აღთქმის დადებისა და მისი ბოლომდე ერთგულებისათვის?

მიულოცეთ კანდიდატს წარმატებით ჩატარებული გასაუბრება. შეუერთდით სხვა მისიონერებს და აუხსენით მათ, თუ რა მოხდება ნათლობის დროს.

აუხსენით, რომ წევრად დამტკიცება ტარდება ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით ზიარების შეკრებაზე იმ მეურვეობაში, რომლის მრევლსაც წარმოადგენენ.

თუ საჭიროა ნათლობის გადადება, საოლქო ან სამხარეო ხელმძღვანელი სხვა მისიონერებთან ერთად ამ საკითხს უნდა მოეკიდოს გულისხმიერებით და აღქმულ იქნას, როგორც კერძო შემთხვევა. დაარწმუნეთ პიროვნება, რომ მას შეუძლია წარმატების მიღწევა და განუმარტეთ მას, რომ ზოგიერთ ცოდვის აღმოფხვრას მეტი დრო ესაჭიროება. ასევე განუმარტეთ მათ, რომ ეს წმინდა წეს-ჩვეულება მოითხოვს ღირსების მაღალ სტანდარტებს. დაარწმუნეთ კანდიდატი, რომ თქვენ სხვებთან ერთად ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროთ მას. ამის შემდეგ წმინდად დაიცავით თქვენი დანაპირები.

შენიშვნები

## ნათლობა და წევრად დამტკიცება: კითხვა-პასუხები

### ვინ ატარებს ნათლობისწინა გასაუბრებას?

ჩვეულებრივად, ოლქის ხელმძღვანელი, ატარებს გასაუბრებას იმ კანდიდატებთან, რომლებსაც მისი ოლქის მისიონერები ასწავლიდნენ, იმ კანდიდატების ჩათვლით, ვისაც მისი სამხარეო ხელმძღვანელები ასწავლიდნენ. სამხარეო ხელმძღვანელი უტარებს გასაუბრებას იმ კანდიდატებს, რომლებსაც ასწავლიდნენ ოლქის ხელმძღვანელი. მისიის პრეზიდენტი ან მისი დავალებით ვინმე სხვა, უტარებს გასაუბრებას იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩაიდინეს სერიოზული ცოდვები. ოლქის ან მხარის ხელმძღვანელი არ უტარებს გასაუბრებას ნათლობის კანდიდატებს მათი ოლქისა თუ მხარის გარეთ, თუკი ეს მისიის პრეზიდენტის დავალება არაა.

### როგორ განიმარტება მოქცეულის ნათლობა?

მოქცეულის ნათლობა ნიშნავს:

- ცხრა წლის და მის ზემო ასაკის მანამდე მოუნათლავ ადამიანთა ნათლობა, რომლებიც ადრე არ ყოფილან არც მონათლულნი და არც ეკლესიის წევრად დამტკიცებულნი.
- რვა წლის ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლები არ არიან ეკლესიის წევრები ან ინათლებიან და მტკიცდებიან ეკლესიის წევრებად იმავდროულად, რაც მათი შვილები.

### მჭირდება თუ არა არასრულწლოვანი ბავშვის მონათვლისთვის ნებართვა?

ვიდრე დაიწყებთ არასრულწლოვანის განსწავლას და დააპირებთ მის მონათვლას, თქვენ უნდა მიიღოთ (სასურველია წერილობით ფორმაში) მისი მშობლების ან მეურვეების ნებართვა. ამას გარდა, დამატებით, თქვენ უნდა დარწმუნდეთ იმაში, რომ ბავშვს ესმის ნათლობის აღთქმა და იგი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ დაიცვას იგი როგორც სახარების მიმართ მორჩილებით, საეკლესიო წირვებზე დასწრების ჩათვლით.

### საჭიროა თუ არა ერთი მეუღლის ნათლობისთვის მისი მეორე ნახევრის ნებართვა?

დიახ. ნუ მონათლავთ მეუღლეს მისი მეორე ნახევრის თანხმობის გარეშე.

### თუკი მამა არ არის მზად ნათლობისათვის, შეიძლება მისი ოჯახის წევრთა ნათლობა თუ დაველოდოთ მამის ნათლობისათვის მზადყოფნას?

თუ ოჯახის მამა არ არის მზად ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის, ხოლო ოჯახის სხვა წევრები ამისთვის უკვე მზად არიან, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ ოჯახის უფროსს, რომ გირჩევნიათ არ მონათლოთ მისი ოჯახის წევრები მის გარეშე, რადგან ეკლესია პატივს სცემს ოჯახის უფროსს და ოჯახის წევრები საუკეთესოდ ვითარდებიან სულიერად და ღებულობენ სახარების მადლს უკეთესად, თუკი ისინი მოქმედებენ ერთსულოვნად. თუკი მამა კვლავ ნათლობის უარზეა, თქვენ შეგიძლიათ მისი თანხმობით მონათლოთ და წევრებად დაამტკიცოთ მისი ოჯახის დანარჩენი წევრები.

### არის თუ არა ეს კარგი იდეა მოვანიჭოთ მამას აარონის მღვდლობა უშუალოდ ნათლობის შემდეგ, რათა მას შეეძლოს მისი ოჯახის წევრების მონათვლა?

არა. მამა დამტკიცებულ უნდა იქნას წევრად, ზიარების შეკრების დროს და ეპისკოპოსთან გასაუბრების შემდეგ კი მას აარონის მღვდლობის მისაღებად ესაჭიროება მხარდაჭერა. ოჯახის წევრების ნათლობა არ უნდა გადაიდოს მხოლოდ იმის გამო, რომ მამას თავად შეუძლია ოჯახის წევრების მონათვლა.

### შემიძლია თუ არა ვასწავლო ადამიანს, რომელიც გარიცხულია წევრობიდან?

გარიცხული წევრის ნათლობა არ არის ახლადმოქცეულის ნათლობა, ასე რომ მისიონერები ასეთ პიროვნებას არ უტარებენ გასაუბრებას. ასეთ ადამიანებთან მუშაობა შეიძლება მხოლოდ მისიის პრეზიდენტისა და ეპისკოპოსის ზედამხედველობის ქვეშ.

### რა ვიღონოთ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანმა უკვე დანიშნა ნათლობის თარიღი, მაგრამ არ ასრულებს ზოგიერთ ვალდებულებას?

თუ გრძნობთ, რომ თქვენს მოწაფეს ესაჭიროება მეტი მომზადება, არ დანიშნოთ ნათლობისწინა გასაუბრება, ვიდრე იგი ყველა ვალდებულებას არ დაიცავს და არ დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას.

შენიშვნები

**რა უნდა მოვიმოქმედო იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანებს სურთ ნათლობა, მაგრამ მათი ერთად თანაცხოვრება ქორწინების გარეშეა?**

ნათლობის ასეთმა კანდიდატებმა ან უნდა შეწყვიტონ თანაცხოვრება ან უნდა დაქორწინდნენ ნათლობამდე.

**ნათლობისწინა გასაუბრების მეთოდიკე კითხვა კითხულობს, ჩაუდენია თუ არა ნათლობის კანდიდატს სერიოზული ცოდვები, ისეთები როგორებიცაა: აბორტი, ერთსქესოვანი ურთიერთობა ან სერიოზული კრიმინალური დანაშაული. როგორ ვიმოქმედო იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი აღიარებს რომელიმე ხსენებულ ცოდვას?**

1. *ნ ცო წ დ კავშ ლ მის ონ ბ ს* ზოგჯერ მოწაფეები აღიარებენ ასეთ ცოდვებს იმ დროს, როდესაც თქვენ მათ ასწავლით მცნებებს და ეპატიჟებით მათ საკუთარ თავზე ვალდებულებათა აღებას. თუ მოწაფენი თვითონ არაფერს არ ამბობენ, თქვენ კი თვლით, რომ მათ, შესაძლოა, ჰქონდეთ რაიმე პრობლემები, მაშინ მოამზადეთ ისინი ნათლობისწინა გასაუბრებისათვის. საამისოდ, ჰკითხეთ მათ, იყვნენ თუ არა ისინი რომელიმე ხსენებული ცოდვის მონაწილენი. თუ თქვენთვის ცნობილი გახდა სერიოზული ცოდვის შესახებ, ნუ ჩაეკითხებით მის დეტალებს. ნუ დაგეგმავთ ნათლობის თარიღს და არ მისცეთ მათ არანაირი დაპირებები ნათლობისა და წევრად დამტკიცების თაობაზე. გამოხატეთ მათ მიმირთ სიყვარული და კიდევ ერთხელ გაიმეორეთ მონანიების პრინციპი. სიკეთით აუხსენით, რომ ეს ცოდვები სერიოზულია და რომ ადამიანი, რომელიც უფრო გამოცდილია და მოწიფული, ვთქვათ თქვენი მისიის პრეზიდენტი ან ისეთი ვინმე, ვისაც იგი ამას დაავალებს, გაესაუბრება მას და დაეხმარება ამ საკითხის მოგვარებაში. შემდეგ გააგზავნეთ ნათლობისწინა გასაუბრების მოთხოვნილება პირდაპირ მისიის პრეზიდენტის სახელზედ.
2. *ნ ცო ნათ ინა გას რე ის ჩამტ რე ლ ნ ხ თე* თუ მისიონერებმა კარგად მოამზადეს მოწაფე მის ნათლობისწინა გასაუბრებამდე, ასეთი საკითხები, თუკი ისინი არსებობენ, უნდა გადაეგზავნოს მისიის პრეზიდენტს. თუ ასეთი პრობლემები თავს იჩენენ გასაუბრების დროს, გამოხატეთ თქვენი მათ მიმართ სიყვარული და კიდევ ერთხელ გაიმეორეთ მცნებები და მონანიების პრინციპი. კეთილად აუხსენით მათ, რომ ეს ცოდვები სერიოზულია და რომ ადამიანი, რომელიც უფრო გამოცდილია და მოწიფული, ვთქვათ თქვენი მისიის პრეზიდენტი ან ისეთი ვინმე, ვისაც იგი ამას დაავალებს, გაესაუბრება მას და დაეხმარება ამ საკითხის მოგვარებაში. შემდეგ გააგზავნეთ ნათლობისწინა გასაუბრების მოთხოვნილება პირდაპირ მისიის პრეზიდენტის სახელზედ.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი მეცადინეობა**

იფიქრეთ იმაზე, თუ რას იგრძნობდით თქვენ იმ ადამიანის ადგილას, რომელიც გადის გასაუბრებას. განიხილეთ შემდეგი შეკითხვები:

- გასაუბრების რომელი ასპექტები გეჩვენებათ უცნაურად? რისი თქმა ან გაკეთება შეუძლია პიროვნებას, რომელიც ატარებს გასაუბრებას, იმისთვის, რომ თქვენ უფრო თავისუფლად იგრძნოთ თავი?
- რას მოისურვებდით გასაუბრების ჩამტარებელთან ურთიერთობის თვალსაზრისით?
- გასაუბრების ჩამტარებელთან რა ურთიერთობას მოისურვებდით თქვენ, თუ საუბრისას თქვენ გამოხატავთ ეჭვებს ან კარგად ვერ ჩაწვდით საკითხს ან აღიარეთ სერიოზული ცოდვა?

ჩაწერეთ ამ კითხვებზე პასუხები თქვენს სამეცადინო რვეულში.

## შეავსეთ ნათლობის ჩანაწერი

მისიონერმა, რომელიც ატარებს გასაუბრებას, უნდა შეავსოს ნათლობის ჩანაწერი იმ მითითებების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია სპეციალურ ფორმაში. მან უნდა აუხსნას მოწაფეს, რომ საწევრო ჩანაწერი შედგენილია ნათლობის ჩანაწერის თანახმად და შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ახალი წევრების შესახებ და იმ წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც მათ მიიღეს. წევრის გადაადგილებისას მასზედ საწევრო ჩანაწერი გადაიგზავნება მის ახალ ადგილსამყოფელზე, რათა უკვე სხვა ეპისკოპოსმა შემლოს მისთვის დახმარებისა და თანადგომის გაწევა. მისიონერმა, გასაუბრებისას, კანდიდატისგან

შენიშვნები

დასტური უნდა მიიღოს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის კორექტულობის თაობაზედ. მისიონერმა, რომელიც ატარებს გასაუბრებას, უნდა მოიტანოს ნათლობის ჩანაწერი ნათლობის მსახურების პროცესზე და გადასცეს იგი ადამიანს, რომელიც თავმჯდომარეობს ამ წეს-ჩვეულებას.

ეპისკოპოსი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ წევრად დამტკიცების ჩანაწერი/ნათლობისა და წევრად დამტკიცების სერტიფიკატი, ყოველი წევრისათვის შევსებულია ისე, როგორც ამას მოითხოვს ფორმის ინსტრუქცია.

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერულ ან ერულად მეცადინეობა**

შეისწავლეთ მოსია 6:1–3 და მორონი 6:1–4. რა კავშირი აქვთ ამ ნაწყვეტებს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც თქვენზეა დაკისრებული ნათლობისა და წევრად დამტკიცების ჩანაწერთა სიზუსტეზე.

## ნათლობის მსახურება

წმინდა ნათლობისა და წევრად დამტკიცების წეს-ჩვეულებების დროს სულიწმინდა განსაკუთრებით მლიერად იჩენს თავს. ნათლობის მსახურება და მისი მომდევნო წევრად დამტკიცება, უმნიშვნელოვანესი სულიერი მოვლენა უნდა გახდეს ახლადმოქცეულისათვის. თქვენც და მეურვეობის მისიის ხელმძღვანელმაც ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ნათლობის მსახურება დაიგეგმოს და ჩატარდეს შთამბეჭდავად და შთამაგონებლად. ამგვარი მსახურებები უნდა ამლიერებდნენ ახლადმოქცეულის მიერ აღებულ ვალდებულებას დარჩნენ ეკლესიის აქტიური წევრები.



ნათლობის მსახურების დასასწრებად მოიწვიეთ საეპისკოპო, დამხმარე ორგანიზაციებისა და ქვორუმების ხელმძღვანელობა, ოჯახის მასწავლებლები და შინა მასწავლებლები (თუ არიან ასეთები). ახლადმოქცეულების მეგობრები და ნათესავები, ასევე ყველა თქვენი ამჟამინდელი მოწაფე უნდა მოიპატიჟოთ ნათლობის მსახურების დასასწრებად და ზიარების შეკრებაზე, სადაც ადგილი აქვს წევრად დამტკიცების ცერემონიალს. ყოველი ასეთი გამოცდილება დაეხმარება მათ სულიწმინდის შეგრძნებაში და ეს განამზადებს მათ საიმისოდ, რომ მიიღონ მიწვევა სახარების უკეთ გაცნობისათვის. ნათლობის კანდიდატთან და მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან ერთად იზრუნეთ იმაზე, რომ ნათლობაზე მოიპატიჟოთ კანდიდატის მეგობრებიცა და ნათესავებიც. ნათლობის შემდეგ ჰკითხეთ მათ მეგობრებს შთაბეჭდილებათა შესახებ და შესთავაზეთ მათ გააცნობიერონ ის, თუ რატომ გადაწყვიტა მათმა მეგობარმა ნათლობა.

მისიონერები, რომლებიც ასწავლიდნენ ნათლობის კანდიდატს, მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან ერთად აგვარებენ ნათლობის ცერემონიალს. აუხსენით ნათლობის კანდიდატს თუ რა არის დაგეგმილი და რატომ. იმსჯელეთ შესაბამის სამოსელის შესახებ, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მიართმევენ კანდიდატს თეთრ ტანსაცმელს, რომელშიდაც იგი ნათლობის დროს გამოეწყობა. შეთანხმდით ნათლობის დროისა და ადგილის შესახებ. ჩვეულებრივად, საეპისკოპოს წევრი ან მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი ატარებს ამ მსახურებას. ქვემოთ მოყვანილია აუცილებლად დასაგეგმი და განსახორციელებელი პუნქტები:

შენიშვნები

ნათლობის მსახურების შემადგენელი ნაწილებია:

1. შესავალი მუსიკა.
2. მოკლე მისალმება იმ მღვდელთმსახურისაგან, რომელიც უძღვება ამ მსახურებას (ასეთ შემთხვევაში უნდა თავმჯდომარეობდეს საეპისკოპოს წარმომადგენელი).
3. გახსნითი საეკლესიო ჰიმნი და ლოცვა.
4. სახარების თემაზე, მაგალითად კნათლობა“ ან კსულიწმინდის ძღვენი“, ერთი ან ორი მოკლე გამოსვლა.
5. რაიმე მუსიკალური ნომერი.
6. ნათლობის წეს-ჩვეულების ჩატარება.
7. მოწიწების გამოხატვა იმ დროს, როდესაც მონათლულნი იცვლიან სველ ტანსაცმელს. ამაში შეიძლება შედიოდეს მუსიკის მოსმენა, კარგად ცნობილი საეკლესიო ჰიმნებისა და დამწყები კლასის სიმღერების შესრულება, საეკლესიო აუდიო-ვიდეო მასალების ჩვენება ან დამოწმებების გაზიარება.
8. ახლადმოქცეულთათვის დამოწმების გაზიარების საშუალების მიცემა (თუკი მათ აქვთ ამის სურვილი).
9. დასკვნითი საეკლესიო ჰიმნი და ლოცვა.
10. დასკვნითი მუსიკალური შესრულება.

## წევრად დამტკიცება



ნათლობის შემდეგ წევრად დამტკიცების წეს-ჩვეულება ტარდება (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 20:41). ახლადმოქცეული წევრი განიხილება ეკლესიის წევრად ნათლობისა და წევრად დამტკიცების წეს-ჩვეულებების შემდეგ, (იხილეთ იოანე 3:5; მოძღვრება და აღთქმები 33:11). ახლადმოქცეულნი მტკიცდებიან წევრად არა ნათლობის დროს, არამედ ზიარების შეკრების დროს იმ მეურვეობაში, რომელსაც ისინი ტერიტორიულად მიეკუთვნებიან. ეპისკოპოსი პასუხისმგებელია თვალი მიადევნოს იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს წევრად დამტკიცების პროცედურა ნათლობის შემდეგ. ეპისკოპოსი ან მისი ერთ-ერთი მრჩეველი მონაწილეობენ წევრად დამტკიცების ცერემონიალში. ეპისკოპოსმა შესაძლოა მიიწვიოს უხუცესი მისიონერები, რომლებიც ეხმარებოდნენ ახლადმოქცეულის განსწავლას, რათა დაასწრონ ისინი წევრად დამტკიცების ცერემონიალს. მჭიდროდ ითანამშრომლეთ ეპისკოპოსთან და მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან ამ აუცილებელი წეს-ჩვეულების შესასრულებლად.

## ნათლობისა და წევრად დამტკიცების შემდეგ

ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით, მისიონერებს შეუძლიათ გააგრძელონ მუშაობა ახლადმოქცეული წევრების ეკლესიურ ცხოვრებაში ჩასართავად. გააგრძელეთ მათი განსწავლა და გაიმეორეთ ის, რაც მათ უკვე ისწავლეს. გაამხნევეთ და მხარი დაუჭირეთ მათ, მათთან ერთად წაიკითხეთ მორმონის წიგნი, დაეხმარეთ მათ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის სახარების გაზიარებაში. მთელი ცხოვრების მანძილზე შემლებისდაგვარად გააგრძელეთ ურთიერთობა მათთან, ვისაც თქვენ ასწავლიდით, გაამხნევეთ ისინი და მხარი დაუჭირეთ მათ.

წევრად დამტკიცების შემდეგ გააგრძელეთ სწავლების მსვლელობის შესახებ ანგარიშის გამოყენება, რათა დააფიქსიროთ თქვენი ხელახლად ჩატარებული 1-4 გაკვეთილებისა და მასთან ერთად მე-5 გაკვეთილის სწავლაში წინსვლა. მჭიდროდ ითანამშრომლეთ მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან, რათა დაეხმაროთ ახლადმოქცეულს დარჩეს ეკლესიის აქტიური წევრი და მიიღოს იესო ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის ყოველი დალოცვა.

## გახსოვდეთ შემდეგი

- სათანადოდ მოამზადეთ კანდიდატები ნათლობისა და წევრად დამტკიცების გასაუბრებისათვის.
- დარწმუნდით იმაში, რომ კანდიდატები აკმაყოფილებენ ნათლობისა და წევრად დამტკიცებისთვის საჭირო მოთხოვნილებანს.
- დაეხმარეთ ნათლობის მსახურების სულიერად ამამაღლებელ ატმოსფეროს შექმნის უზრუნველყოფაში.
- გახადეთ ნათლობისა და წევრად დამტკიცების მსახურება ეკლესიით დაინტერესებულ ახალ პირთა მოსაძიებლად.
- ზუსტად შეავსეთ ნათლობისა და წევრად დამტკიცების ფორმულარები.

შენიშვნები

შენიშვნები

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- შეადგინეთ იმ სიძნელეთა სია, რომლებსაც შესაძლოა გადაეყაროს ნათლობის კანდიდატი. რატომაა ასე მნიშვნელოვანი ის, რომ მან იგრძნოს სიყვარული და მეგობრული დამოკიდებულება ეკლესიის წევრებისაგან?

- შეისწავლეთ მორონი 6 და მოძღვრება და აღთქმები 20:68–69. რას სწავლობთ ამ მუხლებიდან იმის თაობაზედ, თუ როგორ მოამზადოთ ადამიანები ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის? დაწერეთ, რაც შეისწავლეთ და გაუზიარეთ თქვენი აზრები ძმადნაფიცს ერთობლივი მეცადინეობისას.

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- უხუცესმა ჰენრი ბ. აირინგმა აგვიხსნა, თუ რატომაა მაღალი სტანდარტები ესოდენ მნიშვნელოვანი. იმსჯელეთ ამ რჩევის მიმართ თქვენს ძმადნაფიცთან ერთად და შეაფასეთ ის, თუ რას გრძნობთ, როდესაც თამამად ეხმარებით ადამიანებს, რომ აკმაყოფილებენ ამ სტანდარტებს. „უფალი აწესებს თავის სტანდრტებს, რათა მიეცეს მას თქვენი ლოცვა-კურთხევის საშუალება. იფიქრეთ ამ ლოცვა-კურთხევებზე: მათ, ვინც მის სტანდარტებს პასუხობს, იგი სულიწმინდის დახმარებას პირდება. იგი პირდება პირად სიმშვიდეს. იგი პირდება წმინდა წეს-ჩვეულებათა შესაძლებლობას მის სახლში. მათ, ვინც ბოლომდე განახორციელებს მისი სტანდარტებით ცხოვრებას, იგი პირდება მარადიულ სიცოცხლეს. ვინაიდან ჩვენ გვიყვარს ადამიანები, რომლებსაც ჩვენ ვმსახურებთ, ყოველ ჩვენთაგანს სურს, რაც შეიძლება უკეთესად ავამაღლოთ მამაზეციერის შვილები ერთგულებისა და სიწმინდის იმ დონემდე, რომელიც ესაჭიროება მათ უფლის ყველა ლოცვა-კურთხევის მისაღებად. თქვენ იწყებთ იმით, რომ ნათლად და ყოველგვარი ბოდიშის გარეშე აცხადებთ უფლის სტანდარტებს, და რაც უფრო მეტად სცილდებიან ისინი სოფელს და სასაცილონი ხდებიან სხვათათვის, მით მეტი სითამამით უნდა ვაკეთოთ ჩვენ ეს“ („Standards of Worthiness,“ *First Worldwide Leadership Training Meeting,* იანვარი 2003, 10–11).

- გაუზიარეთ თქვენს ძმადნაფიცს ის, რაც ისწავლეთ ამ თავიდან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოამზადოთ ადამიანები ნათლობისა და წევრად დამტკიცებისათვის.

- გაიხსენეთ ბოლო ნათლობა, რომელზედაც თქვენ იმყოფებოდით. შეადარეთ იმ მითითებებს, რომლებიც მოცემულია „ნათლობის მსახურება“-ში. რამ ჩაიარა კარგად? რისი გამოსწორებაა შესაძლებელი? იმსჯელეთ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი მსახურება იყოს სულიერი და ამამაღლებელი.

- გაივარჯიშეთ, თუ როგორ მოამზადოთ კონკრეტული მოწაფე ნათლობისწინა გასაუბრებისათვის.

- გაიმეორეთ ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვები. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდებოდით სხვადასხვა სიტუაციებს, მაგალითად:
  - კანდიდატმა არ გითხრათ, რომ იგი პირობით არის გამოშვებული ციხიდან, წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო.
  - ადამიანმა თავის ლოცვაზე არ მიიღო დამაჯერებლად ძლიერი პასუხი იმაზედ, რომ იოსებ სმითი იყო წინასწარმეტყველი.
  - კანდიდატმა ორი დღის წინ მოწია სიგარეტი.
  - კანდიდატი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მან მიიღო პასუხი საკუთარ ლოცვაზე.
  - ოჯახმა იგრძნო ზეწოლა მეგობრებისაგან და არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ მზად არიან ნათლობისათვის.

- გადახედეთ ნათლობისა და წევრად დამტკიცების ჩანაწერის ფორმას, ასევე ნათლობისა და წევრად დამტკიცების სერტიფიკატს. როგორ შეგიძლიათ დარწმუნდეთ იმაში, რომ თქვენს მიერ ჩაწერილი ინფორმაცია არის ამომწურავი და ზუსტი?

შენიშვნები

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- გაიმეორეთ ნათლობისწინა გასაუბრების მნიშვნელობა. იმსჯელეთ, თუ როგორ უნდა მოამზადონ მისიონერებმა მოწაფენი გასაუბრებისათვის.

- იმსჯელეთ, თუ როგორ გამოიყენოთ ნათლობის მსახურება და წევრად დამტკიცება ახალ მოწაფეთა მოსაძიებლად.

## მისიის პრეზიდენტი

- ითანამშრომლეთ ადგილობრივ სამღვდელოების ხელმძღვანელებთან, რათა დარწმუნდეთ განვითარების მსვლელობის ჩანაწერის ეფექტურ გამოყენებაში.

- დრო და დრო ჩაატარეთ პირველი ნათლობის წინა გასაუბრება

- ასწავლეთ ოლქისა და სამხარეო ხელმძღვანელებს ის, თუ როგორ უნდა ჩაატარონ ნათლობისწინა გასაუბრება.

- ასწავლეთ მისიის პრეზიდენტობის წევრებს და სამღვდელოების ხელმძღვანელებს ნათლობისწინა გასაუბრების ჩატარება იმ კანდიდატებისთვის, რომლებმაც დაუშვეს სერიოზული ცოდვები.

შენიშვნები



© 2003 საიმონ დიუი. ასლის გადაღება არ შეიძლება.

# როგორ უნდა ვიმუშაო პალოსა და მეურვეობის ხელმძღვანელებთან?

შენიშვნები

**განიხილეთ შემდეგი**

- რა სჭირდებათ ახლადმოქცეულებსა და ნაკლებად აქტიურ წევრებს იმისათვის, რომ გააქტიურდნენ?
- რა პასუხისმგებლობას შეიცავს პალოსა ან მეურვეობის ხელმძღვანელი მისიონერულ სამსახურში, ეკლესიის მიმართ ინტერესის შენარჩუნებაში და გააქტიურებაში?
- როგორ შემიძლია დავეხმარო მეურვეობის ხელმძღვანელებს ეკლესიის განმტკიცებაში?
- რა სახის სამუშაო უნდა ტარდებოდეს ყოველკვირეულ საკოორდინაციო შეკრებებზე მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან?

თქვენ გაგაჩნიათ უდიდესი შესამლებლობა თქვენი მისიის მსვლელობისას იმუშაოთ უამრავ წევრთან თუ ხელმძღვანელთან. თქვენ ერთად დააფუძნებთ და განამტკიცებთ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას. ურთიერთობა, რომელსაც თქვენ ამყარებთ ეკლესიის ხელმძღვანელებთან დალოცვილს გახდის თქვენს ცხოვრებას. იმ დროს, როდესაც თქვენც და მრევლიც ცდილობთ მიაწოდოთ აღდგენილი სახარება მამაზეციერის შვილებს, ეს ურთიერთობანი მნიშვნელოვანია. მეურვეობის ორგანიზაციის შინა სამუშაოს საფუძვლების გაცნობიერება დაგეხმარებათ თქვენ, თქვენს წინსწრაფვაში მეტი მალისხმევითა და მიზანდასახულობით.

## ახლადმოქცეულთა განმტკიცება და ნაკლებად აქტიურ წევრთა გააქტიურება

როდესაც ახლადმონათლულები ინათლებიან და გადიან წევრად დამტკიცების წესჩვეულებას, ისინი დებენ წმინდა დაპირებას დაემორჩილონ და ემსახურონ ღმერთს და სხვებს მთელი მათი ცხოვრების განმავლობაში. ისინი გადარჩენის ღირსნი ხდებიან და ცელესტიალურ სასუფეველში იმკვიდრებენ ადგილს. დაპირებული ლოცვა-კურთხევის მისაღებად, მათ იესო ქრისტეს მიმართ ბოლომდე უნდა გამლონ რწმენით. მრევლის

შენიშვნები

მონაწილეობა აუცილებელია იმისათვის, რომ ახლადმოქცეულებმა შეინარჩუნონ აქტიურობა და ერთგულება.

პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ ბრძანა: „მისიონერულ სამსახურს არა აქვს არანაირი აზრი, თუკი ჩვენ ჩვენი მალისხმევის ნაყოფს ვერ მივიღებთ. ეს ორი პირობა განუყოფელია ერთმანეთისაგან. . . . ყოველი ახლადმოქცეული წარმოადგენს დიდ და სერიოზულ პასუხისმგებლობას“ („Find the Lambs, Feed the Sheep,“ *Ensign*, მაისი 1999, 108).

უპირველეს ყოვლისა, მეურვეობის საბჭოს,- ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით,- აკისრია ახალი წევრებისა და ნაკლებად აქტიური წევრების განმტკიცების პასუხისმგებლობა. ისინი უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ახლადმოქცეულებსა და ნაკლებად აქტიურ წევრებს ჰყავთ მეგობრები, ისინი იკვებებიან ღვთის სიტყვით და ამას გარდა, ღებულობენ მოწოდებებსა და პასუხისმგებლობას. მათ შეუძლიათ სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებს სთხოვონ დახმარება ოჯახის სწავლებაში (დების შემთხვევაში შინა მასწავლებლის როლში ყოფნა), ასევე ახლადმოქცეულების, ნაკლებად აქტიური წევრებისა და მომავალი უხუცესების მონახულება. სასურველია, რომ ასეთი სტუმრობის დროს თქვენს გვერდში იდგეს ადგილობრივი ეკლესიის წევრი.

თქვენ ასევე პასუხისმგებელნი ხართ ამ ადამიანებზე. პრეზიდენტ ჰინკლიმ ბრძანა: „თქვენ, მისიონერები . . . იზიარებთ პასუხისმგებლობის იმ გარკვეულ ნაწილს, რომელიც სჭირდება ახლადმოქცეულთა ეკლესიაში დამკვიდრებას. შესამლოა თქვენ ისინი ვეღარ მოინახულოთ მომავალში, მაგრამ თქვენ შეგიმლიათ მისწეროთ მათ წერილი და გაამხნევოთ ისინი. . . . ნუ დაივიწყებთ მათ შინ დაბრუნებისას. ყოველთვის იცხოვრეთ ისე, რომ იყოთ მათი ნდობის ღირსნი. დრო და დრო მისწერეთ მათ დაარწმუნეთ ისინი, თქვენს მათდამი სიყვარულში“ (*Ensign*, მაისი 1999, 109).



წირვის დროს, თქვენ და თქვენი მმადნაფიცი უნდა იჯდეთ მოწაფეებთან ან მრევლთან, რომლებთანაც თქვენ ამყარებდით მეგობრულ ურთიერთობას და ამლიერებდით მათ. თქვენ არ უნდა შეერიოთ სხვა მისიონერების ჯგუფს.

თქვენი მისიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია განამტკიცოთ ეკლესია და ის მეურვეობა ან მრევლი, რომელშიდაც თქვენ მსახურობთ. თქვენ ამას აკეთებთ ნაწილობრივ იმის გამო, რომ ეხმარებით ახლადმოქცეულებს გახდნენ აქტიურები, ნაკლებად აქტიურები კი დაუბრუნდნენ აქტიურობას. თქვენი ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა შეუერთდეთ მეურვეობის მისიონერებს მათი ოთხი პირველი გაკვეთილის ხელახლა სწავლებაში და მეხუთე გაკვეთილის ჩატარებაში. მეურვეობის მისიონერებს, ოჯახის მასწავლებლებსა და შინა მასწავლებლებს ასევე შეუმლიათ დაგეხმარონ ამ პრინციპების სწავლებაში.

პრეზიდენტ გორდონ ბ. ჰინკლიმ შემდეგი სიტყვები დაუკავშირა იმ სიმნელეებს, რომლებიც შეხვდებათ ახლადმოქცეულებს:

> *ოდესღ ც ძ იად საინტერესო წერილი მივიღე. იგი დაწერილია ერთი წლის წინ გაწევრიანებული ქალბატონის მიერ. იგი წერს:*
>
> *„ჩემი წევრობისაკენ მოგზაურობა უნიკალური და სიმნელეებით აღვსილი იყო. გასული წელი ყ ელაზე მმიმე გამოდგა, რომელიც ოდესმე მქონია ცხოვრებაში. ამავე დროს იგი ყე ლაზე დ რებული იყო ჩემთვის. ახლაც, როგორც ახლადმოქცეულს, მე ყ ველდღე ბევრი სიმნელე მხვდება.“*
>
> *იგი განაგრმობს და ამბობს, რომ როდესაც იგი გაწევრიანდა, არ გრმნობდა დახმარებას მეურვეობის ხელმმღვანელობისაგან. მისი ეპისკოპოსი გულგრილი იყო მის მიმართ. იგი*

*მოკვეთილად გრძნობდა საკუთარ თავს, ამიტომ მიმართა მისიის პრეზიდენტს, რომელმაც მას ახალი შესაძლებლობანი გაუხსნა.*

*იგი ამბობს, რომ „წევრებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რას ნიშნავს იყო ახლადმოქცეული. . . . ამგვარად, თითქმის შეუძლებელია იცოდნენ მათ, თუ როგორ დაუჭირონ მხარი ახლადმოქცეულს.“*

*ჩემო ძმებო და დებო, მე მინდა დაგაყენოთ ასეთი ამოცანის წინაშე: თუ თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ასეთი განცდა, ეცადეთ წარმოიდგინოთ იგი. შესაძლოა ეს საშინელი მარტოობის გრძნობაა ან იმედგაცრუებისა ან შემაშფოთებელი. ჩვენ, ამ ეკლესიის წევრები, იმაზე მეტად განვსხვავდებით სხვებისაგან, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვიდგენია. ქალბატონი განაგრძობს: „როდესაც ჩვენ მოწაფეობიდან გადავდივართ სამრევლოში, ჩვენ გაკვირვებით აღმოვაჩენთ, რომ შევედით სრულიად უცხო სამყაროში, რომელსაც საკუთარი ტრადიციები, კულტურა და ენა გააჩნია. ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ არ არსებობს ერთი ადამიანი ან ადგილი, სადაც მივმართავთ ახალ სამყაროში მოგზაურობის რჩევა-დარიგებისათვის. დასაწყისში მგზავრობა აღფრთოვანებელია, შეცდომები ღიმილის მომგვრელი, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი იწვევს გულგატეხილობას, საბოლოოდ კი გადადის გაბრაზებაში. ზუსტად იმ გაღიზიანებისა და გაბრაზების სტადიაშიც ჩვენ მივდივართ ეკლესიიდან. ჩვენ ვბრუნდებით იმ სამყაროში, რომელიც დავტოვეთ, სადაც ჩვენ ვიცოდით თუ ვინ ვიყავით, რა წვლილი შეგვქონდა მასში და რომლის ენასაც კარგად ვფლობდით“* [Ensign, *მაისი* 1999, 108].

**ღონისძიება: დამოუკიდებელი ან ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

წაიკითხეთ ზემოთ მოყვანილი ამბავი. თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაწერეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე ან განიხილეთ ისინი ძმადნაფიცთან ერთად. დასახეთ შესაბამისი მიზნები და გეგმები.

- ამ ამბავის თანახმად, როგორია ზოგიერთი ის ფაქტი, რომელიც ხელს უშლის ახლადმოქცეულს აქტიურ წევრად დარჩენას?
- წევრების საეკლესიო საქმიანობაში თავიდანვე ჩართვა, როგორ გეხმარებათ ამ სიძნელეების გადალახვაში?
- იფიქრეთ მათზე, ვისაც თქვენ ასწავლით. როგორ შეგიძლიათ თქვენ ისე მოხდენილად ჩართოთ წევრები, რათა დაეხმარონ მოწაფეებს შეეგუონ ეკლესიის ახალ სოციალურ გარემოს?

## ოჯახის და შინა სწავლება

პალოს პრეზიდენტებს და ეპისკოპოსებს, მისიის პრეზიდენტთან შეთანხმებით, შეუძლიათ გამოიყენონ მისიონერები ნაკლებად აქტიური წევრებისა ან ნაწილობრივ გაწევრიანებული ოჯახების მოსანახულებლად. შესაბამის სიტუაციებში ხელმძღვანელებს შეუძლიათ სთხოვონ სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებს მიიღონ მონაწილეობა ოჯახის სწავლებაში, ისევე, როგორც შინა მასწავლებლების პროგრამაში. სწავლების ასეთი შესაძლებლობანი უნდა ამლიერებდნენ წევრებს, ეხმარებოდნენ მისიონერებს სწავლებისა და ახალი კონტაქტების დამყარების უნარის სრულყოფაში (იხილეთ „Statement on Missionary Work,“ პირველ პრეზიდენტთა წერილი, 11 დეკემბერი 2002).

## იმუშავეთ მეურვეობის საბჭოსთან ახლადმოქცეულისა და ნაკლებად აქტიური წევრების განსამტკიცებლად

მოწაფეების განსწავლა და მონათვლა მისიის პრეზიდენტის განკარგულებაშია. მაგრამ სახარების ქადაგება უფრო ეფექტური იქნება, თუკი სრული განაკვეთით მყოფი მისიონერები და მრევლი შეათანხმებენ მალისხმევას და შეიკვრებიან ერთ მუშტად. შესაძლებელია თქვენ ხშირად მოგიწვიონ მეურვეობის საბჭოზე და სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტის კრებაზე. თქვენი უპირველესი პრიორიტეტია, დარწმუნდეთ იმაში, რომ თქვენი მოწაფეები ეკლესიაში იმყოფებიან. ეს ხშირად იმას ნიშნავს, რომ თქვენ მათ უნდა მოჰყვეთ. თუ თქვენ არჩევანის წინაშე დგახართ, დაესწროთ მეურვეობის საბჭოს შეკრებას თუ მოიყვანოთ

შენიშვნები

ვინმე ეკლესიაში, უპირატესობა მიანიჭეთ მეორე არჩევანს. ამ შემთხვევაში მიაწოდეთ მეურვეობის მისიის ხელმძღვანელს, განვითარების მსვლელობის ჩანაწერი და დარწმუნდით იმაში, რომ მას აქვს მეურვეობის საბჭოსა და სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტისათვის საჭირო ინფორმაცია.



© 1999 გრეგ კ. ოლსენ მილლ პონდის სტამბისა და დოქტორი ჯერი პეპერის შემწეობით. ასლის გაკეთება არ შეიძლება.

პრეზიდენტ გორდონ ბ. ჰინკლიმ ბრძანა:

„ყოველ ახალ მოქცეულს სჭირდება სამი რამ:

„1. მეგობარი ეკლესიაში, რომელიც გვერდში დაუდგება მას, გასცემს პასუხს მის ყოველ შეკითხვას, გაიზიარებს მის პრობლემებს და ყოველთვის მზად იქნება დახმარებისათვის.

„2. დავალება. საქმიანობა წარმოადგენს ამ ეკლესიის მირითად არსს. ეს წარმოადგენს იმ პროცესს, რომლის დროსაც ჩვენ ვიზრდებით. უფლის მიმართ სიყვარული და რწმენა შეგვიძლია შევადაროთ ხელის კუნთებს. თუ მათ ვიყენებთ, ისინი მლიერდებიან. თუ ხელს შევიკრავთ, კუნთები დასუსტდება. ყოველი ახლადმოქცეული ღირსია ითაოს მოვალეობა. . . .

„3. ყოველი ახლადმოქცეული უნდა იკვებებოდეს ღვთის სიტყვით (მორონი 6:4). აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ შეხება სამღვდელოების ქვორუმთან; ან მოწყალების საზოგადოებასთან; ან ახალგაზრდა ქალებთან; ან ახალგაზრდა მამაკაცებთან; ან საკვირაო სკოლასთან; ან დაწყებით კლასთან. იგი უნდა შევაგულიანოთ, რათა მოვიდეს ზიარების შეკრებაზე და მიიღოს ზიარება, რათა განაახლოს აღთქმები, რომლებსაც იგი ეზიარა ნათლობის დროს“ (*Ensign*, მაისი 1999, 106).

მეურვეობის საბჭო იზრუნებს იმაზედ, რომ ახლადმოქცეულს ჰყავდეს მეგობარი, ჰქონდეს პასუხისმგებლობა და სულიერი საკვები. საჭიროებისამებრ თქვენც გაუწევთ მათ დახმარებას. სამღვდელოების ხელმძღვანელები და წევრები თქვენი დახმარებით ახლადმოქცეულთ საეკლესიო ცხოვრებაში ჩართავენ.

**მეგობრობა**



- ნათლობამდე და წევრად დამტკიცებამდე დარწმუნდით იმაში, რომ წევრი ესწრება ყოველ გაკვეთილს (შემლებისდაგვარად). წევრი მოწაფეთა გვერდში ხშირად უნდა იმყოფებოდეს, მათი ყოველი კითხვის პასუხის გასაცემად, მათი განსაცდელის გასაზიარებლად და იმისათვის, რომ შეაგულიანოს ისინი.
- მოიწვიეთ წევრები ნათლობის მსახურებაზე დასასწრებად და ახლადმოქცეულთა მისასალმებლად მეურვეობაში. წევრები უნდა ეხმარებოდნენ ახლადმოქცეულებს სხვადასხვა საეკლესიო შეხვედრებზე თავი იგრძნონ კომფორტულად. ასევე ისინი უნდა წარუდგინონ ეკლესიის სხვა წევრებს.
- რაც შეიძლება მალე წარუდგინეთ მოწაფეები ეპისკოპოსს, მის მრჩეველებს, უხუცესთა ქვორუმის და მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტებს, ასევე მეურვეობის სხვა

შენიშვნები

ხელმძღვანელებს. აუხსენით მათ ეპისკოპოსისა და მეურვეობის სხვა ხელმძღვანელთა როლი.

### მსახურების საშუალებები

- დაეხმარეთ ახლადმოქცეულ მამაკაცებს ჩაწვდნენ აარონისა და მელქიცედეკის მღვდლობის მნიშვნელობას და მოამზადეთ ისინი მათ მისაღებად. აუხსენით მათ, რომ სამღვდელოების ქვორუმი გვამლევს ერთად სწავლის, თაყვანისცემისა და მსახურების საშუალებას.
- ჩართეთ ახლადმოქცეულები და ნაკლებად აქტიური წევრები მსახურებაში, მაგალითად, დაეხმარონ ქვრივს, ავადმყოფს ან ვინმეს, ვინც არის კეთილდღეობის პროგრამის მონაწილე.
- გააცანით ახლადმოქცეულები საოჯახო ისტორიის კონსულტანტებს, რათა დაეხმარონ მათ ოჯახის წევრების მონაცემთა შეტანაში და საგვარტომო დიაგრამის შედგენაში. თუკი პირობები ხელსაყრელია, დაეხმარეთ მათ ტამარში გარდაცვლილი წინაპრების ნათლობის ჩატარების სამზადისში.
- შესთავაზეთ ახლადმოქცეულებს მოამზადონ ოჯახის წევრები და მეგობრები მისიონერებთან შესახვედრად. მისიონერებმა უნდა სთხოვონ ახლადმოქცეულებს და ნაკლებად აქტიურ წევრებს, გააცნონ მათ ეკლესიით დაინტერესებული ახალი ადამიანები გაკვეთლების ჩასატარებლად.

### ღვთის სიტყვით დამოძღვრება

- დაამთავრეთ „კანონები და წეს-ჩვეულებების" მეხუთე გაკვეთილის პრინციპების სწავლება.
- შეახსენეთ ახლადმოქცეულებს და ნაკლებად აქტიურ წევრებს ის ვალდებულებები, რომლებიც მათ ნათლობამდე აიღეს საკუთარ თავზე და ის აღთქმა, რომელშიდაც ისინი შევიდნენ ნათლობისა და წევრად დამტკიცების დროს.
- შეაგულიანეთ ისინი ყოველდღიურ ლოცვებზე, როგორც დამოუკიდებლად, ისე ოჯახთან ერთად.
- შეაგულიანეთ ისინი ყოველდღიურად შეისწავლონ წმინდა წერილები, განსაკუთრებით მორმონის წიგნი.
- განამტკიცეთ ახლადმოქცეულთა დამოწმებები, წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მიერ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების თაობაზე. გაიმეორეთ გაკვეთილები, რომლებიც თქვენ ჩაატარეთ ნათლობასა და წევრად დამტკიცებამდე და მოარგეთ ვალდებულებები მათ ახლანდელ საჭიროებებს.
- გააგრძელეთ სწავლება საკვირაო საეკლესიო წირვაზე დასწრების აუცილებლობაზე და ზიარების ღირსეულად მიღების თაობაზე. დაესწარით წირვებს და დასხედით ახლადმოქცეულთა ან ნაკლებად აქტიურ წევრთა გვერდით.
- მოიპატიჟეთ ისინი საკვირაო სკოლაში „სახარების პრინციპების" გაკვეთილებზე დასასწრებად.
- ასწავლეთ მათ, თუ როგორ უნდა ჩაატარონ ყოველ ორშაბათს საოჯახო საღამოები *Family Home Evening Resource Book*-ის გამოყენებით.
- შეაგულიანეთ ისინი, გაუზიარონ აღდგენილი სახარება სხვებს.
- დაეხმარეთ მათ რელიგიის ინსტიტუტისა და სემინარიის გაკვეთილებზე ჩასაწერად.
- შეატყობინეთ მათ საეკლესიო საინფორმაციო წყაროების არსებობა, მაგალითად, www.mormon.org, www.lds.org და www.familysearch.org.

შენიშვნები

**ძმინდა ძერილების შესძავლა**

**ღვდ ის სიტყვიდ დამოძღვრება**

მოსია 18:18–20 ალმა 31:5 მორონი 6:4

**მსახურება**

მოსია 2:17 მათე 25:40 Guide to the Scriptures, „Service“

## რა როლს ასრულებს სრული დატვირთვის მისიის პრეზიდენტი?

სრული დატვირთვის მისიის პრეზიდენტი ფლობს ახლადმოქცეულთა ნათლობის გასაღებებს. მისი ხელმძღვანელობით, სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებს ეკისრებათ მირითადი პასუხისმგებლობა - მოწაფეთა განსწავლა. ეპისკოპოსი თვალყურს ადევნებს მოწაფეების სწავლების პროგრესს და სწავლების პროცესში მეგობრების შეძენას. მეურვეობის მისიის გეგმა განხორციელდება ეპისკოპოსის თავმჯდომარეობის მალა-უფლებით. მისიის პრეზიდენტი რეგულარულად ხვდება პალოს პრეზიდენტებთან, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ სრული განაკვეთით მყოფი მისიონერები თანამშრომლობენ ადგილობრივ სამღვდელოების ხელმძღვანელებთან. იგი ახდენს მათი რწმენაში მოქცევის მალისხმევის კოორდინირებას და სთავაზობს პალოს პრეზიდენტს დახმარებას მისიონერული სამუშაოს პრინციპებისა და მეთოდების სწავლებაში.

## რა პაუხისმგებლობა აკისრიათ პალოსა და მეურვეობის ხელმძღვანელებს?

ეკლესიის ადგილობრივი ხელმძღვანელები და წევრები თქვენი საუკეთესო თანამოკავშირეები არიან. პატივი ეცით მათ და ეცადეთ დაამყაროთ მათთან კარგი ურთიერთობა. თქვენი მათთან მუშაობისას გახსოვდეთ, რომ მათ აგრეთვე აქვთ მათ მოწოდებასთან დაკავშირებული სხვა პასუხისმგებლობებიც. ეცადეთ იყოთ მადლი და არა ტვირთი თქვენი პალოსა და მეურვეობის ხელმძღვანელებისათვის. თქვენი განწყობა ასეთი უნდა იყოს: „რითი შეგვიმლია დაგეხმაროთ?“ ითათბირეთ ეპისკოპოსთან ან მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან თქვენი გეგმებისა და ღონისმიებების შესახებ. დარწმუნდით, რომ თქვენ მხარს უჭერთ მეურვეობის მისიის გეგმას.

ადგილობრივი სამღვდელოების ხელმძღვანელობის როლი მისიონერულ საქმიანობაში მოყვანილია ქვემოთ. როდესაც თქვენ კარგად გესმით მათი როლი, თქვენ უკეთესად შემლებთ მათთან თანამშრომლობას.

### პალოს პრეზიდენტი

პალოს პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს ეპისკოპოსებზე დაკისრებულ ვალდებულებას, მათ მისიონერულ სამსახურში, წევრების ეკლესიის მიმართ ინტერესის შენარჩუნებაში და წევრების გააქტიურებაში. ამ ყოველთვიურ გასაუბრებებში ეპისკოპოსებთან, იგი განიხილავს, როგორც გეგმებს, ასევე კონკრეტული მოწაფეებისა და წევრების წარმატებებს. იგი რწმუნდება იმაში, რომ მომღვრება, რომლებიც შეეხება მათ მისიონერულ სამუშაოს, რეგულარულად ისწავლება პალოსა და მეურვეობის შეკრებებზე და რომ სამღვდელოების ხელმძღვანელები და სხვები გაწაფულნი არიან მათი მისიონერული ვალდებულებების მიმართ.

პალოს პრეზიდენტი ასევე რეგულარულად ხვდება მისიის პრეზიდენტს, რათა მოახდინოს მისიონერული საქმიანობის კოორდინირება ეკლესიის წევრთა და ხელმძღვანელთა სწავლების ჩათვლით, ასევე სრული განაკვეთით მყოფი მისიონერების გამოყენებისა და მათი ადგილის განსაზღვრით, ამასთან ერთად იგი უწევს დახმარებას წევრთა გააქტიურების მიზნით.

შენიშვნები

#### უმაღლესი მრჩეველი

უმაღლესი მრჩეველი ინიშნება პალოს პრეზიდენტობის გადაწყვეტილებით მისიონერული სამუშაოს გასაუმჯობესებლად, ეკლესიის მიმართ ინტერესის შენარჩუნებისა და პალოს აქტიურობის შესანარჩუნებლად. იგი რეგულარულად აბარებს ანგარიშს პალოს საპრეზიდენტოს. იგი აგრეთვე პასუხისმგებელია იმაზედ, რომ მეურვეობის მისიის ხელმძღვანელები ღებულობენ სათანადო ცოდნას მათდა მოვალეობების შესასრულებლად და მეურვეობის მისიის გეგმის შესადგენად.

#### ეპისკოპოსი




ეპისკოპოსი პასუხისმგებელია, მეურვეობაში მისიონერული მუშაობას, ეკლესიის მიმართ ინტერესის შენარჩუნებასა და წევრების გააქტიურებაში. მისი პირადი მონაწილეობა და ხელმძღვანელობა აბსოლუტურად აუცილებელია. ამ სამუშაოს შესასრულებლად ეპისკოპოსი მოუწოდებს მელქიცედეკის მღვდლობის, ღირსეულ მატარებელს, მეურვეობის მისიის ხელმძღვანელად მსახურებისათვის. იგი აგრეთვე მოუწოდებს მეურვეობის მისიონერების გარკვეულ რაოდენობას რათა დააკმაყოფილონ მეურვეობის საჭიროებანი.

ეპისკოპოსი იყენებს სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტს და მეურვეობის საბჭოს, რათა კოორდინირება გაუწიოს მისიონერულ სამუშაოს, ეკლესიის მიმართ ინტერესის შენარჩუნებას და წევრების გააქტიურებას. მისი ხელმძღვანელობით დგინდება და ხორციელდება მეურვეობის მისიის გეგმა.

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

დაგეგმეთ ეპისკოპოსთან შეხვედრის დრო. მიიღეთ მისი რჩევა იმაზედ, თუ როგორ უკეთესად ემსახუროთ მეურვეობას.

#### სამღვდელოებისა და დამხმარე ორგანიზაციების ხელმძღვანელები

სამღვდელოებისა და დამხმარე ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რეგულარულად უნდა გადახედონ ახლადმოქცეულებისა და ნაკლებად აქტიური წევრების სტატუსს, რათა საუკეთესოდ დაგეგმონ თუ როგორ დაუმეგობრდნენ მათ და განამტკიცონ ისინი. მათ ასევე ევალებათ მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებთან და მეურვეობის მისიონერებთან ერთად მოახდინონ მისიონერული სამუშაო, ისევე, როგორც ეკლესიის მიმართ ინტერესის შენარჩუნებისა და წევრების გააქტიურების კოორდინირება.

#### მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი

ეპისკოპოსის მეთვალყურეობით, მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი უნდა:

- გახდეს სახარების გაზიარებისა და მოწაფეებთან, ახლადმოქცეულებთან და ნაკლებად აქტიურ წევრებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ნიმუში.
- იყოს მეურვეობის მისიონერების, სრული განაკვეთით მყოფი მისიონერებისა და სამღვდელოებისა და დამხმარე ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანამშრომლობის კოორდინატორი.

შენიშვნები

- იყენებდეს განვითარების მსვლელობის ჩანაწერს, მოქცეულთა მოქმედების სიას და ეპისკოპოსობის მოქმედებისა და გასაუბრებების სიას, რათა თვალი ადევნოს მოწაფეებისა, ახლადმოქცეულებისა და ნაკლებად აქტიური წევრების პროგრესს, სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტისა და მეურვეობის საბჭოს შეკრებათა დროს. მოქცეულთა მოქმედების სია და ეპისკოპოსობის მოქმედებისა და გასაუბრების სია არის ანგარიში, რომელიც დგინდება მეურვეობის კომპიუტერზე. ისინი გამოიყენება ახლადმოქცეულებისა და სხვა წევრების წინსვლის მეთვალყურეობისათვის.
- ატარებდეს ყოველკვირეულ მისიონერულ საკოორდინაციო შეხვედრებს.
- გეგმავდეს ნათლობის მსახურებებს მეურვეობაში სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებთან ერთად. ჩვეულებრივად ასეთ მსახურებებს ატარებს საეპისკოპოს წევრი ან მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი.

მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი ასევე მსახურობს მეურვეობის სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტში, მეურვეობის საბჭოსა და მეურვეობის კეთილდღეობის კომიტეტში და ესწრება პალოს სამღვდელოების ხელმძღვანელობის შეკრებებს.

**მეურვეობის მისიონერები**

განსწავლულ დებსა და ძმებს უხმობენ მეურვეობის მისიონერებად მსახურებისათვის. მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი მეთვალყურეობს მათ.

მეურვეობის მისიონერები მოიმიებენ მოწაფეებს, უმეგობრდებიან მათ და ასწავლიან. ისინი აგრეთვე იმლევიან დარიგებებს და უმეგობრდებიან ახლადმოქცეულებსა და ნაკლებად აქტიურ წევრებს.

მელქიცედეკის მღვდლობის მქონე მეურვეობის მისიონერი შესაძლოა მოწოდებულ იყოს მეურვეობის მისიის ხელმძღვანელის ასისტენტად სამუშაოდ.

**მისიონერული მუშაობის კოორდინირება**

მეურვეობის მისიონერულ მუშაობას, როგორც წესი, სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი და მეურვეობის საბჭო უწევენ კოორდინირებას მათი შეკრებების დროს და ყოველივე ამას განახორციელებენ განვითარების მსვლელობის ჩანაწერის მეშვეობით, რომელსაც მათ აწვდიან სრული განაკვეთით მყოფი მისიონერები. ამ შეკრებების მისიონერული მიზანია ანგარიშის ჩაბარება, დაგეგმარება, დავალებათა კოორდინირება, მიების, სწავლების, დამეგობრებისა და გააქტიურების თვალსაზრისით, ისე, როგორც ამის შესახებ ქვემოთ მოცემულ აბზაცებშია ნათქვამი.

*ადამიანების მომიება სასწავლებლად.* სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი და მეურვეობის საბჭო განიხილავენ გეგმებს, კონკრეტული ადამიანების სრული განაკვეთით მყოფი მისიონერების სწავლებისათვის მოსამზადებლად. ისინი განიხილავენ მეურვეობის წევრების მიღწევებს, როგორც ცალკეულ ადამიანთა, ასევე ოჯახების მომზადებას მისიონერული გაკვეთილების მოსასმენად.

*სწავლება და მონათვლა.* სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი და მეურვეობის საბჭო ყოველ კვირას განიხილავს განვითარების მსვლელობის ჩანაწერს, საიდანაც ჩანს სრული განაკვეთით მყოფი მისიონერების ხელში თითოეული მოწაფის წარმატება. ისინი ასევე უწევენ კოორდინირებას მეურვეობის წევრთა სახლში ჩასატარებელი გაკვეთილების გეგმას, მოწაფეებთან დამეგობრებას და წევრების ნათლობის მსახურებაში მონაწილეობას.

*ახლადმოქცეულებთან დამეგობრება და მათი განსწავლა.* სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი და მეურვეობის საბჭო განიხილავს მოქცეულთა მოქმედებების სიას, რათა თვალი ადევნოს ყოველი ახალი წევრის წარმატებებს. ისინი ასევე განიხილავენ იმას, თუ როგორ დაუმეგობრდნენ ახლადმოქცეულებს. ეპისკოპოსის მოთხოვნით, ისინი რეკომენდაციას უწევენ ახლადმოქცეულებს მოწოდებათა მისაღებად.

შენიშვნები

*ნაკლებად აქტიური წევრების საეკლესიო ცხოვრებაში ჩართვა და მათი განსწავლა.* სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი და მეურვეობის საბჭო კოორდინირებენ, სამღვდელოების ქვორუმებისა და სრული განაკვეთით მყოფი მისიონერების მიერ წევრების გააქტიურების მცდელობებს. ისინი აგრეთვე გეგმავენ იმას, თუ როგორ დაუმეგობრდნენ ნაკლებად აქტიურ წევრებს, განსაკუთრებით მათი საეკლესიო შეკრებებზე და ღონისძიებებზე მიპატიჟებით.

### მეურვეობის მისიის ხელმძღვანელთან დამატებითი კოორდინირება

ჩვეულებრივად, სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტისა და მეურვეობის საბჭოს შეხვედრებზე ხორციელდება მისიონერული მუშაობის კოორდინირება. თუ საჭიროა დამატებითი კოორდინირება, მეურვეობის მისიის ხელმძღვანელს შეუძლია ჩაატაროს სრული განაკვეთით მყოფ მისიონერებთან, მისიონერული საკოორდინაციო შეხვედრა. ასეთ შეხვედრაზე, შეგიძლიათ მოიპატიჟოთ: მეურვეობის მისიონერები, მღვდელმთავართა ჯგუფის ხელმძღვანელობის ასისტენტები, უხუცესთა ქვორუმის საპრეზიდენტოს მრჩეველი, ისევე როგორც მოწყალების საზოგადოების საპრეზიდენტოს მრჩეველი.

შეხვედრის მონაწილენი იხილავენ და ანგარიშს აბარებენ წინა შეხვედრებზე განსაზღვრული დავალებებისა და მიზნების მიმართ და განიხილავენ მომავალი კვირის ახალ გეგმებს. საჭიროებისამებრ, მათ ასევე შეუძლიათ მეურვეობის მისიონერების დავალებებისა და სრული განაკვეთით მყოფი მისიონერების მუშაობის ერთობლივი მალისხმევის კოორდინაცია და მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიმლება მათი გაერთიანებული მცდელობების გაუმჯობესება.

### მეურვეობის მისიის გეგმა

უმრავლეს მეურვეობაში შენიშნეს ის, რომ მეურვეობის მისიის გეგმის შემუშავება აუმჯობესებს მეურვეობის მისიონერულ მუშაობას. ასეთი გეგმა შეიმლება შეიცავდეს მიზნებს, ინიციატივასა და ღონისმიებებს, რომლებიც ეხმარებიან მეურვეობის წევრებს მიიპატიჟონ ადამიანები სახარების მოსასმენად. ასეთი გეგმების განვითარება სასარგებლოა, როგორც კერმო პირთათვის, ასევე ოჯახებისათვის მათ მისიონერულ მოღვაწეობაში.

წევრებმა უნდა გამოიყენონ ყოველი ღირსეული ხერხი იმ ადამიანთა მოსამიებლად, რომლებსაც აღდგენის მოწოდების მიმართ მოსმენის სურვილი გააჩნიათ. მათ აქცენტი უნდა გააკეთონ მამებზე, დედებსა და შვილებზე, რომლებიც მოვლენ ეკლესიაში, როგორც ერთიანი ოჯახი. ქვემოთ მოყვანილია მისიონერული გეგმის შემუშავების რამოდენიმე წინადადება.

- ილოცეთ მასზედ, რომ უფალმა განამზადოს კონკრეტულ ადამიანთა გულები სახარების მოსასმენად. აგრეთვე ილოცეთ მასზედ, რომ იყოთ მგრძნობიარე იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც განამზადებს უფალი (იხილეთ ალმა 6:6). პრეზიდენტი გორდონ ბ. ჰინკლი ასწავლიდა: „ეს იქნება უდიდებულესი დღე, როდესაც ჩვენი ხალხი არა მხოლოდ მისიონერთათვის ილოცებს, რომლებიც მთელს მსოფლიოში არიან განფენილნი, არამედ შეევედრებიან უფალს, რათა იგი თავის მხრივ დაეხმაროს მათ მეურვეობაში დანიშნულ მისიონერებს მუშაობის დროს“ („Missionary Service,“ *First Worldwide Leadership Training Meeting*, იანვარი 2003, 19).
- გაიაზრეთ თქვენი მსახურების ყოველი შესამლებლობა. იყავით მეგობრული ყველასთან და ყოველი ადამიანის მიმართ გამოხატეთ სიყვარული.
- შესთავაზეთ მეგობრებსა და მეზობლებს იმსახურონ წევრებთან ერთად ისეთ ღონისმიებებში, როგორებიცაა: თემში მსახურება; გაჭირვებულთა კვებით უზრუნველყოფა; მოწყალების საზოგადოებაში საოჯახო სრულყოფილების მინი-გაკვეთილების ჩატარება; მეურვეობის ღონისმიებების ჩატარება; ადამიანთა ადგილსამყოფელის

შენიშვნები

გამოცვლის დროს დახმარება; სკაუტების ორგანიზაციებში მუშაობა და საოჯახო ისტორიის და კეთილდღეობის პროექტებში მონაწილეობა.

- მოიწვიეთ ეკლესიის მიღმა მყოფი ნათესავები, მეგობრები და მეზობლები ნათლობებზე, წევრად დამტკიცების წეს-ჩვეულებებზე და მღვდლობის ხელდასხმის კურთხევებზე.
- მოიწვიეთ ეკლესიის მიღმა მყოფი ადამიანები განსაკუთრებულ მოვლენებში თანადგომისათვის, მაგალითად: საუზმე, ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად.
- ჩაატარეთ მეურვეობის შეხვედრები, ღონისძიებები, შეხვედრის საღამოები და ღია კარის დღეები, ისეთი ხარისხიანი და მიმზიდველი, რომ წევრებს აღემრას დაუოკებელი სურვილი ნაცნობებისა და ნათესავების მოსაწვევად.
- დაპატიჟეთ ადამიანები საოჯახო საღამოებზე.
- მოინახულეთ ადამიანები, რომელთა ცხოვრებაში მოხდა რაღაც ცვლილებები მაგალითად, ქორწინება, დაბადება ან ახლობლის გარდაცვალება.
- მოინახულეთ ადამიანები, რომლებიც გადმოსახლდნენ თქვენს მახლობლად. მოუყევით მათ თქვენს უბანზე, ხალხზე, რომელიც იქ ცხოვრობს და თქვენს ეკლესიაზე.
- გამოიყენეთ ყოველი საშუალება იმისათვის, რომ იქადაგოთ სახარება. იმსჯელეთ ისეთ თემებზე, როგორიცაა: მხსნელი, მორმონის წიგნი, ბიბლია, ცხოვრების მიზანი, ოჯახი, და საოჯახო ისტორია.
- შეაგულიანეთ ახალგაზრდები სხვა ახალგაზრდებთან დასამეგობრებლად და დაპატიჟეთ ისინი საეკლესიო შეხვედრებსა და ღონისძიებებზე.
- იმუშავეთ იმ ოჯახებში, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არიან გაწევრიანებულნი.
- დაგეგმეთ სულიერად ამამაღლებელი ზიარების შეკრებები.

**ღონისძიება: ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა**

- თქვენს ძმადნაფიცთან ერთად, წაიკითხეთ და იმსჯელეთ *True to the Faith*, „Church Administration“-ის 34-37 გვერდზე მოცემულის მიმართ.
- გაუზიარეთ ნასწავლი თქვენს ძმადნაფიცს და ჩაიწერეთ იგი თქვენს სამეცადინო რვეულში.
- იმსჯელეთ იმაზე, თუ რა ზეგავლენას მოახდენს თქვენი ცოდნა ეკლესიის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობაზე.

## ვალდებულება აქტიურ წევრად დარჩენის შესახებ

მისიონერული სამუშაო ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ადამიანები იღებენ საკუთარ თავზე ვალდებულებას, იყვნენ ეკლესიის აქტიური წევრები და ასრულებენ მას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ ეკლესიაში უბრალოდ მოსვლა როდია საკმარისი. ისინი უნდა მოდიოდნენ, რათა მარადიულად დარჩნენ ეკლესიაში. ყოველი თქვენი სწავლება და მიპატიჟება ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მამაზეციერის ყველა ლოცვა-კურთხევის მისაღებად საჭიროა სახარების ცხოვრებაში გატარება და ეკლესიის აქტიურ წევრად ყოფნა.

ნეფი გვასწავლიდა: და ახლა, ჩემო უსაყვარლესო ძმებო, იმის მერე რაც თქვენ დაადექით ამ სწორ და ვიწრო გზას, მე გეკითხებით თქვენ: ყველაფერია შესრულებული? და მე გიპასუხებთ: არა, თქვენ უნდა მიისწრაფებოდეთ წინ ურყევი რწმენით ქრისტეში და გამლოთ ბოლომდე, რამე თუ ასე ბრძანებს მამა: თქვენ მარადიული სიცოცხლე გელით (იხილეთ 2 ნეფი 31:19–20).

არ დაიშუროთ მალ-ღონე იმისათვის, რომ გახადოთ ადამიანები მარადიული სიცოცხლის, ღვთის მღვენთა მღვენის ღირსნი (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 14:7).

შენიშვნები

## გახსოვდეთ შემდეგი

- დაამყარეთ მტკიცე ურთიერთობანი ეპისკოპოსსა და მეურვეობის საბჭოს წევრებთან.
- მიიღეთ მონაწილეობა სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტისა და მეურვეობის საბჭოს მსვლელობებში.
- ემსახურეთ მეურვეობის საბჭოს. როდესაც საბჭოს წევრები გთხოვენ დახმარებას, თქვენ:
  - მზად ხართ დაუმეგობრდეთ ახლადმოქცეულებსა და ნაკლებად აქტიურ წევრებს, დაეხმაროთ მათ მოწოდებებსა და მსახურებაში, ხელახლად ჩაუტაროთ მისიონერული გაკვეთილები.
  - წევრებთან ერთად, ასწავლეთ ახლადმოქცეულებს გაკვეთილი „კანონები და წეს-ჩვეულებები.“

შენიშვნები

## მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები

### დამოუკიდებელი მეცადინეობა

- გამოიყენეთ თქვენი მისიონერის დღიური, შეადგინეთ გეგმები ახლადმოქცეულებისა და ახლად გააქტიურებული წევრების საუბრისათვის, მათი ცხოვრების შეცვლისა და ეკლესიაში სიარულის თაობაზე. რა დაეხმარათ მათ ყველაზე მეტად? თქვენს სამეცადინო რვეულში ჩაიწერეთ თქვენი მოსაზრებები მათი გამოცდილების შესახებ. რა შეისწავლეთ ისეთი, რაც დაგეხმარებათ თქვენს ამჟამინდელ მოწაფეებთან მუშაობაში?

- შეისწავლეთ 2 ნეფი 31:18–20; ალმა 26:1–7 და 32:32–43; ასევე მორონი 6. დაწერეთ, თუ რა ისწავლეთ ამ ნაწყვეტებიდან ახლადმოქცეულების გასაძლიერებლად.

### ძმადნაფიც მისიონერთან ერთად მეცადინეობა

- მეურვეობის საბჭოს შეხვედრებზე ჰკითხეთ ეპისკოპოსს, არიან თუ არა თქვენს რაიონში ნაკლებად აქტიური წევრები, რომლებიც მისი სურვილით თქვენ უნდა მოინახულოთ ამ კვირის განმავლობაში? ასეთი წევრების სტუმრობისას, ეცადეთ განამტკიცოთ მათი რწმენა ქრისტეს მიმართ. ჰკითხეთ მათ, ჰყავთ თუ არა მათ პოტენციური მოწაფეები.

- შეისწავლეთ 1 კორინთელთა 3:2, ებრაელთა 5:12; და მოძღვრება და აღთქმები 19:22. რას ნიშნავს იქ მოხსენიებული რძე? რას ნიშნავს ხორცი? შენი პასუხები შეადარე მოძღვრებას „რა უნდა შევისწავლო და ვასწავლო?“-ის თავში. რატომ უნდა მიაწვდინო რძე და ხორცი სწორი მიმდევრობითა და საჭირო რაოდენობით? როგორ აკეთებთ ამას?

- წაიკითხეთ შემდეგი გამონათქვამი, რომელშიც პრეზიდენტი ჯოსეფ ფ. სმითი აღწერს მის გრძნობებს საკუთარი ნათლობისას:

  „გრძნობა, რომელიც დამეუფლა, იყო წმინდა სიმშვიდე, სიყვარული და ნათელი. მე ვიგრძენი, რომ თუკი ოდესმე ჩამიდენია ცოდვა (რა თქმა უნდა უცოდველი როდი ვიყავი) იგი მიმიტევეს და რომ მე სინამდვილეში განვიწმინდე მისგან. გული ამიჩუყდა და ვიგრძენი, რომ პაწაწინა მწერსაც ვერ გავსრესდი ჩემს ფეხქვეშ. მე ვიგრძენი, რომ მინდოდა მხოლოდ კარგის კეთება ყველგან და ყველასათვის. მე ვიგრძენი ახალი ცხოვრება და ყველასათვის სიკეთის კეთების განახლებული სურვილი. ბოროტების უმცირესი ნაწილიც კი არ მქონდა დარჩენილი სულში. . . . ეს არის ის ზეგავლენა, რომელიც მე განვიცადე და მე ვიცი, რომ იგი ღმერთისაგან იყო ნაბოძები, არის და ყოველთვის დარჩება კიდევაც ჩემთვის უფლის ხელშესახები დამოწმება მისგან ჩემი მიღების გამო“ (*Gospel Doctrine*, მე-5 გამოცემა [1939], 96).

  ახლა წაიკითხეთ, თუ რას ამბობს პრეზიდენტი სმითი მის გრძნობებზე ნათლობის დიდი ხნის შემდეგ:

  „ნეტავ შემეძლოს ყოველ წამს ისევ იმ სულისა და მხურვალე სურვილის გულში შეგრძნება, რაც მე მაშინ განვიცადე და მისი ნათლობის დღიდან დღემდე შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, ბევრ ჩვენთაგანს, ვისაც კი ეს დამოწმება, ეს ახალი დაბადება, ეს გულის შეცვლა მიუღია, იმ დროს, როდესაც ჩვენ, შეიძლება განვიკითხავდით ან შეცდომებს ვუშვებდით და ხშირად შორს ვიყავით ჭეშმარიტი სტანდარტებისაგან, მაგრამ ცოდვებს ვინანიებდით და დრო და დრო უფლის ხელით პატიებას ვეძებდით, ისე რომ დღესაც იგივე სურვილი და მიზანი მოძრაობს ჩვენს სულში, რომელიც შემოიჭრა ჩვენში, როცა მოვინათლეთ და მივიღეთ ცოდვათა მიტევება და ეს გრძნობები აღძრავენ ჩვენს გულებს და კვლავინდებურად უმთავრეს გრძნობად და ვნებად რჩებიან ჩვენს სულში“ (*Gospel Doctrine,* 96).

  – პირადად თქვენ, რა შეისწავლეთ პრეზიდენტ სმითისაგან თქვენი პირადი დამოწმებისა და სახარების ცხოვრებაში გატარების ვალდებულების თაობაზე?

  – რა ისწავლეთ იმის თაობაზე, თუ რა სირთულეები უჩნდებათ ნათლობის შემდეგ არა მხოლოდ ახლადმოქცეულებს, არამედ თვით მომავალ წინასწარმეტყველებსაც კი?

  – რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმ ახლადმოქცეულებისა და ნაკლებად აქტიური წევრებისათვის, რათა ისევ გაუჩნდეთ „სურვილი და მიზანი“ რომელიც მათ, როდესღაც ჰქონდათ?

შენიშვნები

## საოლქო შეკრებები და სამხარეო კონფერენციები

- მოიწვიეთ ეპისკოპოსი, რათა ისაუბროს იმ სირთულეებზე, რომლებიც გიჩნდებათ ახლადმოქცეულებთან და ნაკლებად აქტიურ წევრებთან მუშაობისას. სთხოვეთ მას ხაზგასმით აღნიშნოს ის, თუ როგორ შეუძლიათ მისიონერებს დახმარების აღმოჩენა ამგვარ სიძნელეთა გაჩენის დროს.

- განიხილეთ იგავი, დაკარგულ ცხვარზე, დაკარგულ დრაქმაზე და უძღებ ძეზე (იხილეთ ლუკა 15).

## მისიის პრეზიდენტი

- ითანამშრომლეთ სამღვდელოების ადგილობრივ ხელმძღვანელებთან, რათა შეაგულიანოთ ისინი ახლადმოქცეულთა დასახმარებლად:
  - მღვდლობის მიღებაში.
  - ოჯახის მასწავლებლების მიღებაში.
  - გარდაცვლილი წინაპრის სახელის ტაძარში წარსადგენად მომზადებაში და მისთვის ნათლობის ჩატარებაში.
  - „კანონების და წეს-ჩვეულებების" გაკვეთილის მოსმენაში ოჯახის მასწავლებლების თანდასწრებით.

- ასწავლეთ ადგილობრივ ხელმძღვანელებს თუ როგორ გამოიყენონ მისიონერები მეურვეობის საბჭოში.

- ასწავლეთ ადგილობრივ ხელმძღვანელებს განვითარების მსვლელობის ჩანაწერის დანიშნულება და გამოყენება.

- დროდადრო სთხოვეთ მისიონერებს დაგანახონ მათი განვითარების მსვლელობის ჩანაწერის ასლი.

- დრო და დრო შეხვდით ახლადმოქცეულებს, რათა შეიტყოთ ის, თუ როგორ მიდის მათი საქმეები და რა დახმარების მიღება შეუძლიათ მისიონერებისა და წევრებისაგან.

- მოიწვიეთ პალოსა ან მეურვეობის ხელმძღვანელები, მისიონერებთან გასაუბრებისთვის და განუცხადონ მათ, თუ როგორ შეუძლიათ მისიონერებს ყველაზე მეტად დაეხმარონ მათ

- მოიწვიეთ ახლადმოქცეული მისიონერებთან გასაუბრებისათვის, რათა გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება ახლადმოქცეულთა ხარისხში.

- დრო და დრო სამხარეო კონფერენციაზე სთხოვეთ წევრებს გაიზიარონ მათი მოქცევის ისტორია.

შენიშვნები

ა

აარონის მღვდლობა, აღსდგა, 42
აბორტი და ნათლობისათვის ღირსეულად
  ყოფნა, 238
ათი მცნება, მორჩილება, 86
ანგარიშვალდებულება, 173–174
არჩევანის თავისუფლება, 54–55
არა ქრისტიანული წარმოშობის
  ადამიაენბისათვის სახარების სწავლება,
  218–220
აისბერგი, ეჭვები, 214
ამაღლება, 59
  განმარტება, 65
ანაზღაურება, განმარტება, 79
ანგარიში სწავლების მსვლელობების შესახებ,
  ანკეტის განმარტება, 162–163
არასრულწლოვანი ბავშვები და ნათლობა, 237
აღდგენა, მოწოდება, ახსნილია, 7–9
  სახარების, 41–43
აღდგენის მოწოდება, 35
  და ოჯახები, 184–185
  განმარტება, 7–9
აღდგომა, 58
  განმარტება, 56, 65
აღთქმა, განმარტება, 78
  ახსნა, 70
ახალგაზრდა მამაკაცები, ორგანიზაცია, 94
ახალგაზრდა ქალები, ორგანიზაცია, 94
ახალი წევრები, მოწაფეების მომიების წყარო,
  187
  მისიონერები ეკლესიის ამხანაგობისათვის,
  240
  გაკვეთილების მიღება, 33
  განმტკიცება, 245–246
ახლიდან გაკვეთილების მიღება, 240–241
ახალი წევრების ეკლესიური ცხოვრებაში
  ჩართვა, 240–241

ბ

ბალარდი, მ. რასელ, მიზნების შესახებ, 168
  სულის მალაზე, 107
ბენსონი, ეზრა ტაფტ, შეკითხვებზე მორმონის
  წიგნით პასუხის გაცემა, 125–126
  მორმონის წიგნი როგორც სოძის ქვა, 120
  სულის დიდი შეკითხვები, 123
  სულის მნიშვნელობა, 202
  სახარების მსოფლიოში მიტანა, 2
  მუშაობა, 140
ბიბლია ამტკიცებს მორმონის წიგნს, 122
ბოლომდე გამლება, 73, 99
  განმარტება, 78
ბუდა (გაუტამა), 51

გ

გამოსყიდვა, 35–37, 38–39, 53–54, 56–57, 67–68
  განმარტება, 65
გამოსყიდვა, განმარტება, 65
გამოცხადება, პირადი, 101–102
განდგომა, განმარტება, 37
  დიდი, 39–41
განვითარების მსვლელობის ჩანაწერი, ანკეტის
  განმარტება, 163
განკითხვა, განმარტება, 65
  უკანასკნელი, 58–59
განმარტებები, უცხო სიტყვების, 24
განმტკიცება ეკლესიის, 11
განრიგი. *იხილეთ* მისიონერების
  ყოველდღიური განრიგი
განწმენდა ცოდვისგან, 2, 6–7, 67–68
გენიოლოგია, მოწაფეების მომიების წყარო,
  189–191
გაკვეთილები, ახალი წევრებისათვის, 33
  ახალი მოწაფეების სასწავლებლად, 33
  სწავლისათვის და სავარჯიშოდ, 33

დ

დამახსოვრება და სწავლება, vii
დამოუკიდებელი მეცადინეობა, მიზანი, ix
  ცხრილი, viii
დამოწმების, ხშირად გაზიარება, 227–228
დამპირებელი სული წმინდა, 103
დამწყები კლასის ორგანიზაცია, 94
დამხმარე ორგანიზაციის ხელმძღვანელების
  მოვალეობები, 251
დანიშნულება, მისიონერის, 1
დაცემა ადამისა და ევასი, 54–55
  განმარტება, 65
დედების ვალდებულება, 95
დიდების სასუფევლები, 59
დროის ეფექტურად გამოყენება, 157

ე

ეკლესიის აღმენება, 180
ეკლესიის მთავარი სამმართველოს მიერ
  მოწოდებული კონტაქტები, 188
ეკლესიის პრეზიდენტები, მისიონერულ
  სამსახურზე, 13–15
ელიას სული, 189–191
ენების ნიჭი, 154
ენის სწავლა და გრამატიკა, 150
  და დამახსოვრება, 150
  მიზნები, 149
  კანონები, 148–149
  სასწავლო გეგმა, 149–152
  საშუალებები, 149
  მმადნაფიცთან ერთად, 152–153
ეპისკოპოსი, 172
  და მისიონერული სამსახური, 185–186
  მართავს მეურვეობის მისიონერულ
  მუშაობას, 246
  მისიონერული ვალდებულებები, 251
ედემის ბაღი, 54–55

ვ

ვირთლინი, ჯოსეფ ბ. მორმონის წიგნის
  გამოყენების შესახებ, 127
ვალდებულება, აღდგენილი სახარების
  სწავლებისათვის, 1
ვალდებულებების მიღების შეთავაზება,
  223–225
ვალდებულებები და კურთხევები, 226

ასევე პირდაპირი კითხვები, 225–226
ასევე მიყურადება, 229–230
ზრდადი რწმენა, 224
მონანიების აუცილებელი ნაწილი, 223
ვალდებულებები, მიზანი, 9–10

**ზ**

ზეციერი მამა, 53
ზიარება, 71

**თ**

თავმდაბლობა, 139–140
თვისებები, როგორ ვისწავლოთ, 134
ქრისტესნაირი, 133

**ი**

იანგი, ბრიგამ, დამოწმების მიღებაზე, 228
იესო ქრისტე, გამოეცხადა იოსებ სმითს, 41–42
როგორც გამომსყიდველი, 56–57, 67–68
რამეს გამოსყიდვა. *იხილეთ* გამოსყიდვა
მიწიერი ქადაგება, 38–39
ადამიანებისათვის დახმარება რომ ისწავლონ, 52–53
იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა, 42
იესო ქრისტეს სახარება. *იხილეთ* სახარება
იმედი, 135–136
იმედის გაცრუება, 12
ინგლისური, სწავლის აუცილებლობა, 148
*იქადაგე ჩემი სახარება*, მეურვეობის მისიონერების და ხელმძღვანელების მიერ გამოყენება, xii
როგორ გამოვიყენოთ, vii

**კ**

კაბრერა, ვიქტორ მანუელ, მოქცევის ისტორია, 181–182
კანონები და წეს-ჩვეულებები, ნათლობის შემდეგ, 92–99
როგორ უნდა ვიმეცადინოთ, 93
როგორ უნდა ვასწავლოთ, 92
კანონისადმი მორჩილება და პატივისცემა, 91
კალვინი, ჟან, 51
კერპები, 86
კიმბალი, სპენსერ ვ. მისიონერული და სატამრო სამსახურის შესახებ, 189
გამოყოფის შესახებ, 4–5
კონტაქტები, მათთან მუშაობის წესები, 188
კონფუცი, 51
კულტურა, შესწავლის საჭიროება, 153
კურთხევები და ვალდებულებები, 226

**ლ**

ლუთერი, მარტინ, 51
ლოცვა, მცნება, 82
და რწმენა მოქცევისას, 106–108
შეფასების სკალა, 108
როგორ აღვავლენოთ, 44–45
სიმართლის სწავლის საშუალება, 44
როლი, 45
წინადადებები, 106–107
ლი, ჰაროლდ ბ. ოჯახების მნიშვნელობაზე, 3
გასაგებად ქადაგება, 221

**მ**

მადლი, განმარტება, 78–79
მავნე ჩვევებთან ბრძოლა, 215–218
მამაზეციერი, 35–36
მამების ვალდებულება, 95
მარადიული სიცოცხლე, განმარტება, 78
მარადიული ქორწინება, 95–96
მარხვა, კანონი, 90
მაქსველი, ნილ ა. იმედის შესახებ, 135
მეათედის და სხვა შემოწირულობების გადახდა, 90–91
მეათედის კანონი, 89
მედიის მიერ მოწოდებული კონტაქტები, 188
მელქიცედეკის მღვდლობა, აღსდგა, 42
მეურვეობის მისიის ხელმძღვანელის ვალდებულებები, 251–252
მეურვეობის მისიონერების ვალდებულებები, 252
როგორ უნდა გამოიყენონ *იქადაგე ჩემი სახარება*, xii
მეურვეობის მისიონერული გეგმა, 253
მეურვეობის საბჭო, 172, 247–249
ახლადმოქცეულების საეკლესიო ცხოვრებაში ჩართვა, 248–249
დახმარება ახლადმოქცეულებისათვის რომ იმსახურონ მოწოდებისამებრ, 249
ახლადმოქცეულების განოყიერება, 249
ახლადმოქცეულების საეკლესიო ცხოვრებაში ჩართვისათვის პასუხისმგებელი, 246–247
მეურვეობის ხელმძღვანელები და მისიონერული სამსახური, 245
ვალდებულებები, 250
მეცადინეობა, ნებადართული წყაროები, 26
სასწავლებლად მომზადებისათვის, 21–24
დაიწყეთ ლოცვით, 19, 24
ეფექტურად, 19
მითითებები, 22–24
რჩევები ეფექტურობისათვის, 24–27
მეცადინეობის და ნასწავლის გამოსაყენებელი იდეები, როგორ გამოვიყენოთ, xii
მიზნები და ყოველკვირეული დაგეგმარების სესია, 169–173
როგორ დავსახოთ, 168
მიზნების დასახვა, 157
მისიის ენა და მშობლიური ენა, 147
მომზადება სწავლისათვის, 147
მოითხოვს თავდადებას, 148
მისიის პრეზიდენტის მოვალეობები, 250
მისონერთა ბიბლიოთეკა, ix
მისიონერთა კოორდინაცია, 252
მისიონერთა როლი მოქცევაში, 105
მისიონერთა ყოველკვირეული ანგარიში, ანკეტის აღწერა, 167
მისიონერის დანიშნულება, რომ წარმოადგინოს იესო ქრისტე, 2
მისიონერის დღიური, აღწერილია 165–167
მისიონერის მოწოდება და ვალდებულება, 4–5
მალა და უფლებამოსილება, 4–5
რომ ასწავლოთ აღდგენილი სახარება, 201
მისიონერის ყოველდღიური განრიგი, viii

მისიონერული სამსახური რომელიც წევრებმა
უნდა ჩაატარონ, 94–95
მისიონერული წარმატება, 12
მიყურადება, და ვალდებულება, 229
მოთმინება, 138
მოკვდავება, 55–56
განმარტება, 65
მიზანი, 35–36
მომავალი უხუცესები, წყარო მოწაფეების
მოსამებნად, 187
მონანიება, 69–70, 215–218
და ვალდებულება, 223
მონსონი, თომას ს. დამოწმების გაზიარების
შესახებ, 227
სულის ენის შესახებ, 154
საქმიანობის აღრიცხვის შესახებ, 173
მოთმინებაზე, 138
წევრებთან ერთად სწავლებაზე, 206
მორმონის წიგნი, პასუხობს სულის
შეკითხვებზე, 123
როგორც სოდის ქვა, 119–120
ღმერთთან აახლოვებს ადამიანებს, 124
იესო ქრისტეს ღვთაებრიობის საფუძველი,
120
აღდგენის საფუძველი, 8, 43–44, 120
როგორ წავიკითხოთ მოწაფეებთან ერთად,
126–128
როგორ გამოვიყენოთ, 126–128
დანიშნულება, 43
წაიკითხეთ, რომ ისწავლოთ მისიის ენა, 151
მხარს უჭერს ბიბლიას, 122
მოწმობს იესო ქრისტეზე, 121
მორჩილება, 141
მცნება, 81–82
მოსმენა, რომ განავითაროთ ენის ცოდნა, 150
გამოიყენეთ სწავლებისათვის, 212–213
მოქნილობა, მეცადინეობისას, vii
სწავლებისას, vii
მოქცევა, მისიონერის როლი, 105
სულის როლი, 105
მოქცეულის ნათლობა, განმარტება, 237
მოძიება ადამიანების, რომ ასწავლოთ, 179
მოძიება და სწავლება, 183–184
სულის დახმარებით, 180
წევრებთან ერთად, 185–187
მოძიება მოწაფეების, რჩევები, 193–194
მოწაფეები, მისიონერებმა რომ მოამზადონ,
ნათლობისწინა გასაუბრებისათვის, 234
მათთვის მიზნების დასახვა, 169–173
მათ უნდა წაიკითხონ მორმონის წიგნი,
126–128
მოწაფის ეჭვების გადალახვის აუცილებლობა,
214–215
მოწოდება, ეკლესიაში, 97–98
*იხილეთ ასევე* მისიონერის მოწოდება
მოწყალება, 136
მოწყალება, განმარტება, 79
მოწყალების საზოგადოება, 94
მსახურობა როგორც ეკლესიის წევრი, 97
როგორც წყარო მოწაფეების მოსამებნად,
194–195
მუჰამედი, 51
მღვდლობა, აარონის, 94
განმარტება, 37
მელქისედეკის, 94
აღდგენა, 42, 93
მღვდლობის ხელმძღვანელების
ვალდებულებები, 251
მცნებები, 80–91
როგორ ვისწავლოთ, 81
როგორ ვასწავლოთ ისინი, 80–81

## ნ

ნათლისღების შეთავაზება, 45, 74
საჭიროა ეკლესიის წევრობისათვის, 71
არ არის საჭირო პატარა ბავშვებისთვის, 71
ცეცხლით, 72
არა შესაბამისი კანდიდატებისათვის, 237
ჩვენი პირველი აღთქმა, 70–71
მომზადება, 233–234
პირობები, 234
ნათლობა გარდაცვლილებისათვის, 96–97
ნათლობა და წევრად დამტკიცება, 10–11, 84
კითხვები და პასუხები, 237–238
ჩანაწერები, 238–239
ნათლობის მსახურება, როგორ ტარდება,
239–240
ნათლობისწინა გასაუბრება, როგორ
ჩავატაროთ, 235–238
მოწაფეების მომზადება, 234–235
შეკითხვები, 236
ვინ ატარებს, 237
ნაკლებად აქტიური წევრები, როგორც წყარო
მოწაფეების მოსამებნად, 187
განმტკიცება, 245–247

## ო

ოუკსი, დალინ ჰ. ადამიანების ქრისტესთან
მოპატიჟება, 10
ოჯახები, სახარებით დალოცვილნი, 36
აღდგენილი სახარება ლოცავს, 3
ასწავლეთ მათ მნიშვნელობაზე, 184
„ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს,“ 3, 95
ოჯახის მიზანი, 95
ოჯახის სწავლება, 247

## პ

პავლე, მსახურობის მეშვეობით მოქცევის
ისტორია, 195
პაკერი, ბოიდ კ. წყლით და ცეცხლით
ნათლობის შესახებ, 10
სულიერების დამალებაზე, 116
სულის ცნობაზე, 109, 112
სულის შესახებ მოქცევისას, 104
სულიერ გამოცდილებაზე, 112
როგორ ცვლის სწავლა ქცევას, 21
მორმონის წიგნის მკვებავი ძალის შესახებ,
124
ქრისტეს სინათლის შესახებ, 102
პალოს პრეზიდენტის ვალდებულებები, 250
პალოს უმაღლესი მრჩეველის
ვალდებულებები, 251
პალოს ხელმძღვანელები და მისიონერული
სამსახური, 245

ვალდებულებები, 250
პერი, ლ. ტომ, მორჩილებაზე, 141
პირადი გამოცხადება, 101–102
პირველ პრეზიდენტები, მისიონერული სამსახურის შესახებ, 34
პირველ პრეზიდენტთა მოწოდება, v
პოტენციური მოწაფეების ანკეტა, განმარტება, 164

## რ

რაიონის წიგნი, აღწერილი, 160–162
  გამოიყენეთ რომ იპოვოთ ყოფილი მოწაფეები, 192
რეფორმატორები, 50–51
რეფორმაცია, 39–40
რეინკარნაცია და აღდგომა, 59
რწმენა და ადამიანების მომებნა
  სწავლებისათვის, 179
  და ლოცვა, 106–108
  იესო ქრისტესადმი, 68–69, 134–135
*რწმენის ერთგული*, 24

## ს

სათნოება, 137
საინფორმაციო პირამიდა, 160
საინფორმაციო ჩარჩოები, *იქადაგე ჩემი სახარება*, xi
სამეცადინო რვეული, ახსნა, x
სამოქალაქო კანონისადმი მორჩილება და პატივისცემა, 91
სამღვდელოება და დამხმარე ორგანიზაციები, 93–94
სამხარეო კონფერენცია, და მეცადინეობა, viii
საოლქო შეკრებები და მეცადინეობა, viii
  მიზანი, ix–x
საოჯახო ისტორიული ცენტრი, როგორც მოწაფეების მომიების წყარო, 189
საოჯახო ისტორიული სამუშაო, 96–97
საოჯახო ისტორია, როგორც მოწაფეების მომიების წყარო, 189–191
საოჯახო საღამო, 96
საუბარი, იდეები, ადამიანებთან, 181
  საშუალება მომიებისათვის, 181–182
საწინააღმდეგო მოსაზრებები, როგორ ვუპასუხოთ, მორმონის წიგნის მეშვეობით, 125–126
სახარება, 67–74
  ლოცავს ოჯახებს, 3, 36
  განმარტება, 6, 78
  ადამიანების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, 1–2
  მიზანი, 7
  აღდგენა, 41–42
სერიოზული დანაშაული და ნათლობისათვის ღირსეულად ყოფნა, 238
სიბეჯითე, 140
სიბრძნის სიტყვა, 88
სიკეთის კეთება, 194–195
სიფრთხილე გამოცხადების მიღებისას, 112
სიყვარული, 136
სიცოცხლის ხე, ღონისძიება, 2
სმითი, იოსებ და პირველი ხილვა, 41
  და აღდგენა, 41–42
  ნათლობაზე წყლით და სულიწმინდით, 10
  მორმონის წიგნზე როგორც სოძის ქვაზე, 119
  სახარების ქადაგებაზე, 185
  სულისადმი ნდობაზე, 110–111
  ყველასათვის სწავლებაზე, 181
  სულიწმინდის მღვენის შესახებ, 103
  გამოცხადების აუცილებლობაზე, 101
სმითი, ჰაირამ, მთავარი საფუძვლების სწავლებაზე, 7
სმითი, ჯოსეფ ფ. გრძნობებზე როდესაც ის მოინათლა, 256
სნაიდერების ისტორია, 130
სულების სამყარო, 58
სულიერი სიკვდილი, განმარტება, 65
სული წმინდა, მღვენი, 103
  მესწავლა, 20–21
  პიროვნება, 102–103
  მალა, 103
სულის შეკითხვები და მორმონის წიგნი, 123–124
სულის მალა, მოქცევისას, 104–105
  კარნახი, 108–110
სწავლებისას უნდა გზა უჩვენოს, 202
სწავლება, 4
სწავლა, გამოცხადების მიღების პროცესი, 20–21
  როგორც ეკლესიის წევრი, 98
  სულიწმინდის მიერ, 20–21
სწავლების მორგება საჭიროებების მიხედვით, 204
  და მომიება, 183–184
  მოსმენა, 212–214
  დამახსოვრება, vii
  სულით, 4
  პირველ პრეზიდენტთა რჩევა, 201–202
  როგორ უნდა დაიწყოთ, 202–203
  საეკლესიო მოწოდებით, 98
  შეხვედრების ხანგრძლივობა, 204
  გაკვეთილების ხანგრძლივობა, viii
  ადამიაენბი არაქრისტიანული წარმოშობით, 218–220
  სახარება როგორც მისიონერი, 201
  მმადნაფიცთან, 205
  ეკლესიის წევრებთან, 206
  შეკითხვებით, 210–212
  წმინდა წერილებით, 207–208

## ტ

ტამარში თაყვანისცემა, 96–97
ტამრის მოსილება, 96
ტეილორი, ჯონ, მარტივად სწავლებაზე, 209
ტელესტიალური სასუფეველი, 59
ტერესტრიალური სასუფეველი, 59
ტესტი თვისებების შესახებ, საკუთარი თავის შეფასება, 145
ტინდეილი, უილიამ, 51

**უ**

უაიკლიფი, ჯონ, 50
უბიწოების კანონი, 87
უკვდავება, განმარტება, 65
ახსნილია, 58
უფლებამოსილება, მისიონერების, 4–5
მღვდლობა დაკარგულ იქნა, 39
აღსდგა, 41

**ფ**

ფაუსტი, ჯეიმს ე. იმედის შესახებ, 135
უფრო ნათლად სწავლებაზე, 209
ფიზიკური სიკვდილი, განმარტება, 65

**ქ**

ქრისტე. *იხილეთ* იესო ქრისტე
ქრისტესნაირი თვისებები, ღმერთისგან
მღვენები, 134
როგორ განვავითაროთ, 142
უნდა განვავითაროთ, 133
ქრისტეს სინათლე, 102

**ღ**

ღვთაება, შესაფერისად თაყვანისცემა, 86
ღმერთი, არაქრისტიანებისათვის სწავლება, 36
ღმერთი, გამოეცხადა იოსებ სმითს, 41–42
ღმერთი, ჩვენი ზეციური მამა, 35–36, 53
ღმერთის ოჯახი, 35–36, 179–180

**ყ**

ყოველდღიური დაგეგმარების სესია, 173
ყოველკვირეული დაგეგმარების სესია, როგორ
უნდა ჩატარდეს, 169–173
ყოფილი მოწაფეები, როგორც ადამიანების
სასწავლებლად მომიების წყარო, 192

**შ**

შაბათის დღე (კვირა), წმინდად დაცვა, 83–84
შეკითხვები, და ვალდებულებები, 225
როგორ ვუპასუხოთ მორმონის წიგნით,
125–126
სწავლებისას გამოყენება, 210–212
შეკრებები, მისიონერთა კოორდინაცია,
252–253
შემაჯამებელი სატელეფონო ანგარიში,
ანკეტის განმარტება, 165
შექმნა, დედამიწის, 54
შინა მასწავლებლები, 247
შულცი, ფრენკ და მილდრედი, ისტორია მათ
მოქცევაზე, 190

**ჩ**

ჩანაწერები, ნათლობისათვის და წევრად
დამტკიცებისათვის, 238–239

**ც**

ცელესტიალური სასუფეველი, 59
ცოდვა, როგორ განიხილება სხვადასხვა
კულტურებში, 68
ცოდნა, 138
ცხოვრება დედამიწაზე, 55–56
ცხრილი, viii

**ძ**

ძირითადი მაჩვენებლები, განმარტება, 158–160
მოქცევისათვის, 158–160
მიზნების დასახვა, 168–169
მმადნაფიცთან ერთად მეცადინეობა, მიზანი, ix
მმადნაფიცთან ურთიერთობის შეფასება, 173
მღვენები სულისა, 104
მღვენი სულიწმინდის, 72–73, 103

**წ**

წარმატება, განმარტება, 12
წევრად დამტკიცება, 72–73
განმარტება, 78
როგორ უნდა ჩატარდეს, 240
მომზადება, 233–235
*იხილეთ ასევე* ნათლობა და წევრად
დამტკიცება
წევრებს, ემინიათ მისიონერული სამსახურის
ჩატარება, 186
მოწაფეების მოსამებნად დახმარება,
185–187
როგორ დავეხმაროთ, მისიონერული
სამსახურით, 187
წევრობიდან გარიცხული წევრები, თუ უნდა
მოვნათლოთ, 237
წეს–ჩვეულებები, განმარტება, 71
წინამიწიერი ცხოვრება, 53–54
განმარტება, 65
წინასწარმეტყველთა სიტყვები მისიონერულ
სამსახურზე, 13–15
წინასწარმეტყველი, განმარტება, 38
დანიშნულება, 37–38
წინასწარმეტყველისათვის მიყოლა, 85
წმინდა წერილების მონიშვნა, 27
მათი გამოყენება სწავლებისას, 207–208
წმინდა წერილების შესწავლა, მცნება, 83
წყობა, განმარტება, 37
წყობები, 37–38

**ხ**

ხსნის გეგმა, 53–60
რუკა, 60
ხსნა, ხელმისაწვდომი ყველასათვის, 96–97
განმარტება, 65
გეგმა, 53–60

**ჰ**

ჰინკლი, გორდონ ბ. მისიონერებმა უნდა
გაამყარონ მოქცეულები ეკლესიაში, 246
მოქცეულების შენარჩუნების შესახებ, 246
რწმენისა და ლოცვის შესახებ, 106
წევრების მისიონერებისადმი დახმარების
შესახებ, 185
მისიონერების ლოცვების შესახებ, 107
ახლადმოქცეულების მოთხოვნილებების
შესახებ, 248

მორმონის წიგნის ლოცვით კითხვის
შესახებ, 125
სულის ცნობის შესახებ, 110
სამსახურის შესახებ, 195
ჰოლანდ, ჯეფრი რ. ენის დაუფლების შესახებ,
148
მოსმენის შესახებ, 212–213
სულის მალით სწავლებაზე, 9
ჰომოსექსუალური ურთიერთობები და
ნათლობისათვის ღირსეულად ყოფნა, 238
ჰანტერი, ჰოვარდ ვ. სულის ცნობის შესახებ,
112

# გახსოვდეთ შემდეგი. . .

- თქვენი დანიშნულებაა ქრისტესთან სულების მოყვანა.
- მოამზადეთ ადამიანები რომ გახდნენ ნათლობისათვის ღირსეულები, მოძღვრება და აღთქმების 20:37 მოცემული პირობების მიხედვით და ასევე უპასუხონ ნათლობისწინა გასაუბრების შეკითხვებს.

- ხშირად ილოცეთ თქვენთვის და სხვებისათვის.
- მიენდეთ სულს რომ გიკარნახოთ თუ საით წახვიდეთ, რა გააკეთოთ და რა სთქვათ.
- პირნათლად დაიცავით მისიის წესები.
- ისწავლეთ თქვენი მისიის ენა ყოველ დღე.

- დაგეგმეთ ყოველი დღე და ყურადღება გაამახვილეთ ძირითად მაჩვენებლებზე.
- იმუშავეთ ეფექტურად მთელი დღის განმავლობაში და მისიის ყოველი დღე.

- სთხოვეთ ***ყველას*** რომ მოგცენ რეკომენდაციები, კონტაქტები ადამიანების სასწავლებლად.
- ასწავლეთ როდესაც იპოვით, იპოვეთ როდესაც ასწავლით.

- წაიკითხეთ მორმონის წიგნი მათთან ერთად ვისაც ასწავლით.
- ადამიანებს აუხსენით, რათა გაიგონ რომ იოსებ სმითი არის ღმერთის წინასწარმეტყველი, ძალიან მნიშვნელოვანია რომ წაიკითხონ მორმონის წიგნი და ილოცონ მასზე.
- დაუკავშირდით ყოველდღიურად ყველა მოწაფეს.
- ხშირად გაუზიარეთ დამოწმება.
- შესაძლებლისამებრ ყველა გაკვეთილზე დაპატიჟეთ წევრი.
- ყოველთვის დანიშნეთ გარკვეული თარიღი და დრო შემდეგი გაკვეთილისათვის.
- დაპატიჟეთ ყველა მოწაფე ნათლობის სამსახურებზე.
- ყოველი გაკვეთილის შემდეგ უზრუნველყვეთ მოწაფეები წასაკითხი მატერიალით, რაზეც მათ უნდა იფიქრონ და მოემზადონ შემდეგი შეხვედრისათვის.

- ჩამოაყალიბეთ ურთიერთობები წევრებთან მათთვის სამსახურით და მეურვეობის ხელმძღვანელებთან ერთობლივი მუშაობით.
- შესაფერისი ღონისძიებებით, დაეხმარეთ მეურვეობის ხელმძღვანელებს ახლადმოქცეულების შენარჩუნებაში და ნაკლებად აქტიური წევრების ეკლესიურ ცხოვრებაში წასახალისებლად.

- დაეხმარეთ ყველას ვისაც ასწავლით რომ აიღონ ვალდებულებები რომლებიც მათ მიიყვანს მონანიებისაკენ და განამტკიცებს მათ რწმენას მხსნელში.
- გიყვარდეთ უფალი და ემსახურეთ მას მთელი სულით და გულით.

უკანასკნელი დღეების

წმინდანთა

იესო ქრისტეს

ეკლესია

GEORGIAN

4 02366 17131 6

36617 131